ლალი დათაშვილი მაია ჯალიაშვილი

წერილები მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2014

უაკ. (UDC) 821.353.1.09

დ - 161

წიგნში განხილულია მეოცე საუკუნის ქართველი მწერლების: გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნიკო ლორთქიფანიძის, დავით კლდიაშვილის, ლეო ქიაჩელის, ანა კალანდაძის, გურამ დოჩანაშვილის, ჯემალ ქარჩხაძის, ბესიკ ხარანაულის – ცნობილი ნაწარმოებები, გაანალიზებულია ამ შემოქმედთა მხატვრული სამყაროს თავისებურებანი.

განხილული ნაწარმოებები გათვალისწინებულია სასკოლო და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების პროგრამებით.

წიგნში თავმოყრილი ლიტერატურული წერილები დააინტერესებს მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მასწავლებლებს, ქართული ლიტერატურის მოყვარულთ.

რედაქტორები:
მარინა კუჭუხიძე, თამარ შუბლაძე

რეცენზენტი
ფატი ფირუაშვილი

© ლ. დათაშვილი, მ. ჯალიაშვილი
© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014

ISBN 978-9941-10-794-8

სარჩევი

ლალი დათაშვილი – „გაჭირვების დრო შემოგვესწრო“
(დავით კლდიაშვილის სამანიშვილის დედინაცვალი)..... 6

მაია ჯალიაშვილი – მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ მხატვრული სამყარო..... 12

ლალი დათაშვილი – „ჩვენ მტირალნი ღაწვსა ვბანდით“...
(ნიკო ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“)..... 45

ლალი დათაშვილი – „არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი“
(ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“)..... 53

მაია ჯალიაშვილი – „არის გზა, არის ნელი თამაში“
(გალაკტიონ ტაბიძის „თოვლი“)..... 59

მაია ჯალიაშვილი – პოეტური წინასწარმეტყველება
(გალაკტიონ ტაბიძის „მთაწმინდის მთვარე“)..... 65

მაია ჯალიაშვილი – „მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა“ *(გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენები“)*..... 73

მაია ჯალიაშვილი – „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია“
(გალაკტიონ ტაბიძის „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“)..... 79

მაია ჯალიაშვილი – შუაღამის მისტერია
(გალაკტიონ ტაბიძის„მე და ღამე“)..... 85

მაია ჯალიაშვილი – ტაძრის საგალობელი
(გალაკტიონ ტაბიძის „ქებათა ქება ნიკორწმინდას“)..... 91

მაია ჯალიაშვილი – „ლოცვად მუხლმოყრილი“
(გალაკტიონ ტაბიძის „მზეო თიბათვისა“)..... 97

მაია ჯალიაშვილი – თავისუფლების მონატრება
(გალაკტიონ ტაბიძის „მშობლიური ეფემერა“)..... 103

მაია ჯალიაშვილი – „უცხო სამოთხეები“
(გალაკტიონ ტაბიძის „გაგონდება თუ არა“)..... 109

მაია ჯალიაშვილი – სამშობლოს სიყვარულის საიდუმლო
(გალაკტიონ ტაბიძის „მამული“)..... 114

მაია ჯალიაშვილი – გაუქარვებელი სევდის ნაკვალევი
(გალაკტიონ ტაბიძის „ქარი ქრის“)..... 118

მაია ჯალიაშვილი – სიყვარულის დღესასწაული
(გალაკტიონ ტაბიძის „რაც უფრო შორს ხარ“)..... 120

მაია ჯალიაშვილი – რწმენის წყურვილი–
(გალაკტიონ ტაბიძის „წამყე ბეთანიისკენ“)..... 124
მაია ჯალიაშვილი – მონატრების სილამაზე
(გალაკტიონ ტაბიძის „შინდისის ჭადრებს“) 127
მაია ჯალიაშვილი – „მახსოვს ტოტი ქარისა“
(გალაკტიონ ტაბიძის „ეს მშობლიური ქარია“)..... 131
მაია ჯალიაშვილი – „სიმშვიდეა შორი“
(გალაკტიონ ტაბიძის „ატმის რტოო“)..... 135
მაია ჯალიაშვილი – უმანკოების დაღუპვა
(გალაკტიონ ტაბიძის „ბავშვები კაფეში“)..... 139
ლალი დათაშვილი – სიკვდილთან შერიგება
(გალაკტიონ ტაბიძის „შერიგება”).....145
მაია ჯალიაშვილი – მომაგონდები
(ტიციან ტაბიძის „ანანურთან“)..... 150
მაია ჯალიაშვილი – „კვალდაკვალ ჩემი დემონი მომდევს...“
(ტიციან ტაბიძის „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე”)..... 154
მაია ჯალიაშვილი – „ლექსი თვითონ მწერს“
(ტიციან ტაბიძის „ლექსი მეწყერი“)..... 160
ლალი დათაშვილი – ვაჟკაცობის საგალობელი
(ტიციან ტაბიძის „მეწყერი – მეწყერს“) 163
მაია ჯალიაშვილი – „პოეტის შთაგონებით დასნეულება“
(პაოლო იაშვილის „პოეზია“) 166
მაია ჯალიაშვილი – „მინდა დღეს მივწერო დედას“
(პაოლო იაშვილის „წერილი დედას“)..... 171
მაია ჯალიაშვილი – სიყვარულის ტკბილ-მწარე ტყვეობაში
(პაოლო იაშვილის „დარიანული“) 176
მაია ჯალიაშვილი – სიცოცხლისა და სიკვდილის
განუყოფლობის საიდუმლო
(ვალერიან გაფრინდაშვილის „პროვინციალური გაზაფხული“)... 182
მაია ჯალიაშვილი – „შენს სილამაზეს ჩემი ტრფობა ესაფეხურა“
(ვალერიან გაფრინდაშვილის „სანტიმენტალური ტრიოლეტი“)....188
ლალი დათაშვილი – „ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!“
(კოლაუ ნადირაძის „25 თებერვალი, 1921 წელი”) 192
ლალი დათაშვილი – სასტიკი აუცილებლობა და
ადამიანური ღირსება
(ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა”).....195

ლალი დათაშვილი – „საუკუნოთა არმურიდან გადმონაყონი“
(კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“).....*203*
მაია ჯალიაშვილი – დაუვიწყარი ღამის პოეტური ანაბეჭდი
(გიორგი ლეონიძის „ნინოწმინდის ღამე“) 220
მაია ჯალიაშვილი – „ქართლი განკვართული“
(გიორგი ლეონიძის „მეცამეტე საუკუნე“)..... 224
მაია ჯალიაშვილი – „მოდი, გეძახი ათას წლის მერე“
(გიორგი ლეონიძის „ყივჩაღის პაემანი“)..... 227
მაია ჯალიაშვილი – წარუვალი მშვენიერება
(გიორგი ლეონიძის „მარიტა“)..... 232
მაია ჯალიაშვილი – ხალხი და ბრბო238
(გიორგი ლეონიძის „მარიტა“)242 238
მაია ჯალიაშვილი – „ყველაფერი ზღ245აპრულია და იდუმალია“
(ანა კალანდაძის „ლაჰილზე ისევ“) 242
მაია ჯალიაშვილი – „წყალობა ჰყავით“245
(ანა კალანდაძის „ფეხი დამადგით“) 245
მაია ჯალიაშვილი – ჩამავალი მზის აღსარება
(ანა კალანდაძის „მკვდართა მზე ვარ...“)..... 249
მაია ჯალიაშვილი – „მეც მინდა ვიყო უფრო მაღალი“
(ოთარ ჭილაძის „როდესაც ასე ახლოა გრემი..“).....253
ლალი დათაშვილი – გზა სასუფეველისკენ
(ჯემალ ქარჩხაძის „იგი“).....256
ლალი დათაშვილი – ლიტერატურა – უკანონებო მეცნიერება და „პერპენტუმ მობილე“
(გურამ დოჩანაშვილის „კაცი,რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“) 262
მაია ჯალიაშვილი – „ქარია საქართველო“
(ბესიკ ხარანაულის „სად არიან შვილები“)..... 270
ავტორთა შესახებ 275



დავით კლდიაშვილი
(1862 – 1931)

„გაჭირვების დრო შემოგვესწრო"

(დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი")

ბიბლია არ ქმნის ადამიანთა ტიპებსა და ხასიათებს, არამედ – ადამიანებს გარემოებებშიო, – შენიშნავდა მარტინ ბუბერი. საგულისხმო მოსაზრებაა, რადგან ესა თუ ის ვითარება (განსაკუთრებით ექსტრემალური) გამოავლენს, ვის როგორი შინაგანი სამყარო აქვს, ვინ როგორ იქცევა ამა თუ იმ სიტუაციაში. სწორედ ამას გულისხმობს დავით კლდიაშვილიც, როდესაც წერს:

„გარემოება აღვიძებს როგორც კარგ მხარეს, ისე ცუდს კაცის ბუნებისას".

ასეთი „გამაღვიძებელი გარემოება" იმერეთს XX საუკუნის დასაწყისში დაუდგა, როდესაც შიმშილითა და სიშიშვლით უკიდურესად შეწუხებული ხალხი აღარ დაგიდევდათ ისტორიულად ჩამოყალიბებულ შეხედულებებსა თუ ზნეობრივ ვალდებულებებს და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თავი როგორ გაეტანა, რით ამოევსო „შიმშილით გაფშიკებული" კუჭი.

დავით კლდიაშვილმაც, თვითონაც იმერელმა აზნაურმა, რომელიც მწერლის უმთავრეს საქმედ მიიჩნევდა „შესწავლას თვით ცხოვრების პიროებებისა, ინდივიდებისა და ყოველი გარემოებისა და ... უმნიშვნელო, ჩვეულებრივი კაცის ბუნების ძიებას", მთელი თავისი შემოქმედება მოუძღვნა იმის ასახვას, თუ სიღარიბე, გაჭირვება, სიცივე და ტკივილი, ერთი სიტყვით, მძიმე სოციალური ფონი, როგორ ზემოქმედებს ადამიანის სულსა, ზნეობასა თუ ცხოვრების წესზე.

მწერალი სათაურიდანვე იპყრობს მკითხველის ყურადღებას. „მოვლენათა ფოკუსში" (კ. გამსახურდია) მოაქცევს, ერთი შეხედვით, მეორეხარისხოვან პერსონაჟს – დედინაცვალს, რომელიც ორიოდე ეპიზოდში ჩანს და მისი დახასიათებაც მკრთალად, რამდენიმე შტრიხით თუ ხერხდება. ამით ცხადდება მწერლის მიზანი, რომ არავის აინტერესებს, როგორი პიროვნებაა ეს ქალი. ვინც უნდა იყოს იგი, რა სულიერი ღირებულებების პატრონი, გნებავთ, მახინჯი და უბადრუკი არსება, თუ, გნებავთ, დიდებული ადამიანი, მაინც ცუდად მოექცევა პლატონი, რადგან მასში მტერსა და დამაქცეველს, ბოროტ დედინაცვალს ხედავს;

სათაური („სამანიშვილის დედინაცვალი") იმაზეც დაგვაფიქრებს, რომ ამქვეყნიური ცხოვრებაა დედინაცვალი კაცისთვის. ამ უკანასკნელმა როგორც გინდა მოინდომოს, რა გზასაც გინდა დაადგეს, მაინც ბოლოს მოუღებს წუთისოფელი, „სად არ უნდა, წაიყვანს, ყელზე საბელი უბია" (დ. გურამიშვილი). ნემსის ყუნწში გაძვრა პლატონი: გონებაც დაძაბა, ეშმაკური გამოსავალიც მოიფიქრა – ორნაქმარევი, უშვილო ქალის პოვნა, თავმოყვა-

რეობაზეც აიღო ხელი – თვითონ დაუდგა მამას მაჭანკლად, არც გზასა და დაღლილობას მოერიდა – სადედინაცვლოს საძებნელად წავიდა, შიშმა სიხარბეც კი დააძლევინა და საქვრივო არ გამოართვა ბრეგაძეებს, ღმერთსაც ბევრს ეხვეწა, ჩემს ძმას სიცოცხლე არ აღირსოო, მაგრამ ამაოდ...

მწერალი დეტალს განსაკუთრებულ როლს აკისრებს ნაწარმოებში. პირველივე ფრაზებში ყურადღებას იქცევს სიტყვები: „რასაკვირველია“ და „ერთობ გადაპრანჭული“ („ბეკინა სამანიშვილი, რასაკვირველია, ღარიბი აზნაური იყო, გვარიანი ღარიბიც. აბა, რა სიმდიდრეს მოასწავებდა ის ოცდაათი ურემი სიმინდი, ორმოცი ჩაფი ღვინო და ათიოდე ბათმანი ლობიო, მის მამულს რომ შემოჰქონდა და რითაც თავს ირჩენდა წლიდან-წლამდის ბეკინას ოჯახი. მაგრამ ბეკინას კი თავისი თავი მდიდრებში მოჰქონდა და ვინ იქნებოდა, რომ თავის სიღარიბეზე ერთი სიტყვა წამოეცდევინებინა ბეკინასთვის? როგორც იმერეთში ამბობენ, ერთობ გადაპრანჭული იყო ჩვენი ბეკინა“).

„რასაკვირველია“ განაზოგადებს სიდუხჭირეს იმერეთში, გვაგებინებს, რომ აქ ყველა „გვარიანი ღარიბი“ იყო, უქონელ-უპოვრობა კი დამახასიათებელ მოვლენად მიიჩნეოდა;

„ერთობ გადაპრანჭული“ საუკეთესოდ წარმოაჩენს იმერულ კუდაბზიკობას, აქაურთა ხასიათის ერთგვარი გასაღებია და თვალნათლად დაგვანახვებს ღარიბ აზნაურებს, გადამეტებული ზრდილობითა და თავაზიანობით რომ ცდილობენ ხელმოკლეობის დამალვას, სახლში ერთი ლუკმა პურიც რომ არ უდევთ, მაგრამ სტუმარს მაინც ეპატიჟებიან. თავს კი სოლომონ მორბელაძესავით იმით ინუგეშებენ, რომ სტუმარი გადამთიელი არ არის, „აქოური“ წესები იცის და „ერთი-ორი შეპატიჟებით რავა“ ესტუმრება ვინმეს?!

გადაპრანჭულობა ტრაბახა ბეკინას უმნიშვნელოვანესი თვისებაა: „თავისი თავი მდიდრებში მოჰქონდა", თვითონ ცდილობდა, საკუთარი სიტყვების ჭეშმარიტება ერწმუნა, თავს იჯერებდა სიმდიდრესა და ფუფუნებაში, რადგან არა მხოლოდ უცხოებთან იქცეოდა ასე, „შინაურობაშიაც ლაპარაკს გააბამდა თავის გამოულეველ სარჩოზე, ღონიერ ლუკმაზე".

მწერალი იუმორით შენიშნავს, რომ საკუთარ შვილსაც კი თვალში ნაცარს აყრის ბეკინა და აჯერებს თავიანთი ოჯახის სიმდიდრეში: „მიწაც საკმაოდ გაქვთ, თუ სხვაზე მეტი არა. წყალიც, სახლიც, კარიც... ტყეც და ველიც!.. (ეს კი მეტი წამოსცდა ბეკინას – ტყე სრულიად არა ჰქონებია)."

(ასე იქცევა ეკვირინეც „ქამუშაძის გაჭირვებაში", თუმცა ის ახლად მოყვანილ რძალს ათვალიერებინებს ბოსტანსა და ვენახს, უცხოს მოტყუება კი შედარებით იოლია).

ბეკინა დარწმუნებული ბრძანდებოდა თავის რჩეულობაში. მელანოს ხშირი შვილოსნობა ღმერთს მიაწერა და ასე შეაფასა:

„ალბათ, სურს, რომ სამანიშვილები მოამრავლოს. მასაც ქვეყნად მხოლოდ რჩეულები უნდა რომ ჰყავდეს! ხა, ხა, ხა!.."

არც შვილი ჩამორჩება მამას – ფეხით სიარული არ ეკადრება თავმომწონე აზნაურს და პავლია ღომიაშვილის „ფერდებამობუსკული“ „ბედაური",

მელანოს რომ დავესესხოთ, „სხვის შესახედავად წეიყვანა, ბატონო... სასირცხვილ-სანამუსოდ, თვარა სხვებრ რას არგია!“ გზაში რომ არ დავარდნოდა, „ფეხ-ფეხა“ მიჰყვებოდა, თუმცა სხვის თვალში, ცხენი ვითომ ჰყავდა.

საგულისხმოა, რომ ამ მოთხრობის ბიძგიც სიტყვა „გადაპრანჭული“ გამხდარა, რომელიც მწერალს რომელიღაც მეზობელზე საუბრისას მოუსმენია თავისი სიმამრის – პავლე მაჭავარიანისაგან.

ქრისტიანობა გვასწავლის, როცა ხორცი ყვავის, სული კნინდება და პირიქითო. ქონების მიწის მტვერივით ჩამორეცხვით წარემატნენ სათნოებაში წმ. აბრაამი, წმ. გრიგოლ ხანძთელი, წმ. ზენონ სამცხელი...

„სამანიშვილის დედინაცვალი“ მიგვახვედრებს, რომ ეს მხოლოდ „ზეცის კაცების“ მიერ ნებაყოფლობით მიტოვებულ ქონებასა და უფლის იმედით გაღარიბებას ეხება. ასე არაა იმერელ აზნაურთათვის, ისინი ისტორიამ გააღარიბა, არც გასაცემი აქვთ რამე და არც – გასაყოფი. თავის მწირ ლუკმასაც გააფთრებით ჩაჰფრენიან და იცავენ. ასე იქცევა ძაღლი, პატრონსაც კი მოაჭამს ხელს, ლუკმის წართმევა თუ დაუპირა. გაძაღლებული კაცი კი ცხოველზე უარესია...

დავით კლდიაშვილს „სამანიშვილის დედინაცვლით“ მიზნად დაუსახავს, მკითხველი დაეფიქრებინა იმაზე, თუ სიდუხჭირე როგორ ზეგავლენას ახდენს კონკრეტულ ადამიანსა თუ მთელ საზოგადოებაზე.

პლატონ სამანიშვილი სიღარიბით განადგურებული და გამხეცებული ადამიანის მაგალითია.

მოთხრობის დასაწყისში იგი მორჩილი შვილიც არის, მორწმუნეც, მშრომელიც, უპრეტენზიოც, თავმოყვარეც. „თავის გულითად მადლობას უცხადებდა ზეციერ მამას, რომ შემცილებელი არავინ გაუჩინა მას ღარიბ ლუკმაში. თავის ცოტაზედაც კმაყოფილი, ამ თავის მცირედითაც ბედნიერი, იგი გულმოდგინებით ურტყამდა თოხს მიწას,“

მამას სიტყვის შებრუნებას ვერ უბედავდა, ლუღლუღებდა მასთან საუბრისას, თუმცა თავზარი დასცა ბეკინას დაქორწინებისა და შესაძლო მემკვიდრის გაჩენის საფრთხემ, მაგრამ მშობელს თავი შეაბრალა მხოლოდ, ერთი შეურაცხმყოფელი სიტყვაც კი არ დასცდენია:

„– მღუპავ, მამა? – მივიდა იგი ბეკინასთან. – მღუპავ? დანას მიყრი ყელში?.. რატომ მიმეტებ, შენი ჭირიმე?! – ძლივს წარმოსთქვა პლატონმა და, ხმაჩანყვეტილმა, უნუგეშოდ ხელები გაშალა.“

ცხადია, მას აქვს ყველაფერზე თავისი შეხედულება, მაგრამ თავს იკავებს, ხალხს რომ სალაპარაკო არ მისცეს; რცხვენია ისეთი რამის ჩადენის, რაც მიუღებელია. თუმცა მამამისის გამო ყველა მოხუცი ეზიზღება, ამას არ იმჩნევს და ზრდილობიანად, პატივისცემით ელაპარაკება გვერდევანიძეს; ქორწილში ცალი თვალი და ყური კირილესკენ აქვს, რომ რაიმე ცუდი არ ჩაიდინოს და სიძის გამოისობით თვითონაც (როგორც ცოლისძმას) არ მოეჭრას თავი.

ნაწარმოების ბოლოს კი პლატონი ნადირია: ბეკინასგან ითხოვს, ელენეს მუცელი მოაშლევინოს, ფეხმძიმე დედინაცვალს წიხლს ურტყამს მუცელში, მოხუც მამას ეყრება და ულუკმაპუროდ ტოვებს, ძმას მცირე ასაკიდან აი-

ძულებს, სასამართლოს კარზე იყოს აკრული და სულაც აღარ დაგიდევს, რას იტყვის მასზე ხალხი. შინაგანადაც გაუხეშებულია და გარეგნულადაც. „ნამდვილ ნადირს“ მხოლოდ სიძულვილი ამოძრავებს, „მე შემიბრალა ვინმემ?!“ – ღრიალებს იგი და ცხოვრების მიზნადაც აქვს „კბილი კბილისა წილ“.

შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ პლატონი გამონაკლისია. თუმცა მისი და ივანეს საუბრის მრავალმხრივ საყურადღებო ეპიზოდი და პერსონაჟთა ქცევა სხვა ეპიზოდებიდან გვარწმუნებს, რომ საზოგადოება ერთიანად არის დამახინჯებული – მდიდარიცა და ღარიბიც:

ძმებ ბრეგაძეებს ერთმანეთი სძულთ, „ერთი მეორეს წაგლეჯაზეა გამაცადინებული, რამე ხერხით უნდა მეტი რამ ირგოს, ერთმანეთს აღარაფერს ანებებენ და ჭიჭყინობენ, დავიდარაბობენ, ჩხუბობენ დილიდან საღამომდინ, ჰკლავენ ერთმანეთს...“

ქვაშავიძეც ამ დღეშია, „ფიცრების მეტი არაფერი აქვს... თურმე ძმები გაყოფილან, სულ ფიცარ-ფიცრად გაუტანიათ სახლი და ახლა ორსავე, რომ მთელად აღარ აქვთ მასალა, ქე არიან ისრე უბინაოთ... დაყანყალობენ იქით-აქეთ“;

თვით გვერდევანიძე – „ჩასუქებული, წვერებმოპარსული, კაზიროკქუდიანი, ქოლგით იღლიის ქვეშ, წითური სახის სოფლის ადვოკატი, მოსახათრებელი კაცი“ ხელს ითბობს სხვათა უბედურებით და სათავისოდ ირჯება „ხელის მოსაკიდებელი საქმეებით“;

ჩიტირეკია კირილესაც არ უჭირს, მაგრამ ეს სხვათა დაცინვის, მუდმივი ჩხუბისა და დავიდარაბის სურვილს უმატებს და არა – მადლიერებისა უფლის წინაშე, რომ თავის სარჩენად მძიმე შრომა არ სჭირდება. ყველაფერს სათავისოდ იყენებს. პლატონს არწმუნებს, რომ „გვაროვნულადაც“ მოსდგამს ხალისიანი და უდარდელი ცხოვრება; ბიბლიური ამბებიდან ერთადერთს ახსენებს, იმასაც თავის გამართლების მიზნით, გაბრაზებული პლატონი რომ შემოირიგოს:

„შე კაცო, პეტრე მოციქულმა სამჯერ იუარა ქრისტეს მოწაფეობა, მაგრამ ამისათვის სამიდღემჩიოდ არ დასჯილა, ისევ საყვარელ მოწაფედ დარჩა და შენ ჩემით ერთი უსიამოვნება შეგემთხვა – ამას ვეღარ დამივიწყებ?! კაია, თუ გიყვარდე!“

გაიძვერა კირილე „თავმდაბლად“ შეახსენებს ცოლის ძმას, რომ თვით პეტრე მოციქულიც უშვებდა შეცდომებს და კირილესგან რა გასაკვირია?!

გამონაკლისი იყო მხოლოდ სალობერიძეების მსგავსი ოჯახები, თითზე ჩამოსათვლელნი, „რომელთაც რაღაც მანქანებით დღეს კიდევ შერჩენიათ იმდენი მამული, რომ შეუძლიათ რიგიანად იცხოვრონ და გაუჭირვებლად გაუძღვნენ თავიანთ ოჯახს.“ მათი მაგალითიც იმისთვის სჭირდებოდა მწერალს, რომ ეჩვენებინა, როგორ ცხოვრობდნენ აზნაურები, რა ნაართვა ფეოდალური ურთიერთობების წილ კაპიტალიზმის შემოსვლამ და როგორ გაიწირა ყველა, ვინც ვერ აუწყო ფეხი ახალ დროს. სალობერიძემ კი ჭკუა იხმარა და გადარჩა, „მოხუცებული ჯიმშერი სწორედ გონიერი კაცი იყო, შეგნებული; და ეგ იყო მიზეზი, რომ მის ოჯახში ყოველივე თავთავის რიგ-

ზე იყო; უსაქმურს აქ ვერ ნახავდით. რაც გაეწყობოდა, შვილებისათვისაც სწავლა არ დაუკლია. ცოცხალი გონების პატრონს ჯიმშერს საინტერესოდ ჰქონდა ყოველივე საზოგადო საქმე და მის ახლოს ყოველთვის გესმოდათ ამნაირ საქმეზე სჯა-ბაასი."

თუმცა სალობერიძე ზღვაში წვეთია. უმრავლესობისთვის „ერთობ ცუდი" დროა და რადგან ხედავენ, რომ „გაჭირვების დრო შემოესწროთ", იციან, „მეცადინეობა სჭირიათ, ძალიან გაფრთხილება მართებთ ამ გაჭირვებასთან", ყველა ცდილობს გამოსავლის პოვნას.

მეოცნებე ბეკინა რეალობას გაურბის, კირილე დარიკოს ხარჯზეა, პლატონი უშვილო ქალს დაეძებს, არისტო წანწალით ცხოვრობს... სხვა მოთხრობებსაც რომ გადავხედოთ, ზოგი მძიმედ შრომობს, ზოგი ადვოკატობს, ზოგი მაჭანკლობს, ზოგი გლეხს მოიკიდებს ნათლიად და მისი დახმარებით გააქვს თავი (გავიხსენოთ, არისტო კოტეს ნათლია გლეხის პურ-მარილით გაუმასპინძლდა), ზოგი ქალიშვილის გათხოვებას ცდილობს, რომ ერთი მჭამელი მოიშოროს... საზოგადოდ კი უმძიმესი ვითარებაა:

პლატონი ომს ნატრობს, თანაც ისეთს, ახლობლებს რომ ამოუხოცავს და მეტი ლუკმა დარჩება: „– ცუდი დრო მოვიდა, ბატონო, ერთობ ცუდი დრო!.. ხალხიც მომრავლდა... ჩხუბით თუ გაიწმინდება ცოტაზე მაინც ქვეყანა, თვარა..." – ეუბნება ივანეს.

გაბღენძილი გვერდეველიძე კი იმდენადაა გაზულუქებული, რომ უფალს ჭკუას ასწავლის, ხალხის შვილთა დახოცვის გზით დაპურებას სთავაზობს:

„ი დალოცვილი ღმერთიც თავის მოწყალებას ჩვენზე ძველებური წესით გვიცხადებს: ხალხს ამრავლებს, ყოველ ოჯახს შვილებით ავსებს... მადლიანს თითო-ოროლა შვილი დეეკლო, ამათ მაგიერათ სარჩო მოემატებია, ის არ აჯობებდა, შენი ჭირიმე? ა? – გაიცინა მან."

ცხადია, ასეთი საზოგადოება საძულველი და დასაგმობია ღვთისგან, ამიტომ მას ატყდება უფლის რისხვა და კიდევ მეტისთვის გაიწირება, თუ გონს არ მოეგება.

ილია ბრძანებდა, „კმაყოფილება მომაკვდინებელი სენიაო" და იმედის საფუძვლად მიიჩნევდა, რომ ახალგაზრდები მცირედით არ კმაყოფილდებოდნენ. ადამიანი შემოქმედი და მეოცნებე არსებაა. იგი ზეცისთვისაა შექმნილი, მუდამ ახალსა და დიდებულს უნდა ესწრაფოდეს. თუმცა კლდიაშვილის გმირებს ზეცა არც ახსოვთ, მხოლოდ მიწიერზე ფიქრობენ, კუჭი ადარდებთ, სარჩოს დაეძებენ. ამიტომ ისინი მცირედითაც კმაყოფილნი, მცირედი ბედნიერებით შემოფარგლულნი არიან. ეს არც კმაყოფილებაა და არც – ბედნიერება. კაცს სხვა ტიპის მოთხოვნები უნდა ჰქონდეს. დ. კლდიაშვილი ამიტომაც მიმართავს მკითხველს:

„რა შესაშურებელი უნდა ყოფილიყო ასე ცოტაზე დამყარებული კმაყოფილება და ბედნიერება?! რა სახარბიელო უნდა ყოფილიყო კაცის მოუთხოვნელობით მოპოვებული გულის სიმშვიდე?!. ან კი რა საფიქრებელი იყო, რომ ასე ცოტათი შემოტყუებული ბედნიერება ისევ ცოტა მიზეზითვე ხელიდან არ გამოეცლებოდათ, სუსტ საფუძველზე დამყარებული კმაყოფილება არ მოესპობოდათ!.."

მწერალი შენიშნავდა, რომ ყველაფერს ადამიანის სიყვარული და სი-

ბრალული აწერინებდა. „სამანიშვილის დედინაცვალიც“ ცრემლნარევი იუმორით დაწერილი ნაწარმოებია. თვით კლდიაშვილი აფასებს მას პლატონის შესახებ საუბრისას: „ისეთნაირი კილოთი ლაპარაკობდა, სწორედ შეეცოდებოდა კაცს, რომ თვით ამბავი სასაცილო არ ყოფილიყო.“

მოთხრობა ორიგინალური სიუჟეტით გამოირჩევა, სწორედ „კვიმატი“ ჭკუის ავტორს შეეძლო ასეთი სიუჟეტის მოფიქრება – მომავალი გერი დაეძებს ორნაქმარევ, უშვილო სადედინაცვლოს;

ცნობილია, რომ კლდიაშვილს უსაყვედურეს ნაწარმოების ასე მალე დამთავრების გამო; უთხრეს, რომ ბევრად უფრო სასაცილო იქნებოდა, პლატონს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეძებნა სადედინაცვლო და, ბოლოს, გვერდით სოფელში ეპოვა. დავითს ამაზე მიუგია, რომ მწერალმა ძალიან კარგად უნდა იცოდეს, რასაც წერს, ის კი ამდენად მხოლოდ იმერეთს იცნობდა.

მწერალს პერსონაჟებისთვის მომხიბლავად მოურგია გვარები. ქვაშავიძეს შავი ქვის მეტი არაფერი აბადია; ღომით გაზრდილი გლეხი ღომიაშვილია; ქორწილი შაფათაძისას იმართება, რადგან შაბათობით არის ხოლმე; ჩასუქებული და გვერდებში გასული ადვოკატი გვერდევანიძეა; ელენეს პირველი ქმრის შესახებ არაფერი ვიცით და უცნობლაძეა; კირილე თვითონ გვიხსნის თავის გვარს:

„– ჩვენ გახლავართ მიმინაშვილები! მიმინოს შვილები... მიმინოს!.. ჩვენთან რა უნდა მწუხარებას... ჩვენს თავს არავის არ დავატყვევებინებთ... გვაროვნობით ვართ ასე... სადაც სიამეა და მოლხენა, იქ ჩვენც ვართ, ასე მოგვდგამს გვაროვნობით!..“

განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია მთავარი პერსონაჟის გვარი, სამანი საზღვარს ნიშნავს. სამანიშვილიც გარკვეულ საზღვრამდე კაცია, ამ საზღვრის გადალახვის, ანუ სამანზე გადაბიჯების, შემდეგ კი – მხეცი.

ჩავამთავრებთ მოთხრობას და გვრჩება თანაგრძნობისა და თანალმობის განცდები, ამ ღვთისა და კაცისაგან გაწირულ დროში მცხოვრებთადმი. ყველა გაღიზიანებულია, ყველა ჩხუბობს, გულს სტკენს ახლობელსა თუ უცხოს; ველარც გარემოს სილამაზეს აღიქვამენ, სადღაა კოპწია იმერეთი, „ტალახი ბევრი ვსრისე, ღობე ბევრი გავარღვიე, გზები ისეთი, რომ ძლივს გავატანე...“ – ჩივის კოტე ბალდავაძე; არც ხვალინდელი დღის იმედი ჩანს საიდანმე, რადგან ისტორიის ბორბალი უკუღმა არ ბრუნავს.

კიდევ ერთი ქართული მოვლენა კვდება, რადგან აზნაურები – წოდებით, გვარიშვილობით აღმატებულნი გლეხებზე და ნაკლებნი თავადებზე – მხოლოდ საქართველოში არსებობდნენ... ყველა მათგანზე განზოგადდება მწერლის სევდიანი შენიშვნა: „ბედნიერება, რაგვარიც უნდა იყოს, ვის შერჩენია ბოლომდის, რომ სამანიშვილისას ფეხი მოედგა მჭიდროდ?“

და ტკივილით, სევდით მიდის აზნაურთა კლასი, მოსულა მათი შემოდგომა. აკი, უწოდებს კიდეც მათ კლდიაშვილი „შემოდგომის აზნაურებს“, რაც, ჩვენი აზრით, ერთი მხრივ, იმას გულისხმობს, რომ მხოლოდ შემოდგომობით აქვთ სარჩო-საბადებელი (სხვა დროს შიმშილობენ), მეორე მხრივ კი, იმას, რომ მათი დრო გადის და მალე დაუდგებათ სიკვდილის მომასწავებელი ზამთარი.

მაია ჯალიაშვილი

მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ მხატვრული სამყარო



მიხეილ ჯავახიშვილი
(1880 – 1937)

„ჯაყოს ხიზნებს“ 1924 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ვწერდი და ვგრძნობდი, რომ ჩემს გულს ცეცხლი ეკიდებოდა, ხოლო სული იმ დროის სისხლში მქონდა ამოვლებული. „ჯაყო“ გმინვაა ჩემი სულის“, – ეს სიტყვები მიხეილ ჯავახიშვილმა თავის უბის წიგნაკში ჩაწერა. ძნელია ამაზე უკეთესად „ჯაყოს ხიზნების“ შეფასება. ეს რომანი, მართლაც, გმინვაა, ოღონდ არა მხოლოდ მწერლის, არამედ ერის სულისა. 1924 წელს ქართველმა ერმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა თავისუფლებისათვის და სისხლის ნიაღვარში ჩაიხრჩო. ამ სისხლმა გაუყუჩებელი ტკივილი დაუტოვა მწერალს.

მიხეილ ჯავახიშვილი ერის მაჯისცემას მიყურადებული მამულიშვილი იყო. როგორც პავლე ინგოროყვას უთქვამს, იგი მწერლობაში პუბლიცისტიკიდან და პოლიტიკიდან მოვიდა. რაც იმას ნიშნავს, რომ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და საზოგადოებრივი პრობლემების არსი ძირითძირამდე ჰქონდა გაჩხრეკილი.

მიხეილ ჯავახიშვილი 1921-23 წლებში საქართველოს ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის ე.წ. „პარიტეტული კომიტეტის“ წევრი იყო. ამ პარტიას საქართველოში მნიშვნელოვანი ძვრების მოხდენა, კერძოდ, რეჟიმის შეცვლა და დამოუკიდებლობის აღდგენა სურდა.

1923წ. ნაციონალურ-დემოკრატიული პარტია ლიკვიდირებულ იქნა. ყველა დააპატიმრეს, მათ შორის, მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც ორთაჭალის ციხეში 6 თვე იჯდა. დაპატიმრებულთაგან ბევრი დახვრიტეს. მიხეილ ჯავახიშვილსაც დახვრეტა ჰქონდა მისჯილი, მაგრამ პავლე ინგოროყვას, ნიკოლოზ ყიფშიძესა და კიდევ რამდენიმეს სერგო ორჯონიკიძისათვის უთხოვიათ, რომ მწერალი არ დაესაჯათ. მართლაც,1923 წლის 3 აგვისტოს მიხეილ ჯავახიშვილი გაათავისუფლეს. ამის შემდეგ იგი აქტიურად შეუდგა წერას და ზედიზედ გამოაქვეყნა მოთხრობები და რომანები „კვაჭი კვაჭანტირაძე“ და „ჯაყოს ხიზნები“.

ავტობიოგრაფიაში მიხეილ ჯავახიშვილი წერს: „ადამაშვილის მოღვაწეობის მთავარი მიზანია საქართველოს თავისუფლება, ავტონომია. ის რწმენით ევოლუციონისტია. ერის ძალა და მომავალი მის ქონებრივ-გონივრულ სიმდიდრეშია, რაიც შენდება და ერთდება ნელი, დინჯი, თანდათანობითი, ბეჯითი შრომითა და ხელმოჭერით, ანგარიშიანი ცხოვრებით. ამიტომ ყოველი ქართველის მოვალეობაა შრომა, ანგარიში, პატიოსნება და მამულიშვილობა. 1904-1905 წლებში ადამაშვილი უკიდურესი რადიკალი იყო, თუმცა სოციალიზმის მოძღვრება ვერ შეითვისა. მისი აზრით, რევოლუცია

აუცილებელი იყო, მაგრამ სოციალიზმის იდეამ განუზომელი ზარალი მოუტანა საქართველოს და შემდგომშიც უდიდეს ხიფათს უქადის“ (მწერალი სამოღვაწეო ასპარეზზე ადამაშვილის გვარით გამოვიდა, შემდეგ აღიდგინა წინაპრების გვარი – ჯავახიშვილი).

თუ რა ზარალი მოუტანა სოციალიზმმა ერს, ამას მიხეილ ჯავახიშვილი მოთხრობებითა და რომანებით ამხელდა, უპირველესად კი, „ჯაყოს ხიზნებით“. ქართულ მწერლობაში ასეთი გამბედაობა მხოლოდ ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა. მართლაც, ბევრი რამ ანათესავებს ამ ორ მწერალს: ერის ბედისა თუ მხატვრული სიტყვისადმი დამოკიდებულება – მხილების პათოსი, გროტესკი, ძარღვიანი ქართული და ამოუწურავი ლექსიკური მარაგი. ალბათ, არც მათი შეხვედრაა შემთხვევითი. მიხეილ ჯავახიშვილი იგონებს, როგორ შეხვდა ყმაწვილობაში, წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სასწავლებლის მოსწავლე, ილიას მისსავე დღეობაზე. იქ, მას რუსული აქცენტით წაუკითხავს ბარათაშვილის ლექსი. ილიას შეუქია. ვიღაცას უთქვამს, მწერლობას აპირებსო. „მაშინ მწერლობა აზრადაც არ მქონია“, – იგონებს მიხეილ ჯავახიშვილი. 1907 წელს კი ილიას სისხლით მოსვრილ ბალიშზეც ედო თავი. სწორედ მაშინ მიიღო ალბათ მისტიკური ნათლობა – ტანჯვით გზის გავლისა და ჯვარცმისათვის. მის საარქივო ჩანაწერებში ერთი ასეთი სამომავლო თემაა მონიშნული: „ბნელ ღამეს მამადავითის სასაფლაოზე ავედი. ლანდი მომეჩვენა, ილია ჭავჭავაძე გაცოცხლებულიყო. წამომყვა. საქართველო დავატარე. ყველაფერი ნახა. მესაუბრა“.

უცხო კალთას შეფარებული, უპატრონოდ მიგდებული, გაუქმებული ტაძარივით მივიწყებული, გაპარტახებული მამულის ბედი იყო მწერლის მთავარი საფიქრალი.

უბის წიგნაკში ჩაუწერია: „ჩვენი ეპოქა – რევოლუცია ჩემთვის საშინელი ტრაგედიაა, ვინაიდან ჩემს თვალწინ კვდება ძველი ქვეყანა – დედა, ზოგისათვის კი ეს უზენაესი სიხარულია, ვინაიდან იბადება შვილი – ახალი ქვეყანა. ამიტომ არის მგლოვიარედ გუშინდელი პოეტი, ამიტომ ხარხარებს დღევანდელი ჭაბუკი კომკავშირელიც. სჯობდა, სჯობდა უფრო ადრე გავჩენილიყავი, ან უფრო გვიან“.

მიხეილ ჯავახიშვილმა პოლიტიკას თავი მიანება, უფრო ზუსტად, ბრძოლის ფორმა შეცვალა, წინააღმდეგობის გზის ძიება დაიწყო და სწორედ ეს აისახა მის მოთხრობებსა და რომანებში, მათ შორის, უპირველესად „ჯაყოს ხიზნებში“. ეს რომანი ერთგვარი თვითგამოტირებაც იყო – თვითდასჯა იმის გამო, რომ ვერაფერი მოახერხა, ვერაფერი გააწყო და ერი მგელს შეატოვა ხელში.

ქეთევან ჯავახიშვილი იგონებს, რომ „ჯაყოს ხიზნების“ მე-2 გამოცემის ყდაზე დახატული იყო ორი ძაღლი, რომლებიც ყმუოდნენ. როცა მწერლისათვის ამის შესახებ უკითხავთ, მას მხოლოდ ეს უთქვამს: „მარგო ელის თავის გათავისუფლებას და ყმუილი იმას ნიშნავს“. უბის წიგნაკში კი ჩაუწერია: „ჯაყოს ხიზნები“ დამაწერინა მომავალმა ქვეყანამო.

მარგოს გათავისუფლების მოლოდინი კი ცხადად და გამჭვირვალედ გულისხმობს როგორც საქართველოს, ასევე, საზოგადოდ, სინათლისა და სი-

წმინდის გათავისუფლებას, უმაღლესი სამსჯავროს იმედს, „ბედი მდევრის“ ნების აღსრულებას.

„ჯაყოს ხიზნებმა“ გამოქვეყნებისთანავე (დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ 1924 წელს) ყურადღება მიიქცია და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ჭარბობდა იმგვარი კრიტიკული წერილები, რომლებშიც მწერალს ბრალს სდებდნენ ინტელიგენციის შეურაცხყოფასა და არაობიექტურობაში. მწერალზე თავდასხმებით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ იდეოლოგიზებული პროლეტარი მწერლები.

1925 წ. 17 მაისს რუსთაველის თეატრში „ჯაყოს ხიზნების“ გმირების გასამართლებაც კი მოეწყო. ამის თაობაზე ხელმოუწერლად გამოქვეყნდა წერილი (ანონიმი ავტორი სერგო კლდიაშვილი იყო). ნიკა აგიაშვილი იგონებს: „დისპუტს დავესწარი. საზოგადოება აღშფოთებული იყო რომანით. ერთმა უთხრა მიხეილს: რაღა ოსი დაგვასვი თავზეო. მიხეილი ადგა და უპასუხა: „ჯაყოს ხიზნები“ საბჭოთა სინამდვილემ დამაწერინაო. მაშინ ყველა გაჩუმდა“.

მიხეილ ჯავახიშვილის არქივში შემონახულია ამ დროის გამოქვეყნებული ზოგიერთი წერილი ჩანაწერებით. ვ. ხუროძის (1924 წ. №5,6. „მნათობი“) ვრცელი წერილის იმ ადგილას, სადაც წერია, რომ ჯაყოს მსგავსი ტიპი შემთხვევითიაო, მიხეილ ჯავახიშვილს მოუნიშნავს: „კომუნისტური გაზეთებიც კი სავსეა ჯაყოსებური ტიპებით და ამბებით“. ხოლო სადაც ეწერა, რომ მწერალი აღტაცებულია ჯაყოთი, მინაწერია: „ეგრე რამ გაგასულელა?“

ასეთი გასულელება კი, სამწუხაროდ, დიდხანს გაგრძელდა. ყველასათვის ცნობილია 1979 წ. გამართული სატელევიზიო დისკუსია თემურ ჩხეიძის მიერ დადგმული „ჯაყოს ხიზნების“ სატელევიზიო სპექტაკლის გამო. საზოგადოების ერთი ნაწილი ისევ აღშფოთდა, ისევ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. შიშველი მხილება და დაუნდობელი თვითკრიტიკა (სახარებისეული დირეს დანახვას რომ გულისხმობს საკუთარ თვალში) კვლავ მიუღებელი აღმოჩნდა.

მიხეილ ჯავახიშვილი წერდა: „ყოველნაირი კრიტიკა კარგია, გარდა უჭკუო კრიტიკისა. სადა ცხოვრობთ, ამხანაგო! ვინ მომცა ნება, რომ დღევანდელი ყოფა-ცხოვრება ისე ავწერო, როგორც ვხედავ და მესმის?“

ამის ნებას ის მაინც თვითნებურად გამოითხოვდა და მხატვრული სიტყვის სამოსელში ოსტატურად გახვეულ „ტყვიას“ მტერს შიგ გულში ახვედრებდა.

მინაწერებში ვკითხულობთ, რომ თეიმურაზი „რევოლუციის საქაჯავის ქვეშ გაჩანჩურდა“, რომ „რევოლუციამ თეიმურაზისთანანი ჯაყოზე გაცვალა“.

ი.გომართელის წერილის (1925 წ. ჟურნალი „ახალი გზა“; №17) იმ ადგილას, სადაც წერია: „ფსიქოლოგიის გაშუქებაში მიხეილ ჯავახიშვილი დიდი ხელოვანი და იშვიათი ოსტატია. ასეთი ანალიზი ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილის სულიერი ავადმყოფობისა ჯერ არავის მოუცია ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში“ – მწერალი შენიშნავს: „ავტორის გლოვა თეიმურაზის ბედისა არ გესმის?“

1926 წ. პარიზში გამომავალ გაზეთში „დამოუკიდებელი საქართველო“ დაიბეჭდა შ. ამირეჯიბის წერილი „ჯაყოს ხიზნების“ შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ: „მარგოს სახით ავტორმა ორიათასწლოვანი ქართული კულტურა ჯაყოს მიუგდო. დიახ! მაგრამ საქართველო იბრძვის! ვინ არის თეიმურაზი? თეიმურაზი მეტია, ვიდრე უბრალო ქართველი კაცი. ის ინტელიგენტია – ქვეყნის მარილი!“

მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ უმთავრესი ძარღვი ეროვნული სატკივარია. ეს პრობლემა რომანში ემყარება რთულ საზოგადოებრივ-სოციალურსა და ფსიქოლოგიურ კანონზომიერებას. მათი თვალმიდევნება და გაცნობიერება ცოდნა-გამოცდილებას ემყარება. რომანში წარმოჩენილია ადამიანის ფსიქიკის უღრმესი შრეები, რომელთა გაანალიზება ტექსტის მხატვრული სისტემის ცალკეული ელემენტის სიმბოლურ გააზრებას გულისხმობს.

მიხეილ ჯავახიშვილი იცნობდა მსოფლიო ისტორიას და ქართული კულტურის მნიშვნელობა სწორედ ამ კონტექსტში ჰქონდა გააზრებული. იგი ხედავდა, რომ რევოლუციის შემდეგ საქართველოში უფრო მეტი იყო წარსულზე გლოვა, ვიდრე მომავალზე ფიქრი. უპირველესად კი, ინტელიგენციის წრეში გაჩნდა ქართველი ხალხისა და სამშობლოს არარაობის, ბერწობისა და უბადრუკობის განცდა. ცხადია, თავისუფლების დაკარგვა ერის სწორედ ამ ნაწილმა განიცადა ყველაზე მტკივნეულად. ბევრი უცხოეთში გადაიხვენა.

ერის მომავალ ბედში დაეჭვებულობას მწერალი სულიერი მოშლილობის, დაავადების მიზეზად მიიჩნევდა. „ამ სენს ჰქვია ნებისყოფის აბულია. ჰგდია ჯანსაღი ვაჟკაცი და თითსაც ვეღარ იქნევს, ჰგდია და ელოდება სიკვდილს, ზოგჯერ კი მოლოდინის უნარიც აღარ აქვს. ნირვანა, არარაობა, სრული გარინდება, სამუდამო დასვენება – აი, მისი ერთადერთი საზრუნავი“. რა დაემართა ამ ადამიანს? – კითხულობს მწერალი და თვითონ პასუხობს: „თავისი თავის რწმენა დაეკარგა, სიცოცხლის უნარი დაუჩლუნგდა. ნებისყოფა გამოეცალა. ფსიქოპათოლოგია კარგად იცნობს ამ სენს – ზოგჯერ მასიურს და მუდამ სახიფათოს, ამავე კანონს ემორჩილება ხალხიც ან მისი რომელიმე ნაწილი“ (მ. ჯავახიშვილი „მასალები ლექციისათვის“).

სწორედ ასეთი ტიპი დაგვიხატა მწერალმა თეიმურაზ ხევისთავის სახით. იგი კერძო, კონკრეტული ადამიანის სახეცაა და, იმავდროულად, სიმბოლურიც. ხიზნობა კი უნებობაა, ტყვეობაა, საკუთარ უფლებებზე უარის თქმაა, თავისუფალი არჩევნის ღვთით მომადლებული ნიჭის დაკარგვაა, უსასოობაა, ეშმაკისკენ მიდრეკა და მასთან უნებური გარიგებაა, ღვთის გზიდან აცდენაა... ამიტომაც რომანი შეიძლება რამდენიმე ასპექტით გავიაზროთ და მთავარი გმირის სახეში სხვადასხვა სიღრმის სააზროვნო შრეები მოვინიშნოთ:

თეიმურაზის, როგორც კერძო კაცის ბედი კონკრეტულ საზოგადოებაში;

თეიმურაზის, როგორც ერის გარკვეული ისტორიულ-კულტურული რაგვარობის, არსებობის პრობლემა;

თეიმურაზის, როგორც საზოგადო, უნივერსალური ადამიანის, სულიერი სამყაროს კანონზომიერებანის გარკვევა და შემეცნება. ამ შემთხვევაში, „გარეთ" დატრიალებული დრამა არქეტიპულ საწყისებს (სულიერი, მშვინვიერი, ხორციელი) შორის კონფლიქტად გავიაზროთ. ამგვარად, თეიმურაზიც, მარგოცა და ჯაყოც პერსონიფიცირებულ ვნებებად წარმოდგებიან, რომელთა საშუალებით მწერალი თვითშემეცნებას მიესწრაფვის, რათა ამ გზით სამყაროს ჭეშმარიტებას ეზიაროს.

რომანის ბოლო ეპიზოდში სიტყვები: „ვნახე, განვიცადე, მწამდა, ვსტიროდი" – ცხოვრების ფორმულად მოჩანს და არა მხოლოდ რომანის პერსონაჟთა, არამედ საზოგადოდ ადამიანურ გამოცდილებად აღიქმება (აქ ირეკლება „ეკლესიასტეს", აღმოსავლური და დასავლური ფილოსოფიის გამოძახილი).

რომანი თეიმურაზ ხევისთავის ჯაყოსთან შეხვედრით იწყება და ამას მოჰყვება დიდი გამოცდა – ტანჯვა-წამებით აღსავსე. ეს თვითონ ცხოვრებაა – წუთისოფელი – თავისი ულმობელი კანონებით, ამიტომაც ჭარბობს რომანში ბნელი ფერები. რომანტიკული და ამაღლებული აქ თითქმის არ არის, რადგან არც უმწიკვლობა და უმანკოებაა, რომელმაც სინათლე უნდა დაბადოს. რომანში ადამიანის დაცემა, მისი გულიდან სასუფევლის განდევნა და ჯოჯოხეთის დამკვიდრება ნიუანსური სიზუსტითაა წარმოდგენილი. სწორედ ეს ნიუანსები ამხელს მიხეილ ჯავახიშვილის მწერლურ ოსტატობას, რომლის გზითაც მან მკითხველს ადამიანის სულის უჩინარი უფსკრულების მოხილვის საშუალება მისცა. რომანი ლოცვით მთავრდება – მწყემსი უცილობლად იპოვის თავის დაკარგულ, გზააბნეულ ცხვარს, ოღონდაც ლოცვის ძალას ნუ დაკარგავს ბნელიდან სინათლის მხმობელი („აჩრდილისა" და „თორნიკე ერისთვის" ბოლოს ლოცვებსაც იგივე მხატვრული ფუნქცია ენიჭებათ).

ცხოვრების ხიზნობა (სამოთხიდან გამოდევნა) გარდაუვალია, როგორც უფლის ნებით დაშვებული გამოცდა (ტანჯვის გზით სულის გამოსაწრთობად), მაგრამ მისგან თავდახსნა ადამიანის თავისუფალი ნების არჩევანია. მწერალს სურს, რომ მკითხველმა დაიჯეროს – თეიმურაზი ამ არჩევანს გააკეთებს.

ზნეობრივი დაცემისა და არარაობად ქცევის პროცესში რწმენის დაკარგვის უდიდეს მნიშვნელობას კარგად იცნობს ქართული ლიტერატურული ტრადიცია. მიხეილ ჯავახიშვილი რომანში წარმოაჩენს, თუ როგორ შლის და ანგრევს ადამიანის მთლიანობას, სიმტკიცესა და ნებას ურწმუნოება. ძველი და ახალი აღთქმიდან მოყვანილი ციტატები (ლოცვები, იგავები, მცნებები) ადამიანის ღვთისკენ მისწრაფებას ამხელენ. მწერალი მიგვადევნინებს თვალს, თუ რა ცვლილებებს იწვევს რწმენა კაცში, როგორ განწმენდს და აამაღლებს. თეიმურაზისთვის რწმენის განახლება „ამოძრავების" წყარო გახდა (თუმცა, მისი „საქმე" წარმოსახვას არ გასცილდა, მაგრამ მოვლენების საღი შეფასების უნარი მიანიჭა). ბიბლიიდან მოყვანილი ყოველი იგავი თუ სტრიქონი გმირის გარკვეული სულიერი მდგომარეობის რაგვარობის გამოხატველია.

რომანში ჩართულია თეიმურაზსა და ივანეს შორის გამართული ვრცელი სჯა-ბაასი, რომელიც პუბლიცისტური სიმძაფრით წარმოაჩენს თეიმურაზის სინდისის – „მამხილებელი გონების“ – შემოტევას, რომლის ნათელში შემოიჭრება თვითკრიტიკისა და თვითდასჯის მამხილებელი პათოსი.

მიხეილ ჯავახიშვილისათვის არა მხოლოდ საზოგადოება, არამედ, უპირველესად, ადამიანი არის მრავალი „მე“-სგან შემდგარი არსება, ამ სხვადასხვა, ხშირად რადიკალურად განსხვავებულ მე-ს შორის მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიმდინარეობს ჭიდილი. ზოგი „მე“ დათრგუნულია, ზოგი გალაღებული... თავის დროზე ფროიდისა და იუნგის ფსიქოანალიზის თეორიებმა დიდი გარდატეხა მოახდინეს ადამიანის შინაგანი სამყაროს შესწავლის საქმეში. მიხეილ ჯავახიშვილმა იცის, რომ ყოველი ადამიანის ბუნებას, ხასიათს, ქცევას განაპირობებს არა მხოლოდ აღზრდა-განათლება თუ საზოგადოებრივი მდგომარეობა, არამედ სისხლი, რომელიც თაობების ცოდვა-მადლის მატარებელია, საზოგადოდ, გენები და ის არქეტიპები, რომელთა გაცნობიერება ადამიანის ფიქრისა და მოქმედების მოტივაციებს ხსნის.

მიხეილ ჯავახიშვილმა იცოდა, რომ სულიერი მოდუნება გადამდები სენივით იყო და იოლად ედებოდა ხალხის მჩატე ნაწილს. „ბიოლოგიური მოდუნება და სულიერ-პოტენციალური გაბერწება“ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაემართებოდა ერს, თუ იგი თავის რწმენას დაკარგავდა. აქ იგი კვლავ ილია ჭავჭავაძეს „ხვდება“, რომლისთვისაც მოძრაობა იყო სიცოცხლის არსი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, – ამის მიღწევა მხოლოდ მოძრაობით შეიძლება. „ჯაყოს ხიზნების“ პათოსიც – მოძრაობაა. მწერალი სახარებასაც „ეყრდნობა“, რომელიც ტალანტის გამრავლების აუცილებლობას ქადაგებდა ღვთის წყალობის მისაღებად.

მიხეილ ჯავახიშვილი ამ რომანში ქართული ლიტერატურული ტრადიციების საუკეთესო გამგრძელებლად გვევლინება. იმავდროულად, მან საკუთარი გულისა და გონების ქურაში „გადაადნო“ მოპასანის, იბსენისა და ფლობერის გამოცდილება. იგი სრულყოფილად ფლობს რომანის ხელოვნებას, იცის კომპოზიციის საიდუმლოებანი და მიგნებული აქვს თხრობის ის რიტმი, რომელიც მთავარი სათქმელის ირგვლივ შემოიკრებს მკითხველის ყურადღებას.

მიხეილ ჯავახიშვილი რეალისტია, მაგრამ მისი რეალიზმი განსხვავდება კლასიკურისაგან. როგორც თვითონ ახსნა მოგვიანებით (1927 წელს, როდესაც „არიფიონის“ ლიტერატურული ჯგუფი ჩამოაყალიბა), ეს იყო ნეორეალიზმი, რომელსაც თვითონ მწერალი ასე განმარტავდა: „ნეორეალიზმს საფუძვლად უდევს იგივე კლასიკური რეალიზმი შემდეგი განმეორებით, დამატებითა და განმარტებებით:

შესწავლა მახლობელ და შორეულ კულტურათა წარსულისა და მისი მხატვრული გამოყენება დღევანდელი ადამიანის გემოვნების მიხედვით.

განუკვეთელი კულტურული მთლიანობა წარსულისა, აწმყოსი და მომავლისა.

შენახვა ჯანსაღი ტრადიციებისა და დაცვა თანამიმდევრობის პრინციპისა.

ხელოვნება ჩვენთვის, ადამიანისათვის, ხალხისათვის.

კულტურა ადამიანისა და ადამიანებისა.

შედუღებული მართალი მშვენიერება და მშვენიერი სიმართლე (ორივე ერთია), ფორმა და შინაარსი (განუყრელია). „ვიცი“ და „არ ვიცი“, ნამდვილი და უჩინარი (პირველი მრავალჯერ სჭარბობს მეორეს).

ნათელობა, მარტივობა, ზომიერება, გულწრფელობა, მთლიანობა.

შეგრძნება და შეგნება ახალი ეპოქის სულისა და მისი მხატვრული ასახვა: ახალი ადამიანი, ახალი სტილი, ხერხები, კომპოზიცია, რითმი, ჰანგი, თემა, თვალი, ლექსიკონი.

მკაცრი დაცვა ქართული ენის ბუნებისა და ლექსიკონისა გადაგვარებისა და ამღვრევისაგან. ბეჯითი შრომა ენის გამდიდრებისათვის და გახალისებისათვის არსებულის სრული გამოყენებით და ახალს ფრთხილი შემოშვებით“.

ნეორეალიზმის აქ ჩამოყალიბებული პრინციპებით არის დაწერილი „ჯაყოს ხიზნები“. ეს იყო, მართლაც, ახალი, ძველისაგან განსხვავებული რეალიზმი, რომელიც გულისხმობდა უპირატესად ეპოქის სულის შეგრძნებას, „მართალი მშვენიერებისა“ და „მშვენიერი სიმართლის“ შერწყმას და რეალურთან ერთად უჩინარის ასახვასაც.

ტექსტის სინათლე, ზომიერება, გულწრფელობა, სიმარტივე და მთლიანობა კი მართლაც გამოარჩევს ამ რომანს.

მიხეილ ჯავახიშვილი შემოქმედებას „გონებისა და გუმანის“ გაუგებარ, იდუმალ შეზავებად მიიჩნევდა. მწერლისათვის კი აუცილებლობად მიაჩნდა ნიჭი, დაკვირვების უნარი, ცოდნა და შრომა. ეს თვისებები მან საქართველოს, როგორც ერთიანი მატერიალურ-სოციალური სუბსტანციის, დახატვაში გამოიყენა.

თეიმურაზის სულიერი დაცემა-გაპარტახებით მწერალი გვიჩვენებს ერის სასიცოცხლო ენერგიის დაშრეტას ახალი, საბჭოური რეჟიმის პირობებში.

მიხეილ ჯავახიშვილი წერდა: „ჩვენი წარსული ზოგჯერ მართლა საზარელია. იგი სავსეა შავი ფურცლებით, საზღაპრო საზიზღრობებით. ყოველნაირი ლენცოფა და შხამიანი ბალახი უხვად არის დაბნეული ჩვენს გზაზე. ურთიერთის ჭამა და მუხანათობა, ღალატი და მზაკვრობა, „ყიყვი და ეშმაკი“. მაგრამ ამის გამო ჩვენი წარსულისა და საკუთარი თავის დაფასების დროს საღი მსჯელობის უნარს ნუ დავკარგავთ და უკიდურესობაში ნუ გადავვარდებით. გავიხსენოთ და დავიმახსოვროთ ბუნების ერთი კანონი, რომელსაც ვერავინ გაექცევა: დავრდომილის, დამარცხებულის სხეულში და ტანზედაც მუდამ ჩნდება ათასნაირი შხამიანი ბაცილა, მუწუკი და ჭირი. ჩვენი შინაური რღვევა და აღრევაც, მზაკვრობა და მუხანათობაც, „ყიყვი და ეშმაკიც“ მუდამ შედეგი იყო ჩვენი დამარცხებისა გარეშე მტრისაგან. ძარღვგადაჭრილი, იმედდაკარგული და გამწარებული ორგანიზმი იწყებს საკუთარივე თავის ღრღნას და ჭამას. ამიტომაც მოსდევდა ხოლმე ჩვენს დამარცხებას ანარქია, შიმშილი, ეპიდემია, ზნეობრივი გახრწნა, განდგომა, კონდოტიერობა და დაშლა პროვინციებად... მომეცით ხელში ანგელოზი

და, თუ ყოველივე ვიკადრე, ეშმაკად გადავაქცევ. შემდეგ გაათავისუფლეთ – ისევ ანგელოზად გადაიქცევა, რადგან მისი ბუნება და ხასიათი უცვლელია... ჩვენც ისეთივე ადამიანები ვართ, როგორიც სხვები – ყველანი და ჩვენ გვყავს (თუ გვაქვს) ეშმაკიც და ანგელოზიც. ცალთვალა მხოლოდ ერთ-ერთს ხედავს: ან მარტო ანგელოზს (რომანტიზმი), ან მხოლოდ ეშმაკს (ნიჰილიზმი, პესიმიზმი). ორთვალა კი ყოველი ხალხის ხასიათსა და ისტორიაში ადვილად აღმოაჩენს ორივეს. არ არსებობს ტომი, რომ თავისი გენიალობა (ანგელოზი) არ ჰქონდეს, და ყველა ხალხში ვპოულობთ გენიალობის ელემენტებს... საჭიროა სიმართლის აღდგენა, ანგელოზის მოძებნა და პოვნა, თორემ არ ძალუძს უანგელოზოდ ცხოვრება და განვითარება არც ცალკეულ პიროვნებას, არც ეროვნებას, არც რომელიმე მის ნაწილს. ბუნებაში ცარიელი ადგილი არ არსებობს, ამიტომ ვინც (ერმა თუ პიროვნებამ) თავისი გულიდან ანგელოზი განდევნა ან დაჰკარგა, მან განთავისუფლებული ალაგიც ყიყვსა და ეშმაკს დაუთმო. ხოლო ვისაც მარტო ეშმაკი დარჩა, თვითონაც გაეშმაკდა – გონებითაც, სისხლითაც და სულითაც... მხოლოდ რწმენა და განვითარებული გონება ანსხვავებს მეტყველ ადამიანს ურწმუნო პირუტყვისაგან. სულის ურწმუნოებას ისევ სატანიზმი სჯობია... ურწმუნოებას ფეხდაფეხ მოსდევს სკეპსისი და ცინიზმი, გარინდება და ნირვანა, ნებისყოფის აბულია და სიკვდილი, ან უფრო უარესიც – ზნეობრივი გახრწნა, ეროვნულ-ფიზიკური დეგენერაცია, ასნაირი ბოროტება, ავაზაკობა და ისევ უსახელო სიკვდილი“ (მიხეილ ჯავახიშვილი „მასალები ლექციისათვის“).

ვფიქრობთ, მიხეილ ჯავახიშვილის ამ ვრცლად მოყვანილი წერილის ფრაგმენტში ირეკლება თეიმურაზის ტრაგედიის არსი.

„ვიღუპებით!“ – ჰკივის ხევისთავი და სასონარკვეთილი უიმედობით იხრჩობა. მისი პესიმიზმი გადადის შავ მელანქოლიაში, ხოლო ასეთი გულის ნაღველი, ლოგიკურად განვითარებული, იქამდე მიდის, რომ ხევისთავი ქართველობას თაკილობს და ბედს შესჩივის – რატომ ინგლისელად, ფრანგად ან გერმანელად არ გამაჩინეო?“ (ციტატა მიხეილ ჯავახიშვილის წერილიდან „მასალები ლექციისათვის“)

რომანში თეიმურაზ ხევისთავის თანდათანობით განძარცვა ხორციელი და სულიერი პატივისაგან (მატერიალური ქონება, ღირსება, სახელი, თავმოყვარეობა) შიშვლად და მწერლის თანაგრძნობის გარეშეა დახატული. ეს არის არა მხოლოდ ხილული, არამედ დაფარული ცოდვების გაჩხრეკა და სააშკარაოზე გამოტანა.

მიხეილ ჯავახიშვილი წერილში „მოპასანი და მისი ცხოვრება“ წერდა: „ძალიან ხშირად მოპასანი ისე არხეინად, ისეთის ღიმილითა და განდგომით გვისურათებს გულის ასამღვრევსა და პირუტყვულ ამბავს, რომ გულუბრყვილო მკითხველს ჰგონია, ავტორს მოსწონს ეს ამბავი, ეხალისება მისი ჩვენება და უდროოდ და უადგილოდ ოხუნჯობსო, ნამდვილად კი გულგრილი ირონიის ქურქში ოხვრა და სევდა აქვს გახვეული“. სწორედ ასეთი მწერალია თვითონ მიხეილ ჯავახიშვილი და „ჯაყოს ხიზნების“ მოჩვენებითი გულგრილი ირონიის ქვეშ ოხვრა, სევდა და ცრემლები მოუჩანს.

***

„ჯაყოს ხიზნების“ სიუჟეტი მარტივია, ამბავი სამი გმირის გარშემო ტრიალებს. თხრობა დინამიკურია და არსად არ მდორდება. თვით ვრცელი დიალოგებიც კი არ ანელებენ რიტმს, რაც იმით მიიღწევა, რომ გამუდმებული ცვალებადობა ხდება „ფსიქოლოგიური რიტმისა“, რაც კონტრასტულ განწყობილებათა ურთიერთშენაცვლებას ექვემდებარება.

მწერალი ხატავს ცხოვრებას, ეპოქის სულს და ადამიანთა ბედს. მან იცის, რომ ადამიანის ყოველი გარეგანი მოქმედება (ქცევა, ჟესტ-მიმიკა, სიტყვა-პასუხი) სულიერ, უხილავ მოძრაობებს ემყარება, ამიტომაც გულდასმით ჩაჰკირკიტებს ყოველი ფიქრის ფესვებს, ჩხრეკს და აანალიზებს.

მხატვრული ნაწარმოების დასაწყისს მწერალი უდიდეს ყურადღებას აქცევდა. მისი აზრით, „ყველაზე უფრო ძნელი მოთხრობის დაწყებაა. დასაწყისი მთელ მოთხრობას აძლევს რიტმს, კოლორიტს, სტილს. უნდილად დაწყებული ამბავი უნდილადვე წავა. ძნელია შემდეგში ცეცხლის გაღვივება. სტილისა და რიტმის შეცვლა ძნელიც არის და სახიფათოც, ამიტომ დიდხანს ვეძებ ხოლმე დასაწყისს“.

„ჯაყოს ხიზნების“ დასაწყისს ბიძგი მისცა ერთმა ანეკდოტმა, რომელიც ინჟინერ ფიდო ყაზბეგს უამბნია ჯავახიშვილისთვის.

მწერალი წერილში „როგორ ვმუშაობ“ იგონებს:

„ნაყმევმა თავის კნეინას ძღვენი მიართვა:

– გამარჯვება, ჯაყო!

– კნეინას ვახლავარ.

– რასა იქმ, როგორა ხარ?

– ძალიან კარგად ბრძანდები, შენი წირი მე.

– ცოლ-შვილი როგორა გყავს?

– სულ კარგათა ხარ, გენაცვალე.

– რამდენი შვილი გყავს, ჯაყო?

– თორმეტი გყავს, გენაცვალე მაგ თვალებშია.

– როგორ მოახერხე მაგდენი, ჯაყო?

– მაშა, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა! – მიუგო ნაყმევმა.

უკანასკნელ სამ სიტყვაში ამაზე უფრო მწვავე პილპილი ეყარა. ანეკდოტი ჩემს ხსოვნაში ხუთიოდე წუთზე მეტს ვერ სძლებს, მაგრამ ამ უწმაწურ ანეკდოტს ჯაველი ოსი ჩაეხლართა (დიდი ხნის წინათ მიხეილ ჯავახიშვილს ჯავის ხეობაში უცნაური ვინმე შეხვედრია – ბრგე, ბანჯგვლიანი, ცბიერი, ხარბი, ამავე დროს, მარდი და მოხერხებული – ავტ.) და ამ სახემ ჩემი ხსოვნის ერთ-ერთ კუნჭულში დაიბუდა. კიდევ გავიდა ათიოდე წელიწადი და იგი მოულოდნელად გაცოცხლდა, გაშიშვლდა და თვალწინ წამომეჭრა. აი, ზოგჯერ რა უცნაურად იბადება ტიპი“.

***

მთელი რომანი წარმოდგება, როგორც ერთი დიდი ასპარეზი ბრძოლისა. ერთი მხრივ, დგას ჯაყო, რომელიც „მხოლოდ მეათე თაობა თუ იქნება

მაიმუნისა, პიტეკანტროპოსის მინამგვანი, პირუტყვივით ბნელი და უმეცარი, მიუვალ მთებსა და უღრან ტყეში გაზრდილი. იგი ბნელი ხეობიდან გამოვარდნილი ველურია, რომელმაც პირველად მხოლოდ ათი წლის წინათ დაინახა კრამიტი და დანა-ჩანგალი, საათი და სურათი, საყელო და ცხვირსახოცი". მეორე მხრივ, თეიმურაზი – „განათლებული, ტვინდიდა, ჭკვიანი, ჯიშიანი, ათიოდე საუკუნის განმავლობაში ბამბა-ფარჩაში ნაზარდი, ნატიფი, ნამუშევარი, ნათელი და დაფერილი".

თეიმურაზს ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ ღირსეულად და დაუმორჩილებლად განვლოს ცხოვრება, მაგრამ ყველაფერს კარგავს და ნადირკაცის მონა ხდება. მკითხველისათვის მტკივნეულია თეიმურაზის მიერ უკან გადადგმული ყოველი ნაბიჯი, თანაგრძნობა და თანალმობა თანდათან ჯერ სიბრალულში, ხოლო შემდეგ ზიზღში გადაიზრდება.

რომანი რთულია და გარეგან ეფექტებს მოკლებული. იმდენად მიზანმიმართულია მწერლის თითოეული ნაბიჯი, რომ არც თვითონ იხედება განზე და არც მკითხველს აძლევს ამოსუნთქვის საშუალებას. აქ ყოველ დეტალს და მის გულდასმით ანალიზს რომანში წარმოდგენილი პრობლემების სრულყოფილი შემეცნებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მიუხედავად პერსონაჟთა სიმცირისა, რომანი მთელ ცხოვრებას მოიცავს.

რომანში ცხოვრება ხელისგულზეა თითქოს გადმოშლილი. მწერლისთვის არაფერია ყოველდღიურობაში უმნიშვნელო. ადამიანის გადადგმულ ყოველ ნაბიჯს, ნაფიქრს თავისი გამოძახილი აქვს. აქ ხშირად გამადიდებელი შუშით არის წარმოჩენილი თვალისთვის უხილავი მოძრაობები. მწერლის გამახვილებული ხედვა, სმენა გულისა ყველაფერს ამჩნევს, უმსგავსსა და სამარცხვინოსაც დაწვრილებით აღწერს და არაფერს არ ალამაზებს, არ ჩქმალავს.

რომანის საერთო ფონი ბნელია. აქ არ ჩანან ძლიერი ნების ადამიანები, თავისუფლებისათვის სიცოცხლის შეწირვა რომ შეუძლიათ. მწერალს მკითხველის გამოფხიზლება სურს და არა მისი მოდუნება.

აკაკი ბაქრაძემ წერილში „მოუხმარელი ანუ ტრაგიკული თავისუფლება" ზუსტად და ნათლად წარმოაჩინა რომანის უპირველესი საკითხები. მისი აზრით, ჯაყოს თავგადასავალში მიხეილ ჯავახიშვილმა ჯაყოობის, როგორც გარკვეული მოვლენის, არსი ახსნა და მისი ყველა ნიშანი გვიჩვენა. ჯაყოობა გულისხმობს: უპრინციპობას, ძალადობას, უღირსობას, მოქნილობასა და გაიძვერობას, მოჩვენებითობას, ხალხის სახელით ლაპარაკს, ნიღბოსნობას, სხვის დაუნდობელ ყვლეფას, სხვისი ქონების თავხედურად დაპატრონებას, უმადურობას, უმეცრებას, უკანონობას.

ნაკაცარი

ეს სიტყვა საუკეთესოდ გამოხატავს მწერლის დამოკიდებულებას თეიმურაზისადმი. იგი იტევს სიბრალულსაც, თანაგრძნობასაც, იმავდროულად, ერთგვარ ზიზღსა და სიძულვილსაც. კაცობა გულისხმობს ღვთის

მიერ ადამიანის გულში ანთებული ცეცხლის გამუდმებით აღორძინებას. როცა ავთანდილი ეტყვის ასმათს, ნუ გეშინია – „კაცი ვარ, ადამიანი“, ამით ხაზს უსვამს ქალის უსაფრთხოებას. ილია წუხდა, რომ ქართველობას კაცობა ჰქონდა დაკარგული, ამიტომ უწოდა თავის ცნობილ მოთხრობას „კაცია-ადამიანი?!“ ლუარსაბის სახით ხომ ღვთის ხატებადაკარგული ადამიანის სახე წარმოგვიდგინა.

ზემოთ ვახსენეთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული ტრადიციების გამგრძელებელია. „ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟები ისეთივე გროტესკულობით არიან დახატულნი, როგორც ილიას ლუარსაბი, დარეჯანი და სხვანი.

ნაკაცარობის თემა მიხეილ ჯავახიშვილამდეც იყო ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ ისე მძაფრად და საგანგაშოდ, როგორც „ჯაყოს ხიზნებშია“, მანამდე არ გვხვდება.

ზემოთ ჩვენ თეიმურაზის სახით სიმბოლურობაზე ვისაუბრეთ. ახლა თვალი მივადევნოთ მას, როგორც კონკრეტულ ადამიანს.

რწმენა

მწერალი გვიხატავს, თუ როგორ ებრძვის ერთმანეთს თეიმურაზის გული და გონება. გული ცარიელი ჰქონდა, ბნელი ღამით ამოვსებული. როცა მიხვდა, რომ „ურწმუნო სულის ტარება და ცარიელი გულით სიარული აღარ შეეძლო“, სახარება გაიხსენა. იგი ერთგვარ ნუგეშს პოულობს. მისი ყურადღება მიიქცია წიგნის არშიაზე წაწერილმა ფსალმუნის სტრიქონებმა: „განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ზედა იყარეს წილი“ და „ჰსაჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდე მებრძოლთა მათ ჩემთა“. ეს ერთგვარად ანუგეშებს, რადგან ამგვარად თითქოს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა მოიხსნა. იგი თავს აჯერებს, რომ მან კისრად აიღო სასჯელი ყველას ნაცვლად და რომ ღმერთი დაიფარავდა. რწმენამ გონება გაუნათა, თითქოს გარდაქმნა კიდეც, მაგრამ ფესვები ვერ გაიდგა ღვთის სიტყვამ მის გულში და ეკალ-ბარდებში დათესილი თესლივით მოიშთო.

„მამაო ჩვენომ“ თეიმურაზს სიმშვიდე მოჰგვარა. შეგონებამ „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ“ – გულს მოუფონა, მაგრამ თითქოს გაპასიურდა კიდეც. მარგალიტის დამთრგუნველ „ღორს“ პასუხი არ მოსთხოვა, არ ამხილა.

მარტო დარჩენილი თეიმურაზი სანუგეშებლად ცხრა ნეტარებას მიმართავს, მაგრამ სინამდვილეში იგი არ არის „სულით გლახაკი“, რომელსაც სასუფეველი მიეცემა, არც „სულით მგლოვიარეა“, არც მშვიდია... „სულის მგლოვიარება“, „სიგლახაკე“ და „სიმშვიდე“ ურყევ რწმენას გულისხმობს, რომელიც თეიმურაზს არა აქვს. მისი „მოშხამული სული“ ვეღარ სწვდება ღვთიურ სიბრძნეს.

თეიმურაზი წუხს, რომ უფლის სიტყვები აღარ ესმის. იგი შეჰღაღადებს უფალს: „რომელნი ვართ ღირსნი შენის სიყვარულისა ცათა შინა? ალ-

ბათ, არც ერთნი, რამეთუ ჩვენ არ ვირწმუნეთ სახელი შენი. ჰოი, უფალო, უზღურბლო არის მადლი შენი ცათა შინა, გარნა რად გვტანჯვიდე, ჩვენ უღირსთა მონათა შენთა, წმიდისა ამა ქვეყნისა“.

ხევისთავი აღიარებს, რომ „რწმენა დაჰკარგა“, მხოლოდ „თავისი თავის გამასხარავება დარჩა და უძირო მოთმინება“.

თეიმურაზი წუხს, რომ უფალმა არ ღირსყო მასთან მისვლად. როცა ივანემ ურჩია, შენ თვითონ ამაღლდი უფლამდეო, თეიმურაზმა უთხრა, რომ წიგნმა წარუტაცა რწმენის სული და მეცნიერებამ დააწყვიტა „უფლისამდე ასაფრენი ფრთები“. „ცოდვისა და იჭვის ჭიამ ისე დამიღრღნა და გამომიფიტა სული, რომ ნივთიერ ქვეყანას ერთი გოჯითაც ვერ მოვსწყდი“.

თეიმურაზი წუხს, რომ მან ცოდნა და რწმენა ვერ მოარიგა: „რწმენისა და ურწმუნოების ორლობეში გავიჩხირე და ვერც რწმენის სათავესთან გავედი, ვეღარც უკან დავბრუნდი“.

თეიმურაზი ყველაფერზე ხელჩაქნეული კაცია. მას აღარც ღვთის სიმართლისა სჯერა და აღარც ადამიანის სიკეთისა. მისი აზრით, ქვეყანას არ სცალია ბატკნებისათვის. „ღმერთი მხოლოდ ძლიერთათვის სცდილობს და მხოლოდ მათთვის ჰზრუნავს“.

თეიმურაზს გონება ურწმუნოებისაკენ მიუწევს, გული კი ღვთისაკენ და, ამგვარად, გახლეჩილი, გაორებულია. ამგვარი გაორებიდან ერთი ნაბიჯია ღვთისთვის ზურგის შექცევამდე. ცივილიზაციამ, მატერიალურ-ტექნიკურმა პროგრესმა ამგვარად დააავადა ადამიანის გონება, იქიდან ღვთის რწმენა განდევნა და ყველაფრის მეცნიერული ცდის გზით დამტკიცების ილუზია ჩაუნერგა. ამან ადამიანს საყრდენი გამოაცალა. იგი მარტო დარჩა თითქოს სამყაროში, რომელსაც ღვთის სახით „პატრონი“ კი არ ჰყავდა, არამედ ბრმად, ცალკეულ საგანთა თუ მოვლენათა კანონების შესაბამისად იმართებოდა.

თეიმურაზი იმდენად არის რწმენადაკარგული, რომ ივანეს ეუბნება, ღმერთი რომ არსებობდეს, განა ამ დღეში ჩავცვივდებოდითო. ამ შემთხვევაში, ხევისთავი უმეცარი გლეხივით სჯიდა, რომელიც ფიქრობდა, რომ ღმერთი რომ ყოფილიყო, მისი ყანა არ დაისეტყვებოდა. თეიმურაზი წუხს, რომ მის გულში ღვთის ნაცვლად „გველები და ბაყაყებია დაბუდებული“.

მას აღარც ჯოჯოხეთისა სწამს და აღარც სამოთხისა. მისთვის სიცოცხლე მასხრობად, ფარსად, ვიღაცის მიერ ცუდად დადგმულ სპექტაკლად გადაიქცა. „წარსულმა მომატყუა, აწმყო მაწამებს, მყობადი მაშინებს“, – გოდებს სასოწარკვეთილი.

კერიის იოლად დამთმობი

კერია ოჯახის არსებობის საფუძველია, მისი დათმობა, დაკარგვა, განადგურება სიცოცხლის შეწყვეტას მოასწავებს. თეიმურაზი იოლად, უბრძოლველად თმობს კერას და, ამგვარად, „თვითმკვლელობის“ საშინელ ცოდვას ჩადის. მართალია, იგი ფიზიკურად გადარჩენილია, მაგრამ სოციალურად მკვდარია.

თეიმურაზის მიერ ნაფუძარის ჯაყოსათვის იოლად დათმობა გლეხებსაც კი უკვირდათ. ისინი ცოცხალი თავით არავის დაუთმობდნენ, რადგან კერიის მოშლა სიცოცხლის ნებით აღკვეთაა.

იგი განსაკუთრებით უნდა გაფრთხილებოდა თავის ნაფუძარს, რადგან თავისი გვარის ერთადერთი და უკანასკნელი შთამომავალი იყო.

თეიმურაზი არც შთამომავლობით გადმოცემულ განძეულობას გაუფრთხილდა. ყოველი ნივთი ხომ სიმბოლურად კერიის ნაწილს წარმოადგენდა. თეიმურაზმა კი გაჭირვების გამო მარგოს სამკაული და თავიანთი ნიშნობის ბეჭედიც კი გაცვალა „დაშხამულ პურზე", ოჯახის ნგრევას მიჰყო ხელი და რიგრიგობით გაიტანა ბაზარზე ხალიჩები, როიალი, რბილი ავეჯი, თეთრეული, ფაიფური და ბროლის ჭურჭელი. ხოლო როცა ცხოვრებამ თეიმურაზს მიწამდე მოახრევინა კისერი და „ულმობლად დაჰკეცა", მოდრეკილმა მწიგნობარმა თავის წიგნებსაც ნაავლო ხელი, „იმ წიგნებს, რომლებიც თეიმურაზისათვის ღვიძლ შვილებს ედარებოდნენ და უფრო საჭირონი და ძვირფასნი იყვნენ, ვიდრე ავეჯეულობა, მამაპაპეული განძეულობა, მარგოს თვალ-მარგალიტი, ბროლი, ფაიფური და თეთრეული".

ხევისთავს იშვიათი წიგნების საუკეთესო კოლექცია ჰქონდა, წლობით ნაგროვები. „წიგნების გაყიდვის ჯერი რომ მოვიდა, თეიმურაზმა მხოლოდ მაშინ იგრძნო და გაიგო, რომ იგი კარგა ხანია შეუდგა თავის გოლგოთას, რომლის მწვერვალი, შავი ნისლით დახურული, ჯერ არც კი ჩანდა".

რატომ ვერ ჩერდება ახალჯვარდანერილი თეიმურაზი მამაპაპეულ კერაზე და რატომ მიუწევს ასე გული თბილისისაკენ?

იმიტომ, რომ აქ, ნაშინდარში, ნამდვილი ცხოვრებით ცხოვრობენ ადამიანები: თუნდ გაჭირვებით, ოფლის ღვრით, შრომით, მაგრამ ეს არის ნამდვილი ცხოვრება. არ შეიძლება მიწის მუშის ცხოვრება იყოს ყალბი, ფუტურო. მიწა არ აპატიებს კაცს სიყალბეს. თეიმურაზის მთელი მოღვაწეობა კი ფუჭია და არაფრის მაქნისი (შემდეგში თვითონ ჩასვამს ბრჭყალებში თეიმურაზი სიტყვა „მოღვაწეობას", „როცა თავის საქმიანობას, თავის წარსულს გადაავლებს თვალს). თეიმურაზის „მოღვაწეობა" „სიტყვებით ცურაობაა". ის არ იცნობს ნამდვილ ცხოვრებას, თავისი ავ-კარგით, და სწორედ მას გაურბის ქვეშეცნეულდ, როცა თბილისში მიიწევს. იქ კი მისნაირი ფუჭმესიტყვეებისთვის ფართო ასპარეზი გაშლილა: „გ...ggაზეთი. კოოპერატივი. ჩვენი საზოგადოება"...

ცოცხალი ცხოვრება და „მწიგნობართა ნაროშვარი"

თეიმურაზის თეორიასა და პრაქტიკას შორის დიდი ზღვარია, ამიტომაცაა, რომ მის ცოდნას არც მისთვის და არც სხვისთვის სარგებელი არ მოაქვს. იგი ნაკითხია, განათლებული, ცოცხალ ენციკლოპედიას ეძახიან, მუდმივად რაღაცას ეკითხებიან, რჩევას სთხოვენ. მიუხედავად ამისა, მწერლისათვის თეიმურაზი მაინც „წიგნის მატლია", „ქაჩალი თაგვი", „ხევისთავთა მონაფხეკი", „წიგნის ჩრჩილი", „წიგნის ჭია", „განათლებული ქათამი" და ა.შ.

იგი ვერ ხვდება ცხვირწინ მიმდინარე მოვლენებს, სამაგიეროდ, კარგად ესმის, თუ რა ხდება ინგლისსა თუ ყველასათვის უცნობ ზანზიბარში. იგი ცნობილი პუბლიცისტია და მის წერილებში მთელი ევროპის ბედ-იღბალი ირეკლება, საკუთარი ერისთვის კი ვერაფერი გაუკეთებია.

თეიმურაზი თავისი ცოდნით ვერც გლეხებს გამოადგა, რადგან ისეთ რჩევა-დარიგებებს აძლევდა, რომლებიც ხვნა-თესვასა თუ მოსავლის აღებაში არ გამოადგებოდათ.

ხევისთავი, გვემული და დამცირებული, მაგრამ რწმენით ძალამიცემული და თვალახელილი მიხვდება და იტყვის: „კმარა ესოდენი ფუტურო სიტყვა და ავი ოცნება. კმარა! ხალხი დავახრჩეთ სიტყვების ზღვაში. ერთი წყვილი ქალამნის მოქსოვით უფრო მეტს ვარგებდი ჩემს თავსაც და ხალხსაც, ვიდრე თხუთმეტი წლის მოღვაწეობით“.

თეიმურაზი ქართული კულტურის სამტომიან ისტორიას ადგენს და, იმავდროულად, არ აინტერესებს ქართული კულტურის თანადროული ბედი. თეიმურაზის ტრაგედია ის იყო, რომ „ცოცხალი ცხოვრება არა ჰგავდა თეიმურაზის და იმის მასწავლებელ მწიგნობართა ნაშოვარს“, ამიტომ „ამ ქვეყანამ და თეიმურაზ ხევისთავმა თანდათან ისე შეიძულეს და შეიზიზღეს ერთმანეთი, როგორც კერპმა მამამ შეიძულა უძღები შვილი, რომელმაც განუზომელი ურჩობა, უმადურობა, კადნიერება და ამპარტავნება გამოიჩინა და საკუთარ ფეხებზე დადგომა და საკუთარი გზით სიარული გაჰბედა“.

იგი თითქოს საქმიანობდა, ფუსფუსებდა, მაგრამ რადგან ცხოვრებას მოწყვეტილიყო, მის მოქმედებასაც აზრი ეკარგებოდა: „ზის თეიმურაზი დუქანში და ფიქრობს, თუ რა მასხრად აიგდო ბედმა: „ეს რა უცნაური ნაროშვარი და ნაბოდვარია უკუღმა დატრიალებული ცხოვრებისა?“

თეიმურაზმა უკან მოიხედა და გავლილი გზა გაზომა. საშინელი, თვალუწვდენელი, უცნაური და გაუგებარი იყო იგი, თავი და ბოლო ერთმანეთს ვერ ხვდებოდა.

იგი ცდილობს, გაიაზროს, თუ რამ მიიყვანა თავმოყვარე, განათლებული, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ამ დუქანში დახლიდარად. „ნავალი გაზომა – რუსთველის პროსპექტიდან ამ ორღობის ბოლომდე! საუცხოოდ მორთულ ექვსი ოთახიდან სოფლის ჭუჭყიან დუქნამდე, რედინგოტ-სმოკინგიდან სელის ხალათამდე! საზოგადო საქმის მეთაურიდან თავის ნამოჯამაგირევ ჯაყოს დახლიდარობამდე?!“

თეიმურაზის ცოდნა ზოგადი და განყენებულია, ამიტომ იგი ყოველთვის გაურბის კონკრეტულს.

ივანე და თეიმურაზი კამათობენ ქართულ კულტურაზე, ქართულ ხასიათზე. ივანე საყვედურობს თეიმურაზს: „შენც შეები საერთო უღელში და შენი წილი გასწიე“. თეიმურაზი პასუხობს: „მე დავიღუპები თუ ავშენდები, ქართველ ხალხს არც ევნება, არც შეერგება“. ივანეს მყარი და ლოგიკური არგუმენტი აქვს: „აბა მაგას როგორ ამბობ, თეიმურ? ხალხი შენისთანა უჯრედებისაგან შესდგება“. ჩიხში მომწყვდეული თეიმურაზი ველარაფერს პასუხობს კონკრეტულ საბუთს და გამოსავალს პოულობს: „მართალია, მაგრამ გავაფართოვოთ მსჯელობის საგანი“. ამ „გაფართოვებულ“ მსჯელობაში თეიმურაზი ყოველთვის ძლიერია, თუმცა შემდეგ „გამოფხიზლებული“ თვითონვე უწოდებს თავის მჭერმეტყველებას „ფუტურო სიტყვასა და ავ ოცნებას“.

თეიმურაზი ხალხს მოსწყდა – აღარ ესმის არც მისი ჭირი და არც ლხინი. მისთვის უცხოა ხალხის ცხოვრება.

მიხეილ ჯავახიშვილის აზრით, მეცნიერებისა და ისტორიის ცოდნა არ განაპირობებს ცხოვრებაში გარკვეულობას. ივანეს, მაგალითად, თეიმურაზის დარი ცოდნა არა აქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, ცხოვრებას იცნობს. ამიტომაც ეუბნება იგი თეიმურაზს: „შენ ხალხს შენი ოთახიდან ჰხედავდი“.

თეიმურაზს სოფლის ახალი თაობა თანამშრომლობას სთავაზობს, მაგრამ იგი უარობს. მას თავისი პრინციპები აქვს, რომელთა ღალატი არ შეუძლია, ამასობაში კი, უნებურად, ის თვითონ ცხოვრების კანონებს ღალატობს.

მისი ცოდნა ხალხისათვის გამოუსადეგარია, ამიტომაც მასთან რჩევის საკითხავად მოსული გლეხები გაწბილებულები რჩებიან. თეიმურაზი მათ უქადაგებს საზოგადო და არა კონკრეტულ, გამოსაყენებელ, პრაქტიკულ, ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

თეიმურაზი სოფლის გლეხებს ლექციებს უკითხავდა ცხოვრების კანონებზე, ევროპის დაწინაურებაზე, ქადაგებდა მშვიდობას, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, საერთაშორისო ვითარებას აანალიზებდა, მაგრამ მისი ცოდნა მხოლოდ გაკვირვებას იწვევდა. თეიმურაზს უნარი არ შესწევდა მიმდინარე მოვლენების გააზრებისა. მან ახალი დროების ბევრი არაფერი იცოდა: „ძველსაც მოსწყდა“ და ახალსაც ვერ მიეკედლა. „ყველა გზები აერია და ქვეყანას განუზომელ მანძილზე ჩამორჩა“.

ის არ ცდილობს ხალხთან დაახლოებას. თავისი პრინციპების ერთგულება ურჩევნია სკოლაში მასწავლებლობას, ივანეს უარს ეუბნება, სკოლაში იმას ვერ ვასწავლი, რაც მე თვითონ არ მწამსო. თავისთავად, ეს საგულისხმო აზრია და თეიმურაზის საქმისადმი პატიოსან დამოკიდებულებას ამხელს. მას არ შეუძლია შეურიგდეს ახალ იდეოლოგიას, ახალ ხელისუფლებას, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა, თავისუფლება წაართვა. ის მიდის „შინაგან ემიგრაციაში“, მართალია საქართველოშია, მაგრამ რეალურად ქვეყნის ცხოვრებაში აღარ მონაწილეობს. მას მოლოდინი აქვს, რომ ერთ დღესაც ვითარება შეიცვლება, სწორედ ამ მოლოდინის გამო უარს ამბობს ყველაფერზე, მაგრამ დრო მიდის, არაფერი იცვლება და თეიმურაზის პასიურობაც თვითმკვლელობას ემსგავსება.

თეიმურაზს წარმოდგენა არა აქვს გლეხის შრომაზე. ქართველების სიზარმაცეზე ის ლაპარაკობს, ვისი საქმიანობაც, სინამდვილეში, ფუჭი და ამაო ფუსფუსია, ამიტომ საყვედურობს ნახუცარი: „შენ რომ შუა ძილში ხარ შესული, მთელი სოფელი მინდორშია გაკრეფილი... ჩვენ შრომას კი არ გავურბით, უნაყოფო წამებს ვერიდებით“...

ადამიანი „რევოლუციის სალეწ მანქანაში“

მიხეილ ჯავახიშვილმა რომანში რევოლუცია მეტაფორულად წარმოადგინა, როგორც „სალეწი მანქანა“, რომელიც მთლიანად ცვლიდა ადამიანს. ამ თემაზე მას „ჯაყოს ხიზნების“ გარდა სხვა ნაწარმოებებიც აქვს დაწერილი, მათ შორის, ყველაზე გამოკვეთილია „დამპატიჟე“, რომლის გამო მწერალს უამრავი უსიამოვნება შეხვდა – სოციალიზმის ჭეშმარიტ მონაპოვართა დაუნახაობა და ნაკლის გაზვიადება უკიჟინეს. სინამდვილეში კი მწერალი ნათლად ხედავდა, თუ რა ძალა და უფლება მიანიჭა ახალმა რეჟიმმა მუქთახორებსა და უღირსებს: „თეიმურაზი რევოლუციის სალეწ მანქანაში ჩავარდა“. ამ „მანქანამ“ იგი დააჩიავა და დაადამბლავა.

„ჯაყოს ხიზნებში“ ადამიანის დამდაბლებისა და ღირსების აყრის პროცესი ზუსტი ფსიქოლოგიური ნიუანსებით არის წარმოჩენილი.

თეიმურაზი, საზოგადოდ, რევოლუციის წინააღმდეგი არ იყო. პირიქით, ის თავდაპირველად სიხარულითაც მიეგება მას, მაგრამ მოტყუვდა. თვითონ სჯეროდა და სხვასაც აჯერებდა „მთელ ქვეყანაზე არავის არ ჰყოლია რუს...ისთანა ინტელ...ლიგენცია“. მერე დარწმუნდა, რომ რევოლუცია არ იყო „გასართობი და სათამაშო“, არამედ „თავისას მოითხოვდა“, თავდაპირველად კი ისეთი აღტყინებული იყო, თითქოს სამოთხის კარი გაეღო: „დღედაღამ ქუდმოგლეჯილი დარბოდა, წითელ ბაირაღს იქნევდა და ჩახლეჩილი ხმით ჰკიოდა: „თავისუფლებას გ...გაუმარჯოს! ვაშაა! რევოლუციას გაუმარჯოს! ძ...ირს მეფე და ძძალადობა!“

მერე, როცა შეცდომას მიხვდა, წითელ ბაირაღსაც აღარ იქნევდა, პირიქით, წითელ ფერს გაურბოდა. „უწინდელ დროშებს სწვავდა, თაგვის სოროში ძვრებოდა, შიშისაგან კანკალებდა. წითელმა გოლიათმა „მისი ათი წლის ნაშენები და ნაცოდვილარი ქინძისთავისოდენა ლუკმასავით ჩაჰყლაპა“.

ახალმა ქვეყანამ და თეიმურაზმა ერთმანეთს ვერაფერი გაუგეს, ერთმანეთს გული და სული ვერ შეუგუეს.

სიცოცხლე, როგორც აყროლებული ლეში

სიცოცხლემ თეიმურაზის თვალში აზრი დაკარგა, მისი სულიერი ტანჯვის სრულყოფილად წარმოსაჩენად მწერალი ქმნის შთამბეჭდავ ხატს, რომელიც იტევს გაუსაძლის პიროვნულ ტკივილს.

თეიმურაზს იმ დღიდან სიცოცხლე კისერზე ჩამოეკიდა, როგორც ლეკვის აყროლებული ლეში, რომელიც ვერ იქნა და ვერ მოიშორა „და თვითონაც ცხოვრებას ვერსად გაექცა და ვერსად დაემალა“.

ხევისთავი სულითაა ავად. მისი ნება მოდუნებულია და არჩევნის უნარი აღარ აქვს. თვითონვე ფიქრობს, რომ მისი განკურნება ძნელია, რადგან თვალებზე შავი ბინდი აქვს გადაკრული, გულში – შავი ნაღველი შეტბორილი და სულშიც – შავი ბურუსი.

მან დაკარგა სულის მშვიდობა, ამიტომაც მოაკლდა სათნოება. მას თითქოს სიხარულის უნარიც კი აღარ აქვს.

ერთ ეპიზოდში თეიმურაზი ივანეს ურმით მიჰყავს. საძნე ურემი შორიდან გალიას მიაგავს, „ხოლო ხელ-ფეხ აშლილი და აყვირებული თეიმურაზ ხევისთავი იმ გალიაში დამწყვდეულს“. ეს თეიმურაზის ცხოვრების მეტაფორაცაა. მისთვის ცხოვრება გალიად იქცა, საიდანაც თავდაღწევის გზა მან ვერ გამონახა. უმთავრესი კი ისაა, რომ ამ გალიაში თუ იგი ნაწილობრივ საკუთარი ნებით გამოემწყვდია, იქიდან გათავისუფლება უკვე მის ნებას აღემატება.

თვითმკვლელობის მიზნით ლიახვში ჩავარდნილი თეიმურაზის ბრძოლა სიცოცხლისათვის ალეგორიული სახეა – ცხოვრების მდინარით წალეკილი თეიმურაზი მუდამ ილუზიების ხავსს ეჭიდება.

თეიმურაზს ნინიკა იხსნის ლიახვის ტალღებისგან – მწერალი საკმაოდ გამჭვირვალე ალგორიით მიანიშნებს, რომ ახალი თაობა გადაარჩენს თეიმურაზს, ე.ი. საქართველოს (საკვირველია, რაღას ერჩოდნენ ბოლშევიკები მწერალს? მაგრამ, ჩანს, თვითონაც კარგად ხვდებოდნენ, რომ ნინიკა, თედო, ილია და მათი მსგავსნი კი არ იყვნენ ტიპურნი, არამედ ჯაყო. სწორედ ჯაყოს მსგავსებმა გაასამართლეს „ჯაყოს ხიზნები“ და მისი ავტორი).

თეიმურაზი ახასიათებს ქართლს (ქართლი კი საქართველოს დვრიტაა, თეიმურაზის აზრით): „იგი მომაგონებს დაბერებულს, ქაჩალს, უკბილოს, ბრუტიანსა და დაყრუებულ ნაკაცარს“ – ხევისთავი აშკარად ავტოპორტრეტს ხატავს, მით უმეტეს, რომ ავტორი იქვე მარგოსა და ივანეს პირით ასეთ რემარკებს აკეთებს:

მარგო: „გუშინდელი საფრთხობელა მომაგონდა“...

ივანე: „სოფლის ხუმარებმა იმ საფრთხობელას თეიმურაზ ხევისთავი დაარქვეს და მასზე ენებს ილესავდნენ“...

თეიმურაზ ხევისთავი საგვარეულო კოშკზე ადის და იქიდან გაჰყურებს ქართლს. „რკინის დუღაბით ნაშენი“ კოშკიდან მოჩანს დარღვეული, „ნაკაცრად“ ქცეული ქართლი. „ნაკაცარ“ თეიმურაზსა და „ნაკაცარ“ ქართლს წინაპართა სისხლით შედუღაბებული კოშკი უფუნქციოდ დარჩენიათ.

თეიმურაზი გრძნობს თავის დანაშაულს საკუთარი თავის, მეუღლის, ერისა და ღვთის წინაშე. ამიტომაც ფიქრობს მტკივნეულად, რომ თუ ზოგზე იტყვიან აღესრულაო, ზოგზე – განისვენაო და ზოგზე – მოკვდაო, თვით მასზე იტყვიან – ჩაძაღლდაო. ამიტომაც იგი ყველაფერს წყევლის – გაჩენის დღესაც და გამჩენსაც, აწმყოსაც და წარსულსაც, მომავალსაც და იმედსაც, ამ ქვეყანასაც და ზეცასაც.

სანამ ჯაყო თეიმურაზის ქონებას ეპატრონებოდა, თვითონ სხვენზე აღმოჩენილ გუჯრებს ჩხრეკდა: „ისეთის გულმოდგინებით ჰქექავდა იმ ნაგავს, რომ კინაღამ თვითონაც დალპა, გაჩრჩილდა და გაჭიავდა“.

მწერლისათვის არც თვითმკვლელობა და არც სხვისი მოკვლა გამოსავალი არ არის, ამიტომაც არის, რომ ერთსაც არიდებს თავის გმირს და მეორესაც.

თეიმურაზი და ახალი ქვეყანა

თეიმურაზის ტრაგედიის მიზეზი ისიცაა, რომ იგი ახალ ქვეყანას ვერ ურიგდება, მისთვის ახალი ცხოვრება მიუღებელია. ის მოითხოვს ცხოვრების „შესწორებას ან დამატებას“. ნახუცარი ივანე კი უქადაგებს, რომ საქართველოს უნდა შეურიგდეს ისეთს, როგორიც არის. მის ავსაც და კარგსაც, მზესაც და ჭუჭყსაც, ბნელსაც და ნათელსაც. უნდა მიიღოს იგი უკლებლივ – მთლიანად, გულღიად, გულწრფელად და სიყვარულით, თუ არა და, ეჭვი მოუწამლავს სიცოცხლეს და დააბნელებს.

მართლაც, ეჭვით გულგასენილი დადის თეიმურაზი და ცხოვრების აზრი, გამოსავალი ვერ უპოვია. მას თანდათან უგროვდება გულში შხამი და გესლი, რომელიც მთლიანად ეუფლება მის არსებობას და შლის, ანგრევს.

ზუსტად მიგნებული შედარებებით ახასიათებს ეპოქას თეიმურაზი: „დღეს ისეთი დროა, რომ პროვიზორს მატარებელი მიჰყავს, ხოლო მეამანქანე აფთიაქში მუშაობს. ერთი მატარებელს ამტვრევს, ხოლო მეორე ხალხსა სწამლავს“...

ყველაფერი გაუკუღმართებულია... ამ უკუღმართად მოწყობილ ქვეყანაში მხოლოდ მედროვეები შეიძლება იყვნენ კარგად. თეიმურაზისთანა ადამიანები, რომელთაც შინაგანი პატიოსნება ნებას არ აძლევს „სხვის სკამზე დასხდნენ“, განწირულები არიან დასაღუპად.

საინტერესო ალეგორიას ქმნის მწერალი დასავლეთისა და ჩრდილოეთის პეიზაჟით, რომელსაც საგვარეულო კოშკიდან გაჰყურებს თეიმურაზ ხევისთავი. დასავლეთი ვარდის, ფირუზისა და ალის ფერებით ბრწყინავს. თეიმურაზი ისე გასცქერის დასავლეთს, „თითქო თავის საარაკო საბედოს და სიცოცხლის ნატვრას იქიდან მოელოდაო“.

დასავლეთის სიმბოლურ მნიშვნელობას ხსნის კიდეც ავტორი. ხევისთავი ხმის კანკალით ეუბნება ივანეს: „გაიხედე, რა მშვენებით არის შემოსილი დასავლეთი... ყოველივე დასავლეთიდან მოდის: სიმდიდრე, გ... განათლება, ზნეობა, თ...თავისუფლება და მშვიდ...დობა“.

ჩრდილოეთის სიმბოლურ-ალეგორიული სახე კი მხოლოდ მკითხველის ყურადღებიან თვალსა და გულისყურს მიანდო მწერალმა. დასავლეთის კონტრასტია ჩრდილოეთი, „ჩრდილოეთიდან ყინულის სუსხი მოდიოდა“... დაქანებულმა მზემ ... ჩრდილოეთის მყინვარების ჭაღარა თავებიც სისხლში ამოავლო“.

დასავლეთის მშვენიერი პეიზაჟის ფონზე ჩრდილოეთის ალეგორია არცთუ ისე ძნელი გასახსნელია! და ეს არის იმ კაცის განწყობა, რომელიც ცოტა ხნის წინ ისტერიულად გაჰკიოდა: „მთელ ქვეყანაზე არავის არ ჰყოლია რუს...სისთანა ინტელ...ლლიგენცია. ბედნიერი ხალხია, ბ...ბბედნიერი!“

როცა თეიმურაზმა გაარკვია მარგოს „ღალატი“, საშინლად აღშფოთდა, მისი კიცხვა და ძაგება დაიწყო, გველი და გომბიო ეძახა თავის გულში, ვერ იჯერებდა, რომ მარგომ იგი ტყიდან გამოვარდნილ ნადირზე, უგუნურ პირუტყვზე, გუშინდელ მოჯამაგირეზე, რეგვენ, ბრიყვ და ბნელ ჯაყოზე გაცვალა. მასში თითქოს თავმოყვარეობამ გაიღვიძა, გაახსენდა, რომ განთქმული საზოგადო მოღვაწეა, პატიოსანი, ამაყი და ქედუდრეკი თავადიშვილი. მერე საკუთარმა უსუსურობამ შეზარა და აქვითინდა.

მიხეილ ჯავახიშვილს არ გამორჩება თეიმურაზის ნერვის არც ერთი შეტოკება. ზუსტი ფსიქოლოგიური ნიუანსებით ხატავს, თუ როგორ იცვლის თეიმურაზის ფიქრის მდინარება მიმართულებას. გონიერება ამჯერად მას დაეხმარა საკუთარი დანაშაულის გაცნობიერებაში, მიხვდა, რომ მარგომ კი არ უღალატა, თვითონ „გაჰყიდა“ ცოლი, რომ მარგოს, როგორც დედაკაცს, მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა და რომ ნებით დაუთმო თავისი ადგილი ჯაყოს, რომელმაც ძალადობით მიაღწია საწადელს.

თეიმურაზი მიხვდა, რომ თავისი პასიურობით მარგო დატანჯა და „ჯვარს აცვა“. თვითონვე შებღალა და შებილწა მარგოს სახელი. ამგვარმა ფიქრებმა თითქოს გაასპეტაკეს და სირცხვილი, თავისმოჭრა და გამასხარავება თვალნათლივ შეაგრძნობინეს.

როცა გამოარკვევს, რომ მარგო და ჯაყო ლევანაშენში არ იყვნენ და მოატყუეს, თეიმურაზი ბავშვივით ატირდება. ეს ტირილი ამხელს მის უძლურებას. იგი სიმწრისაგან ვაზის ყლორტებს ამტვრევს და ბალახს ფესვიანად გლეჯს – მისი განრისხება მხოლოდ ამას თუ ჰყოფნის.

მწერალი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თეიმურაზი ნაკაცარია. აქედან გამომდინარე, ყველა ძველი ღირსება დაკარგული აქვს.

თეიმურაზი 40 წლისაა, მაგრამ მოხუცს ჰგავს, ისეა დაჩაჩანაკებული, დაუძლურებული. იგი არის „ნათავადარი, ნამამულევი, ნამოღვაწარი, ნაველქილარი“.

ამაზრზენია ეპიზოდი, როცა სახლში მოსული ეჭვებით გულგასენილი თეიმურაზი მარგოს ოთახიდან გადმოყუდებულ ჯაყოს ვერაფერს შეჰბედავს. არ ჰკითხავს, თუ რა უნდა მისი ცოლის საძინებელში, არამედ შეკრთება მის როხროხზე, სავარცხლისთვის მოვედიო, შეჰკნავლებს და მერე მის თვალწინ ძაღლივით დაფოფხავს მიწაზე.

ნაკაცარ ხევისთავს ყველანი ჩამოსცილდნენ, მეგობრებიც შემოეფანტნენ.

თეიმურაზი აღარც ჩაცმას აქცევდა ყურადღებას. ტანსაცმელი გაყიდა. საყელოებსაც აღარ ახამებდა გაძვირების გამო. ბოლოს, „ხალათი ჩაიცვა, ქამარი შემოირტყა, წვერიც გაუშვა და გაკოტრებულ მეწვრილმანე ურიას დაემსგავსა“.

მისთვის აღარა აქვს მნიშვნელობა, რომ მისი წინაპრები „რკინას ჭამდნენ, დათვებს ხანჯლით ხოცავდნენ და ყინულზე იძინებდნენ“. ის საცოდავ წიწილას დაემსგავსა, გაქაჩლდა. არც კბილები აქვს გასაგლეჯად, არც

მკლავი მოსაქნევად და არც ხმა შესატევად. გულის მაგივრად „დამპალი ძონძი აქვს ჩაფენილი, სულის ნაცვლად სიმყრალე და ძარღვებში კი სისხლის მაგივრად ჭაობის დუბელა დაუდის“. ისეა დაკნინებული და დალეული, რომ ვაჟკაცისა აღარაფერი სცხია.

იგი ხედავს, რომ ჯაყოს ხალხი წინააღმდეგობას ვერ უწევს. მან იცის ბრბოს ფსიქიკა: „კაენს და იუდას რომ გაემარჯვნათ, ხალხი ორივეს კაენობას და იუდობას აპატიებდა. ჯაყოს საქმეც აგრეა, ჯაყომ გ...გაიმარჯვა, მე კი დავმარცხდი, მორჩა და გათავდა“.

თეიმურაზი ხელჩაქნეულია. სწორედ მისი ბრალია, რომ თითქოს საკუთარ პანაშვიდს დაესწრო მარგოსა და ჯაყოს ქორწილზე და საკუთარი თავის დასაფლავება ნახა. საკუთარ თავს პატივი არ სცა და ამიტომაც ყველასი და, უპირველესად, მარგოს ზიზღიანი მზერა დაიმსახურა. თეიმურზმა დაიწყო მიზეზის ჩხრეკა. უჩინარი ორეული ეუბნება: „წარმავალი ხარ, საბრალო, სუსტი და მომაკვდავი, იმიტომ შეგიზიზღა, რომ ბრძოლა წააგე. იმიტომ, რომ უბრძოლველად დაუთმე შენი ცოლი და პატიოსნება აგერ იმ პირუტყვს, ახმახს, ველურ ჯაყოს, რომელსაც შენზე უფრო ღონიანი აქვს მკლავები და ყბებიც, წვივებიც და ხმაც, გულიც და სულიც“.

ხევისთავი გრძნობს სიმარტოვეს, ეულობას, უპატრონობას. მარგოს დაკარგვამ თითქოს თვალი აუხილა. იგი მიხვდა, რომ თანამზრახველი და მიმყოლი მხოლოდ ქუჩაში, კრებებსა და ჭამა-სმაში ჰყავდა. თითქოს ხერხემალი ჩაუმტვრიეს – ისეთი შეგრძნება აქვს მარგოს გარეშე.

თეიმურაზი თვითონ იქმნის ილუზორულ იმედებს. იმედის სიკვდილი საბოლოოდ გაანადგურებს მას. ეს კი ჯოჯოხეთური მდგომარეობაა. დანტე „ღვთაებრივ კომედიაში“ აღწერს ჯოჯოხეთს და წერს, რომ ჯოჯოხეთის კარს აწერია, აქ შემომსვლელმა ყველა იმედი დატოვოსო. თეიმურაზი როცა ფაქტის წინაშე დგება, როცა ხედავს, რომ დაკარგა მარგო – თავისი სიცოცხლის ძალა – სრულ აპათიას ეძლევა, მისთვის ღირებულებას კარგავს გვარიც და თანახმაა, ჯაყოს შვილს გადაულოცოს იგი.

ქართველთა ბუნებისათვის

რომანში ქართველთა ბუნება დაუფარავადაა მხილებული. განსაკუთრებით, სიზარმაცე. თეიმურაზი ივანესთან საუბარში ამბობს, რომ ქართველთა მეურნეობა ევროპელებისას ჩამოუვარდება: „რაც არის, უცხოელების გაშენებულია“. მას მაგალითად მოჰყავს იმერეთში გერმანელთა სახლობა. მისი აზრით, ნახევარი საუკუნე ერთმანეთს შესცქერიან, მაგრამ ქართველმა გერმანელისაგან ვერაფერი ისწავლა. თეიმურაზი ფიქრობს, რომ ქართველი აზიისკენ ბრუნდება. ხევისთავი კრიტიკულად აფასებს ქართველთა ბუნებას, მის შეხედულებებში ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად თვით მწერლის თვალსაზრისი ირეკლება (და, საერთოდაც, თეიმურაზ ხევისთავი მწერლის ერთგვარი ალტერ ეგოა, ამიტომ პერსონაჟის ფიქრთა და განსჯათა მიღმა ჩანს ავტორის კამათი საკუთარ თავთან).

მწერლის აზრით, საქართველოს ყოველთვის ღუპავდა ამერ-იმერად გახლეჩა: „ჩვენ ორნი ვართ და იმერ-ამერეთის გაერთიანებას ხუთიოდე საუკუნე მაინც დასჭირდება“.

თეიმურაზი პესიმისტურად უცქერის ქართველთა მომავალს, ამ შემთხვევაში, იგი ქართველი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის თვალსაზრისს გამოხატავს. ამ მხრივ, საინტერესოა მიხეილ ჯავახიშვილის წერილი „მასალები ლექციისათვის“, რომელშიც იგი ნიკოლო მიწიშვილს ეკამათება ამგვარ საკითხებზე. თეიმურაზ ხევისთავი ივანეს ეუბნება, რომ ქართული სული ზღაპარია და ჭორი, რომ ერთი სული მხოლოდ ერთ მთლიან ერს აქვს. „ქართველობა კი, როგორც ფსიქიური და ეროვნული ერთეული, არ არსებობს“. ის საერთოს ვერ ნახულობს ქართლელს, კახელს, გურულს, მეგრელსა და იმერელს შორის. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ამერ-იმერი 2000 წელზე მეტია ერთ მიწაზეა, სახელმწიფოებრივ და ეროვნულ შენობაში მხოლოდ 200 წელია ცხოვრობს: „ერთმანეთს ჭირიანებივით გავურბოდით და ისე ვერიდებოდით, თითქოს სხვა ტომისა და სისხლისანი ვყოფილიყავით“. საქართველო მუდამ ცალ-ცალკე იყო გახლეჩილი – დაღუპვისა და შენების ჟამს და ყოველთვის ორპირი ან სამპირი იყო. „ერთი რომ აღმოსავლეთისკენ ჰქონდა მიღრეცილი, მეორე დასავლეთისაკენ იხედებოდა, მესამე კი ან სამხრეთისაკენ ჰქონდა მიბრუნებული, ან ჩრდილოეთისაკენ“.

ამ მხილებისას ილიას ლექსის ტკივილიანი სტრიქონებიც გვახსენდება: „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?“

ხევისთავმა საქართველოს ისტორიის გამოცდილებიდან კარგად იცის, რომ ქართველი ხალხი ბუნებით არისტოკრატია. ამიტომაც წარმოუდგენლად მიაჩნია, რომ საქართველო იყოს დემოკრატიული. „შუა აზიაში მეორე შვეიცარიის შექმნა განვიზრახეთ. ხა-ხა! სასაცილოა, მაგრამ სატირალიც არის ეს ამბავი“, – ეუბნება იგი ივანეს. „იგი ცხადად ამტკიცებს ჩვენს ფლიდურს, ორპირსა და ორგულ ბუნებას. ეს იყო ყირამალა დგომა და საკუთარი ქერქიდან ამოხტომა. ჩვენ ჩვენს თავსაც ვატყუებდით და ქ... ქვეყანასაც, ესეც ჩვენი კუდაბზიკურ-აზნაურული მაიმუნობა გახლავთ. ბოლოს და ბოლოს საქ...ქართველოს ეს მაიმუნობა დაღუპავს“. თეიმურაზს განსაკუთრებით სახიფათოდ მიაჩნია ქართველთა წამბაძველობა, რომელმაც ქართველი მაიმუნს დაამსგავსა, რადგან „სადაც არ ყოფნის საკუთარი ჭკუა, მხნეობა, გამძლეობა და ნებისყოფა, იქ უცხოელთა წაბაძვით ცდილობენ ფონის გასვლასა და ლელოს გატანას“. ამასთან, ქართველებში განსაკუთრებით შეიგრძნობა სამსახურისაკენ სწრაფვა. „მთელი საქართველო სამსახურს ეძებს. მილიცია, კანცელარია, თვეში ხუთი ან ათი თუმანი ჯამაგირი. ერთი სიტყვით – სამსახური, ისევ სამსახური და მუდამ სამსახური – აი, ჩვენი საქმე და იდეალი“.

თეიმურაზ ხევისთავს ერის უკვდავება მხოლოდ მეტაფიზიკურ ბოდვად და მისტიკურ ზღაპრად მიაჩნია. მის პესიმიზმს აძლიერებს იმის ცოდნა, რომ სამუდამოდ აღიგავა პირისაგან მიწისა კაცობრიობის ხსოვნიდან ასზე მეტი ერი. დროის წინაშე ყველაფერი უძლურია და ქართველებსაც იგივე ბედი ელით, რაც ფინიკიელებს, კაბადოკიელებს, ასურელებს, აცტეკებს, ბაბილონელებს, ხეთებს, ურარტუელებს და სხვებს.

იგი ფიქრობს, რომ ქართველი ერი ზეგ უკვე უკუნეთს ჩაბარდება. მას არ ანუგეშებს, საზოგადოდ, კაცობრიობის გადარჩენა, რადგან ფიქრობს, რომ კაცობრიობისათვის საქართველო არაფერს არ წარმოადგენს. მაგალითად იხსენებს ალიხანოვის მიერ გურიის დანგრევასა და გადაბუგვას. იმავე ხანებში საფრანგეთში მაღარო ჩამონგრეულა და მსხვერპლიც ყოფილა. გორელებს წარმოდგენა გაუმართავთ და ორმოციოდე თუმანი ფრანგი ქვრივ-ობლებისათვის გაუგზავნიათ, თანამოძმე გურულებს კი არაფრით დახმარებიან. თეიმურაზი ირონიულად ამბობს, იმ ფრანგებისთვის რომ გეკითხათ, საქართველო სად არისო, ან სამხრეთ აფრიკას დაატაკებდნენ თითს, ან კიდევ რომელიმე ტროპიკულ კუნძულს. ამიტომაც თეიმურაზი აკეთებს დასკვნას: „კაცობრიობა და ჩვენ ერთმანეთის ნათესავები არა ვართ“.

იშვიათია ქართულ მწერლობაში ისე ზუსტად გაჩხრეკილი ქართველთა ბუნება, როგორც ეს „ჯაყოს ხიზნებშია“. მწერალმა ზუსტად იცის, რომ ერის პოლიტიკურ სიმტკიცეს, უპირველესად, ერის ზნეობა განაპირობებს. ამიტომაც ხაზგასმით წარმოაჩენს იმ ნაკლს, რომელიც შლის და ანგრევს საქართველოს ერთობას.

თეიმურაზის აზრით, თუ სხვები სიმდიდრეს მალავენ, კუდაბზიკა ქართველები ისე იცვამენ და იბერებიან, თითქოს ქვეყნის ნახევარი მათი იყოს, სინამდვილეში კი მათი ავლადიდების გაჩხრეკისას შესაძლოა ხელში შეგრჩეს: „ორი დღის უჭმელობით გამხმარი კუჭი და სამგან გახვრეტილი ჯიბე“.

მის დაკვირვებულ თვალს არც ქართველთა სიამაყე და ამპარტავნობა გამორჩა, რომ ქართველნი არასოდეს მათხოვრობენ, სამაგიეროდ, არ ერიდებიან თვითმკვლელობას, ძარცვა-გლეჯასა და ათასნაირ ოინბაზობას. მიუხედავად ფულის სიყვარულისა, ქართველს ეზიზღება ფულიანი კაცი და ფულის შოვნის ხერხი – ვაჭრობა და მრეწველობა, რომ ვაჭრობისა და მრეწველობისთვის საჭიროა „დიდი თაოსნობა, გარჯა და მომჭირნეობა, ესე იგი, ორის შოვნა და ერთის დახარჯვა, ესე იგი, თავდაჭერილობა, დინჯი და ანგარიშიანი ცხოვრება, სულისა და ხორცის დისციპლინა, ესე იგი, შრომა და დისციპლინა“.

თეიმურაზი ხედავს, რომ შრომა ქართველისათვის თითქოს ტვირთია, ღვთის წყევლაა. იგი იხსენებს XIX ს-ის მწერლობას, რომელმაც გაამასხარავა ვაჭარი (გიორგი ერისთავმა, ცაგარელმა, ანტონოვმა და სხვებმა). თეიმურაზის დასკვნა კი ასეთია: ადამიანს სძულს ყოველივე, რაც არ ეხერხება, ან არ ძალუძს, ე.ი. მას ეზიზღება საკუთარი უძლურება, კუდაბზიკობა.

ნახუცარი ივანე (გამჭვირვალე სიმბოლო ურწმუნო ეპოქისა), რომელმაც დაიჯერა სოციალიზმისა, ფიქრობს, რომ ახალი რეჟიმი მოსპობს ფუქსავატებს, მფლანგველებს, კუდაბზიკებს.

მას სურს, თეიმურაზი დაარწმუნოს, რომ სოციალიზმს უკვე მოჰყვა შედეგები ახლად გახსნილი სკოლებისა და კოოპერატივების სახით, მაგრამ თეიმურაზს არ სჯერა, იგი სწორად ხვდება: „ერთს რომ ააშენებთ, ორი ინგრევა. კოოპერატივი კი ქვეყანას ვერ ააშენებს“.

ხევისთავი მტკივნეულად განიცდის ქართველი ხალხის დაქვეითებას და ვერც ინტელიგენციაში ხედავს ძალას, რომელიც ხალხს სენისა და გადაგვარებისგან.

მწერალი თეიმურაზის პირით ბრალს სდებს ინტელიგენციას, რომ ქართველ ხალხს ვერ უპატრონა. ისინი ერს ლხინში წინ მიუძღოდნენ, ჭირში კი უკან რჩებოდნენ. ქართველი ინტელიგენცია, სხვათაგან განსხვავებით, არ სწირავდა ხალხისათვის თავს. მიხეილ ჯავახიშვილი იხსენებს პირველი მსოფლიო ომის დროს დაღუპულ ფრანგ მწერლებს – შვიდასიოდე მაინც რომ იქნებოდა. ქართველები კი ყოველთვის ბრძოლის ველიდან გარბოდნენ ან სულაც არ იბრძოდნენ. ამიტომაც, თეიმურაზი თავის თაობას „დამპალს“ უწოდებს: „ისტორიის სიტყვა ცხელი შანთით დასდაღავს ჩვენს დამპალ თაობას. ახიც იქნება ჩვენზე, ახიც!“ თვითონ თეიმურაზი მზად არის განაჩენისათვის.

საინტერესოა, რომ მარქსისტების მოწინააღმდეგე თეიმურაზი მათ ერთ რამეში ეთანხმება, რომ ყოველგვარი კულტურა ქონებრივი კულტურის ზედნაშენიაო. თეიმურაზის აზრით, ევროპელებისაგან განსხვავებით, ქართველებს ხეირიანი ფეხსალაგიც ვერ აუშენებიათ, რადგან მათ არ შეუძლიათ ქონების დაგროვება.

თეიმურაზი წუხს, რომ ქართველებს არა აქვთ სემიტებისნაირი რწმენა. წარმართები მაინც ვყოფილიყავითო, მათ კერპები ჰყავდათ – ლოცულობდნენ ზევსს, იუპიტერს, ცეცხლს, ელვას... წარმართებს ვიღაც ან რაღაც სწამდათ, ქართველები კი ურწმუნონი არიან: „ქართველ ხალხს არც ქრისტე სწამს, არც მაჰმადი, არც იეგოვა, არც ბუდა, არც ზევსი, არც საერთოდ რომელიმე ღმერთი ან ეშმაკი“.

თეიმურაზის აზრი ქართველთა ნაკლოვანებებზე, რა თქმა უნდა, გაზვიადებულია. იგი ხშირად მეტად სუბიექტურად განსჯის და საკუთარ ცოდვებს მთელ ერს მიაწერს.

მწერლის მიერ ერთგვარად ჰიპერბოლიზებულია ქართველთა სნეულების ზოგიერთი სიმპტომი, მაგრამ თეიმურაზისა და ივანეს ტკივილიანი დიალოგი ირეკლავს უიმედობითა და ურწმუნოებით აღსავსე მაშინდელი ქართული საზოგადოების სულიერ მდგომარეობას.

მიხეილ ჯავახიშვილი ხედავდა, რომ ქართველმა ერმა რწმენის წყურვილი დაკარგა, რაც წინაპირობა იყო ზნეობის, ადამიანობის დაკარგვისა.

ბედის ემბლემა

რომანში თეიმურაზის ბედის ემბლემად წარმოდგენილია საფრთხობელა. ამას ხევისთავი თვითონვე აღიარებს. იგი თითქოს მექნიკურ სათამაშოდ იქცა, რომელიც მხოლოდ ჯაყოს ნებისამებრ მოძრაობდა.

ხევისთავი თავს იმშვიდებს, რომ ბედის მორჩილება ხანდახან დასვენებასა და ძალების მოკრებას ნიშნავს და არა სულიერ გამოფიტვას, მაგრამ ეს იმედი მოჩვენებითია. იგი თვალნათლივ ხედავს, რომ მისნაირების დასა-

ფლავება ხდება: „ანდერძს გვიგებენ და ჩვენვე ვესწრებით ჩვენს ქელეხს“.

თეიმურაზს არ სურს „სიკვდილი“ და ივანესთან საუბარში ბობოქრობს, რომ ვერასოდეს დაიმორჩილებენ, თუმცა, შესაძლოა, მოტეხონ ან მოღუნონ. საგულისხმო კი ისაა, რომ ამგვარი „აფეთქება“ მის გულში მალევე ჩაიხშობა ხოლმე და რეალურ ცხოვრებაში არ განხორციელდება, როგორც პროტესტი ან წინააღმდეგობა.

იგი თავს იმ გიჟად მიიჩნევს, რომელმაც თვითონ გაითხარა სამარე.

თეიმურაზი იმედს არ კარგავდა, მაგრამ „დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას, წელიწადს – წელიწადი, თეიმურაზი კი მუდმივ სასწაულს ელოდებოდა და სასწაულის მოლოდინში, მამულის დაბრუნებისა და ხელახალი გამდიდრების იმედიანობაში ნელ-ნელა დაილივნენ და დაცარიელდნენ თეიმურაზის გულიც, იმედებიც, წიგნსაცავიც და ბინაც“.

მისი ერთადერთი იმედი ბედი მდევარია, რომელიც, მისი რწმენით, აუცილებლად წამოეწევა ჯაყოს და მას თუ არა, მის შვილებს მაინც „კბილებით დაჰგლეჯს, შამფურზე შესწვავს, ნელ ცეცხლზე მოჰხრაკავს“.

თეიმურაზი ისევ იმედით ცოცხლობს, რომ ერთ დღესაც მივა თავის წამებულ მარგოსთან, დანაშაულს აღიარებს, ცოდვას მოინანიებს და პატიებას სთხოვს, მაგრამ ამგვარი ფიქრები მხოლოდ ბურანში ეწვევა ხოლმე, გამოფხიზლებული კი ლოყაზე უძლურების გამომხატველი ცრემლების სისველეს გრძნობს, სკამზე ძაღლის მძორს ხედავს: „არეულ თვალებს აცეცებს და ჰხედავს, რომ ხის ტახტზე და იატაკზეც ძაღლების ლეში ჰყრია. ორივე ხელს მკერდზე მოისვამს ადუღებული ნაკაცარი და იქაც განუყრელს ძაღლის ლეშს წააწყდება“.

ხევისთავი „დაყუდებული შიო მღვიმელივით“ იცდის.

ეს მოლოდინი ერის ბედის წინაშე ქართველი ინტელიგენციის უმაღლესი პასუხისმგებლობის განცდაა. ამ მოლოდინმა ფეხზე უნდა წამოაყენოს თეიმურაზი (დღესაც, მომავალშიც) და ერის თავისუფლებისათვის აამოქმედოს.

თეიმურაზის ცხოვრება დაემსგავსა ჯოჯოხეთურ უფსკრულს, რომელშიც ის ჩავარდა, რათა რწმენის ძალით კვლავ ეხილა სინათლე, ქვესკნელიდან შუასკნელამდე ამოეღწია და ზესკნელისკენ, ღვთის სამყოფელისკენ მიეპყრო მზერა. შიო მღვიმელთან შედარება მრავალმნიშვნელოვანია. ეს მოწმობს მის ნებაყოფლობით ჯვრისმტვირთველობას, ტანჯვის, ხორციელი წამების გზით სულის განწმენდას და ამაღლებას. მხოლოდ სულიერად მთელ, ძლიერ ადამიანს შეუძლია ქვეყანას გამოადგეს. მიხეილ ჯავახიშვილს სჯეროდა, რომ თეიმურაზი (ქართული ინტელიგენცია) ფეხზე წამოდგებოდა, ჩადენილ შეცდომებს გააანალიზებდა და ღვთის შემწეობით ქვეყნის ხსნის გზას მოძებნიდა.

მიხეილ ჯავახიშვილმა „ჯაყოს ხიზნები“ უდიდესი სასონარკვეთილების ჟამს დაწერა, ამიტომაც არის ეს წიგნი ასეთი „ბნელი“, სინათლისგან დაცლილი. ჩვენ აქ ბოროტების, უსამართლობის ზეობას ვხედავთ. ღირსეული, კეთილშობილი, თავმდაბალი თეიმურაზი ცხოვრებამ, როგორც მგელმა, სასტიკად დაგლიჯა და დაფლეთილი მიაგდო სანაგვეზე, უყოყმანოდ მოიშორა და განირა. ერთ ეპიზოდში თეიმურაზი თითქოს მიხვდება ფეხზე წამოდ-

გომის პირობას, საკუთარ სულში ძალების მოკრებას მგლური კანონების აღსასრულებლად. აკი, შეატრიალდა კიდევაც ქრისტიანული მცნებები და გადაწყვიტა, მიჰყოლოდა შეგონებებს, რომლებითაც ცხოვრება წვრთნიდა თავის „რჩეულებს“: 1. მგლებთან მგლობა და ცხვრებთანაც მგლობა; 2. ცხვარი ღმერთს მოსაწველად, გასაკრეჭად და შესაჭმელად გაუჩენია; 3. ვინც ღილი მოგწყვიტოს, ის თავით-ფეხებამდე გაატიტვლე, ხოლო ვინც არაფერი დაგიშავოს, ის გაატყავე; 4. ცხოვრების მდინარეში პირაღმა ცურაობა გიჟების საქმეა. წყალს გაჰყევი, სამშვიდობოს გაგიყვანს; 5. ვისაც ერთი ტყავი აქვს, ორი გააძერი, ვისაც ორი აქვს, ხუთი ააგლიჯე, ვისაც არაფერი არა აქვს, ათი წააძრე; 6. მადლს ნურავის უზამ, თორემ დამადლებულ მადლობას არ გაპატიებს და სამაგიეროს შხამით გადაგიხდის; 7. სიკეთეს ნუ დათესავ, თორემ ლენცოფა ამოვა.

ამ ამაზრზენ „კანონებს“ როცა ისმენს ნახუცარი ივანე, კი არ შეცბუნდება და შეშფოთდება, არამედ კვერს უკრავს თეიმურაზს და ემოწმება, რომ, მართლაც, ყველაფერი ასეა ცხოვრებაში. თვითონაც თავისი გამოცდილებით დარწმუნდა მათ ჭეშმარიტებაში.

თეიმურაზმა, საბედნიეროდ, ვერ შეძლო ამ „კანონების“ მიყოლა, რადგან ასე ადამიანობას დაკარგავდა და ჯაყოს დაემსგავსებოდა. მწერალი თითქოს ჩიხში ემწყვდევა. რა ქნას? მგელს მხოლოდ მგელი თუ დაამარცხებს, ამიტომ იქნებ სჯობდეს, რომ ცხვარი მგლად გადაიქცეს? მაგრამ არა, მიხეილ ჯავახიშვილს სჯერა, ღმერთი არ მიატოვებს თავის შექმნილს, ამიტომაც არის, რომ წიგნი ლოცვითა და დიდი მოლოდინით მთავრდება. კოშკში დამწყვდეული მარგო თავის გამომხსნელს მოელის, თეიმურაზი ფეხზე უნდა წამოდგეს ჭირს დავდაღწეული რაინდივით და ღვთის სახელითა და შემწეობით მოიპოვოს დაკარგული საუნჯე.

მარგო – „ჯვარცმული ანგელოზი“

ერთგან თეიმურაზი მარგოს „ჯვარცმულ ანგელოზს“ ადარებს და ამ სიტყვებით საუკეთესოდ გამოხატავს უზნეო საზოგადოებაში სიწმინდის, სიკეთის, ამაღლებულის ბედს. მარგო თეიმურაზის უხერხემლობამ და ჯაყოს ძალადობამ შეიწირა. მარგოს სახე, ისევე როგორც თეიმურაზისა და ჯაყოსი, სიმბოლური მრავალმნიშვნელოვნების მატარებელია. იგი თეიმურაზის ცოლია, ერის საუნჯეა და, საზოგადოდ, ადამიანის ღვთაებრივი ნაწილია. მისი დაკარგვა იწვევს თეიმურაზის, როგორც გარკვეული სოციალური წრის პიროვნების, მოსპობას, ერის კულტურის დავიწყებას, გაჩანაგებასა და შეურაცხყოფას. ადამიანის არსებაში სულიერი საწყისის ჩაკვლასა და განადგურებას.

მტკივნეულად, შიშვლად და ხშირად თავზარდამცემი სისასტიკით არის აღწერილი მარგოს ზნეობრივი დაცემის სურათები.

რომანის რეალურ პლანში მარგო ყაფლანაშვილი თავისი გვარის უკანასკნელი ჩამომავალია, სიცოცხლით აღსავსე მშვენიერი ქალი. ის თავის ბედს თეიმურაზ ხევისთავს, ასევე თავისი გვარის უკანასკნელ წარ-

მომადგენელს, უკავშირებს. ჩვენ თვალწინ ჩაივლის მარგოს სულიერი გაპარტახების სურათები. მწერალი ღრმად სწვდება როგორც საზოგადოდ ადამიანის, ასევე ქალის ბუნებასაც. მან იცის, რომ სამყარო ქალის არსებაში კაცისაგან განსხვავებულად გარდაიტეხება და გამჟღავნდება. თეიმურაზმაც იცის, რომ ქალი გულჩვილი, სუსტი, უღონოა, მას თავისებური თვალი და ყური, აზროვნება და გრძნობა აქვს: „ქალური ალღო და ზნეობა, მდედრული შეგნება ამ ქვეყნის, მისი ხმის, ფერის, წესრიგისა და კანონების – ყოველივე მამაკაცისათვის უცხო, უხილავი და მიუგნებელი".

თეიმურაზი მუდამ თავისი საქმეებით იყო დაკავებული. მას ძარღვებიც სისხლის მაგივრად თითქოს გაზეთების ნაგლეჯებით ჰქონდა გატენილი, მის „დონდლო სისხლში ვნების ქარიშხალი არასოდეს არ ატეხილა, და მისი გული, – ისიც მჩატე და გაზეთივით დაჭმუჭნული და გაჩვარებული, – ღვთაებრივი ზანძრით არ ანთებულა". ამიტომაც მარგომ თავი დაიჯერა, რომ ასეთი მჩატე სიყვარული და ასეთი უსისხლო ცოლ-ქმრობა ამქვეყნიური და ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილიყო, ხოლო ის გაგიჟება და ცაში ავარდნილი ვნება, რომელიც წიგნებში ჰქონდა წაკითხული, „პოეტების მშვენიერი ნაჭორალი და მათი ადუღებული ტვინის ნაბოდვარი ეგონა".

გაჭირვებულმა ცხოვრებამ მარგო შეცვალა. მას არასოდეს ებრძოლა ცხოვრებასთან ლუკმაპურისათვის. ამიტომაც ეს „მომთმენი დედაკაცი საბოლოოდ ხელში ჩაუვარდა უჩვეულო ცხოვრებას, სავსებით დაემორჩილა მას და უსიტყვოდ, ხელის გაუნძრევლად მისცა თავი სრულ აპპატიას, გულგრილობას, სულერთიაობას და გარინდულობას".

მარგო ყველაფერს ითმენდა, მაგრამ, იმავდროულაად, აშფოთებდა ქმრის უნდილობა, ამიტომაც მათ ოჯახში ზიზღმა დაისადგურა, ცოლ-ქმარმა ერთმანეთიც შეიძულა და სიცოცხლეც. გამწარებულმა დედაკაცმა ერთხელ თავის უბედო და უნდილ მეუღლეს ერთი წვეთი გესლი შეასხა. როგორ ან როდის გამოეცალა ხევისთავის უდუღაბო ციხეს პირველი აგური, არც თეიმურაზს ახსოვდა, არც მარგოს.

ოჯახი თანდათან ინგრეოდა. „ბოლო ხანებში ცოლიც და ქმარიც მოსწყდნენ, დადნენ, მიილივნენ და სიცოცხლის დღეებსაც აღარ ითვლიდნენ".

მარგომ მრავალგზის დაუმტკიცა თეიმურაზს თანაზიარობა, მუდამ ერთგულად ედგა გვერდში, მის ჭირსა და ვარამს, შიმშილს, სევდასა და ცრემლებს იზიარებდა, უსაზღვრო მოთმინებასა და საარაკო გამძლეობას იჩენდა.

იგი წინასწარ გრძნობს საფრთხეს და არ სურს ნაშინდარში სტუმრად წასვლა ჯაყოსთან. როცა თეიმურაზი ეტყვის, აქ მშივრები დავიხოცებითო, მარგო პასუხობს: „არც თანახმა ვარ, არც უარს ვამბობ, შენვე გადასჭერი. მე გემორჩილები, მაგრამ თუ შენი საქმე უარესად წავიდეს, მე ნუღარაფერს ნუ დამაბრალებ".

მარგო წუხს, რომ თავის ნასახლარში თავის ნამოჯამაგირევს უნდა შეეკედლოს და ჯაყოს სამადლოდ გაიხადოს თავი. თეიმურაზი კი ბედის მორჩილებას ურჩევს. მარგო შეშფოთდება: „შენ მუდამ მორჩილება გაკერია პირზე. აღარ მესმის, რომელია ჩემი ქმარი, უხილავი ბედი თუ ხილული

თეიმურაზ ხევისთავი". თეიმურაზი ამაზე გულგრილად მიუგებს: „ჩვენს დროში უფრო ბედია ჩვენი პატრონი, ვიდრე ჩვენ თვითონ". ამით იგი პასუხისმგებლობას იხსნის, მაგრამ მარგო არ ეპუება და ჯიქურად ეუბნება: „ჩვენს დროში! ისე ამბობ, თითქოს სხვა დროს შენვე ჰქმნიდი ჩვენს ბედს. ყველაფერი მზამზარეული მოგვდიოდა სოფლიდან, ჩვენ კი ვხარჯავდით და ვსუქდებოდით".

მეუღლე ბრალს სდებს თეიმურაზს ამგვარი ყოფისათვის: „აკი მოვიდა შენი დათესილი თესლი, აკი მიიღე მოსავალი! შენივე ნახიზნართან ხიზნად შედიხარ. განა ეს მოსავალი არ არის?"

თეიმურაზმა მარგოს ეს სიტყვები მხოლოდ გესლად ჩათვალა და არა წინდახედულ მხილებად. მარგო საყვედურობს, რომ ჯაყოს სამადლოდ გაიხადა თავი, რომ „ჯაყოს ხიზნობა არჩია ახალი ცხოვრებისათვის კისრის მოდრეკას".

ცოლი ცდილობს თეიმურაზის გადარწმუნებას, რომ არ წაჰყვნენ ჯაყოს: „აქ თუ ვერ მოიკიდე ფეხი, იქ ხომ უარესად გაგიძნელდება. მერმე რას აპირებ!"

მარგომ კარგად იცის ქმრის ბუნება. მისი სიტყვები განაჩენივით ჟღერს: „მარტოხელა რომ დარჩე და საკუთარ გზას დაადგე, სულ ადვილად დაიღუპები. შენ ბრძოლისათვის და თავისუფალი შემოქმედებისათვის არა ხარ შექმნილი, თეიმურაზ!"

ამას იმიტომ ეუბნება, რომ დაინახა, თეიმურაზმა ვერ შეინახა და დაიცვა მამაპაპური მამული, ზოგი გაყიდა, ზოგი ჯაყომ მოჰპარა: „შენ ჩვეული ხარ ხარჯს, მაგრამ შოვნა და მოგება კი შენი საქმე არ არის"

მარგო ცდილობს, თვალი აუხილოს ქმარს, ეუბნება, რომ ყბედი და ენაჭარტალაა, ამიტომაც დაითხოვეს სამსახურიდან. იგი მაინც ვერ დააჯერებს ქმარს და მალე თეიმურაზი ჯაყოს გაჰყვება. მარგოს გული სტკივა, რომ „ისედაც მონგრეული ბუდე საბოლოოდ მოიშალა, ხოლო თვითონ ჰაერში ჩამოეკიდა, დედამიწას მოსწყდა და თვალუწვდენ მომავალში გადავარდა, რომელსაც არც ძირი ჰქონდა, არც თავი, არც კედელი; არც ხელმოსაჭიდი".

მარგოს წინათგრძნობა ახდა. ჯაყომ პატივი აჰყარა, შეურაცხყო. თავდაპირველად მარგოს თეიმურაზის იმედი ჰქონდა, რომ ქმარი ძვირად დაუსვამდა ჯაყოს ამ თავხედობას, უბადრუკ ნადირს და მხეცს თავ-ბედს აწყევლინებდა, მაგრამ მოტყუვდა. თუმცა, თვითონაც ვერ გაბედა შერცხვენის გამხელა, მერე კი შეეჭვდა, ღირდა კი რაიმეს თქმა. თავისი ჭკუით, პატიოსნებას გაუფრთხილდა, ოღონდაც არავის გაეგო და ცოლ-ქმარს საქვეყნოდ სირცხვილი არ ეჭამა.

მერე მარგოს გულში მძაფრი ჭიდილი დაიწყო – ხორცი აუჯანყდა. თითქოს ბოროტი სული შეუსახლდა, რომელიც თავისკენ იბირებდა. „იქნებ სჯობდეს კიდევაც, რომ სამუდამოდ შერჩე ჯაყოს... ჯაყო ყველაფერს მოგცემს, რაც შენ გინდა: სიყვარულის ცეცხლს, კეთილ ცხოვრებას, ახალგაზრდა ვაჟკაცის ძალ-ღონეს და ... დღევანდელზე უკეთეს მომავალს ... თეიმურაზი კი... მას აქვს წარსული, მომავალთა შორის პატივი, საჭურისის ცოდნა და ...ზინზიბარი".

ქალი წინააღმდეგობას უწევს შემოჩენილ ეშმაკს, „ის უხილავი და მარგო დიდხანს ებრძოდნენ ერთმანეთს“. მთელი ღამე ფიქრობს მარგო და თანდათან ბრძოლის ველს თითო ნაბიჯით უთმობს, მაგრამ გონების და უჩინარის ცხარე ბრძოლაში წილს არ იღებენ მარგოს გული და სისხლი. ისინი თითქოს უცხონი არიან, „თითქოს განაპირდნენ, განზე გადგნენ და თითქოს იმ უჩინარსაც კი ემხრობიან“.

მარგოს არსებაში ხშირად იფეთქებდა ხოლმე თეიმურაზის უძლურებისადმი პროტესტი. უთქვამს კიდეც, რომ ბუხარში შეეკეთებინა წიგნებიცა და თავისი ნაწერებიც, რადგან არ სურდა „ფუღურო სიტყვები და ჭიანაჭამი ცოდნა“. მარგომ იცის ერთი სიბრძნე, რომ „მჩატესა და უძვალო ჭიაყელას ბუზიც კი იბრიყვებს“. მარგოსათვის თეიმურაზი სწორედ ასეთი უძვლო ჭიაყელაა. იგი ქმარს ჯიქურ მიახლის: „ჯაყომ არაფერი არ იცის, მაგრამ ყველაფერი შეუძლია. შენ ყველაფერი იცი, მაგრამ სანაგვეზე გადასაგდები ჩვარი ხარ. რა კაცი ხარ, ქათამიც ვერ დაგიკლავს“.

ნელ-ნელა მარგოს თვალში ჯაყოს ფასი დაედო. ხორცმა იძალა. იგი ჯაყოს მონა-მორჩილად იქცა.

ირონიას, გროტესკულ ეფექტს ზოგჯერ სიტყვათა თამაშითაც აღწევს ჯავახიშვილი: „ნეტა ვიცოდე, მარგო, რამ გარგო აგრე რიგად?“

„რამ არგო აგრე რიგად მარგოს“ – „მარგო – გარგო“ სიტყვათა თამაშში მწვავე ირონია იფარება.

თეიმურაზი კი მიხვდა მარტივსა და ბუნებრივ კანონს, რომ მარგოს მოვლა-პატრონობა და მზრუნველობა, სიყვარული სჭირდებოდა. „რაც მარგოს თეიმურაზმა დააკლო, ჯაყომ შეუვსო“.

როცა ხევისთავი მარგოს ჰკითხავს, დაუდგეს თუ არა ჯაყოს დუქანში დახლიდარად, ცოლი უპასუხებს, რომ ცუდ-უბრალოდ ხეტიალს ისევ დახლიდარობა სჯობია: „ჯაყოს მადლს მაინც არ დაგაყვედრიან“.

როცა თეიმურაზი დათანხმდა, ყოფილიყო მარგოს ძმა, მარგომ უსაზღვრო შეურაცხყოფა იგრძნო, თითქოს წაუშლელი ჩირქი მოსცხეს, მან ზურგი აქცია თეიმურაზს. „თვალებში რისხვის ნაპერწკლებმა გაუელვეს და ტუჩების ნაოჭებში მძულვარებისა და ზიზღის ზოლები ჩაუწვნენ“.

მარგო ისევ შეაბა უღელში ჯაყომ, როგორც მანამდე სხვა ცოლები. ნაშინდარშო მობრუნებული დაჩაჩანაკებული თეიმურაზი მარგოს მიადგება. ნაცოლარს არ სურს მასთან საუბარი, ხმას მხოლოდ იმიტომ ამოიღებს, რომ ბრალი დასდოს თავის ასეთ დამცირებაში: „საკუთარი თავის ასე დამცირება ამპარტავნებაზე უარესია... უარესია მეთქი! შენზე ცუდმედიდი სატანა არ იქნება. შენ... შენის თავმდაბლობით შენი თავიც დაღუპე და მეც გამაცამტვერე“. „აქამდე როგორ ვერ გაიგე და ვერ გამოარკვიე, რომ შენ... მამაკაცი ხარ... რომ მამაკაცი უნდა იყო, შენ კი... შენ... ოოჰ, თეიმურ! თეიმურაზ! ეს რა მიყავი! ეს რა დღეში ჩამაგდე! ღმერთმა ჩემი ცოდვა შენ დაგაკისროს, თეიმურ!“

რატომ დაარქვა თეიმურაზ ხევისთავის მეუღლეს ავტორმა მარგო, მარგარიტა? ვფიქრობთ, ეს სახელი უშუალო კავშირში უნდა იყოს იესოს შეგონებასთან, რომელიც თეიმურაზ ხევისთავს თავისი ცხოვრების უმძიმეს წუთებში გაახსენდება და სინდისს უფორიაქებს. „ნუ მისცემთ სიწმიდესა

ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქვენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერხითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ". (მ. 7, 6)

სწორეს ამის საწინააღმდეგოდ მოიქცა თეიმურაზი, თავის სიწმინდე, თავისი მარგალიტი – მარგო – თავისი დაუდევრობით ჩაუგდო ხელთ ჯაყოს და თავიც დაიღუპა.

მარგოს ალეგორიულ სახეში თვითონ საქართველოს ბედი ირეკლება, ხოლო, მის წამოძახილში: „ღმერთმა ჩემი ცოდვა შენ დაგაკისროს", ყველა გონიერი ქართველის მიმართ საყვედური და ჩივილი გაისმა.

„ჯაყო სწერს კანონებს"

რომანში ჯაყო წარმოდგენილია, როგორც ბნელი ძალა, რომელიც ანადგურებს და სპობს სინათლეს. ჯაყოსნაირები ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობენ და, საზოგადოდ, ადამიანში ცხოველური საწყისის გააქტიურებას მოწმობენ.

გარკვეულმა საზოგადოებრივ-სოციალურმა პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯაყოსნაირების ცხოვრების ზედაპირზე წამოტივტივება, მათ ხელში ძალაუფლების ჩაგდება. ამ შემთხვევაში, ისინი არა მხოლოდ საკუთარ თავს ვნებენ (სულიერების ჩათვლით), არამედ სხვებსაც, საზოგადოების ზნეობრივ გახრწნასა და გადაგვარებას უწყობენ ხელს, რადგან საკუთარ კანონებს უზენაესად მიიჩნევენ.

ჯაყოსნაირები განსაკუთრებით წარმოჩნდნენ XX საუკუნის 30-იან წლებშიც, როდესაც უამრავი მამულიშვილი მოღალატედ, ფაშისტად გამოაცხადეს და ტანჯვა-წამებით სული ამოხადეს. სწორედ მათ შეიწირეს მიხეილ ჯავახიშვილიც, რომელიც 1937 წლის 30 სექტემბერს დახვრიტეს თბილისში (ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ ქეთევან ჯავახიშვილის ნიგნში „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება", თბ. 1991).

რომანში ჩვენ თვალწინ „იზრდება" ჯაყო, ძალას იკრებს და საზოგადოების ერთგვარ „კანონმდებლად" იქცევა.

მის არსებობას საუკეთესოდ გამოხატავს სიტყვები, რომელთაც ხშირად იმეორებს: „აგრე ვიცის ჯაყომა".

ოსი ჯაყოს დამახინჯებული ქართული თეიმურაზისა და მარგოს ირონიას იწვევს. მაგრამ ძალიან ჩქარა „აგრე ვიცის" გამოავლენს თავის ჭეშმარიტ არსს. უვნებელი სიტყვების მიღმა იფარება ჯაყოს დამანგრეველი ენერგია, რომელიც გააცამტვერებს ხევისთავების ოჯახს.

ჯაყომ, მართლაც, ყველაფერი „იცის". თვითონ ასე ჰგონია და სხვებიც უსიტყვოდ მორჩილებენ მის „ცოდნას". თვით ბრძენი თეიმურაზიც კი ტყუვდება და ბატკნის ქურქში გახვეულ მგელს სახლში გაუფრთხილებლად შემოუშვებს, დააპურებს.

მწერლისთვის ჯივაშვილი ახალი ჯურის ადამიანია, რომელსაც დროის შესაფერისი კუნთები აქვს, ბასრი კლანჭები და ფოლადის კბილები. „ჯაყო-

ოები ამ კლანჭებით და კბილებით უძურ ჭიაყელებს დაიპყრობენ, აღვირაწყვეტილ მხეცს დაიმორჩილებენ. მოშლილ უფლებას დაისაკუთრებენ, დაფანტულ ქონებას ხელახლა დააგროვებენ, ზარმაცებს აამუშავებენ, მოდუნებულ ძარღვებს გააცოცხლებენ, ახალ წესრიგს დაამყარებენ, თანაც ყველას გემრიელ ლუკმას გაუჩენენ".

თავის დროზე თეიმურაზის ოჯახმა ჯაყო შეიფარა, როგორც ობოლი და უპატრონო, მაგრამ მალე ჯაყომ ფეხი მოიმაგრა, ობლობა დაივიწყა, მთებიდან კი მოულოდნელად კბილებამდე შეიარაღებული ხუთი ჯივაშვილი ჩამოვარდა. ისინი ჯაყოს ამოუდგნენ მხარში და მისი სიძლიერე განამტკიცეს.

ჯაყომ იოლად აუღო ალღო ცხოვრებას, „მტრებიც შეირიგა და ხელისუფლებაც გაიმაგრა". ყველაფერზე „ჩემია, ჩემიას" გაიძახოდა და არც არავინ ჰყავდა მძრახველი. ჯერ ჟორდანიას მთავრობას აქებდა, მერე ბოლშევიკებისას, ერთი სიტყვით, მისთვის სულ ერთი იყო, ვინ იქნებოდა მთავრობაში, რომელი იდეოლოგია იქნებოდა ქვეყანაში, მთავარია, თვითონ კარგად ყოფილიყო. როგორც რომანშია: „ხელისუფლება და პირველობა ჯაყოს თავისთავად ჩაუვარდა ხელში".

ამიერიდან ნაშინდარის თავის გახდა, მსაჯულიც, ვექილიც და მზრუნველიც. უგუნური და ბრიყვი გორისა და ცხინვალის მთავრობას ხალხის სახელით ელაპარაკებოდა, ყველას ქრთამავდა და თავის მხარეზე იბირებდა ათასნაირი ძღვენის საშუალებით. ამგვარი მცირე ძღვენით ადუნებდა თეიმურაზის გონებასაც, სანამ ერთ მშვენიერ დღეს არ აუწყა ქონების გაპარტახების ამბავი.

ჯაყოს ზეობასთან ერთად „ვარდისფერი საქართველო დამუქდა და განითლდა". ვარდისფერი – ნოე ჟორდანიას მთავრობას გულისხმობს, წითელი კი– ბოლშევიკურ რეჟიმს. 1921 წელს საქართველო ძალადობრივად გასაბჭოვდა. ჯაყო ხელისუფლებას ასე ეღიჭინებოდა: „ჩვენი ხალხი ძალიან რევალცია ხალხია, შენი წირი მე, მუდამ მზათა ხართ თოფი გესროლოთ მტრებსა და ყაჩაღებსა. ნაშინდარში ყველანი ძმები ხართ და ძმა-ბიწურად ცხოვრობთ... ჩვენ, შენი წირი მე, არაფერი არ გინდა ბალშენიკებისაგან. მარტო ნალოგი ნუ წაიღებდე. წლეულს ძალიან ცუდი მოსავალი გქონდა. ყველასა გშიან, შენი წირი მე, სეტყვაც მოგივიდა და გოლვაც ჰქონდა, სულ დაგილპა იქაურობა, შენი წირი მე, სულ".

ჯაყოს ამგვარი ფლიდობა ჭრიდა, რადგან ხელისუფლებაშიც მასავით უგუნურნი იყვნენ, სულ ცოტა ხანში კი, მისნაირები უმაღლეს მთავრობაშიც მოგვეელინებოდნენ. გზას კი ზუსტად, ან მიახლოებით ასე გადიოდნენ კიბის დაბალი საფეხურებიდან ძლაუფლების მწვერვალებამდე..

სოფლის მთელი მოსავალი ჯაყოს ოჯახში შედიოდა, ამისათვის ის საკმაოდ ირჯებოდა, თუმცა, აგრერიგად ხელ-ფეხის განძრევა არ უყვარდა, სამაგიეროდ მბრძანებლობას შეეთვისა დიდებულად. ბოლშევიკებს კი პირფერულად ასე ლოცავდა: „ღმერთმა გაკურთხოს ბოლშენიკების მთავრობა, რომელმაც სანყალ ჯაყოს სახლიც მოგცა, ბაღიც, ვენახიცა და კარგი ზაკონიცა! ძირს ჟორდანია! აღარ გინდა ჯაყოს ბურჯუა. ძირს მთავრობაი".

თეიმურაზს იგი რასპუტინსაც აგონებს – „ბნელს, მურდალსა და რეგვენ

ციმბირელ მუჟიკს". ხევისთავმა იცის, რომ „რასპუტინის რელიგიურ და მისტიკურ ბოდვას სარჩულად ედო ბნელი და მძლეთამძლე სქესი, რომელმაც ამ ქადაგს სეფე ქალებიც კი დაუმორჩილა".

ჯაყო თეიმურაზისთვის ტყიდან გამოვარდნილი დათვია, უგუნური პირუტყვი, რეგვენი, ბრიყვი, ბნელი და უკვირს, გუშინდელმა მოჯამაგირემ, ნეხვით შეთხუპნულმა და ჭუჭყიანმა, როგორ შეძლო, რომ ყველაფერი წაართვა, თვით ცოლიც კი დაამდაბლა და შეურაცხყო საზოგადო მოღვაწე, ცნობილი მწერალი, პატიოსანთა შორის პატივდებული, ამაყი და ქედუხრელი თავადიშვილი. თეიმურაზმა ჯაყოს „მარგალიტი ფეხთქვეშ დაუფინა" და ბუნებრივია, ღორმაც იგი გათელა დაუნდობლად.

ჯაყოსათვის მხოლოდ პრაქტიკული ღირებულება აქვს საუკუნეების წინანდელ ძვირფას სიგელ-გუჯრებსა თუ წიგნებს, ამიტომაც მოურიდებლად იყენებს მწნილის ქილების დასაფარავად და ათასგვარი ყოფითი საჭიროებისათვის. მას სულაც არ ადარდებს, თუ ზოგიერთი ნივთი „ასი და ხუთასი წლის ისტორიისაა".

ჯაყო იოლად ხვდება, ვინ უნდა აქოს, რა უნდა გააკეთოს, რომ ყოველთვის მოგებული დარჩეს. იგი მედროვეა. იმას აქებს, რაც ხელისუფლებას მოსწონს. როცა საქართველოში ეკლესიებს კეტავდნენ, ჯაყო სხვებზე გულმოდგინედ გაჰკიოდა: „აღარ გინდა ეკლესია! ჩორტუ ეკლესია! ეკლესია დაძველდა, მორჩი და გათავდი". სწორედ მან დააკეტინა ხევისთავთა 10 საუკუნის ეკლესია, მერე კი, როცა მარგოზე ჯვრისწერა გადაწყვიტა, ისევ გაახსნევინა, ძველი გადამალული ზანდუკიდან ამოალაგა ძვირფასი ტანსაცმელი, თავადიშვილივით მოირთო და ისე დაიწერა ჯვარი მარგოზე.

თეიმურაზმა იცის, რომ ჯაყოსთვის რევოლუცია მხოლოდ დროებითი სარგებელია, ამიტომაც ეუბნება: „ჯაყო, თავი დაანებე რევოლუციას! თქვენ ერთმანეთს არც კი იცნობთ. რევოლუცია შენთვის მღვრიე წყალია, ხელსაყრელი ნიღაბია. მეწველი ფურია. შენ კი, შენ რევოლუციის მუნი ხარ, მისი წურბელა ხარ, მისი ტკიპი, მისი ბაღლინჯო და ტილი".

ამ „ხელსაყრელ ნიღაბს" და „მეწველ ფურს" ყველა ნამუსგარეცხილი მიეტანა და შესანიშნავად დაიჭირა „ამღვრეულ წყალში" სასურველი „ოქროს თევზები".

ჯაყოს ყოველი საქციელი მოჩვენებითია, მისი გონება სიღრმით ვერაფერს სწვდება, მხოლოდ ზედაპირს ირეკლავს. იგი ხალხს არწმუნებს, რომ ღმერთი სწყალობს. მთავრობასაც იმიტომ იფიცებს, რომ მისნაირებს იცავს: „წმინდა ჯვივარგი ყარაულად დაუდგეს ჩვენს რევალციასა, თორემა, თუ ბრინკა დაბრუნდებოდე ამ სოფელში და მიწა წაილებდე, ჩვენისთანა საწყალი ხალხი აქ აღარ დადგებოდე".

მან თეიმურაზი თავის ხიზნად აქცია და ბატონად დაუდგა, დაინახა, რომ ნაბატონარს მთავრობა სამსახურს არ აძლევდა, ქალაქშიც ველარ ბრუნდებოდა და უსაქმოდ დაეხეტებოდა, ამიტომაც საკუთარ დუქანში დახლიდარობა შესთავაზა. თვითონ ჯაყო ამ საქმეში დიდად იყო გამოცდილი. მან ჩქარა აუღო ალღო ფულის შოვნას. გლეხებსაც იოლად ატუტუცებდა და სხვები თუ კოტრდებოდნენ, ჯაყო იგებდა.

ჯაყო ხევისთავთა საგვარეულო სითიკანზე ჯდება. სითიკანს ასე

განმარტავდა სულხან-საბა – „მამამთავართ საჯდომი ადგილი“ – ე.ი. ჯაყო სიმბოლურად იკავებს ხევისთავთა ადგილს – ხევისთავთა სითიკანზე მჯდომი ჯაყო და მის აქეთ-იქით შემოსხდარი დაკნინებული ხევისთავები ეპოქის ფატალური სახე-სიმბოლოა რომანში.

მან „ფესვები გაიდგა“, მრავალი ნაცნობი შეიძინა. ნათესავებიც ერთბაშად მოუმრავლდნენ. როკელები, ჯაველები და ბარის მეზობლები ხშირად ნისიად აძლევდნენ მატყლს, ერბოსა და ყველს, ამ საქონელს ჯაყო გორში ან ქალაქში ჰყიდდა და სოფელში ჩამოჰქონდა ნავთი, მარილი, საპონი და სხვა წვრილმანები. მან არაფერი იცოდა ბუღალტერიისა და არც აინტერესებდა. თეიმურაზმა კი ზეპირად იცის ბუღალტერია, მაგრამ თავს ვერაფერს აბამს, რადგან პრაქტიკულად ვერ იყენებს ცოდნას.

ჯაყომ ისიც არ იცის, რომ მზე ტრიალებს და სასაცილოდ არ ჰყოფნის ამ საკითხზე თეიმურაზის საუბარი. იგი ხევისთავს ეუბნება, ღერძი დედამიწას კი არა, შენ გაქვს ჭკუაში, თორემ მიწას ვინ დაძრავს ადგილიდანო, შენმა წიგნებმა გაგასულელეს, „ჩორტუ შენი ღერძიც და ბუღალტერიაცო“. ჯაყო იმდენად „პრაქტიკულია“, რომ სამომავლოდ თეიმურაზის ნაკითხობის გამოყენებასაც ამგვარად გეგმავს: „მე „ნაჩალნიკი“ ვიქნები და შენ ჩემი „პისარიო“.

მარგო ჯაყოს გამოცვლას შეეცადა, გაპარსა, დაბანა, სუფთად ჩააცვა, წერა-კითხვაც ასწავლა, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ გარეგნული „გალამაზება“ იყო, ჯაყო იმგვარივე მტაცებლად დარჩა, როგორიც იყო. ამიტომ, მალე თავის „სათაყვანებელ კნეინასაც“ ისევე მოექცა, როგორც თავის სხვა ნაცოლარებს, ძონძები ჩააცვა და ზურგზე ფქვილით სავსე მძიმე ტომარა აჰკიდა.

როგორ იყენებს წერა-კითხვის ცოდნას ჯაყო? პირველი, რაც მან დაწერა, იყო „ჯაყო ხევისთავი“, რითაც თავისი ნამალავ-ნაჩუმათევი სანუკვარი ოცნება გაამჟღავნა.

მეორეც – თუ მანამდე აღებ-მიცემობას ჩხირების დახმარებით აწარმოებდა, ახლა რვეულში ჩაწერა: „გიბა ფუხაშვილი გმართებს ჯაყოსი ცხრა კოდი სიმინდი... ხოლო გელაშვილი გმართებს ხუთი ჩანახი ლობიო... სანდრო თვაურსა რვა ფუთი მატყლი“.

რად უნდა ჯაყოს გაზეთი?

„ჯაყოს ძალიან გინდა იცოდე ქვეყნის ამბები და ახალი ზაკონები, თორემა ილაი და ნიკაი გჯობნიან“...

თუ თეიმურაზისთვის ცოდნას თავისთავადი ღირებულება აქვს, მიუხედავად მისი პრაგმატული დანიშნულებისა, ჯაყო ყველაფერს პრაქტიკული თვალით აფასებს.

ჯერ მარგო და შემდეგ ივანე აფრთხილებდნენ თეიმურაზს იმ საშიშროებაზე, რომელსაც ჯაყოსთან „დაახლოება“ მოიტანდა. ამაყი თავადიშვილი კი არ გაფრთხილდა და მარგოს პატიოსნება, სინდისი და ღირსება გაათელინა ჯაყოს.

სოფლის ახალი თაობა, რომელიც თამამად ილაშქრებდა ჯაყოს წინააღმდეგ, თეიმურაზისთვის თვალის ახელას ცდილობდა. ნინიკამ უსაყვედურა თეიმურაზს ჯაყოს დუქანში დადგომა, მან კი თავი ასე გაიმართლა: „უს-

აქმურობას ისევ ეს სჯობიაო". ილაც ცდილობს მის გამოფხიზლებას: „რაღა ჯაყოს მიეშველე?!" თედოც არ ჩამორჩება თანასოფლელებს და თეიმურაზს პირში მიახლის: „შენი ოჯახიც მაგან შეჭამა და ეხლა დახლიდარად დაგიყენაო", მაგრამ თეიმურაზთან ლაპარაკი წყლის ნაყვას ჰგავს.

ამ ახალგაზრდებისათვის კი ჯაყო წინანდელ ჩარჩზე უარესი არამზადა იყო. მათ თვალწინ ჩაიგდო ჯაყომ თეიმურაზის ქონება, სოფელი აიკლო, ხალხს ტყავი გააძრო, საქონელი მოსტაცა, ღალა გამოართვა, ქალებს ნამუსი აჰხადა.

დიდხანს ეგონა ხალხს, რომ ჯაყო მათი კეთილისმყოფელი იყო, რადგან ხანდახან, მათი გულის მოსაგებად, ხელს შეაშველებდა ხოლმე გაჭირვებაში, ისევ მათსავე ნაოფლარს მცირედ უწყალობებდა.

ჯაყომ როცა ყველაფერი იშოვა, მერე გვარიშვილობასაც წაეპოტინა, მარგოსაგან შეძენილი ბავშვისთვის თეიმურაზს თავხედურად და ბილწად გვარი გამოსთხოვა.

საინტერესოა ერთი დეტალი, როცა ნინიკა არ შეეპუა ჯაყოს და ძალადობაზე ძალადობით უპასუხა, ჯაყო ერთბაშად დალაჩრდა, დაიბნა და დამარცხებული თავგაჩეხილი გაშორდა „ბრძოლის ასპარეზს".

სოფლის ახალგაზრდობამ თავისი გაიტანა და ჯაყოს თეიმურაზის ქონება ჩამოართვეს, განძეულობა მუზეუმში გაგზავნეს, ზოგი ავეჯი სოფლის საბჭოს მისცეს, ზოგი სკოლას და ზოგი მასწავლებელს.

„ჯაყომ ძალიან წააგე, მაგრამ კიდევ დაგრჩა ჯაყოსა", – ეუბნება ჯაყო თეიმურაზს. ის ისევ ელოდება თავის დროს ისეთივე შემართებით, როგორც ოდესღაც შემოვარდა თეიმურაზის ოჯახში, სჯერა, რომ მარჯვე დროს აუცილებლად ნახავს ფეხზე წამოსადგომად, ოღონდაც თეიმურაზისთანანი დაიგულვოს ახლოს. „დაიცადეთ! მომიცადეთო!" – ჯაყოს ეს დაქადნება დღევანდელ დღესაც საზარელ დაშინებად გაისმის, ამიტომაც ფრთხილად უნდა იყოს ქვეყნის პატრონი და ბედისწერის სამართალს თავისი ნებაც მიაშველოს.

ჯაყოს დროებითი გამარჯვება სამყაროს სასიცოცხლო ძალების წინააღმდეგაა მიმართული, იგი ბოროტებაა, რომელსაც არსი არა აქვს (დიონისო არეოპაგელი), ამიტომ აუცილებლად იძლევა სიკეთის მიერ. სიკეთის უპირველესი მცველი კი მწერალია, რომელიც საკუთარი შემოქმედებით სიყვარულისა და სამართლიანობის, ღირსებისა და კეთილშობილების, თავისუფლებისა და რწმენის სადარაჯოზე დგას.

მიხეილ ჯავახიშვილის აზრით, „ქართული კალამი ორეულია გოლგოთის ჯვრისა,

ხოლო მისი პატრონი ყოველთვის ჰგავდა იმ მთაზე აღმავალ მაცხოვარს". ეს მწერლის დიდი ტვირთი და პასუხისმგებლობაა, ამიტომაც არის „ჯაყოს ხიზნები" მწერლის თვითგვემა, თვითმხილება.



ნიკო ლორთქიფანიძე
(1880 – 1944)

„ჩვენ მტირალნი ღაწვსა ვბანდით“

(ნიკო ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“)

ნიკო ლორთქიფანიძეს კონსტანტინე გამსახურდია „ქართული პროზის ბატონიშვილს“ უწოდებდა, რადგანაც XX საუკუნის დასაწყისის ქართული მოდერნისტული (კერძოდ, იმპრესიონისტული) პროზა ამ მწერლის გარეშე წარმოუდგენელია.

იმპრესიონიზმი წუთიერი შთაბეჭდილების ასახვას, პერსონაჟის ცხოვრების წუთებით, მოკლე-მოკლე ამბებით, „დატეხილ ეპიზოდებად“ წარმოდგენას გულისხმობს. მწერალი სულმოუთქმელად გადადის ერთი ამბიდან მეორეზე, თითქოს უდროობითაა შეწუხებული და ცდილობს, ყოველივე რაც შეიძლება ლაკონურად გვიამბოს. მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს პერსონაჟის ცხოვრების მხოლოდ გამორჩეულ და უმნიშვნელოვანეს დეტალებს, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მოკლედ დაწერილ გეგმას ვეცნობით, გმირის ყოფა და მდგომარეობა კი ჩვენ თვითონ უნდა წარმოვიდგინოთ.

ნიკო ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“ იმპრესიონისტული მოთხრობაა. იგი ასეა აგებული: ელის დაბადება, ბანკეტი, ქორწილში დატრიალებული უბედურება, იერონიმეს გაცნობა, ქორწილი, შვილი და გაქცევა, ჰექსლეის გაცნობა, გამგზავრება თბილისიდან, რამინო, ევროპა, ბრომლეი, ელი უცხოეთში, რამინოს გაყიდვა, ცეკვა გველებთან, გარდაცვალება და დაკრძალვა. ნაწარმოები ჰგავს ფერადი ნატეხებით აგებულ ვიტრაჟს, ბოლოს რომ ერთიანობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ყოველ ამ ნატეხში ორიოდე ფრაზით გადმოცემულია საყურადღებო დეტალი, მკითხველი თანამონაწილეა ავტორისა, ბევრი რამ თავად უნდა წარმოიდგინოს.

ასე მაგ., ნიკო ლორთქიფანიძე ელის დაბადების თხრობისას ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ მის სახელსა და ამ სახელის მივიწყებაზე; არაფერს გვიამბობს ელის იერონიმესთან ცხოვრებაზე, ჩვენით უნდა გავიაზროთ, როგორც უსიყვარულო, მოსაბეზრებელი და გაჭირვებული ყოფა;

ჰექსლეის გაფიქრებით „ჩონჩხითაც კი ვიცნობ მშვენიერებას“ გამოიხატება ელის სიდუხჭირეში ცხოვრება;

თბილისიდან გამგზავრებისას გლეხების ჩასმა მანქანაში იმ ტკივილს დაგვანახვებს, ელის სულში რომ ჩაბუდებულა და მიგვახვედრებს, რამდენად ძვირფასია მისთვის აქაურობა, როგორ უჭირს სამშობლოსთან გამოთხოვება. მისთვის უცნობ ადამიანებს საოცარი სითბოთი და სიყვარულით ეპყრობა. „ესენი არიან ის საშინელი გლეხები“... – გაიფიქრა ქალმა. – ტყუილია! მამაც ასე ამბობდა, ზრდილობიანი, ნამუსიანი, მშრომელი ხალხიაო“...

ყველაზე ხანგრძლივი ეპიზოდი მოთხრობის კულმინაციაა – ელის ცეკვა გველებთან – ეპიზოდი, რომელიც თითქოს ამოვარდნილია ნაწარმოების თხრობის მანერიდან, რადგან ავტორი ცვლის სტილს და ყველაფერს გადმოგვცემს, არა მხოლოდ ერთ საყურადღებო დეტალსა თუ შთაბეჭდილებას. ეს ცვლილებაც მკითხველის ყურადღების მისაპყრობადაა გამიზნული და მოთხრობაში უმთავრესისა და უმნიშვნელოვანესის აქცენტირებას ისახავს მიზნად.

ნიკო ლორთქიფანიძის სტილს „დეპეშურს“ უწოდებენ, რაც თვალითაც იოლად აღიქმება. მოკლე, ზოგჯერ სახელდებითი (უზმნო) წინადადებები შეუსაბამებია მწერალს იმპრესიონისტული წერის მანერისთვის. ამით ნაწარმოების ტემპი ჩქარდება და წუთის შთაბეჭდილებას მიესადაგება.

ცხადია, ამგვარად დაწერილი მოთხრობა კლასიკური სტილით შექმნილთან შედარებით ბევრად უფრო მოკლე გამოდის. იმპრესიონიზმი ამითაც უბამს მხარს მეოცე საუკუნის აჩქარებულ ტემპს, „შეშლილ მსოფლიოს“, რომლისთვისაც რომანი მოკვდა, რადგან მათ მშვიდად და ხანგრძლივად საკითხავად დროს ველარ პოულობს...

„შელოცვა რადიოთი“ სათაურიდანვე იპყრობს მკითხველის ყურადღებას იდუმალების განცდითა და მოულოდნელობის ეფექტით. შელოცვა თავისთავადაა იდუმალი, მას ინტიმური, მშვიდი გარემო შეეფერება და არა – დისტანცია, რადიოთი გადაცემა. ნაწარმოების გაცნობის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ მწერალი სათაურს განსაკუთრებულ ფუნქციას აკისრებს – მოთხრობის იდეურ „გასაღებად“ გადააქცევს, წარმოაჩენს ქართველთა განსხვავებულობას. გველის შხამის საწინააღმდეგო ანტიდოტი, რომელიც სასწრაფოდ შექმნეს, ნებისმიერ ევროპელსა თუ ამერიკელს გამოადგებოდა წამლად და გადაარჩენდა, მაგრამ ელის – არა. ქართველ ქალს როსკანას ლოცვა სჭირდებოდა და ამ გზით კავშირი წინაპრებთან, ლოცვა, სხვათათვის მხოლოდ ბოდვა ან პრუტუნი რომაა, სასცილოდაც რომ არ ჰყოფნით ამგვარი წამლის არსებობა. ელი კი ამ სიტყვების მოსმენის სურვილითაც სამშობლოსთან დაკავშირებისა და სიცოცხლის ამ გზით შენარჩუნებისათვის იბრძოდა, სამწუხაროდ, დაგვიანებული აღმოჩნდა ლოცვაცა და სინანულიც.

ნიკო ლორთქიფანიძე ხშირად აზუსტებს ნაწარმოების რაობას სათაურის ქვეშ მინაწერით. მაგ.: „დადიანის ასული და მათხოვარი (ლეგენდა)“, „მრისხანე ბატონი (არაისტორიული ამბავი)“ და ა.შ. „შელოცვა რადიოთი“ ავტორს ასე დაუზუსტებია: „დიდი გოდების მცირე ნაკადი“. ნაწარმოების გაცნობის შემდეგ ცხადი ხდება, რომ „დიდი გოდება“ საქართველოს იმდროინდელ ვითარებას, მაშინდელ ქართველთა მძიმე მდგომარეობას გულისხმობს, ელისა და მის მსგავსთა ყოფა კი – „მცირე ნაკადს“ დიდი ტკივილისა, რამდენადაც ისინი ერის მცირე ნაწილი არიან. სხვანაირადაც შეიძლება მწერლის სათქმელის გააზრება – მარადიულად უჭირდა ჩვენს ქვეყანას, აწმყო თითქმის არასოდეს გვწყალობდა, ილიასი არ იყოს, და გაუთავებლად გოდებდა არსებობის შენარჩუნებისთვის მებრძოლი ქართველი, ჩვენი ისტორია, მართლაც, ჰგავს ერთ დიდ გოდებას. ამდენად, მეოცე საუკუნის

დასაწყისის მძიმე ყოფა, შიმშილი, ეკონომიკური თუ სახელმწიფოებრივი კრიზისი მძიმე ისტორიის ერთი ნაკადი იყო.

მოთხრობას ეპიგრაფიც ახლავს, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი რუსთველის სიტყვებია, მცირედ შეცვლილი ნ. ლორთქიფანიძის მიერ:

„რას მიქნევდით, რათ გინდოდათ,
ერთმანეთსა რათა ვგვანდით?
თქვენ მორჭმულნი თამაშობდით,
ჩვენ მტირალნი ღაწვსა ვბანდით“.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა უმეტესობაში ტექსტის ეს ადგილი ამგვარად იკითხება:

„რას მაქნევდით, რა გინდოდათ...“ (დანარჩენი უცვლელია). იშვიათია ამგვარი წაკითხვაც I სტრიქონისა:

„რას მაქმნევდით, რად გინდოდი“.

ნ. ლორთქიფანიძისეული ვარიანტი არც ერთ ხელნაწერში არ დასტურდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ მწერალს გადაუკეთებია რუსთველის ტექსტი და „მოურგია“ ელის ცხოვრებისათვის: „რას მიქნევდით, რათ გინდოდით“ მიესადაგება ელის, რომელიც „ნაპტკვენი ბუმბულივით“ სათამაშო იყო ჰექსლეისა და ბრომლეის ხელში, „მიაგდ-მოაგდეს“ – მსოფლიოს სხვადასხვა კუთხე მიმოატარეს. ამით უნდა აიხსნას ტექსტის ცვლილებაც. „მაქმნევდით“ („მაქნევდით“) ნიშნავს „გამაკეთებინებდით“, „გამომიყენებდით“, ხოლო „მიქნევდით“ – „მიკეთებდით“, „მიმაგდ-მომაგდებდით“, „მიმიქნევ-მომიქნევდით“. ამ მილიონერთათვის ცხოვრება მხოლოდ გართობა და დროსტარება იყო – „მორჭმულნი თამაშობდნენ“, ელისთვის კი – ტანჯვა-ნამება და ნოსტალგია, „მტირალი ღაწვსა ბანდა“. ამიტომ ქართველი მანდილოსანი და მისი თაყვანისმცემლები, მართლაც, არაფრით ჰგავდნენ ერთმანეთს. ეს ეპიგრაფიც მარტოსული ელის ბედზე მიგვანიშნებს, უცხოთა ხელში ტიკინად რომ გადაიქცევა.

მხოლოდ ეპიგრაფი როდია აღებული „ვეფხისტყაოსნიდან“, „შელოცვა რადიოთი“ დავალებულია რუსთველის აფორიზმებით. შალვა გორდელიანის მდგომარეობას არშემდგარი დუელის შემდეგ რუსთველის სიტყვები გამოხატავს: „შალვა ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა, თუმცა ტერფები ეწეპებოდა ქუჩას, და გზა გადიოდა მიხვევ-მოხვევით კლაკვნით ისე, როგორც შოთას ძველი სიტყვები („მაგრამ დამშლიდეს ლხინთაგან სურვილთა დიადობანი“) იკლაკნებოდა მის ტვინში“.

ასევე ელის გასაჭირი, მისი აუტანელი ყოფა უცხოეთში გადმოცემულია რუსთველის სიტყვებით: „მე თუ ზეპირ მიცინია, ქვე ქვე მითქვამს იდუმალი ვა“, რომელნიც ქალის თვალებში იკითხებოდა.

თვით „ვეფხისტყაოსანზე“ კი ნიკო ლორთქიფანიძე ამბობს: „სიტყვა-სიტყვად სწეწდა, ეალერსებოდა, ხელისხელ აგოგმანებდა შოთას, და მით თვრებოდა ერი“. ნ. ლორთქიფანიძის მიერ თავისი მოთხრობის ეპიგრაფად რუსთველის სიტყვების გამოყენებაც ამ დიდი პოეტით „თრობის“ ერთ-ერთი დადასტურებაა.

რაც შეეხება ეპიგრაფის მეორე ნაწილს, ავტორი წყაროს დაუსახელებლად იმოწმებს „სახარებას" მის მიერვე შეცვლილი ტექსტით:

„ეს არის სისხლი ჩემი, თქვენთვის და მრავალთათვის დანთხეული, მისატევებელად ცოდვათა და გასაწამებლად სიცოცხლისა".

მათეს „სახარებაში" ვკითხულობთ:

„ეს არის სისხლი ჩემი ახლისა აღთქმუისაი, მრავალთათვის დათხეული მისატევებლად ცოდვათა" (26, 28);

მარკოზის „სახარებაში":

„ეს არის სისხლი ჩემი ახლისა შჯულისაი, მრავალთათვის დათხეული" (14, 24);

ლუკას „სახარებაში":

„ესე სასუმელი – ახალი შჯული სისხლისა ჩემისაი თქუენთვის დათხეული" (22, 20).

როგორც ვხედავთ, მწერალს ამოუღია „სახარებათა" ტექსტიდან: „ახლისა აღთქუმისაი" („ახლისა შჯულისაი"), შეუერთებია ლუკასა და მათეს „სახარებების" ტექსტები: „თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული" (თუმცა უნდა შეინიშნოს, რომ წირვისას, როდესაც მღვდელი მიიხმობს მაზიარებლებს, სწორედ ეს ფორმა გვხვდება) და მიუმატებია „გასაწამებლად სიცოცხლისა". შესაძლოა, ნ. ლორთქიფანიძეს იმის ხაზგასმა სურდა, რომ ელის ცხოვრება წამება იყო, თუმცა იმის დაშვება, რომ უფალი ადამიანთა გასაწამებლად განკაცდა და ეცვა ჯვარს, მკრეხელობაა...

„წამება" ძირითადად მოწამეობა-მარტვილობას, ტანჯვას ნიშნავს. შეიძლება გამოიყენებოდეს შემდეგი მნიშვნელობითაც: „შედარება", „დამოწმება", „ჩვენება", „დაწვრილება" (ვეყრდნობით ს.ს. ორბელიანისა და ი. აბულაძის განმარტებებს).

ჩვენი აზრით, „გასაწამებლად სიცოცხლისა" აღებულია „ვეფხისტყაოსნიდან" და ნ. ლორთქიფანიძეც იმავე მნიშვნელობას ანიჭებს ამ სიტყვებს, როგორსაც რუსთველი.

„სიცოცხლე გამიწამე" გვხვდება თინათინისა და ავთანდილის საუბრისას, ავთანდილი მადლიერებას გამოხატავს სატრფოს სიტყვების გამო:

„მოახსენა ყმამან: „მზეო, ვინ გიშერი აწამწამე,
სხვა პასუხი რამცა გკადრე, ანუ რამცა შევიწამე,
მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამიწამე,
ვითა მონა, სამსახურად განაღამცა წავე, წა-, მე!"

„ვეფხისტყაოსნის" პირველი მკვლევარის, ვახტანგ VI-ის აზრით, „გამიწამე" წამებას ნიშნავს. მეფე-პოეტი ავთანდილზე ბრძანებს:

„ბატონყმობის საქმე აჩენს – სამსახურისათვის ვეწამებიო".

ნ. ნათაძე „გამიწამეს" ამგვარად განმარტავს: „გადამიწყვიტე, მომისაჯე. შესაძლოა მეორე გაგებაც: გამიმხილე, მაცნობე", ე.ი. მკვლევარი ამ კონკრეტულ შემთხვევაში უარყოფს „გამიწამეს" წამებად გაგებას და „სიცოცხლის მისჯად", „სიცოცხლის ნების მიცემად" ესმის თინათინის სიტყვები.

„ვეფხისტყაოსნის" ვ. ბერიძისეულ კომენტარში ვკითხულობთ:

„ჩვეულებრივ, ამ ადგილს აგრე განმარტავენ: მე სიკვდილს მოველოდი, შენ კი ერთი წამის სიცოცხლე მომეციო!

არ უნდა იყოს მართალი.

აქ ორი ფაქტის დაპირისპირებაა: სიცოცხლისა და სიკვდილის... ეს რომ აგრეა, ამას საუცხოოდ ადასტურებს სათანადო სტრიქონის გარეგნული გაფორმება. სტრიქონი ორ ნაწილად იყოფა... პირველი ნახევრის თითოეულ სიტყვას ზუსტად უპირისპირდება მეორე ნახევრის თითოეული სიტყვა.

მე სიკვდილსა მოველოდი // შენ სიცოცხლე გამიწამე. ე.ი.

მე // შენ; სიკვდილსა // სიცოცხლე; მოველოდი // გამიწამე...

შინაარსი კი ასეთი იქნება: მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე დამიწამე, ე.ი. დამიმოწმე“.

როგორც ვხედავთ, მეცნიერული აზრი მეტად იხრება „სიცოცხლის დამოწმების“, ანუ „სიცოცხლის ძალის მიცემისაკენ“. ჩვენი აზრით, ის სიხარული და ბედნიერებაც არ უნდა დავივიწყოთ, ავთანდილმა რომ იგრძნო თინათინის მიერ სიყვარულის გამჟღავნების შემდეგ, რამაც ეს ერთი უბედნიერესი წამი მთელი დარჩენილი სიცოცხლის საყრდენად გადაუქცია, მხიარულება და ბედნიერება მიანიჭა.

აქედან გამომდინარე, ნ. ლორთქიფანიძე ეპიგრაფის II ნაწილით ბრძანებს, რომ უფალმა ცოდვათა მისატევებლად და ადამიანთათვის ბედნიერი სიცოცხლის საჩუქებლად (დასამოწმებლად) დაღვარა საკუთარი სისხლი. თანაც პირველ ნაწილს – რუსთველის სტროფს მწერალი რუსთველისავე სიტყვებს შეუსაბამებს. და ეპიგრაფის სათქმელიც გამოიკვეთება: უფალი მთელი კაცობრიობის სულიერი კეთილდღეობისათვის ეცვა ჯვარს, მაგრამ ზოგი „მორჭმული თამაშობს“, ზოგი კი, ელისა და ტარიელის მსგავსად, მტირალი დაეძებს ბედნიერებას.

ჩვენი სამშობლო, წმ. ილია მართალს რომ დავესესხოთ, ჯვარს ეცვა ქრისტესთვის, საკუთარი სისხლით შექმნა ცხოვრების ქვითკირი, ამიტომ ზეციური საქართველოს მკვიდრნი, „ქართული მშვენებანი“ მოწამეობრივი ცხოვრებისთვის უნდა იყვნენ მზად, რადგან ისინი „არა ამის სოფლისაგანნი“ არიან, ამქვეყნიური გოდება მათ ზეციურ ნეტარებას უმზადებთ.

მწერალი მიგვანიშნებს, რომ ელის გასაჭირი მისი ქართველობით, ცხოვრებასთან ქართული დამოკიდებულებით, ქართული ადათ-წესებითა და ზნე-ხასიათით აიხსნება, რომელნიც დიდად განსხვავდება რუსული თუ ევროპულ-ამერიკული ხასიათისაგან. (შესაძლოა, ეს განსხვავება საქართველოს ისტორიული და იმჟამინდელი მძიმე მდგომარეობით აიხსნებოდეს).

ბორენკოვი ლამაზი ცოლით ტრაბახობს და სიამაყეს შიშველი ელის მთვრალი მეგობარი მამაკაცებისათვის ჩვენებით გამოხატავს, რაც ელისა და ნებისმიერი ქართველისთვის (მამაკაცისთვის განსაკუთრებით) სრულიად მიუღებელია;

ასევე, მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა, მოთხრობის მიხედვით შეადაროს საქართველოსა და ევროპის ყოფა, დაინახოს განსხვავება ცხოვრების წესსა და სტილში, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც, შეამჩნიოს, რამდენად განსხვავდება

ქართველთა და ევროპელთა ცხოვრებისეული პრინციპები თუ ზნე-ხასიათი;

არ არის შემთხვევითი, რომ ერთადერთი მამაკაცი, რომელიც ელის ყავახანაში გველებთან ცეკვას უშლის, უცნობი ქართველია. ის თანამოძმეს სასიკვდილოდ ვერ იმეტებს, თუმცა არ იცნობს, კაცთმოყვარეობა მასში აღემატება ულამაზესი შიშველი ქალის ნახვის სურვილს;

მწერალი შენიშნავს ელის „უმანკოებას" (გამოცანად რომ გადაექცა ბრომლეის) როგორ იოლად, ერთი თვალის მოკვრით შეაფასებდა რომელიმე ქართველი მამაკაცი:

„ევროპულ ჩარჩოში დენდათ მოკვეთილი, ძველი ქართველი დარდიმანდი – ვინმე გიორგი შერვაშიძე ან შაქრო მაღალაშვილი – თუ შეამჩნევდა, რომ დასცვენოდა უმანკოების ფიფქი."

თუმცა, ნიკო ლორთქიფანიძე ობიექტურად გვიჩვენებს დაუძლურებულ, მოტეხილ ქართველობას, ჟამ-ვითარებას რომ დაულაჩრებია და გაუუზნეობია, ქალი ქალს რომ აღარ ჰგავს და კაცი – კაცს, ლელთ ღუნიასი არ იყოს. ზოგი ევროპელთა საყვარლობაზე ფიქრობს, ზოგიც შალვასავით უნიათო და უძლური, თეიმურაზ ხევისთავს რომ გვაგონებს, ერთადერთ შვილს ვერ იცავს და ჰექსლეისთან დუელს გადაიფიქრებს.

ნაწარმოების იდეის ამოსაკითხად რამდენიმე საინტერესო დეტალს უნდა მიექცეს ყურადღება:

ელის „ნათლობის სახელი – ძველებურად ელპიდა – საბუთებში დარჩა და დიდედის ლოცვანში მიწერილი ჩაკვდა," – ამბობს მწერალი.

„ელპიდა" სასოებას, იმედს ნიშნავს. სასოება კი ერთ-ერთია სამ უმთავრეს ქრისტიანულ სათნოებათაგან. პავლე მოციქული გვასწავლის: „აწ ესერა ჰგიეს სარწმუნოებაი, სასოებაი და სიყვარული, სამი ესე; ხოლო უფროის ამათსა სიყვარული არს" (I კორინთ. 13, 13).

უფალი იესო ქრისტეა „სასოება ქრისტეანეთა", ვინც იმედს კარგავს, ის უფალს კარგავს, საკუთარი თავიდან (თუ სულიდან) განდევნის მას (ამიტომ ითვლება სასოწარკვეთილება უმძიმეს ცოდვად).

ელიმ კი თავიდანვე დაკარგა სასოების სათნოება. ამას თან მოჰყვა დანარჩენი ორიც. უპირატესი მათ შორის ელისთვის თითქმის არც არსებობდა. არც ერთი ქმარი არ უყვარდა, შემდეგ უცხოელის ხასა გახდა – „უქორწინო ცოლი", როგორც ჟურნალისტები ამბობდნენ. ნაწარმოებში არსად ჩანს, რომ ელის ჰექსლეი უყვარს. ქრიატიანული სარწმუნოება, ცხადია, არ ინონებს ცხოვრების ამგვარ წესს, არც თუ გორდელიანის ქალი გამოირჩევა მართლმორწმუნეობით. ამგვარად კი, ელის ხელში შემოადნა „სარწმუნოება, სასოება და სიყვარული" – ცხოვრებისაგან „ნაპტკვენ ბუმბულადაც" ამიტომ გადაიქცა – უსაყრდენო ადამიანი განწირულია, სულიერ-სხეულებრივ ნეტარებას ვერ მოიპოვებს.

სახელიდან დარჩა მხოლოდ „ელი" – დაუსრულებელი მოლოდინის შინაარსის სიტყვა. ელის ცხოვრებაც მხოლოდ მტანჯველი მოლოდინი იყო – ტკივილისა და კიდევ მეტი უბედურების მოლოდინი, მას საიმისო რწმენა და ძალა არ ჰქონდა, რომ ხალისითა და იმედით დალოდებოდა ახალი დღის გათენებას.

ელის ტრაგედიის უმთავრესი მიზეზის გასაგებად კიდევ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. მწერალი ამბობს:

„...დაიბადა ქალი...

ამ წელს სხვა არაფერი შემატებია ქართულ შვენებას...

დაიბადა ელი.

სხვა არაფერი შემატებია იმ წელს ქართულ მშვენიერებას“.

როგორც ვხედავთ, ნიკო ლორთქიფანიძე ნაწარმოების პირველი ფრაზებიდანვე მკითხველს ინტერესს აღუძრავს თავისი პერსონაჟის მიმართ, გვაუწყებს, რომ იმ ადამიანს ხატავს, რომელიც სხეულებრივი სილამაზითა (შვენება) და სულიერი მომხიბვლელობით (მშვენიერება) დიდი შენამატი იყო საქართველოსთვის (რუსთველიც ტარიელს განსაკუთრებულ გმირად გვაცნობს, რომლის მსგავსიც არავინ დაბადებულა: „მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი“). ასე გამორჩეულსა და განსაკუთრებულს ღვთისგან განსაკუთრებული მისიაც ეკისრებოდა – ღირსეულად ეტარებინა რჩეულობის პატივი და უფლისგან ბოძებული ტვირთი. უპ. ყოვლისა, ხსომებოდა, რომ „არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელიც გამოვალს პირისაგან ღმრთისა“ (მათე, 4, 4). რადგან „ზრახვაი იგი ხორცთაი სიკუდილ არს, ხოლო ზრახვაი იგი სულისაი ცხორება არს და მშვიდობა“ (ჰრომ. მიმ. 8, 6). გორდელიანის ქალმა ეს ყოველივე დაივიწყა – როდესაც ცხოვრებამ გამოცდა მოუწყო – გაჭირვება მოუვლინა, მან მცდარი გზა აირჩია, – უცხოობა და ფუფუნება ამჯობინა სამშობლოში მოთმინებასა და სიღატაკეს, „განაწამებსა და გაძვალტყავებულ სიცოცხლეს“. ამ ნაბიჯით იგი ისეთივე ჩვეულებრივი ცოდვილი გახდა, როგორც ბევრი სხვაა, ამგვარად, ვერ შეინარჩუნა რჩეულობის პატივი, „მარად ნეტარ“ დედათა შეხედულებაც დაივიწყა:

„უცხოობაში რაა სიამე,

სადაცა ვერ-ვის იკარებს სული

და არს უთვისო, დაობლებული“. (ნ. ბარათაშვილი)

ელი დაობლდა და ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა, მისი ფერფლი თბილისში მიმოებნიათ. თავადაც მიხვდა, რომ უნდა განწმენდილიყო, ცოდვა მოენანიებინა, რათა საქართველოში (მისთვის აღთქმულ ქვეყანაში) დაბრუნების უფლება მოეპოვებინა. როდესაც გველებთან ცეკვა გადაწყვიტა, უცნობ ქართველს, ჰექსლეისა და ბრომლეის აღარ მოუსმინა, უკან აღარ დაიხია, აუხსნა კიდეც თავისი საქციელი:

„არა, მე უნდა, – ელიმ გადაყლაპა სიტყვა „დავიმსახურო“ და წინადადება ასე დაამთავრა, – ტფილისში წავიდე...“

ელის ცეკვა, ერთი მხრივ იმის მაუწყებელია, რომ ქალი მზად იყო ნებისმიერი მსხვერპლის გასაღებად, თუნდაც ეს გველის შიშის დაძლევა და მისი დამარცხების აუცილებლობა ყოფილიყო.

სიმბოლურად კი მწერალი ელის ევას უკავშირებს, კაცობრიობის ფესვებთან მივყავართ, როცა დაიდო მტრობა გველსა და დედაკაცს შორის. გორდელიანის ქალი ცდილობს, დაამტკიცოს თავისი სულიერი სიძლიერე, გამოააშკარაოს ღირსებანი, რომელნიც ქართული მშვენიერების შენამატად

წარმოაჩენს მას, მაგრამ ელი ნასვამია... – ცოდვა და ბიწიერება აქვს შესმული, ამიტომ ვერ სძლევს გველებს. პირიქით... ასპიტები ვნებას აღუძრავენ, სასურველნი, მომხიბვლელნი ხდებიან, „სრულიად ათრობენ“, ქალი ნეტარებას ეძლევა, სიყვარულით იჟღინთება და „ჭრელი მიჯნურების დაკონების“ სურვილი უჩნდება. – ამით კიდევ ერთხელ შეაცდენს გველი ქალს, როგორც სატანამ (გველის სახით) აცდუნა ევა. ელიც ცოდვილი მსხვერპლია, რომელიც „ცოდვის სიტკბოთი“ მოხიბლული წუთისოფელთან ჭიდილში ეცემა და კარგავს სამოთხისკენ მიმავალ გზას.

მწერლის სათქმელიც ესაა – კაცი უნდა ცდილობდეს, სწორად წარმართოს თავისი ცხოვრება, ისეთი გზა არ აირჩიოს (გარკვეული დადებითი მომენტებით გონება დაბნელებულმა), რომელიც ტკივილისა და უბედურებისათვის გაწირავს. მით უფრო მაშინაა საჭირო სიფრთხილე სატანის საუფლოში, როდესაც ჭეშმარიტი გულშემატკივარი არ გყავს. – შალვამ დუელიც კი გადაიფიქრა, ელის ღირსება ვიღაც გადამთიელს „მიუგდო“, შვილმაც სრულიად მიივიწყა დედა. ელი იმასაც ხვდებოდა, რომ ჰექსლეი რამინოსავით გაყიდდა, აკი, არ უშლიდა ბრომლეის ელის საზოგადოებით თრობას. სხვათა უყურადღებობამ და საკუთარმა შეცდომამ – მხოლოდ ხორციელი კეთილდღეობის ძიებამ – დაღუპა „ქართული შვენება“.

ნაწარმოებში აირეკლება სახარებისეული „ძე შეცდომილის“ მოტივები. ელიც იგავის გმირივით მიდის მამის სახლიდან, მამას სწყინს, თუმცა არ ეწინააღმდეგება (ისევე, როგორც შალვა ჯერ მოითხოვს და შემდეგ გადაიფიქრებს დუელს ჰექსლეისთან); „მამინაცვლის“ ხელში ჩავარდნილს ხელში შემოადნება ზნეობისა და ღირსების იდეალები; უკიდურესად დაცემულს, გაყიდულსა და შეურაცხყოფილს, უჩნდება მამის სახლში დაბრუნების, ძეობის პატივის კვლავ დამსახურების სურვილი. გველებთან ცეკვის წინა წუთებში ვხედავთ, რა იყო ელისთვის მართლაც ყველაზე ძვირფასი, რამ გააბედვინა ასეთი ნაბიჯის გადადგმა: „სინემატოგრაფიულად თვალწინ მიურბოდა ბორანი მტკვარზე... ფიქრის გორა... პანსიონის კვიპაროზები... მამა... სიონი... ნარიყალის ნანგრევები... ოთახი სადღაც ჩიხში... და სულ ბოლოს ტკბილი ძიძა.“

მაგრამ... ძნელია მამის სახლში დაბრუნება, რაც ამქვეყნად ზნეობრივ ცხოვრებასა და იმქვეყნად სასუფევლის დამკვიდრებას გულისხმობს.

იგავის მამისაგან განსხვავებით, შალვა მკვდარ შვილსაც კი არ ტირის (არ ვიცით, უკვე გარდაცვლილია, თუ ვერ გაიგო ელის პანაშვიდის დრო და ადგილი), ელი ვერ იღებს მის შენდობას და უძღებად რჩება, ვერ ინანიებს შეცდომილობის სიმძიმეს. ამით მწერალი მკითხველს სევდით აღავსებს და სწორად ცხოვრების აუცილებლობაზე დააფიქრებს. ლიტერატურის მთავარი დანიშნულებაც, ხომ, ეს არის.

„არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი"

(ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი")

„თავსაფრიანი დედაკაცი" თავისი სათქმელითა და პრობლემატიკით ერთ-ერთი ცნობილი ნაწარმოებია არა მხოლოდ ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში, რადგან სოციალური და, კერძოდ, ოჯახური ურთიერთობები საზოგადოებისთვის ყოველთვის საინტერესო და საყურადღებოა. აქ ერთმანეთს ეჯაჭვება აღზრდის, დედაშვილობის, გაუცხოების თემები.

მწერალი ნოველის სათაურითვე გვამზადებს საუკეთესო ადამიანთან შესახვედრად და დადებითად განგვაწყობს მისდამი, რადგან აერთიანებს ქართველი ქალისთვის საამაყო და საქებელ ორ ეპითეტს: „თავსაფრიანი" და „დედაკაცი".

„თავსაფრიანი", ანუ ლეჩაქიანი, მანდილიანი, პატიოსანი და ღირსეული ქალია, საპირისპიროდ „ჩიქილამოხდილი", ანუ ლეჩაქახდილი, შერცხვენილი დიაცისგან.

„დედაკაცი" უფლის ხატებისა და მსგავსების სიმბოლოა, რადგან ადამიანი შეიქმნა მამაკაცად და დედაკაცად", ილია ჭავჭავაძე წერდა:

„სიტყვა „ქალი" განა იმდენს გვეტყვის, რამდენსაც გვეუბნება დიდებული სიტყვა „დედა" და მასთან ერთად „კაცი". ქალი უფარხმალო დედაკაცია, დედაკაცი ფარხმალიანი ქალია და სად მოვლენ ერთმანეთთან!"

თუმცა, სათაური ჩვენი აზრით, არ გულისხმობს მხოლოდ მშრომელ, მებრძოლ, ამაყ, პატიოსან და ღირსეულ ქალს, არამედ მასაც, ვინც გარესამყაროსგან თავსაფრითაა გამოყოფილი, ვინც თავის პიროვნებას თავსაფარის ქვეშ მალავს, არავის ჩაახედებს საკუთარ სულში. თუ ვინმე შემთხვევით „შეიჭრება თავსაფრის ქვეშ" საგულდაგულოდ დამალულ, კრძალულად დაცულ სამყაროში, სასწრაფოდ მოძებნის უსაფრთხო ადგილს და „თავსაფარს შეისწორებს" – აღიდგენს წონასწორობასა და სულიერ დამოუკიდებლობას. ასე ხდება როგორც მონადირე-პოეტის ტირილის გაგონებისას, ისე ქალიშვილთან კონფლიქტის წამსაც.

„თავსაფრიანი დედაკაცის" ეპიგრაფს ხშირად ცალკე ნოველას უწოდებენ ხოლმე იმდენად ღრმა და მრავალმხრივია. უპირველეს ყოვლისა, მკითხველის ყურადღებას იპყრობს წერის იმპრესიონისტული მანერა: წამის შთაბეჭდილება, შემთხვევით შეხვედრილი ამბავი, თვალმოკრულისა თუ ყურმოკრულის ზეგავლენის ქვეშ ყოფნა და ამ დამახსოვრებული წამის გაცოცხლების მცდელობა.

მწერალი გაგვიმხელს:

„ვწერ შემთხვევით შეხვედრილის ამბავს.

თუ ოდესმე დანჯღრეული ომნიბუსით გიმოგზაურნიათ სამტრედიიდან მახლობელ სოფლებისაკენ, თქვენ, უეჭველია, დაინახავდით მესრის იქეთ, ეზოში, მოფუსფუსე, შავათ ჩაცმულ ქალს, რომელსაც თან დასდევდა ჭადის ნატეხით ხელში პაწია ბავში.

ახლა იქ რომ ჩავიარე, დადაკაცის უნახაობა დამაკლდა.

გამოვიკითხე, და აი, ძიებამ ძველ მოგონებებთან ერთად რა აღმოაჩინა."

მოფუსფუსე შაოსანი ქალი, რომელსაც თან დასდევს პატარა ბავშვი – ეს წამიერი ხილვა ხდება ნოველის საფუძველი. იმპრესიონისტი მწერალი „ამოკრეფს და ნოველაში თავს მოუყრის" უმნიშვნელოვანეს წამებს ქალის ცხოვრებიდან. ასე, ამ წამთა გაერთიანებით წარმოვიდგენთ მის თავგადასავალს ქორწილიდან სიკვდილამდე. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ კი არ გავადევნებთ თვალს პერსონაჟის ცხოვრებას, არამედ თითქოს შიგადაშიგ ვკითხულობთ წიგნს, ვტოვებთ ფურცლებს და მხოლოდ უმნიშვნელოვანეს მომენტებს ვარჩევთ.

ნიკო ლორთქიფანიძე ეპიგრაფში იმასაც გვაუწყებს, რომ მწერლის ვალია, უბრალო, შუმჩნეველ ადამიანებზე წეროს, ასეულ ათასობით რომ ხდებიან ისტორიის კუთვნილება, ერთი სახე და ერთი ფერი რომ აქვთ მემატიანისა თუ შთამომავლობის თვალში, რადგან დიდებულნი „აშლიან სულის შემხუთავ სურათებს", თანაც თავიანთი „მოციქული" გამოუჩნდებათ, როგორც იესოს – მარკოზი და იოანე („ნუ დამინუნებთ! არ შემიძლია გრძნობა-გონება შევაჩერო დიდ პიროვნებებზე... ისინი აშლიან სულისშემხუთავ სურათებს... შემდეგ, ოდესმე, მათ აღმოუჩნდებათ მოციქული ვინმე მარკოზი და იოანე.

მე ვწერ თავსაფრიან დედაკაცზე.").

ამთავითვე შევნიშნავთ, რომ, ნ. ლორთქიფანიძის ყოველი სიტყვა ათასჯერაა აწონილ-დაწონილი მწერლისგან, რის გამოც შემთხვევითობა გამორიცხულად მიგვაჩნია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, როგორ ტვირთავს თითოეულ დეტალს, სკრუპულოზური, ჩაკირკიტებული ანალიზია მწერლის სათქმელის წვდომისთვის სწორი გზა. ორიოდე დეტალი განსაკუთრებით საყურადღებოდ გვეჩვენება.

ოთხი მახარებლიდან ამ ორის ამორჩევა საგულისხმოა იმ თვალსაზრისით, რომ მარკოზი მოციქულის მოწაფეა (და არა უშუალოდ მოციქული-თაგანი) – პეტრეს შვილობილი, ხოლო იოანე – ერთი თორმეტთაგანი, უფლის უსაყვარლესი მოწაფე, ის, ვისაც ჯვარცმულმა მაცხოვარმა წმ. მარიამი ჩააბარა და აკურთხა, ისე მოევლო მისთვის, როგორც საკუთარი დედისთვის (ამიტომ მას „იოანე საყვარელსაც" უწოდებენ). ავტორი ამ ორი მოციქულის დასახელებით მიგვანიშნებს, რომ დიდებულ ადამიანებზე არა მხოლოდ მათი მოღვაწეობისთანავე, არამედ გარკვეული დროის შემდეგაც წერენ, რადგან თაობიდან თაობას გადაეცემა მათი ღვაწლი და დამსახურება.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს თავსაფრიანი დედაკაცის მეუღლის სახელი – ფილიპე... – უფლის 12 მოციქულიდან ერთ-ერთის სახელი (გავითვალისწინოთ შედარებისთვის, რომ თვით თავსაფრიანი და ყველა სხვა პერსონაჟი უსახელონი არიან).

ფილიპე მოციქული ცნობილია იმით, რომ შეეძლო თავისი მტკიცე რწმენის სხვათა ხელყოფისაგან დაცვა და ადამიანის ღირსების აღქმა-გან-

ჭვრეტა მისი წარმომავლობისაგან დამოუკიდებლად. როდესაც ნათანაელმა ეჭვით იკითხა იესოზე, განა შესაძლებელია, ნაზარეთიდან რაიმე კეთილი გამოვიდესო, ფილიპემ დაბეჯითებით უთხრა: „მოვედ და იხილე“ (იოანე 1, 46). როგორც ჩანს, თავისი დიდი სეხნიის ეს უნარი იმემკვიდრა თავსაფრიანის ქმარმაც, ამიტომაა, რომ სხვათაგან შეურაცხყოფილი ქალი დარდის შესაჩივლელად მეუღლის საფლავთან მიდის.

ფილიპე მოციქული ჯვარს აცვეს ქრისტიანობის თავდაუზოგავად ქადაგების გამო. თავდაუზოგავი შრომა გაუხდა აღსასრულის მიზეზი ნიკო ლორთქიფანიძის პერსონაჟსაც (ისიც საინტერესოა, რომ ორივე ფილიპეს 3 შვილი ჰყავდა).

იქნებ ეს პარალელები შემთხვევითი არ იყოს. მაშინ ავტორის სათქმელი გაცხადდება: უფალს თავისი მოციქულები ჰყავდა მისი მიწიერი ღვაწლის აღსაწერად თუ დასამოწმებლად, თავსაფრიანსაც უბოძა ღმერთმა თავისი ფილიპე (შდრ: „ხო, მოვალ, მოვალ... ჩემო ფილიპე“), მაგრამ იგი ნაადრევად გამოეცალა ხელიდან ცოლს და ვერ შეძლო მისი დიდებულების გამომზეურება, მეუღლემ სიცოცხლის ბოლომდეც ვერ უერთგულა ქვრივს. ეს ერთგულება მწერალმა ეჭვქვეშ დააყენა იმით, რომ ხმარებისაგან გალეულ ნიშნობის ბეჭედზე გაიცრიცა სახელი „ფილიპე“, ექსპერტიც ვეღარ ადასტურებდა, ეს სახელი ეწერა თუ არა ბეჭედს – ანუ თავის სიცოცხლეშივე „დაეკარგა“ თავსაფრიანს ფილიპე, მანუგეშებელი და ძეგლის დამდგმელი.

ამით წარმოჩინდება ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი რჩეულთა ბედისა და ჩვეულებრივი ხვედრის მქონე ადამიანებს შორის. კაცს დიდებულება დაბადებისთანავე დაჰყვება, რადგან „ხატი და მსგავსია ღვთისა“. ბედი ზოგს გამოარჩევს და ქვეყნიერებას მოჰფენს მის სახელს, ზოგი კი უჩუმრად, უძეგლოდ დაიკარგება ჯეროვანი შემფასებლის უყოლობის გამო. ეს არის ამ ნოველის ძირითადი სათქმელიც.

ნოველის მთავარი გმირი, თავსაფრიანი დედაკაცი ნამუსიანი და ქმრის ერთგულია, შავი სამოსით გამოხატავს ფილიპეს ხსოვნასა და ერთგულებას („ქართველი ქვრივი დედაკაცი თავსაფრიანად წუღებამდის... წინდაც კი შავი... თუ გამოჩნდა, მეტისმეტათ ლილიან წყალში გავლებული საცვალი“). იგი ისე გულწრფელად და სიყვარულით დასტირის ქმარს, რომ მონადირე – უცხო კაცი გულამოსკვნით ტირის („წრფელათ, გულამომჯდარი ისეთ ნაზს სიტყვებს, ისეთის შვენიერის ხმით ამბობდა, რომ მესრის გადმოღმა მე ავტირდი, ტირილი ზლუქუნად გადამექცა...“);

ამავე დროს, შვილებისთვის თავდადებული დედაა. იგი დადის ყველგან: პოლიციაში, სასამართლოში, მეზობლებთან, მამასახლისთან – და ყოველ ღონეს ხმარობს („გადაიფრენს, იშოვის, გადივლის, გასცურავს, მიიფრენს“), რომ ბავშვებს სამართალი მოუნახოს; კარგი გარეგნობისაა, თუმცა არ თხოვდება (– „როგორ უმტყუნო ობლებს?!“);

დედის ვალს ბოლომდე და პირნათლად იხდის, „ბავშები დაზარდა. ასწავლა ათასჯერ მეტი, ვიდრე შეეძლო“, დააოჯახა ყველა და სიბერეშიც დღედაღამ საქმიანობდა, „არსად იყო ზედმეტ სტუმრათ“.

მის ღირსეულ ქალობასა და დიდ ადამიანობაზე ისიც მეტყველებს, რომ

„მარჯვენა ლოყაში გარტყმის შემდეგ მარცხენა მიუშვირა", იფიქრა შვილებზე და წერილი გამოუგზავნა, რომ ისინი ვინმეს არ გაეკიცხა მშობელთან უდიერი დამოკიდებულების გამო. („დედას გულმა უგრძნო: „შვილები დამეჩაგრება, სახელი გაუტყდებათ" და ჩამოთხოვილი ფულით დაზღვეული, მისი ნაკარნახევი, სხვისი დაწერილი, ბარათი გაგზავნა:

„საყვარელო შვილებო, ნუ მიწყენთ, სალოცავად წავედი, ნუ მეძებთ... შვილიშვილები დამიკოცნეთ, ჩემზე ნუ სწუხართ. მშვიდობით სამუდამოთ".)

დედაკაცი მორწმუნეცაა. ავარასთან შეხვედრის ეპიზოდი წარმოაჩენს, რომ სულის ფასი იცის, მიუხედავად ტკივილისა და დამცირებისა, შეცდომას არ დაუშვებს და სულს საჯოჯოხეთოდ ვერ გაიმეტებს. ავარას შეთავაზებას, თავი მტკვარში დაიხრჩეო, უმალ უარყოფს („– უიმე, ჩემის ხელით სული როგორ წავიწყმინდო?!) და ისე გაურბის ამ ეშმაკის მოციქულს, როგორც კეთროვანს.

ქალის ამგვარი დახასიათებით მწერალი გვამზადებს ნოველის დასკვნისთვის: „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან." ჩვენც ვეთანხმებით, რომ თავსაფრიანი დედაკაცი, თვისებებით, საქმიანობით, ცხოვრების წესითა თუ პრინციპებით დიდებული ადამიანია.

მიუხედავად იმისა, რომ დედაცა და მამაც „კაი ნოგროს გამოდგნენ", სამივე შვილი ნამდვილი ურჩხულია. ქალიშვილთან დავისას წარმოჩნდება, როგორი დაუნახავია ეს ქალი. დედას, რომელმაც მთელი სიცოცხლე და ჯან-ღონე მათ აღზრდას შეალია, „პატივისცემას" აყვედრის: „– რა, დედა, შეგენანა განა ერთი წინდა?! გინდა მეორე შვილიც მოიმადლიერო!.. ნუთუ ამის საღირალ პატივს არ გცემთ?" და ატირებულ ბავშვს ეუბნება: „– ნუ ტირი, ნუ ტირი, უკეთესს გიყიდი, რომ ბებიამ არ დაგამადლოს."

მწერალი მასზე ლაპარაკისას სიტყვებით: „კაპასი შვილი; არ ცხრებოდა" – უარყოფითად განგვაწყობს ამ პერსონაჟის მიმართ, თუმცა ამ ჩხუბიდან აშკარავდება, რაოდენ არ უყვარს დედა და როგორ აღიზიანებს მისი არსებობაც კი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბებიისგან ბავშვისთვის თავისი ხელით ნაქსოვი, უკეთ მორგებული წინდის შეთავაზება სამადლობელი უნდა ყოფილიყო და არა – საკამათო.

რძალთან კონფლიქტი ბევრად უფრო ბუნებრივი იქნებოდა, რადგან რძალ-დედამთილის პრობლემური ურთიერთობის თემა „არ ახალია, ძველია". ქალიშვილი კი, თვითონაც დედა, ბევრად უფრო მეტი გაგებითა და სიყვარულით უნდა ეპყრობოდეს მშობელს. ვერც ვაჟებზე ვიტყვით რაიმე სახეიროს, დედა არც მათ უყვართ. მისი ტკივილი კი არ ადარდებთ, იმაზე წუხან, რომ მეზობლებში შერცხვებიან („შეძრწუნდენ, შერცხვათ: „მოგვეჭრა თავი სოფელ-ქვეყანაში... რას იტყვიან, მოხუც დედას ვერ მოუარესო?!"); არც ფული ემეტებათ მშობლის მოსაძებნად და არც მის დაბრუნებას ცდილობენ („უნდოდათ საძებრათ წასვლა – ეძვირათ; უნდოდათ გაზეთებში გამოცხადება – „უარესათ მოგვეჭრება თავიო");

ყველაზე გამაღიზიანებელი და აშკარად მიმანიშნებელი, რომ „სწავლულთა და მეცნიერთა ცოდვანი უმეტეს არიან უსწავლელთა და უმეცართასა", არის ის, რომ ყველაზე უფრო განათლებული შვილი, „მეცნიერულ

შეხედულებებზე დაყრდნობით", მშობელს მანიაკს უწოდებს, სალოცავად წასვლას კი – მოსაზრების უნარის გამოლევას („ყველაზე უფრო განათლებული და თან ყველაზე უფრო ტუტუცი შვილი ზოგჯერ ბრძნულად შენიშნავს: „მოხუცებისაგან ზოგიერთს გამოელევა მოსაზრების უნარი და მოქმედებს შეუგნებლად, მაგალითად, გაჰყვება გზას და მიდის და მიდის... ამას ჩვენში „მხარის შეცვლას" უძახიან, მეცნიერებმა კი „მანიაკალური მდგომარეობა" უწოდეს").

თუ გავითვალისწინებთ, რომ ნოველა 1925 წელს დაიწერა, უღმერთობისა და უსულგულობის ეპოქაში, მწერლის გულისტკივილით სავსე დამოკიდებულება პერსონაჟის „მეცნიერულ" და ანტითეისტურ მრწამსთან პროტესტია იმდროინდელი მოსახლეობის დიდი ნაწილის შეხედულებათა წინააღმდეგ.

და რადგან „შვილებმა კარგა ხანს ვერ გაიგეს დედის გადაკარგვა: ერთს მეორესთან ეგონა", უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთმანეთიც არ უყვარდათ და ერთიმეორის ამბავს არ კითხულობდნენ, თორემ ხომ ეცოდინებოდათ, დედა რომელთან იყო.

ნიკო ლორთქიფანიძის წერის მანერიდან გამომდინარე, შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ შვილების მიერ გაყოფილი ქონებიდან მწერალს სამი რამ ჩამოუთვლია: ვერცხლის ფული, აბრეშუმის თავსაფარი და ძვლისტარიანი ხანჯალი – ე.ი. შვილებს გაუნაწილებიათ დედა (თავსაფარში ასოცირებული), მამა (ხანჯალთან დაკავშირებული) და მათი ქონება – ვერცხლის ფული. თუმცა „ვერცხლის ფულის" ხსენება იუდა ისკარიოტელს შეგვახსენებს, რომელმაც 30 ვერცხლად გაყიდა მაცხოვარი, ხოლო თავსაფრისა და ხანჯლის განაწილება – წინასწარმეტყველებას იესოზე – „განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი" (მათე 27, 35). ამით მწერალი შვილთა მოღალატურ (იუდას) ბუნებას წარმოაჩენს.

დედისა და შვილების ასეთი ურთიერთობა ქართული სამყაროსთვის არადამახასიათებელია. დედა ჩვენთვის საფიცარი ხატია და ყოველივე საუკეთესოს ჩვენი წინაპრები სწორედ დედის სახელს უკავშირებდნენ.

ხალხის რწმენით, ადამიანს იმიტომ ტანჯავს სოფელი, რომ მან მშობლის ფასი არ იცის:

„დედას ვუყვარვართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა,
ამითა გვტანჯავს სოფელი,
სულ მუდამ გვაცოდვილებსა."

ისეთი სამწუხარო, მაგრამ ჩვეულებრივი რამ, როგორიცაა შვილთაგან მშობლის ამაგის დაუფასებლობა, ნიკო ლორთქიფანიძის ნოველაში პიკს აღწევს. ამიტომაც ეს ნანარმოები ცოდვიან დედაშვილობას ასახავს. მიზეზი ისევ ბოლშევუკური პროპაგანდა და ხალხის ურთიერთსიძულვილით მოწამვლაა.

ნოველაში რამდენჯერმეა აქცენტირებული სიტყვა „ზედმეტი". სწორედ ზედმეტობის მტანჯველი განცდა აიძულებს თავსაფრიან დედაკაცს, წა-

ვიდეს სახლიდან, გაიქცეს მათგან, ვისაც მისი არსებობა მხოლოდ აღიზიანებს. ამით მწერალი გაუცხოების პრობლემაზე დაგვაფიქრებს და მწუხარებით მიგვანიშნებს, რომ ოჯახის ფარგლებშიც შეუღწევია უცხოობისა და ზედმეტობის ყინულს, ისეთი მყარი კავშირიც კი მოუშლია, როგორიც დედაშვილობაა. დედა შვილისთვის უცხო, ზედმეტ ადამიანად გადაუქცევია. თვე ისე გადის, რომ მშობელი თვალში არ აკლდებათ, არ კითხულობენ, არ ეძებენ, მისი სიკვდილი თუ სიცოცხლე არ აინტერესებთ. მშვიდად, აუღელვებლად აანალიზებენ მოხუცი მშობლის „მანიაკალურ მდგომარეობას“, ერთი მათგანიც არ წუხს იმის გამო, რომ ნაამაგარი დედის საფლავთან მუხლის მოყრის შესაძლებლობა არ მიეცემა, თუ ამ საფლავის ადგილი არ ეცოდინება.

ნოველა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებს, რომ „არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი“ და რომ მშობლის უმნიშვნელოვანესი მოვალეობა ამქვეყნად ღირსეული შვილის აღზრდაა. ვვარაუდობთ, რომ ქალს ძალა აღარ ეყო, შვილებისთვის ჭეშმარიტი ღირებულებები ესწავლებინა და მხოლოდ მათი მატერიალური უზრუნველყოფისათვის არ დაეხარჯა მთელი ღონე.

მთელი იმდროინდელი საზოგადოებაც მომართული იყო სწორი აღზრდის წინააღმდეგ. – აღზრდის საძირკვლად და საყრდენად ეროვნულ-სარწმუნოებრივი მრწამსი უნდა გამოიყენებოდეს, არადა, ორივე მათგანის წინააღმდეგ გავეშებით იბრძოდა საბჭოთა იმპერია. ამიტომაც ტრიალებდა ერში ამდენი ცოდვა, ინგრეოდა და ნადგურდებოდა ყოველგვარი ადამიანური და ღირებული, არარა „ძვირფასი ფარჩით იმოსებოდა, სულელი ადვილად ბრძენობდა“ (შექსპირი), დიდებულება კი მანიაკობად, გაგიჟებად, უჭკუობად მიიჩნეოდა.

მაია ჯალიაშვილი

„არის გზა, არის ნელი თამაში“

(გალაკტიონ ტაბიძის „თოვლი“)



გალაკტიონ ტაბიძე
(1891 – 1959)

სიზმარია თუ რეალობა ის, რაზეც გალაკტიონი ამ ლექსში წერს? – ერთიცა და მეორეც. „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარიაო“. აქ ორივე ერთმანეთში გადადის, საზღვარი კი ლივლივებს ისე, რომ მოჩვენებითი კონტური ხან აქ იხაზება და ხან – იქ, მკითხველის განწყობილების შესაბამისად.

ტიციან ტაბიძე თავიდანვე გრძნობდა გალაკტიონის გამორჩეულობას და ამგვარად აფასებდა მის პოეზიას: „მას აქვს რაღაც ჯადო, რომლითაც სულ უბრალო ფერადები წარმტაცად ბრწყინავენ, უბრალო სიტყვები რიტმულად ჟღერენ, თითქოს „ფერხულს უვლიან ნიავის ველურ სიხალისეში“.

ეს ჯადო მოჩანს „თოვლშიც“.

რით იქმნება თუ იქსოვება მშვენიერება? შეიძლება დეტალების აღწერა, მაგრამ მთლიანობაში სრულყოფილ პასუხს ვერ მოიხელთებ. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პოეზიის მშვენიერებაზე ფიქრობ, უპირველეს ყოვლისა კი, გალაკტიონის პოეზიაზე. მშვენიერ ლექსთა შორისაა „თოვლი“, რომლის შესახებ ბევრჯერ დაუწერიათ, მომავალშიც არაერთგზის ჩაუფიქრდებიან მეტაფორების ხვეულებს, სათქმელის იდუმალებას, გამოსახვის ოსტატობას, სტრიქონების სინაზესა და სინატიფეს, გამოთქმის უზადო ხელოვნებას, აზრისეულ სიღრმეებს, სიტყვათა მუსიკალურობას, მაგრამ ლექსი მაინც ამ ინტერპრეტაციების მიღმა იფარფატებს, როგორც მარადიული გამოცანა. თვითონ გამოცნობის ლაბირინთებში ხეტიალი შეაგრძნობინებს მკითხველს სიტყვაში მოქცეული სამყაროს ჯადოსნურ სილამაზეს.

„თოვლი“ ერთი მომნუსხველი ყვავილია 1919 წელს გამოცემული „არტისტული ყვავილების“ ჯადოსნური კონიდან, რომელიც არასოდეს დაჭკნება. ამ წიგნმა მკითხველს პოეტური სამყაროს ახალი სივრცეები გადაუშალა. დემნა შენგელაია წერდა: „იყო უდაბნოება... მეცხრამეტე საუკუნის სულის დალევაში არიჟრაჟდა ანთებული XX საუკუნე. გალაკტიონ ტაბიძე მოვიდა წარსულის პანაშვიდზე და გამოიტირა იგი“.

ეპითეტებს არ იშურებდნენ აღტაცებულნი, ივანე იოსელიანმა გენიალური უწოდა, იოსებ იმედაშვილმა „გრძნობათა თეთრი მეფე“. ახალ ესთეტიკურ კულტურას ამკვიდრებდა ამ წიგნით პოეტი. რუსთველის სრულყოფილებამდე დახვეწილ პოეზიას ეხმიანობდა.

საწუთრო რომ ძილია და ჩვენ სიზმრებს ვგავართ („ვისრამიანი“), ლამაზი გამოთქმაა, მაგრამ ბუნდოვანი. ამგვარი გაუმჭვირვალობა აზრისა, განსჯისა გადაჰკრავს ამ ლექსსაც. გალაკტიონს ესიზმრებოდა სამყარო და იმ დასიზმრებულს ხატავდა, თანვე, ისიც უნდოდა გადმოეცა, რა ესიზმ-

რებოდათ ყვავილებს მასზე, როგორ იცვლიდა თვითონაც ფორმას სხვათა სიზმრებში. „ოჰ, ნეტავი არ შეირხეოდეს გადაზნექილი სიზმრების წელიო“ („ალვები თოვლში“). ხანდახან სწორედ მათი, ყვავილების, ანგელოზების, ცის, მიწის, ქარის, ღრუბლებისა თუ სხვათა სიზმრებია დახატული, ამიტომაც ჭირს აზრის ლოგიკური ჯაჭვის აგება:

„მე ყვავილები მესიზმრებოდა
და მე ყვავილებს ვესიზმრებოდიო“ („გული სწუხს“).

მკითხველი სახეებისა და სიმბოლოების მიღმა დაეძებს დაფარულ სათქმელს. აღმოაჩენს, ამოიკითხავს და ცხადს გახდის ყოველივეს, მაგრამ მაინც არ ტოვებს განცდა, რომ ამოხსნის სიხარული ნაადრევია. ახსნილი ლექსი სულაც არ არის გასაგები, ცხადი და კვლავაც, როგორც სიზმრიდან, მოელის რაღაც წარმოუდგენელს – აზრის, ემოციის თვალსაზრისით.

„შეღამდა, მე წაველ იქ, სადაც სიზმრები
წიგნებში დარდობენ დახუჭულ თვალებით“ („სიზმრები“).

ლექს „თოვლშიც“, როგორც ტიციან ტაბიძე წერდა, „შადრევანივით ჩქეფს პოეტური სახეები“, რომელთა მიღმა იმალება პოეტის წადილი, რომ ჩასწვდეს ღვთისგან შექმნილი უთვალავფერიანი სამყაროს არსს, გაიაზროს სიცოცხლის მიზანი.

სიმბოლისტური ესთეტიკითაა შექმნილი ლექსი, დაგვირისტებულია სიმბოლოებით. პირველივე სტრიქონში „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა“ – ყურადღებას იქცევს რამდენიმე სახე-სიმბოლო. ფერი, მუსიკა, სურნელი შერწყმულ – გადაწნულია და იქმნება საოცარი სევდისა და სინაზის განცდა. პოეტი იდეალს მიესწრაფვის, შეურყვნელს, უმანკოს, „ქალწულებრივს“, შორეულს, იდუმალს. იისფერი თოვლი სწორედ ამგვარ ემოციას ბადებს. ზამბახი, ია, იასამანი – არსებითად, ერთი ფერია, შორეულსა და მწუხარებაზე მიმანიშნებელი, ამიტომაც თოვლი ხან იისფერია და ხან „ზამბახებია, წყებად დაწვენილი“, იდუმალი, ნაზად გამბანგავი, მსუბუქად დამათრობელი სურნელით, რაც საკმარისია პოეტური ექსტაზისთვის, შთაგონებისთვის, როდესაც აბსტრაქცია ხორციელ სახეს იღებს, ხოლო რეალური და მიწიერი კი აბსტრაგირდება.

თოვლის „ფერადებით“ სავსეა გალაკტიონის პოეზია, ფერმწერის თვალით უყურებდა სამყაროს პოეტი და თოვლიც ფიქრისა და განწყობილების, ე. ი. მზის შუქის – კლება – მატების მიხედვით იცვლიდა ფერს, თეთრიდან შავისკენ, ყველა ფერის ტონისა და ნახევარტონის, ჩრდილებისა თუ ნაჩრდილების სახით. „ვარდისფერი“, „მჭვარტლისფერი“, „ირიბი და ალმაცერი“, „ივლისისფერი“ – ფერების ზღვა წამოიშლება კაშკაშა სითეთრიდან. თანვე ეს ფერები სინათლითა და ჰაერითაა გაჟღენთილი, როგორც იმპრესიონისტთა ფერწერული ტილოები.

ლექსის სიმბოლურ შინაარსში წარმოჩნდება ღვთისმშობლის სახეც, რომელსაც არაერთი ულამაზესი ლექსი მიიუძღვნა გალაკტიონმა. ხიდზე დაფენილი ქალწულებრივი იისფერი თოვლი შეიძლება ღვთისმშობელზე მიანიშნებდეს, იდეალზე, ხიდზე, რომელმაც თავის წიაღში მიიღო რა ღვთაებრივი სხივი, მიწა და ზეცა შეაერთა. სწორედ ღვთისმშობელთან სიახ-

ლოვით, მისი მფარველობით შეიძლება ჭეშმარიტების ძიება, სიმშვიდის მოპოვება.

თოვლი ცხოვრების სიცივესა და გაუსაძლისობაზეც მიანიშნებს, ამავე დროს, სიცივეზე, რომელსაც აფრქვევს ყოველგვარი იდეალი, რადგან მასთან მიახლოება მაინც ფუჭი და ამაო ცდაა მოკვდავისთვის, თუმცა ამ მცდელობის გარეშე სიცოცხლეს აზრი ეკარგება.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საგულისხმოა გალაკტიონის ლექსი „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“, აქაც ღვთისმშობელი თოვლისაა, აქაც იგივე მისწრაფებაა იდეალისკენ, ცხოვრების საზრისის მოპოვების სიძნელე და ამ გზაზე განცდილი ტკივილების გამოსახვაა. პოეტი ხომალდივით მიაპობს ტალღებს (საინტერესოა პარალელი რემბოს „მთვრალ ხომალდთან“) გაშლილ და აბობოქრებულ ზღვაში და გრძნობს ღვთისმშობლის მფარველობას, ხედავს თოვლის მადონას, ფერმკრთალსა და წმინდას, რომელსაც ამკობენ ყვავილები, იები და იადონები („გიიადონა“), იხსენებს იესოს, რომელიც მისი „ჭაობივით უნოტიესი სულისთვის“ ეცვა ჯვარს და ეს მის წარმოსახვას ახლაც ელვასავით დაღავს, ეს მის სულში ეცმება ჯვარს კლავაც მაცხოვარი და ტკივილისგან გულმუცელი ეფლითება, ლოცვით იქარვებს ნაღველს: „ესე არს სისხლი, ესე არს ხორცი და იდუმალი ლოცვა ბაგისა“. სული კი, ლაჟვარდზე უსპეტაკესი სული, ხედავს თოვლის მადონას, ოცნებობს ვარსკვლავებზე, რომელთაგან ერთი სწორედ მისი სულის ანარეკლია, ამიტომაც სჯერა და სასოებით ელის „ვარსკვლავი იგი – ფიქრთა საგანი – ერთი უმრავლეს ვარსკვლავთაგანი, აელვარდება ცაზე ოდესმე“. ეს აელვარება ხსნის გზის გამოჩენასა და „დემონზე უბოროტესი სულის“ დაძლევას მოასწავებს. ასე ილესება პოეტი ოცნებებით, „დღეთა სინაზეს მოდებულ კორძებს“ პოეზიით აშორებს.

„თოვლი“, როგორც მთლიანი ლექსი, ასევე მისი ცალკეული სტრიქონი და სიტყვა, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ლივლივებს, კონტურებს იცვლის, ფერებსაც, ხმასაც, სურნელსაც და ხელიდან გისხლტება ილუზიურად გამომკრთალი აზრი, რადგან მთავარი გრძნობები და ემოციებია, იმ ენაზე ლაპარაკი, რომელზედაც ხეები, ყვავილები და საერთოდ, ბუნება მეტყველებს.

ლექსის ლირიკული გმირი საუბრობს სიყვარულის მოთმენაზე, რადგან უდაბნოში ძნელად ხარობს რწმენის ყვავილი. თანვე დგას ხიდზე, რომელიც თვითმკვლელობაზე ფიქრის ადგილიცაა, მისტიკურად მიმანიშნებელია გაღმა სამყაროსი:

„როგორ, საიდან... არ იცის თვითონ,
ის უცნობ ხიდზე დგას, სხვაა ხიდი.
მძიმეა ტვირთი? მაშ, სხვებმა ზიდონ,
ის ეხლა გახდა წყნარი და მშვიდი“ („ის მიდიოდა ქუჩაში ერთი“).

როგორ იცვლება „თოვლის“ აზრობრივ-ემოციური ინტონაციები? როგორია მხატვრულ სახეთა თანმიმდევრობის ლოგიკა? ეს არის სიზმრისეული რეალობის ფერწერული ხატება. ლირიკული გმირის ტონი ზეაწეულია, ის აღსარებას ამბობს, მაგრამ ხმამაღლა, მთელი სამყაროს გასაგონად. ეს

არის „მეს“ ჩაკეტილი სივრცის გარღვევის მცდელობა. ამ შემთხვევაში, თოვლის სითეთრე თან ახშობს სივრცეს, თანვე ავლენს თეთრიდან ფერადოვნების დაბადების შესაძლებლობას. ამ პოტენციურად არსებულ ძლიერ ვნებას უეცრად თითქოს გასაქანი მიეცემა და ლირიკული გმირის გულიდან გადმოიღვრება სხვებთან განდობის წადილი, მას უნდა ქვეყნიერებას გააგებინოს, რომ უყვარს და ამ სიყვარულის ძალით გადაასხვაფეროს ყოველივე. ოცნებასა და რეალობას შორის საზღვრები ნაშალოს, მას საკუთარი სულგულიდან გარეთ გამოაქვს მწუხარე გრძნობა, რადგან ვინც უყვარს და ვისაც ოცნებებში ელოლიავება, კვლავაც მიუწვდომელია და შორეული. თუმცა ამ მიუწვდომლობასაც ჰქონდა თავისი ხიბლი, რაც სხვა ლექსში ამგვარად გამოხატა: „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები, მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი“ („რაც უფრო შორს ხარ“).

პოეტის აღმაფრენა წამით იჩრდილება სიბერის წარმოდგენაზე: „ძვირფასო, სული მევსება თოვლით, დღეები რბიან და მე ვბერდები“. ამ სტრიქონზე საინტერესო დაკვირვება აქვს დავით წერედიანს, რომელიც ფიქრობს, რომ გამორიცხული არ არის, იგი გამოძახილი იყოს ბელგიელი ჟორჟ როდენბახის ლექსისა, რომელშიც ასეთი სტრიქონებია: „თოვლის ფიფქებით, როგორც ვარსკვლავებით, სავსეა ჩემი სული“. ბატონი დავითის აზრით; „აქაც მუსიკას აჩენს არა ალიტერაცია (რფ-რბ-ბრ), თუმცა იგი კარგად არის შეფარული, არამედ შეგრძნებათა გადმოცემის ემოციური სიზუსტე. თოვლით სულის ავსება გახანგრძლივებულია, დროშია განფენილი. სიტყვა „ძვირფასო“ ფრაზას ინტიმურ შეფერილობას აძლევს, თითქმის ჩურჩულამდე დაჰყავს და ამ კონტექსტში „სიბერის“ შემოტანა, რასაც ძალიან იდუმალ პოეტურ აქტსაც ვერ დაარქმევ, მოულოდნელად იდუმალ მუსიკალურ აკორდად კრავს ჩვენს შეგრძნებას“.

სიბერის ხსენება ტონალობას დაბლა წევს, აღმაფრენაც სადღაც ქრება და იწყება დარდების, მწუხარების გახსენება, ჩივილი უიღბლობისა და ტანჯვის გამო: „ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ / უდაბნო ლურჯად ნახავერდები“.

აქ, უპირველესად, სულიერი სამშობლო იგულისხმება, სხვაგან ხომ ამბობს: „რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია, რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“ („ოფორტი“). ეს არის მისი მშობლიური სულიერი სამყარო, სადაც იშვა, როგორც პოეტი და სადაც ხარობს, სადაც მის „ზრდას“ რწმენა განაპირობებს. ეს არის იდეებისა და წარმოდგენების საუფლო, რომელიც ფორმას პოეტის განწყობილებების შესაბამისად იცვლის.

ამ სათქმელს შესანიშავად გამოხატავს თეიმურაზ დოიაშვილი: „გალაკტიონის ჭეშმარიტი სამშობლო არის პოეზია, რომელიც ერთდროულად აბსოლუტთან ზიარების საშუალებაცაა და სინამდვილესთან „შერიგების“ მიზეზიც. პოეზიის სამყაროს აღმოჩენამ სულ სხვა სინათლით გაანათა მარტოობით გატანჯული სული. რაფაელის მადონას ღვთაებრივი მშვენიერებით მოჯადოებული პოეტი დაასკვნის, რომ მიუღებელ სინამდვილეზე ამაღლების ერთადერთი გზა მშვენიერებასთან ზიარებაა“.

აკაკი ხინთიბიძე ამ სტრიქონს: „ჩემს სამშობლოში...“ მიიჩნევს ლექ-

სის ძირითად სახედ, რომელიც საყრდენს პოულობს „უდაბნოში“ („ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა ჩემი ქვეყანა“). მშვენიერი ტანჯვა ნიშანდობლივია „თოვლის“ ავტორისთვის... სიტყვა „დაღლილის“ თავისებური ფორმა „დაღალული“, რომელიც მძაფრ ემოციურ შეფერილობას აძლევს ამ სიტყვას“.

სიზმრისეული ლოგიკა საგნებს და მოვლენებს ფერს უცვლის, ჩვეულ კავშირებს არღვევს და ახალს ქმნის. ეს „სამუშაო“ არაცნობიერის ნიაღში ხორციელდება და ამიტომაც შეუძლებელია თვალმიდევნება და გაანალიზება. ჯემალ ქარჩხაძე მიიჩნევდა, რომ ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები დიდი სულიერი რხევის შუა წელში იქმნებოდა, ცნობიერისა და არაცნობიერის თანაბარი მონაწილეობით: „გალაკტიონის პოეზიაში, ჩემი აზრით, მეცნიერულ დონეზე შეიძლება ერთმანეთისგან გაირჩეს შთაგონებით შექმნილი და შთაგონების გარეშე, მხოლოდ ტექნიკით, დაწერილი ლექსები“. სამწუხაროდ, თვითონ ჯემალ ქარჩხაძეს ამგვარი წერილი არ დაუწერია და რომც დაეწერა, თავისი განუმეორებელი ლოგიკურ-ფილოსოფიური წიაღსვლებით და პარადოქსული აზროვნების წყალობით ბევრ საგულისხმოს წარმოაჩენდა, თუმცა მაინც საეჭვო დარჩებოდა შეფასებები, ძნელი იქნებოდა ცნობიერ-არაცნობიერის საზღვრის ზუსტი დანახვა და აღწერა.

პოეტი შვებას იანვართან ძმობაში პოულობს და იტანჯება „ნივთიერ“ სამყაროში, თუმცა ღვთის უძვირფასეს საჩუქარს, სიყვარულს არ კარგავს და მუდამ ახსოვს „სატრფოს“ „თოვლივით მკრთალი ხელები“. ეს სიმკრთალე არმიწიერსა და იდეალურზე მინიშნებაა კვლავ. ეს ხელები დახრილია უღონოდ თოვლთა დაფნაში. უღონობა მიანიშნებს იმაზე, რომ იდეალი (ღვთისმშობელი) ვერ იფარავს პოეტს სასოწარკვეთილებისაგან, მაგრამ თოვლთა დაფნის სახეს მაინც შემოაქვს სიმშვიდისა და ჰარმონიის განცდა. დაფნის სიმწვანედ იცვლება თოვლის სითეთრე და ეს მიანიშნებს ნუგეშზე, რომელიც პოეტის სულში ფოთლებივით ჩაიფინება. დაფნის მარადმწვანეობა აგრეთვე მის ცხოველმყოფელ ძალასაც ნიშნავს, ქალი დაფნასთან ასოცირდება, ბუნებასთან, რომელმაც უნდა განაახლოს პოეტი, სიყვარულის გზით უკვდავებას აზიაროს. თოვლი, მწუხარება, ფოთლები სხვა ლექსებშიც წარმოაჩენს პოეტის სულიერ ტკივილს: „ახლა შენ არ გსურს არაფერი, ო, არაფერი, / მხოლოდ ზამთრების მწუხარებით შეიფოთლები“ („შენს სიყმაწვილეს ახსოვს მხოლოდ ზუზუნი ქარის“). პოეტი მზერას მიადევნებს მანდილს, რომელიც ფრინველივით დასრიალებს ჰაერში, ხან იელვებს და ხან ქრება. ეს გაელვება-გაქრობა შეესაბამება პოეტის სულიერ მღელვარებას, რწმენის მოზღვავებასა თუ მინავლებას. ღვთისმშობელზე ფიქრი აჩენს ლექსში „ხარებას“:

„თოვს! ასეთი დღის ხარებამ ლურჯი
და დაღალული სიზმრით დამთოვა“.

ხარება სიხარულზე მიანიშნებს, რომელიც მაინც ჩნდება ამ ცივ მწუხარებაში, რადგან სული ინახავს მოგონებას „მკრთალი ხელებისას“ და მანდილისას. ხარების დღესასწაული აღინიშნება იმ დღის გასახსენებლად, (25 მარტი – ძვ. სტილით, 7 აპრილი – ახალი სტ.) როდესაც, ლუკა მახარებლის „სახარების“ მიხედვით, გაბრიელ მთვარანგელოზმა ღვთისმშობელს ახარა;

„ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა“. სწორედ ღვთისმშობლის შორეული, მაგრამ მანუგეშებელი მზერა აჩენს იმედს, რომ პოეტი შეიძლება გადაურჩეს უდაბნოს, ზამთარს, ქარს – ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, სულიერი წინააღმდეგობების აღმნიშვნელია, ისევე, როგორც ბარათაშვილის „მერანში“ („გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გადაიარე კლდენი და ღრენი...“).

ლექსში გაელვებული „ძვირფასი“ ქალი სიმბოლოა ღვთისმშობლისაც და „მერისაც“, შორეულისა, თანვე ქალისა, რომელთანაც აკავშირებს ტკბილი მოგონებები. თოვლიც იმგვარსავე ფარულ დარდს ასხივებს, როგორც სატრფოს ხმა. სწორედ ეს ფარული დარდია მათი სულიერი ნათესაობის დასტური.

ლექსი გამსჭვალულია სასოწარმკვეთი მარტოობით, რომელიც გალაკტიონის სულიერ ემბლემად იქცა, იგი იყო „მარტოობის ორდენის კავალერი“ (ტიციან ტაბიძე). „დაწყევლილ“ ფრანგ და ქართველ პოეტთა დარად ცხოვრებისეულ თამაშში მარტო მოასპარეზე. მის პოეზიაში თავიდანვე გაისმოდა სახარებისეული ტკივილის, ჯვარზე გაკრული იესოს სიტყვების – „რაისთვის დამიტევებ მე“ – გამოძახილი. ამიტომაც ტიციან ტაბიძემ შენიშნა კიდევაც მის სტრიქონზე „რომ დავიღალე მე ამ კუბოში“ – „ეს პირველი ლამა საბაჰთანია ჩვენს პოეზიაშიო“. ეს იყო ერთდროულად მისი ტანჯვისა და სიხარულის წყარო. რადგან სწორედ ეს ეჭვი, გადაურჩებოდა თუ არ ზამთარს და ქარებს, აქმნევინებდა ლირიკულ შედევრებს.

რევაზ თვარაძე ლექს „თოვლის“ შესახებ შენიშნავდა: „ლექსის კითხვისას სადღაც ვიყავით. ეს იყო რაღაც ნეტარი ბურანი, რომლიდანაც თავის დაღწევა არც ახლა გვსურს... ეს არის არა უბრალოდ გადმოცემა რაიმე ამბის, აზრის, განწყობილების, თუნდაც ხილვისა, არამედ არსებობის ისეთ სფეროთა წვდომა, რომელთა ნაწილ-ნაწილ შეცნობა შეუძლებელია... გალაკტიონს აბსოლუტური სმენა რომ აქვს, მისი ლექსი უჩვეულოდ მუსიკალური რომ არის, მისი შედარებები – მოულოდნელი, ორიგინალური, მისი რითმები – უაღრესად კეთილხმოვანი, მისი ლექსიკა – უცდომლად შერჩეული, სინტაქსი, სტილი – დახვეწილი, რიტმი – გაუცვეთელი... ეს ყოველივე ოდენ სადინარია არსებითის გამოსავლენად“.

ეს არსებითი კი ღვთისმშობელზე ფიქრია. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით, „თოვლი“ ყველაზე მეტად ეხმიანება ლექსს „სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში“ საერთო განწყობილებით, სახეთა მუსიკალურობით, სათქმელის იდუმალებით. ემოციის გამოხატვის სრულყოფილებით, ოღონდ „თოვლში“ მეტი იმედი და რწმენაა, რომ „უდაბნოში“, ურწმუნოებისა და დემონურ საუფლოში, მარადი ქალწულის მანდილი დაიფარავს და შვებას მისცემს.

მაია ჯალიაშვილი

პოეტური წინასწარმეტყველება

(გალაკტიონ ტაბიძის „მთაწმინდის მთვარე“)

„მშვენიერების წვდომა უთანასწორო დუელია“
შარლ ბოდლერი

როგორ გარდაიქმნებიან ჩვეულებრივი სიტყვები პოეზიაში ისე, რომ საოცარ ენერგიას აფრქვევენ? რა ჯადო აქვს იმ საიდუმლოს, რომლის ამოცნობისკენ გვიბიძგებს ლექსი? ეს კითხვები ყველაზე ხშირად გალაკტიონის ლექსების კითხვისას გვიჩნდება. გალაკტიონის ლექსების წაკითხვა იწვევს ამაღლებულობის, მშვენიერების განცდას. სწორედ ეს ამაღლებულობა შეიგრძნობა „მთაწმინდის მთვარეშიც“, რომელიც საუკეთესო ლექსია არა მხოლოდ გალაკტიონის შემოქმედებაში, არამედ – მთელ ქართულ პოეზიაში.

ამ შედევრის გაცნობა და შემდეგ შეცნობა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან ლექსის მხატვრულ-სახეობრივი სისტემა მრავალფეროვანია და მრავალმნიშვნელოვანი. ცალკეული სიმბოლო ინტერპრეტაციათა სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა მკითხველის მიერ განსხვავებულად მოიაზრება და ეს ქმნის „გაგების“ სხვადასხვაობასაც, თუმცა, ერთი რამ ცხადია, ეს ლექსი, როგორც ოსკარ უაილდი იტყოდა, იწვევს ერთგვარ ესთეტიკურ კათარზისს, რადგან მკითხველი შინაგანად განიწმინდება უცხო და უმშვენიერეს პოეტურ სამყაროსთან საზიარებლად.

1950 წ. 17 ნოემბერს გალაკტიონს დღიურში გაუკეთებია ასეთი ჩანაწერი სათაურით „საკუთარი ლექსების შესახებ“, რომელშიც „მთაწმინდის მთვარის“ შესახებ შემდეგს წერს:

„რომ მეფე ვარ და პოეტი“ – მქონდა ასეთი ფრაზა „მთაწმინდის მთვარეში“. ეს ლექსი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პოპულარულია, საკმარისად შესწავლილი არ არის, როგორც ერთ-ერთი გასაღებთაგანი ჩემი შემოქმედებისა. ამ ლექსში უსათუოდ ჩანს პოეტი, რომელიც თავის შემოქმედებას უკავშირებს მეცხრამეტე საუკუნის პოეზიის კორიფეების შემოქმედებას, აცხადებს რა თავს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის პოეზიის მემკვიდრედ. აქ მთვარის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით მოსჩანან მტკვარი და მეტეხი... აქ, ახალგაზრდა პოეტის ახლო, სძინავს მოხუცი პოეტის ლანდს, აკაკი წერეთლის ლანდს. ბარათაშვილსაც ხომ აქ უყვარდა ობლად სიარული; ილია ჭავჭავაძესაც, დიმიტრი ყიფიანსაც და აქ პოეტი ამბობს: „დე, მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად“ (ლირიკის კონცეფცია), ოღონდ ვსთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა (კავშირი ბუნებასა და ადამიანის სულს შორის), თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები (ძალა აღმაფრენის, პოეზიის, რომანტიზმის), და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები (რომანტიზმი ლურჯის, ცისფერი ოცნების). იალქნები ზღვაზე, სულიც აღზრდილია ამ ზღვაზე, ცხოვრების ზღვაზე,

სიცოცხლის ზღვაზე, რომელზედაც ლურჯი იალქნების ზღვა მიდის, თვით სიკვდილის გზაც კი არაფერია მასთან შედარებით, ამ სიცოცხლესთან შედარებით და თვით სიკვდილის გზაც კი ვარდისფერია და არა საშინელი, საშიშარი (სწორედ იმავე ჰანრი რენიეს თქმით, „მოულოდნელი განცვიფრება ვარდისფერისა და შავი ფერის შეხვედრისაგან"), რომ ამ გზაზე (სწორედ ვარდისფერ გზაზე) მგოსანთა სითამამე, გაბედული ხმა არის სინამდვილეზე უფრო მეტი სინამდვილე – ჰიპერბოლიური, ზღაპრული, „რომ მეფე ვარ და პოეტი და სიმღერით ვკვდები"... „მთაწმინდის მთვარე" ჩემი პროგრამული ლექსია, რომელიც კონკრეტულად ასახავს ჩემს დამოკიდებულებას კულტურული მემკვიდრეობისადმი (ბარათაშვილი, აკაკი, მე)".

როგორ იქმნება პოეტური მშვენიერება?

ეს ლექსი გალაკტიონის სულიერი სამყაროს, მისი პოეტური ცხოვრების ამსახველი დღიურის ერთი ფურცელია. პოეტი ესაუბრება საკუთარ თავს, სამყაროს და თითქოს მისი სული კოსმიურად იშლება, განეფინება დროსა და სივრცეში. აწმყო, წარსული და მომავალი ერთ მთლიანობად იკვრება იმისათვის, რომ მარადისობამ პოეტის აღსარება მოისმინოს.

ლექსი „მთაწმინდის მთვარე" პირველად ქართველ სიმბოლისტთა ჟურნალ „ცისფერი ყანწების" პირველ ნომერში დაიბეჭდა. როგორც ვიცით, ქართველ სიმბოლისტთა პოეტური სკოლა 1916 წ. ქუთაისში შეიქმნა და ამავე წელს გამოვიდა „ცისფერი ყანწების" ორი ნომერი. ჟურნალში დაბეჭდილ „მთაწმინდის მთვარესა" და მის შემდგომ, კონკრეტულად, 1919 წელს გამოცემულ, „არტისტულ ყვავილებში" დასტამბულსა და სხვა გამოცემებში არის გარკვეული განსხვავებები:

მაგალითად, ძველ ვარიანტში, მე-6 სტრიქონში, ნაცვლად დღევანდელი:

„და მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით"

არის:

„და შორეულ მოგონების მსუბუქ სიზმარივით".

„შორეული მოგონება" პოეტმა იმგვარი სიტყვებით ჩაანაცვალა, რომელიც მეტ იდუმალებას შეიცავს და უფრო ამძაფრებს ლექსის განწყობილებას. თანაც, ფერწერულადაც – „და მის შუქში გახვეული" უფრო გამოკვეთილია.

მე-9 სტრიქონში:

„აქ ჩემს ახლო აკაკის ლანდს"

ჩასწორებულია:

„აქ ჩემს ახლო მოხუცის ლანდს".

მე-10 სტრიქონში:

„მწუხარე სასაფლაოს" ნაცვლად იყო: „მშობლიური სასაფლაო".

მე-11 სტრიქონი „ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული"–პოეტის მიერ 1919 წელს გამოცემულ ლექსთა კრებულში („არტისტული ყვავილები") დაბეჭდილ „მთაწმინდის მთვარეში" გვხვდება ამგვარად: „დაწყევლილ ყრმას აქ უყვარდა ობლად სიარული". შემდგომ პოეტმა ისევ პირვანდელი ვარიანტი აღადგინა.

„ცისფერ ყანნებში“ დაბეჭდილ ვარიანტში იყო შემდეგი ორი სტრიქონი: მე-19 და მე-20, რომლებიც პოეტმა მთლიანად ამოიღო:

„ვით ეფრქვევა ეს ჩანჩქერი ტბის ნაპირს და ტყეებს
და ვით ახვევს კვდომის ბურუსს ვერცხლის მდინარეებს“.

ამ ჩასწორებითაც, პოეტმა ზედმეტად მიიჩნია მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებისა და ჩანჩქერებისათვის კიდევ დაემატებინა პოეტური ასოციაცია – რომ ეს ჩანჩქერი ტბის ნაპირებსა და ტყეებს კვდომის ბურუსში ახვევს.

ამგვარი „ჩასწორებების“ თვალმიდევნება ერთგვარად შეგვახედებს პოეტის „ლაბორატორიაში“ და დაგვანახვებს, როგორ ხვეწდა გალაკტიონი უკვე დაწერილსა და გამოქვეყნებულს (თუმცა, გალაკტიონის ამგვარ მუშაობაზე ბევრი რამ დაწერილა და მათ შორის, უპირველესად, წიგნი ვახტანგ ჯავახაძისა „უცნობი“).

პოეტის მიერ 1953 წელს დაწერილი დღიურის ჩანაწერებიდან ისიც ირკვევა, რომ გალაკტიონს სურდა ლექსში ილიაზე ჩაერთო შემდეგი სტრიქონები:

„აქ წამების სიზმრადა ქრის წიწამურის ალი
და მწუხარე საქართველოდ სდგას მთაწმიდის ქალი“.

პოეტს ეს ჩასწორება არ შეუტანია, თუმცა, „ცისფერი ყანნებისეული“ ვარიანტიდან ამოიღო „მშობლიური სასაფლაო“ და ჩაანაცვლა „მწუხარე სასაფლაოთი“, რითაც, ჩვენი აზრით, პირდაპირ მიანიშნა ილიას საფლავზე. როგორც ვიცით, ილიას საფლავზე 1913 წელს დაიდგა ცნობილი ქართველი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის მიერ შექმნილი ქართველი ქალის მგლოვიარე ფიგურა, რომელსაც აკაკი წერეთელმა „გვირგვინი მწუხარებისა და გულდაწყვეტისა“ უწოდა. ამ ძეგლს „მწუხარე საქართველოც“ შეარქვეს.

ამ ლექსის განწყობილებათა გრადაციები შეიძლება ამგვარად მოვიაზროთ:

1. პოეტური აღსარება.
2. დრო-სივრცის გარღვევის წადილი.
3. ფესვების შეგრძნება (ბარათაშვილი, ილია, აკაკი).
4. ღამის სულში ჩახედვა – ბუნებასთან თანაზიარობა.
5. პოეზიით, ხელოვნებით სიკვდილის დაძლევა.
6. ფერებიდან წარმოშობილი განწყობილებების სიმბოლური გააზრება და სხვა.

ხელოვნებისა და სიკვდილის დამოკიდებულების თვალსაზრისით, კარგი იქნება, გავიხსენოთ 1919 წლს გამოცემული გალაკტიონის ლექსების კრებულის სახელწოდება „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“, რომელსაც თვითონ პოეტი ასე განმარტავდა: „იგულისხმება თავის ქალა (სიკვდილი), არტისული ყვავილები (ხელოვნება), სიკვდილი და ხელოვნება, რომელმა უნდა გაიმარჯვოს? რა თქმა უნდა, ხელოვნებამ.“

„მთაწმინდის მთვარის“ მთავარი სათქმელიც ესაა: პოეზიით სიკვდილის დაძლევა. სწორედ ამიტომ ირჩევს პოეტი ამ ლექსის ფონად სასაფლაოს, რადგან სხვაგან სად, თუ არა აქ, უნდა შეიგრძნოს პოეტმა სიკვდილის

რეალობა და სიცოცხლის წარმავლობა. ბარათაშვილის წერილი გვახსენდება, რომელშიც იგი წერს, რომ „სასაფლაო მშვენიერი გამოგონებაა. ის აუცილებელია, რათა მოკვდავი დროგამოშვებით იმაში თავის ცხოვრებას კითხულობდეს! ბედკრულის ნუგეშისცემა – დასასრული ბედნიერებისა!" თვითონ გალაკტიონი წერილში „ძვირფასი საფლავები" სასაფლაოს შესახებ წერს: „მხოლოდ აქ შეგვიძლია ჩავიხედოთ წარსულის სარკეში და დავინახოთ ჩვენი მეოცნებე სახე, როგორც ხანდახან მყუდრო საღამოს ზღვის ყურეში გარინდებული გემის ჩრდილი ლაჟვარდ ზედაპირზე. აქ ცხოვრების ხმაურობა ისმის შორიდან, როგორც ზღვის ღელვა. აქ ყველაფერი სიმშვიდეს მოუცავს, აქ ყველაფერზე ღრმადაა გაყოლებული იდუმალება, საიდუმლო. ამ უზარმაზარს, ბნელსა და ერთი შეხედვით ცარიელი სივრციდან, როდესაც მირაჟი მკრთალია და მინაზებული, მშვენიერი და ლამაზი წარსულის ანარეკლს ისვრის, ჩვენი სული იღვიძებს და მზად არის, ისევ აანთოს ჩამქრალი ან დაფარული სიამაყის სანთლები".

ასე რომ, „მთაწმინდის მთვარე" წარმოგვიდგება, როგორც ერთი „არტისტული ყვავილი" (ხელოვნება), რომლის საშუალებითაც პოეტი სძლევს სიკვდილს, ამიტომაც მთავრდება ლექსი სიკვდილთან შეგუებისა თუ მასთან შერიგების სურათით. სიკვდილი ამ ლექსში გაიაზრება არა როგორც დასასრული, არამედ მარადისობაში გადასასვლელი ხიდი თუ კარი:

„რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,
რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი".

ეს სტრიქონები, ჯერ კიდევ 1915 წ. დაწერილი, შეიძლება გავიაზროთ, პოეტის მიერ თავისი უკვდავების ერთგვარ პოეტურ წინასწარმეტყველებადაც კი.

პოეტმა თვითონვე მიზნად დაისახა („საპროგრამო ლექსით") სიკვდილის, სიცოცხლის ყველაზე დიდი მტრის, ადამიანთა ყველაზე დიდი შიშის დაძლევა პოეზიით, ოცნებათა ლურჯი იალქნების გაშლით, რომანტიკული აღმაფრენით, ლურჯი ცის (მარადისობის, ღვთის საუფლოს) ტრფობითა და მისკენ დაუსრულებელი მისწრაფებით. გალაკტიონზე ადრე ეს გზა უკვე „გაეთელათ" და მისთვის სავალი გაეადვილებინათ რუსთაველსა და ვაჟა ფშაველას. გავიხსენოთ „სახელოვანი სიკვდილი" თუ „შენი ჭირიმე, სიკვდილო", აქვე შეიძლება გურამიშვილიც გაგვეხსენებინა, რომელმაც დასცინა და გაამასხარავა სიკვდილი.

გალაკტიონი ლექსში არც რუსთაველსა და არც ვაჟას არ ახსენებს, მაგრამ მისი დამოკიდებულება მათდამი, როგორც კულტურული მემკვიდრეობისადმი, სტრიქონებს მიღმა, ქვეტექსტებში შეიგრძნობა.

„ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული" – ლექსის ამ სტრიქონით პირდაპირ მიენიშნება ბარათაშვილის – „შემოღამება მთაწმინდაზედ", „ფიქრნი მტკვრის პირას" და სხვა ლექსებზე, რადგან სწორედ „სულიერი ობლობის" განცდას მიჰყავს პოეტები მთაწმინდაზე, სადაც ნუგეშს ბუნებისაგან (მთვარე, ვარსკვლავები, მთაწმინდის შემოგარენი...) მოელიან და თან სიცოცხლის საიდუმლოსაც შეიცნობენ. გალაკტიონი ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ერთ წერილში წერს: „როდესაც იგი მთაწმინდაზე ადიოდა, მისი

სული ჰგავდა მთვარეს, რომელიც თანდათან ფითრდებოდა. იმან გაიარა თავისი მარტოობის გზა, გაიარა მოწყენილს შეღამებულ დროს, როდესაც ბედნიერებას სძინავდა და სცხოვრობდნენ მხოლოდ აჩრდილები, ჭოტები და ცოდვები".

ბარათაშვილის ლექსში გამოკვეთილია მთაზე ასვლის რელიგიური განცდა. გავიხსენოთ, რომ პოეტი ხაზს უსვამს მთის სიწმინდეს და აქ მოსულს ისეთი განცდა ეუფლება, თითქოს ტაძარში იდგეს და ღვთის წინაშე მუხლმოდრეკილი ლოცულობდეს. ამ განცდას ამძაფრებენ სტრიქონები: „ძირს გაშლილს ლამაზს ველსა ყვავილნი მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმიდასა, / და, ვით გუნდრუკსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სუნნელებასა" და კიდევ: „გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცებული, / მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკო-გადახრით შუქმიბინდული".

ვფიქრობთ, ბარათაშვილის სწორედ ეს პოეტური სახე „ნაზად მოარე, შუქმიბინდული მთვარისა" გახდა გალაკტიონოს ლექსის ერთგვარი შთამაგონებელი იმპულსი, რადგან გალაკტიონის მთელ ლექსში ბარათაშვილის სტრიქონები ირეკლება. გალაკტიონთანაც იგივე „აღმოჩენაა" მთვარისა, რომელიც, თუმცა, აღარ ჰგავს „ლოცვით მიქანცებულ სულს", მაგრამ იმგვარადვე უმანკოა, წყნარია და ნაზია, შუქმიბინდულია, მდუმარებით შემოსილი „შეღამების ქნარია". შეღამების ქნარი პირდაპირ იწვევს ლოცვის, ფსალმუნების წარმოთქმის ასოციაციას. გალაკტიონის ლექსში მთვარე ირგვლივ ყოველივეს მიმქრალი შუქით ბინდავს და იდუმალების ბურუსში ახვევს – „მსუბუქ სიზმრად აქცევს". სწორედ მთვარეს „გაჰყავს" პოეტი რეალობის განზომილებიდან პოეტურ სივრცეში და იწვევს ჯერ არყოფილის, ჯერ არგანცდილის შესაცნობად და შესაგრძნობად.

გალაკტიონი დღიურში ერთგან წერს: „რატომ არის მთვარე და არა მზე? უვიცს არ ესმის, რომ მთვარე საწყისია ვაჟურობის, მზე ქალურობის".

აქვს თუ არა ამ შემთხვევაში ამ მინიშნებას რაიმე მნიშვნელობა? მთვარე, ასტრალური თვალსაზრისით, დედამიწაზე სიცოცხლის მომნიჭებელი და გამაძლიერებელია. თავისი ავსებისას ცოცხალ არსებათა ცხოველმყოფელი ძალების აღმავლობასაც იწვევს, მათ შორის, სიყვარულის ძალისას. „მთაწმინდის მთვარის" ლირიკული გმირიც შინაგანი ძალების ერთგვარ მოზღვავებას გრძნობს, იგი ივსება სიყვარულით და ეუფლება ყოველივეს ძლევისა და გადალახვის წყურვილი. ამგვარი პოეტური აღგზნებისას მას სიკვდილის გზაც კი ვარდისფერად წარმოუდგება და მზად არის არყოფნასთან შესაგეგებლად. მისი სიზმარი, მისი ოცნება ამ მთვარიან ღამეს თითქოს ფრთებს ისხამს და ლურჯ იალქნებს შლის ცხოვრების ბობოქარი ტალღების გადასალახავად. ამგვარად, ეს ვაჟური საწყისი შეიძლება სასიცოცხლო, პოეტური ძალების მოზღვავებად გავიაზროთ და, აგრეთვე, შემოქმედების წამებადაც, რადგან პოეტი სწორედ მთვარის შუქზე, მისი გავლენითა და შემწეობით, ქმნის პოეტურ სტრიქონებს. გალაკტიონის ნინაპარი, რუსთველი გვახსენდება, რომელიც ავთანდილს მთვარისადმი მხურვალე ვედრებას წარმოათქმევინებს:

„მთვარესა ეტყვის: „იფიცე სახელი ღმრთისა შენისა,
შენ ხარ მიმცემი მიჯნურთა მიჯნურობისა სენისა".

ბარათაშვილს მთაწმინდის „ციური ცვარით“ მონამული, იდუმალი მიდამოები პოეტს ღვთაებრივთან აზიარებენ. სწორედ აქ განიცდის პოეტი „მინაზებული“ ბუნებისაკენ სწრაფვას, ცისკენ ლტოლვას, რაც ღმერთის ხილვის წყურვილს ამხელს. თუმცა, ამ სულიერ აღტყინებას წუხილი მოჰყვება: ფიქრები „შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან“.

მთავარი კი სწორედ ისაა, რომ მთაწმინდა ავიწყებს პოეტს ამაოებას და მისი გულისთქმა ხილულის მიღმა „ეძიებს სადგურს“ ამაოების დასაძლვად და დასავიწყებლად. პოეტი შვებას იღებს იმით, რომ მთაწმინდა, როგორც მეგობარი, მისი გულის მესაიდუმლე, „ეხმარება“ ღვთაებრივის განცდასა და „მზიანი დღის“ (ღვთის ხატება) ხილვის რწმენის განმტკიცებაში.

განწყობილებათა თვალსაზრისით, ბარათაშვილი და გალაკტიონი, გარკვეული აზრით, ერთმანეთს მიჰყვებიან, ეთანხმებიან, მაგრამ შორდებიან კიდეც. გალაკტიონთან მთვარე „ზამბახია“. ზამბახი ამძაფრებს მისი იდუმალების განცდას, რადგანაც სიმბოლურად, ზამბახისფერი იდუმალზე მიანიშნებს. ამასვე ემატება ზამბახის ნაზი სურნელი, რომელიც „პოეტური ზეშთაგონებისთვის“ სასურველ ფონსა ქმნის. სურნელი, ფერი და მუსიკა აქ ერთმანეთს გადაეწვნება და იქმნება ბოდლერისეული სრულყოფილი „შესაბამისობა“, რაც პოეტს სამყაროს ჰარმონიულობის შეცნობა-შეგრძნებაში ეხმარება.

გალაკტიონის ლექსში ფერები დაწმენდილი და გამოკვეთილია, მიუხედავად იმისა, რომ მთვარის შუქის იდუმალების ბურუსშია ირგვლივ ყოველივე გახვეული, მაინც გარკვევით მოჩანან თეთრად მოელვარე მეტეხი და მტკვარი. იკვეთება სასაფლაოთა შტრიხებიც.

მელოდიურობის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რომ გალაკტიონის ლექსი 14 მარცვლიანი სტრიქონებითაა დაწერილი და ჯვარედინი რითმებით გაწყობილი. ბარათაშვილის ლექსი კი შერეული საზომითაა დაწერილი, აქ ერთმანეთს ენაცვლება 14 და 10-მარცვლიანი სტრიქონები, რაც ნიავის ზვირთების მსუბუქი მიმოქცევის ასოციაციას იწვევს.

გალაკტიონის ლექსშიც იგრძნობა ჰაერის მოძრაობა, ოღონდ, გედის სიმღერის „ჩანჩქერებითაა ატალღებული“. ეს პოეტის გულისცემის ხმაცაა, მისი სისხლის მიმოქცევის რიტმის გამომხატველი.

გალაკტიონს ძვირფასი პოეტების – ბარათაშვილის, აკაკისა და ილიას საფლავები სიკვდილთან შეარიგებენ. გალაკტიონის ამ ლექსის პათოსით, სიცოცხლე ღირს მხოლოდ სიმღერისათვის, მხოლოდ შემოქმედებისათვის, მხოლოდ პოეზიისათვის. ამიტომაც არის, რომ მისი მთავარი საფიქრალი და მიზანი ისაა, როგორმე სიტყვებით გამოთქვას, თუ „ღამემ სულში როგორ ჩაიხედა“. პოეზია იქმნება ბუნებასთან შერწყმის, მასთან საუბრის, მასთან დიალოგის საფუძველზე. რეალური მტკვარი და მეტეხი მსუბუქ სიზმარს ემსგავსება და ჩნდება ირეალური გედი, წარმოსახული გზა სხვა სამყაროსაკენ, უცნობი პოეტური განზომილებისაკენ. ამ გზას მთვარის შუქი ანათებს და პოეტს თითქოს გზას ულოცავს და ამხნევებს „ვარდისფერ გზაზე“ სასიარულოდ. თუ ბარათაშვილის ლექსის ბოლოში ჩნდება „მზიანი დღის“ სახე, გალაკტიონთან – არა, მაგრამ მთელი ლექსი ამ მოლოდინითაა

დამუხტული. „ვარდისფერ გზას“ (პოეზიით გამსუბუქებულ, გალამაზებულ სიკვდილის გზას) არყოფნისაკენ კი არა, არამედ მარადისობისაკენ, „მზიანი ღამისაკენ“ მიჰყავს პოეტი. ამ ღამეს პოეტი თითქოს განიწმინდება სწორედ იმისთვის, რომ ღმერთს შეხვდეს.

გალაკტიონი ლექსში ქმნის მომაკვდავი გედის უმშვენიერეს პოეტურ სახესაც, რათა უფრო მეტი მგზნებარება და სილამაზე შეჰმატოს სიკვდილთან შეხვედრის წამებს. გედი, საზოგადოდ, გრაციის, სრულყოფილების, სიწმინდისა და უმანკოების სიმბოლოა. ლეგენდების მიხედვით, გედი მხოლოდ სიკვდილის წინ მღერის, ამიტომაც იქცა გედი სიცოცხლის დასასრულის მაუწყებელ სიმბოლოდ. როგორც ცნობილია, გედი პოეტთა, ხელოვანთა და, განსაკუთრებით, ფრანგ სიმბოლისტთა ძალიან საყვარელი პოეტური ხატი იყო, როგორც ამაღლებულობის, მარტოსულობის, პოეტურობის სიმბოლო. ეს სახე უყვარდა გალაკტიონსაც და ამიტომ ხშირად მოიხმობდა. გავიხსენოთ თუნდაც: „აჰა, მოვედი, გედი დაჭრილი ოცნების ბაღით“ („სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“). ქართველ სიმბოლისტ პოეტს ვალერიან გაფრინდაშვილს აქვს წერილი „გედი პოეზიაში“, რომელშიც იგი წერს: „მე მინდა ერთხელ კიდევ აღტაცებით მოვიხსენიო ის თოვლისფერი ფრინველი, რომლის ნათესაობა ოფელიასთან უეჭველია. ეს არის გედი. საბერძნეთის პოეზიამ გედი პირველად შეიყვანა ოცნების სფეროში და ჩვენ ვიცით, რად იყო მშვენიერი ელენე ქალური ჯადოსნობით აღსავსე. მე შემიძლია დავასახელო მთელი რიგი პოეტებისა, გედი რომ ლექსებით ადიდეს, თუმცა, ისინი არ ყოფილან გედის რაინდები. ესენი არიან: აკაკი წერეთელი, ჟუკოვსკი, პუშკინი, ტიუტჩევი, მეტერლინკი, გრიგოლ რობაქიძე, მალარმე და სხვები. მაგრამ არც ერთ მათგანს, გარდა ტიუტჩევისა და მალარმესი არ შეუქმნიათ გედის იმისთანა შესანიშნავი ქანდაკი, რომელიც ამყარებს აწმყო და მომავალ პოეზიაში გედის კულტს“.

სტეფან მალარმეს ცნობილ ლექსში „გედი“ პოეტი წარმოაჩენს გედს, როგორც მედიდურსა და მარად ქალწულს, მეფური დიდებით შემოსილს. „ტბის სივრცეში გამომწყვდეული გედი“ „სათუთი ყელით იგერიებს სიკვდილს მშვენიერს“.

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ეტოლიის მეფის ქალიშვილის, ლედას სილამაზით აღტაცებული ზევსი მდინარეში მას გედის სახით გამოეცხადა. ზევსისა და ლედას კავშირით დაიბადა ელენე, რომელიც ხელოვნებაში მშვენიერების სიმბოლოდ იქცა.

საგულისხმო ისიცაა, რომ პლატონი თავს „გედების თანამოძმეს“ უწოდებდა, რადგან გედი აპოლონის წმინდა ფრინველად მიიჩნეოდა. პლატონის ცხოვრების ავტორი ოლიმპიოდორე მოგვითხრობს, რომ „როდესაც სოკრატე პლატონის მისაღებად ემზადებოდა, ესიზმრა, თითქოს მუხლებზე უფრთო გედი ეჯდა. შემდეგ გედს ანაზდეულად ფრთები ამოეზარდა და ცაში აიჭრა ხმამაღალი სიმღერით, რომელიც საამურად ესალბუნებოდა სმენას. ასე იქნა ნაწინასწარმეტყველები პლატონის მომავალი დიდება“.

გედი უკავშირდება აპოლონს, რომელიც მუზების ღმერთია. თუ ასოციაციების ჯაჭვს ლოგიკურ რგოლებად ავასხამთ, გალაკტიონი ამ ლექსით

საკუთარ დიდებასა და უკვდავებას ხელოვნებას უკავშირებს და მარადისობასთან ზიარებას წინასწარმეტყველებს.

გრაალზე შექმნილი შუა საუკუნეების ლეგენდების მიხედვით კი, გრაალის თასის მცველის, პარციფალის ვაჟი, ლოენგრინი თეთრი გედის პირველი და ლეგენდარული რაინდია. იგი, ღვთის ნებითა და შემწეობით, ბრაბანტის მეფის ასულის, ელზას დასახმარებლად სწორედ ოქროსნავიან გედს მიჰყავს, რომელსაც რაინდი „ზეცის ნათელ დესპანს" უწოდებს. ასე რომ, ლექსში გედის ხსენება მრავალმნიშვნელოვანია და მკითხველის წარმოსახვასა და ფიქრს გზას უხსნის მრავალგვარი ინტერპრეტაციისაკენ.

რაც შეეხება აკაკის, მისი „განთიადი" აქ ნაკლებად ირეკლება, თუმცა, მას გვახსენებს დიმიტრი ყიფიანის საფლავი და გრძნობამორეული მგოსანი, რომელიც თვალს ავლებს არემარეს და გულის პასუხს ნარნარად ავედრებს მშობელ მხარეს. აკაკისთანაც ბარათაშვილისეული ჩაფიქრებული, დადუმებული, მოალერსე მთაწმინდაა. სამივე ლექსში (ბარათაშვილი, აკაკი, გალაკტიონი) „სიკვდილს დაძლევაა", ოღონდ ოდნავ განსხვავებული ნიუანსებით. ბარათაშვილთან სიკვდილი ღვთის რწმენით დაიძლევა, აკაკისთან – მამულიშვილობით, გალაკტიონთან – პოეზიით. სწორედ სიკვდილის თემა და არა მხოლო მთაწმინდის ხსენება აკავშირებს ამ სამივე ლექსს ერთმანეთთან. მარადისობა კი, რომლის ბინადარიც გახდა სამივე პოეტი, მათაც აერთიანებს და მათ შემოქმედებასაც.

ბარათაშვილის რომანტიკულ-მისტიკური გასეირნება მთაწმინდაზე, აკაკისთან რეალისტურ-რომანტიკული ელფერით შეიმოსა, გალაკტიონთან კი ყოველივე ამას სიმბოლისტური დატვირთვაც მიენიჭა, რადგან გალაკტიონთან მთაწმინდის მთვარის ხილვით აღძრული განცდები ერთგვარ პოეტურ შიფრად გადაიქცა, რომლის ბოლომდე ამოხსნა არავის შეუძლია და არც არის საჭირო. მთავარია სწორედ ეს ამოცნობის, ახსნის პროცესი, რომელიც ლექსის ყოველ სიტყვასა და პოეტურ ხატზე დაგაფიქრებს და მშვენიერებასთან, ჭეშმარიტ პოეზიასთან გაზიარებს.

მაია ჯალიაშვილი

„მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა“

(გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენები“)

„რა ხდება იქით!
საიდან ისმის
მგლოვიარეთა ქნართა: „მშვიდობით”?
გალაკტიონ ტაბიძე

რა ხდება მიღმა სამყაროში? სად მიდის სული გარდაცვალების შემდეგ? რა ემართება ადამიანის ცნობიერებას? ამ ლექსში ამ კითხვებზე პასუხებია დაშიფრული სიმბოლოებსა და ტროპის სხვა სახეებში.

ლურჯა ცხენები გალაკტიონის საყვარელი პოეტური სახეა, რომელიც ლექსიდან ლექსში გადადის და სხვადასხვა შინაარსით იტვირთება, თუმცა ყოველთვის თან სდევს საიდუმლო, რომელიც ბოლომდე ვერ ამოიხსნება.

„ლურჯა ცხენები“ მკითხველს ხიბლავს არა მხოლოდ სათქმელის ფილოსოფიური სიღრმით, რადგან ამ ლექსში პოეტი ყველაზე იდუმალზე – სიკვდილის საუფლოზე ფიქრობს, არამედ – ფორმის სრულყოფილებით.

გალაკტიონი წერდა: „ჩემი „ლურჯა ცხენები“ შეთავსებაა ორი სხვადასხვაობის – რუსთაველის რითმის დაცვა, ბარათაშვილის რიტმის გამოყენება, აზრის გაღრმავება“ (II ტ. 255).

ასე რომ, თვითონ პოეტი ამ ლექსის შთაგონების ორ წყაროს ასახელებს: „ვეფხისტყაოსანსა“ და „მერანს“, ამიტომაც მათი გათვალისწინება აუცილებელია ლექსის ანალიზისას.

რუსთაველთანაც და ბარათაშვილთანაც გვხვდებიან მერნები, რომლებიც თავგანწირულ მხედარს მიაქროლებენ. პირველ რიგში, ეს არის ავთანდილი, სამშობლოდან გადაკარგული და მეგობრისთვის შეწირული, მეგობრისა, რომელმაც ნესტანის პოვნით სიცოცხლისს საზრისს უნდა მიაგნოს; „თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან, / ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან, ველარ შემსუდრონ. და მისმა მისანდობელმან...“ ფიქრის ნაკადები ტალღებივით ეხეთქებიან ავთანდილს სულს, გულსა და გონებას: „ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,/ ყოვლი შენი მინდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა...“ ბარათაშვილიც შეუცნობელის შეცნობის წყურვილით ანთებული „უგზო-უკვლოდ“ მიქრის. დრო-სივრცის სამანებს მიარღვევს და ბედნიერებას მიზნის არა საბოლოო მიღწევაში, არამედ ამ „გიჟურ ქროლაში“ ხედავს.: „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის“.

გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ ამ „წინაპრებს“ ენათესავება. მათაც მინდობია მხედარი, რომელმაც არ იცის, სად იქნება გზის დასასრული ან იქნება კი ეს დასასრული საერთოდ?

ეს ლექსი ერთდროულად აზრი, ფერი და მუსიკაა. ვირტუოზული ტე-

ქნიკით შექმნილი ლექსის სტრუქტურას ვერაფერი არღვევს (ლექსი მკითხველმა შეიძლება სტრიქონთა ჩაგდებით, ან უკუღმა – ქვემოდან ზემოთ წაიკითხოს და არაფერი იკარგება: არც აზრი, არც ემოცია და არც სილამაზე). იგი სფინქსივით მალავს საიდუმლოს, რომელსაც სიტყვიერად ვერ გამოთქვამ.

„ლურჯა ცხენები" გალაკტიონმა შემოიყვანა ქართულ პოეზიაში. ლურჯი ზეცათა საუფლოს, ღვთის სამყოფელის, ღვთაებრივი სამყაროს ფერია. ლურჯა ცხენები თავიდანვე მიანიშნებენ მათ არამიწიერ წარმომავლობასა და დანიშნულებაზე. ბერძნულ მითოლოგიაში მზე ცეცხლოვანი ცხენებშებმული ეტლით დაქრის ცის თავანზე. ცხენი, ზოგადად, ინტელექტის, გონიერების სიმბოლოა. ერთი სიტყვით, ლექსის სათაურიდანვე ყურადღება მახვილდება ორ სიმბოლოზე: ლურჯ ფერსა და ცხენზე. ლურჯი ფერი, რომანტიკოსთა საყვარელი ფერია, რადგან სწორედ ის აღნიშნავს ღვთაებრივ, მიუწვდომელ, შეუცნობელ სამყაროს. გავიხსენოთ ბარათაშვილი: „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს, პირველად ქმნილსა ფერს და არ ამქვეყნიურს სიყრმითგან ვეტრფოდი". ცხენი კი, როგორც აღვნიშნეთ, გონის, ინტელექტის სიმბოლოა, ასე რომ, სათაური წარმოგვიდგება ერთგვარ გასაღებად. პოეტი შეუცნობლისკენ ისწრაფვის, სწორედაც რომ, გონების, ფიქრის, წარმოსახვის საშუალებით.

ლექსი იწყება „სამუდამო მხარის", იმავე, მიღმა სამყაროს, საიქიოს წარმოდგენით:

„როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,
ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე".

პოეტი გვიხატავს სამუდამო მხარეს. ეს არის ფერწერული სურათი, რადგან მკითხველი თვალნათლივ წარმოიდგენს მას. საგულისხმოა, რომ აქ ყურადღება გამახვილებულია ჩამავალ მზეზე, დაისზე. ამ დროს ხომ ზეცა საოცარი ფერებით იღებება. ჩამავალ მზეს მკვდრის მზესაც ეძახიან, რადგან, ხალხური წარმოდგენით, როცა ცოცხალთათვის ჩადის მზე, მაშინ მკვდრებისთვის ამოდის. პოეტს სწორედ „გარდაცვლილთა" სამყარო სურს დაგვიხატოს, სამუდამო მხარე. ეს სამუდამო მხარე უპირისპირდება ცოცხალთა, წარმავალ მხარეს, წუთისოფელს. პოეტი მიმართავს შედარებას, რათა მკითხველმა თვალნათლივ წარმოიდგინოს სამუდამო მხარე. ეს არის სულის მიღმურ სამყაროსთან შეხვედრის პირველი შთაბეჭდილება. ამ ლექსში ხომ სწორედ სულის თავგადასავალია აღწერილი სხეულის გარდაცვალების შემდეგ.

ნისლის ნამქერი გაურკვევლობის, შეუცნობლობის სიმბოლოა. როგორც ნისლის ნამქერს დაედება ხოლმე არამიწიერი ფერადოვნება მზის ჩასვლისას, სწორედ ასეთ ფერებშია გახვეული სამუდამო მხარე. „ელვარებდა ნაპირი"– ეს ელვარება თითქოს თვალისმომჭრელია, როგორც მზის პირდაპირ ცქერა. მკითხველი ლირიკულ გმირთან ერთად გაარღვევს ყოფითობის სამანს და შეიჭრება მიღმა სამყაროში, სამუდამო მხარეში: აქ კი მის წინ გადაიშლე-

ბა უნაპირო სივრცე, რომელიც საოცარ გაუცხოებას იწვევს: აქ მხოლოდ სიცივე და მარტოობაა, მიუსაფრობა სწორედ ამ გაუსაძლის მარტოობაზე მიანიშნებს. „არ ჩანდა შენაპირი" შეიძლება ორნაირად გავიაზროთ. ერთის შესახებ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ აქ უნაპირო სივრცეებია. მეორე მხრივ კი, ეს შენაპირი შეიძლება გულისხმობდეს დანაპირებს. სული ხომ სავსეა დიდი იმედებით, რომ სხეულის გარდაცვალების შემდეგ მიიღებს სიმშვიდეს, ბედნიერებას. აქ კი, ამ სიცივით გაყუჩებულ სამყაროში, პოეტი არ განიცდის არც სიმშვიდეს და არც სითბოს. ეპითეტები „ცივი" „მიუსაფარი" ამძაფრებენ პოეტის გულისტკივილს. აქვე ყურადღებას იქცევს სტროფში რითმათა სიუხვე. აქ არის როგორც გარე, ასევე შიდა რითმები: „ნაფერი" – „ვერაფერი"; „მხარეში" – „გარეშე". „ნამქერი" – „ნაფერი"; „ნაპირი" – „შენაპირი"– ეს კი იწვევს საოცარი მუსიკალურობის განცდას. თოთხმეტმარცვლიანი სტრიქონებიც იმგვარაადაა „გაწყობილი" (4: 3; 4: 3; 4: 3; 4: 3; 4: 3), რომ მელოდიურობა შთამბეჭდავია. ასე რომ, აზრი, ემოცია ერთდროულად აღიძვრის და მძლავრი მუსიკის თანხლებით მკითხველის წარმოსახვა ერთგვარ ექსტაზში, ტრანსში ვარდება, რათა უხილავი იხილოს და შეუგრძნობი შეიგრძნოს, სულიერი თვალი აეხილოს და გულისყური გაეხსნას.

პირველივე სტროფიდან პოეტმა დახატა სიცივე და უნუგეშობა. მკითხველი აღმოჩნდა სამყაროში, სადაც მხოლოდ ცივი მდუმარებაა. ეს განცდა მძაფრდება შემდეგ სტრიქონებშიც:

„მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა".

პოეტი იყენებს მეტაფორას, რათა უფრო მეტად წარმოაჩინოს სულიერი უსაშველობის განცდა: „სიცივის თარეშში". თანაც „გარეშე" და „თარეში" ერთმანეთს ერითმება.

შემდეგ კი იხატება სიცოცხლეჩამქრალი სხეული. ლირიკული გმირის სული თითქოს სხეულს გასცილდა და გარედან შეჰყურებს მის ტანჯვას (გავიხსენოთ იოანე საბანისძის „აბოს წამებაში" აბო რომ ისე მიჰყვება თავის სხეულს, როგორც ცხედარს: „ხოლო იგი მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, ეგრე ხედვიდა თვისსა მას გუამსა; და სულითა თვისითა მოგზაურ ქმნული თვით იტყოდა ფსალმუნსა").

ლირიკული გმირი მიმართავს საკუთარ სხეულს:

„ცეცხლი არ კრთის თვალებში, ნევხარ ცივ სამარეში,
ნევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია".

„ცეცხლი არ კრთის თვალებში" – ამ მეტაფორით სიცოცხლის გაქრობაა ნარმოჩენილი. ცეცხლი სიმბოლოა სიცოცხლისა, მიწიერი ყოფისა. ეს მეტაფორა თვალნათლივ გვიხატავს გაციებულ მზერას. ამ ყოველივეს ამძაფრებს „ცივი სამარის" წარმოდგენა.

აქ პოეტი სულსა და ხორცს გახლეჩილად წარმოაჩენს: სხეული ცივ სამარეში ნევს, მისგან გათავისუფლებული სული კი მწუხარედ დასცქერის მას და „არ უხარია". პოეტი იმეორებს სტრიქონს: „ნევხარ ცივ სამარეში", რათა ხაზი გაუსვას, რომ ამ სიცივისგან თავდაღწევა შეუძლებელია.

პოეტი ლექსში იყენებს ტრადიციულ წარმოდგენებს სიკვდილის საუ-

ფლოზე, სწორედ ამას ადასტურებს სტრიქონები:

„შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან“.

საგულისხმოა, რომ სამუდამო მხარეში დრო არ უქმდება, აქაც კვლავაც „დღეები რბიან, მიიჩქარიან“.

პოეტი მეტაფორებით წარმოაჩენს, თუ რა საშინელია ირგვლივ ყოველივე, რადგან აქ „შეშლილი სახეებია“, „ჩონჩხის ტყეებია“. ამ სიტყვების წაკითხვაზე მკითხველს ჯოჯოხეთი წარმოუდგება, არაერთ ცნობილ მხატვართა ტილოებზე აღბეჭდილი. ასევე წამოტივტივდება დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ ეს ეპიზოდები, რომლებშიც დანტესა და ვირგილიუსის ჯოჯოხეთში მოგზაურობაა აღწერილი.

ამ საშინელ გარემოში, შავი ფერის სამეუფოში, უცებ შემოიჭრება ღვთაებრივი ლურჯი ფერი – ლურჯა ცხენების გამოჩენა სიზმრისეულ ხილვას ჰგავს. ლურჯა ცხენებს სიკვდილის საუფლოში სიცოცხლის სამყაროს შუქი შეაქვთ. ისინი აქ განსაკუთრებული მისიით შემოიჭრებიან – ისინი აქ გარდაცვალებულთა სულებს მოასვენებენ. შეიძლება აქ ირეკლებოდეს რელიგიური წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც, გარდაცვლილის სულს ზეცაში ცხენებშებმული ეტლით მიასვენებენ ანგელოზები:

„სიზმარიან ჩვენებით – ჩემი ლურჯა ცხენებით
ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!“

აქ ყურადღებას იქცევს სიტყვა „ჩემი“. ეს ლურჯა ცხენები პოეტის წარმოსახვის, მისი პოეზიის ნაყოფია. ის თვითონ პოეზიაა, რომელსაც შეუძლია პოეტი, თავგანწირული მხედარი იმ მხარეში წაიყვანოს, რომელსაც მოკვდავნი ვერ სწვდებიან. ლურჯა ცხენები პოეტური ფიქრის სიმბოლოდაც შეიძლება გავიაზროთ. თუ ბარათაშვილი წუხდა: „აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფვიან / მაგრამ შენამდე ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან“ („შემოღამება მთაწმინდაზედ“). გალკტიონის ფიქრი გაარღვევს ზეცისა და მიწის სამანს და გააღწევს სამუდამო მხარეში.

ლურჯა ცხენებს სწორედ „აქ“ მოჰყავთ ყველანი: „ჩემთან მოესვენებით“.

„ყველანი აქ არიან“: ყველანი აერთებს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ამ „მხარის“ ხილვა ელის ყოველ სულიერს.

ამ მხარეში სიცოცხლისთვის დამახასიათებელი სურვილები ქრება. აღარ არის სასინანულო დროის წარმავლობა. „სამუდამო“ ბალიშს აღარ ნამავენ ცრემლები, აუხდენელ ოცნებათა და ნატვრათა დამმონმებელნი.

„იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება:
ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში;
გაქრა ვნება-წამება, როგორც ღამის ზმანება,
ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში“.

პოეტი იმის გამოსახატავად, თუ რას განიცდის სული სამუდამო მხარეში, იყენებს შედარებებსა და მეტაფორებს. ღამის ზმანებას, სიზმარს ადარებს გამქრალ ვნება-წამებას. პოეტი აღარ იტანჯება, დამშვიდებულია, რადგან მის სხეულს აღარაფერი სურს. სულ ერთია მისთვის დროის მდინარება, რადგან გრძნობს, რომ დრო უსასრულოა, არსად არ იწყება და არც არსად მთავრდება.

პოეტი კიდევ ერთ შედარებას იყენებს ვნებათა გაქრობის წარმოსაჩენად: „ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში“. მხურვალე ლოცვისას იკარგება წარმოთქმულ ლოცვის სიტყვათა ხმა. ეს გამოძახილია ბარათაშვილის სტრიქონებისა: „გინახავთ სული ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცებული“.

ლექსში მთელი ყურადღება გადაინაცვლებს ლურჯა ცხენებისკენ, რომლებიც თავიანთი ქროლით, „გრგვინვა-გრიალით“ უპირისპირდებიან სამუდამო მხარის მდუმარებას. ლურჯა ცხენებს შემოაქვთ სინათლე, ცეცხლი, ხმაური ამ საყოველთაო გაყინულ მდუმარებაში. მათ ქროლას პოეტი ადარებს „ცეცხლის ხეტილს“, უცებ აგიზგიზებული კოცონი რომ მოედება ყოველივეს, აგრეთვე დაუდგრომელ „ბედის ტრიალს“, რომელსაც ვერაფერი შეაჩერებს;

„ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ჰქრიან ლურჯა ცხენები!“

პოეტი ყოფიერებას, წუთისოფელს, მისთვის დამახასიათებელ სიხარულს, ფერადოვნებას, სურვილთა სიჭრელეს წარმოაჩენს ყვავილების სიმბოლოთი;

„ყვავილნი არ არიან“. რა თქმა უნდა, წუთისოფელში ბედნიერების განცდა მოაქვს მცირე თუ დიდ სურვილთა ასრულებას, მიზნის განხორციელებას, რაც „შვება-სიზმარია“ პოეტისთვის. აქ კი ყოველივე ამისგან განძარცულა „ცივი სამარე“, რომელიც ერთადერთი რეალობაა, ერთგვარი ჩაკეტილი სივრცე, სატუსაღო.

ამ სივრცეში ღირებულება აქვს დაკარგული ყველივე იმას, რასაც ამ სოფელში დიდი ფასი ედო. მაგალითად, „სახელოვნებას“ – ცნობას. აქ არავინ არავის არ იცნობს. არც სახელები ფასდება. არავინ შემოგეხმიანება, თავგანწირულ ყვირილსაც ვერავინ გაიგონებს და ლირიკული გმირი ემსგავსება ცნობილი მხატვრის ედუარდ მუნკის ნახატზე („ყვირილი“) გამოსახულ პერსონაჟს, რომელიც, თავისივე ყვირილით დათრგუნული, ამაოდ ცდილობს სიცარიელის, გაუცხოების გარღვევას. მისი ყვირილი იხშობა გარშემო მყოფთა გულგრილობითა და უსიყვარულობით, გაუგებრობისა და უიმედობის განცდით.

„რომელი სცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის, შენს სახელს?
ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?
ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში,
სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!“

აქაურობს პოეტი მოიხსენიებს „საოცრების უბედ“, რადგან ამოუხსნელი და შეუცნობელია. ყველგან სიბნელეა, „ბნელ ხვეულებში“ ქიმერებს სძინავთ. ქიმერა ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულია, რომელსაც აქვს ლომის თავი, თხის ტანი და გველის თავით დასრულებული კუდი; სწორედ მათ სძინავთ ამ ბნელ გამოქვაბულებში და მაშინვე გამოელვიძებათ, როგორც კი უცხოს მზერა მისწვდებათ. ეს ნიშნავს, რომ ყოველ წამს შეიძლება გამოიღვიძონ და ჯოჯოხეთური საშინელება დაატრიალონ. ქიმერა, ზოგადად, საიდუმლოს სიმბოლოცაა. ჩვენ ირგვლივ ყოველივე საიდუმლოთია აღბეჭდილი, რადგან გონებას არ შეუძლია ახსნას სიცოცხლისა თუ სიკვდილის რაობა.

ამ წყვდიადისა და საშინელების შემზარავ განცდას უცებ არღვევს „შუქთა კამარა", რომელიც „უდაბნოში" ღელდება. უდაბნო სიმბოლოა დაკარგულობის, უსაშველობის, ბნელი ძალების საუფლოსი, ურწმუნოებისა, ამ შემთხვევაში კი, ცივი სამარის ჩაკეტილი სივრცისა. ამ უდაბნოში ჩნდება შუქი, იგივე სული, რომელიც მზადაა, გამოიხსნას „სხეული" ამ მარტოობისაგან და დაუბრუნოს სიცოცხლეს. მაგრამ როგორ უნდა განხორციელდეს ეს? როგორ შეიძლება დარჩეს ადამიანის ხსოვნა მისი სიკვდილის შემდეგაც? რა გააჩნია სულს სამარადისო დავიწყებასთან საბრძოლველად?

„მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა:
მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ღელდება!"

მეტაფორა მშრალი რიცხვები მიუთითებს იმაზე, რომ სულს მხოლოდ ეს გააჩნია-მშრალი რიცხვები, რომლებიც უდაბნოს დააძლევინებენ

მშრალი რიცხვები დროის მდინარებას, ადამიანის წუთისოფელში მყოფობას აღნიშნავენ. დაბადება, გარდაცვალება... რიცხვებით აღინიშნება. ეს არაფრისმთქმელი რიცხვებია, მაგრამ თანვე დამადასტურებელი იმისა, რომ სხეულმა წუთისოფელში იცხოვრა და თავისი კვალი დატოვა. პოეტმა პოეზია შექმნა და ეს პოეზია იქცა ძალად, რომელმაც ცივი სამარის კედლები დაამსხვრია და სული სინათლეს აზიარა.

„უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება".

ქვესკნელი დაღუპვის სიმბოლოა. უსულდგმულო, ესე იგი, უსიცოცხლო დღეები ქვესკნელში იმარხება, ხოლო სულს ლურჯა ცხენები სამზეოზე ამოიყვანენ.

ამგვარად, ჩვენი აზრით, როგორც სხვა ლექსებში, აქაც პოეზიაა სულიერი ხსნის, გადარჩენის, სიკვდილისაგან თავდაღწევის, უკვდავების მოპოვების გზა. ლურჯა ცხენები კი პოეზიის სიმბოლოა, ესე იგი, ლურჯა ცხენები პოეტის სულია, რადგან სწორედ სული ქმნის პოეზიას. ამიტომაც ასეთი თამამი და ზღვარდაუდებელია ლურჯა ცხენების ქროლა, როგორც ბარათაშვილის მერნისა. ლურჯა ცხენებისთვის არ არსებობს ბარიერი, დაბრკოლება, რომელსაც ვერ გადალახავენ, ამიტომაც:

„ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ჰქრიან ლურჯა ცხენები!"

სწორედ ამიტომაც ლექსთა შეჯიბრებაზე პოეტი თავისი ლურჯა ცხენებით ცხადდება. გავიხსენოთ ლექსი:

„ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები
ჰქროდნენ ეფემერული და ფერადი ქარებით,
იყვნენ საუკუნენი, მაგრამ მე ვიხსენები
გაფრენილი პირველი წყების ნიაღვარებით."

მხოლოდ ლურჯა რაშს შეუძლია იქროლოს ასე: „მიქრის დალალგადაყრილი, დოვინ, დოვენ, დოვლი..." და მთელი სამყარო საოცარი მუსიკით აავსოს. ეს კი მარტოოდენ პოეზიას ძალუძს.

ასე რომ, ლურჯა ცხენებით – პოეზიის გზით ეზიარება პოეტი სიცოცხლისა და სიკვდილის საიდუმლოს.

მაია ჯალიაშვილი

„ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია“

(გალაკტიონ ტაბიძის „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“)

ღვთისმშობლის უწმინდესი სახე არაერთხელ გაიელვებს გალაკტიონის პოეზიაში და ყოველთვის თან დაჰყვება პოეტის თაყვანისცემა, მოწიწება, სასოება.

გალაკტიონის უმშვენიერეს ლექსში „სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში“ წარმოჩენილია აფორიაქებული ლირიკული გმირი, ხსნის გზა და საშველი რომ ვერ უპოვია და იტანჯება. ლექსის ნაკითხვისას საოცარი განცდა უჩნდება მკითხველს – თანაბრად აჯადოებს სათქმელიცა და მუსიკალურობაც.

თავიდანვე ყურადღებას იქცევს სათაური – „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“. რას უნდა ნიშნავდეს? იგი გამოცანასავითაა. სილაჟვარდე – ლაჟვარდის, ცის ფერია, ზეციური ფერადოვნებაა, „ანუ“ – ეს სიტყვა კი ტოლობის ნიშანს სვამს – ხსნის, „ანუ ვარდი სილაში“. არადა, სათაურის პირველი ნაწილი სილაჟვარდე ზეცაზე მიანიშნებს, ხოლო მეორე ნაწილი „ვარდი სილაში“ – მიწაზე. ზეცა ანუ მიწა. ადამიანი სხეულით მიწას არის მიჯაჭვული, მისი სული კი ზეციურია. პოეტი ყველაზე მძაფრად გრძნობს საკუთარ არსებაში ამ მიწიურისა და ზეციურის როგორც ერთობას, ასევე წინააღმდეგობასაც. ამიტომაც ხშირად ორდება, იხლიჩება მისი არსება.

ამ ლექსში ჩვენ წინაშე აფორიაქებული, გაორებული პოეტი იხატება, რომელიც იტანჯება ამ გაურკვევლობით: მიწისაა თუ ზეცისა. გარდა ამგვარი აზრობრივი დატვირთვისა, ეს სათაური არის არაჩვეულებრივი რითმა, ორიგინალური, გალაკტიონამდე მსგავსი მელოდიურობის რითმა არ არსებობდა ქართულ პოეზიაში. სწორედ ეს საოცარი რითმა გამოიტანა პოეტმა სათაურად, რომელმაც თან მოიყოლა შინაარსიც. ვარდი სილაში – პოეტის სულის სიმბოლოა, რომელიც მიწაზე ვერ ხარობს. სილა – უნაყოფობაა. სილაჟვარდისკენ მიისწრაფვის სული გასახარებლად – ცისკენ, სადაც ღმერთი, ღვთისმშობელი და ანგელოზები არიან.

ლექსის მიხედვით, წარმოგვიდგება დედა ღვთისას ხატის წინაშე დაჩოქილი პოეტი, მართლაც, აღსარებასავით გაისმის სტრიქონები:

„დედაო ღვთისავ! მზეო მარიამ“ – საოცარი სითბოთი და სიყვარულით არის გაჟღენთილი ყოველი სიტყვა. თითქოს ვგრძნობთ, როგორ მიმართავს პოეტი ღვთისმშობელს, როგორც ყველას მფარველ საყვარელ დედას, როგორ ეიმედება და ენუგეშება მისი მზერა. რა განმაცოცხლებლად ჩაეღვრება ცხოვრებისაგან გატანჯულ გულში მისი მანუგეშებელი მზერის სხივები, რომლებიც გაულღობენ გულის ყინულს და შვებას მოჰგვრიან. ასეთივე გულმხურვალებით მიმართავდა ღვთისმშობელს სხვა პოეტი, დავით გურამიშვილი, ტყვეობიდან გაქცეული, მდევართაგან დევნილი:

„ვით შეუწველო მაყვალო, საღმრთო ცეცხლგანუქრობელო,
მიხსენ, ნუ დამწვავ სახმილით, იესოს ქრისტეს მშობელო“ („დავითიანი“).

ლექსის დასაწყისში ჩანს, ლირიკული გმირი როგორ არის მინდობილი ღვთისმშობლის შემწეობას, სასოებით შესცქერის და წყალობის მოლოდინშია. როგორ გადაუშლის გულს, გაუმხელს სატკივარს: „როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი“, ისე განვიცდი საკუთარ სულსო.

საოცრად გულშიჩამწვდომია მიმართვა: „დედაო ღვთისავ!“ თითქოს დედაზე, მშობლიურზე ხაზგასმაა. ღვთისმშობელი ლირიკული გმირისთვისაც დედასავით სანუგეშო, ტკბილი და თბილია. მზეო – ამ სიმბოლოთი მოიხსენიებენ ღვთისმშობელს. გალაკტიონმაც მას მიმართა და წარმოაჩინა ღვთისმშობლის თვალშეუდგამი ბრწყინვალება, სიწმინდე, მარადიულობა.

პოეტი თითქოს აღსარებას ეუბნება ღვთისმშობელს. ის მარტოსულია, უნუგეშო, მიუსაფარი, სულიერად ობოლი, მანუგეშებელი არავინ ეგულება ქვეყნიერებაზე, არც მეგობარი, არც ახლობელი, „და შენ მიდიხარ მარტო, სულ მარტო“ („თოვლი“). ამიტომაც გაენდობა ღვთისმშობელს, აშიშვლებს საკუთარ სულს, რომელსაც მეტაფორულად წარმოაჩენს, როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდს. ვარდი რწმენის, სიცოცხლის სიმბოლოა, მაგრამ ნაწვიმარ სილაში დაგდებული ვარდი – უფესვო, მოწყვეტილი, სიკვდილისთვის განწირული, რადგან სილაში ვერ იხარებს, მართალია, სილა სველია, ნაწვიმარია, მაგრამ ეს არ არის მაცოცხლებელი წყალი. პოეტი ცხოვრების უდაბნოშია და სულიერად უჭირს. ის თავს ცხოვრებას წარმოაჩენს, როგორც სიზმარს, რაც გამოხატავს დაეჭვებას – ცხოვრობს კი რეალურად, თუ ეს ყოველივე მხოლოდ ესიზმრება: „მე ყვავილები მესიზმრებოდა და მე ყვავილებს ვესიზმრებოდი“ („გული სწუხს“), ის „დაღალული“ სიზმრით არის დათოვლილი („თოვლი“). მისი ცხოვრება მხოლოდ ოცნებაა შორეულზე, ციურზე, „შორეულ სილაჟვარდეზე“.

ლექსის მუსიკალურობას ამძაფრებს არაჩვეულებრივი ჯვარედინი რითმები: სილაში ვარდი – სილაჟვარდე, მარიამ – სიზმარია.

შემდეგი სტროფიდან კი თანდათან გამოიკვეთება ლირიკული გმირის სასოწარკვეთლება, რომელსაც რწმენაც ვეღარ შველის, ყველაფერი აეჭვებს, საოცრად აფორიაქებულია, უსაშველობით გატანჯული, გზააბნეული, გაორებული.

„შემოიღამებს მთის ნაპრალები“ – ეს არა მხოლოდ მატერიალური სამყაროს შემოღამების აღწერაა, არამედ მიმანიშნებელი პოეტის სულში „შემოღამებაზე“, რადგან ცოდვა აბნელებს სულს და თვითონ სწორედ ასეთ ცოდვილად გრძნობს თავს, ამიტომაც არის შინაგანად ასეთი აფორიაქებული, სასოწარკვეთილი. „და თუ როგორმე ისევ გათენდა“ – ამ სტრიქონით იხატება დაეჭვება, შეძლებს კი ლირიკული გმირი ცოდვათაგან თავდახსნას, გაარღვევს კი მისი ლოცვა ცოდვის სიბნელეს, ეღირსება კი ნათელი? ნიკოლოზ ბარათაშვილს იმედი ჰქონდა: „როს გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებსო“ („შემოღამება მთაწმინდაზედ“), ე.ი. მის სულში დამკვიდრებულ გაურკვევლობას დილის მზე – უფალი – ნათელს მოჰფენდა. მას არ ეეჭვებოდა ამ გათენებისა. გალაკტიონს კი ამ ლექსში თრგუნავს ეჭვი: და თუ როგორმე ისევ გათენდა. ეს სიბნელე თითქოს დროშია გახაგრძლივებული, ამას უსვამს ხაზს სიტყვა „როგორმე“. არავინ იცის,

როდის დამთავრდება პოეტის ტანჯვა, ამიტომაც უფრო მძიმეა, აუტანელი, გამანადგურებელი. „როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი, როგორმე ქარმა თუ მიმატოვა", – წერს ლექს „თოვლში". როცა ახლოს გეგულება გამოსავალი, როცა იმედი გაქვს ხსნისა, მაშინ ტანჯვასაც იოლად აიტან, მაგრამ როცა სრული უნუგეშობაა, არ იცი, გათენდება თუ არა, ესე იგი, გაპატიებს თუ არა ღმერთი. აქ დაეჭვება ღვთის მოწყალებაში მცირედმორწმუნეობაზე მიანიშნებს.

„ღამენათევი და ნამთრალევია" ლირიკული გმირი. ღამენათევობა ლექს „მე და ღამეშიც" კარგად წარმოჩნდა. მიზეზი – სულიერად მარტოა, მხოლოდ ღამეა მისი მეგობარი:

„მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ,
იცის, როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევნე და ვეწამე,
ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე მე და ღამე, მე და ღამე".

„ნამთვრალევი" – მიანიშნებს არა მხოლოდ ღვინით, არამედ, უპირველესად, შემოქმედებით თრობაზე, პოეტი ამ საშინელ მარტოობას დაძლევს შემოქმედებით, ლექსების შექმნით. იგი მთვრალია პოეზიით:

„მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით
და მაინც ღვინით ჰგონიათ მთვრალი" („მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეხლით").

პოეტი საკუთარი დაუცველობის, უსუსურობის წარმოსაჩენად ასეთ შედარებას მიმართავს:

„დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან..."

არსებობს მოგონება, რომლის მიხედვითაც, გალაკტიონმა ერთხელ ტაძარში ხატის წინ დაჩოქილი მხურვალედ მლოცველი მეძავი ნახა. ეტყობა, სახე იმ ქალისა სამუდამოდ ჩაებეჭდა – მლოცველი ცოდვილისა. ყოვლის შემნდობი ღმერთი ხომ ადამიანს აპატიებს ცოდვას, თუ მოინანიებს. ალბათ, საოცარი სინანული ჰქონდა ქალს სახეზე აღბეჭდილი. ეს შედარება „დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან" – არაჩვეულებრივად წარმოაჩენს პოეტის სინაზეს, სისუსტეს, რომ ძალიან ადვილად შეიძლება დაიმსხვრეს მისი სული.

პოეტისთვის იმდენად მნიშვნელოვანია ეს ღამენათევობა და ნამთვრალევობა, რომ ლექსში ოთხჯერ იმეორებს.

„და თუ როგორმე ისევ გათენდა", ესე იგი, თუ გადაურჩა ამ ტანჯვას, მაშინ ლირიკული გმირი წარმოიდგენს, რას იზამს, მაშინ წავა ეკლესიაში, ღვთის სახლში. აქ ყურადღებას იქცევს ის, რომ მიეყრდნობა სალოცავ კარს. ეს, ერთი მხრივ, იმას ამხელს, როგორ უჭირს, როგორ ძლივს მიაღწია სიონის ეკლესიამდე, მეორე მხრივ, თავმდაბლობას გამოხატავს, ისე ცოდვილად მიიჩნევს თავს, რომ კარს ეყრდნობა და შიგნით, სიღრმეში არ შედის ფარისეველივით. არამედ მეზვერესავით ინანიებს საკუთარ ცოდვებს. სახარებაში მოთხრობილია მეზვერისა და ფარისევლის იგავი: ფარისეველი საკურთხევლის წინ დგება და ლოცულობს, გმადლობ, ღმერთო, რომ არა ვარ ისეთი ცოდვილი, როგორც მეზვერეო, ესე იგი, საკუთარ ცოდვებზე კი

არ ლაპარაკობს, სხვას ამხელს. მეზვერე კი გულშემუსვრილი თავმდაბლად დგას ტაძრის შესასვლელთან ახლოს და მხოლოდ ამას ლოცულობს: „ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა ამას და შემინყალეო“. ლირიკული გმირიც ამ მეზვერესავით ცოდვილად გრძნობს თავს და ამიტომ კარს მიეყრდნობა, თითქოს ეკლესიის სილრმეში შესვლისა ერიდება. იგი ელის ნუგეშს და ამაზე მეტაფორულად მიანიშნებს სიონში შემოჭრილი მზის სხივი, როგორც ღვთის წყალობის სიმბოლო. გავიხსენოთ, ილიას განდეგილი ყოველდღე საკუთარ სიწმინდეს როგორ ამოწმებდა: სენაკში შემოჭრილ მზის სხივზე ლოცვანს აყრდნობდა. აქაც შემოიჭრება ეს სხივი და „თეთრ ოლარებს ააელვარებს“ – ეს ალიტერაციაა, საოცარი კეთილხმოვანება იქმნება. ოლარი – სამღვდელო შესამოსელის ნაწილია, მას მღვდლები აღსარებისას დააფარებენ ხოლმე თავზე აღმსარებელს. ეს მკითხველის თვალწინ ხატავს სააღსარებოდ გამზადებულ ლირიკულ გმირს.

„და მაშინ ვიტყვი: აჰა! მოვედი
გედი დაჭრილი ოცნების ბაღით!“

ლექსის სტრიქონები წარმოჩნდება, როგორც საოცრად ტკივილიანი აღსარება, რომელსაც იტყვის ლირიკული გმირი. ამას დიდი მგზნებარებით წარმოიდგენს, თუ რას იტყვის. პოეტი საკუთარ სულიერ მდგომარეობას წარმოაჩენს მეტაფორულად, რომ არის დაჭრილი გედი – ოცნების ბაღიდან. გედს, როგორც საკუთარი სულის სიმბოლოს, ხშირად მიმართავს – მაგალითად, „მთაწმინდის მთვარეში“, რომელშიც ზეაწული განწყობილებაა და დაუეჭვებელი რწმენა საკუთარი უკვდავებისა. ამ ლექსში კი დიდი ეჭვია. თითქოს პოეტს არა მხოლოდ ჩვეულებრივი ცხოვრება გაუნადგურეს, არამედ წარმოსახულიც, ოცნებისეული სამყაროც დაუმსხვრიეს, დაჭრეს. პოეტი არ აკონკრეტებს, მაგრამ იგულისხმება ცხოვრება – ულმობელი და სასტიკი. ამ ცხოვრებაში ადგილი არ არის მეოცნებეთათვის, ისინი განიდევნებიან ოცნების ბაღიდანაც, მათ ულმობლად გააძევებენ, დახოცავენ.

„შეხედე, დასტკბი ყმაწვილურ ბედის
დაღლილ ხელებით წამებულ სახით“.

„შეხედე, დასტკბი“ – მიმართავს პოეტი ღვთისმშობელს. აქ კონტრასტულად წარმოჩნდება ეს „დასტკბი“ იმასთან, რასაც ხატავს პოეტი. მას დაღლილი ხელები აქვს – ხელი, რომელშიც კალამი უპყრია, ხელები – ხელოვანზე მიანიშნებს. წამებული სახე – მისი ცხოვრების სისასტიკეზე. ის წამებულად მიიჩნევს თავს.

ეს დიდი საყვედურია. ლირიკულმა გმირმა განა არ იცის, რომ ღვთისმშობელი ვერ დატკბება წამებული შვილის სახით? იცის, მაგრამ აქ საგანგებოდ არის ეს სიტყვა მოხმობილი, რათა ხაზი გაუსვას იმას – იგი ასეთ დღეში სწორედ იმიტომ ჩავარდა, რომ ღვთისმშობელმა ვერ უმფარველა, ვერ უპატრონა, ვერ დაიფარა. ამგვარ საყვედურს მხოლოდ მშობელ დედას თუ ეტყვი, რომელიც ყველაზე ძალიან გიყვარს. ასე რომ, ამ საყვედურის წყარო დიდი სიყვარული და იმედია.

პოეტი მეტაფორულად წარმოაჩენს, ადრე როგორი ბედნიერი იყო:

„ჩემი თვალები წინათ რომ ფეთქდნენ ცვრებით, იებით“. ფერწერული ხატია, დაცვარული იები ფეთქავენ თვალებში – ეს სიცოცხლით ტკბობაზე, საიმედო მომავალზე მიანიშნებს, მაგრამ მეტაფორა „სავსეა ცრემლთა შურისძიებით“ წარმოაჩენს პოეტის ახლანდელ საშინელ მდგომარეობას. ცრემლებმა თითქოს შური იძიეს და ერთბაშად მოზღვავდნენ თვალებში, მათ, რა თქმა უნდა, ჩაკლეს იების ფეთქვა და პოეტის თვალები ჩააქრეს. მას დაემსხვრა ოცნებები.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთან „სულო ბოროტო“ არის გადაძახილი – იქაც პოეტი ბედნიერი იყო, სჯეროდა იდუმალი ხმის აღთქმებისა, რომ „თვით ჯოჯოხეთი სამოთხედ გადაექცეოდა“, მაგრამ ყველა დაპირება ამაო აღმოჩნდა და დარჩა პოეტი „ეჭვით აღვსილი, უსაგნოდ, მარტო“. ერთ სხვა ლექსში წერს გალაკტიონი:

„სასტიკი იყო ჩემი დემონი,
არ ითვისებდა ჩვეულ გალობას,
ანგელოზები უედემონი
სტიროდნენ გზათა მიუვალობას“ („ცხრაას თვრამეტი“).

პოეტი ახლა უფრო უბედურია, რადგან სწამდა და სჯეროდა მომავლისა. ამიტომ უფრო მკაცრია მფარველის მიმართ:

„დასტკბი! ასეა ყველა მგოსნები?
შენს მოლოდინში ასეა ყველა?
სული, ვედრებით განაოცები,
შენს ფერხთ ქვეშ კვდება, როგორც პეპელა.“

პოეტი ცდილობს ახსნა მოუძებნოს ამგვარ სულიერ მდგომარეობას. იქნებ მისი მგოსნობა, პოეტობაა ამის მიზეზი. პოეტი ხომ გამორჩეულია, „არც მიწისაა, არც ცისა“ (აკაკი, „პოეტი“), ამიტომაც უჭირს მატერიალურ სამყაროში. ხშირად საზოგადოებისაგან გარიყულია, სხვაზე მეტს ხედავს და ესმის, არ შეუძლია მხოლოდ ჭამოს, სვას და გამრავლდეს, არამედ სხვა ცხოვრება უნდა – მატერიალურზე აღმატებული – მისი სული ლაჟვარდებში დახეტიალობს, უჩვეულო სანახებზე ოცნებობს და წერს. ამიტომ იტანჯება. მოლოდინი ხსნისა კი იგვიანებს. არსადაა „საბედნიერო სული“. „არ ჩანდა შენაპირი“, – როგორც „ლურჯა ცხენებშია“. რატომ ვერ იცავს და მფარველობს ღვთისმშობელი პოეტებს? ლირიკული გმირი საოცარი შედარებით წარმოაჩენს სულიერი ძალების დაკარგვას. მისი სული პეპელასავით კვდება „შენს ფერხთქვეშ“ – წყალობის მოლოდინში. მისთვის ეს ჯოჯოხეთური მდგომარეობაა. ამას ასე გამოხატავს:

„სად არის ჩემთვის სამაგიერო?
საბედნიერო სად არის სული?
ვით სამოთხიდან ალიგიერი,
მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული!“

დანტე მე-13 ს. იტალიელი პოეტია, მან დაწერა „ღვთაებრივი კომედია“, რომელშიც აღწერა მოგზაურობა ჯოჯოხეთსა და სამოთხეში. მან დიდი ტანჯვის მერე, სიყვარულის ძალით, სატრფოს, ბეატრიჩეს, წყალობით, სამოთხე იხილა. ამ ლექსში კი პოეტი ჯოჯოხეთს ვერ აღწევს თავს.

პოეტი თავს წარმოიდგენს დაწყევლილად, რომელსაც ვეღარ იცავს მფარველი ანგელოზი, მისი გზა სიკვდილისკენ მიდის. კულმინაციას აღწევს მისი სასოწარკვეთილი საყვედური:

„და როცა ბედით დაწყევლილ გზაზე
სიკვდილის ლანდი მომეჩვენება,
განსასვენებელ ზიარებაზე
ჩემთან არ მოვა შენი ხსენება!“

ეს გამოხატვაა არა მხოლოდ რწმენაში იმედგაცრუებისა, არამედ საკუთარი თავის უარყოფისა. მაგრამ, როგორც სხვა ლექსში წერს:

„როგორ შევიძლოთ უღვთისმშობლობა,
ვით ავიტანოთ უმადონობა“ („თუ ბრძოლა არ არის“).

პოეტი წარმოიდგენს გარდაცვალებას. მის სულს „სწრაფი ცხენები“ გააქანებენ მიღმა სამყაროში, რომლის სანახებიც ლექს „ლურჯა ცხენებში“ აქვს პოეტს აღწერილი. „სამარეში ჩასვენება“ წარმოჩენილია, როგორც ტანჯვის დასასრული:

„დავიკრეფ ხელებს და გრიგალივით
გამაქანებენ სწრაფი ცხენები!
ღამენათევი და ნამთვრალევი
ჩემს სამარეში ჩავესვენები.“

ასეთი სასოწარმკვეთი სევდაა ამ სტრიქონებში გამოხატული, მაგრამ ლექსის ბოლოს მეორდება კვლავ პირველი სტროფი. ლირიკული გმირი ჯერ ცოცხალია, მან მხოლოდ წარმოიდგინა ეს ყველაფერი, როგორც საშინელი სიზმარი. მკითხველიც მისი სულის წყვდიადში სინათლის სხივს დალანდავს და სჯერა, ღვთისმშობლისადმი აღვლენილი ლოცვა უშველის, გადაარჩენს პოეტს და ყოველ სასოწარკვეთილსაც:

„დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრება გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე“.

ასე აქცია გალაკტიონმა გაუსაძლისი სულიერი ტანჯვა მშვენიერ სტრიქონებად, საოცარ მუსიკად. სწორედ ამიტომ ეს ლექსი სამუდამოდ აღიბეჭდება მკითხველის მეხსიერებაში.

მაია ჯალიაშვილი

შუაღამის მისტერია

(გალაკტიონ ტაბიძის „მე და ღამე")

როდის და როგორ იწერება ლექსი? რა ასაზრდოებს პოეზიას? ამ კითხვებს ხშირად სვამენ მკითხველნი და შემოქმედნიც ათასნაირად პასუხობენ.

პოეზიის შექმნის მისტერია კი კვლავ საიდუმლოდ რჩება.

სწორედ ამ საიდუმლოს გვაზიარებს გალაკტიონი ამ ლექსში.

1914 წელს გამოცემულ გალაკტიონის ლექსების პირველ კრებულს (რომელშიც „მე და ღამეც" დაიბეჭდა) ტიციან ტაბიძე გამოეხმაურა წერილით და გალაკტიონს მარტოობის ორდენის კავალერი უწოდა. ტიციან ტაბიძემ გაიმეორა ცნობილი ფრანგი სიმბოლისტის, სტეფან მალარმეს, სიტყვები, ნათქვამი ფრანგ პარნასისტ პოეტ ვილიე დე ლილ ადანზე: „ჩვენთან არავინ მოსულა ასეთი უცნაური ჟესტით, გაქანებული ილუზიის ქარით, უხილავი ნაბიჯით, როგორც ეს უჩვეულო და უტეხი ჭაბუკი, რომელიც ამბობდა: აი, მეო! ჭაბუკობისას არავისთვის გაუმჟღავნებია მას ის ბედისწერა, სადაც ანათებს აზრის ბრწყინვალება, რომელიც სამუდამოდ აღბეჭდილია მის მკერდზე მარტოობის ორდენის ბრილიანტით".

ტიციან ტაბიძე საქართველოში მარტოობის პირველ კავალრებად ნიკოლოზ ბარათაშვილსა და მამია გურიელს მიიჩნევდა, გალაკტიონ ტაბიძეს კი – ამ ორდენის ყველაზე გამორჩეულ რაინდად.

მართლაც, „მე და ღამე" ყველაზე უფრო მეტად გამოხატავს პოეტის მარტოობასა და სულიერ ობლობას. გალაკტიონი მხატვრული სახეების კონტექსტში წარმოაჩენს სასოწარმკვეთ მარტოსულობას, რაც განსაკუთრებით შუაღამისას, სიჩუმისა და იდუმალების ფონზე უფრო მძაფრად ვლინდება.

ეს ლექსი ეხმიანება ბარათაშვილის „სული ობოლს". აქაც იგივე ტკივილია, იგივე ნაღველი, იგივე სიძნელე მარტოსულობისა და უნუგეშობისა, ადამიანთა უნდობლობისა და გაუტანლობისა. რა იწვევს სულიერი ობლობის ამ მტანჯველ განცდას, რომელსაც ვერ ანელებს „სიამენი სოფლისა". რა აქცევს პოეტს, ამ ყველასგან გამორჩეულ ადამიანს, ღვთის ნიჭით მომადლებულ კაცს კრულად, დაწყევლილად. იქნებ, უპირველესად, სწორედ ნიჭი შემოქმედებისა.

პოეტი სულიერი ობლობის გაუსაძლის ტკივილს ფურცელზე უმშვენიერეს სტრიქონებად ამოწერს, ამით ტანჯვას ესთეტიკურ ღირებულებად აქცევს. ამიტომაცაა, რომ ეს ნაღველი გიზიდავს, რადგან იგი მხოლოდ ტკივილი აღარაა, არამედ მშვენიერებაა, რომელიც სულიერად განწმენდს და ამაღლებს ადამიანს.

გალაკტიონის ერთ წერილში ვკითხულობთ: „ბოდლერს აქვს ერთი შესანიშნავი ლექსი, რომელსაც სახელად ჰქვია „ლოცვა-კურთხევა", მაგრამ აქ არავითარი კურთხევა არ არის, აქ არის მხოლოდ წყევლა და მხოლოდ წყევლა... ლექსი გამოხატავს მგოსნის ამქვეყნად მოსვლას, დაბადებას. ღვიძლი

დედისთვის მგოსანი არის მარტოოდნ საგანი გაკვირვებისა და ზიზღისა – დედას რცხვენია საკუთარი შვილის ყოლა. მგოსანი იტანს დაცინვას სულელებისგან, იტანს შურსა და სარკაზმს. მგოსანი ხანდახან მსხვერპლი ხდება რომელიმე სისხლისმსმელი დალილასი, რომელიც თავისუფლებს მისცემს მას შემდეგ, რაც უკანასკნელ სისხლს ამოსწოვს" (გალაკტიონი „ძვირფასი საფლავები").

„მე და ღამის" მარტოობის უნუგეშობაში სწორედ ეს „წყევლაც" იგულისხმება. პოეტი იკეტება საკუთარ შინაგან სამყაროში, რათა განერიდოს ყოველდღიურობის ეკლებს, წარმავლობის სასტიკ ბრჭყალებს და როგორმე დაიცვას თავი სულიერი განძარცვისაგან.

„მე და ღამის" ფონი შუაღამეა. ფერადოვნებისაგან, ერთი შეხედვით, დაცლილი, მაგარამ ეს მხოლოდ გარეგანი თვალისთვის. მთვარით დაფენილ სხივებში საგნები დღისგან განსხვავებული ფერადოვნებით მოჩანან. თანაც, შუაღამე იხსნება შინაგანი მზერისთვის და თვალები ხედავენ დაუნახავსა და გამოუთქმელს. ლექსში არა რეალური, არამედ სულიერი პეიზაჟები მოჩანს, არანაკლებ თვალწარმტაცი და მიმზიდველი. თვითონ გალაკტიონი ერთგან წერდა: „განა შუაღამეს არა აქვს თავისი განსაკუთრებული სილამაზე. როგორც, მაგალითად, მზის ამოსვლას". ამ თვალსაზრისით, გალაკტიონს განსაკუთრებით მოსწონდა ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზედ".

შუაღამე თითქოს ამძაფრებს იმ საიდუმლოს, რომელიც დღის სინათლეზე მტანჯველ კითხვებად გამოიკვეთება: რა არის სიცოცხლე? რა არის სიკვდილი? გალაკტიონისთვის იდუმალება ყველაზე ძვირფასი რამ იყო, ამიტომაც მის ყოველ ლექსში არის უცნაური, „გაუგებარი", აუხსნელი სახეები და სიმბოლოები. გალაკტიონი ამის თაობაზე თვითონ წერდა: „ბევრი მგოსანთაგანი, რომელიც კი არის ღირსი ამ საღვთო სახელის ტარებისა, სამწუხაროდ, ჩვეულებრივ იმით კმაყოფილდება, რომ შეაქვს ლექსებში სინათლე, ფერები და მუსიკა, მაგრამ ძალიან ძვირად ღვრის მასში იმ საიდუმლოს წვეთებს, რომლებიც ასე უხვადაა დაფრქვეული ბარათაშვილის ლექსებში".

ამ თვალსაზრისით, გალაკტიონი, ერთი მხრივ, ხვდება ბარათაშვილს (რომანტიზმი), რომელმაც საიდუმლოს მისტიკურ ფენომენს სულიერი ტკივილების გამოსახატავად მიმართა, მეორე მხრივ, სიმბოლისტებს, რომელთაც მთელი სამყარო სიმბოლოებში დაშიფრულ საიდუმლოდ გამოაცხადეს.

„მე და ღამის", ერთი შეხედვით, რეალისტური სახეები, თანდათან რომანტიკული განწყობილებებით იბურება და ჩნდებიან სიმბოლოები. ყველაზე დიდი საიდუმლო თვითონ შეაღამეა (წუთისოფლის სიმბოლო), რომელიც გაუღენთილია მზის მოსვლის (ღვთის მოლოდინის) რწმენით.

შუაღამე, სიმბოლურად, პოეტისთვის საკუთარი სულიცაა, რომლის ბნელ კუნჭულებსაც გულდასმით მოიხილავს. ამ თვალსაზრისით, ლექსი ერთგვარ რელიგიურ მედიტაციადაც შეიძლება გავიაზროთ, როცა პოეტი ღრმავდება საკუთარ სულში საკუთარი თავისვე შესაცნობად. დელფოს სამისნოს ცნობილი წარწერა „შეიცან თავი შენი" აქაც თითქოს წინ მიუძღვება პოეტს, რადგან მხოლოდ საკუთარი თავის შეცნობა შეიძლება იქცეს

სამყაროს „ახსნის" საფუძვლად. გალაკტიონი კი თავისი პოეზიით სწორედ ამისკენ მიისწრაფვის, რომ ჩასწვდეს სამყაროს არსს, სიცოცხლის საზრისს და ამ გზით საკუთარი „მეს" ამქვეყნიური დანიშნულება გაიაზროს. ასე რომ, ლექსის ამგვარი ინტერპრეტაციისას, წინა რიგში ერთგვარი მისტიკური განცდები წამოიწევს.

შუაღამის ფენომენი, საერთოდ, მრავალმნიშვნელოვანია და მკითხველს სხვადასხვაგვარი ახსნისკენ უბიძგებს.

დანიელი ფილოსოფოსის, სიორენ კირკეგორის ნათქვამი რომ გავიხსენოთ, „მოვა შუაღამე, როცა ყველამ თავისი ნიღაბი უნდა მოიხსნას". გალაკტიონიც „მე და ღამეში" თითქოს ნიღაბს იხსნის და საკუთარ თავსვე წარუდგება შიშველი და ნამდვილი სახით. თუმცა, მტანჯველია საკუთარი სულის „ბნელ კუნჭულებში" შეხედვა, მაგრამ ეს ერთგვარად გამნწმენდი და ამამაღლებელია.

„ეხლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის, დნება,
სიო, სარკმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება."

პოეტი მეტაფორით წარმოაჩენს გარემოს – შუაღამე იწვის, დნება. შუაღამე, საზოგადოდ, დიდი საიდუმლოს გამხელის ჟამია. გავიხსენოთ, საღვთისმეტყველო „მზე შუაღამისა" – ღვთის სიმბოლო.

პოეტს, ფიქრებისგან რომ ვერ დაუღწევია თავი, მოსვენება დაუკარგავს, ვერ იძინებს. მას, ადამიანებისგან გარიყულს, ბუნება ეგულება ნუგეშად: სიო უამბობს ველთა ზღაპარს. პოეტს ესმის ბუნების ენა. გავიხსენოთ ბარათაშვილი: „მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო, უსაკოთაც და უსულთ შორის / და უცხოველეს სხვათა ენათა, არს მნიშვნელობა მათის საუბრის" („ჩინარი").

ეს არის პოეტის რომანტიკული განცდა – მას ბუნება თანაუგრძნობს, ემეგობრება. ეს არის უანგარო მეგობრობა, რადგან ბუნება მარადის ერთგულია, უღალატო და არაფერს მოითხოვს მისგან.

„მთვარით ნაფენს არემარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს,
სიო არხევს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს."

პოეზიისთვის და განსაკუთრებით გალაკტიონის პოეზიისთვის დამახასიათებელია საოცარი მუსიკა, რომელიც იქმნება კეთილხმოვანი რითმებითა და რიტმით. აქ პარალელური რითმებია. ეს ჯადოსნური ძალა მუსიკისა ისეთი ძლიერია, მაგიურია, რომ ხშირად მსმენელი უპირველესად მას აღიქვამს და აღარც მისდევს აზრს. განიცდის რაღაც ამაღლებულს, რომელიც ადამიანს მიწას მოწყვეტს და ზეცას მიაახლებს.

აქაც მთვარე იდუმალების ბურუსით მოსავს ირგვლივ ყოველივეს. მისი შუქი საბანივით ეფარება მიწას. ეს საბანი ვერცხლისფერია. იდუმალების განცდას ამძაფრებს სურნელი, რომელსაც იასამანი აფრქვევს. ასე რომ, ყოველივე ხელს უწყობს იმას, რომ პოეტმა ერთგვარი ექსტაზი განიცადოს, ყოფის ჩვეულებრივ მდინარებას თავი დააღწიოს და ჩაღრმავდეს საკუთარ თავში.

ლექსში მეტაფორითა და შედარებებით არის წარმოჩენილი სათქმელი:

„ცა მტრედისფერ, ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი,

ისე არის სავსე გრძნობით, ვით რითმებით ეს წერილი.
საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული,
ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული".

პოეტი ერთმანეთთან აკავშირებს თავის ლექსსა და ზეცას. ორივე გრძნობებით არის სავსე, ოღონდ ამას შედარებებით გამოხატავს. ცა გრძნობებით ისეა სავსე, როგორც ლექსი – რითმებით, ან როგორც სავსეა პოეტის გული „უხვ გრძნობებით". ხოლო ეს კავშირი პოეტის გულსა და ზეცას შორის იდუმალია, ამიტომაც არის ირგვლივ ყოველივე საიდუმლო შუქით დაფარული, შესუდრული.

„დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ,
არ ვუმჟღავნებ ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკარებ."

პოეტი საუბრობს საიდუმლოზე, რომელსაც არავის უმჟღავნებს. აქ ყურადღებას იქცევს: „ნიავსაც კი არ ვაკარებ". ლექსის წინა სტრიქონებში კი საუბარი იყო იმაზე, თუ სიო ველთა ზღაპარს როგორ უამბობდა, თუმცა აქ სხვაგვარადაა. ამ საიდუმლოს ნიავსაც კი არ ანდობს.

გვახსენდება ბარათაშვილის სტრიქონები: „მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ვამცნო გულის მე საიდუმლო" („მერანი").

„რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული."

საერთოდ, მეგობრებისადმი უნდობლობა გალაკტიონის პოეზიაში არაერთხელ არის გამოხატული. გავიხსენოთ: „ოჰ, ჩემი გული ბევრს დაიმონებს, მეგობრები კი არ მეყვარება" („შენ ერთი მაინც"), ან „მე მიღალატეს ძველმა რითმებმა, ძველ მეგობრებსაც ვამჩნევ მე ღალატს" („სიბერე").

ამგვარ უნდობლობას განაპირობებდა რეალური ცხოვრება, სავსე მლიქვნელობით, პირფერობით, შურით, სიხარბითა და ღალატით. ბარათაშვილიც ხომ ასეთივე გულდაწყვეტით სწერდა მაიკო ორბელიანს: „ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდნენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა? სად მიიდრიკოს თავი?" მსგავსი გულგატეხა გალაკტიონსაც ხშირად ჰქონია. ამ უმეგობრობისა და სულიერი ობლობის დასტურია გალაკტიონის თვითმკვლელობის მცდელობა, რომელზედაც ნოდარ ტაბიძე გვიამბობს, რომ 1909 წელს 18 წლის გალაკტიონმა კარბოლმჟავა დალია და თავი მოიწამლა. საბედნიეროდ, დროზე მიუსწრეს და გადაარჩინეს. ამ დროს გალაკტიონი თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. უფრო გვიან კი, 1959 წ. 17 მარტს, კვლავ თვითმკვლელობით მოისწრაფა სიცოცხლე. არავინ იყო, ალბათ, გვერდით, რომ ეთქვა: „რად სატანას წაუღიხარ, რად მოიკლავ ნებით თავსაო" (რუსთველი).

გალაკტიონის ეს „უმეგობრობა" შეიძლება სხვანაირადაც გავიაზროთ, როგორც საკუთარი თავიდან გარეთ გასვლის წადილის უქონლობა. „გარეშე" თითქოს დაარღვევს იმ სიმყუდროვეს, რომელიც მას საკუთარ თავთან მარტო დარჩენისას აქვს მოპოვებული. საკუთარ თავთან „დიალოგში" სხვის

ჩართვა შეუძლებელია. ეს არის თვითჩაღრმავების მტკივნეული პროცესი.

გალაკტიონისთვის პოეზია ცხოვრებაზე უფრო რეალური განზომილება იყო. აქ, წარმოსახულ სამყაროში, იგი ნამდვილი ცხოვრებით ცხოვრობდა, აქ მისი ოცნება ფრთებს ისხამდა, ხოლო მეგობრად და მანუგეშებლად მთელი სამყარო ევლინებოდა. „მე და ღამის“ მიხედვით კი, უპირველესად, სარკმლით მონაქროლი სიო, რომელიც ველთა ზღაპარს უამბობს, მთვარე, რომელიც ირგვლივ ვერცხლის სხივებს აფენს და იდუმალების ბურუსში ახვევს ყველაფერს, სარკმლის წინ დარხეული იასამანი, თავბრუდამხვევი სურნელით რომ აბრუებს. ამ სამყაროში იგი მეფეა და შემოქმედი. ვაჟა-ფშაველა გვახსენდება, „სიმღერაში“ რომ წერს, სიღარიბით ვარ ცნობილი, მაგრამ „მთლად მე მეკუთვნის ქვეყანაო“ და, ამგვარად, რეალურ-მატერიალურ სიღატაკეს მთელი ქვეყნის შემოქმედებითი მფლობელობის ამაყსა და დიდებულ განცდას უპირისპირებს.

გალაკტიონის „მე და ღამის“ ფიქრის ნაკადი სულის სიღრმეში მიედინება, იმ საიდუმლოსკენ, რომელსაც პოეტი ვერავის გაუმხელს და ვერც ვერავინ გაამხელინებს (ვერც საყვარელი ქალი, ვერც უამესი წუთები...). ეს საიდუმლო მის გულში „საუკუნოდაა“ შენახული და სამარეში ჩაჰყვება. ეს საიდუმლო მხოლოდ მარადისობისთვისაა გახსილი, ამიტომაც გაუგებარი იქნება კონკრეტული დრო-სივრცისთვის. ეს საიდუმლო პოეტს სამყაროსკენ უხსნის გზას, მისი შუაგულისაკენ, მასთან შესარწყმელად. ეს საიდუმლო აქცევს გალაკტიონს პოეტად, შემოქმედად, თუმცა, ამ საიდუმლოს დაშიფრულად, სიმბოლოებით, პოეტური სახეებით თავის პოეზიაში განფენს. მხოლოდ ღამემ იცის მისი საიდუმლო, თეთრად გათენებულმა ღამემ, იცის მისი წამებისა და ტანჯვის, მისი სულიერი ობლობს შესახებ.

სწორედ შუაღამისას უნდა დაიწეროს ლექსი, ე. ი. პოეტი სწორედ ასეთი თვითჩაღრმავებისას უნდა მიემსგავსოს ღმერთს და საკუთარ თავში გამოავლინოს თავისუფალი ნება და უკვდავების წყურვილი.

თითქოს ცარიელდება მთელი სამყარო და ერთმანეთის პირისპირ რჩებიან მხოლოდ ორნი: პოეტი და ღამე – იდუმალებით სავსე და ვრცელი ორი სამყარო, ერთმანეთის სიღრმეებს რომ განწონიან და ერთმანეთში ირეკლებიან.

აქ აღარ არის ღამე ილიასეული განცდით, ღამე, როგორც უმოძრაობისა და ბოროტების სიმბოლო (გავიხსენოთ „მგზავრის წერილები“), პირიქით, გალაკტიონის შუაღამე სულიერი აქტივობის, თავბრუდამხვევი სულიერი მოძრაობის, შემოქმედებისა და აღმაფრენის დროა. ამ დროს ხომ ყველაზე მძაფრად შეიგრძნობა მარტოობის სიტკბო-სიმწარე.

ამ განწყობილებებს ეხმიანება შარლ ბოდლერის, გალაკტიონის სათაყვანო ფრანგი პოეტის, ერთი ლექსი პროზად „ღამის პირველი საათი“, რომელშიც ვკითხულობთ: „ბოლოს და ბოლოს ძლივს მარტი დავრჩი! ქუჩიდან რამდენიმე დაგვიანებული, ქანცმილეული ეკიპაჟის ხმაურიღა მოისმის. სიმშვიდეში თუ არა, მდუმარებაში მაინც გავატარებ რამდენიმე საათს. ძლივს მელირსა მარტო დარჩენა. ადამიანთა სახეების ტირანია დამთავრდა. ასე რომ, ახლა მარტოოდენ საკუთარი თავიღა დამტანჯავს...“ „ყველაფრით უკმაყოფილოს, საკუთარი თავით უკმაყოფილოს, რარიგ

მსურს გამოვისყიდო ყოველივე და მცირეოდენი ხალისი მაინც ვპოვო ღამეულ სიჩუმესა და სიმარტოვეში! სულნო, ვინც მიყვარდით, სულნო, ვისაც გიმღერდით, განმაძლიერეთ, განმამტკიცეთ, განმარიდეთ სიცრუე და ხრწნადი ოხშივარი ამა სოფლისა, ხოლო შენ, უფალო ღმერთო ჩემო, ჰყავ წყალობა და შემენიე რამდენიმე მშვენიერი ლექსის შექმნაში, რითაც მე დავუმტკიცებ ჩემს თავს, რომ არა ვარ კაცთა შორის უკანასკნელი და არც მათზე მდაბალი, ვინცა მძულს!"

ამა სოფლის „ხრწნად ოხშივარს" განრიდებული, თავის თავსა და საიდუმლოსთან მარტო დარჩენილი გალაკტიონიც, ღვთის ძალით და შემწეობით, მთლიანად ეძლევა შემოქმედებას.

ამ ლექსით, როგორც ტიციან ტაბიძე წერს: „გალაკტიონი თითქოს შენში ტირის შენივე თვალებით" და „ამღერდება სიჩუმე და მარტოობა მწუხარე ღამეში".

მიუხედავად ღამის ამგვარი თაყვანისცემისა, გალაკტიონისთვის უპირველესი საკუთარი „მეა". სწორედ ამ „მედან" იბადება ეს პოეტური ღამე, რომელიც გაშლის თავის იალქნებს და პოეტს ოცნების მხარეში სამოგზაუროდ ნაიყვანს. დილით კი ფრთებს დაკეცავს და დღის ამაოების ზვირთებში ჩაიკარგება. ხსოვნა კი ღამისა, პოეტური აღფრთოვანების წამებისა, საიდუმლოდ ჩაიმარხება პოეტის სულის „ბნელ კუნჭულებში". მერე კი ისევ, როდესაც შუაღამე კვლავ „დაიწვება", ყველაფერი კვლავ „გაცოცხლდება" და სიჩუმეც ამღერდება.

შემთხვევითი არც ისაა, რომ პოეტი ახსენებს „წვას" და „დნობას", რაც, უპირველესად, ანთებული სანთლის ასოციაციას იწვევს. ამგვარად, განათებული ღამე შეიძლება რწმენის სიმბოლოდაც გავიაზროთ, პოეტის გულში გაჩენილი საიდუმლო კი – ღმერთთან მიახლების წადილად. სიყვარულით, სასოებითა და რწმენით განათებულ, გადათეთრებულ ღამეში პოეტი ბუნებას ერწყმის, ესმის სიოს ენა და „ველთა ზღაპრებს" აყურადებს. მთვარის სხივებით შევერცხლილი არემარე კი ჯადოსნურ ელფერს იძენს. და პოეტი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შემოქმედებითი ენერგიით ივსება.

საზოგადოდ, გალაკტიონისთვის მთვარე შემოქმედების ცინცხალი და გემოტკბილი წყაროა, მუზები თითქოს სწორედ მთვარიდან ეახლებიან, ამიტომაც არის, რომ როგორც ცა არის დასერილი სხივებით და სავსე გრძნობებით, ასევეა მისი ლექსიც რითმებით გალამაზებული. მთვარის სახე უფრო მეტ სილრმესა და იდუმალებას გალაკტიონის შემდეგ დაწერილ ლექსებში შეიძენს. მათ შორის, უპირველესად, „მთაწმინდის მთვარესა" და „სიკვდილი მთვარისაგან".

ლექსი უმშვენიერეს მელოდიას ემსგავსება, ბეთჰოვენის „მთვარის სონატის" შორეული ასოციაციით. სამყარო გულს იხსნის და პოეტი ჭუშმარიტებას ეზიარება, მაგრამ მხოლოდ ტანჯვისა და ვნების, გაუსაძლისი მარტოობისა და სულიერი ობლობის ფასად. ამ შუაღამის „ხილვას" პოეტი საიდუმლოდ ინახავს, რადგან იგი არც გაიმხილება. დღის სინათლე მას გააფერმკრთალებს, სიცხადე კი ჯადოსნურ ძალას დაუკარგავს. ამგვარად, ღამე პოეზიის სიმბოლოდაც შეიძლება გავიაზროთ, ხოლო სულიერი ობლობა – შემოქმედების მტანჯველ იმპულსად.

მაია ჯალიაშვილი

ტაძრის საგალობელი

(გალაკტიონ ტაბიძის „ქებათა ქება ნიკორწმინდას“)

„ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს, ის პოეზიას ჩემსას გაიგებს“, – წერს გალაკტიონი და ქართულ ჩუქურთმას თავისი პოეზიის უმთავრეს გასაღებად აცხადებს. პოეტის ამ სიტყვებსაც თუ გავითვალისწინებთ: „წვეთი სისხლიც არ არის ჩემში არაქართულიო“, ქართული ჩუქურთმა, ზოგადად, ქართული პოეზიის გაგების ძირითად გზად წარმოჩნდება.

ქართული ჩუქურთმის გაგება კი ქართული კულტურის, ქართული მითოსური აზროვნებისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ცოდნას გულისხმობს. ასე რომ, გალაკტიონი თითთქოს წინასწარ აფრთხილებს მკითხველს, გარკვეული ცოდნის გარეშე ჩემი პოეზიის საიდუმლოს ვერ მოიხელთებო. ქართული სულიერება, ქართული კულტურა არის ის საფუძველი, რომელსაც გალაკტიონის მხატვრული აზროვნების სისტემა ეფუძნება. გალაკტიონის შემოქმედება საზრდოობს იმ ტრადიციებით, რომლებიც ქართველ ერს საუკუნეთა განმავლობაში შეუქმნია. ჩუქურთმა სწორედ სამყაროსადმი ქართველის დამოკიდებულების ამსახველი ერთერთი ფორმაა.

რევაზ სირაძის დაკვირვებით, „ქართულ ჩუქურთმაში ჩანს ვაზის სილამაზე (ქართველთა წარმოდგენით, ვაზი იყო სიცოცხლის ხე), ვაზს კი სილამაზეს მზე ანიჭებდა. ასე დაუკავშირდა ქართული ჩუქურთმა მზის ესთეტიკას. ხშირად ვაზით მოწნული ქართული ჩუქურთმა მზის თვალსა ჰგავდა“ (რევაზ სირაძე „სახისმეტყველება“).

ამგვარი „წინასწარი ცოდნა“ ამ ლექსის გაგებისთვისაც აუცილებელია, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ პოეზია გულიდან იბადება, იგი „სიბრძნის დარგია“ – „საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი“ (რუსთაველი). გალაკტიონმა, საზოგადოდ, პოეზიას გაგების (გააზრების) ეს დონე –„საღმრთო“ შეუნარჩუნა. „კვლა აქაცა ეამების“ – მისი პოეზიის მხოლოდ ერთი ასპექტია. და ყოველთვის „ორგზითვე ნაყოფს მოსცემს, ვისგანაც მოირხევა“ (გურამიშვილი). მთავარია, ვინ არის ნაყოფის ამღები და რამდენად შეუძლია სიმბოლურ სახეთა წვდომა-გააზრება, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარკვეულ ცოდნას ემყარება.

ნიკორწმინდის ქებათა ქება რწმენის ქებათა ქებაცაა, რადგან ტაძარი ქრისტიანული რწმენისა და სიყვარულის შესაკრებელია, ღვთის სხეულია. გავიხსენოთ სახარების ის ეპიზოდი, როდესაც მაცხოვარმა ტაძრიდან გამოყარა სხვადასხვა მოვაჭრე. იუდეველების კითხვაზე: „რასა სასწაულსა მიჩუენებ ჩუენ, რამეთუ ამასა იქმ?“ იესომ მიუგო: „დაჰხსენით ტაძარი ესე, და მესამესა დღესა აღვადგინო ეგე“. იუდეველებმა გაიკვირვეს, ორმოცდაექვსი წელი შენდებოდა და შენ სამ დღეში როგორ აღადგენო. მათ ვერ გაიგეს, რომ, როგორც იოანე მოციქული წერს: „იგი იტყოდა ტაძრისათვის

გუამისა თვისისა“ (იოანეს სახარება, 2. 19–21). მაცხოვრის სამ დღეში მკვდრეთით აღდგომამ მისი ეს ნათქვამი ყველასთვის ცხადი გახადა. ამრიგად, ეკლესიის ქებათა ქება ღვთის ქებათა ქებაა. ღვთის ხატად და მსგავსებად შექმნილი ადამიანის სხეულიც ხომ ღვთის ტაძარია, პავლე მოციქული როგორც წერს: „ტაძარნი ღვთისანი ხართ და სული ღმრთისაი დამკვიდრებულ არს თქუენ შორის“ (1 კორინ. 3.16). ტაძარი არის ადმიანის ღმერთთან „შეხვედრის ადგილი“. აქ ეზიარება იგი ქრისტეს უხრწნელ სისხლსა და ხორცს და სხვა უწმინდეს საიდუმლოებას.

ისიც საგულისხმოა, რომ გალაკტიონი უბრალოდ კი არ აქებს ტაძარს, არამედ ქებათა ქებას უძღვნის, ეს კი სოლომონის ქებათა ქებას გაგვახსენებს, სადაც ღვთისა და ეკლესიის სიყვარულია განდიდებული.

შემოქმედების ნიჭი ღვთისგანაა და არ არის გასაკვირი, რომ პოეტს შთაგონება უწმინდეს ადგილებთან მიახლებისას ეწვიოს. ლექსის სტრიქონი „ჩემთვის დიდებული სხივი გამობრწყინდა“ სწორედ ამ შთაგონებაზე მიანიშნებს. სხივი კი სულიწმინდის სიმბოლოა, საღვთისმეტყველო სწავლებით, ხომ სწორედ სულიწმინდის შთაგონებით წერდნენ ძველად ჰიმნოგრაფები და ჰაგიოგრაფები. გავიხსენოთ, როგორ წერს გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელზე: „და ან არს ხელითა მისითა და სულისა წმიდისა მიერ დაწერილი საწელიწდო იადგარი“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“).

„ქებათა ქება ნიკორწმინდას“ კი თავისი სულისკვეთებითა და რიტმით (განსაკუთრებით გამეორებებით) ჰიმნს მოგვაგონებს, ღვთის სადიდებლად აღვლენილს.

ლექსი გამსჭვალულია რწმენითა და ღვთის ხილვის წყურვილით. ტოტალური ურწმუნოების ხანაში, გალაკტიონი ზეცად თვალაპყრობილი, ლოცვასავით წარმოთქვამს ნიკორწმინდის ქებათა ქებას. მეფისტოფელური, სულიერი გაორებისა და სულიერი სიღატაკის ხანაში გალაკტიონი ცდილობს სულიერი სიმშვიდის მოპოვებას და იგი მზერას ნიკორწმინდის უმშვენიერეს ტაძარს ჩამოაყრდნობს. ამ ტაძართან სიახლოვისას გალაკტიონი გადის დროისა და სივრცის მიღმა და განიცდის ღვთაებრივს. მარადისობა აქ მთელი თავისი დიდებულებით წარმოჩნდება და პოეტს წარმავალი ყოფის უბადრუკობას ამაღლებულობის ზეაღმტაცი განცდით დააძლევინებს.

„ქებათა ქება ნიკორწმინდას“ შეიძლება გავიაზროთ, როგორც ქართული კულტურის (ხელოვნების, ხუროთმოძღვრების და სხვა) ქებათა ქებაც, მაგრამ მაინც რატომ გამოარჩია პოეტმა ნიკორწმინდა?

ცნობილია ასეთი ამბავი. ერთხელ გალაკტიონი შოვში ისვენებდა. იქ ერთმა მოხუცმა დურგალმა, ნიკორწმინდელმა, ტყეში მუხის ქვეშ გაუკეთა მაგიდა, რომელიც გალაკტიონს ძალიან მოსწონდა. სწორედ ეს დურგალი უამბობდა მას ნიკორწმინდის საოცარი ჩუქურთმების შესახებ.

ნიკორწმინდის ტაძარი ქვემო რაჭის სოფ. ნიკორწმინდაში მცირე შემაღლებაზეა აგებული. ეს ტაძარი სხვათაგან განსაკუთრებით გამოირჩევა ულამაზესი ჩუქურთმების სიუხვით.

გალაკტიონი, ლექსის მიხედვით, თითქოს წარმოსახვაში თავიდან აგებს ნიკორწმინდის „მკვიდრად ნაშენებ“, მაგრამ საოცრად ჰაეროვან სხეულს.

მისი მზერა ქვემოდან ზემოთ მიიმართება, განწყობილებაც უფრო ზეაწეული ხდება და ნიკორწმინდასთან ერთად ცაში გაფრენის წყურვილი იბადება, რომ „დაშთოს აქ ამაოება“ (ბარათაშვილი).

სწორედ ხელოვნება და ნიკორწმინდის ტაძარი ანიჭებს პოეტს თავისუფლებას, თუნდაც, კონკრეტულ დროსა და სივრცეში მიჯაჭვულობისაგან თავდასახსნელად. პოეტის ამ თავისუფლებაზე მეტყველებს ლექსის პირველივე სტრიქონი: „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა“. ქნარი შემოქმედების სიმბოლოა, „როგორც მინდა“ კი – თავისუფალ შემოქმედზე მიმანიშნებელი. ეს თავისუფლება შეიძლება ორგვარად გავიგოთ: 1. პოეტის შინაგანი თავისუფლება. 2. მხატვრული სახეების თავისუფლება. ამ ორგვარ თავისუფლებას პოეზია ანიჭებს ფასსა და მნიშვნელობას. (პოეზია და საზოგადოდ ხელოვნება). საგულისხმოა, რომ სწორედ „დიდებული სხივის გამობრწყინებასთან“ ერთად უჩნდება პოეტს თავისუფლების შეგრძნება. ეს იმიტომაც, რომ ნიკორწმინდის შემყურე რწმენით იმსჭვალება, ასე რომ, აქ შეიძლება რწმენით მოგვრილ თავისუფლებაზეც ვიმსჯელოთ. „სცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტებამ გაგათავისუფლოს თქვენ“ (იოანე მოციქული). ტაძრის მაღალ კარიბჭესთან ამაოება ფერმკრთალდება და ადამიანის სული მადლით იმსჭვალება.

ლექსში ნიკორწმინდასთან შეხვედრით გამოწვეული განწყობილებების გრადაციებია. როგორც ტაძარი მიისწრაფვის ზეცისაკენ, ასევე, მისი მხილველიც თანდათან თითქოს განიწმინდება ამ ტაძრის შუქით, მადლით და ნელ-ნელა ისიც ზეცისკენ მიიზიდება. მკითხველის მზერაც ქვემოდან ზემოთ მიემართება და ხდება ერთგვარი „მომზადება“ ზეცასთან მისაახლებლად.

ლექსის პირველ სტრიქონებში გამოხატულ ტაძრის ხილვით გამოწვეულ აღტაცებას – „მკვიდრად ააშენა, ვინაც ააშენა და ცით დაამშვენა დიდი ნიკორწმინდა“– შემდგომ გაოცება ცვლის –„ნეტა ვინ აზიდა, რა ხელმა აზიდა, ან როგორ აზიდა მაღლა ნიკორწმინდა“. ასევე გაოცებულიყო ყაზბეგიც, ოღონდ სამების ტაძრის ხილვისას: „პირველსავე შეხედვაზედ კაცი განცვიფრებაში მოდის და ნებაუნებლივ თავის თავს ეკითხება: საითგან მოუტანიათ ამ ჩინებულის შენობისათვის მასალა, ან რით მოუზიდნიათ? საკმაოა ამ შენობის ნახვა, რომ კაცმა გაიგოს, რა შეუძლიან ხალხის შეერთებულ ძალას და მათს ამაღლებულს სულიერ მდგომარეობას“ („ხევისბერი გოჩა“).

გაოცებას კი სიამაყე მოსდევს: „რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი“.

პოეტი აღტაცებულია ტაძრის დიდებულებით და მას აღიქვამს, როგორც ცოცხალ არსებას, როგორც კონსტანტინე გამსახურდია ათქმევინებს თავის გმირს: „განა ქვაა სვეტიცხოველი? ქვაყოფილია იგი ამჟამად. უფრო უკვდავი, ვიდრე ასიათასი მოკვდავის სული“, იმიტომ, რომ დიდოსტატმა მას თავისი სული მსხვერპლად შესწირა, სული შთაბერა თავისი შემოქმედების ნაყოფს და ამ გზით მიემსგავსა უფალს. ამ მსხვერპლშეწირვის გარეშე ვერ შეიქმნებოდა „ხელოვნების იგავმიუწვდენელი ქმნილება“.

გალაკტიონის ლექსის მიხედვით, ტაძარი არა მხოლოდ კარგად და

ლამაზად, არამედ „სიბრძნით გამოკვეთილია“. სიბრძნეა ის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, რომელიც ხუროთმოძღვარმა წინაპართაგან მემკვიდრეობად მიიღო და ნიჭისა და მადლის წყალობით განავითარა და გაამდიდრა.

ხელოვნების ღირებული ნაწარმოების შექმნისათვის აუცილებელია ნიჭი, მაგრამ თანვე მადლიც, განსაკუთრებით ტაძრის შექმნისათვის, რომელიც, უპირველესად, „ღვთის სახლია“, მადლის მისაღები ადგილია. ისიც ხომ ცნობილია, რომ ტაძარს განსაკუთრებულ, გამორჩეულ ადგილას აგებდნენ, სადაც ღმერთი მიანიშნებდათ.

პოეტის აღტაცებას იწვევს თორმეტი სარკმელი. თორმეტი ჰარმონიის სიმბოლოა, იესოს თორმეტი მოციქული ჰყავდა, წელიწადში თორმეტი თვეა, თორმეტი ზოდიაქოა და სხვა. თითოეული სარკმლიდან ღვთაებრივი შუქი იღვრება („ცეცხლი მისარქმელი“), ამ ცეცხლში განწმენდის გარეშე ვერ იხილავ ღვთაებრივს. სულხან-საბას განმარტებით, ხომ „ღმერთი წვა და ხედვაა“.

გალაკტიონი ტაძარს აღიქვამს, როგორც „ქვის ჰარმონიას“. ამ განწყობილებას, რა თქმა უნდა, უპირველესად, ბადებს ტაძრის ცალკეულ ნაწილთა სრულყოფილი ურთიერთშეთანხმება და გეომეტრიულ ხაზთა სინატიფე. ამასთანავე, რევაზ სირაძის აზრით, „ტაძარი მუსიკალური ესთეტიკის საუფლოცაა. მისი სივრცე მხოლოდ ფრესკათა განლაგებისთვის კი არ იგება, არამედ სიტყვისა და საგალობლის მოსმენისათვის“.

თითქოს რეალურობის მიჯნები ირღვევა, რადგან თაღები და სვეტები ისეა ნაგები, „სიზმრის გეგონება“.

ვინ არის ამ ტაძრის ამგები? მისი სახელი ისევე ჩაკარგულა ისტორიაში, როგორც სხვა მრავალი დიდოსტატისა. ეს სამწუხაროა, მაგრამ, იმავდროულად, ეს ანონიმურობა ტაძრის ავტორად მთელ ქართველ ხალხს აქცევს. ისევ კონსტანტინე გამსახურდის ნათქვამი გავიხსენოთ: „ოცზე მეტი საუკუნის განმავლობაში არსებითად სამ რამეში ისახელა ქართველმა კაცმა თავი: ომში, მწერლობასა და ხუროთმოძღვრებაში. ხომ უცილოდ დიდია რუსთაველი და თანავარსკვლავედი მისი, მაგრამ არა ნაკლებად საამაყოა ჩვენთვის ბოლნისის, ჯვრის, სვეტიცხოვლის, წრომის, ბედიას, მარტვილის, თიღვას და გელათის დიდოსტატები. მე ვწუხდი, რომ ასეთი შედევრების ხუროთმოძღვრებს დავიწყების ჩრდილი მიჰფენოდათ სახეზე, ამიტომაც წავატანე ხელი კონსტანტინე არსაკიძისათვის მკლავის მოკვეთის მშვენიერ ლეგენდას“.

გალაკტიონიც თავისი ლექსით ხოტბას შეასხამს ნიკორწმინდის შემქმნელ დიდოსტატს და მისი სახით მთელ ქართველ ხალხს, მის მდიდარ შემოქმედებით ნიჭსა და უნარს. ლექსის მიხედვით, ნიკორწმინდის ამგებმა ტაძარი არა მხოლოდ მკვიდრად ააშენა და ცით დაამშვენა, არამედ, გზნების დამკარგავი გრძნეული ჩუქურთმებით შეამკო, თორმეტ სარკმელში „ცეცხლი მისარქმელი“ დაანთო და „წლებს გადაანდო“ დიდი ნიკორწმინდა.

ტაძრის მოქნილი და მკვეთრი, დასრულებული, ნაზი და ჰაეროვანი ხაზები პოეტში ჰაეროვანი ნაქარგის შთაბეჭდილებას იწვევენ. ეს ყოველივე

კი მიუწვდომელთან მიახლებას, ნატვრის ასრულებას ემსგავსება. გუმბათის ყელი, „მაღალღეროვანი, ცამდის აღერილი, ნებით აღერილი, სათნოდ აღერილი“ პოეტის აღტაცებას აგვირგვინებს.

უმთავრესი კი ისაა, რომ ტაძრის მზერა ქართულია. მასში ქართველი კაცის რწმენა, დიდსულოვნება, ამტანობა, მადლიანობა, ნიჭიერება, სასოება და სიყვარული ირეკლება. ტაძრის კედელზე გამოსახული ფრთიანი ფასკუნჯები ზღაპრის რეალობაში არწმუნებენ პოეტს და მიწიდან მოწყვეტის, ზეცაში გაფრენის წყურვილს უჩენენ.

ეს ხელოვნება საქართველოს უკვდავების დასტურია, ამიტომაც სჭირდება მას მოვლა, პატრონობა და გაფრთხილება.

ლექსი სადიდებელ ჰიმნს ჰგავს. ამის განცდას ამძაფრებენ შვიდმარცვლიანი სტრიქონები, რომლებიც ქების რიტმს ქმნიან, ხოლო შერეული რითმები მელოდიურობის განცდას იწვევენ. რვა სტრიქონად დაყოფილი სტროფების ბოლო სტრიქონები ვარიაციული გამეორებით წარმოაჩენენ ნიკორწმინდას, როგორც „დიდს“, „მძლავრს“, ნათელსა და მაღალს.

ლექსის მუსიკალობას ამძაფრებს ერთი ასეთი სტრიქონიც: „ულერს ქვის ჰარმონია, დარობს რამდი დარი“.

რას უნდა გულისხმობდეს „რამდი დარი“? ამასთან დაკავშირებით რეზი თვარაძის ერთ ინტერვიუში აი, რა ამოვიკითხეთ: „ძნელი სათქმელია. შესაძლოა გულისხმობდეს იმასვე, რასაც „დოვინ – დოვენ – დოვლი“ („მოვა, მაგრამ როდის?“), ესე იგი – სიტყვის თამაშს მხოლოდ. მაგრამ ამგვარი მოსაზრებაც გამოითქვა (მ. ალავიძე): „რამდი“ არისო იმერეთში ხმარებული დიალექტური სიტყვა, რომელიც ნიშნავს „ვიდრე“, „ვიდრემდე“, „სანამ“ (მე პირადად, „რამდი-ს“ პარალელურად, „რაამდი-ც“ გამიგონია ქვემო იმერეთში). ესე იგი: „დარობს რამდი დარი“ – „სანამ (ვიდრე, ვიდრემდე) დარი დარობს“ (ამ მოსაზრებას მხარი დაუჭირეს ლ. ბრეგაძემ და თ. დოიაშვილმა)“.

გრიგოლ რობაქიძე იმდენად გამორჩეულად მიიჩნევდა გალაკტიონის ლექსთა მელოდიურობას, რომ მას გალაკტიონურს უწოდებდა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულად მიაჩნდა „ქებათა ქება ნიკორწმინდას“. რობაქიძე წერილში „გალაკტიონ ტაბიძე და მისი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ წერს: „ტაეპების ერთიმეორეზე მიყოლება გალაკტიონის შაირში არ ჰგავს არც შავთელურს და არც ჩახრუხაულს. იგი გალაკტიონურია და ამ სახელით შევა ქართულ პოეზიაში.“ გრიგოლ რობაქიძეს თავისი სიტყვების დასტურად წერილში მოჰყავს გალაკტიონის ლექსიდან სტრიქონები და აღნიშნავს: „ძნელია ამ შაირის ხმაამოუღებლივ წაკითხვა. წარმოთქმას მოითხოვს. იწყებ წარმოთქმას: მიჰყვები ზეაყვანილი რიტმიულ დენას მისსა, რომელშიც თანდათან მეტი და მეტი ქანი ეძლევა. მიჰყვები ტანის რხევით და ისე: თითქოს რიტუალურ როკვაში გადადიოდე. ჰიმნი მიმართულია შენობისადმი ტაძრისა. შეიძლება თუ არა ჰიმნით მივმართოთ რაიმე სხვა შენობას. არა ტაძრის შენობას მაგალითად: შენობას თეატრისა, ან მუზეუმისა, ან კლუბისა, ან უნივერსიტეტისა? არა მგონია: სასაცილო იქნება პირდაპირ. ტაძარი სრულიად სხვაგვარი შენობაა: იგი საყდარია მარადის, უზენაესის: „საყუდარი“ მისი და ჰიმნი მის მიმართ არა თუ მართებულია

მარტო. ეს ერთი მხარე. ახლა მეორე. „ნიკორწმინდაში“ არაა ხსენება: არც ხატის, არც ჯვარის, არც წირვის, არც ლოცვის – ყოველი ეს გულვებულია მასში: ხატიც, ჯვარიც, წირვაც, ლოცვაც. (ურწმუნონიც დამეთანხმებიან, რომ ამ შაირის შექმნა შეეძლო მხოლოდ ღრმად მორწმუნეს). ართქმული აქ გულისთქმაა უსიტყვო, რომელშიც შაირის გაშლისას ატმოსფეროდ იფინება. იფინება ხსენებით ნიკორწმინდისა. გულვებულს მგოსანი შენობაში ხედავს: ვითარ ტანქმნილს. ხედავს და: იხიბლება მით. მოდის აღტაცებაში და: ხოტბით ეფრქვევა მას. ხოტბა აქ უშუალოდ აღმომხდარი ზახილია: ექსტატიური. კონკრეტ-სახვა მას კიდეც დაამძიმებდა. სიტყვას სიტყვა მოსდევს. თქმა თქმას: ანარნაირებული განმეორებით, მოჰქროლავს „გალაკტიონურ“. შაირი მამულიშვილური გახარებით თავდება: ბრწყინავს საქართველოს ქებად ნიკორწმინდა. დიდი ოსტატობით არიან აქ შერწყმულნი შინაარსი და ფორმა ერთიმეორესთან“. გრიგოლ რობაქიძე ამ ლექსისადმი აღტაცებას ასე აგვირგვინებს: „შედევრია ეს ლექსი, ნამდვილი შედევრი. სხვა რომ არაფერი შეექმნა გალაკტიონს, ესეც საკმარისი იქნებოდა, რომ იგი შესულიყო ქართული პოეზიაში, როგორც დიდი ოსტატი“.

მაია ჯალიაშვილი

„ლოცვად მუხლმოყრილი“

(გალაკტიონ ტაბიძის „მზეო თიბათვისა“)

ულამაზესი ლექსია „მზეო თიბათვისა“, რომელიც ღვთის წინაშე აღვლენილი პოეტური ლოცვა-ვედრებაა. ეს ვედრება დიდი რწმენითა და სიყვარულითაა გაჟღენთილი, ამიტომაც გვახსენებს ბიბლიური დავითის ფსალმუნებს, რომლებიც, სწორედაც რომ, უმაღლესი პოეზიის გამოხატულებაა.

სათაურის წარმოთქმისთანავე მკითხველი იმსჭვალება საოცარი სითბოთი, რომელსაც ეს თიბათვის მზე აფრქვევს:

„მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები,
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთებით დაიფარე, ამას გევედრები“.

ლექსში ლირიკული გმირი სიყვარულის გადარჩენას სთხოვს უზენაესს, რადგან

„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ,
უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“ („უსიყვარულოდ“).

სიყვარული დღესასწაულია და მისი ჩაქრობა სამყაროს დააბნელებს.

არაერთი ლექსი-ლოცვაა ქართულ პოეზიაში, უპირველესად, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ გავიხსენოთ. „ვეფხისტყაოსნიდან“ – ავთანდილის ლოცვა. გურამიშვილის „დავითიანი“ ხომ ერთი გაბმული ლოცვაა. ბარათაშვილის ჩემი ლოცვა: „ღმერთო მამაო, მომიხილე ძე შეცდომილი“, აკაკის ლოცვები, ვაჟა-ფშაველას „ჩემი ვედრება“, ილიას ლოცვა:

„არამედ მწყურს მე, განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე, შეუნდე, არ იციან, ღმერთო, რას იქმან“ („ლოცვა“).

ჯვარზე გაკრულმა, ნაწამებმა იესო ქრისტემ ხომ სწორედ ასე შესთხოვა მამა ღმერთს: მიუტევე, რადგან არ იციან, რას ჩადიანო. ეს ყოველივე იმიტომ გავიხსენეთ, რომ ტრადიცია გავითვალისწინოთ. ტრადიცია ხომ ის მაგარი ფესვია, რომელზედაც ამოიზრდება ყოველი ახალი, ან წყაროა, რომლითაც საზრდოობს პოეტი.

გალაკტიონსაც სხვა არაერთი ლოცვა-ლექსი აქვს, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ – ღვთისმშობლისადმი აღვლენილი უმშვენიერესი, ტკივილით სავსე ლოცვა.

„მზეო თიბათვისა“ კი ყველასგან გამორჩეულია გულშიჩამწვდომი მხატვრული სახეებით, მუსიკალურობით.

მზეო თიბათვისა – ეს სრულად ახალი პოეტური სახეა ღვთისა, გალაკ-

ტიონის პოეტური შთაგონების ნაყოფი. მზე ტრადიციული საღვთისმეტყველო ხატია ღვთისა. თიბათვის მზე კი ახალი სახეა. თიბათვე ივნისის თვეა, როდესაც მზე სითბოს აფრქვევს, თვითონ სიტყვა თიბათვეა გაღღენთილი ამ სითბოთი, ნარმოთქმისთანავე საოცარი სითბო გეღვრება სულში. მზეო თიბათვისა – თვითონ ეს არის, შეიძლება ითქვას, ორსიტყვიანი პოეზია, ამიტომაც იმეორებს პოეტი: „მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა". თითქოს ვგრძნობთ, როგორ გადმოედინება ზეციდან ყვითელი ფერის ნიაღვრები და მთელ სამყაროს ავსებს. თიბათვე გალაკტიონის სხვა ლექსებშიც გვხვდება, განსაკუთრებით გამორჩეულია ლექსი „მას გახელილი დარჩა თვალები":

„მზეო თიბათვის, ყოფნა უმზეო! მზე მიიცვალა ღია თვალებით!
ის მიიცვალა რაღაც უმწეო და საოცარი გარდაცვალებით!
მას გახელილი დარჩა თვალები, ოჰ! გახელილი დარჩა თვალები!
ის უცხო მხარეს გარდაიცვალა და გახელილი დარჩა თვალები!"

უმზეო ყოფნა – სიკვდილია, სიცოცხლის დამშლელი და გამანადგურებელი.

ლექსის მეორე სტრიქონში ვკითხულობთ „ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები".

მუხლმოყრილი ლოცვა ამხელს ლირიკული გმირის დიდ გულშემუსვრილობას, ტანჯვას, თაყვანისცემას. მას მხსნელად უფალი მიაჩნია. მაგრამ რას ნიშნავს „გრაალს შევედრები". საერთოდ, ამ ლექსის შესახებ არაერთი წერილია დაწერილი, მაგრამ მათგან გამოვარჩევთ აკაკი ბაქრაძის წერილს: „რას ნიშნავს თიბათვის მზე?", რომელშიც შესანიშნავად არის ახსნილ-განმარტებული ეს ლექსი.

გრაალი უწმინდესი თასია, რომელშიც ქრისტეს ჯვარცმისას მისი სხეულიდან გადმოდენილი სისხლია შეგროვებული. მათეს სახარების 27-ე თავში მოთხრობილია, როგორ აცვეს ქრისტე ჯვარს: მწუხრის ჟამს კი, საღამოს მოვიდა მდიდარი არიმათიელი კაცი, სახელად იოსები, რომელიც აგრეთვე იესოს მოწაფე იყო. მივიდა იგი პილატესთან და გამოითხოვა იესოს ცხედარი; ბრძანა პილატემ, მიეცათ მისთვის. წამოიღო მისი ცხედარი იოსებმა, შეახვია წმიდა ტილოში და დაასვენა ახალ სამარხში, რომელიც კლდეში გამოეკვეთა; დიდი ლოდი მიაყუდა სამარხის კარს და წავიდა. სახარებაში გრაალის თასი არ არის ნახსენები, მაგრამ ნიკოდომოსის აპოკრიფული სახარების თანახმად, იოსებ არიმათიელმა წვეთ-წვეთად შეაგროვა ჯვარცმული იესოს იარებიდან მომდინარე სისხლი. სხვა ვერსიით, იოსებ არიმათიელმა ქრისტეს სისხლით გაჟღენთილი კვართი, პერანგი ამ თასში ჩაწურა.

არსებობს უამრავი გადმოცემა, ლეგენთა გრაალის შესახებ. ის არის მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების შთაგონების უშრეტი წყარო. გრაალი უდიდესი სიწმინდეა, რომელთან მიახლება ადამიანის განახლებას იწვევს, მასთან უამრავია სასწაულია დაკავშირებული. უცხოურ წყაროებში სიტყვა „გრაალის" წარმომავლობის რამდენიმე ვერსია არსებობს. ბერძნული ვერსიით, გრაალი ღვინისა და წყლის შესარევ ჭურჭელს ნიშნავს, ლათინური ვერსიით – ჭეშმარიტ სისხლს, ხოლო ისლანდიური ვერსიით, სიუხვის კალათას ნიშნავს. ზოგი გადმოცემის მიხედვით, ეს ის თასია, რომლითაც მაცხოვარმა

მოციქულები აზიარა. საიდუმლო სერობა კი, როგორც ცნობილია, სწორედ არიმათიელის სახლში გაიმართა. იესოს სიყვარულისა და ერთგულებისათვის ებრაელებმა შეიძულეს იოსები და დევნა დაუწყეს. აღდგომის შემდგომ ის იძულებული გახდა, თავის ხალხთან ერთად უდაბნოში გადახვეწილიყო. მათ იქ უამრავი განსაცდელი გადაიტანეს; ერთხელ გამოეცხადა უფალი იოსებს და უბრძანა: ზუსტად ისეთივე მაგიდა გაეკეთებინა, როგორზეც სადუმლო სერობის ღამეს მოციქულები ტრაპეზობდნენ. იოსებმა აასრულა უფლის განკარგულება და, მართლაც, იხსნა ხალხი განსაცდელისაგან.

არსებობს სხვა გადმოცემა: იერუსალიმის პირველ ეპისკოპოსს, ფილიპეს, უბრძანებია არიმათიელისთვის, დიდ ბრიტანეთში გამგზავრებულიყო და თასი თავად ჩაეტანა. სხვა გადმოცემის თუ ლეგენდის თანახმად, გრაალი ერთი მთლიანი კრისტალისგანაა გაკეთებული და სასუფეველიდან გამოძევებამდე ლუციფერის გვირგვინი იყო, რომლიდანაც ლუციფერისა და მთავარანგელოზ მიქაელის ზეციური ბრძოლის დროს იასპის ქვა მიწაზე ჩამოვარდნილა. ალქიმიკოსებისათვის „გრაალი“ ზეციდან ჩამოგდებულ ქვასთან, ანუ „ფილოსოფიურ ქვასთან“ არის გაიგივებული. ხოლო „ფილოსოფიური ქვა“ ანტიკურ პერიოდში არის იგივე, რაც შუა საუკუნეებში „გრაალი.“ „ფილოსოფიური ქვის“ ძიება არის სულიერი გზა – რომელიც ანტიკურ თუ ძველბერძნულ მისტერიებში უშუალოდ უკავშირდება ძიებას „ოქროს საწმისისას.“ რამდენადაც „ფილოსოფიური ქვა“ და გრაალი იდენტურად მოისაზრება, ქრისტიანულ-თეოლოგიური თვალსაზრისით კლასიკურ „გრაალს“ ეწოდება „ოქროს საწმისი.“

„გრაალის“ თემა ევროპულ ლიტერატურაში განსაკუთრებით პოპულარული ხდება ჯვაროსანთა ლაშქრობის შემდეგ. ამის მიზეზია ის, რომ ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის აღებიდან ოცი წლის შემდეგ 1119 წელს იქმნება ტაძრის რაინდთა, ანუ ტამპლიერთა ორდენი. ქრისტეს შობიდან 516 წელს ბრიტანეთის მეფედ აკურთხებენ 15 წლის არტურს. მის სახელს უკავშირდება „მრგვალი მაგიდის“ ორდენის ჩამოყალიბება, რომლის უზენაეს მიზანს „გრაალის“ დაცვა შეადგენდა. „გრაალის ორდენის“ რაინდთა შორის იყო რაინდი პარციფალი (პარსიფალი), რაც სიტყვასიტყვით მოხეტიალეს ნიშნავს. ის „გრაალის“ უკანასკნელი მეფეა, რომელმაც მოიპოვა წმინდა სასმისი და ღვთაებრივ სიბრძნეს ეზიარა. პარციფალს სათნოებისათვის ერგო „გრაალის“ თასი, შუბი და დავით მეფის ჯადოსნური ხმალი.

„გრაალთან“ დაკავშირებულია ისეთი მნიშვნელოვანი ქრისტიანული რელიკვია, როგორიცაა სასწაულმოქმედი შუბი, რომლითაც რომაელმა ჯარისკაცმა ლონგინოზმა განგმირა ნაზარეველის სხეული, აგრეთვე გრაალთანაა დაკავშირებული დავით მეფის ჯადოსნური ხმალი.

ტამპლიერთა ორდენის ჩამოყალიბება უშუალოდ ჯვაროსანთა ლაშქრობის პერიოდს უკავშირდება.

ცნობილია, რომ დიდგორის ომში მონაწილე მხედრობის უმრავლესობა ტამპლიერი იყო. „გრაალის“ სიმბოლოებია, აგრეთვე, თვალ-მარგალიტი და ქალწულის დახსნა ბნელ ძალთა ტყვეობიდან. ზვიად გამსახურდიას დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსანი“ შესაძლებელია „გრაალის“ პოემად მივიჩ-

ნიოთ. ქალწულის დახსნა, ანუ „გრაალის“ მოპოვება, სიმბოლურად განასახიერებს სამშვინველს, რომლის გამოხსნა ხდება დრაკონის ტყვეობიდან.

„გრაალის“ თემაზე მსოფლიო ხელოვნებისა და მწერლობის ისტორიაში მრავალი საყურადღებო ნაწარმოებია შექმნილი.

ვოლფგანგ ფონ ეშენბახის „პარციფალი“ დაწერილია კრეტიენ დე ტრუას დაუმთავრებელი პოემის – „ლანსელოტის“ გავლენით. პარციფალის სახით დაინტერესდა რიჰარდ ვაგნერი, რომელმაც 1882 წელს დაწერა ოპერა „პარციფალი,“ ხოლო შემდგომ მეორე ოპერა პარციფალის ძმა ლოენგრინზე. მიიჩნევენ, რომ სვეტიცხოველი „გრაალის“ ტაძარია, რადგან წმ. ნინოს მითითებით იმ ადგილას აშენდა, სადაც უფლის კვართია დაფლული. ზვიად გამსახურდია ფიქრობდა, რომ გელათის ფრესკაზე ღვთისმშობლის შუბლზე „გრაალის“ ტვიფარია გამოსახული.

ქართულ მწერლობაშიც გვხვდება „გრაალის“ თემა. ამ თვალსაზრისით, გამორჩეულია გრიგოლ რობაქიძის „გრაალის მცველნი“. მწერალმა თავისებურად გადაამუშავა ეს თემა და შექმნა ახალი პოეტური მითი გრაალისა. ნაწარმოებში მოთხრობილია ეპიზოდი: ქართველი უკანასკნელი რაინდები უფსკრულის პირას დგანან და ტყვედ ჩავარდნას სიკვდილს ამჯობინებენ. მათ თან აქვთ წმინდა ნინოს ჯვარი, ვაზის ნასხლევისგან გამოთლილი და მისი თმით შეკრული. ის-ის იყო მიიღეს გადაწყვეტილება – უფსკრულში უნდა გადაშვებულიყვნენ, რომ პატარა მტირალი გოგონა შეეხო ჯვარს. ამ დროს გამხმარი ვაზი აყვავდა. ოქროსფერი მტევნები დაისხა. მხედრებმა მტევნები დაწურეს – როგორც იოსებ არიმათიელმა – გოლგოთაზე დაღვრილი სისხლი მაცხოვრისა, თასში დააგროვეს ფარულად და შეინახეს. იცავდნენ, ვითარცა სიწმინდეს. რა თქმა უნდა, ვაზი და მტევანი უფალს განასახიერებენ. თითქოს თავისებურად გამეორდა გოლგოთის მთის მისტერია. თასის გარშემო წმინდა „გრაალის“ მსგავსი ორდენი ჩამოყალიბდა. საკრალურად (საიდუმლოდ) თასში დევს გული, ანუ საქართველოს მზე, ხოლო რაინდები გახდნენ იდუმალი მიწის დარაჯი-გუშაგები.

გრიგოლ რობაქიძის რომანში „გრაალის“ დაცვის მისია ავალიათ არა უშუალოდ „გრაალის“ გუშაგებს, არამედ – ქართული მწერლობისა და კულტურის მსახურთ. ნაწარმოებში ერთმანეთს უპირისპირდება ორი იდეა – გრაალის დაცვისა და გრაალის ნგრევისა.

ნაწარმოებში გატარებულია საყურადღებო აზრი: „გრაალის“ გადარჩენით გადარჩება ქართული ცნობიერება, ნგრევით კი ქართული სულიერების კატასტროფა გარდაუვალია. გრაალის მცველთა პროტოტიპები, გრიგოლ რობაქიძესთან ერთად, არიან პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე. ამგვარი ასოციაციები ლექსის ანალიზისას ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც რუსთველი წერს: პოეზია „პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღვთო საღვთოთ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“.

პოეზია სულიერი საზრდოა, რომელიც ადამიანის სულიერ სრულყოფას უწყობს ხელს. ასეთია გალაკტიონის პოეზია, რომელიც საღვთო ბილიკებით მიუძღვება მკითხველს საიდუმლო, უხილავ სამყაროში.

სტრიქონი „ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები“ – ორნაირად

შეიძლება გავიაზროთ. შევედრები, ესე იგი, შევევედრები, როგორც უწმინდესს – ან კიდევ შევედარები – გრაალის თასს ვგავარ – სავსე ვარ სისხლით, ტანჯვა-წამებით. ლექსის ლირიკული გმირი სთხოვს უფალს:

„იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთებით დაიფარე ამას გევედრები".

ლირიკული გმირი უფალს შესთხოვს დიდი სიყვარულის დაცვას, რადგან თვითონ, ადამიანს, არ შეუძლია მისი მფარველობა. „ფრთებით დაიფარე" – აკაკი ბაქრაძის აზრით, ეს ფრთები სულიწმინდაზე მიგვანიშნებს. „ფრთები სულიწმინდის ატრიბუტია". იოანეს სახარებაში ვკითხულობთ: „ვიხილე სული ღმრთისაი, ვითარცა ტრედი გარდამომავალი ზეცით" (იოანე, 1-32). მტრედი სულიწმინდის სიმბოლოა, მისი ხილული სახეა. ამიტომაც არის მშვიდობის სიმბოლოც მტრედი. სულიწმინდა მოვლინებულ იყო მესიის გასაჩენად, „რათა აცხოვნოს სოფელი მის მიერ" (იოანე 3, 17), რათა დაემყარებინა ქვეყნად სათნოება და მშვიდობა. როგორც ლოცვაშია: „მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველივეს აღავსებ მადლითა შენით, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენ შორის და წმიდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩვენნი".

ლექსში ვკითხულობთ:

„ტანჯვა-განსაცდელში თვალნი მიურიდენ,
სული მოუვლინე ისევ შენმიერი".

რას ნიშნავს სიტყვა „მიურიდენ"? ალბათ, მოარიდე მისი თვალები ტანჯვას. რიდესავით ჩამოეფარე, რათა მან ტანჯვა-განსაცდელი არ იხილოს. „სული მიუვლინე ისევ შენმიერი" – ღვთის სული – სულიწმინდა მოუვლინე. „სული წმინდა დაბადე ჩემთანა ღმერთო და გული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა", – როგორც მეფსალმუნე დავითი ამბობს 50-ე ფსალმუნში.

„დილა გაუთენე ისევ ციურიდან,
სული უმანკოთა მიეც შვენიერი".

ღვთაებრივი, მშვიდობიანი ნათელი დილა გაუთენეო, – სთხოვს პოეტი, რათა მის სიყვარულს მშვენიერი უმანკო სული არ შეებღალოს. ბარათაშვილი გავიხსენოთ, რომელიც ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა" წარმოაჩენს მშვენიერ სულს":

„თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს".

ან კიდევ: „მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული" („რად ჰყვედრი კაცსა").

მშვენიერება ადამიანისთვის ღვთის წყალობაა, მისი მფარველობის გარეშე ამ მშვენიერებას ვერ მოიპოვებს და ვერც დაიცავს.

ლექსში იხატება სასტიკი დრო. ეს ლექსი ხომ 1917 წელს არის დაწერილი. პირველი მსოფლიო ომი ჯერ არ დამთავრებულა და რევოლუციური ქარტეხილებია.

„ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეელება
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები.

მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება,
მზეო თიბათვისა, ამას გევედრები."

ძალიან ძნელია გადაურჩე ასეთ სისხლიან ეპოქას. ეს არის დრო ღვთის მკვლელობისა, ანგელოზთა განდევნისა: „ანგელოსები უედემონი სტიროდნენ გზათა მიუვალობას" („ცხრაას თვრამეტი"), ეჭვები: „იგი ტრიალებს, ვით თვალი ქორის, ეს საუკუნე – მეფისტოფელი" („ბრმა ცალი თვალით"). სხვა ლექსებში პოეტი ამ დროს ასე წარმოაჩენს:

„არ დავცემულვარ,
მაგრამ გესლით მე მოვიშხამე";
ან „წარუშლელი მწუხარების გავხდი მონამე,
მონამე გავხდი ცეცხლისა და განადგურების"(„მიმღერე რამე").

იდგა „დემონების კორიანტელი", „სისხლიანი ანგელოზები" მოჩანდნენ ციდან. „ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი არ არის, / არ არის" („შემოდგომა „უმანკო ჩასახების" მამათა სავანეში). როცა არ ინდობდნენ არც ბავშვებს: „მე თვითონ დაჭრილი ვნახე, ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი". ან „წარწერა კედელზე: აქ იპოვეს ტყვიით მოკლული 5 წლის ოქროსთმიანი გოგონა" (ჯონ რიდი)

აკაკი ბაქრაძის აზრით, ამ ლექსში „მზეო თიბათვისა" სასოწარკვეთილი ლირიკული გმირი წმინდა სამების სამივე წევრს ევედრება: მამა ღმერთს – მზეო თიბათვისა, ძეს – გრაალის სახით და სულიწმინდას – სული მოუვლინე ისევ შენმიერი.

აკაკი ბაქრაძეს კიდევ ერთი საინტერესო დაკვირვება აქვს ამ ლექსზე – მან ვერ მოაგნო ქართულ პოეზიაში – ვერც სასულიეროსა და ვერც საეროში – მსგავს სიმბოლოს – თიბათვის მზეს. ეს გალაკტიონისეული კიდევ ერთი მშვენიერი სახეა. პოეტი ღმერთს ლექსში სულიწმინდის მოვლენას ევედრება – სულიწმინდის მოფენის დღე კი 14 ივნისია. თიბათვე ივნისის ძველი სახელია.

გალაკტიონის პოეზიაში ღვთის სახება არაერთხელ გაიელვებს:

„და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია,
მე თბილისი ავირჩიე ბებერი" („დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირშია").

პოეტს მარადის ჰქონდა ხსოვნა უფლისა და მას ევედრებოდა ხსნას: „წმიდაო, წმიდაო მაცხოვარ".

მაია ჯალიაშვილი

თავისუფლების მონატრება

(გალაკტიონ ტაბიძის „მშობლიური ეფემერა“)

„წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული,
ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის“, – წერს გალაკტიონ ტაბიძე „ეფემერაში“. სწორედ ეს ქართული სისხლი აწერინებს მას ასეთი ტკივილით სავსე სტრიქონებს. „ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს, /ის პოეზიას ჩემსას გაიგებს“, – საქართველოს კულტურა, მისი აწმყო, წარსული და მომავალი არის ის ძლიერი ფესვი, რომლიდანაც გალაკტიონის პოეზიაა ამოზრდილი. მის ლექსებში არის „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“.

ამ ლექსში კი – „მშობლიური ეფემერა“ – წარმოჩენილია საქართველოს დაკარგული თავისუფლების გამო ტკივილი.

ეფემერა – ხანმოკლეს, წარმავალს ნიშნავს. გალაკტიონს უყვარდა ეს სიტყვა და ხშირად გვხვდება მის პოეზიაში: „ეფემერა“, „ისევ ეფემერა“, „საახალწლო ეფემერა“. როგორც ცნობილია, წუთისოფელი ხომ ეფემერულია. ბიბლიური სიბრძნე ღაღადებს: „ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო“. ეფემერა სწორედ ამაოების სინონიმად გვესახება. ამ ლექსს კი „მშობლიური ეფემერა“ ჰქვია, ესე იგი, პოეტს ამ ლექსში არა ზოგადსაკაცობრიო სატკივარი, დროის წარმავლობის გამო გამოწვეული, არამედ მშობლიური ქვეყნის ტკივილი აწუხებს.

პირველივე სტრიქონში იხატება ლირიკული გმირის გაუცხოება სამშობლოსთან:

„ვეღარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს,
ზამთარს ბილიკი დაუტანია...
„დიდი ხანია?' – მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: დიდი ხანია!“

რატომ ვეღარ ცნობს იგი მშობლიურ ხეებს, ქვეყანას? „ვცნობილობ“– დიალექტური ფორმაა, რატომ გამოიყენა პოეტმა? ალბათ, იმიტომ, რომ უფრო მეტი მშობლიურობის განცდა შეექმნა. იმიტომ ვეღარ ცნობს, რომ სამშობლო, მისი სალოცავი ხატი, მის წარმოდგენაში არის ძლიერი, ამაყი, დაუმორჩილებელი. ახლა კი ხედავს დაბეჩავებულს, ღირსებააყრილს, თავისუფლებადაკარგულს.

„ზამთარს ბილიკი დაუტანია“ – ლექსში იხატება ზამთრის პეიზაჟი. თოვლს დაუფარავს ბილიკები. აქ ზამთარი და ბილიკი სიმბოლურადაც უნდა გავიაზროთ. ზამთარი დასდგომია ქვეყანას – ზამთარში ყოველივე კვდება. ბილიკები კი ხსნის გზაა. რა თქმა უნდა, პოეტი დაკარგულ დიდებას, თავისუფლებას, დამოუკიდებლობას მისტირის. იგი იმიტომ ვეღარ ცნობს სამშობლოს, რომ არ უნდა ასეთი დაინახოს.

გავიხსენოთ გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოდან“ ფარნავაზ მეფის სადღეგრძელო:

„ეს ვინ გამოჩნდა,
ვისი აჩრდილი დაჰმზერს ივერსა გაკვირვებითა,
ნუთუ ველარა უცვნია შვილი,
მისგან აღზრდილი ტრფიალებითა“.

უცებ გამოჩენილი დიდი მეფის, ფარნავაზის აჩრდილი გაკვირვებით დაჰყურებს საქართველოს და ველარ უცვნია. ეს მით უფრო გასაოცარია, რომ ფარნავაზმა გააერთიანა ქვეყანა, შექმნა სახელმწიფო და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მის დროს შეიქმნა ქართული ანბანი. ლეონტი მროველი ამას გვამცნობს „ქართლის ცხოვრებაში“. გრიგოლ ორბელიანს ამ ეპიზოდით იმის თქმა უნდა, რომ საქართველო ის აღარ არის, რაც იყო. თავისუფალი, ძლიერი. იგივე აზრი უფრო მძაფრად წარმოაჩინა გრიგოლ ორბელიანმა ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. აქ თამარ მეფე ველარ სცნობს ტაძარში სალოცავად მისულ ქართველს – ლირიკულ გმირს. რატომ?

„და მე ველარ მცნობ
გულშემუსვრილსა,
დამცირებულსა,
ხმა-მიღებულსა,
ბედდაკარგულის ივერიის ძეს.
ეჭვით აღვსილსა,
უსასოდ ქმნილსა,
გულ-უიმედოს, გაუხარებელს“.

სასოწარკვეთა ეუფლება პოეტს: „ვაჰ, თუ რაც წახდეს,/ ველარა აღსდგეს, /ველარ აყვავდეს ახლის შვენებით, /და რაც დაეცა, /ის წარიტაცა შავმან ყორანმა, /ვით უმწე მსხვერპლი“. გალაკტიონის ლექსის ლირიკული გმირიც ველარ სცნობს სამშობლოს, რადგან ვერ წარმოუდგენია ქართველი ასეთი დაბეჩავებული, ბედსშეგუებული.

სამშობლოს ვერცნობა ტრაგედიაა მშობლისთვისაც და შვილისთვისაც. ამგვარი განცდა უმომავლობას, დაღუპვას ნიშნავს. გალაკტიონის სხვა ლექსებშიც არის ეს განცდა, მაგალითად, ლექსში „გემი დალანდი“:

„მაგრამ სამშობლოს ძველ გზებით ველარ მოვაგენ
და არ მახსოვდა, მქონდა იგი თუ მომაგონდა“.

აქ ტკივილით გაისმის სტრიქონი: „მქონდა იგი თუ მომაგონდა“ – ეჭვებით სავსე გული მოჩანს ამ სტრიქონში. იქნებ არც არასოდეს მქონია ისეთი სამშობლო, როგორიც წარმომედგინაო. ლექსში ვკითხულობთ:

„დიდი ხანია?' – მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: დიდი ხანია!“

დიდი ხანია, რაც ამ დღეშია ქვეყანა? – ეკითხება ლირიკული გმირი გარემოს? სასოწარკვეთა გაისმის მის ამ შეკითხვაში და ტყე გუგუნებს – დიდი ხანია. ამ გაპიროვნებით კარგად წარმოაჩინა პოეტმა, როგორ გაჟღენთილა ამ სატკივრით ყოველივე.

ამან გაგვახსენა ოთარ ჭილაძის რომანი „გოდორი“, რომელშიც აღწერილია, რომ მეთექვსმეტე საუკუნეში საქართველოსკენ გამოემართა ცნო-

ბილი იტალიელი მისიონერი ლუდოვიკო ბოლონიელი, მან იცოდა საქართველოს დიდებული ისტორიის შესახებ და სურდა გაცნობა, თან საგანგებო მისიით მოდიოდა, მაგრამ როცა მოაღწია იმ გეოგრაფიულ სივრცეს, სადაც ეს მშვენიერი ქვეყანა ეგულებოდა, საქართველო იქ აღარ დახვდა, რა თქმა უნდა, ეს მეტაფორააა და მიუთითებს ქართული სულის გაქრობაზე. ამას ეხმიანება თანამედროვე პოეტის, ბესიკ ხარანაულის, სტრიქონები: „საქართველო აქროლდა, ვით ფოთლებში ქარია“.

გალაკტიონის ლექსში ვკითხულობთ:

„შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ – მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: ამირანია!“'

ლირიკულ გმირი ხედავს დახავსებულ კლდეებს. ეს დახავსებულობაც წარმოაჩენს იმას, რომ ქვეყანა უმოძრაოა. ხავსი სევდისა და წუხილის სიმბოლოა. ქართული ანდაზაა: „აგორებულ ქვას ხავსი არ ეკიდებაო“. ესე იგი, ხავსი უმოძრაობაა, სიკვდილია. კლდეებიდან კვნესა გაისმის. ილიას „ელეგია“ გვახსენდება:

„არსაიდან ხმა, არსით ძახილი,
მშობელი შობილს არრას მეტყოდა,
ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი,
ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა“.

ქართველი კვნესით გამოხატავს თავის უნუგეშო მდგომარეობას.

იქ, სადღაც, კავკასიონის მთებში, პოეტს მიჯაჭვული ამირანი ეგულება. სწორედ მისი კვნესა გაისმის, რადგან დატყვევებას ვერ შეგუებია მისი დაუმორჩილებელი სული. მითის მიხედვით, ღმერთი ამირანს სჯის და კავკასიონის კლდეზე მიაჯაჭვავს, იმიტომ, რომ თავისი ძალითა და გამარჯვებით გაამაყებულმა ამირანმა მასთან შებრძოლებაც კი მოინდომა.

ამირანი, როგორც საქართველოს სიმბოლო, აკაკიმ დაამკვიდრა პოეზიაში:

„კავკასიის მაღალ მთებზე
მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები კი – ყვავ-ყორანი,
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთაგმირი,
სიხარულად შეეცვლება
იმდენი ხნის გასაჭირი.“

საოცრად შთამბეჭდავია ტყის გუგუნით დასტური, რომ მთებში სწორედ ამირანი კვნესის. ესე იგი, საქართველო ცდილობს თავდახსნას, ჯერ არ გამქრალა იმედი. თუმცა ეჭვი მაინც გაჰკრავს, როგორც აკაკის:

„მაგრამ ვაიმე, რომ ეჭვი მოუგზავნია ჯოჯოხეთს:
მაცდურ სარკეში მახედებს,
ოცნებას მიკლავს... გულს მიხეთქს!..

ამბობს: „ფრიდონ და ავთანდილ
ჯერ ვერ გადიხდის ომსაო!...
და შენც ტარიელს მოჰგავხარ
ისე, ვით კატა ლომსაო“ („ჭაღარა“).
ერთ სხვა სხვა ლექსში გალაკტიონი წერს:
„ამ ბნელი ღამით ვიღაც დადის საქართველოში,
ამ ბნელი ღამით ვიღაცა კვნესის,
ვახსენოთ ჩვენ ის უკანასკნელ სადღეგრძელოში“ („ამ ბნელი ღამით“).

ეს, რა თქმა უნდა, საქართველოს უკვდავი სულია, რომელიც ხანდახან რომელიმე მამულიშვილის სხეულში განხორციელდება ხოლმე. მამულიშვილს კი „ძილშიც არ სძინავს მამული ბედით გულ-აღტყინებულს“ (ილია). ლადო ასათიანი ამას ასე ლამაზად ამბობს:

„დავიღლები საქართველოს სიყვარულში,
სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ“ („სალაღობო“).

გალაკტიონის ლექსში ვკითხულობთ:
„ეს მძაფრი კვნესა მიწამლავს დღეებს,
ის გული ისევ ჩემი გულია...
„დაკარგულია? ‘ – მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: დაკარგულია!“

ტყის გუგუნი: „დაკარგულია“ – საოცარ სევდას ბადებს, მაგრამ ამ სევდას ლექსში არღვევს თერგის ხმაური. თერგი ხომ დაუდეგარი ცხოვრების სიმბოლოა ილიასთვის. თერგი თითქოს საქართველოს სულია. გრიგოლ ორბელიანი გვახსენდება:

„თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან“ („საღამო გამოსალმებისა“).

„თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა...“ (ილიას „მგზავრის წერილები“).

„გუგუნებს თერგი, ხმაურობს თერგი,
მზე ჩავა, ჯერ კი შორსაა ბინდი... “

„ჯერ კი შორსაა ბინდი“ – სიმბოლურად მიანიშნებს, რომ იმედი არის გადარჩენისა. დრო კიდევ არის ბრძოლისა, მზე ჯერ სულ არ ჩასულა. საქართველოს წარსული ხომ ხშირად ედარება ხოლმე დიდებულად ჩასვენებულ მზეს. ეს სტრიქონები თითქოს გადაძახილია გრიგოლ ორბელიანის ლექსთან „საღამო გამოსალმებისა“. იქაც მზის ჩასვლაა აღწერილი და ამ ფონზე – თერგის ხმაური, რომელიც ირგვლივ გამეფებულ სიმშვიდეს არღვევს. მზის ჩასვლას, დაისს, საოცარი, არამიწიერი ფერადოვნება ახლავს. სწორედ ამ ფერებს მოიხელთებს გალაკტიონი, იგი ფერადების ჯადოქარია. ნახეთ, როგორ ხატავს ამ ფერებს, რომლებიც ჰორიზონტს მზის ჩასვლისას ედება:

„ფერების ჭევრი ირევა ბევრი,
ლალების ტევრი – ლილა და შვინდი“.

აქ ფერები იხატება ძვირფასი ქვით – ლალით, იგი მუქი წითელია, ძოწისფერია, ელვარე წითელია, მაგრამ მხოლოდ ლალის ხსენება თუ წარმოადგენინებს მკითხველს, რა ფერშია შეღებილი ჩამავალი მზის ზეცა. ლალი

– ეს ძვირფასი ქვა ხშირად მეტაფორულად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. საგულისხმოა, რომ პოეტი კი არ წერს: შინდისფერიო, არამედ პირდაპირ ასახელებს შვინდს, თითქოს თვითონ შვინდი მოჩანს ცაზე – ისეთი ხასხასა და ცოცხალია ეს ფერები.

სხვა ლექსში წერს:

„ფერებს ყაზბეგზე სწერენ სხივები
მარადიული ოქროს კალმებით“ („მარადიული ოქროს კალმებით)“.

საოცარი მეტაფორაა. ყაზბეგი იგივე მყინვარწვერია, რომელსაც სხვა ლექსში „მაისი ალით ააზამბახებს“ – აქაც ჯერ ფერების განცდაა, მერე მუსიკისა და მხოლოდ შემდეგ გამოიკვეთება აზრი და ემოცია. მზის სხივებს თითქოს ხელში მარადიული ოქროს კალმები უპყრიათ და წერენ ფერებს – აფერადებენ.

ფერი გალაკტონის პოეზიაში მუსიკასავით მნიშვნელოვანია. მის ლექსებში გასაოცარი ფერები გვხვდება. მაგალითად, ივლისისფერი ყინვა, თოვლთა დაფნა, დაბინდულქლიავისფერი მთები. ლექსში შემოიჭრება ყაზბეგის სახე, ეს მწერალი ძალიან უყვარდა გალაკტიონს. მის შემოქმედებაში ხომ საუკეთესოდ წარმოჩნდა თავისუფალი საქართველოს სული:

„მე კავკასიის ქედები მთხოვენ,
მე მთხოვს მუსიკა თერგის ხმაურის,
ვუსმინო ყაზბეგს, ხევის ბეთჰოვენს“.

ბეთჰოვენის ქარიშხლიან მუსიკას შედარა მისი შემოქმედება.

ამ ლექსში კი:

„ყაზბეგის შუბლი შემოსეს ღრუბლით
და ცა ალუბლით სავსეა... კმარა,"

ცა ალუბლებით სავსეა – ამ არაჩვეულებრივი მეტაფორით წარმოჩენილია ცის ფერადოვნება, რასაც უფრო ამძაფრებს მეტაფორა: „ყვავილთა ციდან კალათებს ცლიდნენ“. თითქოს ციდან ფერადი ყვავილები ცვივა. თან თითქოს სისხლზეა მინიშნება, არა მხოლოდ მიწაა გაჟღენთილი დაღვრილი სისხლით, არამედ – ცაც.

„დარიალიდან ზარავდა ზარა“.

დარიალს მოაქვს თავისუფლების სუნთქვა. ტიციან ტაბიძე რომ წერს: „და დარიალით გადარეული /თვალებს ცრემლების თერგი მირეცხავს“. ან კიდევ: „დარიალიდან გადავარდნილი /ხაზარეთისკენ მისცურავს წერო“ (გიორგი ლეონიძე).

თავისუფლების გზა რომ დაკარგულია, ეს კარგად ჩანს ლექსში: „ღრუბლები ჰგავდნენ ამღვრეულ ტვინებს“, რომელშიც აღწერილია საშინელი ავდარი და მიმავალი მგზავრი, რომელსაც გზა ვეღარ გაუგნია, რადგან „დაკარგულია გზა მოხევესი“. აქ არის მინიშნება ილიას „მგზავრის წერილების“ მოხევე ლელთ ღუნიაზე, რომელიც ხსნის გზას დამოუკიდებლობის მოპოვებაში ხედავდა. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“.

ამ ლექსში კი ვკითხულობთ:

„სულ ერთი წამით განსაცდელ ჟამად,
შეხვედრა ჩუმი მე შენად მერგო,

მოგონებებით, რაც ჩემს გულს ანთებს,
იმ ძვირფას ლანდებს გადაეც, თერგო!"

მხოლოდ მოგონებები ასულდგმულებენ ლირიკული გმირის სასოწარკვეთილ გულს.

ლექსის ბოლო სტროფში ლირიკული გმირი გასძახის კლდეებს:

„ამირანია? ' – კვლავ ვკითხავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: „ამირანია!"

ეს პასუხი მაინც იმედიანად გაისმის, რადგან ამირანი კვნესის, ესე იგი, ბედს არ შეგუებია ქვეყნის სული და აუცილებლად გათავისუფლდება.

ნიკო ლორთქიფანიძეს აქვს ერთი მინიატურა, „ლიტერატურული საღამო", რომელშიც აღწერილია, რომ გმირს, მამულის სიყვარულით აღტაცებულს, როგორ გაუფაქიზდა სმენა, მას ირგვლივ ყოველივე მხოლოდ ერთ რამეზე ესაუბრება: მყინვარი, მისი ფანჯრიდან რომ მოჩანს და ჩაესმის მისი ქალწულივით ნაზი ხმა; მთვარიან ღამეში ბაგრატის ტაძრის ნანგრევებისა, მდინარე რიონი მხოლოდ ერთს ამბობენ: „მოუარეთ საქართველოს". და გულშიჩამწვდომია სტრიქონი: „ნუთუ გუშინწინ კოკისპირულმა წვიმამ რომ დაასხა, არ გაგიგონიათ გაუთავებელი, გაბმული ძახილი ყოველი წვეთისა: „მოუარეთ საქართველოს!"

გალაკტიონის ეს ლექსიც საქართველოს მოვლის მოვალეობას შეახსენებს მკითხველს. ლექსი დაგვაფიქრებს სამშობლოზე, მის ბედზე, მის აწმყოზე, წარსულსა თუ მომავალზე.

მაია ჯალიაშვილი

„უცხო სამოთხეები“

(გალაკტიონ ტაბიძის „გაგონდება თუ არა“)

გალაკტიონ ტაბიძის ეს ულამაზესი ლექსი „გაგონდება თუ არა...“ ერთი ნაკითხვისთანავე მოგხიბლავთ ფერწერული სახეებითა და მუსიკალურობით. პოეტი იხსენებს გარდასულ დღეებს, რომლებიც მისი ცხოვრების წიგნში მშვენიერ სტრიქონებად არის ჩაწერილი:

„გაგონდება თუ არა
კარალეთის დღეები,
მთების ლურჯი კამარა –
უცხო სამოთხეები?
კიდევ შეგრჩა თუ არა
მხიარული თვალები?
თუ დრომ გადაუარა
და ჩაუქრო ალები?
მივდიოდით მხარდამხარ
და დრო გვეუარესა,
ან არ ვიცი სადა ხარ
და რომელსა მხარესა.“

ლირიკული გმირი მიმართავს ვიღაცას, რა თქმა უნდა იმას, ვისთან ერთადაც კარალეთში ლამაზი დღეები გაუტარებია. შეიძლება, ეს იყოს რეალური, შეიძლება – წარმოსახული. კარალეთი ერთი ულამაზესი სოფელია ქართლში, გორის რაიონში, თვითონ სიტყვა კარალეთიც ლამაზია, რომელიც თურქულ ენაზე შავ მიწას ნიშნავს. სოფელი განთქმულია ხეხილით, განსაკუთრებით ვაშლის ბაღებით. გალაკტიონმა კი თავისი ამ ლექსით სამუდამოდ გააუკვდავა იგი.

გავიხსენოთ ამ სოფლის ისტორია. ნაჭარმაგევია კარალეთის ძველი სახელწოდება. ნაჭარმაგევი იყო ერთ-ერთი სამეფო რეზიდენცია შუა საუკუნეების საქართველოში. ნაჭარმაგევი მოხსენიებულია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში: „ცხოვრებაი მეფეთ-მეფისა დავითისა“, როგორც სანადირო ადგილი. 1110 წელს ნაჭარმაგევში შეყარა დავით აღმაშენებლმა ლაშქარი, როცა თრიალეთში თურქ-სელჩუკთა შემოსევა აცნობეს. XI-XII საუკუნეების დიდი საეკლესიო მოღვაწე არსენ იყალთოელი დავით აღმაშენებლის ეპიტაფიაში წერს:

„ვინ ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარეთ გამეხსნეს.
თევზი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამეხსნეს,
აწღა ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამეხსნეს“.

არსენ იყალთოელი დავით აღმაშენებლის თანამედროვე და მასთან დაახლოებული პირი იყო. იგი ითვლება რუის-ურბნისის კრების ძეგ-

ლისნერის ავტორად „ხელმწიფის კარის გარიგების" ცნობით, მას დაუწერია ეს ეპიტაფია, ხოლო ეპიტაფიის შინაარსი მიგვანიშნებს, რომ ნაჭარმაგევის სამეფო რეზიდენციას უცხოელი მეფეები სტუმრობდნენ. აქ მოლაპარაკების დროს მნიშვნელოვანი საკითხები წყდებოდა. ნაჭარმაგევი ხშირად იხსენიება თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი".

მეფეები ნაჭარმაგევში ხშირად ისვენებდნენ. ისტორიკოსთა ცნობით, თამარი მამის თანამოსაყდრედ ნაჭარმაგევის სასახლეში აკურთხეს. ნაჭარმაგევის საზაფხულო რეზიდენციაში ხშირად მიდიოდა ხოლმე თამარი და სამეფო საქმეებს აქედან განაგებდა.

ნაჭარმაგევის მკვიდრნი ყოფილან შემდგომი ხანის საქართველოს მეფენიც. მომდევნო საუკუნეებში საქართველოს პოლიტიკური სიძლიერის დაქვეითებასთან ერთად ნაჭარმაგევის სამეფო რეზიდენცია თანდათან დავიწყებას მიეცა.

XVIII საუკუნის ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსი" წერდა: „გორის ზემოთ ლიახვს ერთვის ნაჭარმაგევის წყალნი. ნაჭარმაგევი იყო სადგური მეფეთა და კეთილსანადირო და აწ კარალეთად წოდებული ტურფაჭალიან-მინდვრიანი, ნადირ ფრინველით სავსე".

XVIII საუკუნეში სოფელი კარალეთი ეკუთვნოდა იოანე მუხრანბატონს. მისი მეუღლე იყო ერეკლეს ასული პოეტი ქალი ქეთევანი, რომელიც არასაიმედო პიროვნებად ითვლებოდა რუსეთის ხელისუფალთა თვალში. ალბათ ამიტომ იყო, რომ ალექსანდრე I-მა 1804წელს მას ჩამოართვა საუფლისწულო სოფელი კარალეთი და გადასცა რუსეთის ერთგულ ფეოდალებს, ქსნის ერისთავებს. შემდეგ საქართველოს გასაბჭოებამდე სოფელი ქსნის საერისთავოში შედიოდა.

დღეს კარალეთში არის ნაჭარმაგევის სახელობის დაწყებითი სკოლა. ასე რომ, კარალეთი ძველი, დიდებული, ძლიერი, თავისუფალი საქართველოს მონატრებასაც აღვიძებს.

ლექსში ვის მიმართავს პოეტი?

„გაგონდება თუ არა კარალეთის დღეები?"

ალბათ, ეს მისი ახალგაზრდობის მეგობარია. სიჭაბუკე ხომ ყველაზე მშფოთვარე და ოცნებებით სავსე ხანაა ადამიანის ცხოვრებაში. „ოჰ, როგორ მიდის ახალგაზრდობა, /დაუნდობელი სურვილი ლომის!" („ცამეტი წლის ხარ") – ასე მეტაფორულად წარმოაჩენს პოეტი ახალგაზრდობას – ის ლომის სურვილია. ლომი ცხოველთა მეფეა, მის სურვილს წინ ვერაფერი დაუდგება. სწორედ ასეთი სურვილები აქვს ადამიანს ახალგაზრდობაში, თავდაჯერებული და დარწმუნებულია ოცნებათა ასრულებაში, ეს ოცნება კი ზღვარდაუდებელი და ზღაპრულია ხშირად. ცნობილი ფილოსოფოსი ნიცშე სამ ეტაპს გამოყოფს ადამიანის ცხოვრებაში: პირველია აქლემის ხანა – ხანა მორჩილებისა – შენ მოვალე ხარ. მეორეა სიჭაბუკე – ლომის ხანა– როცა წარმმართველია – მე მსურს!. ეს ასეც უნდა იყოს. შემოქმედისთვის კი ხომ ოცნება უმთავრესია, სწორედ ოცნებით გააღწევს პოეტი

მატერიალური სამყაროს საზღვრებს და ეზიარება დაფარულს, იდუმალს. მერე ოსტატობის, ნიჭის წყალობით შეეცდება მეცხრე ცაზე განცდილი და ნაგრძნობი სხვებსაც გაუზიაროს, სიტყვიერ ქსოვილში, პოეტურ სახეებში მოაქციოს გამოუთქმელი, დააფიქროს არამატერიალურსა და წარუვალზე, მოასმენინოს მარადიულის სუნთქვა. გალაკტიონის პოეზიაში კი, მართლაც, ხშირად გაისმის სუნთქვა მარადიულის.

ლექსი ექსპრესიულია, 7-მარცვლიანი სტრიქონები ნაზ რიტმს ქმნიან, ჯვარედინი რითმები მუსიკალურობის შეგრძნებას ამძაფრებენ: თუ არა – კამარა, დღეები – სამოთხეები.

ამ მოგონებებში უპირველესია ცის გახსენება. ლირიკული გმირი ეკითხება მეგობარს: გაგონდება თუ არა კარალეთის „მთების ლურჯი კამარა“. კამარა თაღია. მთებს ცა თაღივით დადგმია თავზე, ეს თაღი ლურჯია. რატომ წამოტივტივდება ამ მოგონებაში, პირველ რიგში, ცა? ალბათ, იმიტომ, რომ ცა ღვთის, ამაღლებულის, მიუწვდომელის სიმბოლოა. ცა მიწისგან განსხვავებით ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, სულზე დააფიქრებს, ცაზე ფიქრი სულიერი ზრდის, სრულყოფილებისაკენ სწრაფვის სიმბოლოა. ლურჯი კამარა – ეს მეტაფორა ფერწერულ ხატს ქმნის. თითქოს თვალნათლივ ვხედავთ მთებზე დამხობილ ლურჯ ცას, არც ერთი ღრუბელი რომ არ ამღვრევს. ბარათაშვილი გვახსენდება: „ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი /ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული, /აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, / მყის ფიქრნი შენკენ მოისწრაფვიან“ („შემოღამება მთაწმინდაზედ“). პოეტის გულში აღბეჭდილია ცის სახე და ფიქრები ცისკენ მიისწრაფვიან, რათა მატერიალურ ყოფას მოსწყდნენ.

შეიძლება, თვითონ მთებს აღიქვამდეს პოეტი, როგორც ლურჯ თაღებს.

ლექსში ბუნებრივად შემოიჭრება – უცხო სამოთხეების ხსენება. რატომ ახსენებს სამოთხეს მრავლობითში? იმიტომ, რომ უნდა თავისი აღტაცება ამგვარად გამოხატოს. კარალეთში ტკბილი დრო გაუტარებია პოეტს, ამიტომაც ადარებს სამოთხეს, თანაც ეს სამოთხე უცხოა. ან კიდევ: კარალეთი მისი წარმოსახვაა – შორი და უცხო სამოთხეა. ამგვარი ეპითეტით დაახასიათა მან იგი. რატომ? სამოთხეზე მხოლოდ ოცნება შეუძლია მოკვდავს. ხორციელი კაცი ფიქრითაც კი ვერ მოიცავს სრულყოფილად სამოთხის მშვენებას. სამოთხე არის ამქვეყნიური ცხოვრების ჯილდო ღვთისაგან. სამოთხის ხსენებას უნებლიეთ მოაქვს ხსენება პირველშექმნილი ადამიანებისა, ადამ და ევასი, ღმერთმა სამოთხეში დაამკვიდრა, ენითაუწერელი მშვენება იყო ირგვლივ. მათ არაფერი ეკრძალებოდათ, გარდა ერთი ვაშლის ხის ნაყოფის შეჭმისა, მაგრამ ეშმაკმა აცდუნა ევა, ცნობისწადილი ჩაუნერგა, მან კი ადამი აცდუნა და ასე დაარღვიეს ღვთის ნება პირველმა ადამიანებმა, იგემეს ვაშლი და დაკარგეს სამოთხე. მას შემდეგ დარჩა ოცნება სამოთხეზე. ბავშვობა, სიჭაბუკე – ერთგვარი სამოთხეებია ადამიანის ცხოვრებაში, რომელსაც ადამიანი კარგავს სწორედაც იმიტომ, რომ იზრდება და ათასგვარ ცოდვას ჩადის, ნებით თუ უნებლიეთ. აი, ასეთ ფიქრებს აღძრავს ლექსი. საერთოდ, პოეზიისთვის არის დამახასიათებელი ასოციაციათა ნაკადები. ერთი პატარა სტრიქონი ხშირად უამრავ ფიქრს წარმოშობს ხოლმე.

სამოთხეს, როგორც მშვენიერების სიმბოლოს, ხშირად ვხვდებით ლიტერატურაში, პოეზიაში განსაკუთრებით. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ხშირად არიან შედარებულნი „ედემის“, სამოთხის ხეებსა თუ ყვავილებთან.

ილია კი „აჩრდილში“ მთელ ქვეყნიერებას ადარებს სამოთხეს: „დიდი სამოთხის კუთხე პატარა..“. დიდი სამოთხე ღვთის მიერ ადამიანის სამოღვაწეოდ შექმნილი უთვალავფერიანი სამყაროა და საქართველო კი სამოთხის პატარა კუთხე. პოეტი ეკითხება წარმოსახულ მეგობარს;

„კიდევ შეგრჩა თუ არა მხიარული თვალები?“

„მხიარული თვალები“ ბედნიერებისა და უცოდველობის სიმბოლოა.

„ჩემი თვალები წინათ რომ ფეთქდნენ ცვრებით, იებით“, –წერს გალაკტიონი ლექსში „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“. თვალები, უპირველესად, და ყველაზე მეტად, ირეკლავს ადამიანის ბედნიერებასა თუ უბედურებას. სახარების მიხედვით, თვალი ადამიანის სხეულის სანთელია.

მხიარული თვალები ბავშვისთვის არის დამახასიათებელი. როდესაც ბავშვს, როგორც ბარათაშვილი წერს „ჩჩვილში“ „ჟამი დაჰხარის“ და თავისუფალია. თავისუფალია არჩევნის მტკივნეული გაკეთებისაგან. ბავშვი ხომ ანგელოზივით კეთილია და მისი განზრახვა ყოველთვის უმანკოა და გულიდან მომდინარე. თვითონ კითხვა: „კიდევ შეგრჩა თუ რა მხიარული თვალები?“ – უკვე გულისხმობს დაეჭვებას. ძნელია ადამიანმა შეინარჩუნოს „მხიარული თვალები“, რადგან ცხოვრება სასტიკია და არავის აცლის ბედნიერებისათვის, ამიტომაც შემოიჭრება ლექსში სასოწარკვეთილება:

„თუ დრომ გადაუარა და ჩაუქრო ალები?“ დრო, რომელიც დაუდეგარია, წარმავალია, ადამიანსაც არ ინდობს. სწორედ დრო აქცევს ცხოვრებას წუთიერად – წუთისოფლად. ნებისმიერი დრო სასტიკია, ამიტომაც ამბობს პოეტი: „დრომ გადაუარა“. გადაუარა – ეს სიტყვა სწორედ ამ დაუნდობლობას ამხელს. ამავე დროს, ეს დრო გვახსენებს სასტიკ, ქარიშხლიან დღეებს, ლექსი ხომ 1916 წელს არის დაწერილი, ჯერ კიდევ მძვინვარებს მეორე მსოფლიო ომო, დგება რევოლუციების ხანა, „დემონების კორიანტელია“, საშიში დრო, რომელიც ადამიანებს სიხარულს ართმევს, ბავშვებს უდროოდ აქცევს დიდებად, სასტიკად დევნის სამოთხიდან. გავიხსენოთ, „მზეო თიბათვისა“, როგორ ევედრება პოეტი უფალს, დაიცვას მისი საყვარელი არსება: „ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება, /უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები, /მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება, /მზეო თიბათვისა, ამას გევედრები“. ასე მეტაფორულად გამოხატა პოეტმა, რომ ადამიანმა დაკარგა სიხარული: თვალში ცეცხლის ალი ჩაუქრა. ცეცხლი ხომ სიცოცხლის სიმბოლოა. ლექსში კი ვკითხულობთ:

„მივდიოდით მხარდამხარ და დრო გვეუარესა,
აწ არ ვიცი სადა ხარ და რომელსა მხარესა“.

მხარდამხარ სიარული დიდ მეგობრობაზე მიანიშნებს. ისინი ერთად იყვნენ, ერთმანეთის ჭირსა და ლხინს იზიარებდნენ, ბაძავდნენ ავთანდილს, ტარიელსა და ფრიდონს.

სიტყვა „გვეუარესა“ პოეტური ნეოლოგიზმია. გალაკტიონმა ერთ სიტყვაში მოაქცია განცდა იმისა, თუ როგორი უარესი გახდა დრო. გვეუარე-

სა – ნიშნავს ჩვენთვის გადაიქცა ეს დრო სასტიკად. იგი აღარ ჰგავდა იმ ძველ, ტკბილ, ლაღ, ბედნიერებით სავსე დროს. ამგვარი სიტყვათქმნადობა დამახასიათებელია გალაკტიონისთვის. მაგალითად, „ახლა კი გზა ეკლებზე უფრო უეკლესია“. ეკალი – ალმატებით ხარისხშია, რათა წარმოეჩინა რომ ეკალზე უფრო სასტიკია ცხოვრება. ან კიდევ, მაგალითად, „და ოცნება მოგონებას იით მოაიავებს“ („დაფნა“) – მეტაფორულად, ოცნება მოგონებას ალამაზებს. ან კიდევ: „გაჰქრა, დროს ისე ღიმილით არ ეალუბლება“. აქაც პოეტს სურს თქვას, რომ ღიმილით აღარ შესცქერის სამყაროს, დროს, აღარაფერი ახარებს. ალუბალი კი სიმბოლოა მზიანი დღისა, სიხარულისა. მის პოეზიაში პოეტური ნეოლოგიზმის უამრავი სხვა მაგალითი შეიძლება დავძებნოთ.

გალაკტიონი ხშირად მუსიკალურობის გასამძაფრებლად იგონებს სიტყვებს, რომელთაც შინაარსი არ გააჩნიათ, მაგალითად: ლურჯა რაში „მიქრის დალალგადაყრილი, /დოვინ-დოვენ-დოვლი, თოვლი, ფიფქი და აპრილი,/ ვარდისფერი თოვლი“ („მოვა, მაგრამ როდის?“).

ლექსში ჩავლილი სიხარულის გახსენებაა:

„აწ არ ვიცი სადა ხარ

და რომელსა მხარესა“.

ეს ამხელს დიდ ტკივილს. ლირიკულმა გმირმა მეგობარი დაკარგა, არ იცის, სად არის, რომელ მხარეში, მხოლოდ წარმოსახვით შეუძლია მასთან ურთიერთობა, შეუძლია პოეზიაში მასთან ერთად გატარებული ლამაზი დღეების გახსენება.

ერთ ლექსში წერს პოეტი:

„რადგან რასაც კარგავს ხსოვნა –

ღრმად ინახავს ჩვენი გული („გახსოვს“?). ასე ღრმად შეინახა მისმა გულმა კარალეთში გატარებული დღეები, რომლებიც ამ პატარა ლექსის შთაგონების წყაროდ იქცნენ.

მაია ჯალიაშვილი

სამშობლოს სიყვარულის საიდუმლო

(გალაკტიონ ტაბიძის „მამული“)

ქართულ პოეზიაში, ალბათ, არც ერთ თემაზე არ არის დაწერილი იმდენი ლექსი, რამდენიც სამშობლოზე, რადგან სამშობლო, როგორც აკაკი ამბობს, ქართველისთვის უპირველესი „სალოცავი ხატია“. ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი სანახები მუდამ იწვევს შთაგონებას ლექსის შესაქმნელად, ხოტბის შესასხმელად.

„სხვა საქართველო, სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“, – წერს გრიგოლ ორბელიანი. სამშობლოს უბრალო ხსენებაზე ქართველს უამრავი გულშიჩამწვდომი და ამაღელვებელი პოეტური სტრიქონები მოაგონდება, მაგრამ გალაკტიონის ლექსი „მამული“ ყველასგან გამოირჩევა საოცარი ზემოქმედების ძალით, რადგან აქ განსხვავებულად არის გამჟღავნებული მამულის სიყვარული.

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე – რაა მამული!
წინაპართაგან წავიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“.

პირველივე სტრიქონიდან საოცრად შთამბეჭდავად შემოიჭრება სამშობლოს სიყვარული. გალაკტიონი სიტყვა „მამულს“ ისეთი გულმხურვალებით წარმოთქვამს, როგორც ილიას უყვარდა თქმა. სწორედ ილიამ დაუბრუნა ამ სიტყვას თავისი „ყოვლადმპყრობელი“, დიდებული მნიშვნელობა. მანვე მამულიშვილობა ადამიანის მთავარ ღირსებად გამოკვეთა. გალაკტიონი ილიას მემკვიდრეა, მისი იდეალების ერთგული. თითქოს სიტყვა „მამული“ უფრო მშობლიურია. ლექსის მიხედვით, ფეხშიშველამ უნდა გაიაროს ცვრიან ბალახზე, საოცარმა ჟრუანტელმა დაგიაროს, იგრძნო ცვრიანი ბალახის სურნელი, მასთან შეხების სიტკბო, ესე იგი, დილაუთენია ადგე, სანამ მზე ამოვა და ღამის ნაწვიმი შეაშრებათ ბალახებს, ასე დილაადრიან დგებოდნენ ჩვენი წინაპრები და გადიოდნენ ბაღებში, ვენახებსა და ყანებში სამუშაოდ. საქართველოს ხომ გეორგიას უწოდებენ ოდითგანვე. გეორგია მიწათმოქმედ ხალხს ნიშნავს. მიწის სიყვარული ქართველს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი, ამიტომაც, როცა პოეტი სამშობლოზე ფიქრობს, ის უპირველესად ფიქრობს ქართულ მიწაზე, ოფლითა და სისხლით მორწყულ მიწაზე, რომელსაც ქართველი კაცი ყოველთვის შვილივით ელოლიავებოდა, იცოდა, ამ მიწაზე იყო ნაშობი, მას უნდა გაფრთხილებოდა, რადგან მას უნდა მიეცა მისთვის საზრდო და ამ მიწასვე უნდა მიბარებოდა მისი სხეული. ამიტომაც ასეთი გულშიჩამწვდომია ეს სიტყვები:

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე
– რაა მამული! “

„ცვრიანი ბალახი“ სიმბოლოა მშობლიური მიწისა.

ალბათ, ამ სტრიქონებმა ჩააგონეს ლადო ასათიანს, რომ მასაც ასე გამოეხატა სამშობლოს სიყვარული:

„მე მიყვარს, როცა ყანაში გახვალ / და მოგაგებებს სიმინდი ლახვარს,
მე მიყვარს როცა ყანაში გახვალ / და დილის ნამით გაილუმპები,
თუ ეს ერთხელაც არ განგიცდია, / სიტყვის უთქმელად დაიღუპები".

აქაც დილის ნამთან შეხება წარმოჩენილია, როგორც მშობლიურ მიწასთან ზიარება. თუ ეს არ განგიცდია, დაიღუპებიო. ნამი თითქოს უბრალო ნამი კი აღარ არის, არამედ რაღაც ჯადოსნური მალამოა, რომელმაც უნდა გიხსნას და გადაგარჩინოს.

დილის ნამი თანვე სიმბოლოა სიწმინდისა, ხელშეუხებლისა, ღვთაებრივისა, რომელიც მზეს ერწყმის. ნამი არის სიცოცხლის მომნიჭებელი, ადამიანის განმაახლებელი, ამაღორძინებელი.

მამულის შეგრძნება უნდა იყოს ისეთივე ემოციური და ცინცხალი, შემაკრთობელი, როგორც ცვრიან ბალახზე გავლა. ბერძნულ მითოლოგიაში არის გმირი ანთეოსი, რომელსაც, სანამ მიწაზე დგას, ვერავინ ამარცხებს და თუ კი მიწას მოსწყდება, დაამარცხებენ. ქართველი კი ყოველთვის მიწაზე იდგა მყარად:

„მშობელ მიწაში მიდგას ფესვები,
როგორც წყალში დგას წნორის ძირები,
სიყვარულს ვერვის დავესესხები
თუ სამშობლოსგან გავიწირებიო", –წერს გიორგი ლეონიძე.

უჩვეულო განცდა მოაქვს გალაკტიონის სტრიქონებს, ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლა ადამიანს სასიცოცხლო ძალებით აღავსებს. ეს არ არის მხოლოდ ხატოვანი თქმა, არამედ რეალურად შესაგრძნობი, რადგან ამ სტრიქონთა წაკითხვის შემდეგ მკითხველს უჩნდება სურვილი, თვითონაც გაიაროს ცვრიან ბალახზე და სულ სხვანაირად იგრძნოს მამულის სიყვარული. ცვრიანი ბალახი ამ ლექსში საოცარი შარავანდედით იმოსება.

„ორ ზღვას შუა ძველისძველად საომარი იყო ლელო,
ის გადარჩა და სახელად ეწოდება საქართველო", – წერს გალაკტიონი ლექსში „საუბარი ლირიკის შესახებ".

„არსად ისე არ მღერიან როგორც აქ, ამ ქვეყანაშიო („გურიის მთები").

მიწა ხომ უბრალოდ ადგილი არ არის. მიწა სულია. „მიწა არს ღმერთი", – ამბობს ოთარ ჩხეიძის დრამა „თედორეს" გმირი თედორე, მტერს რომ შეაკლა თავი და ქვეყანა მტრის აოხრებისაგან გადარჩინა.

სამშობლო მიწისთვის იბრძოდნენ ოდითგანვე ქართველები. „სამშობლოს არვის წავართმევთ, /ჩვენს ნურვინ შეგვეცილება, /თორემ ისეთ დღეს დავაყრით, /მკვდარსაც კი გაეცინება", – ასე თამამობენ საკუთარ ძალაში დარწმუნებული მხედრები ვაჟა-ფშაველას ლექსში „მხედართა ძველი სიმღერა".

გალაკტიონისთვის დამახასიათებელია ნაცნობი საგნებისა თუ მოვლენებისთვის ახლებური შეხედვა, სულ სხვა კუთხით წარმოჩენა. მაგალითად, სხვა ლექსში წერს: „გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის,/ ეს ჩემი სამშობლოს მთებია". ნახეთ, აქაც რა საოცარი შეგრძნება ჩნდება. დაბი-

ნდული ქლიავისფერი – ასე მხოლოდ გალაკტიონს შეიძლება დაენახა და ამგვარად ეთქვა, რომ ასეთი მშვენიერი, ერთადერთი და განუმეორებელია მისი სამშობლოს მთები. აქ მთები, რა თქმა უნდა, მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლოა, მთელი ქვეყნის გამომხატველი, ისევე, როგორც „ყვარლის მთებში“ ილია კონრეტულ მთებსაც გულისხმობდა და მთელ საქართველოსაც.

სამშობლო მარტო ლამაზი მთები არა არის, არამედ ხალხია, რომელიც ამ ლამაზმთებიან მიწაზე ცხოვრობს, კულტურაა, რომელსაც ეს ხალხი ქმნის, ხელოვნება, ფოლკლორი, მუსიკა, ლიტერატურა. სამშობლო ქართულ ენაა და სარწმუნოებაა. ასე რომ, სამშობლოს სიყვარული გულისხმობს იმის გააზრებას, გაცნობიერებას, როგორც გურამიშვილი იტყოდა, ვინა ხარ, საიდან მოსულხარ, სადა ხარ და საით წახვალ. პატრიოტმა უნდა იცოდეს სამშობლოს ისტორია, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები და ყოველივე ის, რასაც საუკუნეთა განმავლობაში ქმნიდა ქართველი ხალხი. ასე რომ, სამშობლოს სიყვარული ერთგვარი ტვირთიცაა, ამიტომაც წერდა ტიციან ტაბიძე:

„დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა
და საქართველოს მედგას უღელიო“.

გალაკტიონი ამ ლექსში წარმოაჩენს დროის ერთიანობის აუცილებლობას. წუხილს, რომ „წინაპართაგან წავიდა ყველა“. სამწუხაროდ, დროის ბრუნვას წინ ვერაფერი აღუდგება, მაგრამ აწმყო უნდა გამსჭვალული იყოს წარსულის ხსოვნით, „სხვა ხალხის ჟრიამულმა“ არ უნდა დაახშოს წარსულიდან მომავალი ხმები. გალაკტიონის ამ სტრიქონში კი „წინაპართაგან წავიდა ყველა“– საოცარი წუხილი გაისმის, პოეტი თითქოს თანამედროვეებში ვეღარ ხედავს იმ გულს, რომელიც მამულისთვის ძგერდა.

მამულზე ფიქრი გაახსენებს მას მამასაც. ლექსში მეტაფორულად არის წარმოჩენილი ველზე ნიავის გადაქროლება: „გაშალა ველი ნელმა ნიავმა“. ამ სტრიქონს საოცარი სიმშვიდის განცდა შემოაქვს და ლირიკულ გმირს ელანდება მოხუცი მამა. ცნობილია გალაკტიონის ბიოგრაფიიდან, რომ მამამისი მის დაბადებამდე გარდაიცვალა და დედა მარტო ზრდიდა მას და მის ძმას. ლექსში მოხუცი მამა, სასხლავით ხელში ვენახში რომ დადის, სიმბოლოა გამრჯე წინაპრისა, დიდი მამისა – მამული ხომ სიტყვა მამიდანაა წარმოქმნილი. ვენახი კი საქართველოს სახეა. ასე რომ, ეს მოხუცი წინაპრის სულია, რომელიც იმიტომ ელანდება, რომ გაამხნევოს და უპირველესი საზრუნავი შეახსენოს – ქვეყნის მოვლა-პატრონობის მოვალეობა.

ლექსის მიხედვით, ირგვლივ ყოველივე, თითო ლერწი და თითო ყლორტი – მასზე ოცნებას დაემგვანება. მასზე – დიდ წინაპარზე მეტყველებს ყოველივე, რომელმაც განძივით გადმოსცა შთამომავალს მამული და ანდერძივით დაუბარა: სიცოცხლე ჩვენი არც დედისაა, არც მამისა, არამედ ქვეყანას ეკუთვნის (ილია). ან კიდევ

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“ (რაფიელ ერისთავი).

რა სამწუხაროა, რომ, როგორც ილია იტყოდა: „რისთვისც მამანი იღვწოდნენ უწინ“, დღეს შვილს აღარ უღირს არაფრად და „საკვირველი მამათ საქმენი აღარ ახსენდება“, ამიტომაც გაისმის გულისმომკვლელი სინანული ამ ლექსშიც

„ისევ ამწვანდა მდელო და კორდი!..
დავდივარ, ვწუხვარ და მენანება“.

„ჰე, მამულო, ვინ გახსენოს, რომ მის გული არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებით აღვსილი“, – წერს გრიგოლ ორბელიანი. გალაკტიონის ამ ლექსშიც მამულის ხსენება იწვევს სიხარულის აღტაცებას.

ნიკო ლორთქიფანიძეს აქვს ერთი მინიატურა „ლიტერატურული საღამო“, რომელშიც აღწერილია, რომ გმირს, მამულის სიყვარულით აღტაცებულს, როგორ გაუფაქიზდა სმენა, მას ირგვლივ ყოველივე მხოლოდ ერთ რამეზე ესაუბრება: მყინვარი, მისი ფანჯრიდან რომ მოჩანს და ჩაესმის მისი ქალწულივით ნაზი ხმა; მთვარიან ღამეში ბაგრატის ტაძრის ნანგრევებისა, მდინარე რიონი მხოლოდ ერთს ამბობენ: „მოუარეთ საქართველოს“. და გულშიჩამწვდომია სტრიქონი: „ნუთუ გუშინწინ კოკისპირულმა წვიმამ რომ დაასხა, არ გაგიგონიათ გაუთავებელი, გაბმული ძახილი ყოველი წვეთისა: „მოუარეთ საქართველოს!“.

გალაკტიონის ამ ლექსშიც წარმოჩნდება მამულის სიყვარულით აღტაცებული პოეტი. ლექსი დაგვაფიქრებს სამშობლოზე, მის ბედზე, ჩვენს მამულიშვილურ მოვალეობებზე და, რაც მთავარია, სრულიად ახლებურად განგვაცდევინებს მშობლიური მიწის სიყვარულს.

რაფიელ ერისთავი რომ გავიხსენოთ:

„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, ჩემი სამშობლო ის არის“, – წერს პოეტი ლექსში „სამშობლო ხევსურისა“. ამავე ლექსში ვკითხულობთ ყველა ქართველისთვის ნაცნობ და საყვარელ სტრიქონებს:

„სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა
როგორც უფალი, სამშობლოც, ერთია ქვეყანაზედა“.

მაია ჯალიაშვილი

გაუქარვებელი სევდის ნაკვალევი

(გალაკტიონ ტაბიძის „ქარი ქრის")

უპირველეს ყოვლისა, რასაც განვიცდით ამ ლექსის კითხვისას, ისაა, რომ შევიგრძნობთ საოცარ მუსიკას. როგორ იქმნება ეს მუსიკა? რითმებით, რიტმით და იმ სურათებით, რომლებსაც პოეტი სიტყვებით გვიხატავს. პოეტი, ერთსა და იმავე დროს, თითქოს მუსიკოსიცაა და მხატვარიც. საზოგადოდ, რაც უფრო ნიჭიერია პოეტი, მით უფრო გამოკვეთილად ჩანს მის პოეზიაში მუსიკაც და ფერწერაც.

რას გვიხატავს პოეტი ამ ლექსში? უპირველეს ყოვლისა, იხატება ქარიანი დღე. თითქოს შევიგრძნობთ კიდევაც ქარის ქროლას:

„ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიქრიან ქარდაქარ".

საერთოდ, ჰქრის – გრამატიკულად არასწორი ფორმაა, მაგრამ პოეტმა ეს გამოიყენა. რატომ? იმიტომ, რომ მკითხველი უკეთესად შეიგრძნობს, ჰაერის ტალღები როგორ ზვირთდებიან ზღვის ტალღებივით, ეს „ჰ" ასო უფრო ამძაფრებს ქარის შეგრძნებას.

გალაკტიონის პოეზიაში ძალიან ხშირად ქრის ქარი და სხვადასხვა რამეს გამოხატავს. ამ ლექსში ეს ქარი, რომელიც აღმა-დაღმა დაქრის და მიმოფანტავს ირგვლივ ფოთლებს („ფოთლები მიქრიან ქარდაქარ") აღძრავს სევდიან განწყობილებას და შემდგომი სტრიქონები ამ ნაღველს უფრო ამძაფრებენ.

საგულისხმოა, რომ გალაკტიონმა, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი სიტყვებით, გამეორების საშუალებით, შეძლო, რომ მკითხველს წარმოედგინა ქარში მდგომი ლირიკული გმირი, სახესა და გულში აღბეჭდილი უსაზღვრო მწუხარებით.

ამ ლექსში გამეორებას ორგვარი ფუნქცია აქვს. ერთი, რომ აზრობრივად აღრმავებს სათქმელს, ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით გამეორებულ სიტყვებს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ამავე დროს, ეს გამეორება ამძაფრებს მუსიკალურობის განცდას.

მკითხველი გრძნობს, რომ ძლიერი ქარია, რადგან ხეები ირკალებიან. ამ დროს ჩნდება საოცარი მონატრება: „სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?" სასოწარკვეთილი ლირიკული გმირი წარმოგვიდგება ამ დროს. ეს გამეორება მიგვანიშნებს, რომ იგი მარტოა დარდთან – შეიძლება მას დაკარგული ჰყავს სატრფო, ან განშორებია მეგობარს, ახლობელს, რომელიც ძალიან მონატრებია, რომელიც არ იცის, სად არის ამ სასოწარკვეთის წუთებში, არადა, მის გარეშე ცხოვრება, სიცოცხლე წარმოუდგენლად მიაჩნია, ამიტომაც ასეთი უნუგეშოა ეს შეძახილი: „სადა ხარ?" იგი დაეძებს წარმოსახულსა თუ რეალურ საყვარელ ადამიანს, რომელიც იხსნის და გადაარჩენს. ლირიკულ გმირს თითქოს საყრდენი აქვს დაკარგული და მკითხველსაც შეგრძნება

უჩნდება, რომ მასაც ფოთოლივით მალე აიტაცებს ქარი და ფოთოლივით გააქროლებს. ცნობილია, მიწაზე მყარად დგომისთვის აუცილებელია, ადამიანს ჰქონდეს შეგრძნება, რომ ვიღაცას უყვარს, ვიღაცას სჭირდება, რომ მეგობრები ახლო არიან და მის ტკივილსა და ნაღველს იზიარებენ. ამგვარი განცდა ადამიანს სულიერად აძლიერებს. როდესაც ადამიანი სიყვარულით არის სავსე, მას ვერავინ მოერევა, ვერც ეს აშარი და თავხედი ქარი დასძლევს და გააქროლებს სადღაც. მკითხველს კი სწორედ ამგვარი შეგრძნება აქვს, რომ ლირიკული გმირი მარტოსულია და ძალიან უჭირს. ავდარი კი თანდათან უფრო მძაფრდება, ქარს მოჰყვება წვიმა და თოვლი. ლექსის პირველივე სტრიქონებიდან დაიხატა, რომ გვიანი შემოდგომაა. რადგან ფოთლები ქარს მიჰყვებიან, იოლად სწყდებიან ტოტებს. შემოდგომა სრულდება და ახლოვდება ზამთარი, რომელიც უსიყვარულობაზე მიგვანიშნებს.

„როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა“ („თოვლი“).

ლექსის სტრიქონები სიცივის შეგრძნებას ამძაფრებენ. თოვლი გაუქარვებელ ნაღველსა და მშფოთვარებაზე მიგვანიშნებს. ეს ქარიანი, წვიმიანი თოვლიანი ამინდი, უპირველესად, ლირიკული გმირის შინაგან სულიერ მდგომარეობას წარმოაჩენს, მის სულიერ ობლობასა და მიუსაფრობას. მის სულშია ყოველივე არეული. „შენი მე სახება დამდევს თან“ – ქარს ყველაფერი მიაქვს, მაგრამ საგულისხმოა, რომ სიყვარულს ვერ აფერმკრთალებს. შენს სახეს ვერაფერი დამავიწყებსო. კვლავ გამეორებით გვაჯერებს ლირიკული გმირი, როგორ უყვარს, რა ძლიერი და მოუდრეკელია მასში ეს გრძნობა. ამ სახეში მკითხველს ნებისმიერი ვინმე შეუძლია წარმოიდგინოს – მეგობარი თუ სატრფო.

ასე ლამაზად, გულშიჩამწვდომად შეძლო გალაკტიონმა მკითხველამდე მიეტანა თავისი სათქმელი, დარდი და ნაღველი ესთეტიკურ ღირებულებად ექცია და სიყვარულისთვის ტანჯული ადამიანის ამაღელვებელი განცდებისთვის ეზიარებინა.

მაია ჯალიაშვილი

სიყვარულის დღესასწაული

(გალაკტიონ ტაბიძის „რაც უფრო შორს ხარ“)

ამ ლექსში პოეტი ხატავს სიყვარულს, როგორც დღესასწაულს.

ხომ ცნობილია, რომ შეყვარებული მიისწრაფვის, საყვარელი ადამიანი გვერდით ჰყავდეს. გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსნის“ გმირი, ავთანდილი. როცა თინათინი გაამეფეს, ავთანდილს გაუხარდა, რომ, როგორც სპასპეტი, მთავარსარდალი, მეფეს უფრო ხშირად ნახავდა: „თქვა ზედა-ზედა მომხვდების ნახვა მის ბროლ-ფიქალისა, / ნუთუ მით ვპოვო წამალი მე ჩემი, ფერ-გამქრქალისა“. იგი აქამდე იშვიათად ნახულობდა მას, თინათინს, ბროლ-ფიქალის მეტაფორით რომ მოიხსენიებს და თვითონაც ამის გამო დარდისგან ფერი ჰქონდა გამკრთალი.

გალაკტიონის ამ ლექსის პირველი სტრიქონი კი თითქოს პარადოქსულად გაისმის: „რაც უფრო შორს ხარ – მით უფრო ვტკბები!“ ლირიკულ გმირში სატრფოს შორს ყოფნა ტკივილს, დარდსა და სევდას კი არა, ტკბობას, სიხარულს იწვევს. მკითხველს გაუჩნდება კითხვა: რატომ? როგორ შეიძლება საყვარელ ადამიანთან დაშორება გახარებდეს? პასუხი ლექსის შემდეგ სტრიქონებშია. ლირიკულ გმირს სატრფოს სიშორე იმიტომ ახარებს, რომ: „მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი“. მას თავისი ოცნება უყვარს, რომელიც სანამ განხორციელდება, მანამ არის სანუკვარი. როცა სატრფო შორს არის, მაშინ ათასი ოცნება ჩნდება. ლირიკული გმირი მას ოცნებაში გააიდეალებს, სრულყოფილებად აქცევს, ისეთ თვისებებს მიაწერს, რომლებიც შეიძლება ხორციელ-რეალურ ადამიანს არ გააჩნდეს.

აქ არის ოცნების რეალობაზე აღმატება. ოცნება უფრო სანუკვარია, ვიდრე რეალობა. რეალობა ერთმნიშვნელოვანია, ოცნება კი მრავალმნიშვნელოვანი.

არის თუ არა ამ ლექსის ლირიკული გმირის წარმოსახვა და ოცნება შთაგონებული „ვეფხისტყაოსნის“ იდეალებით? ალბათ, კი. რადგან მიჯნურს მართებს „შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“ (აალება, წვა). აქაც სწორედ ამ სიშორეზე არის ყურადღება გამახვილებული. თუ ცხოვრება, ბედი მიჯნურებს არ აშორებს (მაგალითად, ნესტანი და ტარიელი ერთმანეთს ავმა ბედმა დააშორა. გავიხსენოთ, ხვარაზმშას მოკვლის ამბავი და ნესტანის გადაკარგვა), მაშინ ისინი თვითონ შორდებიან რაიმე მიზეზით. მიუხედავად დიდი სიყვარულისა, თინათინი ავთანდილს შორ გზაზე აგზავნის სახიფათო დავალების შესასრულებლად, მან უცხო მოყმის ამბავი უნდა გაიგოს, თან, სამ წელს აძლევს ვადას. ასე რომ, ეს დაშორება კარგად გამოაჩენს, რამდენად მტკიცეა მათი სიყვარული, თან ერთმანეთზე ოცნებას ფრთებს შეასხამს.

გალაკტიონის ლექსის ლირიკული გმირი, მართლაც, „ვეფხისტყაოსნის“ იდეალებით არის შთაგონებული, მისთვის სიყვარული წმინდა და ამაღლე-

ბულია, ამიტომაც ამბობს, რომ მისი ოცნება არის „ხელუხლებელი – როგორც მზის სხივი“. ასეთ არაჩვეულებრივ შედარებას იყენებს პოეტი ოცნების მიუწვდომლობის წარმოსაჩენად. მზის სხივს ვხედავთ, მაგრამ ხელს ვერ შევახებთ, იგი ხომ არამატერიალურია, ხელშეუხებელია, წმინდაა, სიხარულისა და სითბოს მომტანია. მას ვერ ლაქავს ვერაფერი, ვერც ცხოვრების ჭუჭყი. ასეთი უმანკო, სუფთა და მაცოცხლებელია პოეტისთვის სატრფოზე ოცნება. თითქოს საკმარისად არ ეჩვენა პოეტს ეს შედარება და კიდევ ერთ შედარებას მიმართა თავისი ოცნების წარმოსაჩენად: „მიუწვდომელი – როგორც ედემი“. ედემი სამოთხეა. ხორციელი ადამიანი მხოლოდ ოცნებობს სამოთხეზე, რადგან იგი მიღმა სამყაროშია, თანაც, მხოლოდ ნეტარ, წმინდა სულთა ხვედრია ედემი. ეს შედარებაც უფრო გამოკვეთს, თუ როგორია ლირიკული გმირის ოცნება, მიუწვდომელია სამოთხესავით.

ამგვარი ოცნება შორეულ ქალზე პოეტთა შთაგონების წყაროა. გალაკტიონის პოეზიაში ხშირად გვხვდება მისი სახება, მაგალითად, ლექსში „მოვა, მაგრამ როდის?“:

„შორეული ქალის ეშხი მოვა... მაგრამ როდის?
სიყვარული სასახლეში მხოლოდ ერთხელ მოდის!
ასეთია ნაზი ბედი, ბედი რჩეულ ფერის,
სიცოცხლეში თეთრი გედი მხოლოდ ერთხელ მღერის!“

შორეულ ქალზე ოცნება ცხოვრებას სიზმრად გადააქცევს. სიზმარში კი არამიწიერი ფერებია და უჩვეულო განცდები. შორეული ქალის ეშხი ათრობს ლირიკულ გმირს და ელის მის მოსვლას, თან ეს მოლოდინი ატკბობს. ის ერთადერთი და განუმეორებელი სიყვარული იქნება. ამ მოლოდინში კი დაწერს მშვენიერ ლექსებს, მაგალითად, ასეთს: „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ, უსიყვარულოდ არ არსებობს არ სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“.

მის შემოქმედებაში ამგვარი შორეული ქალია მერი. ის წარმოსახულია, უპირველესად, მაგრამ მას ჰყავს პროტოტიპი – მერი შერვაშიძე. რომელსაც პოეტი რეალურ ცხოვრებაში არ შეხვდრია, არ უსაუბრია, მაგრამ ბევრ ლექსში გაკრთება მისი ულამაზესი სახე:

„შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი,
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კრთომა,
სანდომიან ცის ელვა და ფერი,
მწუხარე იყო, ვით შემოდგომა“.

მერის, საოცნებო ქალის, წარმოსახული ჯვრისწერა – ესე იგი, ოცნების დაკარგვა ლირიკული გმირისთვის ტრაგედიაა და სასოწარკვეთა ამგვარად ჩნდება ლექსში: „ქარი და წვიმის წვეთები ხშირი / წყდებოდნენ, როგორც მწყდებოდა გული/, და მე ავტირდი, ვით მეფე ლირი, ლირი ყველასგან მიტოვებული“. გალაკტიონი „დღურში“ წერს: „სახელი „მერი“ – მე არ გამომიგონებია: თუმცა ლექსის ობიექტად პირველია ეს სახელი საქართველოში. მერი – ხშირი სახელია ბაირონის ლირიკაში, მერი – ასულდგმულებს შელის, მერის – აღტაცებაში მოჰყავს პუშკინი, მერი – ერთ-ერთი უკეთესი

ტიპია ლერმონტოვის და ათასი ინგლისური და ფრანგული რომანების გმირი ქალია მერი. ჩამოთვლილი პოეტების არც ერთი მერი ერთმანეთს არ ჰგავს. ასე, ალექსანდრ ბლოკის მერი – სიმბოლიური სახებაა, ჩემი მერი – რომანტიკული, მაგრამ რეალური და ცხადია. კრიტიკოსებს კი სურთ, ამ ლექსით გააბან არარსებული კავშირი ჩემსა და ბლოკს შორის. ეს ლექსი დამოუკიდებელი ლექსია".

მერი იქცა შორეული საოცნებო ქალის სიმბოლოდ: „მიმაფრენდა ნაპრალებზე ლურჯა ცხენი, /გადვიჩეხე, უკურნებლად დაჭრილი ვარ... დამეხსენი! /შეკიდებიან მთვარეს, როგორც მძიმე მტევნები, /თეთრ-ვარდისფერი ალუჩები და შადრევნები, /ქანდაკებებმა ჩაიარეს მოხდენილ წყებად. /სადღაც შორს მუსიკა კითხულობდა: /ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი? /ჩახმახის წუთი, ბნელ სივრცეში აშლილი ბოლი,/ შავი ყვავილის სამუდამოდ მკვდარი ფოთოლი. /ლიუციფერი: – ვინ არის ეს ქალი, /ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი? („ვინ არის ეს ქალი?").

ჩვენს განსახილველ ლექსში კი ვკითხულობთ:

„და თუ არა ხარ ის, ვისაც ვფიქრობ,
მე დღეს არ ვნაღვლობ, დაე, ვცდებოდე!
ავადმყოფ გულს სურს, რომ მას ოცნების
თეთრ ანგელოზად ეელინებოდე".

ლირიკული გმირისთვის არ არის მნიშვნელოვანი, მისი ოცნების ქალი არის თუ არა ისეთი, როგორიც წარმოუდგენია. მისთვის ეს ოცნება და წარმოსახვაა მთავარი. პოეტი საკუთარ გულს მოიხსენიებს, როგორც ავადმყოფს. ავადმყოფობა აქ გადატანითი მნიშვნელობითაა. შთაგონებით, ოცნებით ავსებული გული განსხვავდება ჯანმრთელისაგან. პოეტი ნიკო სამადაშვილი გავიხსენოთ: „ავადმყოფობა, ეგონათ, ბიჭო, ლექსები ტანზე გამონაყარი". ან კიდევ, პაოლო იაშვილი რომ წერს: „არ არი ტანჯვა უფრო უზარმაზარი, როგორც პოეტის შთაგონებით დასნეულება". სიყვარული და შთაგონება ლექსში ერთმანეთს იწვევს. როცა უყვარს, წერს და ამ სიყვარულს ლექსით ზრდის: „ვზი მზრდელად სიყვარულისა, /მის ჩემგან დანერგულისადმ", – ნესტანი რომ ამბობს ქაჯეთიდან გამოგზავნილ წერილში.

პოეტი თავისი გამძაფრებული შეგრძნებებით განსხვავდება ჩვეულებრივ მოკვდავთაგან, მისთვის იშლება საზღვრები რეალობასა და წარმოსახვას შორის. ოცნება ადამიანს ჩვეულებრივ ყოფას ულამაზებს და ამ ცხოვრებაში აძლებინებს. ამიტომაცაა, რომ პოეტს შეიძლება სავსებით ჩვეულებრივი ქალი, რომელზედაც ოცნებობს, წარმოუდგება, როგორც თეთრი ანგელოზი. ანგელოზი სიწმინდის სიმბოლოა, თეთრი ფერი ამ ხელშეუხებელ, მიუწვდომელ სიწმინდეს უფრო გამოკვეთს:

„დაიწვას გული უცნაურ ტრფობით,
ცრემლით აივსოს ზღვა-საწყაული -
ოღონდ მჯეროდეს მე ჩემი ბოდვა
და სიყვარულის დღესასწაული."

სიყვარული ცეცხლია, რომელიც შეყვარებულის გულს ედება – ეს ტრადიციული მეტაფორაა. აკაკის სტრიქონები გავიხსენოთ: „ერთი წამიც

კი სიცოცხლის, / თუ სხივების მომფენია, /უსინათლოს და უგრძნობელს საუკუნეს მირჩევნია“.... „მოდი, დამწვი, სიყვარულო, /მიაშუქე, სადაც ბნელა!“ (აკაკი წერეთელი, „რაც არ იწვის, არ ანათებს“). ბარათაშვილს სჯეროდა მშვენიერ სულთა შორის სიყვარულის ღვთაებრიობისა და იმისაც, რომ ადამიანს შეეძლო ამგვარი ამაღლებული სიყვარული: „და ვით კერძოსა ღვთაებობისა /რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფოფისა“. ამგვარი ამაღლებული წმინდა სიყვარული ბარათაშვილს გაოცებით ათქმევინებდა: „ნუთუ ამ გრძნობის წადილსაც ჰრქვა სიყვარული სხვათაებრ...“ ნუთუ შეიძლება ჩემი სიყვარულიც იმავე სიტყვით მოვიხსენიო, როგორც სხვები ამბობენო. სიტყვა „სიყვარული“ ვერ იტევდა მის განცდებს, ამიტომაც წერდა: „მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“. ან კიდევ: „და ჩემთა გრძნობათ შენდამი ვერ დასდვან კაცთა სახელი“. ალ. ჭავჭავაძეც გავიხსენოთ: „მე შენ არ გეტყვი, გეტრფი, ვითა სხვანი გეტყვიან“.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსის ლირიკულ გმირს სურს გული სიყვარულის ცეცხლით დაეწვას და ცრემლები ზღვასავით დასდინდეს. „ცრემლით აივსოს ზღვა-საწყაული“ – „ვეფხისტყაოსნის“ ტარიელი გვახსენდება: მდინარის პირას ჩამომჯდარი: „ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა გულსა მდუღრად ანატირსა“. მთავარია, რომ:

ოღონდ მჯეროდეს მე ჩემი ბოდვა და სიყვარულის დღესასწაული.

ლირიკულ გმირს ბოდვად მიაჩნია ამგვარი ოცნება სიყვარულზე. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სიყვარული არის დღესასწაული. ერთ სხვა ლექსში წერს: „რისთვის მიყვარხართ? /მე არ მაქვს ნება! მაგნაირ გულით და სინაზეთი... არის ამქვეყნად დაგვიანება/ – მაგრამ ამდენ ხნით? მაგრამ ასეთი?

არის ამქვეყნად ვერხვი და სვია, /არის ამქვეყნად სიკვდილი ქალით... /ამ რევოლვერშიც არის რვა ტყვია, ერთს გაიმეტებთ: მე გთხოვთ, მომკალით! („ახსნა“)

გალაკტიონის პოეზია ამ სიყვარულით არის სავსე:

„ამაოდ მომესმის დედოფალთ გროვიდან
ძახილი უცნობი, მსუბუქი, ცისმარი:
„მე მოვალ და მრავალ ყვავილებს მოვიტან,
მე მოვალ, მე მოვალ, მე მოვალ – სიზმარი!“ („მე მოვალ“).

ამგვარი „უგონო სიყვარულით იყო შერყეული“ პოეტის გული. უგონო, რადგან ამგვარ სიყვარულს გონებით ვერ შესწვდები, ვერ გაიაზრებ.

სიყვარულზე დაწერილი გალაკტიონის ლექსები საოცარი ვნებითა და ენერგიითაა დამუხტული, რომელსაც შეუძლია ადამიანს განუცდელი სიხარული მიანიჭოს.

მაია ჯალიაშვილი

რწმენის წყურვილი

(გალაკტიონ ტაბიძის „წამყე ბეთანიისკენ")

„წამყე ბეთანიისაკენ" – სათაურის წაკითხვისთანავე მკითხველს უჩნდება ამაღლებული განწყობილება, რომელსაც ტაძრის ხსენება იწვევს, რადგან ტაძრისკენ სვლა ამხელს სულიერი განწმენდის სურვილს, ღმერთთან მიახლების წადილს. ტაძარი ხომ ღვთის სახლია, მისი სხეულია. გალაკტიონს არაერთი ლექსი აქვს ტაძრებისადმი მიძღვნილი. მაგალითად, „ქებათა ქება ნიკორწმინდას".

ამ ლექსში ჩანს, როგორ უყვარს ლექსის ლირიკულ გმირს ბეთანიის ტაძარი და როგორ სურს მისი ეს სიყვარული და აღტაცება მკითხველმაც გაიზიაროს. ეს ლექსიც, როგორც გალაკტიონის მთელი პოეზია, გამოირჩევა ფერწერულობით, აზრის სიღრმითა და მუსიკალურობით.

ბეთანია უძველესი ტაძარია, აგებულია, XII–XIII საუკუნეების მიჯნაზე. ეს მონასტერი, ტრადიციულად, ორბელიანების საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა. ორბელიანები კი ძლიერი ფეოდალური გვარის წარმომადგენლები იყვნენ. ამ გვარისა ბევრი იყო მეწინავე სადროშოს სარდალი, სახლთუხუცესი თუ მდივანბეგი. ამ გვარის ცნობილ წარმომადგენლებს დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართული კულტურის შექმნაში, ესენი არიან: სულხან-საბა ორბელიანი, პაპუნა ორბელიანი, დავით ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანი.

საგულისხმოა, რომ მივიწყებული ტაძრის ერთგვარი ხელახალი აღმოჩენა გრიგოლ ორბელიანის სახელს უკავშირდება. ცნობილია, რომ იგი ნადირობისას შემთხვევით გადააწყდა ნახევრად დანგრეულ ტაძარს, მიტოვებულს, კედლებდაბზარულსა და გავერანებულს.

ტაძარი მნიშვნელოვანია იმით, რომ აქ არის ფრესკა, რომელზედაც თამარ მეფე გიორგი მესამესა და ლაშა-გიორგისთან ერთად არის გამოსახული. როგორც ვიცით, საქართველოში სულ ოთხ ტაძარშია შემორჩენილი თამარის ფრესკა – ბეთანიის, ბერთუბნის, ყინწვისისა და ვარძიის ტაძრებში.

სწორედ თამარ მეფის გაფერმკრთალებული ფრესკის ხილვით აღტაცებულმა გრიგოლ ორბელიანმა დაწერა ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში", რომელშიც გამოთქმულია დიდი მწუხარება საქართველოს სავალალო მდგომარეობის გამო. ლექსის ლირიკული გმირი მისტირის თამარის დიდებულ დროს, ერი რომ ერობდა, კულტურა ყვაოდა და სასოწარკვეთილება ეუფლება, როცა ხედავს დაბეჩავებულ, შეურაცხყოფილ, დამოუკიდებლობადაკარგულ ქვეყანას, ამიტომაც აღმოხდება: „ვაჰ, თუ რაც ნახდეს, ვეღარა აღსდგეს, / ვეღარ აყვავდეს ახლის შვენებით / და რაც დაეცა, ის წარიტაცა / შავმან ყორანმან, ვით უმწე მსხვერპლი".

გალაკტიონმა შესანიშნავად იცის ყოველივე ეს. თუმცა მის ლექსში

მკრთალი მინიშნებაა წარსულზე. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლექსი 1930 წ. დაწერილი, საყოველთაო ურწმუნოების ხანაში. ამ ურწმუნოებას ნერგავდა საბჭოთა, კომუნისტური იდეოლოგია, რომელიც ცდილობდა ადამიანების გულიდან, სულიდან და გონებიდან ღვთის რწმენის განდევნას. ამგვარი პოეზიის შექმნა კი ნუგეში იყო მკითხველისთვის, რომელსაც რწმენა და სიყვარული სჭირდებოდა ცხოვრების გასაძლებად და ზნეობის განსამტკიცებლად.

კითხულობ სტრიქონებს და არ ჩანს, ლექსის ლირიკული გმირი ვის მიმართავს, მაგრამ ისეთი თბილი და მშობლიურია ეს მიმართვა: „წამყე" – მკითხველი გრძნობს, რომ სწორედ მას მიმართავს პოეტი. ამიტომაც პოეტთან ერთად წარმოსახვით მიუყვა ბეთანიისკენ მიმავალ მშვენიერ ბილიკს.

ბეთანიისკენ წაყოლა ამხელს ქალაქიდან გასვლის წყურვილს. ქალაქი ხომ, სიმბოლურად, ადგილია, სადაც ადამიანი მატერიალურ სამყაროსაა მიჯაჭვული, ბუნებას მოწყვეტილი, ამიტომაც – თავგზააბნეული. იგი ისეა ჩაფლული ყოფით ორომტრიალში, რომ ზეცისკენ გახედვაც კი ავიწყდება.

„წამყე ბეთანიისაკენ,
იქ, სადღაცა, ახლომახლო,
იყო ორბელიანების
და ირაკლის სამოსახლო."

დრო მიედინება, ყველაფერი იცვლება, ხსოვნა იკარგება, მაგრამ წარსული საბოლოოდ მაინც არ ქრება, ის საგნებსა და მოვლენებს შეეფარება. ბეთანიაც წარსულის მოწმეა, მისი შეხედვა წარსულს აცოცხლებს, დროს თითქოს უკან აბრუნებს იმისთვის, რომ ადამიანი საკუთარ ცხოვრებაზე, დანიშნულებაზე დააფიქროს. ასე ხვდება პოეტი შორეულ წარსულს. ორბელიანები, ერეკლე – ლირიკულ გმირს საქართველოს იმ დროს ახსენებენ, როცა ქვეყანა იყო დამოუკიდებელი, თავისუფალი. თანვე ისიც უნდა გავიხსენოთ, მეფე ერეკლე ერთ-ერთი ტრაგიკული პიროვნებაა საქართველოს ისტორიაში. სწორედ მის დროს მოხდა რუსეთთან საბედისწერო დაახლოება. მისი ტრაგიკულობა შესანიშნავად წარმოჩნდა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში „ბედი ქართლისა". ისტორიის მსვლელობა ისე წარიმართა, რომ 1783 წელს დადებულ გეორგიევსკის ტრაქტატს, ორ თანაბარუფლებიან სახელმწიფოს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, ძალიან მალე, 1801 წელს საქართველოს სახელმწიფოს გაუქმება და საქართველოს რუსეთის გუბერნიად გამოცხადება მოჰყვა. ერეკლე ამ დროს აღარ იყო ცოცხალი, მაგრამ ბევრი ფიქრობდა, რომ ეს იყო მისი გადაწყვეტილების საბედისწერო ნაყოფი.

ასე რომ, ორბელიანთა და ერეკლეს ხსენება ლირიკული გმირის სულში ტკბილ-მწარე მოგონებებს აცოცხლებს და მკითხველის გონებაშიც უამრავი ფიქრი წამოიშლება.

„გზაზე, სადაც ცაცხვებია და მუხნარი უმეტესი,
არსად ქვეყნად არ მინახავს
ადგილები უკეთესი!
ადგილები, ასე მშვენი ვარდისაგან, იისაგან...

სანადირო ადგილები...
წამყე ბეთანიისაკენ!"

პოეტი რატომ ხატავს ასე ლამაზად ამ გზას? იმიტომ, რომ ეს გზა ტაძრისკენ მიდის. გვახსენდება თენგიზ აბულაძის ცნობილი ფილმი „მონანიება", რომლის ბოლო ეპიზოდში მოხუცი ქალი ეკითხება ერთ გმირს: ეს გზა ტაძრამდე მიმიყვანს? და როცა უარყოფით პასუხს მიიღებს, დანანებით იტყვის: რა საჭიროა გზა, რომელიც ტაძრამდე არ მიმიყვანს.

საბჭოთა ეპოქაში, როგორც აღვნიშნეთ, დახშული იყო ტაძრისკენ მიმავალი გზები, ამიტომაც სულიერად ძალიან უჭირდა ადამიანს. ლირიკული გმირი კი ხატავს ლამაზ და სურნელოვან გზას – სურნელოვანს იმიტომ, რომ გზაზე გხვდება ცაცხვები, ვარდები და იები – თითქოს ფერწერული ნახატია, თვალნათლივ ვხედავთ ყოველივეს და ვტკბებით ულამაზესი პეიზაჟით. სურნელოვანს იმიტომაც, რომ, სიმბოლურად, თვითონ რწმენაა მაცოცხლებელი და სურნელოვანი.

ლექსში ლირიკული გმირი მიმართავს მკითხველს: „გადმოვხედოთ მაღლით თბილისს". ეს არა მხოლოდ ფიზიკური განცდაა მაღლიდან გადმოხედვისა, არამედ – სულიერიც. ტაძარი შინაგანად აღამაღლებს ადამიანს, მინიერ საზრუნავებზე მაღლა აყენებს. ამ სიმაღლეზე ვერ მისწვდება ქალაქის ხმაური, ვერ დაირღვევა საოცარი სიმშვიდე.

სწორედ ამიტომაც აღმოხდება ლირიკულ გმირს აღტაცება, რომ არსად ამაზე უკეთესი ადგილები არ უნახავს.

ლირიკული გმირის სურვილი – „მე აქ უნდა დავესახლო" – ამხელს სულიერი ამაღლების წყურვილს, ცხოვრების ამაოებისაგან განშორების გადაწყვეტილებას.

ამ სტრიქონებმა შეიძლება გაგვახსენოს გალაკტიონის სხვა ლექსები, მათ შორის, ეს:

„ამაოა მთლად ცხოვრება, დრტვინვის წუთისოფელია.
წადი... წადი მონასტერში, მონასტერში ოფელია!
ტკბილი ნანა სულს უთხარი, უბედობა ხატს აჩვენე,
დამაშვრალი სული, გული მონასტერში მოასვენე!
მაშ შორს მტვერი, შორს, შორს მიწა! – ის ცის უარმყოფელია...
წადი... წადი მონასტერში! მონასტერში, ოფელია!."

(„ჰამლეტის ქნარით")

არ შეიძლება გალაკტიონის ეს ლექსი წაიკითხო და ბეთანიის ნახვის სურვილი არ გაგიჩნდეს. თუ ოდესმე გინახავს, საოცარ მონატრებას იგრძნობ, თუ არასოდეს გინახავს, არ შეგივლია თვალი, ერთი სული გექნება მისი მონახულებისა, რათა პოეტივით საოცარი სიმშვიდე და ამაღლებულობა იგრძნო.

მაია ჯალიაშვილი

მონატრების სილამაზე

(გალაკტიონ ტაბიძის „შინდისის ჭადრებს")

ლამაზი სახელია შინდისი. საქართველოში ორი სოფელია ამ სახელით ცნობილი. დაზუსტებით არ შეგვიძლია თქმა, რომელი შინდისი იგულისხმა პოეტმა, მთავარია ის განცდა, რომელიც ლექსშია დახატული მშვენიერი მხატვრული სახეებით, მთავარია ის მონატრება, ნოსტალგია, რომელიც ლექსის სტრიქონებში ირეკლება.

ნოსტალგიის თემაზე უამრავი ნაწარმოებია დაწერილი. ამ ლექსშიც ლირიკული გმირი გადმოგვცემს თავის მონატრებას. უცხოეთში წასულს ენატრება მშობლიური გარემო, ადგილები, რომლებმაც სიხარული და ბედნიერება შეაგრძნობინეს. მის მოგონებებში ცოცხლდება ჭადრის ხეები, ოღონდ, ორი, წყვილად დარგული ჭადრის ხე. პოეტი მათ მიმართავს, როგორც მეგობრებს, სულიერებს:

„ორო ჭადარო, წყვილო ჭადარო,
შემოხვეულნო შუქთა ბადრებით".

ლირიკული გმირი ჭადრებს წარმოიდგენს, როგორც გასხივოსნებულებს. პოეტი ქმნის ახალ სიტყვას, ნეოლოგიზმს: „ბადრებით". არსებობს სიტყვა „ბადრი", რომელსაც მთვარეზე იტყვიან და ეს ნიშნავს – სავსე მთვარეს. აქედანაა სიტყვა: გაბადრული: როცა ვინმე გაღიმებულია, ღიმილი სინათლესავით ეფინება ადამიანს სახეზე, დარდი კი სახეს ქუფრავს. კაცის სახელი ბადრიც ამავე შინაარსისაა – პირნათელი. აქ პოეტი ახსენებს: „შუქთა ბადრებს", ესე იგი, ეს შუქი – კაშკაშაა, სავსეა. ეს პოეტის მოგონების შუქია. დავიწყება ხომ ყველაფერს შლის და აბნელებს. დავიწყება წყვდიადია, მოგონება კი – სინათლე: გონება გამინათდა – ხომ არსებობს ასეთი ხატოვანი თქმა, ესე იგი, რაღაც მომაგონდა. ასეთი სინათლე იჭრება სულში, როცა დიდი ხნის მიტოვებული, დავიწყებული მოგაგონდება. გალაკტიონის პოეზიაში ბევრი პოეტური ნეოლოგიზმია. მაგალითად, სიტყვა „გვეუარესა" ლექსში: „გაგონდება თუ არა": რადგან ამ ლექსშიც გარდასულის მოგონებაა.

„მივდიოდით მხარდამხარ და დრო გვეუარესა,
ან არ ვიცი სადა ხარ და რომელსა მხარესა."

აქ ყურადღებას იქცევს: „მივდიოდით მხარდამხარ და დრო გვეუარესა"

გალაკტიონმა ერთ სიტყვაში მოაქცია განცდა იმისა, თუ როგორი უარესი გახდა დრო. გვეუარესა – ნიშნავს ჩვენთვის გადაიქცა ეს დრო სასტიკად. იგი აღარ ჰგავდა იმ ძველ, ტკბილ, ლაღ, ბედნიერებით სავსე დროს. ამგვარი სიტყვათქმნადობა დამახასიათებელია გალაკტიონისთვის. მაგალითად, „და ოცნება მოგონებას იით მოაიავებს" („დაფნა"). აქაც საუბარია იმაზე, რომ ოცნება მოგონებას ალამაზებს: იასავით ლამაზსა და სურნელოვანს ხდის. მაგრამ ეს გამოხატა ერთი ულამაზესი ახალი სიტყვით: „მოაიავებს".

ან კიდევ: „გაჰქრა, დროს ისე ღიმილით არ ეალუბლება“. აქაც პოეტს სურს თქვას, რომ ღიმილით აღარ შესცქერის სამყაროს, აღარაფერი ახარებს. ალუბალი კი სიმბოლოა მზიანი დღისა, სიხარულისა, ამიტომაც წერს: „ისე ღიმილით არ ეალუბლება“. უამრავი მსგავსი მაგალითი შეიძლება დავძებნოთ. ამ თვალსაზრისით, გალაკტიონის პოეზიაზე გამოკვლევებიც არის შექმნილი. საინტერესოა, დავაკვირდეთ, როგორ ქმნის ახალ სიტყვებს გალაკტიონი და რა მიზნით იყენებს მათ. ხშირად მუსიკალურობის გასამძაფრებლად იგონებს სიტყვებს, რომელთაც შინაარსი არ გააჩნიათ, მაგალითად: ლურჯა რაში

„მიქრის დალალგადაყრილი,
დოვინ-დოვენ-დოვლი,
თოვლი, ფიფქი და აპრილი,
ვარდისფერი თოვლი“ („მოვა, მაგრამ როდის?“).

განსახილველ ლექსში კი ვკითხულობთ:

„ო, მე არ ვიცი, რას შეგადაროთ,
ან უცხოეთში რად მენატრებით? “
უცხოეთი უფრო ამძაფრებს სამშობლოს სიყვარულს.

ნოსტალგიის თემაზე უამრავი ნაწარმოებია შექმნილი. შეიძლება გავიხსენოთ ნიკო ლორთქიფანიძის „გული“ ან კიდევ მისივე „შელოცვა რადიოთი“. ნოსტალგიის თემაზეა გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ და კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“.

პოეტი ლექსში მეტაფორებით წარმოაჩენს სამშობლოს სილამაზეს:

„კვლავ გახვევიათ ოქროს ზეწარი
და შემოდგომის მკრთალი ბლონდები?“

შემოდგომაზე ბუნებაში ნაირფერებია, მაგრამ ჭარბობს ყვითელი ფერი. პოეტი ფერს არ ასახელებს, მაგრამ მიგვანიშნებს მასზე „ოქროს ზეწრის ხსენებით“, რომელიც შემოხვევია ხეებს. ეს ჩვეულებრივი ყვითელი კი არ არის, არამედ რაღაც გამორჩეული, ძვირფასი, ბრწყინვალე. საოცარი ფერწერული ხატი იქმნება. თითქოს თვალნათლივ ვხედავთ ჭადრებს, ქარვისფერი ფოთლებით. „შემოდგომის მკრთალი ბლონდები“ – ეს მეტაფორა უფრო გამოკვეთს ამ ნახატს. ყველაფერი თითქოს შარავანდედითაა მოცული, რადგან ყოველივეს პოეტის სიყვარულით სავსე მზერა Mამშვენიერებს. „ბლონდი“ შედარებით უცხო სიტყვაა, ხშირად არ გამოიყენება ჩვეულებრივ მეტყველებაში. ლამაზი სიტყვაა. გალაკტიონს უყვარდა ასეთი ლამაზი სიტყვების მოხმობა პოეზიაში. ბლონდი – აბრეშუმის თხელი ქსოვილია, ლეჩაქისა და თავსაფრისთვის იყენებდნენ. ლექსში ხეებს აქვთ შემოხვეული შემოდგომის მკრთალი ბლონდები.

ლირიკული გმირი იგონებს სამშობლოს ამ სილამაზეს და გული სწყდება, თითქოს ადანაშაულებს თავს, რომ მშობლიური კუთხე მიატოვა, უღალატა ნაცნობ ადგილებს, მეგობარ ხეებს, ამიტომაც საკუთარ თავს მოიხსენიებს, როგორც „უთვისტომოსა და გარეწარს“:

„მე, უთვისტომო და გარეწარი,
თქვენ გაგიხსენებთ და დავღონდები“.

უთვისტომო უნათესაოს, უმეგობროს ნიშნავს. სწორედ ასე გრძნობს თავს უცხოეთში პოეტი, სადაც არ ხვდებიან ნაცნობები და ახლობლები, არ ესმის მშობლიური ენა. რატომ უწოდებს საკუთარ თავს გარეწარს? ალბათ, იმიტომ, რომ ვერ ამართლებს სამშობლოდან წასვლას. ეს დანაშაულად მიაჩნია, ცოდვასავით ჰკიდია კისერზე და აწუხებს, სინდისი ქენჯნის და არ ასვენებს. გვხასიათდება პაოლო იაშვილის ლექსი „წერილი დედას“. იქ ლირიკული გმირი მშობლიური სოფლიდან ქალაქშია გაქცეული და საკუთარ თავს ადანაშაულებს ღალატში. სოფელში უამრავი საქმეა გასაკეთებელი, თვითონ კი ქალაქში უმიზნოდ და უსაქმურად დაეხეტება. ამ ლექსში არის ასეთი სტრიქონები:

„როცა მე ქურდები მეგობრად მრაცხავენ,
სოფელში ვენახი გახდა მოსარწყავი“, ან კიდევ:
„და დავიკუნტები ქალაქის ქუჩებში მე – სალახანა“.

ლირიკული გმირი თავს სალახანას უწოდებს, ესე იგი, ზნედაცემულ, გადაგვარებულ კაცად მიიჩნევს თავს. დავიკუნტები –ამ სიტყვით წარმოაჩენს, როგორ ცხოვრობს ქალაქში – არა ლაღად და მხარგაშლილად, არამედ მოკუნტული, რადგან თავი არა აქვს გამოსაჩენი, უკეთურ ხალხთან აქვს კავშირი, არ ცხოვრობს წესიერად და სირცხვილისგან თავიც ვერ აუწევია.

ლექსში ვკითხულობთ:

„თქვენთან რბიოდნენ ნათელნი დღენი,
ლოცვა ბავშვური, ფერი გედური“.

ლირიკული გმირი იხსენებს ბავშვობის უმანკო, ნათელ დღეებს და მეტაფორებით წარმოაჩენს. აქ ყურადღებას იქცევს სიტყვა „გედური“, ბავშვობა იყო შეფერილი გედის ფერით. გედი გალაკტიონის პოეზიაში მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლოა:

„სიცოცხლეში თეთრი გედი მხოლოდ ერთხელ მღერის“, ან კიდევ:
„და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,
ოღონდ ვთქვა თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა“.

გედი ხან პოეტის სულის გამოხატულებაა, ხან პოეზიისა და ხელოვნებისა. ამ შემთხვევაში, ის სიწმინდეს გამოხატავს.

„ახლა რად მესმის შრიალი თქვენი,
როგორც ტირილი და საყვედური?“

ლირიკულ გმირს თითქოს ჩაესმის სამშობლოდან წამოსული საყვედურის ხმები: ნაცნობი ჭადრები მას მისტირიან, მის ჩავლილ წლებს, მის ბავშვობას. ბავშვი ხომ ახლოა ბუნებასთან, მისთვის მთელი სამყარო თითქოს გახსნილია, ბავშვს ესმის ბუნების ენა.

ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს გალაკტიონის ულამაზეს ლექსში „ჭარხალი“:

„ეზოში ყეფდა ბამბურა მურა,
ეზოში მწვანე ჰყვაოდა ბაო.
ვაზის ბარდებში სცურავდა სურა,
შენ ბანცალებდი, ბურულო ცაო.
ბობრი ბელავდა კახამბალს, ჟოლას,

ბირკვილს ბატები ქარმა მორეკა,
ცა წამოიწყებს მსხვილ წვიმის სროლას
და აბლაბუდას კრებს ბობორიკა.
ჟვერი, ჟალტამი! მოჭრილი სამხარს
ნახირი მოდის საღამო დროის,
უცებ მოჰყვება ჭარხალი ხარხარს
და ქალი კივის იმ „დოი-დოი"-ს."

ჭადარი ხშირად იხატება გალაკტიონის პოეზიაში, როგორც სიმბოლო გარდასულისა, წარსულისა, მშობლიურისა და სიმშვიდისა.

„ეს წინათ იყო, მდინარეს თითქოს
ვერცხლის ეფინა მძინარე ჩადრი
და კიდეებზე მდუმარედ იდგა
შეუცნობელი შრიალი ჭადრის.
შრიალი ვერხვის, შრიალი ყანის,
უდარებელი სამშობლო მხარე!
რა უწყალოა რონინი ხანის
აუსრულებელ იმედთა გარე!" („ეს წინათ იყო")

მოგონებებიც ხშირად გაიელვებენ მის პოეზიაში და მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ:

„წინ მიდგას ღვინო, ლალისფერი და ძველი ღვინო...
ვსვამ განუწყვეტლად, ვსვამ, რომ დავთვრე მოგონებებით,
რომ მეც საზარლად ვიქვითინო და ვიქვითინო.
ოჰ, რად მომექცა ასე უღვთოდ მე ჩემი ბედი,
რად დამიმსხვრია სიყმაწვილის წრფელი სიამე...
სადაა ჩემი ყვავილები, სადაა რწმენა?
ზეცავ სასტიკო, მიპასუხე, მითხარი რამე!" („ელეგია").

ასე ლამაზად გამოხატა გალაკტიონმა მონატრების ტკბილ-მწარე განცდა ლექსში „ორო ჭადარო". დიდი ძალა აქვს გალაკტიონის სიტყვას, ჯადოსნურ გავლენას ახდენს მკითხველზე, სულის თვალს უხელს და სულ სხვანაირად დაანახვებს სამყაროს.

„მახსოვს ტოტი ქარისა“

(გალაკტიონ ტაბიძის „ეს მშობლიური ქარია“)

ქართული ენა რომ დიდ საიდუმლოს ინახავს, ეს ყველაზე უკეთესად გალაკტიონის პოეზიის კითხვისას წარმოჩნდება.

მისი ლექსები მკითხველს თითქოს თვალს უხელს საგნებისა და მოვლენების განსხვავებული კუთხით დასანახავად, აქამდე დაუნახავის შესამჩნევად, სმენას უმახვილებს, რომ გაიგოს ათასი ხმა, რომლებითაც ავსებულია სამყარო, ყური დაუგდოს კოსმიურ მუსიკას.

გალაკტიონის პოეზია შინაგანად ზრდის და ათავისუფლებს ადამიანს.

ეს თავისუფლება საჭიროა იმისთვის, რომ მან ლაღად და თავისუფლად შეხედოს ირგვლივ ყოველივეს, ხილულ საგანთა და მოვლენათა მიღმა დაინახოს უხილავი და ამ მზერით უფრო მშვენიერი გახადოს სიცოცხლე.

სამყაროს ამგვარი უცნაური ხატოვანი აღქმისგან მოგვრილი შეგრძნებები საოცარ სიხარულს ჰგვრის ადამიანს.

მკითხველს თვალსაწიერი უფართოვდება, თითქოს სამყაროს ჩაკეტილი კარი იხსნება და მკითხველი მისწვდება დაფარულ საუნჯეს.

უპირველესი საუნჯე კი ქართული ენაა, სიტყვები, რომლებიც ხშირად ფარავენ საიდუმლოს და გალაკტიონი ჯადოქარივით ათავისუფლებს სიტყვებში დაფარულ შინაარსს და მხატვრულ სახეებად გარდაქმნის.

ამ ლექსში, „ეს მშობლიური ქარია“ , თითქოს ქარია მთავარი გმირი.

ქარი ხშირად დაქრის გალაკტიონის პოეზიაში. მის ყოველ ლექსში ქარს განსხვავებული ფერი და შინაარსი აქვს. იგი ხან სასტიკია, ხან კეთილი, ხან სიყვარულის მოციქული, ხან – სიძულვილისა.

მაგალითად, მისი ლექსის „ქარი ქრის“ კითხვისას თითქოს შევიგრძნობთ ქარის ქროლას:

„ქარი ქრის, ქარი ქრის, ფოთლები მიქრიან ქარდაქარ,

ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის, სადა ხარ? სადა ხარ? სადა ხარ?“

მკითხველი ხედავს ფოთლების კორიანტელს და თვითონაც აედევნება მათ თავბრუდამხვევ ქროლას.

„ეფემერაში“ქარი ფერადია: „ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები,

ქროდნენ ეფემერული და ფერადი ქარებით.“

„ატმის ყვავილებში“ ქარი სასტიკია: „რტოებში ავობს ბებერი ქარი“.

ეს სრულიად განსხვავებული პოეტური მზერაა. ქარს ხომ ვერავინ ხედავს. „ისევ ეფემერაში“ გალაკტიონი ამას ამგვარად გამოხატავს: „ქარი არა ჩანს, ქარი არა ჩანს, მაინც მწვერვალებს ედება ქარი“).

მაგრამ თუ მზერა დაგეწმინდება, ქარის ფერადოვნებასაც შენიშნავ.

ამ ლექსში ამაღლებულ განწყობილებას ქმნის პოეტი. სტრიქონები თითქოს საოცარი ენერგიით არის დამუხტული. ლექსი სამ ნაწილიანია და

ყოველ ნაწილს თავისი რიტმი აქვს. პირველ ნაწილში შვიდმარცვლიანი სტრიქონებია, მეორეში – რვა მარცვლიანი, მესამეში კი – ექვსი. ეს კი ლექსის საოცარ მუსიკალურობას ქმნის.

ყოველ ნაწილს თავისი განწყობილება მოაქვს. ლექსის შინაარსობრივი და ემოციური მრავალფეროვნებით პოეტი მკითხველს შეაგრძნობინებს სამშობლოს სიყვარულს.

გალაკტიონის პოეზია სავსეა საიდუმლო წვეთებით, ასეა ამ ლექსშიც. ქარი ამ ლექსში მშობლიურია.

გალაკტიონს სამშობლოში ყველაფერი უყვარს, ყოველივე სხვანაირად ემშობლიურება, ამიტომაც არის, რომ ეს სხვანაირი ქარია, უჩვეულო სურნელი მოაქვს შორეული მინდვრებიდან.

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე, რაა მამული",– წერს პოეტი ლექსში „მამული". ის არასოდეს გამოთქვამდა სათქმელს პირდაპირ, არამედ ხატოვნად და ფერადოვნად. თანაც,

ლექსის დასაწყისში შავ ნისლს ხატავს პოეტი და ერთგვარ მოქუფრულ განწყობილებას გვიჩენს: „შავმა ნისლმა დანისლა მთები დაღესტანისა,

აიმართნენ კოშკები ცისა და ნესტანისა".

„ნისლმა დანისლა"– „ის" ალიტერაციული წყვილი მელოდიურობას ამძაფრებს.

პოეტისთვის ფრანგი პოეტის, ვერლენის, მოწოდება „მუსიკა, უპირველეს ყოვლისა" იყო მთავარი ლექსის შექმნისას.

ამიტომაცაა, რომ მუსიკალურობის გასამძაფრებლად ამ ლექსშიც სხვადასხვა ხერხს იყენებს: რიტმი, რითმა. ალიტერაციები და კიდევ: მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებული წყობა: „მთები დაღესტანისა". თან, სიტყვას არ კუმშავს, რადგან სიტყვაში მეტი ხმოვანი უფრო მეტ მელოდიურობას შექმნის.

„ამართული კოშკები" კი ღრუბლებია, რომლებიც ათასნაირ ფორმას იღებენ, მაყურებლის წარმოსახვის შესაბამისად. მთები დაფარულია შავი ღრუბლებით. რატომ გაჩნდა ნესტანის სახება? „ვეფხისტყაოსნის" გმირი ქაჯებმა დაამწყვდიეს მაღალ ციხეში. ეს ციხე სიბნელის, ბოროტების სიმბოლოა. ამ შემთხვევაში, პოეტი მკითხველს მიანიშნებს განსაცდელზე, რომელიც მის სამშობლოს ემუქრება. ლექსი 1920 წელს არის დაწერილი. პოეტი თითქოს წინასწარ გრძნობს, რომ მალე ქვეყანა თავისუფლებას დაკარგავს (1921 წელს) და ეს მძიმე, საბჭოური ტყვეობა, დიდხანს (1991 წლამდე) გაგრძელდება.

შავი ღრუბელი ავდრის მომასწავებელია. იქმნება საოცარი ფერწერული სურათი, მკითხველი ცაზე ხედავს უსინათლო, ბნელ ფერებს.

ლირიკული გმირი მიმართავს ვიღაცას, ახლობელს. ეს ახლობელი შეიძლება მკითხველიც იყოს: „გახსოვს? ტოტი მთვარისა აქანებდა მთვარესა".

ქარის ტოტი უჩვეულო მეტაფორაა. ქარი უხილავია, ჩვენ მას მხოლოდ ტოტების ქანაობისას შევიგრძნობთ და, ალბათ, ამ სახემ წარმოქმნა ეს ხილვასავით მხატვრული სახე: „ტოტი ქარისა". თვალწინ წარმოგვიდგება შავი ღრუბლებით სავსე ცა, მთვარე ხან გამოჩნდება და ხან ღრუბლის მიღმა უჩინარდება– ეს იწვევს ქანაობის განცდას.

ამ ქარში მთელი საყარო ირყევა.
„მგლოვიარე ბინდებით
იბურება ყვარელი“.

თითქოს რაღაც შორეულის მონატრებაა, განვლილი ბავშვობისა, ძველი საქართველოსი. ეს ქმნის სევდიან განწყობილებას. ყვარელს მოაქვს ილია ჭავჭავაძის გახსენება, რადგან იგი ყვარელში დაიბადა და გაიზარდა.

გალაკტიონისთვის ილია მთელი საქართველოს სულის გამოხატულებაა. „მგლოვიარე ბინდები“ მკითხველს ილიას მკვლელობას ახსენებენ, რომელიც გალაკტიონმა ლექსით ამგვარად შეაფასა:

„წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“.

ლექსში მშობლიური სანახები საოცარი სითბოთი და სიყვარულით იხატება: „ვაზით და სიმინდებით მიდის გზა საყვარელი“.

„ჩანს შორეულ ჩრდილების კიდეებზე მონთება
და ომგადახდილების ოხვრა მომაგონდება“.

ლექსის ლირიკული გმირის წარმოსახვაში ცოცხლდება გარდასული დრო, რომელმაც ცხოვრებისეული გამოცდილება შესძინა, წუთისოფლის სიტკბოსა და სიმწარეს აზიარა. ცხოვრება ბრძოლაა და არასოდეს არ უნდა დაიხიო უკან, სიკეთისა და სიყვარულისთვის ბოლომდე უნდა უერთგულო იმ იდეალებს, რომლებიც ადამიანს თავისუფლების მოპოვებაში ეხმარება.

ლექსში მეორდება სტრიქონი: „შავმა ნისლმა დანისლა მთები დაღესტანისა“. ეს გამეორება მკითხველს არა მხოლოდ იქითკენ უბიძგებს, რომ სტრიქონში გამოხატულ აზრს ჩაუკვირდეს, არამედ მუსიკალურადაც კრავს მთლიან სურათს.

„ეცემიან კოშკები ცისა და ნესტანისა“ –ამგვარი მეტაფორით წარმოჩნდება, როგორ ფანტავს შობლიური ქარი ღრუბლებს, როგორ გადაიწმინდება ზეცა. თითქოს მკითხველის სულში, გულსა და გონებაშიც შემოიჭრება ნათელი.

ლექსის მეორე ნაწილში სიმშვიდის განცდაა დახატული. ლირიკული გმირის გულში იბადება უცნაური სიხარული.

„გზა სიარულმა დალია“, – წერს პოეტი და მკითხველი თითქოს ხედავს გზაზე მიმავალ ლირიკულ გმირს, რომელიც ხედავს უძველეს ციხე-კოშკებსა და ტაძრებს, წარსულის მოწმეებს.

ლექსში იხატება ულამაზესი წინანდალი – ქართველი პოეტის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, მამული. აქ ცხოვრობდნენ სულით მშვენიერი ადამიანები.

„იქ ტყეა მთვარით ქსოვილი“ – ამ მეტაფორით მკითხველი ხედავს და შეიგრძნობს მთვარის მკრთალი შუქით განათებული სილამაზეს ტყისას, რომელიც ზღაპრული ელფერითაა აღბეჭდილი.

ლექსში შემოიჭრება უცხო სახელი: „ლოენგრინი“ – „ვით ლოენგრინის სიზმარი“.

ვინ იყო ლოენგრინი? ის გრაალის რაინდი, გრაალის უწმინდესი თასის მცველი იყო. გრაალი კი წმინდა ჭურჭელია, რომელიც ინახავდა ქრისტეს ჯვარცმისას დაღვრილ სისხლს. ლოენგრინი, გრაალის სამეფოს მეფის, პარსიფალის, ვაჟი. ჩაგრულთა შემწე, სამართლიანობის დამცველი იყო.

მისი სახე ხელოვნების არაერთ ნაწარმოებში წარმოჩნდა. მაგალითად, გერმანელმა კომპოზიტორმა რიჰარდ ვაგნერმა დაწერა ოპერა „ლოენგრინი“, რომელმაც დიდი წარმატება მოუპოვა.

ლექსის მიხედვით, ყველაფერი ირგვლივ იმგვარადაა საიდუმლოთი მოცული, როგორც ლოენგრინის სიზმარში. ყველაფერი ლაჟვარდისა და ვერცხლის ფერებშია და ჯადოსნურად შთამბეჭდავია.

ლექსის მესამე ნაწილში პოეტი გვიხატავს, სინათლით როგორ ივსება ირგვლივ ყოველივე. ამ ქვეყანაზე არაფერი არ იკარგება, უპირველესად კი, წარსული, რომელიც პოეზიაში საოცარი ხატოვანებით ცოცხლდება.

ასე ლამაზად გაიხსენა პოეტმა წარსული.

„უცებ ქაოსიდან მთვარემ ამოზიდა ლურჯი მოგონება“. ეს მეტაფორა მკითხველს შეაგრძნობინებს, როგორ შეუძლია პოეტს გამქრალი დროის აღდგენა, წარსულის ქაოსიდან გამოხმობა მშვენიერი, ჰარმონიული სურათებისა, რომლებიც მკითხველსაც უბიძგებენ, შეამჩნიოს მარადიული და წარუვალი ხანმოკლე და წარმავალ წუთისოფელში.

მაია ჯალიაშვილი

„სიმშვიდეა შორი“

(გალაკტიონ ტაბიძის „ატმის რტოო“)

არავინ იცის, როგორ იქმნება პოეზია. შეიძლება ლამაზ სიტყვებს თავი მოუყარო, მოძებნო კარგი რითმები, შექმნა მიმზიდველი რიტმი, მაგრამ მაინც არ გამოგივიდეს ისეთი მშვენიერი ლექსი, როგორსაც წერდა გალაკტიონ ტაბიძე. იმიტომ, რომ ლექსებს, გარდა სიტყვების შესაფერისად შერჩევისა, სჭირდება კიდევ რაღაც იდუმალი, ნიჭი, რომელიც მადლია, ღვთის საჩუქარია. პოეტს კი ეს ნიჭი იმიტომ აქვს მიმადლებული, რომ არა მხოლოდ თვითონ განიცადოს მშვენიერება და შექმნას პოეზია, არამედ შემდეგ მკითხველსაც განაცდევინოს ის ყოველივე, რასაც ის თავისი განსხვავებული თვალით დაინახავს ამ უთვალავფერიან სამყაროში.

გალაკტიონს საოცარი შეგრძნება ჰქონდა სიტყვისა, ის გრძნობდა სიტყვის არა მხოლოდ შინაარსს, არამედ სიტყვის ფერს, მუსიკას, სურნელს, გემოს, ამიტომაც საოცრად ზემოქმედებს მისი ლექსისი სტრიქონები მკითხველზე, განსხვავებულ ემოციას აღუძრავს, აქამდე შეუმჩნეველს დაანახვებს და ჯერ განუცდელს განაცდევინებს.

„ატმის რტოო“, ერთდროულად, მუსიკალური და ფერწერულია. როგორც გალაკტიონის სხვა ლექსების, ამ ლექსის კითხვისასაც მკითხველს აქვს შეგრძნება სიზმარეულისა, თითქოს ახლახან ულამაზესი სიზმარი ნახე, გინდა სიტყვიერად გამოთქვა, მაგრამ ვეღარ გიპოვია შესაფერისი სიტყვები განცდილ-ნანახის გადმოსაცემად.

გალაკტიონის პოეზიის კითხვისას, უპირველესი, სწორედ ეს შეგრძნებებია, რომლებიც რაღაც უცხოსა და უჩვეულოს გვაზიარებენ.

გალაკტიონი გვასწავლის სილამაზის შემჩნევას იქ, სადაც მას არ მოველით. მისი პოეზიის გაცნობის შემდეგ თითქოს სულიერი თვალი აგეხილება, რაღაც განსხვავებულად შეხედავ სამყაროს და ნაცნობ საგნებსა და მოვლენებს უცნაურად აღიქვამ. მაგალითად, წვიმა აღარ იქნება ჩვეულებრივი წვიმა, არამედ როგორც ცის ცრემლები თუ უცხო მუსიკა, ან რაიმე მეტაფორული სახე შეიძლება გაჩნდეს შენს წარმოსახვაში, მთავარია, რომ ამგვარი დამოკიდებულებით სამყარო უფრო მრავალფეროვნდება და ეს კი ადამიანს სულიერად ამაღლებს, გაალაღებს. ღმერთმა ხომ იმიტომ შექმნა სამყარო, რომ ის ადამიანმა აღიქვას და სიხარული განიცადოს მისი შემეცნებისას. სამყარო კი უამრავ საიდუმლოს ინახავს, ხანდახან ამ საიდუმლოთა ახსნა მხოლოდ პოეზიას შეუძლია.

გალაკტიონის პოეზიაში თითქოს სამყარო ყოველდღიურობის მტვრისა და ლექისაგან განიწმინდება და გამშვენიერებული წარმოგვიდგება.

„ატმის რტოს“ კითხვისას მკითხველი უპირველესად საოცარ მუსიკას შეიგრძნობს, რომელსაც რიტმი ქმნის – 10-მარცვლიანი სტრიქონები. თუმცა ეს მარცვლები შეიძლება სხვადასხვანაირად დაწყვილდნენ და, შესაბამისად,

შეიქმნება განსხვავებული რიტმი. აქ მელოდიურობას ქმნის მარცვალთა ამგვარი განლაგება: 4:4:2. რა თქმა უნდა, მუსიკალურობას ამძაფრებს სიტყვებისა და ფრაზების გამეორება. პოეტი როდესაც იმეორებს სიტყვასა თუ ფრაზას, რა თქმა უნდა, უპირველესად, ყურადღებას გვამახვილებინებს შინაარსზე, მაგრამ, თანვე, მუსიკალურ ეფექტსაც ქმნის.

კიდევ რა ქმნის მუსიკალურობის განცდას? რითმები. გალაკტიონის პოეზია გამოირჩევა მრავალფეროვანი ორიგინალური რითმებით. რითმა შეიძლება იყოს ზუსტი, არაზუსტი, პარალელური, ჯვარედინი, ასონანსური, მაჯამური და სხვ. ამ ლექსში ჯვარედინი რითმებია გამოყენებული (გრაფიკულად ასე შეიძლება გამოვსახოთ: აბაბ): რტოო: საიმდროო; შორი: ტბორი. ამავე დროს, ლექსის მუსიკალურობას ამძაფრებს შიდა რითმები და მთლიანობაში ლექსი აღიქმება, როგორც მშვენიერი მუსიკა. ამ ლექსის სადა და დახვეწილი რითმები საოცრად ზემოქმედებს მკითხველზე. ლექსის კითხვისას, პირველ რიგში, სწორედ ეს მელოდიურობა იტაცებს მკითხველის სულს, გულსა და გონებას და მხოლოდ შემდეგ იწყებს გააზრებას.

რისი გამოთქმა სურს პოეტს ამ ულამაზესი მუსიკითა და მხატვრული სახეებით?

უპირველესად, ყურადღებას იქცევს, როგორ ეფერება ატმის რტოს. თანაც, საგულისხმოა, რომ ირჩევს სიტყვა რტოს და არა ტოტს, რომელიც უფრო გაცვეთილია და ყურმიჩვეული. რტო კი რაღაც შორეულისა და უცხოს განცდას ბადებს. ის ჩვეულებრივ მეტყველებაში ნაკლებად გამოიყენება.

ხანდახან თვითონ სიტყვაა მშვენიერი. რა თქმა უნდა, სიტყვას მშვენიერებას აზრი ანიჭებს, მაგრამ ზოგჯერ თავისთავადაც რაღაც ამოუხსნელი ხიბლი აქვს. სწორედ ამგვარი სიტყვაა რტო.

გალაკტიონის პოეზიაში ატმის ყვავილი და რტო ხშირად გვხვდება სხვადასხვა პოეტურ კონტექსტში („ატმის ყვავილები", „იმ ატმებს გაუმარჯოს"). ამ შემთხვევაში, მკითხველი გრძნობს, რომ ლექსის ლირიკული გმირისთვის ატმის რტოს სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება. იგი შეიძლება გავიაზროთ, როგორც სიმბოლო მშვენიერებისა სიკეთისა, სინათლის სხივისა, რომელსაც ხშირად, სამწუხაროდ, რეალობაში, ყოფითობაში ხშირად ემუქრება საფრთხე სიბნელისაგან, ბოროტებისაგან, სიძულვილისაგან. ცხოვრება ხომ ამ ყოველივეთი სავსეა.

ყურადღებას იქცევს სიტყვა „დაღალულო". პოეტს მის ნაცვლად შეიძლებოდა გამოეყენებინა სიტყვა „დაღლილი", მაგრამ „დაღალული" არჩია. რატომ? ეს დიალექტური ფორმაა, მაგრამ უფრო მუსიკალურია. პოეტს ეს სიტყვა სხვა ლექსშიც გამოუყენებია, მაგალითად: „თოვს, ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი და დაღალული სიზმრით დამთოვა" („თოვლი").

ლექსის მიხედვით, ატმის რტო დაღლილია. თვითონ ის ფაქტი, რომ შეამჩნიო რტოს დაღლილობა, ლირიკული გმირის სულის საოცარ სიფაქიზესა და მგრძნობელობაზე მიუთითებს. მისთვის სამყაროში ყოველივე ცოცხალია, ყოველივეს მოფრთხილება და პატრონობა სჭირდება. ამგვარი განცდა გვახსენებს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას.

რას შეიძლება დაეღალა ატმის რტო?

იგი, ალბათ, უპირველესად, დაღლილია ქარიშხალთან ბრძოლით. ნაზი რტო და სასტიკი ქარიშხალი – ამ კონტრასტიდან იბადება მოულოდნელი საფრთხის განცდა.

„სიმშვიდეა შორი", – ვკითხულობთ ლექსში და ვგრძნობთ ლირიკული გმირის მწუხარებასა და შფოთვას იმის გამო, რომ დიდი ხანია ირგვლივ ბრძოლაა სიყვარულსა და სიძულვილს, სიბნელესა და სინათლეს შორის.

საზოგადოდ, ლექსის სიმბოლური გააზრება ხშირად უბიძგებს მკითხველს ახალ-ახალი ინტერპრეტაციებისაკენ. ამ შემთხვევაში, თუ ფიქრის მდინარებას გავყვებით, შეიძლება, ატმის რტო ადამიანის სულადაც გავიაზროთ, ხორციელ, მატერიალურ სამყაროსთან გამუდმებით რომ უხდება ჭიდილი გადასარჩენად.

„სიმშვიდეა შორი" – ამ სიტყვათა წყვილში ყურადღებას იქცევს „შ" ბგერის გამეორებით შექმნილი ალიტერაცია, რაც, ისევ და ისევ, მუსიკალურობის განცდას ამძაფრებს.

„ქარიშხალი მოდის საიმდროო" – ლირიკული გმირი გრძნობს ბოროტების, სისასტიკის მოახლოებას. ქარიშხალი, ამ შემთხვევაში, რბევის, განადგურების, სიკვდილის მომასწავებელია. მკითხველს აქვს განცდა, რომ მშვენიერებას ავდარი მოსპობით ემუქრება. ეს ქარიშხალი, რა თქმა უნდა, ავბედითი დროის სიმბოლოა, როცა ქვეყნიერებას რევოლუციების ტალღამ გადაუარა. ეს ლექსი 1916 წელს დაიწერა და პოეტი გრძნობდა პოლიტიკური ქარტეხილების მოახლოებას. ჰაერი თითქოს სისხლისა და ნგრევის სუნით იყო გაჟღენთილი. ეს წინათგრძნობა პოეტს სხვა ლექსებშიც აქვს გამოხატული. თვითონ შეესწრო სისხლიან დროს.

სასოწარკვეთილ გმირს თითქოს გმინვით აღმოხდება სიტყვები: „ამ გრიგალში დრო არ არის სხივის". რატომ? როცა გამეფებულია დაუნდობელი კვლა კაცთა, ღალატი, ძარცვა-გლეჯა, მაშინ, რა თქმა უნდა, სულიერებას, სხივს კარგავენ „ღვთისა ხატება და სახება" დაკარგული ადამიანები. სხივი ხომ ის უკვდავი სულია, რომელიც უფალმა შთაბერა ადამიანს და სხვა ყოველივე შექმნილისგან გამოარჩია.

მატერიალურ სამყაროში დატრიალებული ტრაგედია, ომი, სისხლისღვრა ძმათა მკვლელობა – უპირველესად, ადამიანის სულს ღუპავს. ამიტომაც არის ბიბლიის მცნებათაგან ერთ-ერთი უპირველესი: „არა კაც ჰკლა".

ლირიკული გმირი თითქოს ამშვიდებს ატმის რტოს, რომ ამ საყოველთაო ნგრევის ჟამს მარტო არ არის. მასთან ერთადაა პოეტი, რომელიც მის მშვენიერებას სიტყვაში, ლექსში გადაარჩენს.

ნგრევის განცდას ამძაფრებს სტრიქონი: „ქარი კივის, კივის". ამგვარი ფონი უფრო შთამბეჭდავს ხდის ავდრის შეგრძნებას. თითქოს ჩაგვესმის ეს კივილი.

„ნაპრალებში გადამსხვრა ნარგი"– ნარგი ნორჩი ხეა, რომელმაც ვერ გაუძლო ავდარს, დროს, ეპოქას და უფსკრულში ჩაინთქა.

„ეხლა ზღვაა, ეხლა სისხლის დროა"– ამ ფერწერულ სტრიქონში მკითხ-

ველი ხედავს აბობოქრებულ სისხლიან ტალღებს, თითქოს მთელი სამყარო ამ სისხლით გაჟღენთილა. ასეთივე განცდაა გადმოცემული გალაკტიონის ლექსში „მზეო თიბათვისა", რომელშიც ლირიკული გმირი უფალს მშვენიერების, სინათლის, ღვთაებრივის გადარჩენას ევედრება, რადგან: „ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება,/უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები,/ მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება,/მზეო თიბათვისა, ამას გევედრები".

„თუ გადარჩი, ხომ გადარჩი, კარგი"– ეს სტრიქონი ამხელს ლირიკული გმირის დაეჭვებას, რომ შეიძლება ატმის რტო ამ ქარიშხალში დაიღუპოს. ამგვარსავე დაეჭვებას გამოთქვამს პოეტი სხვა ლექსში: „როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,/როგორმე ქარმა თუ მიმატოვა" (თოვლი"). ეს ამხელს თვითონ პოეტის დაეჭვებას – გალაკტიონი ხომ ყოველთვის ამგვარი საფრთხის წინაშე იდგა– გადარჩებოდა თუ არა? რა თქმა უნდა, ის გადაარჩინა პოეზიამ და თვითონ გადაარჩინა პოეზია. ამ ლექსშიც, მართალია, არის სასოწარკვეთილება, მაგრამ მკითხველს რჩება განცდა, რომ ატმის რტო გადარჩება. ასეთია სამყაროს კანონზომიერება, რომელიც რუსთველმა „ვეხისტყაოსანში" ამგვარად გამოთქვა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია". „ატმის რტო" სიკეთეა, რომელიც აუცილებლად გაუძლებს ნებისმიერ ქარიშხალს – ამგვარი რწმენა გადარჩენისა სიცოცხლის მარადიული არსებობის დასტურია.

გვახსენდება გიორგი ლეონიძის მოთხრობა „მარიტა", რომელშიც ვკითხულობთ: „საიდან მოდის სილამაზე, ან სად მიდის, თუ დროებით მიეფარება?" მოთხრობაში უმშვენიერესი მარიტა იღუპება, მაგრამ მის ნასახლარზე ბროწეულის ულამაზესი ხე ამოვა, რაც იმას მიანიშნებს, რომ მშვენიერება არ იკარგება, უბრალოდ, ფორმას იცვლის და სხვადასხვანაირად გვევლინება.

გალაკტიონის ამ ლექსში მშვენიერება ატმის რტოს სახით გვეცხადება და ეს მშვენიერება ჩვენ, მკითხველებს, გვეხმარება, რომ გავუძლოთ ცხოვრებისეულ ხიფათებს.

მაია ჯალიაშვილი

უმანკოების დაღუპვა

(გალაკტიონ ტაბიძე „ბავშვები კაფეში“)

გალაკტიონი ბევრ ლექსში წერს ბავშვებზე, წარმოაჩენს მათ ნათელ, ანგელოზურ სახეებს. ყველაზე გასაოცარი კი მაინც ერთი ბავშვია: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი,/ ოცნებობდა ოქროს ნავში, / მიცქეროდა და თან თრთოდა,/ ვით ფოთოლი თრთის ნიავში“ („მთვარის ნაამბობიდან“), – ეს სტრიქონები არასოდეს დაგავიწყდება, ოქროს ნავი სიმბოლურად ოქროს ხანაა – სწორედ იმ ხანას, თამარის ხანას, როდესაც საქართველო ყვაოდა, შეიძლება წარმოეშვა რუსთაველი.

„ბავშვები კაფეში“ – ამ ლექსში კი არც ოქროს ნავია და არც ოცნებები, პირიქით, აქ ცხოვრება ჯოჯოხეთივითაა წარმოდგენილი, ცხოვრება, რომელიც ამსხვრევს ოცნებებს.

ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებები, განცდები, თავგადასავლები აყალიბებენ ადამიანს პიროვნებად, ეს შთაბეჭდილებები განსაზღვრავენ მის ცხოვრებასა და შემოქმედებას, ეს ყოველივე მის ნებისმიერ ნაბიჯს ჩრდილივით დაჰყვება.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ბავშვები კაფეში“ ბავშვების ბედზე ტკივილიანი დაფიქრებაა.

ლექსი 1917 წელს არის დაწერილი, ქარიშხლიანი პოლიტიკური ცხოვრების, რევოლუციების ხანაში. ეს არის დრო, როდესაც უხვად არის „სისხლი და ცხედრები“, მძაფრი ქარტეხილები კი, უპირველესად, ბავშვებს ემუქრებიან, რომლებიც ვერაფერს უპირისპირებენ რკინის დროებას, სიყვარულისა და სინაზის გარდა.

ლექსის დასაწყისი სტრიქონები ბავშვობის უბედნიერეს, სამოთხის ხანას გვიხატავენ: ისინი ოქროს წიწილებს ჰგვანან. წიწილასთან შედარებით პოეტმა გამოკვეთა ბავშვების სინორჩე, უსუსურობა, ხოლო, რადგან ისინი ოქროს წიწილებს ჰგვანან, ესე იგი, ძვირფასნი არიან. მართლაც, ბავშვი სიცოცხლეა, მისი არსებობა მომავლის იმედია, ამიტომ სჭირდებათ ბავშვებს მოვლა, ზრუნვა, მფარველობა, პატრონობა. სახარებაში იესო ქრისტე ხშირად საუბრობს ბავშვებზე, ქრისტიანებს უქადაგებს: „გამოუშვით ბავშვები და ნუ აბრკოლებთ მათ ჩემთან მოსასვლელად, ვინაიდან მაგათნაირებისაა ცათა სასუფეველი (მათე 19,14).

„ეტლში, სალონში, აკვანში, ბაღში,
გაისმის მათი ზარის სიცილი“.

მთელი სამყარო თითქოს ავსებულია ბავშვთა მხიარული ხმებით, მათ სიცილს ზარის რეკას ამსგავსებს პოეტი. ეს სიცილი არის გულწრფელი და მათ უმანკოებას, უცოდველობას ამხელს. მათი სიცილი თითქოს წუთისოფლის ამაოების ბურუსსაც გაფანტავს და გულს სიხარულით აღავსებს. ამ ზარის სიცილმა ცნობილი ფრანგი მწერლის ანტუან დე სენტ ეგზიუ-

პერის უჩვეულო პერსონაჟი – ბიჭუნა – პატარა უფლისწული გაგვახსენა – დედამიწაზე შორეული უცხო ვარსკვლავიდან მოვლენილი – დედამიწელ მფრინავს რომ აოცებს საოცარი მსჯელობით, ცხოვრებისეული სიბრძნით და მასაც დააფიქრებს: როგორ განსხვავდებიან დიდები და პატარები ერთმანეთისგან. მაგალითად, თუ თქვენ დიდებს რომელიმე ახალ მეგობარზე უამბობთ რამეს, ისინი არასოდეს გკითხავენ იმას, რაც მთავარია. არასოდეს გკითხავენ, როგორი ხმა აქვს შენს მეგობარს, რა თამაში უყვარს, ან პეპლების კოლექციას თუ აგროვებს. ამის მაგიერ გკითხავენ: რამდენი წლისაა, რამდენი ძმა ჰყავს, რამდენს იწონის და რა ჯამაგირი აქვს მამამისსო. მათ ჰგონიათ, რომ ამით უკვე ყველაფერი გაიგეს. დიდებს რომ უთხრათ, „ვარდისფერი აგურისგან ნაგები ლამაზი სახლი დავინახე, რომლის ფანჯრის რაფებზე იები ყვაოდა, ხოლო სახურავზე მტრედები დაგოგმანებდნენო, ვერ მიხვდებიან, როგორია ეს სახლი, მათ ასე უნდა უთხრათ: „მე დავინახე სახლი, რომელიც ასი ათასი ფრანკი ღირს“ და მაშინ აღტაცებით წამოიძახებენ, რა მშვენიერი სახლი ყოფილაო! პატარა უფლისწული მფრინავს სულ სხვანაირად დაანახვებს სიცოცხლეს და ცხოვრებას. გამომშვიდობებისას კი ვარსკვლავებიან ცას აჩუქებს და ეტყვის: „როცა ღამით ზეცას ახედავ, ყველა ვარსკვლავი შემოგცინებს, რადგან გეცოდინება, რომ ერთ-ერთ მათგანზე მე ვცხოვრობ და ვიცინი. მხოლოდ შენ გეყოლება ისეთი ვარსკლავები, რომლებიც იცინიან“.

ცნობილი ფილოსოფოსი ნიცშე ადამიანის ცხოვრებას პირობითად სამ ხანად განიხილავს; პირველი: აქლემის ხანა – ხანა მორჩილებისა, როდესაც მნიშვნელოვანია სხვათა, უფროსთა მორჩილება – შენ მოვალე ხარ! – ამ ბრძანებას მორჩილებს ადამიანი, შემდეგ დგება ლომის ხანა – მე მსურს! – ეს ხანა აღინიშნება დამოუკიდებლობისკენ სწრაფვით! გალაკტიონი წერს ერთ ლექსში: „ოჰ, როგორ მიდის ახალგაზრდობა – / დაუნდობელი სურვილი ლომის“ („ცამეტი წლის ხარ“). შემდეგი ხანა კი არის – ბავშვისა – ადამიანის განვითარების ბოლო ეტაპი იმეორებს პირველს – ბავშვივით გულწრფელად, უცოდველად უნდა მიიღო სამყარო, ისეთი, როგორიც არის. ერთი სიტყვით, როგორც აღვნიშნეთ, ბავშვობა განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების გზას. ბავშვობაში მიღებული სულიერი ტრავმა შემდეგ შეიძლება საბედისწეროდ გამოვლინდეს. ლექსში ვკითხულობთ:

„მაგრამ კონტრასტი არის ამ ბედის
გულცივი, მკაცრი და გამყიდველი“.

ლექსის მეორე სტროფიდან იხატება პირველის კონტრასტული სურათი. თუ პირველმა სტრიქონებმა მზიანი, ნათელი, თბილი დღის შთაბეჭდილება შეგვიქმნეს, აქ თითქოს ირგვლივ ყოველივე ჩამოიბურა, საშინელი სიბნელე ჩამონვა, შავმა ღრუბლებმა მზე დაფარეს და ჩანთქეს. სამწუხაროდ, ბავშვების ბედი ხშირად სასტიკად წარიმართება ხოლმე. ამიტომაც წარმოაჩენს პოეტი ბედს ასეთი ეპითეტებით: გულცივი, მკაცრი და გამყიდველი. გულცივია ბედი, რადგან არ აღელვებს ბავშვების მომავალი, არ ადარდებს მათი უმანკოების დაღუპვა, მკაცრია, რადგან ათასგვარ ხიფათსა და დაბრკოლებას შეამთხვევს. გამყიდველია, რადგან სამოთხის მშვენიერებას

ჯოჯოხეთის საშინელებად გადაუქცევს. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ჩჩვილი" გავიხსენოთ, პოეტი ასე მიმართავს პატარას:

„იტიკტიკე ენითა უსუსურის,
იტიკტიკე, ვიდრე ჟამი დაგხარის,
ვიდრემდის ხარ, ყრმაო, თავისუფალი,
არ გიცვნია სოფელი მომღერალი!"

ბავშვს ჟამი დაჰხარის – ყველა მასზე ზრუნავს, სანამ უსუსურია, სანამ არაფერი გაეგება. მაგრამ როგორც კი აეხილება გონების თვალი, მაშინ დაიწყება მისი ტანჯვა; ბარათაშვილი რომ წერს „ხმა იდუმალში":

„რა ვსცან პირველად წუთისოფელი,
დავშთე ადგილი, სადაცა წრფელი
რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის
სწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის, –
მას აქეთ ხმა რამ თან სდევს ყოველთა
ჩემთა ზრახვათა და საწადელთა!"

მას შემდეგ, რაც ადამიანი შეიცნობს წუთისოფელს, ესე იგი, გაიგებს მის ავსა და კარგს, მთავრდება უზრუნველობის ნათელი ხანა და იწყება გულის ჭიდილი, გარკვევა საკუთარი სიცოცხლის აზრისა, ფუნქციისა, ილუზიების, ოცნებათა მსხვრევა, რეალობასთან შეჯახება.

წუთისოფლის შეცნობით მთავრდება ბავშვობა, მაგრამ არ იკარგება უკვალოდ. ყველანი ხომ ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ, როგორც ეგზიუპერი წერს.

„მშიერი სახით კაფეში შედის,
ბავშვების გუნდი შიშველ-ტიტველი".

პოეტი ხატავს, როგორ შედიან მშიერი ბავშვები კაფეში, სადაც სიმაძღრისა და ცხოვრებით კმაყოფილების სუნი ტრიალებს. თან, ბავშვების გუნდია, ესე იგი, ბევრია ასეთი დამშეული და მშიერ-ტიტველი ბავშვი, რაც, უპირველესად, მიანიშნებს ქვეყანაში შექმნილ ზნედაცემულობაზე. რაც უნდა უჭირდეს ქვეყანას, მან ბავშვები ამ მდგომარეობაში არ უნდა ჩაყაროს. საზოგადოებამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, პირიდან ლუკმა გამოილოს და, პირველ რიგში, ბავშვები დააპუროს.

პოეტი ზედმიწევნით აღგვიწერს ამ ბავშვთა სახეებს, რათა უფრო შთამბეჭდავად წარმოაჩინოს მათი ბედი, საზოგადოების გულგრილობა და სიცივე.

„მათი თვალები აღარ იცინის,
ხედვაში ხანჯლის არის ციება,
არ ეპატიოს, – კვნესენ ისინი –
ქვეყანას ჩვენზე შურისძიება".

წკრიალა სიცილი ჩააქრო ცხოვრებამ. არავინ იცის მათი წარსული, იქნებ მშობლები დაეხოცათ, იქნებ სხვა რამ ტრაგედია მოხდა, რომ ახლა შიშველ-ტიტველნი ქუჩაში დაეხეტებიან. მთავარია, რომ მათი ბედი არავის აღელვებს. პატარების გულშიც დარდი და ნაღველი გროვდება, რომელიც მათი თვალებიდან სიცივედ გადმოიფრქვევა. ამას მეტაფორით გამოხატ-

ავს პოეტი: „ხედვაში ხანჯლის არის ციება“. ქვეყანამ თითქოს შური იძია მათზე, ეს კი ქვეყნისთვის თვითმკვლელობაა გაუაზრებელი. ბავშვები თითქოს უხილავს შესთხოვენ, პოეტი წერს, კვნესიანო, რომ არ ეპატიოს საზოგადოებას ეს გულგრილობა. ეს უხილავი კი უფალია, რომელიც დაიფარავს ბავშვებს განსაცდელისაგან, ხოლო საზოგადოებას კი სამართლიანად განსჯის და დასჯის. მერე რომელიმე წევრი ამ საზოგადოებისა გულუბრყვილოდ იკითხავს, მე რა დამნაშავე ვარო, მაგრამ ყველას აქვს ამ საერთო დანაშაულში წილი.

გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“. ამ მოთხრობაშიც ორი დედით ობოლი ბიჭი სწორედ საზოგადოების უსულგულობამ აქცია ყაჩაღებად. ერთი ჩამოახრჩეს კიდევაც, ილიაც სწორედ ამ შურისძიებას ახსენებს. გაბოროტებულმა ძმებმა გადაწყვიტეს ქურდობითა და ყაჩაღობით საზოგადოებაზე შურისძიება. ერთადერთი, ვინც ძმებს სიყვარული აჩვენა და მადლი გაიღო, მოხუცი პეტრე იყო, რომელიც სხვებთან ერთად დაადანაშაულა უფროსმა ძმამ. პეტრე ამბობს: მე რა შუაში ვარო, ხოლო მწერალი დასძენს: „მართლადა, ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოსო...“ და მკითხველი დაასკვნის, რომ ყველა დამნაშავეა. და როცა უფალი მოავლენს რისხვას, მხოლოდ მაშინ გაუჩნდებათ ხანმოკლე სინანულის განცდა ამ ადამიანებს.

არ შეიძლება ამ თემაზე საუბრისას არ გავიხსენოთ ლექსი „ი.ა“ აქაც ბავშვის დაღუპვა საოცარი ტკივილით არის წარმოჩენილი.

„ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი
ნუკრის თვალებით, თმით-მიმოზებით.
და მწუხარების მალე ნიავში
მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები.
შეშლილი სახით კიოდა ქუჩა,
შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა!
მზეზე ჰყვაოდა სოფლად ალუჩა,
და გაისმოდა დების სიმღერა.“

ეს ლექსი სულით ხორცამდე შესძრავს მკითხველს.

პოეტმა და მკვლევარმა ვახტანგ ჯავახაძემ წიგნში „უცნობი“ გაშიფრა ამ ლექსის სათაურის („ი.ა.“) საიდუმლო; მან გალაკტიონის პოემა „ჯონ რიდში“ ყურადღება მიაქცია სტრიქონებს: „წარწერა ერთი სახლის კედელზე: „აქ იპოვეს ტყვიით მოკლული 5 წლის ოქროსთმიანი გოგონა“. ი.ა. კი, მისი აზრით, ნიშნავს ირაკლი ამირეჯიბს, ცნობილი მწერლის, ჭაბუა ამირეჯიბის მამას, რომელსაც მიუძღვნა ეს ლექსი. გალაკტიონი ირაკლი ამირეჯიბთან ერთად 1917 წლის რევოლუციის ქარცეცხლიან დღეებში მოსკოვში იყო.

ი.ა. – წარმოსახვაში ნაზი იის განცდასაც ბადებს, რომელსაც ედარება პატარა გოგონა. გვახსენდება ვაჟა ფშაველას ლექსი „იას უთხარით ტურფასა“:

„იას უთხარით ტურფასა:
მოვა და შეგჭამს ჭიაო,
მაგრე მოხდენით, ლამაზო,

თავი რომ აგილიაო!
შენ თუ გგონია სიცოცხლე
სამოთხის კარი ღიაო;
ნუ მოხვალ, მიწას ეფარე,
მოსვლაში არა ყრიაო".

პოეტმა ემზარ კვიტაიშვილმა საგანგებო გამოკვლევა დაწერა– „მარადიული ბავშვი", რომელშიც გამოწვლილვით წარმოაჩინა, როგორ აისახა ბავშვთა სახეები გალაკტიონის პოეზიაში. წერილი კრებულ „გალაკტიონოლოგიაში" დაიბეჭდა. საქართველოში სულ ორ პოეტს აქვს პატივი, მათი შემოქმედების კვლევის ცალკე დარგი არსებობდეს – რუსთველოლოგია და გალაკტიონოლოგია.

ლექსის მიმოზისთმიანი ბავშვი გვახსენებს კიდევ სხვა ბავშვს ლექსიდან „ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი":

„ბრძოლისგან დაღლილი სახე
და ტყვია, ჩამჯდარი თავში,
მე თვითონ დაჭრილი ვნახე,
ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი" („ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი").

ამ ლექსში – „ბავშვები კაფეში" – პოეტი თვალნათლივ ხატავს, როგორ ეტყობათ ბავშვებს სახეებზე ნატყვიარები, ეს ფიზიკური ტკივილებია, მაგრამ უფრო საშიში ის არის, რომ ეს ანგელოზები შეიძლება ეშმაკებად იქცნენ. მათ გული სავსე აქვთ შხამის წვეთებით – ამ მეტაფორით კარგად წარმოაჩენს პოეტი, შინაგანად რას განიცდიან ეს დაჩაგრული და გარიყული ბავშვები. მათ გულში ბუნებრივი, თანდაყოლილი სიყვარული, სითბო და სინათლე განდევნა ცხოვრების სიბნელემ, სისასტიკემ. და მართლაც, შემაძრწუნებელია, რომ მათ ვერ ამჩნევენ, სწორედ ამაზე მიანიშნებს სტრიქონები:

„ამ დროს მოლხენით არის დარბაზი,
ორკესტრი გრგვინავს თავგამეტებით".

ეს მოლხენა, გაჩახჩახებული, თვალისმომჭრელი დარბაზი, თავგამეტებული მუსიკოსები – მეტყველებს საზოგადოების სისასტიკესა, გულგრილობასა და უგუნურებაზე. ისინი თავიანთი ქცევით ჯოჯოხეთს იმზადებენ.

ისტორიამ არაერთი წამებული ბავშვის სახე იცის. ჰაგიოგრაფიიდან გაგახსენებთ „კოლაელ ყრმათა წამებას", რომელშიც აღწერილია ქრისტიანული რწმენის აღიარებისა და ერთგულებისთვის როგორ ჩაქოლეს 7-9 წლის 9 ბავშვი.

ანა ფრანკი, 13 წლის ებრაელი გოგონა. მსოფლიო შეძრა მისმა დღიურმა, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის დროს წერდა. ანას ოჯახი გერმანიიდან გაიქცა და ჰოლანდიას შეაფარა თავი. ამსტერდამში, სახლის სხვენზე ცხოვრობდნენ საშინელ სიდუხჭირეში, გამუდმებულ შიშში, მაგრამ ანას საოცარი სასიცოცხლო ძალები აღმოაჩნდა, მან დაიწყო დღიურის წერა და თავისი ფიქრების მისთვის განდობა, დღიურს გოგონას სახელი დაარქვა – ქითი. 2 წლის განმავლობაში წერდა: 1942-1944 წლებში. ანა 15 წლისა გარდაიცვალა და სამუდამოდ დარჩა ადამიანთა ხსოვნაში, როგორც ომის საშინელებათა მოწმე.

ბავშვის სიკვდილი გალაკტიონის პოეზიაში ქვეყნიერებაზე წყვდიადის ჩამოწოლას ედარება: „კუბო, უმიზნოდ მცურავი ქარში და უმიზეზოდ მოკლული შველი/ დაედევნება ბავშვებს სიზმარში/ ეს მოგონების ლანდი, სანთელი, რას იზამს მაშინ, რას იზამს მაშინ მზე, ნაკადული, მთები და ველი?“ („სროლის ხმა მთაში“).

გალაკტიონს ძალიან უყვარდა ბავშვები, არაერთ ფოტოზეა მათთან ერთად აღბეჭდილი, თვითონაც ბავშვივით იყო, უბოროტო, გულუბრყვილო და ბავშვივით მეოცნებე, წარმოსახულ სამყაროში რომ ცხოვრობდა. მისი პოეზია სწორედ ამიტომაც არის ასეთი შთამბეჭდავი, რომ სწორედ ბავშვური, წრფელი და უმანკო მზერით არის აღქმული სამყარო:

„საღამო იწვა ხავერდის ყდაში,
ვით წიგნი ლურჯი და ძველისძველი,
ეს იყო მაშინ, ეს იყო მაშინ,
როცა მე ბავშვი ვიყავ“.

გალაკტიონის პოეზიაში არა მხოლოდ მწუხარე სახის, არამედ მხიარული, ბედნიერი ბავშვებიც იხატებიან. „რამდენი ბავშვი შეჰხარის ამ დღეს/ რა ახალია ეს დედამიწა“ („ზღვაზე ბავშვების ბედნიერ სირბილს“).

პოეტს სჯეროდა, რომ დედამიწის განახლება, სიცოცხლე ბავშვების ბედნიერებაზე იყო დამოკიდებული. ამ ლექსის მთავარი სათქმელიც ეს არის – ბავშვების გადარჩენა სიცოცხლისა და სიყვარულის გადარჩენაა.

სიკვდილთან შერიგება

(გალაკტიონ ტაბიძის „შერიგება")

ქრისტიანობა გვასწავლის, „გახსოვდეს სიკვდილიო", რაც ყოველწამიერ მზადყოფნას გულისხმობს ამქვეყნიდან გასასვლელად. რადგან „მოვა შემყრელი ყოველთა ერთგან დღისა და ღამისად" (რუსთველი), სიკვდილთან შეხვედრა კაცობრიობის უმთავრეს საფიქრალთაგანია, „კაცად აღარყოფნის სევდა" (გოდერძი ჩოხელი) ნებისმიერი ადამიანისთვის ნაცნობი საწუხარია. ამიტომ ეს მოტივი ხშირად გვხვდება მსოფლიო ლიტერატურაში.

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან გასწორდეს ყოველი: სუსტი და ძალგულოვანი", – ათქმევინებს რუსთველი ავთანდილს და საკაცობრიო სევდაზე კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს, სიკვდილზე საქმითა და სიყვარულით ამაღლებასაც გვიქადაგებს, რათა მხოლოდ დარდს კი არ მივეცეთ სიკვდილის უძლეველობისა და ყოველივეს ამაოების გამო, გოდება შევწყვიტოთ და ვიზრუნოთ, რომ უფალთან მიგვესვლებოდეს. საქმითა და სიყვარულით ცხოვრებაა ხსნის გზა და პირნათელობის საიდუმლო.

„შენი ჭირიმე, სიკვდილო,
სიცოცხლე მშვენობს შენითა", – აღფრთოვანებულია დიდი ფშაველი, რადგან სწამს, სიკვდილი გვაიძულებს, ვიმოქმედოთ, რაიმე მოვასწროთ, ვიდრე დარდიღა შეგვრჩება „ჩიტივით გაფრენილ სიცოცხლეზე"...

სიკვდილზე ფიქრს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაშიც. მის შემოქმედებაში გვხვდება ყველა „წყეული" თემა: სიკვდილი უსამართლო და დაუნდობელია, ის ყველას მოგველის, ანადგურებს ყოველივეს, აჭკნობს და აქრობს მიწიერ დიდებასა თუ სილამაზეს (მეორედ მოსვლა სამყაროსაც აღგვის მიწის პირისაგან), მისგან ვერაფერი გვიხსნის, გარდა ამქვეყნიური ვალის მოხდისა, სწორად ცხოვრების გზით სამუდამო სასუფევლის დამკვიდრებისა... აქ შევხვდებით მწუხარე თვალებიან ანგელოზს, იმქვეყნად წასაყვანთა პერგამენტზე ჩამოწერილი გრძელი სიით; დროის ქარისაგან განადგურებულ, გადაცვენილ, დამჭკნარ და მოწყენილ ატმის ყვავილებს; „ქართა ქარვას" გაყოლილ ახალგაზრდობას; ჩამავალი მზის სევდას; სიკვდილი, ერთგვარად, პერსონიფიცირებულიც კია პოეტის მიერ და მკითხველი მასთან ერთად ხედავს:

„მოდის სიკვდილი, ჭკნობის მსურველი,
დაჭკნა ყვავილი, გაქრა სურნელი"...

თუმცა, გალაკტიონის უმთავრესი თავისებურებაა, რომ იგი, როგორც კაცი და როგორც პოეტი, არ უშინდება სიკვდილს, მისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, რომელსაც ადამიანი ოდესმე აუცილებლად იგემებს, ამიტომ, როგორც „კაცი მეცნიერი", სიკვდილთან შეგუებისა და ამით მასთან „გამკლავების" გზებს ეძებს.

ამ თემას ეძღვნება გალაკტიონის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „შერიგებაც“.

სათაურ „შერიგებას“ პოეტი უკავშირებს ლექსის ბოლო სიტყვას, წრეს კრავს და მკითხველისთვის ცხადს ხდის, რომ პოეტი ურიგდება, ანუ მშვიდად და აუღელვებლად ხვდება სიკვდილს:

„დღეს ყველგან მზეა და სილამაზე
სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი“.

ისევე, როგორც „მთაწმინდის მთვარეს“, ამ ლექსსაც პოეტი სიკვდილის სიახლოვესა და ამით აღძრული შიშის ძლევას უძღვნის. ეს ორი ლექსი მრავალმხრივ ჰგავს ერთმანეთს, რადგან ორივე მათგანში სიკვდილის შიში უკვდავების იმედითაა დაძლეული. უკვდავისთვის კი სიკვდილი არარაა, ახლადშობა და ახალ რეალობაში გადასვლაა მხოლოდ. ამიტომ ამბობს პოეტი:

„რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,
რომ წაჰყვება საუკუნოს თქვენთან ჩემი ქნარი“ („მთაწმინდის მთვარე“).

გალაკტიონი სიკვდილისკენ მთელი არსებით მიისწრაფოდა. ამიტომ მიმართავდა საკუთარ თავს (თითქოს გასამხნევებლადაც):

„ვინა თქვა შენი გარდაცვალება,
არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე“ („მიდიხარ... ისე...“).

„უბის წიგნაკში“ კი წერდა:

„მე ვიყავი ყოველთვის მზად სიკვდილისთვის.
მე მთელ დედამიწას დუელში ვიწვევ!“

პოეტს სწამდა, რომ მისი სიდიადე სწორედ მისი გარდაცვალების შემდეგ წარმოჩნდებოდა, ამქვეყნიდან გავიდოდა მოკვდავ კაცთაგანი, მაგრამ მყისიერად დაიბადებოდა უკვდავი პოეტი, სიკვდილი გააცხადებდა მის სიდიადეს. ამიტომ დაამთავრა „უბის წიგნაკი“ ამ სიტყვებით:

„გალაკტიონ ტაბიძე აღარ არის.
გაუმარჯოს გალაკტიონ ტაბიძეს!
მეფე მოკვდა. გაუმარჯოს მეფეს!“

გალაკტიონი არ ცდებოდა. მასზეც ვრცელდება ილიას ნათქვამი ალექსანდრე ყაზბეგზე:

„ორჯერ დაბადებულს ერთი სიკვდილი ვერას უზამს, ის კი მეორედ მაშინ დაიბადა, როცა თავისი დიდებული კალამი შესძღვნა თავის მშობელ ქვეყანას“...

„შერიგება“ ყოვლის წარმავლობის აღიარებით იწყება. დრო შეუჩერებლად გადის, თავის გზაზე ყველაფერს ცელავს, თან მიაქვს ადამიანის სიცოცხლე, რადგან დროის შეუნელებელი სვლა სიკვდილის მთავარი იარაღია. ქარის ქროლა წუთისოფლის მარადიული ცვალებადობისა და დროის დინების სიმბოლოა, ყველანი წუთისოფლის ქარში მოვდივართ და ამ ქარსვე მივყვებით, მის მკლავებში (ტოტებში) გაბლანდულნი...

„ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი“ – გავიდა კიდევ ერთი თვე და კიდევ ერთი ნაბიჯით მოახლოვდა სიკვდილი, დაუპატიჟებლად დაიბუდა გონებაში ამქვეყნიდან გასვლის ფიქრმა, რამაც აღძრა სუდარის სითეთრის განცდა:

„თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები
და წავალ ქარში...“

თუმცა „მოვირთვები“ გვაგრძნობინებს, რომ ზეიმითა და სიხარულით ეგებება სიკვდილს, თანაც ამაღლებული და მშვიდი.

სიკვდილი „თეთრი აკლდამის“ სიმბოლოთი შემოჰყავს პოეტს, ალბათ, სუდარის სითეთრისა და სიკვდილის სიცივის, მდუმარების, გახევებულობის გამო, რის ასოციაციასაც ქმნის აკლდამა. ხოლო სიკვდილის შიშის ძლევა – თეთრ აკლდამაზე ამაღლებით, მისთვის მშვიდად, მძიმე განცდების გარეშე ცქერით:

„ამაღლდი, სულო, თეთრ აკლდამაზე.“

კაცობრიობის ნებისმიერი წარმომადგენელი მოკვდავია. „ყოველი არსი, სულიერი თუ უსულო, ხილული თუ უხილავი, ერთსა და იმავე მსოფლიო კანონს ექვემდებარება: დაიბადება, იზრდება, დაბერდება – კვდება“ (აკაკი). გალაკტიონმა იცის, რომ „მიწა თავისას მოითხოვს“, „რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე“ („მთაწმინდის მთვარე“), თუმცა ახერხებს სიკვდილის შიშის ძლევასა და ამაღლებას. საამისოდ იხსენებს მოცარტს, თითქოს ქარს გაყოლილს, ვისი საფლავის ადგილმდებარეობაც კი დაზუსტებით არავინ იცის, მაგრამ უდიდესს, ყველასთვის ცნობილსა და საყვარელ კომპოზიტორს. მოცარტის სახით მიგვანიშნებს, რომ ბევრი დიდებული პიროვნების ხვედრი ასეთია – ფიზიკურად მარცხდება და ნადგურდება მუხთალი წუთისოფლისა თუ ადამის უსამართლო შთამომავალთაგან, თუმცა მისი სულიერი მადლმოსილება ის საყრდენია, რომლითაც დღემდე არსებობს კაცთა მოდგმა (მათი პარადიგმა თვით უფალია, უგუნურთაგან ჯვარცმული).

პოეტს ლექსში შემოაქვს რამდენიმე სიმბოლო: სიმღერა, მზე, ბაღი, მყინვარი, გვირგვინი, სილამაზე...გალაკტიონს სიკვდილთან შეხვედრას, პირველ რიგში, უიოლებს ამქვეყნიდან სიმღერით წასვლის იმედი, რადგან სიმღერის ტალღებით სავსე გულში შიშისთვის ადგილი აღარ რჩება; მისთვის ორსავე სოფელში საოცნებო მდგომარეობა, სანუკვარი ნატვრაც სწორედ ეს არის – მყოფობდეს „გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით“, ცოცხლობდეს პოეზიით:

„და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად...“(„მთაწმინდის მთვარე“).

ლექსი და სიცოცხლე პოეტთათვის ერთი და იგივეა, ლექსი აძლევს მგოსანს სიცოცხლის ძალას. ტიციან ტაბიძე წერდა:

„მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს“.

თუ სიმღერით მოკვდება, პოეტისთვის სიკვდილი საშიში არაა, ახალი სიცოცხლის დასაწყისია მხოლოდ, ამიტომაც არის თბილი, მზიანი („დღეს ყველგან მზეა“) და ვარდისფერი („სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა“). პოეზია, მშვენიერება და სილამაზე „შეარიგებს“ გალაკტიონს სიკვდილთან. იგი გაუბოროტებელ სულს ინარჩუნებს, მშვენიერებისა და სილამაზის მსახურად რჩება, ცოცხლობს „შუქთა მარადი ნთებით“ და ლექსებით აქებს მშვენიერებას.

გარემო, თავისი სითბოთი და მომხიბვლელობით ავიწყებს მოკვდავობის განცდას და უკვდავების კარიბჭესთან აახლოებს.

სტრიქონში: „დღეს ყველგან მზეა. ახლა ამ ბაღებს“ პოეტი დააფიქრებს მკითხველს მოულოდნელი სიტყვებით, ესენია: „ყველგან“ და „ამ“. რადგან ორივე მათგანი კითხვებს ბადებს: სად ყველგან? – რადგან აქამდე პოეტს ადგილები არ ჩამოუთვლია და რომელ ბაღებს? – რადგან „ამ“ მისათითებელი ნაცვალსახელია და რაიმეს მიგვანიშნებს, ლექსში კი ბაღებზე საუბარი არ ყოფილა. ორივე ამ კითხვას გალაკტიონი ღიად ტოვებს და მკითხველმა დამოუკიდებლად უნდა გასცეს მათ პასუხი.

ვფიქრობთ, „ყველგან“ სოფელს, ზესთასოფელსა და პოეტის სულს გულისხმობს, ბაღები კი, შესაბამისად, – ამქვეყნიურ, სამოთხისეულ და სულის ბაღებს, სიტყვას – ყვავილად, ლექსებს კი არტისტულ ყვავილებად რომ გადააქცევს. ამით გადმოგვცემს გალაკტიონი სამყაროს „ფერუთვალავი მშვენიერებისა“ და მზე-უფლისა თუ მზე-მარიამის სითბოს ძალასა და ზეგავლენას ზეცის კაცებზე, თვალნი – ხედვად, ყურნი – სმენად რომ მისცემიათ, უფლის კაკუნს რომ აყურადებენ თავიანთი გულის კარზე, ჩართულნი რომ არიან საოცარ ერთობაში: ქვეყანა – კაცი – უფალი და გარემომცველი სამყაროს მშვენიერებისა და სიკეთის სითბოს სამსახურითა თუ ქებით რომ იხდიან ვალს ზეციური მეუფის წინაშე.

გალაკტიონსაც სილამაზე ხიბლავს, მზე ათბობს და ლექსად იღვრება მშვენიერების საქებლად. იგი უფლის შვილია და თავისი „საქმიანობა შეუმოსავს“, როგორც ბრწყინვალე „საქორწინე სამოსელი“, ამით ირთვება და ზეიმით მიდის „უფლის ქორწილში“, სიკვდილის დაძლეული შიში კი „სიმღერის მსბუქ ზვირთებად გადაკეთდება“ მის გულში.

პოეტურ სიდიადესა და უკვდავებას გალაკტიონი მყინვარის სახე-სიმბოლოს მოშველიებით გამოხატავს. იგი მყინვარს საკუთარი სულის ანალოგად მიიჩნევს:

ორივე მათგანი „მაღალ ზრახვათა მეფეა“, რადგან გონებრივად და სულიერად მაღალნი, უფალსა და ცასთან ახლოს არიან, ყველასაგან გამორჩეულები, ვაჟას თქმისა არ იყოს, „უნახავის დანახვას ელიან“;

ორივე შეყვარებული და მეოცნებეა, რაც გაზაფხულზე განსაკუთრებით იჩენს თავს, ვარდებს, „მაისებს“, ნამდვილ გაზაფხულს, როცა „მაისი ფერში ნაირ-ნაირშია“, პოეტიცა და მყინვარიც ერთნაირი აღტაცებით ხვდებიან. ორივე გიზგიზებს სიყვარულის ცეცხლით:

„მაისი ალით ააზამბახებს,ვით შეყვარებულს და მეოცნებეს.“

ორივე ლამაზი გვირგვინითაა დამშვენებული. მართალია, გალაკტიონს, როგორც პოეტს, დაფნის გვირგვინი ამკობს, ხოლო მყინვარს – თოვლისა და ყინულის იაგუნდების, მაგრამ ეს ორივე გვირგვინი „ოდნავ მსგავსია“, რადგან მარადიულია და უკვდავებას უქადის პატრონს. გალაკტიონი მოზეიმე ტონით ამბობს:

„ჩვენ გვირგვინები გვაქვს ოდნავ მსგავსი,
ლამაზი შუქთა მარადი ნთებით:
მე – მსუბუქ დაფნის ფოთლებით სავსე,
მყინვარს – უმძიმეს იაგუნდებით.“

უკვდავების იმედი პოეტს მიწიერ პრობლემებსა და სიკვდილის შიშს

დააძლევინებს, ირგვლივ გამეფებული სითბო და სილამაზე სულში საოცარ ნათელს ჩაუღვრის და ყველაფერი ეიოლება, ხვდება, რომ, ვინც ამ სამყაროში მოვიდა „ნუკრის თვალებით, თმით მიმოზებით“, როგორც პეპელა, ან „გედი, დაჭრილი ოცნების ბაღით“, ამ აზამბახებული ბაღების ხილვით გრძნობამორეული უკანასკნელ სიმღერას იტყვის, „ტბის სევდიანი გედი“ თავის მისიას შეასრულებს და ვალმოხდილი, გულდამშვიდებით შეხვდება სიკვდილს...

ის ხომ პოეტია, სათნოების მსახური და მადიდებელი, ვისი „ცხოვრების გზაც სიზმარია“. ამიტომ, თუმცა სამყაროში სიკეთეც არსებობს და ბოროტებაც, სიკვდილის აკლდამაც იხილვება და მზის ნათელიც, უფლის შვილად დაბადებულს, მშვენიერება და „სული, თოვლზე უსპეტაკესი“ ამაოებასა და მწუხარებაზე ამაღლების ძალას აძლევს:

„ამაღლდი, სულო, თეთრ აკლდამაზე,
მშვენიერების ლექსით მქებელი:
დღეს ყველგან მზეა და სილამაზე
სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი!"

„შერიგებაც“ გვიჩვენებს უკვდავებით მოიმედე, ვალმოხდილი პოეტის მშვიდად და ამაყად შეხვედრას სიკვდილთან, რომლის კარიც მისთვის უკვდავების კარიბჭეა. მკითხველიც რწმენით და ამაყად იმეორებს პოეტის სიტყვებს:

„მიდიხარ, შენ ბედს ბევრი ინატრებს,
მშვენიერს, ბედი სხვა არსად არი,
შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს,
შენ უკვდავების ხარ ბინადარი!"



ტიციან ტაბიძე
(1893 – 1937)

მაია ჯალიაშვილი

მომაგონდები

(ტიციან ტაბიძის „ანანურთან“)

ეს ლექსი ტიციან ტაბიძემ თამუნია წერეთელს მიუძღვნა. ეს მშვენიერი ქალი პოეტმა შემთხვევით ნახა და ისე მოიხიბლა მისი სილამაზით, რომ დასასვენებლად ბორჯომში წასულ მეუღლეს, ნინო მაყაშვილს, მისწერა, სასწრაფოდ ჩამოდი, ერთი უმშვენიერესი ქალი უნდა გაჩვენოო. მერე ეს ქალი პოეტის შთაგონების წყაროდ, მუზად იქცა. ამ ქალს პოეტი, უპირველესად, აღიქვამდა, როგორც მარადქალურობის სიმბოლოს. თითქოს ამ ქალის სახეში შეერთდა ყველა ქალი – რეალურიცა და წარმოსახულიც, წარსულიდანაც და აწმყოდანაც, ლიტერატურიდანაც და თეატრიდანაც. თამუნია წერეთლის სახეში თითქოს თვითონ სიყვარული განსხეულდა თავისი ამაღლებულობითა და მიუწვდომლობით.

მურად მთვარელიძე წერილში „ფეხმოტეხილი ღრუბლის ლეგენდა“ წერს: „თამუნიას იმ დროს ყველა ეტრფოდა, მაგრამ ტიციანი მისი პირველი მეხოტბე იყო. თითქოს ამ სილამაზეს განგებამ იმიტომ ჩაუდგა სული, რომ ტიციანის მუზას პოეზიის უმაღლეს კვარცხლბეკზე აეყვანა, თუმცა გულგრილი მის მიმართ ვერავინ რჩებოდა. იოსებ გრიშაშვილი წერდა: „თამარი თბილისის ქუჩების ეშხი და სილამაზე იყო. მისი გამოჩენა და ატყდებოდა ქუჩაში ჩოჩქოლი: აგერ, თამუნია წერეთელი მოდისო. გვიყვარდა, პოეტური სული ჰქონდა. პოეზიის დიდი პატივისმცემელი იყო. როცა არ შევაღებდით კარს, იგი ყოველთვის თავისი მომაჯადოვებელი ღიმილით გვხვდებოდა“.

ლექსი მთლიანობაში აღიქმება, როგორც სიყვარულის საგალობელი. მასში თავდავიწყება, მონატრება, აღტაცება და ყველა ის განცდაა, რომლებიც, საზოგადოდ, სიყვარულს ახლავს ხოლმე თან.

ლექსს „ანანურთან“ ჰქვია. პოეტმა, რა თქმა უნდა, საგანგებოდ აირჩია სიყვარულისთვის ქებათა ქების შესასხმელად ეს წმინდა ადგილი. ანანურის ეკლესიას (XVI-XVII ს.ს.) ხალხი დღესაც „მკურნალს“ ეძახის. პოეტისთვისაც სიყვარული რწმენასავით წმინდა და მკურნალია. მიწიერ ვნებათაგან განწმენდილ პოეტში იბადება სიყვარულის წყურვილი. როგორც სუფისტურ პოეზიაში რეალური ქალის მიღმა იგულისხმება უფალი, აქაც, შეიძლება, მკითხველმა, უპირველესად, ღვთისადმი ტრფობა დალანდოს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან სიყვარული იმ დიდი სიყვარულის ნაწილია, ღმერთი რომ ჰქვია.

„შენ აქ რა გინდა, მაგრამ ყოველთვის
მომაგონდები ამ ანანურთან.

შავი არაგვი თეთრ არაგვს ერთვის,
ჩვენი გათიშვა კი ყველას სურდა“.

ანანურთან მოგონებული სატრფო, რა თქმა უნდა, დიდ სიხარულს ბადებს პოეტის სულში, მაგრამ თანვე წარმოაჩენს დიდ ტკივილსაც. ეს, სატრფოსთან სიახლოვე, რომელიც მოგონებით განხორციელდა, რეალურად არ არსებობს. ეს დაშორება კი თითქოს სამყაროს ჰარმონიულობას ეწინააღმდეგება. შავი არაგვიც კი ერთვის თეთრ არაგვს, მაგრამ პოეტის შეყრა სატრფოსთან ვერ ხერხდება: „ჩვენი გათიშვა კი ყველას სურდა“.

თუმცა, ეს გათიშვა კი არ ანელებს, არამედ უფრო ამძაფრებს სიყვარულს. წარმოსახვის უსაზღვრო სამყაროში პოეტი თავისი ბედის ერთადერთი გამგებელია და ამიტომაც თავისუფლად მიახლება სასურველს.

სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ თამუნია წერეთელს ცალი ფეხი მოკვეთეს. ამან თავზარი დასცა პოეტს და ეს ტკივილი ლექსში ამგვარ პოეტურ სახეებად ტრანსფორმირდა:

„არც კი გიცნობდი, არც კი მენახე,
ისე გხატავდა თამარს ვრუბელი.
ხარ დანგრეული შენ „მოდი-ნახე“,
ფეხ-მოტეხილი შენ ხარ ღრუბელი“.

ვრუბელი ცნობილი რუსი მხატვარი იყო, რომელმაც ლერმონტოვის „დემონის“ ილუსტრაციები დახატა, მათ შორის, იყო, პოემის მთავარი პერსონაჟის, თამარის სურათიც. სწორედ ამაზე მიანიშნებს სტრიქონი:

„არც კი გიცნობდი, არც კი მენახე,
ისე გხატავდა თამარს ვრუბელი“.

ასევე, ვრუბელისეული ნახატების სერიიდან შემოიჭრება ტიციან ტაბიძის წარმოსახვაში დემონის სახე. ცნობილია, რომ ვრუბელი დემონის შთამბეჭდავ სახეებს ხატავდა.

ლერმონტოვის „დემონის“ ალუზია ირეკლება სტრიქონში:

„ისე ნაზია ეს მოგონება,
როგორც დემონის ფრთების შეხება“.

ლერმონტოვის „დემონში“ აღწერილია, როგორ შეუყვარდა არამიწიერ დემონს მიწიერი მშვენიერი ქალი, თამარი. ამ სიყვარულისთვის მზად იყო, ყოველივე გაეღო. სწორედ მისმა შეხებამ გამოიწვია თამარის სიკვდილი.

ამგვარი ალუზიებით, ტიციან ტაბიძე ხაზს უსვამს თამუნიას ღვთაებრივ მშვენიერებას. მისი მოხელთება მხოლოდ წარმოსახვით თუ შეიძლება, ამიტომაც როცა პოეტს უნდა კონკრეტული ტკივილის გამოხატვა, ასეთ მეტაფორებს მიმართავს:

„ხარ დანგრეული შენ „მოდი-ნახე“,
ფეხ-მოტეხილი შენ ხარ ღრუბელი“.

„მოდი-ნახე“ ლეგენდარული ციხესიმაგრეა იმერეთში. ერთ დროს ზვიადი და მტკიცე კედლები ახლა ჩამონგრეულია. პოეტმა ასე დაშორებული ორი მოვლენა – ქალი და ციხე – პოეტურ განზომილებაში ერთმანეთს დაუკავშირა, რათა გამოეხატა ის დიდი ტრაგედია, რომელიც რეალური თამუნია წერეთლის ცხოვრებაში მოხდა. თამუნია წერეთელს, როგორც

ზემოთაც აღვნიშნეთ, სამშობიარო ტრავმის გამო ფეხი მოკვეთეს და იგი სამუდამოდ მიეჯაჭვა სარეცელს.

„სჯობს გაიხარონ სხვა გოგოებმა,
მოიბან შენი ირმის ფეხები“.

ამგვარად გამოხატა პოეტმა ის სინაზე და ტკივილი, რომელიც დაკავშირებული იყო ამ ქალთან: დანგრეული მოდი-ნახე და ფეხმოტეხილი ღრუბელი.

ეს ერთდროულობა სიმძიმე-სიმსუბუქისა (ციხე-ღრუბელი) უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს. თითქოს თვითონ ტკივილი მსუბუქდება და ცაში ადის. „ფეხმოტეხილი ღრუბელი“ თავისთავად მშვენიერი სახეა, ტკივილის აღმძვრელი, რადგან ღრუბელი ხომ სრბოლასა და დაუდგრომლობასთან ასოცირდება.

პოეი ცდილობს გაიხანგრძლივოს სატრფოზე მოგონება, დატკბეს ძვირფასი სახის მშვენიერებით. თანვე, ეს მოგონება მტანჯველიცაა. ალბათ, ამას გამოხატავს ამგვარი, ერთი შეხედვით, პარადოქსული შედარება:

„ისე ნაზია ეს მოგონება,
როგორც დემონის ფრთების შეხება“,

დემონის ფრთების შეხება, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სიკვდილს ნიშნავს და ძნელად მიესადაგება ეს განცდა სინაზეს. მაგრამ პოეტმა ამჯერად სწორედ ამგვარად დააწყვილა ერთმანეთთან სინაზე და დემონის ფრთები. ამგვარად გამოხატა, ალბათ, სწრფვა სიკვდილიისაკენ, რადგან უსიყვარულოდ არ სურდა სიცოცხლე. ამიტომაც იწყება ამ სტრიქონების შემდგომ ერთგვარი ინტონაციური დაღმასვლა. პოეტს აღარ უნდა აღარაფერი, რადგან სატრფოს ტკივილი მასაც სულიერად შლის და ანადგურებს. პოეტს თითქოს ეკარგება ამქვეყნად ცხოვრების სიხალისე. მისი ტკივილი ზგადდება და პოეტის წარმოსახვაში ყოფის ამაოების განცდად ტრანსფორმირდება. პოეტს არ ენანება, რომ აქ დარჩება „მგლოვიარე, მწუხარე ოცნება“, რომელსაც დაფარავს მიწა და დავიწყება, მაგრამ ამგვარი ტკივილის გაძლება ძნელია. წარმოუდგენელია, ასე იტანჯებოდე და თან ჩვეულებრივ აგრძელებდე სიცოცხლეს. ამიტომ ასეთი საოცარი შედარებით გამოხატავს პოეტი სულიერ ტკივილს:

„გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი
და ახეული მაქვს ლაყუჩები“,

ეს შედარება ისეთი მძაფრი და სახიერია, თვალწინ წარმოგვიდგება ნაპირზე გამორიყული კალმახი, უწყლობისგან სულშეხუთული, სიცოცხლის ბოლო წამებს რომ ითვლის. პოეტს თითქოს სურს და ახერხებს კიდეც იმ წამის მოხელთებას, როცა სული ხორცს უნდა გაეყაროს. ეს არის წამი, როდესაც სიცოცხლე და სიკვდილი ჯერ კიდევ ერწყმიან, უფრო ზუსტად, შესჭიდებიან ერთმანეთს და მალე უსათუოდ სიკვდილი გადასძალავს. ამიტომ განცდა კი არ ნელდება, არაედ მძაფრდება მომდევნო სტრიქონებით:

„შემართულია ფეხზე ჩახმახი
და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები“.

თუმცა, ამას არ მოჰყვება სიანული, რადგან პოეტს სჯერა, რომ:

„ასე კვდებოდა ალბათ ათასი
და მოწმედ ჰყავდათ ეს ანანური“.

პოეტმა იცოდა, რომ თვითონ არც პირველი იყო და არც უკანასკნელი, ვინც ასე იტანჯებოდა. სიყვარული იყო მისთვის მხსნელი ძალა, რომელიც დროში არსებობის ტკივილისაგან ათავისუფლებდა. ცხოვრება მიდიოდა თავისი გზით და მრვლად მოჰქონდა სიმწარე.

„ეს არის ჩემი მგოსნობის ფასიო“, – წერს პოეტი და ამით წარმოაჩენს სიყვარულის უპირატესობას ყველა სხვა გრძნობასთან შედარებით. სიყვარულისთვის შეწირვა, მისთვის საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად მიტანა, ამართლებს პოეტის არსებობას, ამიტომაც თვითმკვლელობაც სასტიკად კი არ აღიქმება, არამედ, როგორ „იავნანური“, რომელიც გაუყუჩებს ყველა ტკივილს და სამუდამო სიმშვიდეს მიანიჭებს ცხოვრებისაგან გატანჯულ ადამიანს.

მთელი ლექსი ერთი ამოსუნთქვით იკითხება, თითქოს სწორედ ეს ერთი ამოსუნთქვაღა დარჩენია პოეტს, ამიტომაც ყველა სხვა დანარჩენი, რაც ლექსის ფორმალურ სტრუქტურას ქმნის, (ათმარცვლიანი სტრიქონები, ჯვარედინი რითმა და სხვ.) ყურადღების მიღმა რჩება, თუმცა თავისთავად, ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

„კვალდაკვალ ჩემი დემონი მომდევს...“

(ტიციან ტაბიძის „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“)

ტიციან ტაბიძის ამ ლექსში წარმოჩენილია ხელოვანის ტრაგიკული ხვედრი ტოტალიტარულ, დიქტატორულ სახელმწიფოში. სათაურიდანვე მკითხველი განეწყობა უარყოფითის მოლოდინით, რადგან ნახსენებია მკვლელობა, ლექსი გამოირჩევა ტიციან ტაბიძისთვის დამახასიათებელი ელვარე, შთამბეჭდავი მეტაფორებით, გამოთქმის ექსპრესიულობით. ლექსი 1926 წელს დაიწერა. ეს იყო დრო, როდესაც პოეტს გამოთხოვება მოუხდა ესთეტიკურ იდეალებთან, რაც იმას ნიშნავდა, რომ „ხელოვნება ხელოვნებისთვის“, რომელსაც ერთგულებდნენ ცისფერყანწლები „სამშობლოს ჯვარზე პოეზიით დალურსმული“ პოეტები, როგორც ნიკოლო მიწიშვილი წერდა, წარსულს ჩაბარდა, ახალი სახელმწიფო პოეტთაგან ითხოვდა კომუნისტური იდეოლოგიის სამსახურში ჩადგომას. 1926 წელს ჩატარდა მწერალთა ყრილობა, სადაც მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მწერლობა რევოლუციის ნიადაგზე უნდა იდგესო. სხვათა შორის, აქ გამოვიდა კონსტანტინე გამსახურდია და თამამად განაცხადა: „ჩვენ გვეკითხებიან, მოგწონთ თუ არა წითელყაბალახიანი საქართველოვო. საქართველო რა ფერისაც უნდა იყოს, ჩვენ გვიყვარს. მას ვერ გავექცევით...“ ჯერ კიდევ მოუშუშებელი იყო 1924 წელს სისხლში ჩაახშობილი აჯანყების ტკივილები, ბოლო გაბრძოლება ერისა. ქვეყანა იყო დაბეჩავებული, ბედს შეგუებული. ამ ლექსში არის წინათგრძნობა დიდი ტრაგედიისა, რომელიც პოეტებს, და საერთოდ ქართველ ხალხს თავს დაატყდებოდა 1937 წელს, სასტიკი რეპრესიების სახით.

ამ ლექსიდან საოცარი ენერგია მოიფრქვევა. მართლაც, „მოვარდნილი მეწყერივით“ მოდიან სტრიქონები: „მე არ ვწერ ლექსებს, /ლექსი თვითონ მწერს, /ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს, /ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,/ რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს“ („ლექსი მეწყერი“). ამ ლექსშიც ნიაღვარივით გადმოდის გრძნობები.

„ჩამომრჩა უკან მე ჩერქეზეთი,
ვუახლოვდები ჩვენსკენ დარიალს,
დამშრალი თერგი ერთი წვეთია,
მაგრამ ზღვასავით გულზე გადიარს“.

პოეტს სურს პოეზიის საშუალებით მკითხველს აგრძნობინოს რაღაც ძალიან ღრმა და სათუთი, რაც თვითონ მას აფორიაქებს, სულს უშფოთებს. რა შეიძლება იყოს ეს, თუ არა მონატრებული მშობლიური სანახების ხილვით მოგვრილი აღტაცება, ნაცნობი გადარეული თერგის ხმაურიანი მუსიკის მოსმენა თუ საყვარელ ქალთან შეხვედრის მოლოდინი. თერგი დამშრალია რუსეთის ტერიტორიაზე, „მიმხრჩვალ, დამარცხებულ და ნათრევ ლომს არის მიმსგავსებული“, როგორც ილია იტყოდა. საქართველოში კი

თითქოს იღვიძებს, ხმაურობს და ღელავს. თუმცა „ის ერთი წვეთიც“ თერგისა მშობლიურია და ამიტომაც გულს შეუძრავს. ამას კი ამ ამ შედარებით გამოხატავს: „მაგრამ ზღვასავით გულზე გადიარს“. გადიარს – დიალექტური ფორმაა და მას იმიტომ იყენებს, რომ მშობლიურის მონატრება გამოხატოს.

თერგი და დარიალი თავისუფლების სიმბოლოებია. დარიალის ხეობაში თავისუფალი, მონობასავერშეგუებული ხალხი ცხოვრობს. ეს მოხევეების მხარეა, დარიალია ყაზბეგის მშობელი, ყაზბეგისა, რომელიც წერდა; „მე ვარ მთიელი, შობილი იქ, სადაც ყმა და მონება ძველთაგანვე სამარცხვინოდ ყოფილა ხალხში“. ყველაზე ცნობილი მოხევე კი ლელთ ღუნიაა, რომელმაც ეპოქის ტკივილი ასე გამოთქვა: „ჩვენ თავი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკეთ“. თავისუფლები ვიყავით, იმიტომ იყო ძველი დრო უკეთესიო.

თერგის სახე, როგორც თავისუფლებისა, პირველად გრიგოლ ორბელიანთან წარმოჩნდა: „თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან“, ილიამ კი „მგზავრის წერილებში“ თერგი დაუდგრომელი, თავისუფლებისთვის მებრძოლის სიმბოლოდ აქცია. “ნეტავი შენ, თერგო, იმით ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა, პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“.

ამიტომაც არის, რომ სიხარულს ველარ იტევს პოეტი. მისი აღტაცება თითქოს მთელ კოსმოსს გადაედება და აღარაფერი აღარ შეიძლება იყოს მის გარშემო მშვიდი და მყუდრო. პირიქით, უნდა ამოძრავდეს და აიშალოს ყოველივე, რომ შეეფარდოს პოეტის აბორგებულ გულს.

სამშობლო პოეტში ტკბილ-მწარე განცდებს აღძრავს. ილია რომ წერდა: „მაგრამ რაც უფრო მშვენიერი ხარ, იმდენად უფრო მიკვდება გულიო“, ან კიდევ ტიციან ტაბიძე სხვა ლექსში: „სჯობს რომ არ გქონდეს სულაც სამშობლო, ანდა არ იყოს ასე ლამაზი“ („მაშ. გამარჯვება“). ეს სილამაზე და მშვენიერება თითქოს უფრო გამოკვეთდა მის ტრაგედიას, თავისუფლების დაკარგვას. ამიტომაც ამგვარი მეტაფორებით გამოხატავს შინაგან მღელვარებას პოეტი.

„წამექცა თავზე ცა გარღვეული
და ცაზე კიდევ სხვა მყინვარის ცა,
და დარიალით გადარეული
თვალებს ცრემლების თერგი მირეცხავს“.

მყინვარი სიწმინდისა და რწმენის სიმბოლოა პოეტისთვის. ერის უკვდავი სული, ილიას პოემა „აჩრდილში“ ამგვარად რომ ამჟღავნებს თავს: „მარად და ყველგან საქართველო, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული“. იგი სწორედ მყინვარზეა გადმომდგარი და იქიდან ესაუბრება ლირიკულ გმირს.

დარიალით გადარეული – ალიტერაციაა, რომელიც საოცარ მუსიკალურ განცდას ქმნის. ხოლო მეტაფორა „თვალებს ცრემლების თერგი მირეცხავს“ არაჩვეულებრივად წარმოაჩენს პოეტის მღელვარე სულიერ მდგომარეობას. ეს სიხარულისა და ტკივილის ცრემლებია ერთდროულად.

ამგვარი გულისშემძვრელი განცდებია შემოქმედების მასაზრდოებელი. ადამიანი ამგვარი აღტაცების წამებში თითქოს საკუთარ თავზე მაღლდება და მთლიანად მიეცემა სიცოცხლის სიხარულს. ამიტომაცაა, რომ პოეტი ასეთი სითამამით წერს:

„და გადავყურებ ალმას უფსკრულებს".

ალმასი უფსკრულები აქ რეალური პეიზაჟებია საქართველოსი, აქ დაბადებული ადამიანი არ შეიძლება იყოს მონა. „თუ ხარ მონა, აქ არავინ გენდობა,/ მონურ ღიმილს მე ვინ გადამაბრალებსო" („მთებში"), – წერდა გიორგი ლეონიძე.

და ამ დროს ჩნდება ერთი შეხედვით მოულოდნელი სახე დემონისა.

„კვალდაკვალ ჩემი დემონი მომდევს".

დემონის სახეს ხშირად მიმართავდნენ შემოქმედნი. ტიციანის პოეზიაშიც არაერთხელ გაიელვებს დემონის შესაზარი სახება. გავიხსენოთ მისი სხვა ლექსიდანაც სტრიქონები:

„ისე ნაზია ეს მოგონება,
როგორც დემონის ფრთების შეხება" („ანანურთან").

დემონის შეხება სიკვდილს იწვევს. იგი სატანური, ბნელი, ბოროტი ძალაა, მაგრამ შემოქმედებაში იგი ხშირად წარმოდგენილია, როგორც იდუმალი, ამოუხსნელი, მისტიკური ფენომენი, რომელიც აღვიძებს ადამიანში თავისუფლებისკენ სწრაფვას.

ტიციანის საყვარელ რუს ფერმწერს, ვრუბელს, ჰქონდა დემონის ციკლი დახატული, რომელსაც კარგად იცნობდა პოეტი და მოსწონდა. დემონს სხვა პოეტებიც ხშირად მიმართავდნენ, განსაკუთრებით, ცისფერყანწელები, გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი. გავიხსენოთ ტერენტი გრანელის სტრიქონები:

„გალაკტიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგელოსია".

ტიციანის ამ ლექსის „დემონში", უპირველესად, დაუმორჩილებელი, მეამბოხე, ჩარჩოს ვერ შეგუებელი სული იგულისხმება. აქ იგი სასტიკი ბედისწერაცაა, ბარათაშვილი რომ წერდა: „უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი", ამავე დროს, ეპოქის სიმბოლოა. მის სიმკაცრესა და ულმობელობასთან არის გაიგივებული.

გალაკტიონსაც „სდევნიდა" დემონი:

„სასტიკი იყო ჩემი დემონი, არ ითვისებდა ჩვეულ გალობას,
ანგელოსები უედემონი ტიროდნენ გზათა მიუვალობას".

ძალიან ძნელია გადაურჩე ასეთ სისხლიან ეპოქას. ეს არის დრო ღვთის მკვლელობისა, ანგელოზთა განდევნისა: „იგი ტრიალებს, ვით თვალი ქორის, ეს საუკუნე – მეფისტოფელი". მეფისტოფელი იგივე ეშმაკია. მართლაც, იდგა „დემონების კორიანტელი" და „სისხლიანი ანგელოზები" მოჩანდნენ ციდან.

ტიციანის ამ ლექსში, დემონი, როგორც აღვნიშნეთ, ბარათაშვილის „თვალბედითი, შავი ყორანივით" მოსვენებას უკარგავს პოეტს, კვალდაკვალ მისდევს და შეპყრობით ემუქრება. ამ დემონს სახიერებისთვის ასეთი შემზარავი ფორმით წარმოაჩენს პოეტი:

„ვხედავ გიგანტის შოლტის მუსკულებს
და რკინის ბაწარს, ყელზე რომ მომდებს“.

ეს მეტაფორა, რკინის ბაწარი, გიგანტს პოეტის ყელზე მოსაჭერად რომ აქვს გამზადებული შესანიშნავად წარმოაჩენს ეპოქას. როგორც აღვნიშნეთ, ეს ლექსი 1926 წელს დაიწერა. ამ დროს საქართველოში კომუნისტური რეჟიმი ყველა ხერხითა და საშუალებით ცდილობდა შემოქმედთა იდეოლოგიურ ჩარჩოებში შეზღუდვას, რეჟიმისათვის შესაფერისი ნაწარმოებების შეკვეთას. იკრძალებოდა ყველაფერი, რაშიც მჟღავნდებოდა თავისუფალი სული. ეს ყოველივე შესანიშნავად აისახა გრიგოლ რობაქიძის რომანში „ჩაკლული სული“. გრიგოლ რობაქიძე სწორედ ამ ეპოქამ აქცია ემიგრანტად. მან 30-იან წლებში გერმანულ ენაზე დაწერა და იქ გამოაქვეყნა ეს რომანი, რომელშიც წარმოაჩინა ბოლშევიკური რეჟიმის სისხლიანი სახე. „ჩაკლული სული“ საბჭოთა ხელოვანის ბედის ასახვაა. აქ „ციცერონმა მარქსისტულად უნდა ილაპარაკოს, კოპერნიკმა მატერიალისტურად ჭვრიტოს სამყარო, ხოლო შექსპირმა პროლეტარულად თხზას“. გრიგოლ რობაქიძე წერდა: „რატომ დავტოვე საქართველო, ჩვენი მამული და დედული ეგზომ მშვენიერი და ტკბილი? მოგითხრობთ. ბოლშევიკები გაჰყვირიან: „ხალხურ დემოკრატიას“ ვამყარებთო. სიყალბე მათი ამ სახელდებაშიც ჩანს: „დემო“ ნიშნავს ბერძნულად ხალხს, მაშასადამე ხალხური დემოკრატია ასე უნდა იკითხებოდეს: „ხალხური ხალხოკრატია“. უფრო მართალი იქნებოდა, ეთქვათ „ვამყარებთ დემონოკრატიასო“. ადამიანისათვის უკანასკნელი საყრდენი უზენაესია – ღმერთი. საბჭოეთში ყოველი რწმენა ჩახშულია... ხალხს, როგორც ცოცხალ კრებულს, ბასრი დანით სახსრებს უხსნიან, ხალხის ალაგას მასაა გამეფებული, რომელშიც პიროვნება, ეს უღვთიერესი მოვლენა, სრლიად ითქვიფება. ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა ადამიანი, როცა იგი თავისუფალია. თავისუფლებაა სხივური ელემენტი ადამიანში“. არადა, ამ ეპოქაში მწერალს შემოქმედებაში უნდა დაეცვა მთავარი ხაზი, მომსახურებოდა ბოლშევიკურ რეჟიმს.

„მთავარი ხაზის მიყოლის მზადყოფნა დროდადრო ფანტასტიკურ ზომებს აღწევდა. ერთმა ფიზიკოსმა განუცხადა კოლეგას: „მას შემდეგ, რაც ამხანაგ სტალინის ბოლო თეზისები მივუყენე ფიზიკას, ჩემთვის ბევრი რამ საოცრად ნათელი შეიქმნა“. კოლეგამ გაოგნებულმა შეხედა, მაგრამ თვითონაც დაფიქრდა, მართლაც ნაყოფიერი ხომ არ იქნებოდა ამ თეზისების გამოყენება და მხოლოდ გაურკვეველი „ჰმ“ ჩაიბურდღუნა. საკვირველი ეს იყო: ფიზიკოსს, მართლაც, სჯეროდა თავისი სიტყვებისა. შეკითხვაზე, თუ რომელ წიგნებს კითხულობდა უპირატესად, ერთმა პოეტმა დამცინავად მიუგო: „წიგნებს? წიგნებს საერთოდ არ ვკითხულობ, განა უკეთესი საკითხავი არ მოიპოვება?! ცენტრალური კომიტეტის ნებისმიერი სხდომის სტენოგრამასავით წარმტაც და საინტერესო რასმე ვერც შეპერაზადას ზღაპრებში პოვებთ, ვერც რობინზონის დღიურებში“... ხსენებულ სხდომებზე მართლაც შეუდარებელი ფანტასტიკა მეფობდა. ერთმა მკვლევარმა „ფეოდალური ჟღერადობები“ აღმოაჩინა ბახისა და ბეთჰოვენის მუსიკაში. მეორემ „ბურჟუაზიულ პასაჟებს“ მიაგნო ვაგნერის ოპერებში. მესამემ საკითხი

დასვა, გოგენის ფერებში საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკა ხომ არ ცნაურდებაო. მეოთხე, თავის მხრივ, მძიმე ინდუსტრიის ეპოქას ჭვრეტდა სეზანის ტილოებში. მეხუთე პროლეტარულ მეტაფორებს აგროვებდა. ხუთივე ბეჯითად ინვალებდა თავს უზარმაზარი დიაგრამების ხატვით და იაჰვეს სიტყვებს ადასტურებდა: „ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი". ხელოვნება ნელ-ნელა გაწვრთნილ-გახედნილ, მორჩილ მონასავით ჩააყენეს ხელისუფლების სამსახურში, მაგრამ ადამიანის თავისუფალ სულს თვით ისეთმა ჯალათებმაც ვერაფერი დააკლეს, როგორც საბჭოთა საიდუმლო სამსახურის აგენტები იყვნენ. მწერლობის მაშინდელი მდგომარეობა შესანიშნავად წარმოაჩინა აკაკი ბაქრაძემ წიგნში: „მწერლობის მოთვინიერება", რომელშიც წერს: „კომპარტიამ ბეჯითად და მტკიცედ დაამკვიდრა ინტელექტუალური ექსპლუატაცია, როცა ადამიანს აიძულებენ ის ილაპარაკოს და წეროს, რაც მას არ სწამს და არ სჯერა" (გრიგოლ რობაქიძე, „ჩაკლული სული").

ეს ყოველივე კარგად ჩანს პაოლო იაშვილის ლექსში „მეღორის ლოცვა":

„უფალო! უსმინე შავარდენს,
მის ხელით გიგზავნი ბარათს,
მიშველე ღორებში ჩავარდნილს,
ღორებში დარჩენილს მარად.....
უფალო! მომეცი სამხარი
ძაღლივით ამოსულს ცაზე,
და შენი პერანგი ნახმარი
ჩამაცვი ცოდვიან ტანზე".

ქრისტეს ნახმარი პერანგის ჩაცმის წყურვილი – ნიშნავს ჯვარცმის, სიკვდილის წყურვილს. აკაკი ბაქრაძე საბჭოთა მწერლის ბედის წარმოსაჩენად ასეთ შედარებას მიმართავდა: წარმოიდგინეთ კაცი, პური რომ მიაქვს დამშეული ოჯახისთვის, მაგრამ იძულებულია, გზაში ადევნებულ ავ ძაღლებს პური მოუტეხოს და გადაუგდოს, რათა გადარჩესო. ეს ნიშნავდა იმ დათმობებს, რომლებიც ღირსეულ მწერლებს შინაგანი გაორებისა და ტანჯვის ფასად უჯდებოდათ.

ტიციან ტაბიძეც ხომ კომუნისტურმა რეჟიმმა შეიწირა. პოეტს ბრალი დასდეს ანტისაბჭოთა საქმიანობაში და 1937 წელს დახვრიტეს.

ამიტომაც ლექსის ეს სტრიქონები წინასწარმეტყველურად ჟღერდა:

„ვიცი, მომელის მაინც ეს ბედი,
და ისიც ვიცი, ჩემზე ახია,
ძვირფასო, არ ვარ, იცოდე ყბედი,
ან თავის მოკვლა რა ტრაბახია?"

თვითმკვლელობა გაქცევის ტოლფასია. ამიტომაც ცხოვრება, თუმცა ხშირად ისეთ საშინელ მარწუხებში აქცევდა პოეტს, სიკვდილს მოანატრებდა, მაინც არ გაურბოდა შემოქმედი განსაცდელს, პირიქით, მიისწრაფოდა უფსკრულისკენ, რადგან სწორედ ამგვარი დაბრკოლებები აწრთობდნენ მას, როგორც ადამიანს, პიროვნებას, ვაჟკაცს. „ვიცი, მომელის მაინც ეს ბედი...". ტიციან ტაბიძეს უკვე ჰქონდა ერთი საზარელი მკვლელობის მაგალითი – წიწამურის ტრაგედია– ილიას მკვლელობა. პოეტი იტანჯებოდა, სუნთქვა უჭირდა: „გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი და ახეული მაქვს ლა-

ყუჩები, /შემართულია ფეხზე ჩახმახი და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩებიო“ („ანანურთან“). ისიც იცოდა, თვითმკვლელობა ხშირად ერთადერთ გამოსავლად რჩებოდა, ამიტომ წერდა „ეს არის ჩემი მგოსნობის ფასი და თვითმკვლელობის იავნანურიო“. ამ ლექსში კი ვკითხულობთ:

„მაგრამ მიტაცებს ქარიშხალივით
ამ თვალუწვდენი ხრამების ფსკერი,
ვიცი, ქალი ხარ, ყველა ქალივით,
ვიცი, ამასაც ეჭვით უცქერი“.

ლექსის რიტმი აჩქარებულია და დაძაბული. შეიძლება ვთქვათ, სიმივით ისე დაჭიმული, რომ გეშინია, არ გაწყდეს.

ერთბაშად მოზღვავებული დიდი სიყვარული პოეტს თითქოს განწმენდს და აამაღლებს, სამამაცო და საგმირო საქმეებს მოასურვებს.

„მინდა, რომ ვიყო მწირი გულადი, /საშინელ ღამეს ვეფხვი რომ დაბდღვნა,
ვარ ავსებული შენით გულამდე/და მოვარდნილი ცრემლების წარღვნა“.

გულადი მწირი მიხეილ ლერმონტოვის პოემა „მწირის“ პერსონაჟია, რომელმაც ვერ გაუძლო მშობლიურ კუთხეს მონყვეტას და გაიქცა, გზაში კი ვეფხვს გადაეყარა და შეებრძოლა. „ვეფხვის დაბდღვნა“ – რა თქმა უნდა, „ვეფხისტყაოსნის“ ტარიელსაც გაგვახსენებს, სიყვარულისთვის ვეფხვებთან მებრძოლს.

ისეთი დიდი ენერგია ახლავს ტიციანის ამ ლექსის სტრიქონებს, გგონია, სტროფს ჩაათავებ, ამოისუნთქავ და სიცოცხლესაც თან ამოაყოლებ:

პოეტს სურს, მკითხველი პოეზიით აზიაროს იმგვარ თავისუფლებას, რაც ადამიანს სიკვდილის შიშს დააძლევინებს და სრულყოფილად განაცდევინებს სიცოცხლის მშვენიერებას.

„მინდა მოვიფრთხნა ამ შარაგზაზე,
მინდა გავიხსნა გული ალალი,
მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე
შენ ჩემს სიკვდილში არ გიდევს ბრალი“.

ახლა უკვე ცხადია, ვინ იგულისხმება ამ ყაჩაღებში. რა თქმა უნდა ისინი, რომლებმაც ძალადობრივად გაასაბჭოეს ქვეყანა, თავისუფლება წაართვეს, ღირსება აყარეს. ასე იწინასწარმეტყველა პოეტმა თავისი და მთელი თაობის ბედი. პაოლომ 1937 წელს მოიკლა თავი. ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკოლო მიწიშვილი და სხვა მრავალი 1937 წელს დახვრიტეს... მაგრამ დარჩა მათი შემოქმედება, რომელიც მკითხველს თავისუფლების სულს უღვიძებს და არწმუნებს ნებისმიერ წინააღმდეგობასთან ბრძოლის აუცილებლობაში.

მაია ჯალიაშვილი

„ლექსი თვითონ მწერს“

(ტიციან ტაბიძის „ლექსი მეწყერი“)

ვერც ერთი პოეტი ვერ აგიხსნით, როგორ იბადება ლექსი, ეს არის იდუმალი, ღვთაებრივი წამები. ადამიანი განიცდის შემოქმედებით აღმაფრენას (რასაც მუზათა სტუმრობასაც უწოდებენ) და ქმნის რაღაც ახალს, ამოზრდილს განცდებიდან, შთაბეჭდილებებისა თუ გამოცდილებიდან.

ტიციან ტაბიძისთვის ლექსი თავისთავადი, დამოუკიდებელი ღირებულებაა, პოეტზე აღმატებული. პოეტური სტრიქონები თითქოს უცნობი წიაღიდან მოედინებიან და მოაქვთ თავიანთი სამყარო. როგორც აკაკი წერს: „სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი ამ ჩემს გონება-გრძნობასა“ („პოეტი“). როგორც ცნობილია, ჰაგიოგრაფები და ჰიმნოგრაფები სულიწმინდის შეწევნითა და შთაგონებით ქმნიდნენ.

„მე არ ვწერ ლექსებს“,–ამბობს პოეტი და მკითხველს აოცებს ამგვარი ამოტრიალება ნაცნობი სქემისა, რომლის მიხედვითაც, პოეტია შემქმნელი, შემოქმედი პოეზიისა. ეს მთლიანად ცვლის წარმოდგენას პოეტზე, რომლის ნებაზეა დამოკიდებული ყოველი სტრიქონის დაბადება. „ლექსი თვითონ მწერს“, – ამბობს პოეტი და ამ სიტყვებით წარმოაჩენს პოეზიის ძალმოსილებას. ამგვარად, ერთი მხრივ, ხაზგასმულია, რომ პოეტზე არ არის დამოკიდებული, თუ რას და როგორ წერს, მეორე მხრივ კი, უფრო მნიშვნელოვანიც, რომ ლექსი ქმნის პოეტს. ყოველი ლექსი თავისებურად ცვლის მის შინაგან სამყაროს, წვრთნის, ზრდის და ხვეწს მის სულს. ეს ერთგვარ თავისუფლებაზე მიანიშნებს. პოეტი მკითხველს ეუბნება: მე ვერავინ მიბრძანებს ლექსის შექმნას, რადგან ლექსი აღმემატება, აქ ლექსი შეიძლება გავიაზროთ, როგორც სიტყვის, ენის სიმბოლო. ენა კარნახობს თუ შთააგონებს პოეტს სტრიქონებს. აუხსნელია ეს ფენომენი. ასე რომ, ლექსი ღვთაებრივ სიმაღლეზეა აყვანილი, გასულიერებულია.

„ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს“.

პოეტისთვის სიცოცხლის ღირებულება ლექსით იზომება. ლექსი ამართლებს თითქოს პოეტის არსებობას. რა არის ეს დიდი ძალა, რომელიც მთლიანად იმორჩილებს პოეტს და თავის ნებაზე ატარებს?

„ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს“.

ლექსი თავისი დიდი შინაგანი ენერგიითა და მუხტით ჰგავს მეწყერს, რომელსაც შეუძლია ყოველივეს დაშლა და განადგურება, ოღონდ ამ დაშლა-განადგურებაში შენებაც იგულისხმება. ერთიანად შეძრული, ემოციებისა და გრძნობებისგან დამსხვრეული პოეტის სულში ახალი რეალობა იქმნება პოეტური სამყაროს სახით.

ლექსისადმი ამგვარი „საბედისწერო“ დამოკიდებულება მოჩანს ლადო ასათიანის ლექსშიც, რომელიც „ლექს მეწყერზე“ გვიან დაიწერა. ლადო

ასათიანიც ჩვეული ექსპრესიით წარმოაჩენს პოეზიის ყოვლისშემძლეობას, მისთვის შეწირულობას:

„რადგანაც მერგო ვიყო პოეტი
ჩემი ცხოვრების საბედისწეროდ,
რადგან ამქვეყნად მისთვის მოვედი,
რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო.
რადგან სხვა რამე, ლექსების გარდა,
ახლაც ვერ შველის ტკივილებს ჩემსას,
მჯერა, ამ დიად სიკვდილის კართან
მე თვით სიკვდილსაც გარდავქმნი ლექსად“.

პოეტი სხვათაგან გამორჩეულია, რადგან მას ღვთისგან ბოძებული აქვს ნიჭი ჩვეულებრივ ყოფაში, ნაცნობ საგნებსა და მოვლენებში დაინახოს უხილავი, შენიშნოს სხვათათვის უჩვეულო კავშირები და ზედაპირზე უმშვენიერეს სახეებად ამოზიდოს (როგორც გალაკტიონი წერს ერთ ლექსში „მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს“ („მე მძინარე ვარ“)).

ტიციან ტაბიძე წერს:

„მე დავიბადე აპრილს თვეში,
გაშლილ ვაშლების ყვავილებიდან“.

პოეტი, მართლაც, აპრილის თვეში დაიბადა, მაგრამ აქ უფრო მეტად მინიშნებაა სხვაგვარ შობაზე. ის დაიბადა, როგორც პოეტი, ამიტომ მოევლინა სამყაროს რაღაც უცნაურად. გაშლილი ვაშლის ყვავილებიდან დაბადება მეტაფორულად მიანიშნებს პოეტის ბუნებასთან ერთიანობაზე. როგორც აღვნიშნეთ, ამ სტრიქონებში უპირველესად, სულიერი, პოეტური შობა იგულისხმება. მისი შობა ისეთივე მშვენიერია, როგორც გაზაფხულზე ვაშლის ყვავილების გაშლა, როგორც პოეზია. სწორედაც სამყაროსეული მშვენიერებაა მისი მშობელი.

აპრილის თვე ბუნების გაღვიძების, განახლების დროა. სიცოცხლე თავიდან იბადება, სამყარო თითქოს ახლდება. აპრილის თვე და ვაშლის გაშლილი ყვავილები პოეტისთვის ის წიაღია, საიდანაც მუდმივად იღებს, სიცოცხლისთვის, განახლებისთვის აუცილებელ ენერგიას.

ლექსში ვკითხულობთ:

„მაწვიმს სითეთრე და წვიმის თქეში
მოდის ცრემლებად ჩემს თვალებიდან“.

ნიავის დაბერვაზე ჩამოცვენილი ყვავილები წვიმასავით ეფრქვევა პოეტს თავზე და აღტყინება-სიხარული თვალებიდან ცრემლებად დაედინება. ეს არის, უპირველესად, სიცოცხლის სიხარული. პოეტი მადლიერია ღვთისა, რადგან ელირსა ამ ცისქვეშეთის ნახვა და დატკბობა მინიერი მშვენიერებით.

პოეტს სჯერა პოეზიის უკვდავებისა, როგორც ცნობილი ლათინური გამოთქმა ამხელს ამ აზრს: „არს ლონგა, ვიტა ბრევის“ -ხელოვნება მარადიულია, სიცოცხლე წარმავალი. პოეტი თავისი შემოქმედებით ქმნის იმას, რაც მინიერ წარმავლობას, ხრწნას არ ემორჩილება:

„აქედან ვიცი, მე რომ მოვკვდები,
ამ ლექსს რომ ვამბობ – ესეც დარჩება,

ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება
და ეს ეყოფა გამოსარჩლებად".

პოეტს სჯერა, რომ არ შეიძლება მისი პოეზია უკვალოდ ჩაიკარგოს დროთა უფსკრულში. ერთი მკითხველი მაინც გამოჩნდება, რომელსაც შესძრავს მისი ნაფიქრ-ნაღვაწი, მისი ტანჯვა თუ სიხარული, პოეტურ სახეებად გარდაქმნილი. სწორედ ეს გაამართლებს მის ამქვეყნად არსებობას. ასე დააკავშირებს პოეტური სიტყვა შემოქმედს მარადისობასთან.

პოეტისთვის ყველაზე ძვირფასი განძი მისი მშობლიური „ორპირის ფშანებია". სწორედ აქ, ამ ადგილას აახილა თვალი და შეიცნო სამყარო. აქაურმა პეიზაჟებმა მის ლექსებში შემოინახეს ფერი და სურნელი.

ლექსები იყო პოეტის უპირველესი სულიერი საზრდო და ამიტომაც პოეზიის გარეშე ვერც წარმოედგინა სიცოცხლე. „ლექსები საგზალი"– პოეტი მეტაფორულად წარმოაჩენს, რომ ლექსი აცოცხლებს, სიტყვა აცოცხლებს; ბიბლიაში ხომ წერია: „არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღვთისა.." .. ნამდვილი პოეზია ღვთის სიყვარულს აჩენს და აღვივებს.

ტიციან ტაბიძე თავის პიროვნულობას სწორედ პოეზიის გზით წარმოაჩენდა და ამტკიცებდა. აქ, პოეზიის წარმტაც საუფლოში, აუნჯებდა თავის ბედნიერებას, ამიტომაც თვალი, გული და გონება სულ მისკენ ჰქონდა მიპყრობილი, თვითონაც განიცდიდა პოეზიისგან მოგვრილ ღვთაებრივ აღმაფრენას და მკითხველსაც აზიარებდა მხატვრულ სახეებში, სიმბოლოებში გამჟღავნებულ საიდუმლოს.

„ბედნიერებას მას უმალავდნენ" – ამ სტრიქონებში ულმობელი დრო ირეკლება. საბჭოური იდეოლოგია გულისხმობდა ხელისუფლებისთვის მაამებელი ლექსების თხზვას, რაც უზღუდავდა პოეტს ნებას. ის ხედავდა დამცრობილ, ღირსებააყრილ, დამორჩილებულ, დამოუკიდებლობადაკარგულ ქართველ ერს და იტანჯებოდა. ამიტომაც, ულმობელ რეალობას თავდაღწეული მხოლოდ პოეზიაში, ხელოვნებაში აფარებდა თავს, ეს იყო მისი საკუთარი, ხელშეუხებელი სამყარო. აქ იყო ბედნიერი, თავისუფალი. ამ სამყაროს უსაზღვრო და თავისუფალ მშვენიერ სივრცეში ის მკითხველებსაც მასპინძლობდა და სიხარულს განაცდევინებდა.

„ქართული მზისა და ქართული მიწის" ერთგულება კი მის ლექსებს განუმეორებელ მშობლიურ ხიბლს ანიჭებდა, ამიტომაც კითხულობდნენ მაშინაც და ახლაც პოეზიის მოყვარულნი მის ლექსებს ასე ხარბად. ასეთივე გატაცებით წაიკითხავენ მომავალშიც, რადგან მის ლექსებს, საერთოდ, და ამ ლექსს, განსაკუთრებით, აქვს ის შინაგანი ძალმოსილება, რომელიც თვალნათლივ არწმუნებს მკითხველს „მეწყერივით" ლექსის დიდებულებაში.

ვაჟკაცობის საგალობელი

(ტიციან ტაბიძის „მეწყერი – მეწყერს“)

სოლომონ ბრძენი ამბობდა, რომ ჭეშმარიტი ოქრო მხოლოდ ბრძმედში გამოხურვების შემდეგ რჩება და გამოირჩევა მინარევებისაგან. „მინარევს“, ანუ სუსტ ადამიანს, მოერევა ცხოვრება, „დააჭკვიანებს“ და წელში გადატეხს. ღირსეულ კაცს კი განსაცდელი და ცხოვრებისეული სიძნელეები გამოაბრძმედებს, გააძლიერებს, ქართული ანდაზისა არ იყოს, „ზოგი ჭირი მარგებელია“.

საქართველოს თითქმის არასოდეს ჰქონია ია-ვარდით მოფენილი ყოფა, თუმცა XX საუკუნის პირველი ნახევარი ჩვენი თანამემამულეებისთვის განსაკუთრებით მძიმე იყო. – რუსული ბოლშევიზმისგან ორმაგად იჩაგრებოდნენ, როგორც რუსეთის გუბერნიის მოქალაქე ქართველები.

ტიციანსა და მის თაობას მრავალი განსაცდელის დათმენა მოუხდათ: თავს დაატყდათ სამოქალაქო ომების, რევოლუციებისა და რეპრესიების კოშმარი; იხილეს XI წითელი არმიის შემოჭრა 1921 წელს და სისხლის ზღვაში შთანთქმული, რუსული იმპერიისაგან ხელახლა დამონებული, გასაბჭოებული სამშობლო; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღსასრული; ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჯანყების დამარცხება 1924 წელს; 1937–38 წლის რეპრესიებს კი მათი უმრავლესობა შეეწირა.

ასეთი დაუსრულებელი შიშით ცხოვრებისას ძალიან ძნელია ვაჟკაცური სულის შენარჩუნება, მით უმეტეს, მარტოდ თუ დარჩები უკანასკნელი მოჰიკანივით, თუმცა ტიციან ტაბიძემ შეძლო გაუტეხელი, უდრეკი სულის ადამიანად დარჩენილიყო და თავისი პოეზიითაც ამას განადიდებდა.

„მეწყერი – მეწყერს“ ვაჟკაცობის იდეას ქადაგებს, იმ ტვირთს შეგვახსენებს, კაცად ცხოვრებისას რომ იგულისხმება და თითოელი ჩვენგანის ამქვეყნად მოსვლას რომ ამართლებს.

ლექსის ლირიკული გმირის სულიერ სიძლიერეს უდრეკი, ქედუხრელი ბუნება და მისაბაძ მაგალითად დასახული შამილი განაპირობებენ. გაიელვებს, „დაჰკრავს მეხი მეხს მწვერვალს“, ტიტველი, უსაფრო მთა კი ამაყად, წარბშეუხრელად დახვდება. ტიციანი ბუნების ამ მოვლენას უშიშრობისა და გაუტეხლობის ნიმუშად აღიქვამს. აქვე გაიხსენებს დაღესტნის იმამს, ერთი მუჭა ხალხით მთელი ოცდაათი წელი (1830–1860) შეუდრეკლად რომ იბრძოდა სამშობლოს თავისუფლებისთვის. პოეტი ხედავს „შამილის თეთრ ფაფარს“; ამით მის მეფურ ბუნებას წარმოაჩენს, ფაფარაშლილი ლომივით რომ იყურება დაღესტნის მთებიდან, და მიიჩნევს – შეუძლებელია, ამ მაგალითმა სამშობლოს კეთილდღეობისთვის ბრძოლის სურვილი არ აღუძრას ნებისმიერ ვაჟკაცს:

„ნეტა თუ სადმე ხარ ძე კაცისა,
ამ უკვდავებას ქედს არ უხრიდე,

თუ გაწყდა ძარღვი სიმამაცისა,
მე ცოცხალი ვარ, ერთი მიურიდი."

სათქმელის უკეთ გადმოსაცემად პოეტი ალუზიებს მიმართავს, ცნობილ ამბებსა თუ მოვლენებს მიგვანიშნებს:

„ვარ დაფრენილი ორბისგან გნოლი" – „ვეფხისტყაოსნის" ალუზიაა („შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი").

პოეტი თავს ტარიელისგან დამფრთხალ გნოლად მიიჩნევს, იცის, რომ ამ დიდი რაინდის ძალგულოვნება არ მიუმადლებია მისთვის უფალს, ერთია მრავალთაგან, თუმცა დარწმუნებულია, რომ „გნოლსაც" მოეკითხება პასუხისმგებლობის თავისი წილი, ისიც ვალდებულია, ვაჟკაცად გამოიყურებოდეს უფლის თვალში; ამიტომაც ის, მესამასე, უკანასკნელი „ცოცხალი არაგველი," მტერს არ უშინდება, მარტოდმარტო განაგრძობს ბრძოლას:

„და არ იკარებს გული სალავათს
ხევსურის ჯაჭვის ნაგლეჯი რგოლი
ერთი ვაცხადებ მარტო ჰაზავატს."

„ოთარაანთ ქვრივიდან" მოხმობილი ალუზიით („თუ წუთისოფელს ერთ ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი – ნაბადსა") პოეტი კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს წუთისოფლის მუხთლობაზე, ადამიანის ტკივილითა და სევდით სავსე მყოფობაზე ამქვეყნად, თუმცა შენიშნავს, რომ ვაჟკაცობა სწორედ განსაცდელისას უნდა შეინარჩუნოს; ამიტომ „ჭირსა შიგან ქვითკირივით მაგრდება" და მზადაა, უთანასწორო ბრძოლაში მხარში ამოუდგეს გაბედულ და გაუტეხელ თანამოძმეს:

„ვარ გათელილი ლეკის ნაბადი,
ყველა სახსარი მაქვს დალეწილი,
მაგრამ ვაჟკაცმა მხოლოდ გაბედე
და მეც ვაჟკაცის დამიდე წილი."

ტიციანმა რუსთველის ალუზია გამოიყენა და პოეზიის დანიშნულებაზეც გაგვიზიარა მოსაზრება. მისი აზრით, სამშობლოს გასაჭირისას სიბრაზის ჟრუანტელით სავსე პოტის თემა გმირობისა და მამულის დაცვის იდეალები უნდა იყოს, მწერლობა პატრიოტულ მოტივს უნდა ანიჭებდეს უპირატესობას;

„რა საჭიროა მელნად გიშრის ტბა,
და კალმად კიდევ მინა რხეული,
თუ ამ სიბრაზით გული გამითბა,
თუ ამ ჟრუანტელს იგრძნობს სხეული."

ხოლო მშვიდი და წყნარი ცხოვრებისას, თამარის ეპოქის მსგავს პერიოდში, შემოქმედი ნებისმიერ საკითხს შეეხება: სატრფიალოსა თუ ფილოსოფიურს და რუსთველივით იტყვის:

„მელნად ვიხმარე გიშრის ტბა,
და კალმად მე – ნა რხეული."

ლექსი შემართებითა და საბრძოლო განწყობით მთავრდება. „სახარებისეული" „კბილი – კბილის წილ და სისხლი – სისხლის წილ" გაგვახსენდება, ან ქართული ანდაზა: „მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო". ავტორი მოგვი-

წოდებს, ბრძოლას ბრძოლითვე ვუპასუხოთ და დაპირისპირებას – დაპირისპირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მტერი დაგვიმონებს, რადგან ზვავის შეჩერება მხოლოდ ზვავს შეუძლია:

„მეწყერი – მეწყერს, ლანქერი – ლანქერს,
კლდე კლდეს ასკდება, ზვავს ღუპავს ზვავი."

თვითმკვლელობის სურვილი იავნანასავით ტკბილი იყო ტიციანისთვის (გავიხსენოთ: „ეს არის ჩემი მგოსნობის ფასი და თვითმკვლელობის იავნანური"), რაც ერთგვარი პროტესტით აიხსნება იმდროინდელი რეალობის გამო, თუმცა, რაკი სამშობლო თავგანწირვას ითხოვდა, მტერთან ბრძოლაში სიკვდილს, მამულისთვის თავშეწირვის შესაძლებლობას პოეტი საუფლო წყალობად მიიჩნევს:

„ცა მოწყალებით თავზე დამცქერის,
არ მემეტება, მოვიკლა თავი."

„მეწყერი – მეწყერს" ვაჟკაცობის საგალობელია.



პაოლო იაშვილი
(1894 – 1937)

მაია ჯალიაშვილი

„პოეტის შთაგონებით დასნეულება“

(პაოლო იაშვილის „პოეზია“)

პაოლო პოეზიით სუნთქავდა და ცოცხლობდა. თვითონაც პოეტური ბუნების იყო, მთელი სისავსით განიცდიდა სიცოცხლის მშვენიერებას. გურამ ასათიანი წერდა მასზე: „თავის თანამედროვეთა, თანამოკალმეთა – ყველა იმ ადამიანთა მოწმობით, ვისაც ერთხელ მაინც რგებია მასთან სიახლოვე, – პაოლო იაშვილი სიცოცხლეში უხვად, უსასყიდლოდ, უზომოდ აფრქვევდა თავის გარშემო ძვირფას რითმებს, კაშკაშა პოეტურ სახეებს, მომხიბვლელ ღიმილს, მეგობრულ სითბოს, რაინდულ გულისთქმას, გონებამახვილობისა და ენამჭევრობის ნამდვილ ფეიერვერკებს, იმ იშვიათ მადლს, რომლითაც ის ბუნებამ ასე მრავალმხრივ დააჯილდოვა.

პაოლო იაშვილი იყო ნამდვილი ავთანდილი, სიმღერის, სიყვარულის ჟინით შეპყრობილი მშვენიერი რაინდი, რომელიც თავის გარშემო შეუნელებელ აღტაცებას ბადებდა განუმეორებელი პოეტური ეშხით, მოხდენილობით, სილამაზის თანდაყოლილი უტყუარი გრძნობით“.

ლექს „პოეზიაში“ წარმოჩნდა, თუ რას ფიქრობდა პოეტი პოეზიის არსზე. პირველსავე სტრიქონებით: „გაგიჟება სჯობს, თუ გათავდა სიტყვის მადანი, /და თვალთა დათხრა, თუ მზეს ქებით ველარ დახვდები“ – ლექსის ლირიკული გმირი გამოხატავს პოეზიის გარეშე ცხოვრების უაზრობას. მეტაფორულად წარმოაჩენს, რომ, თუ პოეტს გაუთავდა „სიტყვის მადანი“, ესე იგი, სიტყვის საბადო, მისი ცხოვრებაც დამთავრებულია. პოეტი ყოველ დღეს ქებით უნდა შეეგებოს მზეს, ე.ი. ხოტბა შეასხას ლექსით. შოთა რუსთაველი რომ წერს: „აწ ენა მინდა გამოთქმად გული და ხელოვანება,/ ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონება“.

რუსთველის აზრით, პოეზიისთვის უმთავრესია ენა, ლექსიკის სიმდიდრე, გული და ხელოვანება – გრძნობა და პოეტური ოსტატობა, ღვთის შემწეობა, ნიჭი, რათა პოეტმა შეძლოს სასურველი საგნისკენ ფიქრის წარმართვა, მისი სიღრმისეული გამოხატვა. პოეზია ხომ „სიბრძნის დარგია“ – მრავალფეროვანი სამყაროს შესამეცნებელი.

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მიხედვით, ნამდვილმა პოეტმა არასოდეს არ უნდა „შეამციროს ქართული“; ქართულში აქ სწორედ სიტყვა იგულისხმება:

„მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,
რა ველარ მიჰხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,
ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა“.

პოეტი ლექსის ნერისას გამოიცდება. თუ შემოაკლდება სიტყვა, მაშინ ლექსის შექმნა გაუჭირდება, მან არ უნდა გააღარიბოს პოეტური ენა, „არა ქმნას სიტყვა-მცირობა“ და დიდი შემართება, გმირობა გამოიჩინოს ამ საქმეში.

პოეტი თუ „დამარცხდა“ სიტყვასთან ბრძოლაში, მაშინ, პაოლო იაშვილის თქმით, „მზეს ქებით ვეღარ დახვდება“. ეს მეტაფორა იმას ნიშნავს, რომ პოეტის დანიშნულებაა სიცოცხლის სილამაზის წარმოჩენა, მზის ქება, ამას დაბრმავება ურჩევნია. პოეტისთვის ლექსი –გულის ნაწილი – მისი სისხლი და ხორცია. ის მუდამ უნდა ძგერდეს გულივით – ეს მეტაფორულადაა ნათქვამი: „უნაპიროდ, სამუდამოდ უნდა იყოს გაჩაღებული“.

ასეთი „გაჩაღებული“ ლექსებით შემოვიდა პაოლო ქართულ პოეზიაში. 1916 წელს პარიზიდან დაბრუნებულმა მეგობრებთან ერთად დააარსა ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, რომლის რედაქტორი თვითონ იყო და დაწერა პირველთქმა, საოცარი ენერგიით დამუხტული ტექსტი, რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველოს მგოსნებს! ყველა მეოცნებეს! ქართველ ხალხს! ისმინეთ ყველამ ჩვენი ქადაგება! მრავალის სასიკვდილოდ გავჩნდით ჩვენ ბინძური მზით გამთბარ ქვეყანაში, სადაც ხალხმა დაკარგა მშვენება სითამამისა. საქართველოს ლანდურ არსებას მოვევლინეთ ჩვენ ახალი სხივმოსილებით და ოცნებადაკარგულ ხალხს ვასწავლით განწმენდილ გზას მომავლის ციფერი ტაძრისაკენ!“.

ასეთი სითამამით დაიბადა საქართველოში სიმბოლისტური სკოლა. პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, სანდრო ცირეკიძე და სხვა ცისფერყანწელები ქმნიდნენ ახალ ესთეტიკას, ახალ პოუტურ კულტურას. მათ, მართლაც, განაახლეს ქართულ ლექსი და ქართული პოეზია „გამართეს ევროპის რადიუსით“, როგორც ამას ტიციან ტაბიძე აღნიშნავდა ხატოვნად და წერდა: „ძველ პოეზიას კადნიერად ვახურავთ ჩალმას“, ან კიდევ: „ამიტომ არ აქვს არც ერთ ყანწელს აქამდე შიში, რომ მოვედებით საქართველოს ლექსის ნიაღვრად“. მართლაც, ლექსის ნიაღვრებად წამოვიდა მათი საოცარი ენერგიით დამუხტული სტრიქონები.

პაოლოს აქვს დაწერილი ლექსი „ავტოპორტრეტი“, რომელშიც საკუთარ თავზე წერს, რომ ის არის „ლამაზ რითმისთვის ერთი წუთით ჩაფიქრებული“. მას ფრანგი სიმბოლისტები ჰყავდა კერპებად: შარლ ბოდლერი, არტურ რემბო, პოლ ვერლენი, პოლ ვალერი, ლოტრეამონი... მაგრამ მთავარი კერპი რუსთაველი იყო, როგორც მისი პოეტური გენის ძირი და ფესვი, ამიტომაც წერდა: „და რუსთაველთან გადავდივარ მე ალავერდსა“.

მას თავიდანვე ყველასგან გამოარჩევდა მეამბოხე სულისკვეთება, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ნიშანდობლივია ერთი უსათაურო ლექსი, რომელიც ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“ დაიბეჭდა:

„პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე,
ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა, შექსპირს უარი,
რა ვქნა, თუ ჩემთვის ბეთჰოვენი, მხოლოდ ყრუ არი
და რომ წარსულმა ვერ გადმომცა მე ანდამატი.
ვფიქრობ ლექსებით ჩქარი და ხან გველივით ზანტი,

მაგრამ ყოველთვის მირჩევნია ცეცხლის ანთება.
ჩემი ოცნების ნაპერწკლები ხალხს გავუფანტე,
და უკვდავება ცივ ხელებით მე მელანდება“.

ამ ლექსში წარმოჩნდა პოეზიის ახალი გზების ძიების წყურვილი, კლასიკოსთა ნაკვალევზე სიარულის უგულებელყოფა (დანტე, შექსპირი, ბეთჰოვენი – სწორედ კლასიკის სიმბოლოებია ამ ლექსში), საკუთარი ხმის მოპოვების აუცილებლობა და საოცარი თავდაჯერებულობა გამარჯვებისა: „უკვდავება მელანდება“.

ლექს „პოეზიაში“ კი ვკითხულობთ, რომ ადამიანს ცხოვრებაში უამრავი გასაჭირი, ხიფათი, შეიძლება გადახდეს, გადაულახავი დაბრკოლება შეხვდეს, ცხოვრებამ დაჩაგროს, გარიყოს და ყაჩაღივით გახიზნოს (თულები ყაჩაღს ნიშნავს). სწორედ ამას გამოხატავს სტრიქონები:

„არი მკვლელობა, არი ომი, არი ხანძარი,
მიწისძვრა, ჭირი, ტყეში ყოფნა მარად თულებად“.

თუმცა, პოეტის აზრით, არაფერი შეედრება იმ ტკივილს, რასაც შთაგონებით დასნეულება ჰქვია. ასე რომ, პოეტურ ნიჭს ავტორი წარმოაჩენს, როგორც სენს, რომელიც სულს აავადებს. რა თქმა, სნეულება გადატანითი მნიშვნელობითაა, რადგან ამ სენით შეპყრობილი ადამიანი ვეღარ იცხოვრებს სხვებივით, ვაჟა ფშაველას „გველისმჭამელის“ მინდიასავით ვეღარ მიბაძავს ბრიყვებს, ვეღარ მოჭრის ხეს, რადგან მისი ენა ესმის, ვეღარ დახოცავს ნადირს, რადგან მათიც ესმის. პოეტიც ასეთი მზერა და სმენაგახსნილია, მას ესმის, რას ლაპარაკობენ ხეები, ჩიტები, მთები, ცა და მიწა, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი წერს ლექს „ჩინარში“: „მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთ და უსულთ შორის და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის“, ე.ი. პოეტს სწამდა, რომ ბუნებას ჰქონდა თავისი ენა, არა ნაკლებ ცოცხალი (ცხოველი) და გამომხატველი, ვიდრე ადამიანებისა. ამიტომაც, პოეტი, ერთი მხრივ, ჰარმონიულად შეერწყმის ბუნებას, მეორე მხრივ, კონფლიქტი აქვს თანამოძმეებთან, რომელნიც ჯერ მის „განკურნებას“ ეცდებიან და თუ არ დამორჩილდება, გარიყავენ. საზოგადოებას უჭირს, შეეგუოს ადამიანს, რომელიც „არც მიწისაა, არც ცისა“, რომლის გრძნობა-გონებასაც „სულ სხვა ხელისუფალი ჰყავს“ (აკაკი). ამიტომაც წერს პაოლო იაშვილი, რომ:

დადის ქალაქში ბევრის მსგავსი ჩემი სხეული
და ხალხი ამბობს: „ეს კაცია ლექსის მწერალი“.
მაგრამ ვინ იცის, რა ცეცხლშია გამოხვეული
ეს ჩემი ტვინი, დასაქცევი ტვინი ვერანი“.

აქ შეიძლება გავიხსენოთ ნიკო სამადაშვილის არაჩვეულებრივი სტრიქონები:

„ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო,
ლექსები, ტანზე გამონაყარი“ („ნიკო სამადაშვილს“).

„ლექსის მწერლობა“ ნიჭია, რომელიც ცეცხლივით ენთება პოეტის სხეულში. ასე მეტაფორულად გამოხატავს პოეტი, თუ რა ძალა აქვს ნიჭს და როგორ ვლინდება იგი. პოეტი სხვანაირად ხედავს და აღიქვამს ყოველივეს,

ამიტომ ბევრი თვალი და ბევრი გული სჭირდება. პოეტი უამრავ სტრიქონს წერს, რათა საბოლოოდ მიაგნოს იმ ერთს, რომელშიც სრულყოფილად გამოხატავს სათქმელს. ამ წადილს ასეთი შედარებით გამოხატავს პოეტი: "რამდენი სახე მე თვით უნდა გავაპარტახო, რომ ერთი ლექსი დამრჩეს წმინდა, როგორც პეპელა".

ტიციან ტაბიძე კი ასე წარმოაჩენდა მსგავს სურვილს: „ისეთი ლექსი დავწერო მინდა, რომ არ დამჭირდეს მეორედ წერაო." სიტყვასთან ჭიდილს პაოლო იაშვილი ასეთი შთამბეჭდავი მხატვრული სახეებით: შედარებითა და მეტაფორით, გადმოგვცემს:

„შემომახურებს სიკვდილივით სიტყვა კვიატი
და სისხლი, აზრი სული იქცნენ იმის მონებად,
გავიდა ღამე, მოასკდება კარს განთიადი
აღარ ხარ კაცი, აღარც ჩონჩხი, ხარ მოგონება".

აქ წარმოჩენილია, თუ როგორ იპყრობს პოეტის მთელ არსებას ლექსი. ისევ ტიციან ტაბიძე გვახსენდება არაჩვეულებრივი ენერგიის სტრიქონებით:

„მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს,
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს".

პაოლო იაშვილი ხატოვნად ამბობს, რომ პოეტი ლექსში მთელ თავის სულსა და გულს ატანს, ამიტომაცაა, რომ თითო ლექსში ცხოვრების თითო წელი ექვითება:

„რამდენი ლექსი დაიწერა, იმდენი წელი
ჩამოეწერა ჩემს ცხოვრებას, ვით ადამიანს".

მისი აზრით, როცა აღარ შეეძლება პოეტს ლექსის წერა, მისი სიცოცხლეც მაშინ დასრულდება. ასე რომ, ლექსი სულია მისთვის:

„და თუ ეს ლექსი უნდა იყოს უკანასკნელი,
მაშინ ეს მძორი ყვავებისთვის გასატანია".

იგი ოცნებობდა პოეზიის გზით თავისუფლების მოპოვებაზე, ამიტომაც წერდა:

„როგორც აფრის ტკაცუნი, მოვარდნილი ზღვიდან,
ისეთი ვაჟკაცური გაქროლება მინდაო".

ამავე ლექსში, „როგორც აფრის ტკაცუნი" რომ ჰქვია, წერია:

„მორთმეულია სამყარო გობით,
მხოლოდ აკლია ოქროდ დადნობა".

ამ სტრიქონებში უცნაური ძალით იჭრება ადამიანად ყოფნის ბედნიერების განცდა. ათასფერიანი სამყარო პოეტს მიერთმევა გაურჯელად, ხელის გაუნძრევლად, მაგრამ ღვთისგან შექმნილი ეს სამყარო თითქოს მოლოდინითაა სავსე. იგი პოეტის შეხებას ელის, თუ როდის და როგორ გადაადნობს იგი ამ სილამაზეს სიტყვებად:

„და ყოველ ყვავილს, ვარსკვლავს და კოპიტს
ჩემი ლექსისთვის მართებს მადლობა".

ამ ყვავილებს, ვარსკვლავებს, ხეებს, პოეზიაში უნდათ რომ ხელახლა

იშვან, სიტყვის წიაღში განიბანონ და ამგვარად ეზიარონ მარადისობას. ლექსის ყოველი წაკითხვა ხომ მათ გააცოცხლებს და დაბრუნებს ამ მადლიან სამყაროში.

პაოლოსთვის პოეზია მთავარი იარაღი იყო ცხოვრების უკუღმართობასთან საბრძოლველად. მას აქვს ლექსი „პოეტის საქმე", რომელშიც წერს, რომ მწერალი ისე უნდა შრომობდეს, როგორც მეგუთნე გლეხი: „და რაც კი ძალა მომეპოვება, მინდა ლექსებით გადმოლაგებაო".

პაოლო იაშვილი ლექსში „მგიდა – ჩემი პარნასი" წარმოაჩენს პოეტის დაუღალავ გარჯას რითმებისა და რიტმის, მხატვრული სახეების მოსახელთებლად. აქაც შთაგონება წარმოჩენილია, როგორც ვიღაცის, არამიწიერის, ღვთაებრივის, კარნახი:

„მარცვლების ძებნას დაიწყებს ცერი,
აავსებს წერილს წუხანდელ ცის დარდი,
და მღერის, მღერის კალამის წვერი,
კალამის წვერი – ბულბულის ნისკარტი".

არაჩვეულებრივი მეტაფორაა – „კალამის წვერი-ბულბულის ნისკარტი".

„არის საღვთო ბილიკები", პოეზიის წმინდა საუფლოსკენ მიმავალიო, – წერდა გალაკტიონი. ამ საღვთო ბილიკებზე სიარული მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს, მათ შორისაა, პაოლო იაშვილი, რომლის უპირველესი ასპარეზი პოეზია იყო. იგი ქმნიდა მშვენიერ ლექსებს და პოეტურ სახეებში გარდაქმნიდა განცდებს, ტკივილებს, სიხარულს, მთელ ცხოვრებას, მაგრამ განსაცდელად მძიმე დრო მოევლინა – კომუნისტური რეჟიმი ცდილობდა, თავისი იდეოლოგიის მქადაგებლად ექცია. ტიციან ტაბიძე წერდა მისთვის მიძღვნილ ლექსში:

„საქართველოს მზე გაანათებს სიცოცხლეს ლამაზს,
მაშინაც, როცა პოეზიით დავიღუპებით".

თითქოს წინასწარმეტყველებდა საშინელ მომავალს.

პაოლო რაინდული ბუნების კაცი იყო და იდეალებს ვერ უღალატებდა, ამიტომაც, როცა გამოსავალი ველარფერში ნახა, 1937 წელს, პროტესტის ნიშნად, მწერალთა სასახლეში საკუთარი სანადირო თოფით მოიკლა თავი. უფრო ადრე, 1922 წელს გაზ. „ბახტრიონში" წერდა: „ილია ჭავჭავაძემ დაამტკიცა, რომ საქართველოში თვითმკვლელობა და მკვლელობა – ორივე ბუნებრივი ხვედრია პოეტისათვის". სამწუხაროდ, ასეთი ბუნებრივი ხვედრი ერგო მასაც, მაგრამ მთავარი ისაა, რომ იგი ბოლომდე ღირსეულ პიროვნებად დარჩა. მისი თვითმკვლელობაც მისივე პოეზიის ნაწილად იქცა, თითქოს სისხლით დაწერა სიცოცხლის ბოლო სტრიქონები. განა, თვითონვე არ წერდა თბილისისადმი მიძღვნილ ერთ ლექსში:

„შენს ალაყაფთან მსურს დავალაგო ლექსები,
როგორც სისხლის წვეთები".

მართლაც, თბილისის ალაყაფთან სისხლის წვეთები ლექსის სტრიქონებივით დაალაგა.

მაია ჯალიაშვილი

„მინდა დღეს მივწერო დედას“

(პაოლო იაშვილის „წერილი დედას“)

ლექსში ჩანს სოფლის, მშობლიური გარემოს დიდი მონატრება.

„ცაზე ვერცხლის მერცხლები
სხედან ლურჯ ბუდეებში,
მთვარე ცივად ეცემა
შქერის ტყეში გამართულ
ტოტების ბუდეებში“.

ასეთი ლამაზი ღამეები იცოდა არგვეთში. ვარსკვლავები ლურჯ ბუდეებში შეყუჟულ ვერცხლის მერცხლებს ჰგავდნენ, მთვარე კი თეთრ ხოხობს. ალვის ხეებს „სირმიანი ნაბდები ეცვათ“ და ირგვლივ ყოველივე იდუმალების ბურუსში იყო გახვეული. სწორედ აქ, ამ გარემოში დაიბადა პაოლო იაშვილი. სოფელს ლამაზი სახელი ერქვა– არგვეთი და აქაურებიც ლამაზები იყვნენ, სიტყვის, ვაჟკაცობის, ერთგულების, სიყვარულის, სიცოცხლის ფასი იცოდნენ.

პაოლო იზრდებოდა ტრადიციულ ქართულ ოჯახში, სხვა ბავშვებივით ცელქი და დაუდგრომელი იყო, ოღონდ ეგაა, სხვებზე უფრო ხშირად უცემდა გული, როცა ახლად ამობრდღვიალებულ მთვარეს, მოულოდნელად გაშლილი ყვავილსა თუ მიწაზე დალანდულ უცნაურ ნაკვალევს შენიშნავდა. ეს შთაბეჭდილებები მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაჰყვა.

„წერილი დედას“ – ამ ლექსში იხატება ლირიკული გმირი, რომელიც შინაგანად აფორიაქებული, გაორებულია, თითქოს ქალაქში ადგილს ვეღარ პოულობს. ქალაქი მისთვის უდაბნოსავითაა, მიუხედავად ხალხმრავლობისა, ხმაურისა, იგი მაინც მარტოსულად და სულიერად ობლად გრძნობს თავს. ვის შეიძლება გაუზიარო დარდი გულწრფელად და ვისი თანაგრძნობისა შეიძლება გჯეროდეს, თუ არა დედისა, ამიტომაც ლირიკული გმირი სწორედ დედას წერს წერილს და გაუმხელს გულისტკივილს, ტანჯვას.

ლექსში წარმოჩენილია სოფლისა და ქალაქის დაპირისპირება. ლირიკული გმირი წუხს, რომ მიატოვა სოფელი, რომელიც მისთვის ერთგვარ სამოთხესავით მოჩანს ახლა და მას წარმოაჩენს, როგორც „მყუდრო სამყოფელს“, ამგვარი დახასიათება სოფლისა ხაზს უსვამს, როგორ დაცულად, უშფოთველად გრძნობდა თავს სოფლის გარემოში, ახლობელთა შორის. მის წარმოსახვაში სოფელი ერთგვარი შარავანდედით იმოსება. იხატება სოფლისთვის დამახასიათებელი დეტალები. თითქოს ჩვენც ვხედავთ ქვითკირის სურნელოვან მარნებს, სადაც ქვევრებში გამრჯე მამის მოწეული ყურძნის მათრობელა წვენი– ღვინო ასხია, ვხედავთ კატის კნუტებს, უთავბოლოდ, საყვარლად რომ დახტიან და თამაშობენ, ვხედავთ აღრეებულ სიმინდის ყანას. ეს ყოველივე ქმნის იდილიურ განწყობილებას. ამ მონატრებას უპირისპირდება ქალაქი. აქ სულ სხვა გარემოა. სიწმინდეს

– სიყალბე ცვლის, სიმშვიდეს – ხმაური. „ჰა! კინტოს პროფილი, საეჭვო ტარნები“ – „კინტო თბილისის ქუჩების ერთ–ერთი კოლორიტული ფიგურა იყო თავზე ხილით სავსე თაბახშემოდგმული, ან ვიწრო ქუჩაში ვირშებმული პატარა საზიდით მიმავალი კინტო. ყარაჩოღელის სიტყვა თამამი იყო და გულუბრყვილო. კინტოს მეტყველება – გაცვეთილი ფრაზები, შაბლონური, მშიშარა, ლაქუცა, მატყუარა. კინტოები შეუცვლელი მსმენელნი იყვნენ სხვისი საუბრისა და ასევე შეუცვლელი ენის მიმტან-მომტანები გახლდნენ. ყარაჩოღელის (ყრაჩოხელი შავ ჩოხიანს ნინავს) გადაგვარებულ სახეს კინტო ეწოდა (კვინტო ძველად კუდიანს ნიშნავდა). მიუხედავად იმისა, რომ უდარდელი და ზანტი კინტო მთელ სიცოცხლეს ლაზღანდარობასა და ყალთაბანდობაში ატარებდა, გულით მაინც სევდა და ნაღველი დაჰქონდა. ცხოვრებამ აიძულა იგი ქუჩა-ქუჩა ეხეტიალა. ცოცხალი, მკვირცხლი, მოძრავი, „ლოთიანი“ ქეიფის მოყვარული კინტო, რომელსაც თავზე ღვინით სავსე ბოთლი ედგა, არღნის ხმაზე ბაღდადით ხელში ცეკვავდა კინტოურს.

საეჭვო ტარნები –წერია ლექსში. ტარანი თევზია, რომელსაც ყიდიდნენ კინტოები. საეჭვო, ესე იგი, უხარისხო და საშიში იყო ხშირად მათი გაყიდული სურსათ-სანოვაგე. ყურადღებას იქცევს სტრიქონი: „და დავიკუნტები ქალაქის ქუჩებში მე – სალახანა“. ლირიკული გმირი თავს სალახანას უწოდებს, ესე იგი, ზნედაცემულ, გადაგვარებულ კაცად მიიჩნევს თავს. დავიკუნტები –ამ სიტყვით წარმოაჩენს, როგორ ცხოვრობს ქალაქში – არა ლაღად და მხარგაშლილად, არამედ მოკუნტული, რადგან თავი არა აქვს გამოსაჩენი, უკეთურ ხალხთან აქვს კავშირი, არ ცხოვრობს წესიერად და სირცხვილისგან თავიც ვერ აუწევია.

ლირიკული გმირის წარმოსახვაში ერთმანეთს ცვლიან ქალაქისა და სოფლის სურათები, თითქოს კინოსთვის დამახასიათებელ მონტაჟის ტექნიკას იყენებს პოეტი. ლირიკულ გმირს გული უტირის და ამიტომაც სამგზის მეორდება– ტირილი, ტირილი, ტირილი! ქალაქში თვითონ უსაქმოდ დახეტიალობს, ამ დროს კი სოფელში ხალხი ოფლს ღვრის, დილიდან საღამომდე გარჯაშია, რათა დოვლათი შექმნას: „ბზის განიავება, კალო და კევრი“– ეს სტრიქონი სოფლის მუხლჩაუხრელ ცხოვრებას თვალნათლივ წარმოაჩენს. აქვე შემოიჭრება განცდა იმისა, რომ სოფელში პატიოსნებაა უპირველესი დამახასიათებელი ადამიანებისა, იქ არავინ არავის ატყუებს: „მართალი ბათმანი“– სწორედ ამაზე მიანიშნებს. ბათმანი წონის ერთეული იყო. ქალაქში კი ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდი ათასგვარ სიყალბეს, მათ შორის, წონაში მოტყუებას. სიმბოლურად, სოფელში კაცს თავისი ღირსებებით აფასებდნენ, ქალაქში კი საეჭვო ზნეობის კაცსაც შეიძლება დაემსახურებინა ტაში და დიდება. ლექსში ვკითხულობთ: „ქალაქში მაწუხებს, მახელებს, / ყველა ყელსახვევი, შავი ხელთათმანი“. ყელსახვევი და ხელთათმანი მიათითებს ქალაქურ, ერთგვარად შებოჭილ, ოფიციალური მოვალეობებით სავსე ცხოვრებაზე. სოფელი თავისუფალია ყოველგვარი ყელსახვევისა თუ შავი ხელთათმანებისაგან.

პოეტს ახსენდება ბავშვობა, ოქროს ხანა, როდესაც უდარდელად და ლაღად ცხოვრებდა, არ იცნობდა სასტიკ წუთისოფელს. ბავშვობის მონატრებას ირეკლავს სტრიქონები:

„მინდა დღეს მივწერო დედას უსათუოდ,
იმღეროს მამასთან ის ნანა ტკბილი,
როცა გაიხარა, რომ მე მეჭრებოდა პირველი კბილი", – ამ სტრიქონებში ჩანს ბავშვობის უდარდელი, ლაღი, ოქროს ხანის მონატრება, როდესაც შორს იყო ცოდვისა და ბოროტებისაგან, როდესაც მშობელთა სითბო და ალერსი იცავდა. ლირიკული გმირი წერილში დედას გულწრფელად უმხელს, რომ ვერ გაამართლა მისი იმედები. მას სინდისი ქენჯნის, რომ ქალაქში უსაქმურად დაეხეტება, ამ დროს კი სოფელში უამრავი საქმეა გასაკეთებელი:

„როცა მე ქურდები მეგობრად მრაცხავენ,
სოფელში ვენახი გახდა მოსარწყავი.
და ვაზის ფურცლებზე ისე გალურჯდება იქ შაბიამანი,
ვით თვალის უპე – როცა მე არ მახურავს ღამეში საბანი."

შაბიამნით ვენახს წამლავდნენ, რათა მას ჭია არ გასჩენოდა. სწორედ შაბიამანივით ულურჯდება უპეები ტირილისაგან. ცრემლებს ღვრის იგი, რადგან უმშობლოდ, უმფარველოდ და უპატრონოდ გრძნობს თავს. ღამე რომ საბანი არ ახურავს მეტაფორულად სწორედ ამ უმფარველობაზე მიანიშნებს.

ლირიკული გმირი სთხოვს დედას, რომ ინახულოს წმინდა ხახული! ფეხშიშველი მივიდეს ტაძრამდე და ქალაქში დაკარგული შვილისთვის ღამე გაათიოს. ხახული ულამაზესი ეკლესიაა ტაო-კლარჯეთში. იქამდე ფეხშიშველი მისვლა დიდ ტანჯვასა და სიძნელესთან იქნებოდა დაკავშირებული, ესე იგი, რა დიდი მსხვერპლი უნდა გაეღო დედას, რომ ღმერთს მისი შვილისთვის ეპატიებინა,

საოცრად გულშიჩამწვდომია ვედრება ღვთისადმი:

„ღმერთო! აპატიე – მე თუ ვერ მიშველი,
დედას, რომ დაგინთო ჩემ სიგრძე სანთელი,
მისთვის, რომ ჩემს გულში დაყუჩდეს გრიგალი და კორიანტელი".

მე კი არა, დედაჩემს აპატიე, დედის ლოცვა შეისმინეო, დედისა, რომელიც შვილის კარგად ყოფნას ევედრება უფალს.

პოეტი მეტაფორულად გამოხატავს, რა ხდება მის გულში – „გრიგალი და კორიანტელია". ეს იმას ნიშნავს, რომ გზააბნეული ცხვარივითაა, ფარას აცდენილი, არ იცის, რა ქნას, ვერ გაურკვევია თავისი არსი და მიზანი. დედამ უნდა შეძლოს მისი დახმარება, მხოლოდ მას შეუძლია შვილი დაღუპვას გადაარჩინოს.

პაოლოს მეგობარი სერგო კლდიაშვილი იხსენებდა, ერთ დღეს მეგობრები, თვითონ, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე ქუთაისში შეიკრიბნენ და ქალაქგარეთ გაისეირნეს. მდინარე წყალწითელაზე ერთ წისქვილში შევიდნენ. ჭაღარა მეწისქვილემ გაკვირვებით შეგვავლო თვალი ქალაქურად ჩაცმულ ახალგაზრდებს. მისი გაკვირვება ბუნებრივი იყო. საფქვავის მიმტანს არ ვგავდით, გამხმცდელად შეგვათვალიერა და ფრთხილად იკითხა, ვინ ვი-

ყავით, რა საქმეზე მივედით. ტიციანის პასუხმა, რომ პოეტები არიან და აქ ღამის გათევას აპირებენ, მეწისქვილე საგონებელში ჩააგდო. არა, ასეთი ახირებული ხალხი არასოდეს სწვევია. სიტყვა პოეტებიც მას არაფერს ეუბნებოდა, მაგრამ რაიმეს შიშის საბაბიც არ ჰქონდა. მართალია არეული დროა, მტაცებლები თავისუფლად დათარეშობენ, მაგრამ თუ ესენი ავაზაკები არიან, აქედან წასაღებს ვერაფერს იპოვიან, რას უნდა დაეხარბონ? ფქვილსა და ტომრებს? კი, ბატონო, შემოდით–არცთუ სტუმართმოყვარეობით შეგვიპატიჟა. პოეტები ჩამოსხდნენ ტომრებზე. სანდრო ცირეკიძემ მეგობრებს ახლად გამოცემული მალარმეს ლექსები და პროზა აჩვენა. მერე ლექსების კითხვა დაიწყეს. ამ უჩვეულო ამბავმა გარეთ გააღწია და მალე წისქვილში ცნობისმოყვარე ხალხი მოგროვდა. მერე გლეხების პატივსაცემად თქვეს ლექსები. ერთს დოქით ღვინოც აღმოაჩნდა და სადღეგრძელოებიც დააყოლეს. პაოლომ წაიკითხა „წერილი დედას“. გლეხებს ესმით სიტყვები: „ბზის განიავება, კალო და კევრი, სოფლის სიწმინდე, მართალი ბათმანი“– ეს სტრიქონები ადვილად სწვდება მათ გონებას, ცხადად ჩანს, რომ იწონებენ, ერთმანეთს კმაყოფილებით გადახედეს, პაოლოსაც სიმპათიით შესცქერიან. უეცრად ესმით ასეთი სტრიქონები: „და დავიკუნტები ქალაქის ქუჩებში მე სალახანა“, შემდეგ; „როცა მე ქურდები მეგობრად მრაცხავენ“ და ბოლოს: „დედა, ინახულე შენ წმინდა ხახული, წადი ფეხშიშველი, ქალაქში დაკარგული შვილისთვის ღამე გაათიე“. ეს სიტყვები, როგორც ჩანს, გლეხებმა თავისებურად გაიგეს გაიგეს, როგორც აღსარება და სინანული. აქამდე თუ გახარებული თვალით შესცქეროდნენ, ახლა დაეჭვებით და ერთგვარი შეცოდებით შეჰყურებენ. ასეთ ლამაზი ვაჟკაცი, კარგად ჩაცმული, და თურმე ყოფილი ქურდი... უეცრად ტიციანის სიცილი გვესმის... მეწისქვილეს მისთვის ეკითხნა: დიდი ხანია, რაც ის ყმაწვილი ციხიდან გამოუშვეს? მაშინვე პაოლოს გააგებინა, რაც მოხდა. საჭირო გახდა განმარტება, რაც მეურმეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. არ ვიცი დაიჯერეს თუ არა საბოლოოდ, ოლონდ ის კი იყო, ისევ ხალისიანად შემოგვცქეროდნენ“.

გურამ ასათიანი ამ ლექსის შესახებ წერდა: პაოლო იაშვილის ლექსი „წერილი დედას“ წარმოადგენს ძველ, იდილიურ საქართველოსთან გამოთხოვებას.

ძველი სამყარო: წინაპართა მყუდრო სამყოფელი, ქვიტკირის მარნები, ბზის განიავება, მართალი ბათმანი – აქ დანახულია ქალაქის მტვრიანი, ვნებით გახელებული ქუჩებიდან, სრულიად ახალი ფსიქოლოგიის, ახალი სულიერი წყობის ადამიანის თვალით.

„ცისფერყანწელები“, პირველნი ქართულ მწერლობაში, შეეცადნენ პოეზიაში ე.წ. ურბანისტული მსოფლშეგრძნების შეტანას.

ამ თვალსაზრისით, პაოლო იაშვილის ლექსი „ფარშევანგები ქალაქში“ წარმოადგენს თანამედროვე ქალაქის ერთ-ერთ პირველ ლირიკულ პეიზაჟს XX საუკუნის ქართულ პოეზიაში.

სიცხიანი, ჰალუცინაციებით აბოდებული ქალაქი, სადაც ლურჯი ჰაერი დამსხვრეული შუშის მტვერივით ელავს, სადაც სნეული ძაღლები ქუჩებში ყრიან და თვალებახვეული ცხენები მკერდს იხევენ რკინის სვეტებზე,

პაოლო იაშვილს წარმოუდგებოდა მისტიკურ კოცონად, რომელშიც უმწეო მშვენიერ ფრინველებთან ერთად სამუდამოდ იწვოდნენ პოეტის წმიდა-თაწმიდა ილუზიებიც, და ეს სისხლიანი სასაკლაო, როგორც მთვრალ ხარს, ისე იზიდავდა პოეტის შთაგონებას.

რასაკვირველია, ეს იყო სიმბოლისტის თვალით დანახული ქალაქი, უფრო ირეალური, ვიდრე ნამდვილი, მაგრამ ეს არ ყოფილა მხოლოდ და მხოლოდ ესთეტის მიერ შეთხზული ლამაზი ბუტაფორია.

„ცისფერყანწელები" სინამდვილეში იყვნენ სწორედ ის გულჩვილი, გასული საუკუნის იდილიებზე გაზრდილი ბავშვები, რომლებიც ახალმა საუკუნემ დიდი ქალაქის ქუჩებში გამოყარა და რომელნიც ამაოდ ცდილობდნენ ჭრელი ქაღალდის ნიღბებში დაემალათ თავიანთი შიში და ძრწოლა ამ უცნობი სინამდვილის წინაშე. ისენი იყვნენ ადრე დაბერებული, წამებული ბავშვები, რომლებიც სულის სიღრმეში ატარებდნენ სიყვარულის, ალერსის, სათნოების მწვავე მოთხოვნილებას.

სწორედ ეს სიყვარული და სითბოა, რომელიც სოფლიდან ქალაქში თან ვერ წამოუღია ლირიკულ გმირს და ახლა დედასთან მიწერილ წერილში წარმოაჩენს თავის გულისტკივილს.

მაია ჯალიაშვილი

სიყვარულის ტკბილ-მწარე ტყვეობაში

(პაოლო იაშვილის „დარიანული“)

პაოლო იაშვილს გამორჩეული ხმა აქვს პოეზიაში. „და მღერის, მღერის კალამის წვერი, კალამის წვერი – ბულბულის ნისკარტი“. სწორედ ასე წარმოუდგებოდა მას პოეზიის მიზანი, მკითხველი მშვენიერებისთვის ეზიარებინა, თანაც, ეს მშვენიერება უნდა ყოფილიყო იდუმალი, მიუწვდომელი, როგორც ბულბულის ნამღერი, რომელიც მიწას მოგწყვეტს, ფრთებს გამოგასხამს და მეცხრე ცაზე აგიყვანს.

საოცრად ლამაზი სულის პატრონი იყო პაოლო, მეგობართა წრეში გამორჩეული სილაღით, სითამამით, მისი გადამდები სიცოცხლის ხალისი უცებ აქარწყლებდა დარდსა და ნაღველს. 1916 წელს სწორედ მისი თაოსნობით ქუთაისში გამოვიდა ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, რომელმაც ქართული პოეზიაში მოიტანა ახალი სუნთქვა. პაოლო იაშვილი ჟურნალის „პირველთქმაში“, საოცარი ენერგიით რო არის დამუხტული, წერდა:

„საქართველოს მგოსნებს! ყველა მეოცნებეს! ქართველ ხალხს! ისმინეთ ყველამ ჩვენი ქადაგება! მრავალის სასიკვდილოდ გავჩნდით ჩვენ ბინძური მზით გამთბარ ქვეყანაში, სადაც ხალხმა დაკარგა მშვენება სითამამისა. საქართველოს ლანდურ არსებას მოვევლინეთ ჩვენ ახალი სხივმოსილებით და ოცნებადაკარგულ ხალხს ვასწავლით განწმენდილ გზას მომავლის ციფერი ტაძრისაკენ!.. „საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი, ადიდე, ხალხო, ეს ჩვენი მრისხანე ქალაქი, სადაც გიჟური გატაცებით ჯამბაზობდნენ ჩვენი ლოთი ძმები: – ვერლენი და ბოდლერი, მალარმე, სიტყვების მესაიდუმლე და არტურ რემბო, სიამაყით მთვრალი, დაწყევლილი ჭაბუკი“. ასეთი სითამამით დაიბადა საქართველოში სიმბოლისტური სკოლა. პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, სანდრო ცირეკიძე და სხვა ცისფერყანწელები ქმნიდნენ ახალ ესთეტიკას, ახალ პოუტურ კულტურას ამკვიდრებდნენ. სწორედ ამ ჟურნალში მან თამამად განაცხადა ლექსით, რომ აღარ სურდა ძველ კერპთა მსახურება: „პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე, /ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა, შექსპირს უარი, /რა ვქნა, რომ ჩემთვის ბეთჰოვენი მხოლოდ ყრუ არი“.

ცისფერყანწელებმა ქართული პოეზიის ევროპის რადიუსით გამართვა მოიწადინეს, როგორც ტიციან ტაბიძე წერდა, მომავალ დიდ ქართველ პოეტში უნდა „შეერთებულიყო რუსთაველი და მალარმე“.

ან კიდევ, პარალელს ავლებდნენ ასურელ მამებთან. მათსავით ცამეტნი ვართ, და თუ ისინი ორთოდოქს ქრისტიანობას ამტკიცებდნენ საქართველოში, ჩვენ ჭეშმარიტი პოეზიის იდეალებს ვამკვიდრებთო.

ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“ მხოლოდ ერთი ქალის სახელი გამოჩნდა: ელენე დარიანი –ულამაზესი ლექსით „პირამიდებში“. ვინ იყო ეს ქალი „ასეთი ცისფერი“? გალაკტიონის ცნობილი სტრიქონები რომ მოვიხმოთ?

თანაც, რა უცნაური და ლამაზი გვარი ჰქონდა – დარიანი. მეხის გავარდნას ჰგავდა მისი ლექსები. არავინ იცოდა მისი ვინაობა. ზოგი გაოცებულიყო მისი სითამამით, რადგან მის ლექსებში ისე შიშვლად იყო საუბარი ქალის ვნებებზე, ინტიმურ განცდებზე, ზოგი აღტაცებულიყო და ზოგიც მზად იყო ინკვიზიციის ცეცხლზე საჯაროდ დაეწვა ქართველ ქალთა შემარცხვენელი.

მხოლოდ მეგობრებმა იცოდნენ, რომ ელენე დარიანის მშვენიერი ნიღბის მიღმა იმალებოდა პაოლო იაშვილი. სწორედ მან შექმნა დარიანული ლექსების ციკლი, რომლის ავტორად ელენე დარიანი გამოაცხადა. გვარი დარიანი აიღო სახელგანთქმული ესთეტის, ოსკარ უაილდის პერსონაჟის, დორიან გრეის, სახელიდან, დორიან –დორიანული– დარიანული. უფრო მჟღერი და ლამაზია დარიანული.

ეს ლექსი „დარიანული“ სწორედ ამ ციკლიდანაა:

„დაიტანჯა
მაჯა
მარჯნის
მძიმე ჯაჭვის
ტარებით.
მე ლოყაზე
დამრჩა ფარჩა
ცხელი პირის
მიკარებით.
დაიტანჯა
მაჯა
მარჯნის
მძიმე ჯაჭვის ტარებით.
ბევრი ცრემლი
დამეხარჯა
ერთი პირის მიკარებით.
დაიტანჯა
მაჯა
მარჯნის
მძიმე ჯაჭვის ტარებით.
ჩემს დამტანჯველს
ღმერთი დასჯის
ქაჯად გადაგვარებით".

ლექსის ლირიკული გმირი ქალია, რომელიც შთამბეჭდავად გადმოგვცემს სიყვარულით გამოწვეულ ტანჯვას.

ლექსი ძალიან მუსიკალურია. მუსიკის განცდას იწვევს ალიტერაციები.

„დაიტანჯა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით“. აქ ალიტერაცის ქმნის ჯ და ტ თანხმოვნების გამეორება. თანაც ეს სტრიქონი სამჯერ არის გამეორებული.

ლექსის ხერხემალია ტანჯვის განცდა – რომელმაც მოიყოლა სიტყვები – მაჯა, მარჯანი, ჯაჭვი, დაიტანჯა.

მარჯნის ჯაჭვი ქალის ულამაზესი სამკაულია, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მარჯნის ეს სამაჯური ქალს სატრფომ დაუტოვა სახსოვრად. ეს მისთვის ერთდროულად სიხარულისა და ტანჯვის მომგვრელია. შეიძლება ამიტომაც სამაჯურის ნაცვლად პოეტი იყენებს სიტყვა ჯაჭვს, თითქოს ამ მარჯნის ჯაჭვით არის დაბმული, დატყვევებული და არ შეუძლია მისგან გათავისუფლება: ეს ტყვეობა ტკბილ-მწარეა. ალექსანდრე ჭავჭავაძე რომ წერს ლექსში: „სიყვარულო ძალსა შენსა: „თუ შენ ხარ ვნების მიზეზი ლხენაც შენგან არ გვეძლევის?“ სიყვარულთან დაკავშირებული ტანჯვით სავსეა მსოფლიო ლიტერატურა, მათ შორის ქართულიც და უპირველესი წიგნი სიყვარულისა – „ვეფხისტყაოსანი“, როგორ შეიძლება ვინმეს დაავიწყდეს სატრფოს დაკარგვით დატანჯული ტარიელის მდუღარე ცრემლები და გლოვა.

აქ ყურადღებას იქცევს ის, რომ ამ სიტყვათა ავტორი ქალია, თუმცა ისიც შეიძლება გავიხსენოთ, რომ სიყვარულის გამჟღავნებაში ქალთა სითამამის მაგალითი „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს: გავიხსენოთ, როგორ ხვდება თინათინი ავთანდილს, როდესაც პირველად დაიბარებს და სიყვარულს გაუმხელს:

„გაძრცვილსა ტანსა ემოსა ყარყუმნი უსაპირონი, ებურა მოშლით რიდენი....“.

გაძრცვილი ნიშნავს, რომ ის არ არის სამეფო სამოსით შემოსილი, არამედ მსუბუქად აქვს მოსხმული ყარყუმის ულამაზესი მოსასხამი, რომლის მიღმაც ალბათ ნათლად ილანდება მისი უმშვენიერესი სხეული.

ელენე დარიანის ლექსების ლირიკული გმირი საუბრობს თავის ვნებასა და ლტოლვაზე, მას არ ერიდება მკითხველისა: „მე ლოყაზე დამრჩა ფარჩა ცხელი პირის მიკარებით“. ეს მეტაფორაა, ლოყაზე დარჩენილი ფარჩა – ცხელი კოცნის კვალია. რომელიც წითელი აბრეშუმივით ატყვია თეთრ პირისკანს. ეს ნაკვალევი ტანჯავს ქალს.

„ბევრი ცრემლი დამეხარჯა ერთი პირის მიკარებით“ – მკითხველს გულისნადებს უმხელს ქალი. ბევრი ცრემლის დახარჯვა მიანიშნებს მის დაბრკოლებით, წინააღმდეგობით აღსავსე სიყვარულზე. ეს ყოველივე კი აღვიძებს მკითხველის ცნობისწადილს, ვინ შეიძლება იყოს მისი სატრფო, რომელმაც მიატოვა და ასე დატანჯა. მიტოვებული ქალის გულში შურისძიების გრძნობა იღვიძებს.

მსოფლიო ლიტერატურა სავსეა მიტოვებული ქალების ტკივილითა და თუ მათი სასტიკი შურისძიების უამრავი მაგალითით (მხოლოდ კოლხი მედეას გახსენებაც კმარა, რომელმაც ევრიპიდეს პიესის მიხედვით, მოღალატე იაზონზე შური იმით იძია, რომ შვილები დახოცა). მაგრამ ამ სტრიქონის წაკითხვაზე ჩვენ უმალ „ვეფხისტყაოსნის“ ნესტანი გვახსენდება: თათბირის შემდეგ რომ დაიბარებს ტარიელს. ამ თათბირზე, როგორც გახსოვთ, მეფე-დედოფალმა, ტარიელის უტყვი თანხმობით, ნესტანის ხვარაზმშაზე გათხოვება გადაწყვიტა. არადა, ნესტანსა და ტარიელს არა მხოლოდ უკვე გამხელილი ჰქონდათ ერთმანეთისთვის სიყვარული, არამედ ერთგულებაც შეფიცული. წარმოვიდგინოთ, როგორ შედის ტარიელი ნესტანთან და რას

ხედავს: „ქვე წვა ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირგამეხებული, /არცა მზე ჰგავდა, არც მთვარე ხე ალვა ედემს ხებული“. ნესტანი ერთდროულად სამოთხის ხესავით მშვენიერი იყო და თან ვეფხვივით სასტიკიც. მათ დაძაბულ საუბარში კი გამოჩნდა, რას უპირებდა ნესტანი მოღალატე ტარიელს, დაემუქრა, გადაიკარგე ინდოეთიდან, თორემ არ გაცოცხლებო და თან იმის თქმაც არ დაავიწყდა: „ჩემისთანას ვერსად ნახავ, ცათამდისა ხელი აჰყოვო“. მთელი ქვეყნიერება რომ მოიარო, მეტაფორულად, ზეცაშიც რომ მოძებნო, ჩემს შესადარებელს ვერ იპოვიო.

პაოლო იაშვილის ლექსშიც ასეთი მუქარაა, ღმერთი დასჯის ჩემს დამტანჯველს და ქაჯად გადააქცევსო. სწორედ ქაჯები მოიტაცებენ ნესტანსაც და კოშკში გამოამწყვდევენ, რაც ლირიკული გმირის დიდ ტანჯვას იწვევს. ასე რომ, ქაჯის ხსენებასაც ისე „ვეფხისტყაოსნის“ გმირებთან მივყავართ. ცხადია, ელენე დარიანის სიყვარული შთაგონებულია „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სიყვარულით, ოღონდ მეტი სითამამეა. ნესტანისა და თინათინის სითამამე შუა საუკუნეებისთვის იყო ერთგვარად გასაოცარი, მეოცე საუკუნეში კი მათი შთამომავალი და მემკვიდრეა ელენე დარიანი, რომელიც თავისუფალია და ამაყი.

პაოლო იაშვილს აღმოაჩნდა გასაოცარი გარდასახვის უნარი. მან ქალის სამყარო ხელისგულზე გადმოშალა, თუმცა ეს არც არის გასაკვირი. მსოფლიო ლიტერატურაში ქალთა სახეების შემქმნელნი ხომ უმეტესად კაცები არიან. „მადამ ბოვარი ეს მე ვარ“, –გავიხსენოთ გუსტავ ფლობერის სიტყვები. მოპასანის „წუთისოფელი“, სტეფან ცვაიგის მოთხრობები. შიო არაგვისპირელის ნოველებშიც გამოჩნდა ქალის ფსიქოლოგია, მაგრამ პაოლო იაშვილის ელენე დარიანი მაინც პირველი თამამი ქალია ქართულ პოეზიაში.

გრიგოლ რობაქიძემ ლექსი მიუძღვნა ელენე დარიანს:

„ვიჩქაროდი შენკენ, ტურფა... გული ტოკდა, სული მღეროდა, -
სისხლი ტანში ხალისობდა, თვალ – წამწამი აგიშერდა“....

ცნობილია, როცა ქუთაისის საზოგადოების წინაშე პირველად წაიკითხა პაოლომ ეს ლექსები, რამდენიმე ქალი პროტესტის ნიშნად დარბაზიდან გავიდა. .ამის შესახებ წერდნენ მაშინდელი გაზეთები.

„იქ, სადაც სდუმან პირამიდები,
მზის ქორწილის დროს მე დავწვები მზისფერ სილაზე,
იქ, სადაც სდუმან პირამიდები,
შენ მომინდები, შენი თვალები, შენი მკლავები,
შენი სინაზე.
შენ მოგაფრენს ცხენი არაბული,
თვალ დანაბული, საყვარელ ხელებს მივეცემი
როგორც ნაზ საწოლს და შენ დამკოცნი
ვით დედოფალს, ვით მონას და ცოლს.
ტკბილი იქნება ცხელ სილაზე ჩვენი თამაში,
მზიურებს მაშინ არაფერი მოგვაგონდება...
პირამიდებში ატირდება ლოდინით რაში

ლურჯ სფინქსთან მივა, დიდხანს უცქერს და დაღონდება.
სილიან ტანით მდინარისკენ გავეშურებით
მწვანე ტალღებში დავამშვიდებთ ჩვენს ვნებას ალურს;
გამოფხიზლდება შენი რაში სფინქსის ყურებით,
დაუწყებს ძებნას უდაბნოში თავის სიყვარულს.
("პირამიდები").

ეს იყო სრულიად უცხო პოეტი ქალი, რომელიც ლექსებში წერდა თავის შიშველ სხეულსა და ვნებებზე, ლტოლვებზე. სატრფიალო პოეზიის ფასი კარგად იცოდა ქართველმა მკითხველმა –ბესიკის მიერ მხატვრულად გარდასახული ხორციელი თუ ბარათაშვილის სულიერი, ამაღლებული სიყვარული, მაგრამ ელენე დარიანის ლექსებში სულ სხვანაირი განცდები აისახა.

ამიტომაც იყო რომ ჟურნალ გაზეთებში გამოჩნდა, როგორც უარმყოფელი, ასევე მაქებარი შეფასებები:

„ელენე დარიანი საშიშია. მას ტემპერატურა აწეული აქვს... სულიერი საუნჯე ელენე დარიანს არ გააჩნია. მას არ მოეპოვება ქალური მოკრძალება, არც სინაზე. ტლანქია და ის ჩვენს პოეზიას არაფერს მატებს", – აცხადებდა გაზეთი „სამშობლო" 1916 წელს.

გრიგოლ რობაქიძე წერდა („სახალხო ფურცელი"): „ჩვენში ბევრი ლექსი იწერება ვნების შესახებ, მაგრამ სულ ცოტა მათგანი თუ მოგვცემს ნამდვილი ვნების გრძნობას. ეს ლექსები კი ნამდვილი გრძნობის ვნებას გადმოგვცემს და არა მშრალ სიტყვას".

„ცისფერყანწელი" შალვა აფხაიძე ჟურნალ „ბახტრიონის" ფურცლებზე ამბობდა: „ქართულ პოეზიაში არ არის ქალური სინაზე უდავოდ. ერთადერთია ელენე დარიანი, რომელმაც ქართულ პოეზიაში ეს შეიტანა".

ტიციან ტაბიძე ჟურნალ „ცისფერი ყანწების" ფურცლებიდან ქართულ საზოგადობას პირდაპირ ადანაშაულებდა ქართული ლექსის ჩარჩოში ჩაკეტვის გამო და დარიანული ლექსების პორნოგრაფიად გამოცხადებისთვის: „ვინ არის დამნაშავე, რომ ქართული პოეზია ისე დაასაჭურისეს, რომ პორნოგრაფიად ითვლება გრიგოლ რობაქიძისა და ელენე დარიანის ლექსები?!"

ვალერიან გაფრინდაშვილი ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებში" საქართველოში პირველი კლასიკური სონეტის ავტორად პირდაპირ ელენე დარიანს ასახელებდა: „ელენე დარიანმა დაწერა პირველი კლასიკური სონეტი ჩვენში".

ლიტერატურის ისტორიამ იცის ბევრი დავა ამა თუ იმ საკითხზე. სკანდალს ვერც ელენე დარიანი გადაურჩა. მის გამოჩენისთანავე გაიმართა დიდი სჯა-ბაასი, აღშფოთებულნი იყვნენ მისი ამორალურობით.

შემდეგ, მოგვიანებით, ამას დაემატა ახალი სკანდალი – გამოჩნდა ქალი ელენე ბაქრაძე, რომელმაც განაცხადა, რომ ელენე დარიანი არ იყო მისტიფიკაცია, ე.ი. გამოგონილი და თვითონ, რეალური ელენე იყო მის ნიღაბს ამოფარებული. გბირკვა მისი და პაოლოს სამიჯნურო ურთიერთობაც – მათი სიყვარულის წერილებით. ამ თემაზე საინტერესო გამოკვლევები დაიბეჭდა, გამოვარჩევთ ლალი ავალიანისა და გიორგი ჯავახიშვილის წერილებს – მათ შორის გამართულ ერთგვარ პოლემიკას. ლალი ავალიანი –

პაოლოს ინტერესთა დამცველი (წიგნი „პაოლო იაშვილი“ და სხვა წერილები), გიორგი ჯავახიშვილი – ელენე ბაქრაძისა.

გიორგი ჯავახიშვილი ზედმიწევნით გაეცნო ელენე ბაქრაძის პირად არქივს. მან აღნიშნულთან დაკავშირებით გამოსცა წიგნი „ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე“. ელენე ბაქრაძე იმით ხსნიდა შენიღბვას, რომ უკვე გათხოვილი ქალი იყო და არ სურდა „აღვირახსნილი“ დაეძახათ – სწორედ ამგვარად მოიხსენიებდნენ ეროტიკული ლექსების ავტორს. ელენე ბაქრაძე, მართლაც, იყო პაოლოს მუზა. პოეტი მას ლექსებში ელლიდ მოიხსენიებდა. მათ ერთმანეთი დაოჯახებამდე გაიცნეს, 1912 წელს. პირველი შეხვედრისთანავე ერთმანეთის მიმართ საოცარი ლტოლვა გაუჩნდათ, მაგრამ დაშორდნენ და შემდეგ შეხვედრაზე ორივე დაოჯახებული იყო.

. პაოლოს წერილიდან: „არა მაქვს უფრო მშვენიერი ფიქრები, ვიდრე ფიქრები შენზე და რაც უფრო შორს ხარ, მით მეტად ვგრძნობ, რომ სიცოცხლე უშენოდ არის გამოუთქმელ სევდათა სასაფლაო“. პაოლოს სიყვარულს ირეკლავს ეს ლექსიც: „სონეტი ელლის“:

„სონეტით მინდა ჩემი გრძნობა შენდამი, ელლი,
შენს სულს გადავცე... მაგონდება სოფელი შორი;
ერთმანეთს შევხვდით; ყვავილებით ხარობდა ველი;
იყავი ნაზი ისე, როგორც ტყის ნიამორი.
მე შემიყვარდი... და მიყვარხარ... და მარად გელი,
მე მინდა შენი სიახლოვე, შენი ამბორი;
შენთვის ვოცნებობ მე სონეტით მადიდებელი,
და შენით, ელლი, ანთებული მზის თანასწორი...
ყვავილებია ჩემ გარშემო!.. მაისი მინდა...
ჩემო ბაღებო, აყვავილდით, იმხიარულეთ!..“

მიუხედავად საგულისხმო მტკიცებულებებისა, ჩვენც პაოლო მიგვაჩნია ამ ლექსთა ავტორად.

დარიანულ ციკლში სულ 14 ლექსია, რომლებიც წარმოაჩენენ მშვენიერ ქალს, რომელმაც იცის პოეზიის ფასი, გატაცებით კითხულობს ფრანგი, რუსი თუ ქართველი პოეტების ლექსებს, განსაკუთრებით მოსწონს ანა ახმატოვა და მასთან სულიერ ნათესაობას გრძნობს და, რაც მთავრია, თამამად, მაგრამ დახვეწილად, არაჩვეულებრივი მხატვრული სახეებით გადმოსცემს თვაის ფიქრებს.

დარიანული ციკლის ლექსები მკითხველს არწმუნებს პაოლო იაშვილის პოეტური გარდასახვის დიდ ოსტატობაში.

მაია ჯალიაშვილი

სიცოცხლისა და სიკვდილის განუყოფლობის საიდუმლო

(ვალერიან გაფრინდაშვილის „პროვინციალური გაზაფხული“)



ვალერიან გაფრინდაშვილი (1889 – 1941)

ვალერიან გაფრინდაშვილი ცისფერყანწელთა ორდენის ერთგული რაინდი გახლდათ, წმინდა პოეზიას რომ ემსახურებოდა თავისი ლექსებით. ის გამორჩეული იყო ქართველ სიმბოლისტთა შორის, როგორც ყველაზე ნაფიცი აღმსრულებელი სიმბოლისტური ესთეტიკის პრინციპებისა. ამავე დროს, მნიშვნელოვანია მისი წერილები ქართული თუ უცხოური ლიტერატურეს ნიმუშებსა თუ ზოგად თეორიულ საკითხებზე, რომლებიც ქართული სიმბოლიზმის ერთგვარ თეორიულ წყაროებადაც მოიაზრებოდა. ამასთან, იგი აქტიურად თარგმნიდა უცხო ენიდან და ქართულ ლიტერატურას ამ თვალსაზრისითაც ამდიდრებდა.

მისი სიმბოლისტური ლექსების ციკლს მიეკუთვნება „პროვინციალური გაზაფხული“, გამორჩეული მხატვრული სახეების სიუხვითა და სილამაზით.

ფერის, სურნელისა და მუსიკის სინთეზი – სიმბოლისტთა მიერ აღიარებული – ვალერიან გაფრინდაშვილისთვისაც მნიშვნელოვანია. ის ცდილობს პოეტური სათქმელის დახვეწილად, ნატიფად გადმოცემას. ყურადღებას იქცევს ლექსის სტილის ერთგვარი ორნამენტულობა, რასაც ტროპთა სიუხვე ქმნის, რომელთა საშუალებითაც პოეტი ლექსის მთავარ სათქმელს ერთგვარ იდუმალების ბურუსში ახვევს, რათა მკითხველი სამყაროს უზოგადეს კანონზომიერებაზე – სიკვდილ-სიცოცხლის განუყოფლობაზე დააფიქროს და სიღრმისეული ანალიზიკენ უბიძგოს.

ლექსი სათაურიდანვე განაწყობს მკითხველს. პროვინციალური გაზაფხული მკითხველს უჩენს მოლოდინს, რომ ლექსში საუბარი იქნება ბუნების გაღვიძებასა და განახლებაზე, ყოველივე იმაზე, რასც გაზაფხულის ხსენება იწვევს. აქ ყურადღებას იქცევს ეპითეტი პროვინციალური (სწორი ფორმაა პროვინციული, თუმცა „მცდარი“ ფორმა უფრო მუსიკალურია. აქ ა თითქოს აუცილებელია სიტყვა გაზაფხულში ორ ა-სთან შეხმიანებისთვის).

პროვინცია დედაქალაქისგან მოშორებულ ადგილს ეწოდება. ლექსში საუბარია ქუთაისურ გაზაფხულზე, თუმცა ეს ქალაქი ნახსენები არ არის, მაგრამ „კათოლიკურ“ ეკლესიაზე მინიშნება და პოეტის ქუთაისური წარმომავლობა ამას ადასტურებს.

ლექსის მთავარი სათქმელი, როგორც აღვნიშნეთ, სიკვდილ-სიცოცხლის განუყოფლობის გააზრებაა. ეს მარადიული თემაა მსოფლიო ლიტერ-

ატურისთვის და ქართულ მწერლობაშიც არაერთი შესანიშნავი ნიმუშია ამ თემაზე შექმნილი.

„წუთისოფელი რა არის
აგორებული ქვა არი,
რა წამსაც კი დავიბადებით,
იქვე სიკვდილი მზა არის" (ხალხური).

გურამიშვილის წუთისოფლის ორგემაგობა – სიცოცხლე სიკეთეა და სიკვდილი – ბოროტება.

ვაჟა ფშაველამ სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთობას სულ სხვა დატვირთვა მიანიჭა: „შენი ჭირიმე, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა". ასე რომ, ვალერიან გაფრინდაშვილს ტრადიციის სახით ჰქონდა ერთგვარი მზა პარადიგმები (მაგალითები) სიკვდილ-სიცოცხლის განუყოფლობისა. თუმცა პოეზიას ის ჯადოსნური ძალა და ამოუწურავი შესაძლებლობა აქვს, რომ ნაცნობ თემას სრულიად ახალი „ნახატით" გვთავაზობს.

ბიბლიური „არაფერია ცისქვეშეთში ახალი" უეჭველი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ყოველი ნიჭიერი პოეტი თავისებურად გამოთქვამს ათასჯერ ნათქვამსა და გამეორებულს. ამ ლექსშიც სწორედ ამ აზრის დადასტურებას ვხედავთ.

მას შემდეგ, რაც პოეტმა მკითხველი სათაურიდანვე შეამზადა ლექსისთვის, პირველ სტრიქონებიდანვე გამოიწვია არა გაზაფხულის სურათებით დასატკბობად არამედ დასაფიქრებლად, სააზროვნოდ.

„ცვალებადია დრო და ალაგი.
ახლა მაისმა მოსვლა ინებოს,
როგორც პოეტი, ელის ქალაქი
თეთრი ტყემლებით დაგვირგვინებას".

დრო-სივრცის (დრო და ალაგი) ცვალებადობა წარმოჩენით პოეტმა ხაზი გაუსვა ცხოვრების დაუდგრომლობას, მდინარებას – ყველაფერი იცვლება, ადამიანიცა და გარემოც. დღეს ღამე ცვლის, ღამეს დღე, ხან გაზაფხულია, ხან ზამთარი და ა.შ. ახლა კი გაზაფხულია. ოღონდ ამ აზრს პოეტი გაპიროვნებით წარმოაჩენს: „მაისმა მოსვლა ინებოს". მაისი გაცოცხლებულია სიტყვით „ინებოს" – მას აქვს ნება, სურვილი. ის თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, მოვიდეს თუ არა. ამგვარად, პოეტს, შეჩვეულ და ამიტომაც დაუნახავ მოვლენაში – მაისის მოსვლა – ახალი ნიუანსი შეაქვს. ეს უკვე ხედვის განსხვავებული რაკურსია. მკითხველიც სხვანაირად იმსჭვალება მაისის, როგორც სულიერის მიმართ. ეს ლექსი, საერთოდ, ტროპების ერთგვარი ფეიერვერკით გამოირჩევა. ქალაქი შედარებულია პოეტს, რომელიც დაფნის გვირგვინით შემკობაზე, ესე იგი, აღიარებასა და უკვდავებაზე ოცნებობს. აქ კი ქალაქი ელის გაზაფხულს, რათა „აღიარონ", როცა გაზაფხული თავზე ყვავილების გვირგვინს დაადგამს. ამას ასეთი შთამბეჭდავი მეტაფორით გამოხატავს პოეტი: „თეთრი ტყემლებით დაგვირგვინებას". პოეტი რას და რატომ ელის – მკითხველისთვის ნაცნობია, მაგრამ რას შეიძლება ელოდეს ქალაქი გაზაფხულზე? ამგვარი შედარებით გამოკვეთილია ქალაქის, როგორც სულიერი არსების სახე, რომელიც ნაზა-

მთრალი, ჩამქრალი, ფერებწაშლილი, გამოხუნებული ელის „გაფერადებას“, თეთრი ყვავილებით შემკობას, რათა ახასხასებული „სამოსელით“ განახლებული შეამჩნიონ და ხოტბა შეასხან. პოეტი სწორედაც ასე იქცევა, ის ამჩევს და სტრიქონებით ხატავს „გაცოცხლებულ“ ქალაქს.

„ო, ყველას ახსოვს ზამთარი დიდი!
მაგრამ გამოჩნდა ტყის იალქანი.
ვით აივანი ამაღლდა ხიდი
და აყვავილდა ძველი ბალკონი.“

ლექსის ათმარცვლიანი სტრიქონების რიტმი (ხუთმარცვლიანი დაყოფით) ესადაგება შექმნილ განწყობილებას. რითმებით შეკრული და გამოკვეთილია ლექსის ტალღოვანი მუსიკა. აქ ერთმანეთს ერითმება არა მეორე და მეოთხე (უფრო გავრცელებული და შესაბამისად, „გაცვეთილი“, არამედ, პირველი და მესამე სტრიქონები (უფრო იშვიათი და, შესაბამისად, უფრო ცინცხალი).

შორისდებულ „ო“-თი პოეტი ჩავლილ ზამთარს მიაცილებს თითქოს. ეპითეტი „დიდი“ ხაზს უსვამს თეთრი და უფერო დღეების ხანგრძლივობას, დაუსრულებლობას. ზამთარი წარმოაჩენს სიცივეს, მიუსაფრობას, სულიერ ობლობას, როგორც უკვე ჩავლილსა და გადატანილ სატკივარს. მეტაფორულად იხატება ამწვანებული ტყეები– „გამოჩნდა ტყის იალქანი“. შიშველი ხეები თითქოს არ ჩანდნენ, მწვანედ შეიმოსნენ და მაშინვე გამოიკვეთნენ ჰორიზონტზე, სივრცის ზღვაში. ეს არაჩვეულებრივად მეტყველი ფერწერული სურათია.

როგორც ცნობილია, არიან პოეტები სმენისა და ხედვისა. ერთნი მუსიკალურობით გამოირჩევიან, მეორენი – ფერწერულ ხატთა სიუხვით. ვალერიან გაფრინდაშვილის ამ ლექსში თანაბრად მონაწილეობს თვალი და ყური. აქ ხედავს კიდევაც მკითხველი საოცრად ფერადოვან ნახატებს, ამავე დროს, ჩაესმის გამოკვეთილი მუსიკა – ალიტერაციების, რიტმისა და რითმების წყალობით შექმნილი.

რას ხედავს კიდევ მკითხველი?

აივანივით ამაღლებულ ხიდს და აყვავილებულ ძველ ბალკონს. „ძველი“– ეს სიტყვა კარგად დაანახვებს უძველესი ქალაქის აივნიან ხის სახლებს, ქოთნებში აყვავებულ ყვავილებს. „ბალკონი“ – ამ ბარბარიზმით პოეტი ჩვეულებრივ სამეტყველო ენასთან აახლოებს ლექსის ყოფითობისაგან ერთგვარად „გაუცხოებულ“ ლექსიკას. ეს ახალ სიცოცხლეს მატებს დახატულ სურათს. ძველი ბალკონიც იღვიძებს ზამთრის სიზმრიდან, ისიც ხალისდება, ახალ სიცოცხლეს იძენს. ერთი სიტყვით, გაზაფხული დამდორებულ სისხლს ააჩქროლებს და ყოველივეს „გაასულიერებს“, აღძრავს სიცოცხლისა და სიხარულისთვის.

ლექსის მესამე სტროფში კვლავ გრძელდება ამაღლებული განწყობილება:

„აღებენ ფანჯრებს ნაზი ხელები.
კვალად გაიხსნა ფუტკრების ტურნე.
კათოლიკური კარაველები
ცას უგზავნიან სალოცავ სურნელს“.

აქ ახალი სახეები ჩნდება. უპირველეს ყოვლისა, გამოჩნდება ქალი ფანჯარაში. აქ მხოლოდ ნაზი ხელები ახსენა პოტმა, მაგრამ ეს მინიშნება საკმარისია იმისთვის, რომ მკითხველმა წარმოიდგინოს ამ ნაზი ხელების ულამაზესი პატრონი, რომელიც ფანჯარას აღებს, რათა აყვავილებული ხეების სურნელი შეისუნთქოს, ფილტვები ჯანსაღი სუფთა ჰაერით დაიბეროს და მერე ბედნიერებაზე იოცნებოს, მაგრამ ეს მხოლოდ მკითხველის ვარაუდია, რომელიც გაზაფხულის ელვარებამ „შეაცდინა“, რადგან ამ ქალს ბედნიერებამ გვერდზე ჩაუარა. ეს შემდეგ სტროფებში გამოჩნდება და მოლოდინის „გაცრუება“ ლექსისთვის აუცილებელ დაძაბულობას შექმნის.

გაზაფხულის სითბოსა და სიტკბოს შეგრძნებას პოეტი კიდევ ერთი მეტაფორით ამძაფრებს: „კვალად გაიხსნა ფუტკრების ტურნე“ – ფუტკრები სამოგზაუროდ მიდიან, რათა მათ თაფლს შორეული და უცხო ყვავილების გემო ჰქონდეთ, მათრობელა და ჯადოსნური სურნელი დაჰკრავდეს.

პოეტის გაფაციცებული მზერა ირგვლივ ყოველივეს მოიცავს, ის ამჩნევს დიდსაც და მცირესაც, მნიშვნელოვანსაც და უმნიშვნელოვანესაც. მკითხველის წარმოსახვაში უცებ შემოიჭრება კათოლიკური ეკლესიის სახება. ტაძარი ცისკენ აწვდილი გუმბათით ხომალდს ემსგავსება (კარაველა). საზოგადოდ, სიმბოლისტური პოეზია არა მხოლოდ მეტაფორათა და სიმბოლოთა სიუხვით, არამედ მინიშნების სიმრავლითაც გამოირჩევა. აქაც პოეტი არ ხატავს, მაგრამ მკითხველი ხედავს ეკლესიისკენ მიმავალ ხალხს, ხატებთთან დაჩოქილ მლოცველებს, მათ მიერ სასოებით წართმოთქმული ლოცვა ჩაესმის და საკმევლის სურნელებასაც გრძნობს. ყოველივე ამას კი პოეტი აღწევს ამ უჩვეულო მეტაფორის შექმნით:

„კათოლიკური კარაველები
ცას უგზავნიან სალოცავ სურნელს“.

კათოლიკური კარაველები ალიტერაციაა (კა– მარცვლის გამეორება), ასევე ალიტერაციაა სალოცავი სურნელი (ეს ორივე სიტყვა ერთმანეთს უღერადობით ძალიან წააგავს). მთლიანობაში ეს ორი სტრიქონი საოცარი სახეა. რომელიც მკითხველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

ტაძრები, ცის ზღვაში ხომალდებივით მიცურავენ და თან მიჰყვებათ სურნელოვანი ლოცვები. აქაც მუსიკა და ფერწერა ერთმანეთს გადაეწვნება.

ჩნდება კითხვა: რატომ კათოლიკური ეკლესია?

ცნობილია, რომ ქუთაისში რამდენიმე კათოლიკური ეკლესია იყო, რომლებიც ყურადღებას იქცევდნენ სიდიდითა და სილამაზით. რა გასაკვირია, რომ ქუთაისელი ვალერიან გაფრინდაშვილის წარმოსახვაში უპირველესად სწორედ ეს ეკლესიები ჩნდებიან.

გალაკტიონი ერთ ლექსში („ლურჯი ხომალდი“), პირიქით, ხომალდს ადარებს ტაძარს: „ხომალდი მიდის –როგორც ტაძარი“. (ლირიკული გადახვევა: კათოლიკე ზაქარია ფალიაშვილი მართლმადიდებლურ სიონის ტაძარში მგალობელთა გუნდს ლოტბარობდა).

ლექსის შემდგომ სტროფში რაღაც ზღვარი ივლება გარდამავალი განწყობილებისთვის

ეპითეტი „რუხი“ ამღვრეულ მდინარეზე მიგვანიშნებს, საიდანაც ერთი ნაბიჯია ამღვრეული ცხოვრების წარმოდგენამდე. ეკლესიებიდან სააღდგომო რეკვა გაისმის. აღდგომის დღესასწაული აგვირგვინებს ამაღლებულ განწყობილებას. ჯვარცმული მაცხოვარი მესამე დღეს აღდგა მკვდრეთით და სამყაროში უდიდესი მისტერია (საიდუმლო) „სიკვდილით სიკვდილის“ დათრგუნვა განხორციელდა. ამ დღის გახსენებას ზეიმობს ქრისტიანული კაცობრიბა და პოეტიც უერთდება სადღესასწაულო ლიტანიობას. მაგრამ ამ ჰარმონიულ, იდილიურ სურათში უცებ შემოიჭრება დიდი სევდა და მთლიანად ცვლის განწყობილებას. საყოველთაო სიხარულს ბზარი უჩნდება, რადგან ვიღაცის გულში გლოვაა, სადღაც გამხდარი ქვრივია. სიგამხდრე მიუთითებს მატერიალურა თუ სულიერ შეჭირვებაზე, გაუნელებელ, მოუშუშებელ ტკივილზე, ტოლისა და სწორის დაკარგვის ტრაგედიაზე. ეს ქვრივი სწორედ ახლა იკერავს სამგლოვიარო (ტრაურულ) კაბას, თანც „უღარიბესს“, იაფასიანს. ეს მოწმობს, რომ სიკვდილი შემოიჭრა სიცოცხლეში. ის სადღაც აქვე იყო და გაზაფხულით გაბრუებული პოეტის მზერის მილმა დარჩა ცოტა ხანს, რათა თავისი ამ მოულოდნელი გამოჩენით უფრო დიდი თავზარი დაეცა ყველასთვის.

„რუხ მდინარეზე სოველი ტივი
და სააღდგომო რეკვა ზარების.
სადღაც იკერავს გამხდარი ქვრივი
კაბას ტრაურულს და უღარიბესს.“

შემდეგ სტროფში თითქოს სიკვდილ-სოცხლის ჭიდილია ასახული მეტაფორით „ცაზე ჰკიდია მზე-მალაღური“ წარმოჩენილია მზე, როგორც ფრინველი, რომელიც გაშლილი ფრთებით ცაზე მინვარდობს, მზე სითბოს, სიცოცხლის, სიყვარულის მასაზრდობელია და იგი თითქოს ცდილობს წინა სტრიქონებით აღძრული სევდა ნაშალოს და გააქარვოს, ამას შემდეგი გაპიროვნებაც აძლიერებს: „აპრილი აკრავს მწვანე აფიშებს“. აპრილი ამზადებს მაისის საზეიმო მოსვლას, ამიტომაც აკრავს ქალაქში ამ სასიხარულო ამბის მაუწყებელ აფიშებს. გაზაფხული, როგორც დიდი თეატრალური წარმოდგენა, ასე წარმოჩნდება, მაისი კი მთავარი როლის შემსრულებელია, მაგრამ ყველაფერი ამაოა. ეს სამზადისი ვერ მიჩქმალავს ქალაქში (მაკროსამყაროს ამ მცირე მოდელში) არსებულ ტკივილს, ბნელ ლაქას. აპრილი ემსგავსება ბალდახინის მსახურს და სასაფლაოსკენ მიაცილებს ძვირფას ცხედარს (ნაზმა ხელებიანმა ქალმა დაკარგა ქმარი – სიკვდილმა მოსტაცა საყვარელი ადამიანი). ამ შედარებით აპრილი წარმოგვიდგება, როგორც თეატრალური ნიღაბი, მოტირალ-მოცინარი სახეებით, ან როგორც ორსახიანი იანუსი. იგი, ერთი მხრივ, სიცოცხლის მაუწყებელია, მეორე მხრივ – სიკვდილს მსახური.

„ცაზე ჰკიდია მზე-მალაღური,
აპრილი აკრავს მწვანე აფიშებს,
ვით ბალდახინის თეთრი მსახური
სასაფლაოსკენ ის მიაბიჯებს.“

მკითხველის წარმოსახვაშიც სიკვდილი და სიცოცხლე ერთმანეთს გა-

დაეწვნება. ისინი ერთნი არიან და მხოლოდ ერთად არსებობენ. მხოლოდ სიცოცხლის შემჩნევა ყოფიერების ნაკლულოვანი აღქმაა. ბოლო სტროფში პოეტის ტრაგიკული ინტონაცია მძაფრდება:

„სადაც მოელის ლეში უძრავი
გაზაფხულს, როგორც თავის მესსიას
და აზრაილი შეუმუსრავი
კიდევ მოითხოვს შავ პროცესიას.“

იხატება სასაფლაო. მკვდრები გაზაფხულს მესიასავით (მსხნელივით) ელიან, რათა არყოფნის ტყვეობიდან გამოაღწიონ მცენარეებივით და კვლავაც სიცოცხლით გაიხარონ, მაგრამ ყველგან დაძრწის აზრაილი (სიკვდილის მოციქული), რომელსაც პოეტი ეპითეტით „შეუმუსრავი“ მოიხსენიებს, რითაც წარმოაჩენს მის დაუმარცხებლობას, უკვდავებას, ყველგანმყოფობას. ის „მოითხოვს“ შავ პროცესიას, ე.ი. სიკვდილს. აქ უკვე ლექსში გადაპენტილ ყვავილთა სითეთერს შემაძრწუნებელი შავი შეერევა და ყოველივე იჩრდილება. თუმცა მკითხველის წარმოსახვაში ისევ ცოცხლობს ტყემლებით დაგვირგვინებული ქალაქის ხატება.

ეს არის ადამიანის ყოფა: სიკვდილისა და სიცოცხლის მონაცვლეობა.

ამგვარად წარმოაჩინა ამ ლექსში პოეტმა ყოფიერების უზოგადესი კანონზომიერება – სიკვდილ-სიცოცხლის განუყოფლობა – ადამიანის სიხარულისა და ტკივილის გამომწვევი და მასაზრდოებელი.

მაია ჯალიაშვილი

„შენს სილამაზეს ჩემი ტრფობა ესაფეხურა“

(ვალერიან გაფრინდაშვილის „სანტიმენტალური ტრიოლეტი“)

ვალერიან გაფრინდაშვილი ქართული სიმბოლისტური სკოლის წარმომადგენელი გახლდათ. ვინ იყვნენ სიმბოლისტები? პოეტები, რომელთაც ქართული პოეზიის განახლება დაისახეს მიზნად და აასრულეს კიდეც.

ტიციან ტაბიძე წერდა, როგორც თავის დროზე ცამეტმა ასურელმა მამამ იქადაგა საქართველოში ორთიდოქსი ქრისტიანობა, ასევე ჩვენც ვქადაგებთ ახალ პოეზიასო.

XX საუკუნის დასაწყისიდან ქართულ ლიტერატურაში დაიწყო განახლების პროცესი. ქართველმა მწერლებმა დაიწყეს ფიქრი, როგორ დაეღწიათ თავი ტრადიციულისა და ძველისაგან და ახალი შემოქმედებითი იდეალები დაესახათ. სწორედ ამ დროს სამწერლო ასპარეზზე აქტიურად მოღვაწეობდნენ ევროპაში სწავლა-განათლება მიღებული მწერლები: გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ნიკო ლორთქიფანიძე.

ქუთაისში გამოჩნდა ახალგაზრდა პოეტთა ჯგუფი, რომელიც კარგად იცნობდა უახლეს ევროპულ გამოცდილებას და გადაწყვიტა ქართული პოეზიის „ევროპის რადიუსით გამართვა“. სწორედ ასე წერდა ამ ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი ტიციან ტაბიძე, სწორედ მას ეკუთვნის ცნობილი სიტყვები: „მომავალ დიდ ქართველ პოეტში უნდა შეერთდეს რუსთაველი და მალარმე“. რუსთაველი იყო ქართული კულტურის მწვერვალი, მალარმე კი უახლესი ევროპული კულტურისა, კერძოდ, სიმბოლიზმის სახედ მიიჩნეოდა. სწორედ ამ მიზნით, გამოსცეს 1916 წელს ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, რომლის პირველ ნომერში დაბეჭდილ მანიფესტში წარმოაჩინეს თავიანთი იდეალები.

ცისფერყანწელთა სკოლა იყო ერთი იდეის გარშემო გაერთიანებული ჯგუფი, ხატოვნად ორდენი, რომლის ერთ-ერთი ერთგული რაინდი იყო ვალერიან გაფრინდაშვილი.

რას წარმოადგენდა სიმბოლისტური სკოლა?

იგი ემიჯნებოდა რეალიზმს, რომელიც სინამდვილის ასახვას ითვალისწინებდა და აქცენტს აკეთებდა ირეალურ, წარმოსახულ სამყაროზე. სიმბოლისტები ფიქრობდნენ, რომ სამყაროს შემეცნება მხოლოდ სიმბოლოების გზით იყო შესაძლებელი.

ვალერიან გაფრინდაშვილი – ცნობილი სიმბოლისტი, ცისფერყანწელი გახლდათ. 1916 წელს ახალგაზრდა პოეტთა ერთმა ჯგუფმა ქუთაისში ახალი პოეტური სკოლა დააფუძნა და ჟურნალი „ცისფერი ყანწები“ გამოსცა. ეს იყო სრულიად ახალი ესთეტიკის დამკვიდრება ქართულ პოეზიაში. ცისფერყანწელებმა, უპირველესად, პაოლო იაშვილმა, ტიციან ტაბიძემ, ვალერიან გაფრინდაშვილმა, სანდრო ცირეკიძემ... ქართულ პოეზიაში დაამკვიდრეს ახალი ტენდენციები, გამოთქმის უჩვეულო ფორმები. მათი პოეტური

აზროვნების საყრდენი გახდა სიმბოლო, როგორც სამყაროს შემეცნების უპირველესი საშუალება.

ამ ლექსში ჩანს პოეტი, გამოთქმის დახვეწილი ოსტატი, რომლისთვისაც ფორმა და შინაარსი განუყოფელია. მთავარია ფერის და მუსიკის სინთეზი, რომლის საშუალებითაც აზრი უფრო შთამბეჭდავი ხდება. ამ ლექსშიც ყურადღებას იქცევს გამოთქმის საოცარი სისადავე და მომხიბვლელობა.

პირველ რიგში, ყურადღება მივაქციოთ სათაურს. შეიძლება ორივე სიტყვა უცხო იყოს ჩვენთვის.

რას ნიშნავს სანტიმენტალური?

სანტიმენტალური (სწორი ფორმაა; სენტიმენტალური), ე.ი. სევდიანი, ნაღვლიანი, მინორული. სიტყვა სენტიმენტალური ძალიან მგრძნობიარეს ნიშნავს.

ტრიოლეტი ლექსის ძალიან ლამაზი ფორმაა, რომელიც შუასაუკუნეებში შეიქმნა და განსაკუთრებით საფრანგეთში გავრცელდა. ტრიოლეტის ფორმით დაწერილი ლექსი რვა სტრიქონისგან შედგება და მასში პირველი სტრიქონი სამჯერ მეორდება– I, IV და VIII. ქართულ პოეზიაში ეს ფორმა XX საუკუნის 10-იან წლებში დამკვიდრდა და სონეტთან ერთად ძალიან პოპულარული გახდა.

ვალერიან გაფრინდაშვილს მოსწონდა ლექსის ამგვარი სტრუქტურა და ხშირად მიმართავდა. მას აქვს დაწერილი ციკლი „მაისის ტრიოლეტები“. პოეტმა თავისი სათქმელის გამოსახატავად სწორედ ეს ფორმა აირჩია და სათაურშივე გამოიტანა, დააზუსტა ამ ტრიოლეტის შინაარსის რაგვარობა, მკითხველს მიანიშნა, რომ ლექსი სახუმარო და გასართობი კი არ იყო (ცნობილია, რომ ამ ფორმას ადრე, ძირითადად, გასართობი ლექსების დასაწერად იყენებდნენ), არამედ ლექსის პირველივე სტრიქონიდან ცხადი ხდება ლირიკული გმირის განწყობილება. იმისათვის, რომ გაამძაფროს სევდისა და მიუსაფრობის შეგრძნება, პოეტი მიმართავს შედარებას: „ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა“. მკითხველს იოლად შეუძლია წარმოიდგინოს, რა უსუსურია ზამთარში ბელურა, რომელსაც პოეტი ეპითეტით: „ნაზი“ – ახასიათებს. პატარა ჩიტის ეს სინაზე კონტრასტულია ზამთრის სიმკაცრესთან. ასე რომ, ამ შედარებით ცხადი ხდება, რა გაუსაძლისია პოეტის მოწყენილობა, რა უნუგეშოა მისი გული, რა უიმედოა მისი მომავალი, რადგან არავინ იცის, გადაურჩება თუ არა ცივ ზამთარს ბელურა. ასევეა პოეტიც, რომლისთვისაც ცხოვრება ზამთრად ქცეულა, ცხოვრება, რომელმაც სატრფოსთან დააშორა. ასე რომ, ზამთარი წუთისოფლის სიმბოლოდაც შეიძლება გავიაზროთ.

სხვა ლექსში, „ზამთარი“ რომ ჰქვია, ასეთ სტრიქონებს ვხვდებით: „ზამთარი მოდის თავის ტერორით, / მან დაიკავა ყველა ქუჩები, / ზამთარი მოდის, ვით კომანდორი, / მათხოვრებით და თუთიყუშებით“. ეს სტრიქონებიც თვალნათლივ წარმოაჩენენ, რა აზრობრივ დატვირთვას ანიჭებდა პოეტი ზამთარს. თუმცა პოეტი ამ პოეტურ სახეს სხვა შედარებასაც მოაყოლებს: „ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი“. თითქოს პოეტმა ბელურასთან შედარებით სრულყოფილად ვერ გადმოსცა, რას განიცდიდა და უფრო

მეტად შეეცადა მკითხველის თანაგრძნობის გამოწვევას, მაგრამ თუ პირველი შედარება ძალიან ცხადი და გამჭვირვალე იყო, მეორე უფრო ბუნდოვანია. რადგან მკითხველმა უნდა იცოდეს ვერსალის რაობა, რათა შემდგომ წარმოიდგინოს რას განიცდის ის შემოდგომის ღამეებში.

სიმბოლისტი პოეტები, საზოგადოდ, თავიანთ მკითხველებად განათლებულ, წიგნიერ ადამიანებს მოიაზრებდნენ, რომლებიც კარგად ერკვეოდნენ ზოგადსაკაცობრიო კულტურაში, მითოსსა, რელიგიასა თუ ლიტერატურაში, ხელოვნებაში. ამ თვალსაზრისით, მათი პოეზია, ერთგვარად, ელიტარული იყო, რადგან მოითხოვდა ცოდნას.

ვერსალი საფრანგეთის სამეფო რეზიდენციაა, რომელიც ვერსალში მე-17 საუკუნეში ააგეს და ვერსალის სასახლის სახელითაა ცნობილი. მე-18 საუკუნიდან კი აქ უკვე აღარ ცხოვრობდნენ მეფეები, სასახლე მუზეუმად იქცა. პოეტმა იცის ეს ისტორია და ამიტომაც წარმოუდგენია, რას უნდა განიცდიდეს შემოდგომაზე, ფოთოლცვენისას, ყოველივეს ჭკნობისა და კვდომისას ეს თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებული დიდი სასახლე, ძველ ბრწყინვალე მხიარულებას მოკლებული. როგორც ვხედავთ, პოეტმა ორი სრულიად განსხვავებულ რამეს, ბელურასა და ვერსალის სასახლეს, მიმართა (ერთ შემთხვევაში, პატარასა და უმნიშვნელოს, მეორე შემთხვევაში, დიდა და ძვირფასს), რათა თავისი მოწყენილობის არსი გადმოეცა.

მესამე სტრიქონიდან კი იკვეთება ლირიკული გმირის მოწყენილობის მიზეზი – ეს არის „შენ" – სატრფო, რომლის სილამაზესაც ეტრფის პოეტი. სწორედ სატრფოსთან დაშორებას მოუგვრია მისთვის ესოდენ გაუსაძლისი მოწყენილობა. თავი გრძნობის გადმოსაცემად პოეტი მეტაფორას იყენებს: „შენს სილამაზეს ჩემი ტრფობა ესაფეხურა". პოეტისთვის სიყვარული თითქოს კიბის საფეხურებია, რომლებიც სატრფოს გულისკენ მიემართებიან, ან კიდევ სატრფო სილამაზე კვარცხლბეკზეა, რომლის საფეხურებად პოეტის სიყვარულია. ამ მეტაფორით ლირიკული გმირი გამოხატავს თავდავიწყებულ სიყვარულს, იგი, როგორც თვითონვე ამბობს სხვა ლექსში: „უღონო ტრფობით არის დაისრული". „ესაფეხურა" პოეტის მიერ შექმნილი ახალი სიტყვაა, ნეოლოგიზმია, რომელიც საუკეთესოდ წარმოაჩენს მის გულისნადებს.

ლირიკული გმირი თავისი სულიერი სამყაროს გადმოსაშლელად მიმართავს მეტაფორებსაც:

„მე განშორების ცივი თოვლი დიდხანს მეხურა.

ვტიროდი ხარბათ – მარტოობით ნაალერსალი".

თოვლი, როგორც საბანი, რომელიც დედამიწას ზამთარში გადაეფარება ხოლმე ცნობილი და გაცვეთილი პოეტური ხატია, მაგრამ ახალი და შთამბეჭდავია: „განშორების ცივი თოვლი". აქ განშორება იქცა პოეტისთვის ცივ თოვლად, რომელიც ვერ გაადნო შეხვედრის მზემ. იყო მხოლოდ ამ შეხვედრაზე ოცნება და გლოვა. ამიტომაც არის, რომ იგი ტიროდა ხარბად. ტირილი, მდუღარე ცრემლების ფრქვევა სწორედ სენტიმენტალურობის დამადასტურებელია. ყურადღებას იქცევს სიტყვა „ხარბად", რომელიც ამხელს, როგორ ვერ ამშვიდებდა პოეტს ცრემლები, თითქოს სიხარბეს შეეპყ-

რო, სიხარბეს არა რაიმეს მოპოვებისა, არამედ დაუსრულებელი გლოვისას, თითქოც ვერ ძღებოდა ტირილით. ასევე, მშვენიერი, მაღალი ოსტატობის ნიმუშია მეტაფორა: „მარტოობით ნაალერსალი". პოეტს მარტოობა ეფერება, ეალერსება მხოლოდ. ამგვარ ალერსს კი მხოლოდ ტანჯვა მოაქვს. ნაალერსალი ვერსალს ერითმება, ამ თვალსაზრისითაც გამორჩეულია ეს ლექსი, რომ ასეთი კეთილხმოვანი რითმებითაა გაწყობილი. ვალერიან გაფრინდაშვილი რითმებს „ქალწულ-ზამბახებს" უწოდებდა, რომელთა ძიებაში უნდა ეთენ-ეღამებინა ჭეშმარტ პოეტს.

ლექსის მელოდიურობას ხელს უწყობს თოთხმეტმარცვლიანი რიტმიც. ასე რომ, ეს ლექსი წარმოგვიდგება, როგორც ლირიკული აღსარება. პოეტი მოურიდებლად უმხელს მკითხველს სატრფოსთან დაშორებით გამოწვეულ ტანჯვას. მართალია, იგი საყვარელ ადამიანს დაშორდა, მაგრამ ძვირფასი მოგონებები დარჩა. ნამდვილი სიყვარული ხომ არც არასოდეს ქრება და კვდება.

ასე რომ, ამ ლექსის მთავრი სათქმელი არის სატრფოს მონატრება, მასთან დაშორებით გამოწვეული უსაშველო ტკივილი.



კოლაუ ნადირაძე
(1895 – 1990)

„ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!"

(კოლაუ ნადირაძის „25 თებერვალი, 1921 წელი")

საბჭოთა იმპერიის ზეობის 70-წლიან პერიოდში ქართველ ხალხს უნერგავდნენ რწმენას, რომ ბოლშევიზმის გარეშე ჩვენი ქვეყნის ცხოვრება წარმოუდგენელი იყო; მოსწავლეებს პირველ კლასშივე უწამლავდნენ სულს, მონობას ბედნიერებად უსახავდნენ და ზარ-ზეიმით სათქმელად აზეპირებინებდნენ ამ სტრიქონებს:

„25 თებერვალი გათენდება ხვალ,
თებერვალო, საქართველოს გაზაფხული ხარ".

არადა, როგორი „გაზაფხული" იყო რუსეთის შემოჭრა და ამ იმპერიის მონობის უღელი როგორ სრესდა ჩვენს ქვეყანას, მოეხსენებოდა მხოლოდ იშვიათს ჩვენს თანამემამულეთაგან, მოაზროვნე და განათლებული პატრიოტი ქართველი ინტელიგენციის ნაწილს, რომელსაც ანტისაბჭოთა ფიქრიცა და ქადაგებაც რეპრესიებისა და სიცოცხლის ფასად უჯდებოდა.

თითქმის საუკუნე გავიდა, ვიდრე შესაძლებელი გახდებოდა იმდროინდელი ისტორიული ვითარების რეალურად წარმოდგენა, ესეც იმ გმირული სულის მწერლების წყალობით, „დასახვრეტ ნაწარმოებს" რომ ქმნიდნენ და სიკვდილს თვალებში ჩასცქეროდნენ. ასეთი შემოქმედები რეპრესირებულნი იყვნენ, მათი ნაწარმოებები – აკრძალული.

დღეს ვიცით, რომ XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიო რუსული ბოლშევიზმის შიშით ცახცახებდა; განსაკუთრებით მძიმე დღეში იყვნენ რუსეთის ყოფილი პატარა პროვინციები, მათ შორის – ცარიზმის უღლიდან ძლივს განთავისუფლებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა... ჩვენს თანამემამულეებს შიში თავზარდამცემი სიზმარივით აუხდათ, როდესაც მეთერთმეტე წითელი არმია შემოიჭრა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე.

კოლაუ ნადირაძის ლექსი „25 თებერვალი, 1921 წელი" ყოველი თბილისელის ტკივილის მოზიარისა და თანაგანმცდელის, იმ საშინელების თვითმხილველის დაწერილია, რომელიც საქართველოს „სისხლის ზღვაში ბანაობით" გასაბჭოებას მოჰყვა.

„ძილ-ღვიძლად იყო" საშინელების მომლოდინე ჩვენი ქალაქი, „გრდემლზე იჭედებოდა" უბედურება; ვინ იცის, მერამდენედ იმოსებოდა ქართველი დედა შავებით, მერამდენედ აცვამდნენ ჯვარს ჩვენს საწყალ ქვეყანას... მერამდენედ „იპოხებოდა" მიწა გმირთა სისხლით, მერამდენედ ეშვებოდა ალამი მძიმედ და გულსაკლავად...

პოეტი თავისი წუხილით სავსე სათქმელს ძირითადად ალუზიებით გამოხატავს:

მძიმე ტკივილისა და განსაცდელის პარადიგმა (პირველსახე) მაცხოვრის ჯვარცმაა. იესომ გოლგოთაზე ზურგით აიტანა წამების ჯვარი. ჯვარცმას წინ უძღოდა იუდას მიერ ქრისტეს გაცემა. რადგან საქართველოში შემოსულ XI არმიას წინ მოღალატე ქართველები მოუძღოდნენ, რომლებმაც არ დაინდეს სამშობლო და წამებისთვის გასწირეს, ამიტომ მწერალი ალუზიურად იხსენებს უფლის გაცემასა და ჯვარცმას:

„ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!“

XI არმია კახეთის ბრძოლებით გამოვლის შემდეგ კრწანისიდან შემოვიდა თბილისში.

მწერალი მიგვანიშნებს 300 არაგველზე, გმირებზე, რომელთა სისხლითაც გაიპოხა თბილისის მიწა 1795 წელს და ალუზიურად შეგვახსენებს, რომ კრწანისის ბრძოლაც ერეკლემ ღალატით წააგო.

სიკვდილი შემოდიოდა „იმ გზით, სად წინათ ელავდნენ ხმლები,
სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები,
სად გმირთა სისხლით ნაპოხიერი,
თოვლს დაეფარა კრწანისის ველი“.

„ქართლის დედის ცრემლით დანამული, მძიმედ დაშვებული ალამი,“ შესაძლოა, ნებისმიერი წაგებული ომის მეტაფორა იყოს, თუმცა შეიძლება, ალუზიურად მიგვანიშნებდეს ცხრა ძმა ხერხეულიძის თავგანწირულ და შვილებთან ერთად დროშით ხელში დაღუპულ დედას“. პოეტის საწუხარია, რომ ყველა დახოცეს, ქალი თუ კაცი, ვინც კი ეწინააღმდეგებოდა წითელ მტერს.

XI არმიას მედგრად ებრძოდნენ გენერალ კვინიტაძის შენაერთები. განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები გაიმართა ვაზიანში, კოჯორსა და ტაბახმელაში. ამ დროს დახოცილ ვაჟკაცებს იგლოვს თოვლი, ფრთხილად რომ ეფინება მათ იარებზე:

„დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა,
მხოლოდღა თოვლი ცვიოდა ნელა,
ეფინებოდა გმირების გვამებს –
განგმირულ მკერდებს, დალეწილ მკლავებს.“

სიკვდილი – ცელიანი ჩონჩხი კი გაცილებით უფრო მედიდურად გამოიყურება.

„ის მჭლე კაცი ცელს რად იქნევს,
რასა სთიბავს, რასა სცელავსო?“ – წუხდა დავით გურამიშვილი.

კოლაუ ნადირაძის თვალით დანახული სიკვდილი კი ადამიანთა სულების მოსაცელად და მოსათიბად ცხენზე შემომჯდარა, შემოსილა და გაბღენძილი მოაბიჯებს ისევე, როგორ ამაყადაც მოუძღოდა რუსის ჯარს სერგო ორჯონიკიძე; როგორი ბედნიერი და ყელმოღერებულიც ათელვინებდა იგი ქართველთა გვამებს ცხენს ფლოქვებით:

„წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!“

რეფრენი იმ უმწეობასა და გულგატეხილობაზე მიგვითითებს, თბილისი რომ მოუცავს. მკითხველი ხედავს იძულებით დადუმებულ, მტერს დამორჩილებულ ქვეყანას, უსასოობისგან ცრემლიც კი რომ გაშრობია; შავად რომ ათოვს გლოვისაგან გათანგულს; აღარც საგანგაშო ზარი ისმის... ეს სიჩუმე გაცილებით უფრო საშინელი და ბევრისმთქმელია, ვიდრე ხმაური:

„თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.“

ილია წუხდა:

„არსაიდამ ხმა, არსით ძახილი,
მშობელი შობილს არრას მეტყოდა,
ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი
ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა...“

მაშინ სიჩუმეს კვნესა მაინც არღვევდა... ახლა კი დადუმებული, დასახიჩრებული მიცვალებულებით მოფენილიყო თბილისი; სასაფლაოს მდუმარება, „თებერვლის უძრავი ღამე“ სზარავდა ქალაქს... ყველა იმედი ჩამკვდარიყო, დიდი და ცივი ზამთარი ახრჩობდა ქალაქს...



ლეო ქიაჩელი
(ლეონ შენგელაია)
(1884 – 1963)

ლალი დათაშვილი

სასტიკი აუცილებლობა და ადამიანური ღირსება

(ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა")

1917 წლის რუსულმა რევოლუციამ მსოფლიოში შიში და უნდობლობა დათესა. რევოლუციონერთა ანტითეიზმი და არაადამიანური დამოკიდებულება საკუთარ მოსახლეობასთან სხვა ქვეყნებს სიფრთხილისა და რუსული აგრესიისაგან თავდაცვისკენ უბიძგებდა. განსაკუთრებული საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ რუსეთის მეზობელი პატარა ქვეყნები, რომელთა უმრავლესობაში ცარიზმის კოლონიური რეჟიმი მძვინვარებდა. მათ შორის იყო საქართველოც.

გალაკტიონ ტაბიძის „გემი დალანდი" საუკეთესოდ გამოხატავს იმ ეპოქის სულს. ეს ლექსი შიშის ზარით შეპყრობილი მამულიშვილის დაწერილია, რომელსაც ეშინია, აგრესორმა მეზობელმა არ გაანადგუროს აქაურობა და სამშობლო მხოლოდ სიზმრისეულ ოცნებად, გარდასულ ლანდად არ გადაექცეს:

„სამშობლოს ძველი გზებით ველარ მოვაგენ...
და არ მახსოვდა, მქონდა იგი, თუ მომაგონდა..."

ლეო ქიაჩელის მოთხრობა „ჰაკი აძბა" რევოლუციური ეპოქის სირთულეებისა და რუსი ბოლშევიკების საქართველოსთან დამოკიდებულების ასახვის თვალსაზრისით ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოებია მეოცე საუკუნის ქართულ პროზაში.

თუ დავაკვირდებით კუზმა კილგას, ვასკა პირატ-ხრიტანიუკსა და მიტკა გორბაჩს, ადვილად წარმოვიდგენთ, რატომ შესცქეროდა ამ ხალხს მსოფლიო თავზარდაცემული და რატომ უკანკალებდა გული პატარა საქართველოს მათი შიშით. მათთვის წმინდა არაფერი არსებობდა; მშობლებისა და ახლობლების ადგილი მათს გულებსა თუ მკერდზე ამოტვიფრულ ტატუებში ნამგალმა და ურომ დაიკავა; კაცობრიობისთვის მანამდე მიღებული და აქსიომატური ჭეშმარიტებანი მათთვის ცარიელი სიტყვებიც კი არ იყო. კუზმას წარბი არ შეუხრია, ისე დააპატიმრა სრულიად უდანაშაულო ბექირბი ჩაჩბა და არც კი დაფიქრდებოდა, ისე დახვრეტდა მას, თუ დროზე არ ჩაბარდებოდა ემხა. ამიტომაც ისმის ასე დრამატულად ჰაკის სიტყვები:

„ჯერ არ ყოფილა ქვეყანაზე ისეთი კანონი, რომ ნამდვილი დამნაშავის მაგიერ სრულიად უდანაშაულო კაცი დაესაჯათ. ეს მართალია, როგორც მზე, რომელიც დედამიწას ანათებს". თუმცა კუზმასა და ვასკას მსგავსთათვის მზეც სხვანაირად ანათებდა...

ქართველ მეცნიერთა აზრით, ლეო ქიაჩელმა, შესაძლოა, თავისი მოთხრობის სიუჟეტად გამოიყენა მაშინ მომხდარი რომელიმე ამბავი, ცხადია, გადამუშავებული და გადასხვაფერებული.

კრეისერი „დაკია" სოხუმში მისულა და მისი მეზღვაურები ნიკოლოზ ემუხვარს შესტაკებიან. მისთვის სამხრეების მოხსნის მცდელობისას თავადმა ერთი მატროსი მოკლა, მეორე დაჭრა და მიიმალა. „დაკიამ" გამოიძახა მეორე კრეისერი „დერზკი", რომელმაც სოხუმს ოცდაოთხსაათიანი ულტიმატუმი წაუყენა. ნიკოლოზ ემუხვარი და მისი უდანაშაულო ძიძიშვილი სმელ ბადია ჩაბარდნენ. მატროსებმა ემუხვარი აკუწეს, სმელი კი დახვრიტეს.

არსებობს მეორე ამბავიც, რომ საბრძოლო გემის, „კაროლ-კარის" ყაჩაღი მატროსები (რომლებიც მძარცველები და მკვლელები იყვნენ, უამრავ ბოროტებას ჩადიოდნენ და პორუჩიკი ემუხვარიც გაგუდეს) იქ მომსახურე დავით მიქელაძემ, თავისი ასეულის დახმარებით, დააპატიმრა და ბათუმის მთავრობას გადასცა. მაგრამ ქართულმა მხარემ ვერ გაბედა გემის შენარჩუნება, ციხიდან გაუშვა მეზღვაურები, რომლებმაც ჯავშნოსანი რუსეთში წაიყვანეს.

თხრობა ექსპრესიულად იწყება. მწერალი მოთხრობის პირველივე ფრაზებით ხატავს 1918 წლის დრამატულ სურათს: „უსასტიკესი სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა", „განსაკუთრებით სასტიკი და მძაფრი იყო ეს ომი სამხრეთ რუსეთში", „სისხლის თქეში იდგა კიდით-კიდემდე" და მკითხველიც ელის ომის საშინელ სურათს, აღსავსეს მოულოდნელობებით.

მოვლენებიც დრამატულად ვითარდება: სოხუმს მომდგარი კრეისერი, სავსე გულმხეცი ჯარისკაცებით, ქალაქისთვის დამიზნებული ქვემეხები, შიშით აცახცახებული მცხოვრებნი, ცარიელი ხელებითა და შეშინებული გულებით რომ უნდა შეეგებონ უცხო ქვეყნიდან შემოხეტებულ მდაბიო და მრისხანე მეზღვაურებს, საკუთარ სამშობლოში რომ არ დაედგომებათ, უვადო კატორღა რომ აქვთ მისჯილი და საშოვარზე გამოსულან დამშეული ნადირივით...

საქართველო კი საცოდავი და უქონელ-უპოვარი ქვეყანაა, უნიათო მთავრობითა და მხოლოდ საკუთარ ტყავზე მზრუნველი მოქალაქეებით. ამიტომაც ის ხდება, რაც ამ სიტუაციაში სრულიად მოსალოდნელი იყო – დათვი „ბაბაიას" აძახებინებს სოხუმელებს; ტყავში ძვრებიან, რომ როგორმე თავი მოაწონონ მოსულებს. ხაზგასმული პატივისცემით, საუკეთესო სუფრით, მიტინგით, ორკესტრითა და ყვავილებით ხვდებიან. სახელდახელოდ შეკერილი დროშებით იმდენად გაწითლებულია სოხუმი, რომ მეზღვაურებს თავი რევოლუციის ეპიცენტრში ჰგონიათ. ქართველები გაცილებით უფრო დახვეწილი რუსულით ლაპარაკობენ, ვიდრე რუსი მატროსები.

ლეო ქიაჩელი სოხუმელი მოსახლეობის ყველა ფენას გვიჩვენებს, თითქოს ეძებს მათ შორის ღირსეულ, სამშობლოზე მზრუნველ მამულიშვილს, ხავსს ეჭიდება. აქ არიან თავადებიც, არისტოკრატებიც, ქალაქის მმართველებიც, ვაჭრებიც, მუშებიც, გლეხებიც, ჯარისკაცებიც... თუმცა მათში ვერც ღირსების გრძნობას ვიპოვით და ვერც – პატრიოტულ სულისკვეთებას.

ხელისუფლების წარმომადგენლის პირველი მახასიათებელი პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა იყოს დაკისრებული მოვალეობის წინაშე, თუმცა სამსონ დავანაძეს (და, ვაი რომ, თბილისის მთავრობასაც) არც ჭკუა ჰყოფნის ქვეყნის პრობლემების მოსაგვარებლად და არც – თანამემამულეთა სიყვარული. იგი დაძაბულად ფიქრობს, როგორ დაიბანოს ხელი და „მშრალი“ როგორ გადაურჩეს ამ სიტუაციას:

„საგონებელში ჩავარდა ქალაქისთავი.

პირველი ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა ყოველნაირი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, ეს იყო თბილისში საიდუმლო დეპეშის გაგზავნა: ასეა საქმე და როგორ მოვიქცეთო, მაგრამ ეს იყო უფრო ფორმალობის დაცვა მისი მხრით. კარგად იცოდა, რომ დროზე არავინ უპასუხებდა, და თუ მიიღებდა მაინც რაიმე პასუხს, იგი სახელმძღვანელოდ უთუოდ არ გამოადგებოდა.“

ავტორი მის მეორე ნაბიჯს ირონიულად აფასებს, როგორც „სამსონ დავანაძის ჭკუამახვილობისა და ალღოს მაჩვენებელს“ – ქალაქისთავი ცდილობს, „სახარებისეული“ პილატესავით სხვას, კერძოდ, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, დააკისროს პასუხისმგებლობა. თუმცა, ქიაჩელი გაბიაბრუებულს დატოვებს მას, რადგან ამ საბჭოს თავმჯდომარე მასზე უფრო გაქნილი კაცია.

ავტორი „ფართო საზოგადოებრივი მუშაობის ასპარეზზე გამოსულ აფხაზ“ ნარიქ ეშბასაც შეუფარავი ირონიით გვიხასიათებს, მისი „ღირსებების“ ჩამოთვლისას მხოლოდ ციმბირში გადასახლებით რომ შემოიფარგლება: „ძველი რევოლუციონერი, ნაციმბირალი და სხვა მრავალი ღირსებით შემკული კაცი იყო“. მას განსაკუთრებით ეხერხება „მიყუჩებულივით იყოს“ და ნებისმიერი სიტუაციიდან თავისთვის უსაფრთხო გამოსავალი მოძებნოს. ახლაც მაშინვე მიხვდა ყოველივეს და დავანაძეს „მეგობრული“ პასუხი გასცა:

„– პასუხისმგებლობას ან შენ რატომ იკისრებ, ძვირფასო სამსონ, ან რატომ გინდა, რომ მე მაკისრებინო მაინცდამაინც. ხომ იცი, რა მდგომარეობაა. თუ პასუხისმგებლობამდე მივიდა საქმე, სჯობია, მისი ტვირთი ისე განაწილდეს, ყოველი შემთხვევისათვის, რომ ბრალი ყველას და, ამავე დროს, არავის არ დაედოს...“

ქალაქისთავი შურითაც კი აივსო, ეშბამ ასეთი მოხერხებული გამოსავალი რომ იპოვა და თავი იმით დაიმშვიდა, ნარიქმა წარმომავლობით მაჯობაო:

„აფხაზები ბუნებით დიპლომატები არიან“.

მთავრობამ ხელი დაიბანა, საკუთარ ტყავს გაუფრთხილდა და სამშობლო დაივიწყა ...

არისტოკრატია ყურსაც არ იბერტყავდა, რადგან სახლები შორს ჰქონდათ, სოხუმი კი არ ადარდებდათ. საქმეში მანამ არ ჩაერივნენ, ვიდრე კუზმამ ჩაჩბა არ დააპატიმრა და ერთი მათგანის – ცნობილი თავადის სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქრა.

ვაჭრები კი განსაკუთრებით ღელავდნენ. რადგან მათი სახლებიცა და

დახლებიც სანაპიროზე იყო, ამიტომ კრეისერის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში ძალიან დაზარალდებოდნენ.

მოქალაქენი მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობდნენ, „მეტწილად თავიანთ სახლებს უტრიალებდნენ და წითელი დროშებით ამკობდნენ. დიდი და პატარა ერთ სურვილს აეტანა: რაც შეიძლება მალე, საჩქაროდ, მეზობლებზე უფრო ადრე გამოეკიდა თავის სახლის წინ წითელი დროშა და ამით ყოველი ეჭვი თავიდან აეცილებინა. ვისაც შინ დროშა არ აღმოაჩნდებოდა, ბაზრისაკენ გარბოდა, წითელ ნარმას ყიდულობდა და უკან დაბრუნებული, გზადაგზა, დროს მოსაგებად, დროშას სახელდახელოდ ამზადებდა: ნარმას ჯოხზე ამაგრებდა."

პატარა, წყნარი და კოხტა სოხუმი უმალ გამოიცვალა, აურზაურიან ქალაქად გადაიქცა, ეტლებისა და ავტომანქანების ქროლით, ცხენების თქარათქურით, ხალხის ხმაურით. დაფეთებულ მოსახლეობას ათასი საშინელება ელანდებოდა, თავდაცვის უტყუარ გზას ეძებდა...

სოხუმი კი არავის ანაღვლებდა, არავინ ფიქრობდა, ქალაქი დაეცვა და არა მხოლოდ – საკუთარი სახლი. სამშობლოს ინტერესები ვიღას ახსოვდა...

მწერალი ამ მოთხრობით დააფიქრებს მკითხველს, თუ „სასტიკი აუცილებლობისას" (როგორც სამსონ დავანაძე აფასებს შექმნილ სიტუაციას) რამდენად ინარჩუნებს ადამიანი ღირსების გრძნობასა და ზნეობრივ პრინციპებს.

როგორც ცნობილია, სიცოცხლის საფრთხისას ფერმკრთალდება საკაცობრიო იდეალები და ადამიანი ისე იქცევა, რომ საფრთხის ჩაელის შემდეგ თვითონვე იწყებს სინანულს ხშირად ინსტინქტურად ჩადენილი საქციელის გამო. სინდისის ქენჯნა გაცილებით უფრო მწარეა, თუ მავანი გააზრებულად და შეგნებულად მიდის ზნეობრივ კომპრომისზე, რადგან თავი იმ მომენტისათვის მართალი ჰგონია.

ასე დაემართათ სოხუმელებსაც. ისინი არჩევანის წინაშე აღმოჩდნენ – კრეისერისთვის სიტყვით ან საქმით გაეწიათ წინააღმდეგობა (და, შესაბამისად, თავი და ქონება საფრთხეში ჩაეგდოთ), თუ საკუთარი ხელით მიერთმიათ კილგასთვის უჯუში, ამით, ცხადია, სასიკვდილოდ გაეწირათ იგი და ძმის მკვლელებად გადაქცეულიყვნენ.

კრეისერი მრისხანედ გამოიყურებოდა და შიშს ჰგვრიდა ქალაქს, „ჰაერში სამი თვალი შეემართა, ქალაქს დამიზნებული, – სამი შავი წრე, სამივე ბრმაც და მხედველიც ერთსა და იმავე დროს.

ეს იყო ყელმოღერებული ზარბაზნების თლილი ტუჩები, კვამლიან ჰაერში შეყირავებული."

დამფრთხალი და თავზარდაცემული სოხუმელები, სამწუხაროდ, არც დაფიქრებულან: სისხლის მსმელი მგლებივით ეძებდნენ უჯუშს; მზად იყვნენ, თავისი ხელით მოეღოთ მისთვის ბოლო, დაერბიათ მისი სახლ-კარი, ერთი სული ჰქონდათ, როდის მიუყვანდნენ კუზმას, რომ კრეისერი თავიდან მოეშორებინათ, მტრულად შესცქეროდნენ ემხას, თითქოს უნდოდათ აეკუწათ ან გადაეყლაპათ, „ძუძუძაღლებივით" მოიქცნენ, როდესაც და დედა დაუპატიმრეს...

არც ერთ მათგანს აზრადაც არ მოსვლია, ეკითხა, რატომ ჩაიდინა ეს უჯუშმა, რამდენად იყო დამნაშავე? ან უჯუში თუ იმ გადამთიელის მკვლელი იყო, კაცობისა და ღირსების შელახვას რომ უპირებდა, სოხუმელები ძმის მკვლელები ხდებოდნენ და ამას არც და ვერც აცნობიერებდნენ.

ნათესავები, დავანაძე, თვით დეიდაშვილი თოუხან მარშანიც კი, თვალებში უყურებდნენ და ურცხვად ატყუებდნენ უჯუშს, შემდეგ გამოგიხსნითო... ჰაკის თავგანწირვითაც ხელის მოთბობა გადაწყვიტეს, სხვის ხარჯზე გამოჩნდნენ კეთილშობილები, უჯუშს გაჩუმება და ამ მსხვერპლის მიღება ურჩიეს. სადღა იყო ქართველობა, ვაჟკაცობა, ზნეობა...

ორადორი ადამიანი დარჩა სოხუმში, რომელთაც ღირსების გრძნობა არ დაკარგეს, უზნეოდ არ მოიქცნენ, ვაჟკაცურ ტვირთს მხრები არ მოაშორეს: უჯუში და ჰაკი.

უჯუშ ემხა გარეგნულადაც და შინაგანადაც მომხიბლავი ახალგაზრდა აფხაზია, თავადი, „მეფის დაშლილი ჯარის ოფიცერი, – შტაბს-როტმისტრი ჩერქეზთა რაზმის აფხაზური ასეულისა, რომელიც ომის დროს ავსტრიის ფრონტზე იბრძოდა."

ამ ვაჟკაცისთვის ღირსება და ავტორიტეტი უპირველესია, ის და შიში, ლაჩრობა ერთმანეთს არ იცნობენ, რაც ჩანს როგორც შინაურებთან, თავისიანებთან, ასევე მტერთან ურთიერთობისასაც. ამიტომაცაა, რომ ჯერ მეგობრებს არწმუნებს იმაში, რომ უშიშარია („– მე და შიში ერთმანეთს არ ვიცნობთ. ვისაც არ სჯერა, შეიძლება გამომცადოს"), შემდეგ კი თავს იცავს მომხვდურისგან, თუმცა სამოქალაქო ომის ცეცხლშიც იტრიალა, „აჯანყებული ჯარისკაცების შურისძიების გუგუნიც" ახსოვს, მათგან თავს დატეხილი ათასი საფრთხე და განსაცდელიც და კარგად იცის, რას ნიშნავს ბოლშევიკებთან დაპირისპირება.

უჯუში ვერ ეგუება შერცხვენილ სიცოცხლეს და ღირსებას სიცოცხლის საფხრთხის მიუხედავად იცავს. საკუთარ ქალაქში, საკუთარ ქუჩაზე მშვიდად მოსეირნეს ვილაც გადამთიელი ხრიტანიუკი მივარდა, „მარცხენა ხელი ემხას მარჯვენა მხარს ხმალივით შემოუქნია. კლანჭებად მომარჯვებული თითები ეპოლეტში ჩაასო და მოსაგლეჯად მოსწია." ვასკა პირტის თავხედობა ნებისმიერი კაცისგან საპასუხო რეაქციას, შეწინააღმდეგებას ითხოვდა, (თუ თეიმურაზ ხევისთავივით ნაკაცარივით არ მოიქცეოდა).

მით უმეტეს, ემხასათვის უძვირფასესი განძისკენ წაიღო ვასკამ ხელი, „სიცოცხლის გარდა ორი რამ განძი ჩამოჰყოლოდა, რომლებსაც სიცოცხლეზე უფრო აფასებდა და უფრთხილდებოდა. ეს იყო სიყრმიდანვე მისი საოცნებო ოფიცრის ეპოლეტები და ოფიცრისავე წმ. გიორგის ოქროს ორდენი." ამიტომაც უჯუშის მიერ ვასკას მკვლელობა პატივაყრისგან თავის დაცვის მცდელობა იყო.

ემხა არ გაურბის პასუხისმგებლობას ჩადენილის გამო, თავისი ნებით მიდის კრეისერზე, სასიკვდილოდ, და უშიშრად, შეუდრეკლად ეგებება სიკვდილს.

თავგასული მეზღვაურისა და უჯუშის სახით ქიაჩელი ერთმანეთს უპირისპირებს ძალადობასა და ვაჟკაცურ ღირსებას. ქართული ანდაზისა არ

იყოს, ხშირად „ძალა აღმართს ხნავს“ – უჯუშს სიკვდილით სჯიან, მაგრამ მკითხველის თვალში ღირსეულ ვაჟკაცად რჩება და განგვიმტკიცებს რწმენას, რომ არ შეიძლება უზნეო ყაჩაღებს გააქელვინო ყველაფერი ძვირფასი, რომ კაცმა სახელიანი სიკვდილი უნდა არჩიოს თავლაფდასხმულ სიცოცხლეს.

ნაწარმოების მთავარი გმირი (თუ სათაურის მიხედვით ვიმსჯელებთ) ჰაკი აძბაა, „აფხაზი გლეხი, რომელსაც მთელი აფხაზეთი იცნობდა როგორც ემხას ძიძიშვილს და მის განუყრელ მხლებელს. მორჩილი ტანის კაცი იყო, ხმელი, მაგრამ ნაკვთიანი, სწორად სხმული, – მარდი და მოქნილი, როგორც გარეული შავი კატა. თმაგადაპარსული თავი ზაფხულ-ზამთარ შიშველი დაჰქონდა, ყაბალახი მუდამ ცალ მხარზე ჰქონდა გადაგდებული. კუპრივით შავი წვერ-ულვაში თითქმის მთელ სახეს უფარავდა.“

იგი ნამდვილად არ გამოირჩევა გარეგნული ბრწყინვალებითა თუ გაბათლებით, თუმცა ზნეობრიობითა და ერთგული სიყვარულით გაცილებით აღემატება თავადური გვარის განსწავლულ არისტოკრატებს. მისი დაპირისპირებით თოუხან მარშანთან ავტორი გვიჩვენებს, რას ნიშნავს ჭეშმარიტი კეთილშობილება.

ჰაკი ერთადერთია, ვინც ბოლომდე ერთგულობს უჯუშს, ცდილობს, დაიცვას იგი, გაიყვანოს სოხუმიდან და თუნდ საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინოს. როცა სხვა გამოსავალს ვეღარ ხედავს, იბრალებს მეზღვაურის მკვლელობას, თვალთმაქცობს კუზმასთან, რომ გული მოულბოს და როგორმე დაიხსნას ძმა.

აძბას ძუძუმტისა უთქმელად ესმის. ამიტომ ზედმეტ სიტყვას არც კი დაახარჯვინებს მას, როდესაც უჯუში უხსნის, რომ თავს დაესხნენ, ჰაკის ისედაც სჯერა, რომ ტყუილუბრალოდ არ მოკლავდა კაცს, იმასაც გრძნობს, როგორ ღელავს, ამიტომ ერთადერთი სიტყვით დაამშვიდებს ემხას: „ვიცი“.

ჰაკიმ ისიც იცის, რომ უჯუში არ გაჩუმდება, არ მისცემს ძიძიშვილს თავის ნაცვლად სიკვდილის უფლებას, ამიტომ საამისოდაც მზადაა: სიყვარული და უჯუშის ვაჟკაცობა აძლევს გამოსავლის პოვნის საშუალებას – იცის, ემხა არასოდეს უღალატებს მამამძუძის ხსოვნას, არც ძიძას მოექცევა უპატიოდ. ამიტომაც შეახსენებს:

„მე არ შემიძლია შენი თავი სიკვდილს დავუთმო, უჯუშ, სანამ ცოცხალი ვარ. შენმა გამზრდელმა მამაჩემმა მიანდერძა, როცა კვდებოდა: უჯუში შენი მზე არის, ეს იცოდეო. სიცოცხლე იმისათვის მომიცია, რომ იგი უჯუშს შესწირო, როცა ამის საჭიროება დადგებაო. დედაჩემმაც გაიგონა ეს სიტყვები და შენი ძიძა დღესაც ცოცხალია.“

ჰაკი აძბას სახით ლეო ქიაჩელი ასახავს მამაპაპური ტრადიციების ერთგულ, ამაყ და ღირსეულ აფხაზს, რომელსაც ორი მიზანი ამოძრავებს: ემსახუროს ძმას და იყოს ღირსეული შვილი – არ შერცხვეს გარდაცვლილი მამის, პირნათლად მივიდეს მის საფლავთან და წასაყვედრებელი არ გაუხდეს დედის ხსენი, თუ ვერ შეასრულებს მამის ანდერძს.

მკითხველის თვალში ჰაკი მაშინაც კი ინარჩუნებს ღირსებას, კუზმას რომ ელაქუცება, ხან აქებს მას და ხან ტირის, რადგან ამას ძმის სიყვარულისათვის სჩადის.

ბოლოს კი, უჯუშის სიკვდილით გამწარებული ჰაკი, კილგასგან „მონად“

შერაცხილი, თავის ნამდვილ სახეს აჩენს და იმ ადამიანთა სიმბოლო ხდება, ოქტომბრის რევოლუციის მესვეურთა ხელში მონურ და დამცირებულ ცხოვრებას სიკვდილი რომ ერჩიათ, თუმცა არც კუზმასნაირებს ეხატებოდათ ისინი გულზე და მათი განადგურება ან „აღზრდა“ თავის მოვალეობად მიაჩნდათ.

ამიტომაც არის, რომ ღირსების გრძნობით სავსე ადამიანები იღუპებიან. ამ საზოგადოებაში ჰაკისა და უჯუშის ადგილი არ არის.

გემის კაპიტანი – მეზღვაურთა „ორსახიანი და სამთვალიანი“ მეთაური ყველა თანამებრძოლზე მახინჯი და სასტიკია. დანახვისთანავე ზარავს ადამიანს და მისგან მოშორების სურვილს უჩენს, რითაც ემსგავსება ბელადს ჯემალ ქარჩხაძის „იგიდან“, ვის დანახვაზეც მხეცებიც კი გარბოდნენ.

კუზმა-მრისხანისთვის ცნებები: „თავგანწირულობა“, „ერთგულება“, „სამშობლოს სიყვარული“ – ადამიანთა შეუგნებლობას გულისხმობს, რომელთა მიმართაც კაპიტანს მხოლოდ ზიზღი და სიბრალული აღეძვრის. თავის მისიად ამიტომაც მიიჩნევს გლეხთა თუ მეზღვაურთა ამ „მონობისაგან“ განთავისუფლებას. როდესაც ხედავს, რომ ჰაკი იბრალებს თავადის დანაშაულს, მის „გამოსწორებას“ ცდილობს:

„კუზმამ ერთ ხანს უცქირა ჰაკის. სახის მრისხანე გამომეტყველებაში წამით ზიზღი შეექსოვა, რომელიც მალე უნებლიე სიბრალულმა შესცვალა.

– შენ ხარ მონა, აფხაზო. კრეისერი „შმიდტის“ სახელით განიჭებ თავისუფლებას, წადი და დაივიწყე შენი ბატონი.“

იმ შემთხვევაში კი, თუ ვერ აღიქვამენ, ან ვერ აფასებენ მის „პატივისცემას“, აღშფოთებული კილგა ნამდვილ მხეცს ემსგავსება. ამიტომაც შეჯიბრი გაუმართა ჰაკის შეგნებას.

მოთხრობაში ვკითხულობთ:

„საქმე ის არის, რომ კუზმა-მრისხანე თავიდანვე დიდად გააკვირვა ჰაკის ამბავმა. თავდაპირველად არც დაიჯერა მისი თავგანწირულება და თეთრგვარდიელი ოფიცრისადმი გამოჩენილი ერთგულება: ეგონა, რომ ეს იყო ძალდატანება და ჩაგონება თავადების მხრით, რომლებიც შეუგნებელსა და ერთგულ გლეხს ავალებდნენ საკუთარი სიცოცხლის განწირვით ბატონის დახსნას სიკვდილისაგან. მაგრამ როცა საქმის ნამდვილ ვითარებას გაეცნო, მისი რევოლუციური შეგნება ისე აღშფოთდა, რომ ჰაკის კლასობრივი სიბრმავე საკუთარ შეურაცხყოფად მიიღო და გულში გადაწყვიტა, ამ იშვიათ ტიპს ახლოს გაცნობოდა, რათა ეცადნა მისი „დამუშავება“. კუზმას შეუძლებლად მიაჩნდა, რომ აფხაზი გლეხის შეგნებაში არ აღმოჩენილიყო სულ მცირე ნიადაგი მაინც ელემენტარული რევოლუციური იდეის შესათვისებლად. ძველი მეზღვაური და რევოლუციონერი ერთგვარი შეჯიბრების გრძნობამ მოიცვა.“

ხოლო როდესაც ჰაკის გულში უჯუშის სიყვარული და მამის ანდერძის შესრულების სურვილი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ამ მახინჯი „ძაღლის“ კაცთმოძულეობით სავსე ქადაგებანი ან მისგან მომდინარე სასჯელის შიში, დამარცხებულმა და ხელმოცარულმა კილგამ მოკლა აფხაზი გლეხი, თავიც გაიმართლა და გაიმხნევა:

„– სულერთია, ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდა...“

ამით მწერლის მიზანი ამოიკითხება – ამ ტიპის ადამიანებს კეთრო-

ვანივით უნდა განერიდო, რომ ბოროტება არ გადაგდონ, სულიერად არ დაგამახინჯონ (რასაც ცდილობდა კუზმა ჰაკისთან შეხვედრის შემდეგ), ან თავი უნდა გაწირო, რომ მათნაირი არ გახდე.

ნაწარმოებში მწერლის შიშიც ამოიკითხება, რომ ამ ტიპის რევოლუციამ, ყველა ქვეყნის პროლეტარიატს რომ მოუწოდებს გაერთიანებისა და ერთგვაროვნობისაკენ, ცუდად გაგებული ინტერნაციონალიზმით შეიძლება გაანადგუროს ნაციონალური თავისებურებანი, მოშალოს, აღმოფხვრას ეროვნული ტრადიციები და ღირებულებანი. ამიტომაა, რომ ძუძუმტეობა, რომელიც ერთ-ერთი ქართული მოვლენაა, რუსი რევოლუციონერისათვის მხოლოდ მონობაა, ქედმაღალი ბატონის ურთიერთობაა დაშინებულ გლეხთან. სიყვარული, ურთიერთთავდადება მაღალ და დაბალ ფენებს შორის, საქართველოში ჩვეულებრივ, აუცილებელ მოვლენად რომ ითვლებოდა, ამბოხებულ მატროსთათვის ზიზღის მომგვრელი ურთიერთობაა, რომლის ფეხქვეშ გათელვასაც ყოველმხრივ ცდილობენ. არადა, მათ მხარესაა ძალა და მათთვის ტრიალებს ისტორიის ბორბალი...

მწერალს შეუცვლია ნაწარმოების ფინალიც, რაც სოციალისტური ეპოქის ზეგავლენით უნდა იყოს გამოწვეული. პირველ ვარიანტში ჰაკის კუზმა კლავდა, მაგრამ, რევოლუციონერს არ ეკადრებოდა გლეხის წინააღმდეგ მოქმედება, პირიქით, მათი თქმით, ჩაგრულთა კლასის კეთილდღეობისთვის იბრძოდნენ, ამიტომ მეორე ვარიანტში ჰაკი თავს იკლავს, კილგა კი დანანებით ემშვიდობება მას. ჩვენი აზრით, ეს კონიუნქტურაა და ლეო ქიაჩელისთვის სასურველი იქნებოდა ფინალის თავდაპირველი ვარიანტი, რომელიც, შესაძლოა სიცოცხლის ფასადაც კი დასჯდომოდა.

კრეისერმა მიზანს მიაღწია, ძვირფასი ნადავლი ჩაიგდო ხელში უჯუშისა და ჰაკის სახით. ძალადობამ კიდევ ერთხელ გაიმარჯვა. კიდევ ერთხელ შეილახა კაცობრივი და ეროვნული. ადამიანმა კიდევ ერთხელ გამოიჩინა უნიათობა და ზნეობრივ პრინციპებს თავლაფდასხმული სიცოცხლე ამჯობინა. სოხუმელთათვის კიდევ ერთხელ დარჩა უდაბნოში მღაღადებლის ხმად რუსთველის სწავლება:

„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“...

თუმცა უფლის შვილებმა, რომელთა გამოც დედამინა არსებობას განაგრძობს და მეორედ მოსვლამდე დარჩენილ დროს იხანგრძლივებს, შეინარჩუნეს ღირსება და დასძლიეს მოძალადის შიში. ამგვარი ადამიანები – ანუ სოფლის მარილნი თუ განქარდებიან, სამყაროს უფლის რისხვა დაატყდება თავს და მეყსეულად განადგურდება.

ნაწარმოების მთავარი სათქმელიც ესაა, რომ ძალადობასთან, უსამართლობასთან დაპირისპირება კაცთაგან მხოლოდ იშვითს ძალუძს, თუმცა ეს სოფელი მათს გულებზე დგას და მათია ცათა სასუფეველიც.

კიდევ ერთხელ გაიწირა საუკეთესო... კიდევ ერთხელ „ჩაიგდო ხელში სატანამ ლანგარზე დადებული თავი იოანე ნათლისმცემლისა“... თუმცა, კიდევ ერთხელ გაიხარა უფალმა, რომ „არ განქარვებულან მარილნი სოფლისანი“ და გულში ჩაიკრა თავისი შვილები – ჰაკი და უჯუში, რომელთა „ღირსიც არა იყო სოფელი ესე“...

„საუკუნოთა არმურიდან გადმონაჟონი"

(კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა")



კონსტანტინე გამსახურდია
(1891-1975)

„წელიწადზე მეტია, რაც ეს ამბავი ჩემს სულში სდუღს, ბოლოს იგი დაიწრიტა, ჩემს წარმოდგენაში შედედდა, სიტყვამ ხელ-ფეხი შეისხა და გადმოინთხა ქაღალდზე, როგორც ნათელი მითი, საუკუნოთა არმურიდან გადმონაჟონი." – ამბობს კონსტანტინე გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენის" პროლოგში და აქედანვე გვამზადებს სიყვარულით გაცოცხლებულ ძველ, ნათელ და საამაყო ამბავთან შესახვედრად.

შესაძლოა, თვალი გავადევნოთ ამ ნაწარმოების შექმნის ისტორიას, რადგან კონსტანტინე გამსახურდიამ რომანს დაურთო „ბოლოსიტყვა" და მასში მკითხველს ბევრ საინტერესო კითხვაზე გასცა პასუხი. მწერალი მოგვითხრობს, თუ რამ უბიძგა ასეთი ისტორიული ტილოს შესაქმნელად:

„მე სულ თორმეტიოდე წლისა ვიყავი, როცა „ქართლის ცხოვრება" მომაჩეჩა ხელში შემთხვევამ თუ ბედმა, ჩემი გარდაცვლილი ძმის, ბესარიონის, ბიბლიოთეკაში ნაპოვნი. ბალღობიდანვე მიყვარდა და მაოცებდა აფხაზთა მეფე გიორგი პირველი. სიჭაბუკეში მომემატა პატივისცემა მისდამი, როცა გავიგე, თუ რამოდენა ვეშაპს შებმია ეს შესანიშნავი რაინდი. მიყვარდა იგი ორ კურაპალატს შორის გამოსრესილი მეფე (აქ იგულისხმება მამა გიორგისა, ბაგრატ III კურაპალატი და ძე გიორგისა, ბაგრატ IV, აგრეთვე კურაპალატი).

ვინც დაახლოებით მაინც წარმოიდგენს, თუ რა დიდი მხეცი იყო ბასილი II, ბულგართმმუსვრელი, რომლის იმპერია განფენილი იყო აპენინის ნახევარკუნძულიდან ბასიანამდის, ბალკანეთის უკიდურესი სამანებიდან არაბეთის უდაბნოს კიდემდის, მისთვის გასაგები იქნება, თუ რა კოლოსალური ძალის მატარებელი ყოფილა იმჟამინდელი საქართველოს მეფე გიორგი პირველი, რომელმაც ერთხელ, მაგრამ მაინც დაამარცხა კეისარი ბიზანტიისა, და ამ უბადლო ვაჟკაცს, რომელსაც მატიანე უწოდებს „უშიშოს, ვითარცა უხორცოს", ქართულ ქორონიკებში მხოლოდ ორიოდე გვერდი აქვს მიძღვნილი.

მე შემძრა ამ უსამართლობამ და ამ მიჩქმალული გმირის აპოლოგიას ვუძღვენი დიდი მდუღარება ჩემი სულისა."

როგორც ვხედავთ, ბელეტრისტი ასახელებს ორ ძირითად მიზეზს: გიორგი პირველის პიროვნებით აღფრთოვანებასა და ქართველი ისტორიკოსების უსამართლობას, უფრო ზუსტად, ზოგადქართულ (ან, იქნებ, ზოგადკაცობრულ) მოვლენას – წაუყრუონ, უკეთეს შემთხვევაში, ან უმ-

ტრონ ნამდვილად ღირსეულს, გამოჩენილს, ჭეშმარიტ გმირს. თვით მეფე წუხს ჩვენი ერის ამ თვისების გამო:

„ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდკაცი თუ გამოგვერია, მას ისე დაგკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას – ყვავები".

გარდა ამისა, კ. გამსახურდია მწერლის მოვალეობად მიიჩნევს ჭეშმარიტი გმირობის წარმოჩენას, პროლოგში ათქმევინებს ექვთიმეს: „მწერლობა გმირობის გამოსარჩლებაა მხოლოდ. მიჩქმალული გმირობის ქომაგია მწერალი და სხვა არაფერი."

რომანის დაწერის მეორე მიზეზი სვეტიცხოვლით აღფრთოვანება და მისი ამშენებლის ხოტბის სურვილი ყოფილა, ამ ხუროთმოძღვრის განდიდებით კი ყველა უპრეტენზიოდ გარჯილი მამულიშვილის ხოტბა, ხელოვნების საოცარი ნიმუშები რომ შექმნეს და თავიანთი სახელებიც კი არ დაგვიტოვეს:

„ხომ უცილოდ დიდია რუსთაველი და თანავარსკვლავედი მისი, მაგრამ არანაკლებად საამაყოა ჩვენთვის ბოლნისის, ჯვარის, სვეტიცხოველის, წრომის, ბედიას, მარტვილის, თიღვას და გელათის დიდოსტატები. მე ვწუხდი, რომ ასეთი შედევრების ხუროთმოძღვრებს დავიწყების ჩრდილი მიჰფენოდათ სახეზე. ამიტომაც წავატანე ხელი კონსტანტინე არსაკიძისათვის მკლავის მოკვეთის მშვენიერ ლეგენდას. ჩვენს დროში, შრომის აპოლოგიის საუკუნეში, შევასხი ხოტბა დიდი ხელოვანის ჯაფას და მის თავდადებას."

ძალიან მნიშვნელოვანია მწერლის მსოფლმხედველობრივი პოზიციაც და. შესაბამისად, საქართველოს მისიის მსოფლიო კულტუროლოგიურ ასპექტში წარმოდგენის მცდელობა, „დიდი საქართველოს ჩვენება" და ამ გზით ჩვენი თანამემამულეებისათვის ეროვნული სიამაყის გრძნობის გაღვივება.

მისი რწმენით, რადგან, „არც ერთ ერს არაფერი შეუქმნია მნიშვნელოვანი, თუ მას ოდესმე რომელიმე დიდი კულტურულ-ისტორიული მისიის მეურვედ არ უცვნია თავი", დავითისა და თამარის საქართველო შეეცადა კიდევაც ბიზანტიისათვის ჩამოერთმია ქრისტიანული იმპერიის დიდი მისია", რადგან ბიზანტიაში იყო უდიდესი ცივილიზაცია (საინტერესოა მწერლის შენიშვნა: „კონსტანტინოპოლში ჩამოსული ინგლისელი, ფრანგი და გერმანელი არისტოკრატი რაინდები ისეთ ველურ მანერებს ამჟღავნებდნენ, როგორც სატახტო ქალაქებში შემთხვევით ჩამოხეტებულნი მთიელნი").

ავტორი იმაზეც გვესაუბრება, თუ „დიდოსტატის მარჯვენის" შექმნისას რა გზის გავლა დასჭირდა წინაპართა სულებთან დასაახლოებლად, რის გარეშეც რომანი ვერ დაიწერებოდა:

„თუ ძველი დროის ქართველი მწერალი უშუალოდ ეწაფებოდა ირანის, ბიზანტიისა და არაბეთის კულტურათა მიღწევებს, მე დამჭირდა დიდი და ვრცელი ზიგზაგების განვლა, რათა მივდგომოდი იმ სათავეებს, რომელნიც სულიერ საზრდოს აწვდიდნენ ხოლმე ჩვენს წინაპრებს ოდესღაც." ამით მწერალი ააშკარავებს თავის პოზიციას, რომ ისტორიულ თემაზე მომუშავე

შემოქმედს კარგად უნდა ესმოდეს არა მხოლოდ იმ ეპოქის ვითარება, არამედ წინაპართა სულიერ-ზნეობრივი თუ მსოფლმხედველობრივი პოზიციაც უნდა გაისიგრძეგანოს, მათი მრწამსი და კულტურაც უნდა გაითავისოს.

„დიდოსტატის მარჯვენაზე" მუშაობა მწერალმა 1938 წელს დაიწყო და იმავე წელს დაასრულა. ნაწარმოების პირველი მონახაზი მოცემულია 1932 წელს დაწერილ კინოსცენარში „ვარძიის საიდუმლო". რომანი 1939 წელს ჟურნალ „მნათობში" ქვეყნდებოდა, შემდეგ ის გამოიცა ნოველებთან ერთად კრებულში „თვალთაჲ".

„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა" ისტორიული რომანია, რომელიც თანამედროვე მკითხველის წინაშე აცოცხლებს: გიორგი პირველის ეპოქის მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებსა და სვეტიცხოვლის მშენებლობის ამბავს.

კონსტანტინე გამსახურდია, ცხადია, ეყრდნობა ისტორიულ დოკუმენტებს, ქართულ, ბერძნულსა თუ არაბულ წყაროებს, თუმცა დიდი ნაწილი მწერალს ფანტაზიით შეუქმნია საკუთარ პრინციპებზე დაყრდნობით, რომელთა შესახებ გვესაუბრება „ბოლოსიტყვაში". კერძოდ, რომანში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქვეყნის შინავითარებას, ქართველ ფეოდალთა ორგულობას. პირველივე ამბავია, რომ ახალი წლის დადგომასთან ერთად გიორგის ზვიადი აცნობებს ფხოველთა ამბოხის შესახებ, თითქმის ფინალური სცენაა ქორსატეველას ციხის აღება და მასზე მამამზე ერისთავის მიკვეთილი თავის გადმოკიდება. საგარეო ომები კი ნაწარმოებში ძალიან მკრთალად, ძირითადად გახსენებითა თუ ტკივილიანი მოგონებებით აისახება.

„ზოგს ეგ უკვირდა: რად არ ავსახე გარე პოლიტიკური ომები «დიდოსტატის მარჯვენაში», ან რად დავუთმე მომეტებული ყურადღება შინაურ ამბოხებათა ჩაქრობის მომენტებს? – წერს კონსტანტინე გამსახურდია, – უნდა ვაღიარო: ეგ შეგნებულად მაქვს ჩადენილი. შინაპოლიტიკური ვითარებანი სწყვეტენ ყოველი ნაციის, ყოველი სახელმწიფოს ბედს. მსოფლიო ისტორიაა ამის მოწმე თავათ. არც ერთი ნაციონალური გაერთიანება, არც ერთი სახელმწიფო მარტოოდენ გარეპოლიტიკური ინვაზიების შედეგად არ დარღვეულა. შინაური გათიშვისა და ზნეობრივი დეგრადაციის მეოხებით დაიღუპა ძველი საბერძნეთი, ძველი რომი, საკეისრო ბიზანტიისა, რუსუდანისა და ლაშა გიორგის სახელმწიფოცა. ამადაც აქცენტი გავუკეთე ჩემს რომანში გიორგი პირველისეულ საქართველოს ვითარებას შინაურს."

საყურადღებოა რომანის კულმინაცია, ცენტრალური ამბავი – არსაკიძისათვის ხელის მოკვეთაც, რომელიც მწერალმა ეპიგრაფადაც გამოიტანა. ამით შეცვლილია ისტორიული რეალობა და არაზუსტადაა გაგებული სვეტიცხოვლის ბარელიეფის შინაარსი, რომელიც ლოცავს ხელოვანის გამარჯვებულ მარჯვენას, აკურთხებს და მადლიერების ნიშნად უფლისგან მისთვის ღვთის წყალობას გამოითხოვს (ცხადია, სვეტიცხოვლის ამშენებლისთვის ხელი არავის მოუკვეთია). თუმცა ესეც საგანგებოდ ჩაუდენია მწერალს, რადგან, მისი აზრით, წინააღმდეგ შემთხვევაში, „იდეა, რაიც საფუძვლად უდევს რომანს, ვერ გამოიხატებოდა." თავის მიზანს პროზაიკოსი ასე ხსნიდა:

„ჩემი სურვილი და წადილი იყო მართალი სიტყვა მეთქვა განწირული ხელოვანის ბედზე მეფე გიორგი პირველის ტირანულ სახელმწიფოში. ლეგენდას რომ მივყოლოდი, მაშინ არსაკიძისა და გიორგი პირველის ქებანი და აპოლოგია უნდა დამეწერა.“

ასევე, გასათვალისწინებელია საბჭოთა ეპოქისეული კონიუნქტურა, ბრძოლა სარწმუნოებრივი და ნაციონალური მრწამსის წინააღმდეგ, ანტითეისტური სახელმწიფოს მოთხოვნები და იდეოლოგიური წნეხი, რომელთა შედეგიც იყო „მწერლობის მოთვინიერება“, აკაკი ბაქრაძის სიტყვებით რომ ვთქვათ. ჩვენი აზრით, ამის გამოა, რომ ყველა პერსონაჟი ნაკლებმორწმუნე ან ურწმუნოა (მათ შორის მელქისედეკი, საქართველოს პირველი კათალიკოს-პატრიარქი, საოცრად ღირსეული და ავტიროტეტული ადამიანი, და „მესიის მახვილი“ – მეფე გიორგი, რომელსაც ეს ტიტული სწორედ ღრმადმორწმუნეობისა და ქრისტიანობის გავრცელების მცდელობისათვის მიენიჭა, რომანში იგი რწმენაშერყეული პიროვნებაა, „რომელიც ფარსმან სპარსთან ღამეული საუბრების დროს დიდის გულისყურით ისმენდა მისგან პლატონის სწავლას სულთა გადავლენისათვის და ვარსკვლავებს უთვალთვალებდა ღამღამობით, ვინ იცის, ეგებ, მზეგადასულთა სულნი იყვნენო იგინი?“); არსაკიძეც იაკობის სულის მეამბოხეა, წირვაზე დასწრება რომ არ უყვარს; პერსონაჟებს შორის ყველაზე ცუდი ადამიანი ეზოსმოძღვარი ამბროსია – „ფრიად გამოცდილი ჭორიკანა და მოენე";

მწერლის მანერაც მათზე საუბრისას ნამდვილად არ ტოვებს მართლმორწმუნე ქრისტიანის ნათქვამის შთაბეჭდილებას: მელქისედეკს „ცისკენ თავაშვერილ მამალს“ უწოდებს; გიორგის „ურწმუნოების დამადასტურებელ“ მაგალითებს ჩამოთვლის და შემდეგ სიტყვებით: „მიუხედავად ამისა“ ეჭვს შეიტანს ისტორიული ცნობების ჭეშმარიტებაში: „მიუხედავად ამისა, ქრისტიანობის ქომაგად ითვლებოდა გიორგი"; გამაღიზიანებელია მარიამ დედოფლის ღრმადმორწმუნეობა (არადა, პატივისცემას უნდა იმსახურებდეს); XX საუკუნის ცნობილ შეხედულებას: „ღმერთი მოკვდა“ – სინანულის გარეშე (უფრო, ნიშნისმოგებით) ამბობს ექვთიმე, რომ სვეტიცხოველი „თვით ღმერთზე უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა"; განმგეთუხუცესი უქადაგებს არსაკიძეს, რომ მაცხოვარი შიმშილს ასწავლიდა ხალხს, «უდაბნოში შიმშილობდა თავათ, შეგირდებსაც აშიმშილებდა", თანაც მონათხრობის მიხედვით იგრძნობა, რომ სასწაულად კი არ მიაჩნია სახარებიდან მოხმობილი მაგალითი, არამედ იმის დასტურად, რომ ცოტა აკამარა უფალმა ბევრ ადამიანს: „გახსოვს, ჭაბუკო, ხუთი პურითა და შვიდი თევზით რომ გააძღო მან ბევრზე ბევრი?"

გვხვდება ასეთი ფრაზებიც: „განა აგრე არ დაძრწოდა ქვეყნად უფალი ჩვენი, მაცხოვარი?" ან თვით ავტორისეულ მონათხრობში: „მაცხოვრის სახეს, ვაგლახად დაღრეჯილს, შეხედა მამამზემ", „მერმე მთელმა ერმა, ტაძრის შიგნით და ტაძრის ეზოში შებღავლა ღვთაებას: «განკურნე დიდოსტატი!»...

თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს ავტორის მრწამსია – ეს ეპოქით განპირობებული მძიმე არჩევანია: ან ათეისტურად უნდა დაეწერა, ან წიგნს არასოდეს დაუბეჭდავდნენ...

ამით აიხსნება ისიც, რომ რომანში ავტორი არსად ახსენებს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტს სვეტიცხოველთან დაკავშირებით, რომ ის უფლის კვართისა და ელია წინასწარმეტყველის ხალენის სამკვიდრებელია. ვფიქრობთ, მწერალი ცდილობს, ტაძარი წარმოადგინოს, როგორც ხელოვნების ქმნილება და არა, როგორც ქრიატიანული საკულტო ნაგებობა. ამ მხრივ, ნიშანდობლივია ექვთიმეს სიტყვები: „(სვეტიცხოველი) ჩემს თვალში ღვთის სახლი როდია, არამედ დიდი ხელოვნების იგავმიუწვდენელი ქმნილება".

გავიხსენოთ ისიც, რომ ექვთიმე აღფრთოვანებულია საბჭოეთით: „მხოლოდ საბჭოურმა ხელისუფლებამ, ვენაცვალე მას, გადაახურვინა იგი წრეულს". თანაც ბოლშევიკებს მენშევიკებზე წინ აყენებს, დემოკრატიულ საქართველოს კი იწუნებს. ამ პერიოდს „ახალ დროს" უწოდებს და ამბობს: „ახალ დროშიაც კაცს არ მოჰგონებია მისი შეკეთება". ცხადია, ეს არ არის ანტისაბჭოთა სულისკვეთების ადამიანისთვის მისაღები ფრაზები (სინამდვილეში, როგორი პიროვნებაც იყო კ. გამსახურდია), ესეც ეპოქის მიერ „მოთვინიერებული მწერლის" კომპრომისია საკუთარ თავსა და მრწამსთან.

ნაწარმოების სათაურს მწერლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, არც კონსტანტინე გამსახურდიაა ამ მხრივ გამონაკლისი – მასაც საგანგებოდ შეურჩევია სათაური, ჩაურთავს მასში მთავარი გმირის სახელი. იგი წერს:

„ზოგიერთ კრიტიკოსს აგრე მოეჩვენა, თითქოს მთავარი გმირი ამ რომანისა გიორგი პირველი იყოს და არა კონსტანტინე არსაკიძე. გმირების გალერეაში იერარქიის ძებნა ნაკლებად საგულისხმო ამბავია. ამ შემთხვევაში სათაურს უნდა დაუკვირდეს მკითხველი."

რადგან რომანის თემა საზოგადოების უგულობა და ღირსეულ შვილთა დაუფასებლობაა, ავტორის თქმით, „მოვლენათა ფოკუსში მოქცეულია მკლავის წარკვეთის ამბავი, ე. ი. განწირული ბედი დიდი ხელოვანისა ტირანულ სახელმწიფოში," ეპიგრაფიც ამ მიზნით გამოუყენებია მწერალს – იმ „საზღაურზე" დაგვაფიქრებს, უანგარო (წყლის ფასად) შრომისა და საქართველოს სამკაულის აშენებისათვის რომ გადაუხადეს ხუროთმოძღვარს:

„ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს,
რატომ კარგი აგიგია."

„დიდოსტატის მარჯვენა" პროლოგიანი და ეპილოგიანი რომანია.

შუა საუკუნეების ესთეტიკის შესაბამისად, პროლოგი მწერლის პრინციპებსა და მსოფლმხედველობას გვიზიარებს, შინაარსობრივად კი არ უკავშირდება ნაწარმოებს.

პროლოგიდან ვიგებთ, რომ კ. გამსახურდია ძველის ტრფიალია, მისთვის ნამდვილი დასვენება ცხენზე ჯდომა და ამ გზით წინაპრებთან სიახლოვის შეგრძნებაა („როცა თავწვრილა, მკერდგანიერი, მუხლმაგარი და ყურდაცქვეტილი ცხენი შემომხედავს შრომისაგან წელში გადრეკილს, წინაპრების ჩემის უშრეტი ენერგია კვლავ იღვიძებს ჩემში"); თანამედროვე ავ-

ტოები თუ ნაგებობები მხოლოდ სიმყუდროვეს ურღვევენ; თუ ქალაქის ხედები მისთვის ჩვეულებრივი სურათებია, სვეტიცხოვლის თვალის მოკვრაც კი აბედნიერებს, რადგანაც მისთვის ეს ტაძარი არის „ცაში ატყორცნილი სიმფონია ლოდებისა, მრუდე ჰარმონიით აღსილი ხაზების ზესწრაფვა". თანაც, მცხეთაში ჩასულს თავი ათი საუკუნის წინ ჰგონია: „სვეტიცხოველის გალავანთან თავდება ჩვენი ეპოქის ჩქამი და სინათლე, მის წიაღში იწყება საუკუნო რიცხვით მეათე თავისი მრუმე ღამეებითა და იდუმალებით".

აქვე, მწერალი იმ მასალის შესახებაც გვაუწყებს, რომელიც სვეტიცხოველში მოუძიებია: ისტორიული ცნობები (ექვთიმეს ნაამბობის სახით: „სარკინოზი აბულ-ყასიმი ეძგერა მას პირველად, შემუსრა და აქლემთა თავლად გახადა იგი, აღადგინეს, შემდგომ ამისა, სელჯუკმა ალფ-ასლანმა იავარჰყო იგი, კვლავ აღადგინეს და თემურ-ლენგმა დაანგრია ისევე, შაჰთამაზმა და შაჰ-აბაზმა მილეწეს მრავალგზის."), გადმოცემები, ლეგენდები, წარწერები, ბარელიეფები, მონეტა (თუმცა, უნდა შეინიშნოს, რომ გიორგი პირველის დროინდელი მონეტა არ არსებობს. მწერლის ფანტაზიის ნაყოფია ექვთიმეს „მიერ ნაჩვენები" ფული და მისი აღწერილობა: „დიდხანს აფათურა ხელები უბეში, ბოლოს ძველთაძველი მონეტა ამოიღო, ქართული. ცხენოსანს შავარდენი უზის მარცხენაზე და ასომთავრულით წარწერილია ზედ: „მეფეთ მეფე გიორგი, მესსიის მახვილი").

მწერალს რომანი ხელოვნების უკვდავების იდეის წარმოჩენისთვის მიუძღვნია. ჩვენც გვწამს, ტაძრის შემხედვარეთ, რომ „ხელოვნებაა თავათ უკვდავება. მხოლოდ ოსტატს ვერეწევა სიკვდილი... ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს. მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი".

ბელეტრისტი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ყველაფერი დიდებული მხოლოდ საოცარი ჯაფისა და მონდომების შედეგად იქმნება: „ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასად, თუ მთელი ჯანი არ შეალიე ამ სასტიკ ბომონს, არაფერი გამოგივა ხელიდან".

ამიტომაა, რომ არსაკიძე ვერც შორენასთვის იცლის და ვერც ავადმყოფი დედის სანახავად მიდის, ვიდრე არ მოათავებს სვეტიცხოველს. სიცოცხლეს ურჩევნია დედაცა და სატრფოც, მაგრამ ტაძარი მისთვის ამქვეყნიური არსებობის გამართლება და სიცოცხლის საზრისია. მიწისძვრისას ჯერ იმაში რწმუნდება, რომ ტაძარი გადარჩა, მხოლოდ შემდეგ შეძლებს შორენაზე ფიქრს; ვაზის ჩუქურთმიანი ქვა, ოთხ კაცს ძლივს რომ აჰქონდა ხარაჩოზე, წელმოწყვეტილსა და გულწასულს მანამ უჭირავს, ვიდრე დაეხმარებიან; მძიმე ავადმყოფს საკაცით რომ შეასვენებენ ტაძარში სატფურებისას, მაშინაც საკუთარ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას კი არ გამოითხოვს ღვთისაგან, არამედ სვეტიცხოვლის უკვდავებას. ეს სულისშემძვრელი ეპიზოდი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე:

„მოათავა თუ არა ქადაგება, საკაცით შემოაყვანინა კონსტანტინე არსაკიძე. თვალი მოავლო ოსტატმა ოქროითა, ვეცხლითა და პატიოსანი თვლებით მოკაზმულ ტაძარს, ცრემლი დაიძრა, მაგრამ დაიოკა მღელვარება, ჩუმად, სავსებით ჩუმად წაიბუტბუტა: «იქმენინ ნათელი!» – ამ სიტყვებით

დაიწყო უფალმა სამყაროს შექმნა, ხუროთმოძღვარიც სიყვარულმა და თავდადებამ ჭეშმარიტ შემოქმედად აქცია, უფლის კურთხევა გაიმეორა მომაკვდავმა, რათა ტაძრისთვის უკვდავი სული შთაებერა (მკითხველი გრძნობს, როგორ ეალერსება არსაკიძე სვეტიცხოველს ისევე, როგორც უფლის ფრაზაში ამოიკითხება სითბო და მამობრივი სიყვარული ქმნილებისადმი).

ფსალმუნში ვკითხულობთ: „უკუეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალემ, დაივიწყენ მარჯუენეცა ჩემი, აექუნ ენაი ჩემი სასასა ჩემსა, არათუ მოგიხსენო შენ.“ (ფს. 136, 5-6). დავით წინასწარმეტყველივით, არსაკიძესაც ყოველწამიერად ახსოვს ის, რაც ყველაზე მეტად უყვარს. როგორც მეფსალმუნე გონების თვალით მარადიულად დასტრიალებს იერუსალიმს, ასევე კონსტანტინე – თავის ქმნილებას. ამიტომაცაა სწორი შორენას დასკვნა: „მაინც სვეტიცხოველი გირჩევნია შენ ყველაფერს, უტა“.

როდესაც ეჭვიანი სატრფო საყვედურობს, შენ სიცოცხლე ქვაზე ნაკლებად გყვარებიაო, არსაკიძე ბრალდებას კი არ უარყოფს, ან მიჯნურს მისდამი სიყვარულში კი არ არწმუნებს, გულმხურვალედ იცავს მისთვის უძვირფასეს და „ცოცხალ“ ქმნილებას:

„განა ქვაა სვეტიცხოველი, ჩემო? ქვაყოფილია იგი ამჟამად. უფრო უკვდავი, ვიდრე ასი ათასი მოკვდავის სული“.

მწერალი გვიხსნის კიდეც თავისი პერსონაჟის სულიერ მდგომარეობას: „რომელ გულს ეყოფა ძალა, მიჯნურობასა და ხელოვნებას ემსახუროს ორთავეს თანაბრად? ასე ყოფილა ჟამის დასაბამისიდან, ერთი ბომონი ვერ დაიტევს ვერასოდეს ორ კერპს.“

შემოქმედი თავისუფალი სულის ადამიანი უნდა იყოს, მხოლოდ მიბაძვითა თუ ოსტატის დარიგების გათვალისწინებით, თუნდ საუკეთესო შეგირდი ვერ შექმნის ხელოვნების უკვდავ ნიმუშს, ამიტომ ამბობს მწერალი: „არსაკიძესაც ბერძნული სკოლა ჰქონდა ბიზანტიონში განვლილი. მას შემდეგ, რაც თავისთავადი გახდა ოსტატი, უღალატა მასწავლებელთა გზას. (ეს ასე ყოფილა მუდამ: ვინც შეგირდი არ ყოფილა, ვერასოდეს გახდება ოსტატი, ვერც იგი გახდება ოდესმე ოსტატი, მუდამ ოსტატებს ვინც შეჰყურებს პირში).“ გიორგიც, ვიდრე გადაწყვეტს სასახლეში მიპატიჟებას და სვეტიცხოვლის მშენებლობის მისთვის მინდობას, წინასწარ ეკითხება, თავისუფლად მუშაობა თუ შეგიძლიაო.

დიდი ხელოვნება მუდამ არის ეროვნული მრწამსის გამომხატველი. ამიტომ უნდა გიორგის, ქართველს მიანდოს „ცისა და მიწის სამკაულის“ მშენებლობა „არაგვისა და მტკვრის შესართავთან, უკვარცხლბეკო ვაკეზე.“ ვერც სპარსელი და ვერც ბიზანტიელი ვერასოდეს შეიგრძნობენ ისე ორგანულად სვეტიცხოვლის ადგილმდებარეობასა თუ დანიშნულებას, როგორც გაიაზრებს ამას ჩვენი თანამემამულე. ამ ტაძარს, ხომ, „აღმოსავლეთიდან ჯვარი გადმოსცქერის, სარკინეთისა და ზედაზენის მთების გვირგვინი, ჩრდილოეთიდან ყაზბეგის მწვერვალიდან ყინვის ბექთარებში ჩაჭედილი მარადჟამობა.“

ნამდვილი ხელოვანი უანგარო უნდა იყოს. როდესაც შორენა ნიშნის მოგებით ეუბნება უტას, მეფე გიორგი და მელქისედეკ კათალიკოსი გულ-

ბოროტი ადამიანები არიან და ღვაწლს არ დაგიფასებენო, არსაკიძე თავისი პასუხით ააშკარავებს, რომ ყოველგვარი საზღაურის გარეშე მუშაობს, რომ ხელოვნება მისთვის სიცოცხლეზე მეტია:

„განა მეფისა და კათალიკოსის წყალობის მოლოდინში შევალიე სვეტიცხოველს ჯანი? მე ჩემი ხელოვნება სიცოცხლეზე მეტად შემყვარებია, ჩემო, ამიტომაც განწირული მაქვს თავი".

მწერალს სწორედ ეს თავგანწირვა მიაჩნია უკვდავი ხელოვნების შაქმნის საწინდრად. იგი აშკარად მიგვანიშნებს, რომ არსაკიძეზე ბევრად ნიჭიერმა და გამოცდილმა ფარსმანმა თავისი სიზარმაცისა და არასწორი ცხოვრებისეული პრინციპების გამო ვერ შექმნა ვერაფერი დიდებული, მისი აშენებული ტაძრები მიწისძვრამ რამდენიმე წელში დაანგრია. ჩორჩანელი ცხოვრებას იიოლებდა, მხოლოდ გამორჩენისათვის ცხოვრობდა, სიყვარული და თავდადება მისთვის არაფრისმთქმელი ცნებები იყო. ამიტომაც წერს მასზე ავტორი:

„ფარსმან სპარსისათვის კონსტანტინე არსაკიძის დაპირისპირება გაგებულ უნდა იქნას, როგორც ერთგვარი ტეზა და ანტიტეზა რომანში.

ერთის მხრით, დიდად ტალანტიანი ფარსმანი, უპრინციპო და გაყიდული, უსამშობლო კაცი, მეორე მხრით, აგრეთვე ტალანტიანი არსაკიძე, მისი შეგირდი:

ფარსმანი გადაეგება, როგორც ხელმოცარული კაცი, ხოლო არსაკიძის შემოქმედების ნაყოფი – სვეტიცხოველი დარჩება როგორც ნარმავლობასთან მებრძოლი, უკვდავი ქმნილება ხელოვნებისა."

სხვაფრივ, კონსტანტინე ჩვეულებრივი ადამიანია, მეურნის ნიჭი არ მოსდგამს, არცთუ დიდი ფიზიკური ძალით გამოირჩევა, ვერც გარეგნული მომხიბვლელობით დაიკვეხნის, მიუხვედრელია და იჭვნეული, მეძავებს დაურიგა სიყვარული, თუმცა მყარი მრწამსი და უდრეკი ნებისყოფა აქვს, არის „მოკრძალებული, თავმდაბალი ჭაბუკი, უთვინიერესი ბუნებით." უყვარს ყველაფერი ძველი, დავიწყებული და განწირული, ამიტომაც ამბობს: „ჩემი სიყვარული განწირულს ეკუთვნოდა მუდამ. მე ის ფერები მიყვარდა, რომელთა შეზავება თვით მეწამლეებსა და მხატვრებსაც გადავიწყნიათ უკვე, ისეთი ჩუქურთმები, თვით უხუცეს კალატოზებს რომ ვეღარ გამოჰყავთ, ისეთი სამოსელი, რომლის ტარებაც უკვე არავის ეხალისება"

თავმდაბალ ჭაბუკს შური თუ ჯიბრი საერთოდ არ ახასიათებდა. მეფემ და კათალიკოსმა უდიდეს ოსტატს შეარკინეს, თუმცა ღმერთმია მოწამე, მას არ მოუწადინებია ეს. არსაკიძის სახელს დასწვდნენ და ესროლეს იგი ფარსმანს, როგორც ხელკეტი – მწიფე ნაყოფს."

შიში უცხო იყო მისთვის. ფარსმანი ხან მეჯადაგეს ეძახდა და ხან ნიშნის მოგებით ეუბნებოდა, მე ვერ გავბედავდი ამხელა ტაძრის მშენებლობასო, თუმცა კონსტანტინეს გულს შიში არ მიჰკარებია.

უტას მგრძნობიარე, მეოცნებე და არამიწიერი ბუნება განსაკუთრებით ნათლად მჟღავნდება შორენასთან დამოკიდებულებით. მას ჩვეულებრივ ქალად ვერც კი წარმოიდგენს, რადგან მისთვის კოლონკელიძის ქალი ანგელოზს უთანაბრდება. არსაკიძის თვალით „ფაქიზი იყო შორენა, როგორც

ქერუბიმის ფრთენი და სევდიანი, როგორც ყინცვისის მჭმუნვარე ანგელოსი. ჰარილესავით რბილი და ტფილი იყო მისი ბუნება სრულად... შორენა თავათ წააგავდა თავის საყვარელ ნებიერას, ფხოვის მთებსა და მჟავე წყალს მონატრულ ირემს."

შორენა უტასთვის წმინდანი იყო, შემწე და მფარველი, ხორცშესხმული ღმერთი, „სპეტაკი, როგორც თოვლი როშკას მწვერვალისა, შეურყვნელი, როგორც ველის ყაყაჩოები". ამიტომაც ეუბნება მას:

„შენ ისეთი წმინდანი ხარ, უმძვინვარესი მხეცებიც ვერ შეგბედავენ. თუ სიყვარული ღმერთი ყოფილა, შენა ხარ ჩემი სიყვარული და ღმერთი თავათ. ამიტომაც გიგულებდი თანამდგომად მარტო ბრძოლაში".

კონსტანტინეს თავი მის ღირსად არასოდეს მიაჩნდა, „უნდოდა, სველ მდელოზე დაჩოქილიყო, ფერხთით დავარდნოდა სანატრელს", ისევე, როგორც სიზმარში – დათვები.

ისტორიამაც შემოინახა სვეტიცხოვლის ამშენებლის შესახებ გარკვეული ცნობები. იგი ცნობილია მამის სახელით: „არსუკისძე", (გ. 1029). ეს სახელი ამოკვეთილია ორგან: ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, შუა თაღს ქვემოთ, მედალიონებში და ჩრდილოეთ ფასადის მთავარი სარკმლის ზემოთ, ორ ქვაზე, რომელთა შორის ჩასმულია მესამე ქვა ხელისა და გონიოს რელიეფური გამოსახულებით. წარწერა ასეთია: „ჴელი მონისა არსუკისძისაჲ. შეუნდვეთ".

ისტორიული ცნობების მიხედვით, ტაძარი აგებულია 1010-1029 წლებში. არსუკისძეს გამოუყენებია ძველი (V-VI სს.) სვეტიცხოვლის ცალკეული ნაწილები, რათა სრულიად ახალი დამოუკიდებელი ნაწარმოები შეექმნა.

არსუკისძე უნდა იყოს ტაძრის დასავლეთით მდებარე კარიბჭის მშენებელიც.

რომანის მთავარი „გმირი" სვეტიცხოველია, აბულ-ყასიმის მიერ იავარქმნილი, აღდგომის დღეს მინისძვრით დაქცეული, არსაკიძის გულის სისხლითა და ათი ათასი მონასპის შრომით, ოფლით, შიმშილითა და ხანდახან სიცოცხლის ფასადაც აშენებული.

ავტორი პროლოგიდანვე მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას დიდებულ სვეტიცხოველს, რომლის ამჟამინდელი მდგომარეობა, «წამიერის მარადჟამულად ქცევა", არასაკიძის ახდენილი ოცნება და მისი იმედის დადასტურებაა: „როცა ყველაფერს წვიმა წარხოცავს, როცა ყველა ხმას ქარი წაიღებს, სვეტიცხოველი შეიმატებს დიდებას კიდევაც."

მწერალი გვიჩვენებს, როგორ გადაქცეულა ტაძარი საჯილდაო ქვად: ფარსმანი მისი აშენებით საქართველოში ფეხის მოკიდების საშუალებას ხედავს და თანაც გეგმაში მოხერხებულად შეაპარებს არაქრისტიანულ ელემენტებსაც, რათა ამ სარწმუნოების გაქილიკებითა და ქართველ ქრისტიანთა უცოდინრობით დატკბეს. – მისი „გეგმით ახალი სვეტიცხოველი უნდა ყოფილიყო ერთნავიანი ტაძარი, რომლის ოთხივე ფასადის რელიეფები ირანული ალეგორიებით იქნებოდა გადატვირთული. ფრთოსანი ცხენების, ძაღლების, სირაქლემების, გრიფონების ფიგურებითა";

მელქისედეკისთვის სამი ეკლესიის მოცულობის ტაძრის აშენება, პი-

რადი ამბიციების დაკმაყოფილებასთან ერთად, გიორგის „მოქცევისა“ და დაფიქრების გზაა, ამიტომაც არწმუნებდა მეფეს, „თუ სვეტიცხოველს ამაგებინებ, მოგიტევებსო „ოლთისში ჩადენილ მკრეხელობას უფალი";

მარიამ დედოფლისთვის ფარსმანის თავიდან მოშორების საშუალებაა, რადგან მშენებლობა ლაზს მიანდვეს;

შორენა იმით ამოწმებს უტას სიყვარულს, თუ შეძლებს ტაძარზე წინ მის დაყენებას, ამიტომაც საყვედურობს მიჯნურს: „შენსა და ჩემს შორის რა მაღალი კედელი აღუმართავს ბედს. შენი სვეტიცხოველის სიმაღლე ქვის კედელი, უტა".

მხოლოდ არსაკიძეა ერთადერთი ადამიანი, ყველასა და ყველაფერზე წინ რომ აყენებს ტაძარს, როგორც „სიჭაბუკის, მამაკაცობის უსაჩინოეს ქმნილებას, პატიოსნების და ოსტატობის ნაყოფს უძვირფასესს."; ერთ სასწორზე რომელ უძვირფასეს ქმნილებასთან ერთადაც უნდა დაუკიდონ, მისთვის მაინც სვეტიცხოველი გადასწონის; ყოველ ეკლესიას ნაბიჯ-ნაბიჯ ზომავს და საგანგებოდ ატოლებს მომავალ სვეტიცხოველს; „როგორც ტოილოთი დაბმული ცხენი გარს უვლის ხოლმე დღედაღამ პალოს, ოსტატს მუდამ თვალწინ უდგას შემოქმედების თვისის საგანი, მარადჟამს თავის პირმშოს დასტრიალებს გონების თვალით"; ტაძარი საკუთარ სიცოცხლეზე მეტად უღირს და როცა ხვდება, სიცოცხლის დათმობა მომიხდებაო, ოსტატი იმაზე „ნაღვლობდა ფრიად, დაუსრულებელი რომ რჩებოდა სვეტიცხოველი", სულიც მხოლოდ თავისი შედევრისთვის ემეტებოდა. სასიკვდილო აგონიაშიც კი ვერ უღალატა უძვირფასეს ქმნილებას და, თუმცა დაჩოქილი ევედრებოდა მიჯნური, ცხარე ცრემლით ატირებულმა უარყო მისი მუდარა, აღესრულა, როგორც ჭეშმარიტი ხუროთმოძღვარი: „დაუჩოქა სამგზის სანატრელმა, სთხოვა დიდოსტატს სული. ცრემლმა იწვიმა კონსტანტინეს თვალთაგან, მაგრამ ვერც საყვარელს მისცა მან სული, რადგან სვეტიცხოველისთვის შეეწირა იგი."

მწერალი „დიდოსტატის მარჯვენაში"არსაკიძის სიტყვებით ქადაგებს ერთიანობის იდეას, რათა გააცხადოს, რომ ურთიერთდაპირისპირებული, გათითოკაცებული ერი ღირსეულს ვერაფერს შექმნის და ქვეყანასაც მტერს ჩაუგდებს ხელში: „მე არც გიორგი მეფის მეხოტბე ვარ, არც მელქისედეკ კათალიკოსის მგალობელი. მაგრამ არა მგონია, შვიდმა ხევისბერმა უფრო მართებული კანონები შეჰქმნან ამჟამად, ვიდრე თუნდაც ერთმა გულბოროტმა მეფემ."

აქვე აშკარავდება ავტორის პოზიცია, რომ ერი თვითონ იქმნის და იმსახურებს ცხოვრების წესსა და არსებობის ფორმას: „არც ერთი ერი იმის უკეთესის ღირსი არაა, რაც მას დაუმყარებია თავათ (წყობილება)."

ერისკაცობა კი, ავტორის რწმენით, ნიშნავს, იყო შენი ერის ჭირისა თუ ლხინის მოზიარე და თავგანწირვით იბრძოლო მისი დამოუკიდებლობისათვის: „მე ვემორჩილები იმ წყობილებას, რომელიც წილად ერგო ჩემს ხალხს და ამიტომაც ხვალ რომ ბერძნები ან სარკინოზები შემოეწყონ საქართველოს ციხეებს, მოქანდაკის საჭრეთელს განზე გადავდებ და ხმლით შევებრძოლები მტერს."

შინაომებით დაღლილი მეფე გიოგი პიპას შესჩივის: „ჩვენი უბედურება ამჟამადაც ეგაა: ჩვენში მოღალატენი სჭარბობდნენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავის, თავის ხალხის მოღალატენი, კარგად ვიცი, თვით ჩემს მსტოვარებში ნახევარი ბიზანტიელებსა ჰყავდათ შესყიდული, ნახევარი – სარკინოზებს.

როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას."

პატრიოტიზმი ძალიან ძ;ლიერი გრძნობაა, რომანის მიხედვით. მწერალი ამით უპირისპირდება ინტერნაციონალურ საბჭოთა იდეოლოგიას. გიორგისთვის სამშობლო სიცოცხლეზე მეტია; არსაკიძე ერთადერთს – მამულს აყენებს სვეტიცხოველზე წინ, მხოლოდ სამშობლო აიძულებს, მეყსეულად შეწყვიტოს ტაძრის მშენებლობა; შორენას ენატრება ფხოვეთის მთები; მამამზესა თუ თალაგვას მხოლოდ განდიდების სურვილი არ ამოძრავებთ, ჰგონიათ, რომ თვითონ უკეთ მოუვლიან სამშობლოს, რომელსაც, მათი აზრით, მეფე გიორგისა და ქრიატიანობისგან დაცვა სჭირდება; ფარსმანიც კი საქართველოში იმიტომ ბრუნდება, რომ ნოსტალგია ეძალება...

სიყვარული, ნაწარმოების მიხედვით, სიკვდილივით ძლიერია. ამიტომ შეგვაგონებს მწერალი: „მაინც სხვა რაღაა სიყვარული, თუ არა და ღმერთი? ღმერთი კი არა, სიკვდილი. რადგან მას დაუმკვიდრებია სიყვარული სამარადჟამოდ, ვისაც სიკვდილის საფასით შეუსყიდნია იგი..." თუ დავუკვირდებით, მართლაც, სიცოცხლის ფასად უჯდებათ სიყვარული რომანის გმირებს: ჭიაბერს, გირშელს, შორენას, არსაკიძესა და თვითონ გიორგისაც.

მძიმე ბედისწერასავით გაისმის შორენას სიტყვები: „არავინ ისე არ ისჯება ამ ქვეყანაზე, როგორც იგი, რომელიც ყოველივეს არ შესწირავს თავის სიყვარულს." პერსონაჟები ვერ ახერხებენ სიყვარულის პირველ ადგილზე დაყენებას, ამაში ხელს უშლით მოვალეობები, ტრადიციები, საქმეები, პირადი თუ ქვეყნის ინტერესები. ალბათ, ამიტომაა, რომ არვ ერთი მათგანი ბედნიერი არ არის.

კ. გამსახურდიას დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მეფეთა შორის გიორგი პირველის გამორჩევა და ხალხში ინტერესის გაღვივება ამ პიროვნების მიმართ. ავტორს უნდა დავეთანხმოთ, რომ „ქართლის ცხოვრებაში" ჩაკარგული ბევრი პიროვნება აღარ გვახსოვს და არც მათ შესახებ ვიცით რაიმე.

მართლაც, მწირია გიორგი პირველზე შემონახული ცნობები, ვიცით, რომ გიორგი I (დ. 998 ან 1002 – გ. 16 აგვისტო. 1027), ბაგრატ III-ის ძე, ბაგრატ IV-ის მამა, საქართველოს მეფე იყო 1014-1027 წლებში.

მან ისარგებლა იმით, რომ 1014-1016 წლებში ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II ბულგარელებს ეომებოდა, გადალახა ბიზანტიის საზღვარი და ტაო დაიბრუნა. 1019 ბასილ II-მ ბულგარელებთან ომი დაამთავრა და გიორგი I-ს სადავო ტერიტორიის დაცლა მოსთხოვა.

1021 წელს ბიზანტიის ჯარი საქართველოში შემოიჭრა. ქართველები ღალატით დამარცხდნენ შირიმნის ბრძოლაში. გიორგი I-მა საზავო მოლაპარაკება გამართა და ამავე დროს ხელსაყრელ მომენტს უცდიდა ომის

გასაახლებლად. ამ დროს ბიზანტიაში იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. გიორგი I-მა ამით ისარგებლა და უარი განაცხადა ბიზანტიასთან არახელსაყრელი ზავის დადებაზე, მაგრამ აჯანყება დამარცხდა. გამომჟღავნდა მასში ქართველთა მონაწილეობაც.

კეისარმა გიორგი I-ს კვლავ მოსთხოვა სადავო ტერიტორიების დაცლა. საქართველოს მეფემ განაახლა საზავო მოლაპარაკება, თან ისევ ბრძოლისათვის ემზადებოდა, მაგრამ ბიზანტიამ დაასწრო ომის დაწყება. თავდაპირველად უპირატესობა გიორგი I-ის მხარეს იყო, მაგრამ საბოლოოდ ქართველები დამარცხდნენ. 1022-1223 წლებში გიორგი I დათანხმდა ზავის მძიმე პირობებს: სადავო ტერიტორია ბიზანტიამ მიიტაცა; ტახტის მემკვიდრე ბაგრატ IV სამი წლის ვადით მძევლად გაიგზავნა კონსტანტინოპოლში. საქართველომ დაკარგა ე.წ. დავით III კურაპალატის მემკვიდრეობა. ჩანს, გიორგი I ემზადებოდა რევანშისათვის, მაგრამ აღარ დასცალდა

დიდ საომარ ოპერაციებთან ერთად, ქვეყანაში მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები. მის მეფობაში აიგო სვეტიცხოვლის ტაძარი.

გიორგი მშვიდი იყო, „ენამზეობას მოკლებული, მაგრამ ამოდ მოუბარი და სახით სათნო... სახის იერით ბრწყინავდა... მდუმარე იყო ბუნებითგანვე, კაცი არამეტყველი, მაგრამ ფრიად დაკვირვებული."

მას არ სჩვეოდა დიდ საქმეთა ხელაღებით გადაწყვეტა. ამიტომ ყოყმანობდა მამამზე, მამამისის სიყრმის მეგობარი, გაეწირა თუ არა. ვერ იჯერებდა, რომ „იგივე ხელები ლესავენ გიორგის წინააღმდეგ მახვილს, იგივე ხელები, რომელთაც გააპატიოსნეს ბაგრატის ცხედარი ფანასკერტის ციხეში". ასევე, სანამ თვითონ არ წავიდა ფხოვში და პირადად არ დარწმუნდა, მანამ არ დაიჯერა მსტოვართა ნათქვამი, რომ აჯანყება გარდაუვალი იყო.

გარეშე მტრებთან ომებში „უშიშო იყო გიორგი, ვითარცა უხორცო", საერისთავოებში კი სისხლის ღვრას გაურბოდა.

თორმეტი წლისას დაადგეს სამეფო გვირგვინი, სათამაშოების ნაცვლად სკიპტრა შეაჩეჩეს. სიჭაბუკიდანვე ომებსა და აჯანყებებში ანთხევდა სისხლს.

„მელანქოლია შეეყარა გიორგის, კაცმძულვარება შეეპარა მის გულს, ადრე მოსწყინდა მეფეს დარბაზობის გრძელი ცერემონიები და ხელმწიფის კარის გარიგების სასტიკი ეთიკეტი. ჯერ მზრდელის, შემდეგ მარიამ დედოფლისა და მელქისედეკ კათალიკოსის მოსაწყენი შეგონებანი:

მეფე ხარ და ხამს...

მეფე ხარ და გმართებს...

მეფე ხარ და გევალება...

ასეთ წუთებში მეფედ არყოფნას ნატრობდა გიორგი."

გამოსავალს მიაგნო იმით, რომ გლახუნა ავშანიძეს დაირქმევდა ხოლმე და ინით წვერშეღებილი ნადირობდა სიყრმის მეგობარ მდაბიორებთან ერთად. აქ სუნთქავდა თავისუფლად და ივიწყებდა ომების კოშმარს.

დედა უყვარდა ყველაზე მეტად ამქვეყნად.

სიყვარულიც მიუწვდომელი ფუფუნება იყო მისთვის (მეფენი, ხომ, პოლიტიკური თვალსაზრისით ქორწინდებიან და არა – სიყვარულით). „ჯერ კიდევ ყრმას შეაჩეჩეს დედოფალი მზრდელმა და მელქისედეკმა, ისე, როგორც მდაბიორს მიუგდებენ მეზობლიანთ თხუპნიას. თავი მოაბეზრეს სეფექალებმაც. შორენაზე კი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე თქვა უარი.

გიორგი პირველს მწერალი ხატავს როგორც სამშობლოსთვის თავდადებულ უკომპრომისო რაინდს, შეწირულს ქვეყნის ინტერესებისათვის. მას არ მიუღია კურაპალატისა თუ მაგისტროსის ხარისხები და ამით ცდილობდა, ბიზანტიასთან ვასალური დამოკიდებულება არ ჰქონოდა; არ დაუხევია უკან „ზემო ქვეყნების“ დასაბრუნებლად და შირიმნის ომი ლამის სიცოცხლის ფასად დაუჯდა; მიუხედავად ბაგრატის მძევლად ყოფნისა, ერთადერთი ვაჟის სიცოცხლის საფრთხეც კი ვერ აიძულებდა, სამშობლოს ინტერესებზე წინ შვილი დაეყენებინა; შორენას ხელიდან საწამლავსაც სულმოუთქმელად შესვამდა, მცხეთაში ჭირი რომ გაჩნდა, უფალს შესთხოვა, მიჯნურის ნაცვლად შეჰყროდა ჟამი, თუმცა სატრფო მუხლმოდრეკილი რომ ეევედრებოდა, მე მაპატიეო მამა, ერთი წამითაც არ შეყოყმანებულა, წარბშეუხრელად დაათხრევინა თვალები თალაგვასთვის – სხვაგვარად ვერ ალაგმავდა ურჩი ფეოდალების ამბოხებას;

გიორგის სიკვდილისწინა აღსარება მამულზე მოფიქრალი და მოდარდე კაცის სიტყვებია, რომლებიც არა მხოლოდ პერსონაჟის ფაქიზ სულს, არამედ ქართველთა ნაკლოვანებებსაც ააშკარავებენ, თუმცა ნიშანდობლივია გიორგის ნათქვამი: „თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი, ხალხისა მიტარებია. ვაჟკაციც ვიყავი და მშიშარაც, კეისარს ვებრძოდი, მეშინოდა ხვიარას ფესვებისა, გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც“, რომელიც ცხადყოფს მკითხველისთვის, რომ გიორგი თავს არ იტყუებს, უყვარს თავისი ხალხის რეალური სახე და თვითონაც ერთი მათგანია, მათსავით ცოდვილიცა და მადლიანიც, ბრძენიცა და უჭკუოც, მამაციცა და ლაჩარიც, თავმდაბალიცა და ამპარტავანიც...

მისი ნამოქმედარიდან დასაფიქრებელი და განსასჯელია გირშელის სიკვდილის ამბავი, რადგან, ერთი შეხედვით, თითქოს მეტოქედ აღიქვა და მოიშორა (აღსარებაშიც ნანობს ამ ამბავს და შეცდომას თრიაქით მთვრალობით ხსნის), თუმცა ჯარის მიცემა გირშელისთვის გულისხმობდა, რომ კიდევ ბევრი ქართველი ვაჟკაცი ამაოდ დაიღუპებოდა ქორსატეველას აღებისას. გირშელი საუკეთესო მეომარი იყო, თუმცა სარდლად არ ვარგოდა, სწორედ ეს მიანიშნა ზვიად სპასალარმა მეფეს. გიორგი აღმოჩნდა მისთვის ძალიან მძიმე არჩევანის წინაშე: ან დეიდაშვილი უნდა გაეწირა, ან – ლაშქარი. ამიტომ უკუიხმო ერისთავი, რაც გირშელის სიკვდილზე ხელმოწერას ნიშნავდა, რადგან რაინდი სიტყვის გატეხასა და სახელის შერცხვენას სიკვდილს ირჩევს. – ასე მოხდა კიდეც.

ხოლო არსაკიძისთვის მკლავის მოკვეთა, თანაც „სვეტიცხოვლის ცუდად აგების გამო“ გიორგის ტირანად წარმოაჩენს. ამ შემთხვევაში იგი ეჭვიანობით დაბრმავებული უშვებს შეცდომას და მისთვის არადამახასი-

ათებელი სისასტიკით მოქმედებს: ხუროთმოძღვრისთვის ხელის მოკვეთა სიკვდილზე მძიმე სასჯელია, ტაძრისთვის თავგანწირული არსაკიძისთვის კი, სვეტიცხოველს რომ მიიჩნევდა თავისი არსებობის გამართლებად, ნებისმიერი სხვა ბრალდება იქნებოდა ბევრად უფრო მსუბუქი. ეს რომ არა, გიორგი იდეალურ პიროვნებად დარჩებოდა მკითხველის თვალში, თუმცა მაშინ ვერ შესრულდებოდა ავტორის მიზანი – წარმოესახა ხელოვანის ბედი ტირანულ სახელმწიფოში.

უაღრესად საინტერესოა ფარსმან სპარსის სახე. რამდენადაც შუა საუკუნეებში მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ავანტურისტები შეადგენდნენ (და, კ. გამსახურდიას შენიშვნისამებრ, „შუა საუკუნეებში ისინი გაცილებით მეტნი იყვნენ, ვიდრე ჩვენს დროში"), ამ ტიპის პერსონაჟის – „უსამშობლო კონდოტიერის" შექმნა, რომელსაც რამდენიმე პროფესია აქვს მომარჯვებული და იქ ცხოვრობს, სადაც თავს კარგად გრძნობს, იმ ეპოქის საქართველოს სრული სურათის შესაქმნელად აუცილებელი იყო.

„ქვისმთლელთა და კირითხუროთა უხუცესი, იდუმალთა მიმთხრობი იყო ფარსმანი, არაბულ ალქიმიაში ფრიად განსწავლული, უებარი ვარსკვლავთმრიცხველი, შესანიშნავი აქიმი, უცნაური მეწამლე და მჩხიბავი...

ფარსმან სპარსი შერქმეული სახელი უნდა ყოფილიყო, არსებითად ნამდვილი მისი ვინაობა და სადაურობა არავინ უწყოდა.

ყოველი ენა, ყოველგვარი სჯულის კანონი ზედმიწევნით იცოდა: ქართული, არაბული, თურქული, ირანული და ბერძნული".

მრავალნაცადი მეომარი და მოგზაური უამრავ „ხმალშემართულ რაინდს შეჰგებებია უშიშრად, ქართველსა და ბერძენს, სარკინოზსა და სომეხს, ცხენდაცხენ შესტაკებია სახელოვან სტრატიგებს და ფარისებს, ხმლითა და ჰოროლით უბრძოლნია მტრებთან..."

საოცარი ნებისყოფა ჰქონდა, კვნესისა და დრტვინვის გარეშე იტანდა სიძნელეებს, ბოლოს, მოხუცებულობაში, საშინლად აწამეს, მაგრამ ვერ გატეხეს და ხმლების საიდუმლო ვერ დააცდენინეს;

ბაგრატ კურაპალატმა ორმოცდახუთი წლისა მოანათვლინა, თუმცა ეკლესიაში სიარულითა და მარხულობით თავს არ იწუხებდა, ჩუმჩუმად დასცინოდა კიდეც ქრისტეს სჯულს. „მარიამის უხრწნელობის დოგმას აპამპულებდა თურმე და როცა თრიაქით დათვრებოდა, მოურიდებლად ხითხითებდა: ღვთისმშობელს იმდენი შვილი ჰყოლია, რამდენიც ანგელოსი დაეტევაო ნემსის წვერზე. ეს ოხუნჯობაც ორპირულად იყო მოსაზრებული. თუ ეტყოდნენ, ნემსის წვერზე ბევრზე ბევრი ანგელოსი დაეტევაო, იგი მიუგებდა: თქვენ არ გცოდნიათ, ანგელოსი კაცისოდენა რომ არისო, ხოლო თუ ვინმე მიუგებდა, საერთოდ ანგელოსს როგორ დაიტევსო ნემსის წვერი, – თქვენ არ გცოდნიათ, ანგელოსი უხორცონი რომ არიანო. მერმე მოჰყვებოდა იმდენს ანგელოსების უხორცობის გამო, თავბრუს დაახვევდა მსმენელს."

მართალია, რომანის ავტორს ვეთანხმებით, რომ „მწერლობა არ არის მხოლოდ გოეთესებური პედაგოგიური პროვინცია", თუმცა ფარსმან სპარსის სახეზე დაკვირვებით, ერთი მხრივ, ვრწმუნდებით, არასწორ აღზრდასა

და ამ საფუძველზე ჩამოყალიბებულ მცდარ ცხოვრებისეულ პრინციპებს კაცის სულზე რაოდენ დამანგრეველი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია და, მეორეც, ცოდნა, რომელიც რწმენით არ არის შემტკიცებული, ხშირად უბიძგებს ადამიანს უზნეობისა და ამპარტავნობისაკენ.

მზრდელი ცხოვრების გაიოლებასა და მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვის აუცილებლობას ჩასჩიჩინებდა პატარა ფარსმანს: „არს კაცი ჭური თვითმოძრავი – სულისა ხელმწიფე"... „ცხოვრება უდაბნოა ურწყული და ეცადე, გარს შემოუარო"... ამიტომაა, რომ არა მხოლოდ თვითონ ცხოვრობს ამ მრწამსით, არამედ არსაკიძესაც უქადაგებს: „ბრძენკაცი უნდა იყვეო და შლეგად მოაჩვენოო ადამიანებს თავი, გმირი უნდა იყვე და ჯაბანივით დადიოდე, ოსტატი უნდა იყვე და ხელმოცარულად მოგქონდეს თავი, რადგან არავის იმდენი მტერი არა ჰყავსო ქვეყნად, როგორც ბრძენკაცს, გმირსა და ოსტატს".

პაპამ და მამამ უსამშობლობა და ამპარტავნობა შთაუნერგეს სიყრმეში, როდესაც საკუთარი მეფისა და სამშობლოს ურჩობას ამჟღავნებდნენ;

ახლად დავაჟკაცებულს სუფიებმა დაუსრულეს მრწამსი – „ეგვიპტეში, ხეოპსის პირამიდაზე არაბული წარწერა ამოიკითხა ასეთი:

„დააგდე სექტა, სიძულვილის გახდი საგანი,
ვერ გაგიბედოს შენ ხელყოფა მუხთალმა დრომა,
გახდი დერვიში, უსამშობლო გლახაკთაგანი,
ზღვისგან ისწავლე ღელვის შემდეგ გულდამშვიდება...
განაძე შენგან წუთისოფლის მტკნარი დიდება,
დაიმსახურე მართებულად მეფეთა წყრომა..."

და ფარსმანიც პირნათლად ასრულებდა სწავლებას: იყო სიძულვილის საგანი, უსამშობლო გლახაკთაგანი, იმსახურებდა მეფეთა წყრომას...

ასეთი აღზრდის შედეგად მივიღეთ კაცი, რომელიც ყველასთვის საძულველი იყო, „ირიბი თქმების დიდოსტატი" ბოროტებას თესავდა (არსაკიძე დაასჯევინა), ქალწულებს ხრწნიდა, შურსა და მტრობას აღვივებდა, „ყოველ სარწმუნოებას აპამპულებდა იდუმალ (რათა საკუთარი დაემალა), ყოველი ეროვნების კაცს ამასხარავებდა (რათა საკუთარი არ გაემხილა როგორმე)."

ბიზანტიაში არაბი იყო, სპარსეთში – ბიზანტიელი, საქართველოში – სპარსი, არსად არ იყო იმ ქვეყნის მოქალაქე, რომელშიც ცხოვრობდა, რომ რაიმე ვალდებულება არ ეტვირთა, როგორც ადგილობრივ მოსახლეს. და ქართველი თავადი ფარსმან ჩორჩანელი „უსჯულოდ, უღმერთოდ, უთვისტომოდ დაიღუპა თვისტომთა შორის" ისე, რომ სამშობლოს არ დაუტოვა „ქვისა და რკინის მკვნეტელი" ხმლების საიდუმლო.

შორენას დასახასიათებლად და ამ პერსონაჟის ხვედრის წარმოსაჩენად საუკეთესოა მისივე ნათქვამი საკუთარ თავზე: „მარტო ვარ, როგორც მარტოხე, ქარისაგან დაბრიყვებული."

ამ ულამაზესი ქალის ნაადრევი ჭაღარა იმ უამრავი ტკივილის გამოხატულებაა, ცხოვრების განმავლობაში რომ ნახა, ბედმა, მართლაც, სათამაშოდ გადააქცია მამისა თუ გიორგის ხელში. მის კვალზე სიკვდილი დადიოდა,

ტყვეობაც იგემა და სირცხვილიც. მისი თვითმკვლელობა კი იყო ლოგიკური შედეგი მძიმე და მუხთალი ცხოვრებისა, რადგან უნებურად გახდა თავისი ერთადერთი დიდი სიყვარულის უბედურების მიზეზი.

ლამაზად აღესრულა: „პირჯვარი გადაიწერა, გარღვეულივით დაბარბაცდა და გადაეშვა ქარაფიდან შორენა. ჯერ ისე მხრებგაშლილი წავიდა ძირს, როგორც გაფრენილ ანგელოსებს ჰხატავდნენ ხოლმე ფრესკის ოსტატები. მერმე, დიდ მანძილზე სრბოლისას ორგზის გადატრიალდა ჰაერში და როცა კლდის ქიმზე დაეცა თავქვე, მიწამდის არ დაჰყოლია სული.“

რომანის პერსონაჟებიდან ისტორიული ცნობები შემონახულია მარიამ დედოფლისა და მელქისედეკ პირველის შესახებ.

საქართველოს მეფის გიორგი I-ის მეუღლე და ბაგრატ IV-ის დედა, ერთიანი საქართველოს დედოფალი მარიამი, ვასპურაკანის მეფის სენაქერიმ არწრუნის ასული იყო. იგი მცირეწლოვანი ბაგრატის მეფობის დროს აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის მართვაში. საზავო მოლაპარაკებას აწარმოებდა იმპერატორ რომანოზ III არგირთან. კონსტანტინოპოლში ყოფნისას დიდ დახმარებას უწევდა ათონის ივერთა მონასტერს და განსაკუთრებული ღვაწლისათვის მონასტრის აღაპებში გათანაბრებულია მონასტრის მაშენებლებთან.

ბიზანტიაში ყოფნისას მარიამი დაემონაფა გიორგი მთაწმიდელს, რომელმაც მონაზვნად აღკვეცა. მარიამმა მას გაატანა მდიდრული შესაწირავი, რომელიც იერუსალიმის მონასტრის წინამძღვარმა პროხორემ ჯვრის მონასტრის აგებას მოახმარა.

მელქისედეკ I საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო 1010-33 წლებში.

„მატიანე ქართლისას“ მიხედვით, წმ. მელქისედექი იყო „დიდებულთა კაცთა შვილი“, აღზრდილი მეფე ბაგრატ II-ის მიერ.

მის სახელს უკავშირდება საქართველოში პატრიარქობის დაწესება. წმ. მელქისედეკი არის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის პირველი საჭეთმპყრობელი, რომელიც მოიხსენიება ტიტულით „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი“.

წმ. მელქისედეკი საქართველოს სამოციქულო, ავტოკეფალურ ეკლესიას მესაჭეობდა მეფეების ბაგრატ III-ის, გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ის დროს.

კათოლიკოსობის პერიოდში ააშენა და შეამკო სვეტიცხოველი „ყოვლითა სამკაულობითა, ოქროთი და ვერცხლითა, თუალითა და მარგალიტითა“ და ყოველი განასრულა“.

წმ. მელქისედეკ I გარდაიცვალა 1033 წელს. დასაფლავებულია სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთ ნაწილში, წმ. ილია თეზბიტელის ეკვდერის შესასვლელთან. მისი ხსენების დღეა 1 (14) ოქტომბერი.

ვფიქრობთ, ორივე მათგანი რომანში მშრალად და სქემატურადაა ასახული.

კ. გამსახურდია ცნობილია თავისი ენით. ძირითადად ამას იწვევს სხვათა სიტყვის ნაწილაკების: „მეთქი“-ს, „თქო“-სა და „ო“-ს – ხმარება ყოვ-

ელთვის ზმნასთან და ზმნის გადატანა წინადადების შუა ნაწილში. მაგ.: „მტრის ლაშქარს შეებმის-მეთქი მარტოკა“, „გაქცევა იცის-მეთქი შემოჩვეულმა ძუმ“, „შენ არ ყოფილხარ-მეთქი მესსია“, „გავიქცეთ-მეთქი ღამით”, „ჩავუდგეთ-მეთქი სათავეში ფხოველთა ამბოხს“, „ასე უთხარით: ავდაა-თქო ფარსმანი“, „გირშელს მიათხოვებენ-თქო შორენას“, „გურანდუხტმა მზითევი გადმოუგზავნა-თქო უკვე, მეფემ დასტური მისცა-თქო“, „გირშელს მიათხოვებენ-თქო ყველისციხის პატრონს“, „ფარაონის თუთმაზის პირამიდაზე ვნახეო ერთი ბარელიეფი შარშან, მუნ გამოხატულ ქურუმებს მარცხენა მხარზე აქვთო ავაზის ტყავი გადაკიდებული. ეგვიპტური ღმერთქალი საფეს ასე ატარებდაო ავაზის ტყავს.“ ქართულისთვის კი დამახასიათებელია, რომ ზმნა ძირითადად დგას წინადადების ბოლოს, სხვათა სიტყვის „ო“ კი იხმარება ერთხელ და ისიც წინადადების ბოლოს.

გარდა ამისა, მწერალი იყენებს უამრავ ფერს, ძირითადად, გამოგონილს ან იშვიათს. მაგ.: მგლისფერი, ხვლიკისფერი, ისრიმისფერი, ხოხბისყელისფერი, ლაინისფერი ...

თხრობაში ჩართულია რითმიანი და თეთრი ლექსები, რომლებიც რიტმულობასა და მრავალფეროვნებას ჰმატებენ ნაწარმოების სტილს. მაგ.:

„ზღვისფერი გაქვს თვალები...“ ან

„ალბათ, მეფესაც ეყოლებაო დედა, ალბათ, მეფესაც ეყვარებაო დედა.

დედა დააფიცეო მეფეს, შეევედრეო ჩემს მაგივრად, გამოგიშვასო დედის სანახავად.

ერთხელ მაინც, ერთხელ მაინც თვალი მოგკრა როგორმე.

სიკვდილის წინ დაგლოცო, შვილო, შემდეგ ამისა ნუ შემრჩება სუნთქვა, შემდეგ ამისა მიმიღოსო უფალმა.“

იმდროინდელი ვითარების უკეთ წარმოსაჩენად მწერალი იყენებს არქაიზმებს: „მოშთობა“. „მჩხიბავი“, „მეჯადაგე”, „მეხამლე”, „მალემსრბოლი“, „ამირჩქარი“, „წყრთა“, „კირითხურო“.., რომელთა ასახსნელადაც რომანს ურთავდა ხოლმე ლექსიკონს.

გვხვდება საოცარი პოეტური სახეები. მაგ.: „ვარსკვლავებიც ნაზად აფახულებდნენ იისფერ წამწამებს”, „ვაჟკაცურად ებრძოდა წიწამურის ველზე მამალი ხოხობი ღამეს”, „ზღვაურის სუნთქვით შეტოკებულ ყანებს, როცა მოდგება საღამოს ბორიო, გადაიჯირითებს ოქროს თაველებზე, დააუთოვებს თავთუხის ზღვას”.

„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ საუკეთესო ისტორიული რომანია.



გიორგი ლეონიძე
(1899-1966)

მაია ჯალიაშვილი

დაუვიწყარი ღამის პოეტური ანაბეჭდი

(გიორგი ლეონიძის „ნინოწმინდის ღამე“)

ეს ლექსი მეგობრობისა და სიყვარულის ქებათა ქებაა. ეს ორი გრძნობა თითქოს ერთმანეთს განმსჭვალავს და აპირობებს.

ლექსს ეპიგრაფად უძღვის სტრიქონები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ 1926 წლის 26 მარტს ნინიწმინდის გალავანში შეიკრიბნენ პოეტები: სანდრო შანშიაშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე. ლექსში პოეტურად არის აღბეჭდილი ამ შეხვედრის დაუვიწყარი წუთები. პოეზიამ გადაარჩინა ეს დღე და ლექსისს გზით მარადიულობას აზიარა. ამ დღეს პოეტი ასე იგონებს შემდეგ: „1926 წლის მარტში მე დავპატიჟე პაოლო, ტიციანი, სანდრო შანშიაშვილი და სხვა ამხანაგები ჩემს დედულეთში, ნინოწმინდაში. V საუკუნის ტაძრის ეზოში გაიმართა დიდი ღრეობა სიმღერით, ცეკვა-თამაშით. შუა ნადიმის დროს პაოლო ავარდა თორმეტი საჟენის სიმაღლის სამრეკლოზე და იქიდან დაიწყო ლექსის კითხვა. შემდეგ მე და ტიციანი გამოგვიწვია გუმბათიდან და ჩვენც იქიდან ვკითხულობდით ლექსებს. ეს იყო პაოლოს საოცარი რეჟისურა, განუმეორებელი სურათი. ეს დაუვიწყარი საღამო, დაუვიწყებელ მეგობრებთან გატარებული, აღბეჭდილი მაქვს ჩემს ლექსში „ნინოწმინდის ღამე“.

ლექსის განწყობილება იბადება ღამის ფონზე გამოკვეთილი ნინოწმინდის გალავნით. პოეტის მეხსიერებაში შემოიჭრას ლამობს წარსული, მაგრამ მხოლოდ მინიშნებაა მასზე. ამჯერად მისი ყურადღება მთლიანად აწმყოზეა მიჯაჭვული. მეფეთა პალატები (სასახლეები) გაიელვებს წარმოსახვაში და გაქრება. რჩება ჯამი – აქაფებული ღვინით სავსე. პოეტები ქეიფობენ, ტკბებიან სიცოცხლის სიხარულით და გიორგი ლეონიძესაც სწორედ ამ წუთების მოხელთება სურს. მას უნდა, რომ გამოსტაცოს წარმავლობას ეს მშვენიერი ღამე და მკითხველს მიუძღვნას ძვირფასი საჩუქარივით.

ლექსის წარმოსახულ სივრცეში ცოცხლდება ღამე, როდესაც პოეტები თვრებიან ღვინით, პოეზიითა და ერთმანეთის სიყვარულით. მაგრამ ეს არის თრობა, უპირველეს ყოვლისა, შთაგონებით, რათა დაუსხლტნენ დროის ულმობელ მსვლელობას და პოეტურ სტრიქონებში აღბეჭდონ წამები. მათ შეუძლიათ თქვან: „მშვენიერი ხარ, წამო, შეჩერდი“ (გოეთე). ლექსი ეხმიანება გიორგი ლეონიძის საყვარელი ფრანგი პოეტის, შარლ ბოდლერის მინიატურას „თრობა“, რომელშიც ვკითხულობთ „თრობას მიეძალე. თრობაა ყველაფერი. ეგ არის ხსნა ერთადერთი, რათა არ შეიგრძნო ამაზრზენი ტვირთი დროისა, რომელიც დაგცემს, წელში გაგტეხს. ჰოდა, ამადაც თრობას მიეძალე, გამოუნელებელს.

ჰო, მაგრამ რითი? ღვინით, პოეზიით, სიქველით, რითიც გენებოს, ოღონდ იყავი მთვრალი.

და თუ ოდესმე კვლავ გამოფხიზლდები – სასახლის კიბეზე, მდინარისპირა პატარა მდელოზე, თუ შენი ოთახის შემზარავ სიმარტოვეში, – მაშინ ქარს, ტალღას, ვარსკვლავს, ჩიტს, საათს, ყოველივეს, რაც დარბის, ან დაქრის, კვნესის ან მიედინება, ჰკითხე: რომელი საათია? და მაშინ ქარი, ტალღა, ვარსკვლავი, ჩიტი, საათი მოგიგებენ: თრობის საათია! თრობის და თავდავიწყების, რათა არ ვეყმოთ, არ ვემონოთ დროს, არ შევიქმნათ მისი მარტვილნი; ამიტომ მივეძალოთ დაუსრულებელს: ღვინით, პოეზიით, ან სიქველით – წადილისამებრ".

ლექსში უცებ ელვასავით შემოიჭრება სტრიქონები:

„შენი სახე რისთვის შემომეფეთა,

ხატი იყავ, ვეფხი დაქალებული".

თითქოს საკმარისი უნდა ყოფილიყო იმ მშვენიერი ღამისთვის თრობა ღვინით, მეგობრობითა და პოეზიით, მაგრამ სიყვარულის გარეშე დაეკარგებოდა ფერი და ბრწყინვალება. ამიტომაც არის, რომ პოეტის შთაგონებულ მზერაში შემოიჭრება სახე, „ხატი" საყვარელი ქალისა, „დაქალებული ვეფხისა". პოეტში იღვიძებს ტრფიალების განცდა. მისთვის ღვინო, პოეზია და მეგობრობა იყო ის ნოყიერი ნიადაგი, სადაც სიყვარული იოლად ხარობდა, ფესვებს იდგამდა და ნაყოფმრავლობდა.

დაქალებული ვეფხვი, უპირველესად, აცოცხლებს ნესტან-დარეჯანის სახეს. იგი პოეტისთვის ქალურობის, სიყვარულის მარადიულობის სიმბოლოა. მისთვის ის შორეული, სალოცავი ხატიც არის და ხელშესახები სათაყვანებელიც.

„ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა, ვეფხი პირგამეხებული,

არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემეს ხებული" („ვეფხისტყაოსანი").

ამ მშვენიერ ღამეს ნინოწმინდაში შეკრებილი პოეტები „ვეფხისტყაოსნის" სტრიქონებს ამბობენ, ალბათ. რადგან, სადაც სიყვარულზე ითქმის რამე, იქ თავისთავად რუსთაველივ ჩნდება, ამიტომაც არის, რომ გიორგი ლეონიძის პოეზიაში ხშირად გაიელვებს ხოლმე ამ „ჟრჟოლის მომგვრელი" წიგნის სახება.

მუსიკა ყველაზე ძლიერი ფონია გიორგი ლეონიძის ლექსებში. ხან, მართლაც, ნამდვილად უკრავენ, როგორც ამ შემთხვევაში: „საზანდარმა ღამე აიცახცახა". საზანდარი მესტვირეა და საქართველოში ოდითგანვე ძალიან უყვარდათ ეს საკრავი – სტვირი. ამ მეტაფორაში კარგად ჩანს რა გავლენას ახდენს მუსიკა გარემოზე, როგორ იმსჭვალება მისით მთელი სამყარო. ხან თვითონ საგნები გამოსცემენ იდუმალ ხმებს. პოეტი შეიგრძნობს სამყაროს მირიადხმიან მელოდიას და სტრიქონებში ამხელს, რათა მკითხველსაც შეაგრძნობინოს ამ ჯადოსნური, მაგიური, ენერგიული მუსიკის ხმები.

„ავთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა", – წერს პოეტი. აქ „ვეფხისტყაოსნის" გმირის ხსენება ბუნებრივად შემოიჭრება ლექსის სამყაროში. მეგობრობისთვის თავგანწირული ავთანდილი მარტო მიეხეტებოდა ტყე-

ღრეებში, მერე დაღლილ-დაქანცული სადმე ჩამოჯდებოდა, შეისვენებდა, ნანადირევს შეწვავდა და სატრფოს მოგონებით დაზაფრული ცხელ ცრემლებს წყაროსავით დააფრქვევდა.

აქაც, 1926 წ. 26 მარტს, ამ ღამეში, ავთანდილის, და საერთოდ, „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სული იგრძნობა. მათშიც რუსთველისა თუ მის მიერ შექმნილ გმირთა სისხლი ჩქეფს, უწმინდესი მეგობრობისა და სიყვარულის გრძნობითაა აქვთ სავსე გულები.

პოეტი ხატავს ცის უმშვენიერეს სურათს. ცას თითქოს ატმები მოუსხამს, ისე ახლოა და სურნელოვანი მისი ხავერდოვანი სივრცე. ეს მეტაფორა არაჩვეულებრივად შეაგრძნობინებს მკითხველს, როგორ დუღს მთელ სამყაროში სიხარულით აღსავსე სიცოცხლე. ყველაფერი ღამეული სინათლით ჩახჩახებს და ბრდღვიალებს, თითქოს თავს ასწევ და რომელიმე ვარსკვლავს მიეხლები. მზერაც უამრავი ვარსკვლავის ციმციმით არის გადანათებული. მიწა და ცა ერთმანეთს უახლოვდება, მათი შესაყარი გულებშია ამ პოეტთა, რომლებიც ფეხებით მიწას ებიჯებიან, ხოლო ხელებით კი ზეცას სწვდებიან და ვარსკვლავთა სურნელს მწიფე ატმებივით ყნოსავენ. სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობამ ისე განწმინდა და გააკეთილშობილა პოეტთა გულები, იმგვარად აამაღლა, რომ მიუწვდომელთან მიახლოების შესაძლებლობა მისცა, ცის ნალკოტში შეახედა.

ამ ლექსის მიხედვით, სამყარო გარშემო ისეთი ხალასია და უმანკო, ისეთი პირველქმნილი, თითქოს მკითხველის თვალწინ ახლა იბადებოდეს, თითქოს ახლა ძერწავდეს ღმერთი თავისი ყოვლისშემძლე ხელებით, როგორც ფსალმუნშია: „ვიხილნე მე ცანი, ქმნილნი თითთა შენთანი, მთოვარე და ვარსკულავები, რომელ შენ დააფუძნენ (8,4). თითქოს ახლა „გამოთქვამდეს“ უფალი თავისი ღვთაებრივი სიტყვით: „პირველითგან იყო სიტყუაჲ, და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“ (იოანე, 1,1). ამიტომაც ასდის გაზაფხულს რძის სუნი, რომელიც სამყაროს სინორჩეს წარმოაჩენს. გარემოს ამგვარი აღქმა კი ადამიანს ბუნებასთან განუყოფლობას, მასთან ერთობას შეაგრძნობინებს.

ლექსის მიხედვით, პოეტები „თავს დაესხნენ“ ნინოწმინდას ხაზარებივით. გიორგი ლიონიძეს მოსწონდა სიტყვა „ხაზარი“, რომელიც მასში ხანძრის ასოციას იწვევდა. ამ სიტყვაში თითქოს ჩანდა აგიზგიზების, აბრიალების სიხარული. ხაზარი მომთაბარე ტომი იყო კავკასიაში, ცნობილი ვაჟკაცობითა და თავგანწირულობით. საქართველოს ამ ტომებთან ხან მტრობა და ხან მეგობრობა აკავშირებდა. ამ, შემთხვევაში, ხაზარი არ არის დაკავშირებული თავის რეალურ შინაარსთან, არამედ მხოლოდ მუსიკალური განცდის აღმძვრელია, მან უნდა დაბადოს მკითხველში ცეცხლოვან ვაჟკაცთა სახეები და ასეც ხდება. ნინოწმინდის გალავანში შეკრებილ პოეტებსაც ეკიდათ გულში მეგობრობისა და სიყვარულის დიდი ცეცხლი. „საქართველოს ლექსის მეხანძარენი“ ბრიალებდნენ მეგობრობის, ძმობის კეთილშობილური გრძნობებით და სიხარული ცრემლებად ეღვრებოდათ თვალთაგან.

პოეტი ხატავს, როგორ „შეეჯახება“ მის გულს ტამერლანის, იგივე თემურ-ლენგის, ხმალივით სიყვარული:

„როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა
სიყვარული ისე დამჯახებია“, – ეს შედარება და მეტაფორა არაჩვეულებრივად წარმოაჩენს, როგორ დაიპყრო პოეტის არსება სიყვარულმა. საზგადოდ, გიორგი ლეონიძის პოეზიაში სიყვარული ხშირად სწორედ ასე იბადება, მოულოდნელად, ძლიერად, თითქოს ნგრევით, ზათქით, ზრიალით, ლენვით, ხანძრით... პოეტი წერს „ტამერ ლანს“ (და არა თემურ-ლენგს), როგორც დასავლეთში უწოდებდნენ ამ თავდაუზოგავ და შეუდარებელ მხედართმთავარს, რადგან სიტყვა „ტამერ“ უფრო მაგარია და მჟღერი, მასში მოზღვავებული ენერგია იგრძნობა, ერთგვარი ზვავი, რომელსაც ვერაფერი შეაჩერებს. ლენგი შეიცვალა ლანგად– ხმოვანების გასაძლიერებლად. სიტყვის ორი ა (ტამერლანი) ტკბილხმოვანებას იწვევს. სიტყვა „თემურლენგის“ სირბილე თითქოს გამოუსადეგარი იყო „დაჯახებისთვის“. ტამერლანის ყოვლის მმუსრავი, სასტიკი ხმალივით უცებ, მოულოდნელად, გამეტებით დაეჯახა მის გულს სიყვარული და გაუღვიძა შორეული წარსული, მეხსიერების კუნჭულებში გადანახულ-გადამალული: შეიძლება რეალური, შეიძლება მოგონილი.

წარმოსახვაში ჩნდება სატრფოს, ათაბაგის ქალის უმშვენიერესი სურათი. აქ ისე გამოკვეთილად იხატება ქალის ყოველი ნაკვთი, თითქოს ანტიკური ხელოვანის სრულყოფილად გამოკვეთილ შიშველ ქანდაკებას ვუმზერდეთ. იმავდროულად, ეს ქანდაკება კი არა, ხორციელი ქალია, მის მკერდში სისხლი ჩუხჩუხებს, მისი თავთუხისფერი წამწამები ირხევიან, მისი სხეული აყვავებული ვაზის სურნელს აფრქვევს, „ზამბახებიანი ღამე“ კი ამ წარმოსახვას იდუმალების ბურუსში ახვევს. მკითხველიც ხედავს ქალს, თითქოს გასაფრენად გამზადებულ დურუჯს. დურუჯიც „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ ეპიზოდს წამოატივტივებს მკთხველის მეხსიერებაში. როდესაც ნადირობიდან დაბრუნებული ფარსადანი და ტარიელი ნესტანთან წავიდნენ, ასმათმმა ფარდაგი აწია, რომ ტარიელითვის ნანადირევი – დურაჯები გამოერთვა, სწორედ ამ დროს დაინახა ტარიელმა ნესტან-დარეჯანი და გული წაუვიდა.

„წინანდალის ვაზი აყვავებული“ კი გვახსენებს ნინო ჭავჭავაძეს, ალექსანდრე ჭავჭავაძის უმშვენიერეს ქალიშვილს, პოეტთა მუზას. გიორგი ლეონიძეს არაერთ ლექსში აქვს მისი მშვენება აღწერილი, მათ შორის, გამორჩეულია ლექსი „ნინა ჭავჭავაძეს“, რომელშიც ვკითხულობთ:

„ასი წლის შემდეგ მე შენ გიგალობ,
ათას წელს გასძლებს შენი შვენება;
შენ, სილამაზის ნაზო გრიგალო,
შენგან არასდროს მომესვენება“.

პოეზიის მადლით შეკავშირებული ადამიანები სამყაროს შეერწყმიან თავიანთი ლექსებით. პოეტს სწორედ ეს სურს, მკითხველმა შეიგრძნოს ის დიდი ძალა, რომელიც სიყვარულის, მეგობრობისა და პოეზიის უწმინდესი კავშირისას წარმოიქმნება.

მაია ჯალიაშვილი

„ქართლი განკვართული“

(გიორგი ლეონიძის „მეცამეტე საუკუნე“)

„ქართლის ცხოვრება“ ერთ-ერთი საყვარელი წიგნი იყო გიორგი ლეონიძისა. ხშირად კითხულობდა მატიანის ფურცლებს და იქ ნაამბობით შთაგონებული არაერთ ლექსს წერდა. მაგალითად, „წიგნი ქართლის ცხოვრება“.... „და რაც თმას ყალყზე აყენებს, რაც გულით გვემახსოვრება ქართლის მკვლელობის ძველ ამბებს უწოდეს ქართლის ცხოვრება“.

ხშირად ისეგ აუტაცებია კითხვას, თავზე დასთენებია და იმდენად გადასულა წარსულში, რომ

„გამოვვარდები, ხარ თუ აღარა?
ისევ გაისმის ქუჩებში ჩეხა?“

მეცამეტე საუკუნეში დაბნელდა საქართველოს დიდება. დავითისა და თამარის მიერ შექმნილი ძლიერი სახელმწიფო დაინგრა და დაიშალა. ლეგენდად შემორჩა „ოქროს ხანა“.

გიორგი ლეონიძე ამ ლექსით აცოცხლებს XIII საუკუნეს. საგულისხმოა, რომ პოეტი ამ შემთხვევაში აკონკრეტებს წარსულის ერთ ეპოქას, უმრავლეს ლექსებში წარსული გახსენებულია ზოგადად, ცნობილი პაქტებისა თუ მოვლენების გარეშე.

პოეტის წარმოსახვაში მე-13 საუკუნე ასოცირდება ჩინგის ხანის შემოსევასთან.

ლექსი იწყება ურა ცხენის ქროლით, რასაც თავიდანვე შემოაქვს ლექსში დინამიკა:

„მოჰქრის ურა ცხენი
მონგოლური დაღით,
ზედ შავი თარაქამა
ვერ უსწორებს აღვირს“.

ურა – მამალი ან კიდევ უმწყსო ცხენია, ე.ი. ველური, დაუმორჩილებელი. ამგვარად ხაზი ესმება თვითონ ამ ურა ცხენზე მჯდომი მონღოლის ველურობასა და სისასტიკესაც.

თითქოს მტერთან ერთად ბუნებაც წამოსულა ქართველთა წინააღმდეგ:

„და კალია მჭამელი
უკან სვეტად მისდევს“.

გვახსენდება დავით გურამიშვილი, ღვთის რისხვადატეხილ ქართველს რომ ხატავს, იმასაც აღნიშნავს, „მკალია დასცის ყანებსაო“. ეს სახე მტრის მრავალეიცხოვნობასაც მიანიშნებს.

უამრავმა მტერმა ისეთი ბუქი და მტვერი დააყენა, მზეც კი ჩამობნელდა.

„ვერ უძლებენ მთები
მულიდების ყივილს,

საყვირებით, ზურნით
დროშების ტყე წივის...“

მკითხველს თითქოს ჩაესმის საყვირებისა და ზურნის გონებისწამღები ხმაური. ერთმანეთში ირევა საკრავთა და კაცთა ხმები, „მულიდების ყივილი“ მკითხველის სმენასაც აკრთობს.

პოეტი ამბობს „მულიდს“. ეს სიტყვები სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში განმარტოებულია, როგორც მოპარვით კაცის მკვლელი. პოეტი ამგვარად აძლიერებს სათქმელს. მოდიან მტრები, მაგრამ, უპირველესად კაცის მკვლელები. ამგვარად ხაზი ესმება მომხვდურის სისასტიკეს, დაუნდობლობას. ამ შემზარავ ფონზე გამოიკვეთება ჩინგის ხანის სახე:

„ბრწყინავს თათრის ხმალი,
ბრწყინავს თათრის ჩალმა,
მოდის ჩინგის ხანი!
გზა გაცეცხლა ალმა“.

მოდის და მუგავს, აცამტვერებს გზაზე ყოველივეს. ამ ცეცხლმა დახანძრა საქართველო. პოეტს სურს, რომ მკითხველმა ახლა დაინახოს მომავალი მტერი, ამიტომაც არის, რომ ზმნის აწმყოს ფორმას იყენებს: „მოდის“ და არა „მოვიდა“. „წივის“ და არა „წიოდა“, რა იქნება ხვალო, არავინ იცის, ამიტომაც წერს პოეტი:

„ხვალ ნახავთ კალიებს –
მინდვრების დალაქებს.
გაშანთულ მიწის ქერქს,
დათხრილ ქალაქებს“.

ამ ველური კალიების ამბავი ხომ ცნობილია. დროდადრო მათი შემოსევა სტიქიურ უბედურებას ჰგავდა. ისინი მთლიანად ჭამდნენ ყველაფერს, ანადგურებდნენ მცენარეებს, ტყეებს – ერთი სიტყვით, ყველაფერს, რისი შთანთქმაც შეიძლებოდა. თითქოს გადაპარსავდნენ მთა-ველებს, ისე შემოაცლიდნენ მწვანე საფარს, ამიტომაც უწოდებს პოეტი მათ ხატოვნად „მინდვრის დალაქებს“.

პოეტს უნდა, რომ მკითხველმა ხელშესახებად წარმოადგინოს ის, რაც ხვალ შეიძლება მოხდეს. დღეს სიწყნარეა, სიმშვიდე, მაგრამ ხვალ:

„ხვალ ნახავთ სახლებზე, ღრიანკალს, ბუს...
დამდნარ გალავნებს, გოგირდის ბურს...
მოედანზე აზელილ თმასა და ტვინს“.

თითქოს დაუჯერებელია, რა ხელმა უნდა დაშალოს და დაანგრიოს უცებ ყველაფერი, რა ძალამ უნდა დაადნოს ეს ურყევი და უდრეკი გალავნები, მაგრამ ეს ხომ უკვე მომხდარია, ეს უკვე დასაჯერებელია, მაგრამ „დღეისა“ და „ხვალის“ გაყოფით, მოსახდენის მომავალში გადატანით პოეტი აძლიერებს მოულოდნელობის ეფექტს, ასე უფრო თავზარდამცემად ეღერს საფრთხე.

„ცხენის ქაჩაჩში ჩარჩენილი თავთავი“ აცოცხლებს სურათს, თუ როგორ გადათქერეს დამწიფებული მოსამკალად გამზადებული ყანები, როგორ დატოვეს მშიერი უამრავი ადამიანი. უზანგში ჩარჩენილი მტევანი უფრო

გულისმომკვლელად ნარმოაჩენს აჩეხილი, მოსაკრეფად გამზადებული ვენახების ტკივილს:

„ვენახში – სამარეს,
ნაფუძრებს – თეთრი ძვლით მოთესილს,
მეწყერებს, ტრამალებს, ტრამალებს...“

„ორჯერ გამეორებული“ სიტყვა „ტრამალებს“ სასიკვდილო მარშის რიტმს ბადებს. ეს თვითონ სიკვდილი დათარეშობს საქართველოს მთა, ველებზე და შანთავს, ძირკვავს სიცოცხლეს;

„ხვალ ნახავთ, სისხლით აივსება წყაროზე ტაგანი“.

ისტორიიდან ცნობილია ჩანაწერები მემატიანეთა, სისხლით სავსე მდინარეებს რომ ხატავენ. აქ კი წყაროზე მიტანილი ტაგანიც სისხლით აივსება. ყველაფერი დაღვრილი სისხლითაა გაჟღენთილი. წმინდა ქალაქი – თბილისი, აბოს ღვაწლით გაწმენდილი, უწმინდურებაში ჩაიძირება.

„მხარგრძელი ანგელოზი,
მონგოლური ანგელოზი
დაადგება თბილისს“.

ეს უკვე ანგელოზიც აღარაა, ეს უცხოს მიერ ქართველთათვის თავსმოხვეული უცხო რწმენაა. ამიტომაც დაემსგავსება ქართლი წამებულს, ჯვარცმულს, კვართგახდილს.

„და ქართლი განკვართული –
ნაპრალებში,
მღვიმეებში
ჩააყენებს ნათელს“.

ამ წამებულ, ტანჯულ, შეწირულთა სულები გაანათებენ ბნელ ნაპრალებსა და მღვიმეებს.

პოეტი აცოცხლებს იმას, რაც უკვე გარდასულია, გადავიწყებული. მისი რწმენით, ქართველს მუდამ უნდა ახსოვდეს წარსული, რათა არასდროს დაკარგოს სიფხიზლე და ყოველთვის მზად იყოს საბედისწერო და სახიფათო „ხვალისთვის“, რომელმაც შეიძლება „ახალი ჩინგის ხანი“ შემოაგდოს მის აყვავებულ მინდვრებზე.

მაია ჯალიაშვილი

„მოდი, გეძახი ათას წლის მერე“

(გიორგი ლეონიძის „ყივჩაღის პაემანი“)

ეს ლექსი სიყვარულის მარადიულობაზეა. იგი ისევე ამოიზრდება ბუნებიდან, სიცოცხლიდან, როგორც ბალახი გაზაფხულზე, როცა მიწაში ჩამდნარი გრილი თოვლი და წვიმები თესლს გააღვიძებენ, გააღვივებენ და ცისკენ, მზისკენ ამოეზიდებიან სიცოცხლის სიხარულის სიტკბოების განსაცდელად.

ლექსს ეპიგრაფად უძღვის ხალხური „მუხრანულიდან“ სტრიქონები:

„...ერთი მეც გადავუქნიე, წვერიმც ვუწვდინე მიწასა“. „ნ“-ს ალიტერაცია თავიდანვე ქმნის მუსიკას, რომელიც მთელ ლექსს გადაეფინება და წამისა და მარადისობის იდუმალებას მიგვაახლებს.

გიორგი ლეონიძისათვის ხალხური ლექსი, „შემომეყარა ყივჩაღის“ სახელითაც რომ არის ცნობილი, გახდა ძლიერი იმპულსი, ენერგიის ერთგვარი წყარო, რომელმაც ეს ლექსი შეაქმნევინა. ხალხური ლექსის მიხედვით ყივჩაღი გადამთიელია, უცხო, რომელიც მუხანათურად გადაუდგება წინ თავის საქმეზე მიმავალ ცოლ-ქმარს და ქალის სილამაზით მოხიბლული ქმარს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებმება. ყივჩაღი აქ მოძალადეა, რომელიც ჯერ პურს ითხოვს, მერე ღვინოს და სტუმართმოყვარე ოჯახისგან გულუხვად დაპურებულ-დარწყულებული მადლობის სანაცვლოდ სხვის ქალს უხეშად და თავხედურად ნაეპოტინება.

„შემომეყარა ყივჩაღი
სამზღვარსა მუხრანისასა,
პური მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი თავთუხისასა.
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ვურჩევდი ბადაგისასა,
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი ხოხობისასა,
ქალი მთხოვა და ვერ მივეც,
მიმყვანდა სიდედრისასა“ და ა.შ.

ამ ლექსის სხვადასხვა ვარიანტი არსებობს, რომელთა მიხედვითაც, ერთ შემთხვევაში, ქმარი კლავს მოძალადე ყივჩაღს, მეორე შემთხვევაში, რაყიფნი კლავენ ერთმანეთს, ქალი კი მიდის „სხვისასა“.

გიორგი ლეონიძეს მთელ ამ ამბავში ხიბლავს თვითონ ყივჩაღი, ოღონდ, არა როგორც მოძალადე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც თავგამეტებული სიყვარულისთვის. მოსწონს მისი ზღვარგადასული სწრაფვა სურვილის ასახდენად, დასახულის მისაღწევად. მოსწონს სიყვარულის უეცარი აფეთქება და გაშლა.

პოეტისთვის სიყვარულის გრძნობა ყველაფერზე მაღლა დგას, მას უყოყმანოდ და დაუნანებლად უნდა შეეწიროს თვით სიცოცხლეც კი.

თვითონ სიტყვა „ყივჩაღს“ მოაქვს ძალის, ენერგიის განცდა. გიორგი ლეონიძეს, საერთოდ, უყვარდა ეს სიტყვა და ამიტომაცაა, რომ მას მრავალგზის იყენებდა პოეტური ხატების შესაქმნელად. მისთვის „ყივჩაღი“ სიმბოლო იყო თავისუფლების, ვაჟკაცობის, თავგანწირვის, დაუმორჩილებლობის, დაუმონებლობისა. „მე გაჩეხილ ნაპრალებს ყივჩაღურებ ჩავყურებ“ („მთებში“). „ყივჩაღურებ ჩაყურება“ იმგვარი პოეტური ხატია, რომელსაც მხოლოდ სხვა პოეტური ხატი თუ შეენაცვლება, თორემ რომელიმე სინონიმური სიტყვით მისი ზუსტი მნიშვნელობის გადმოცემა შეუძლებელია. ამგვარი „მზერა“ ერთბაშად მოიცავს ყველა იმ გრძნობას, რომელსაც აჩენს და იწვევს თავისუფლება.

„ყ“-„ჩ“-„ღ“ – ისეთი ბგერებია, რომელთა ნარმოთქმაც კი უკვე გარკვეულ ენერგიას მოითხოვს, ამიტომაც მთელი სიტყვა თითქოს შიგნიდანვეა გაძლიერებული უჩინარი ენერგიით.

გიორგი ლეონიძეს ზედაპირულად არ აინტერესებს ხალხური ლექსის ამბავი, ამიტომაც აღარ მიჰყვება ნაცნობ სიუჟეტს, არ ქმნის ცნობილი ბალადის ახალ ვარიანტს, მას მხოლოდ ყივჩაღი ხიბლავს და თანაც არა საერთოდ, ზოგადად, არამედ კონკრეტული გრძნობის, ამ შემთხვევაში, სიყვარულის გამოვლინებისას. ამგვარად, პოეტი ხალხური ლექსის „რეალური“ ისტორიიდან „სესხულობს“ ყივჩაღს, როგორც პერსონაჟს და თავისი ლექსის ლირიკულ გმირად აქცევს.

ლექსი იწყება სიკვდილიდან სიცოცხლის დაბადების სურათით. თითქოს მდუმარება გაირღვევა და ყურღანებიდან გნოლი ამოფრინდება; ყურღანი აძლიერებს სიჩუმის, უმოძრაობის, მყუდროების, ერთგვარი გარინდების შეგრძნებას. ფრინველი კი სიცოცხლეა, მოძრაობაა, იგი ჩუმი სასაფლაოს სივრცეს, მიწის ჯაჭვებს მოსწყდება და ზეცისკენ მიისწრაფვის. აქვე იგრძნობა სულის სხეულიდან თავდაღწევის სურვილიც.

„ყურღანებიდან გნოლი გაფრინდა,
ყაბარდოს ველი გადაიარა“.

გნოლი თითქოს ხსნის ჩაკეტილ სივრცეს და მკითხველის თვალწინ გადასწევს ფარდას უსაზღვროების წარმოსაჩენად. გნოლი ამ შემთხვევაში სიმბოლოცაა სიყვარულისა, რომელიც ადამიანს მიწას მოსწყვეტს, ფრთებს გამოასხამს და ზეცისკენ მიაფრენს.

„ისევ აღსდექი“, – ამბობს სიკვდილიდან სიცოცხლეში კვლავ მოვლენილი ყივჩაღი. „ისევ“ – ხაზს უსვამს მის უკვდავებას. ბუნებასთან თანაზიარობას. როგორც ბალახი ან მინდვრის ყვავილი ამოდის ყოველ გაზაფხულზე, თამამად, თავისუფლად გამოაღწევს მიწის ბნელ ლაბირინთს და სინათლეზე ამოყოფს თავს. შემოდგომაზე დაჭკნება, მიწაში ჩაბრუნდება, მაგრამ არა სამუდამოდ, არამედ მხოლოდ გაზაფხულამდე, იქამდე, სანამ ჟამი დაუდგება კვლავ აღორძინებისა, ასევეა სიყვარულიც, ისიც თავის ჟამს, ყოველთვის დაუბრკოლებლად გამოვლინდება, ნებისმიერ ფასად გამოაღწევს სიკვდილის სამეფოს და სიცოცხლეში შემოვა.

ყივჩაღი ისევ თავიდან იწყებს ყველაფერს. მისი ბედი მის ხელთაა. მან იცის, რა ელის, მაგრამ უკან არ იხევს. იგი თავისუფალია, რადგან თავისი ბედის პატრონი თვითონვეა. მისი ხვედრი დიდი ხანია „დაწერილია“, უკვე, განსაზღვრულია ხალხური ტექსტის უცნობი ავტორის მიერ, მაგრამ მას არ ეშინია, პირიქით, სიკვდილს თვითვე გამოიხმობს, როგორც კვარცხლბეკს, რომელზე შედგომაც მას სრულყოფილად წარმოაჩენს და უკვდავებას მიანიჭებს. საგულისხმოა, რომ ლეონიძე თვითონ ყივჩაღს აამბობინებს თავს გადამხდარ ამბავს. ამგვარად მეტი დრამატიზმი მიენიჭება მოთხრობილს. მისი შეგრძნებებიც საოცარი სიღრმით გამოიკვეთება.

„გაღვიძებული“ ყივჩაღი სინჯავს იარაღს. იგი ემზადება ცხოვრებასთან, დაბრკოლებებთან შესაყრელად. არც მტერი ჩანს სადმე, არც ომია და, საერთოდაც, ცარიელია ირგვლივ თითქოს სივრცე, მაგრამ ყივჩაღი მაინც ფრთხილობს, ემზადება, იცის ცხოვრების მუხანათობა, მისი ორგემაგობა.

პოეტი თვითონ ყივჩაღის თვალებით იყურება. სიკვდილის სამეფოს გამოღწეული ვაჟკაცი მოჯადოებული შეჰყურებს მის წინ გადაშლილ ულამაზეს სანახებს.

„ქსანზედ, არაგვზედ ისევ ჰყვავიან
ხოდაბუნები თავთუხებისა“.

ამ ოქროსფერით გაჯერებულ, აყვავებულ, ფერწერულ ტილოზე უცებ გამოიკვეთება ყივჩაღის გულისთქმა, თითქოს შევიგრძნობთ მის გულისძგერასაც. სიცოცხლე მისთვის სიყვარულის სინონიმია, ამიტომაც, როცა უყურებს ხოდაბუნებს, შეიგრძნობს სურნელს, ახსენდება სატრფოს ტუჩების სიტკბო. პოეტი საგანგებოდ ხატავს ულამაზეს პეიზაჟს, როგორც ფონს, რომელზედაც სიყვარულის ვნება უნდა გამოიკვეთოს. სიყვარული მხოლოდ ამგვარ ფონზე თუ წარმოჩინდება მთელი თავისი ბრწყინვალებითა და სრულყოფილებით.

ყივჩაღის სიყვარული ხაზგასმულად ხელშესახებია, ხორციელია. მისი განცდა კონკრეტულია, ზედმიწევნით გამოკვეთილი. მთელი სხეულით შეიგრძნობს „სატრფოს“ მოახლოებას. ახსენდება მისი ბადაგივით ტკბილი ტუჩები. მალე მიჯნურის სახე მთელ სივრცეს გადაფარავს და ყივჩაღის მზერაში ამოიზრდება ქალთან შეხვედრის სურათი. პოეტი ამ პაემნისთვის საგანგებოდ იგონებს დროს. ეს არის „ხოხბობა“, უფრო ზუსტად კი, დრო, „მიწურვილ იყო როცა ზაფხული რუსთაველისა“. ეს, შეიძლება ითქვას, რეალურად არარსებული, პოეზიის დროა, რომელიც არღვევს დროის ჩვეულ მდინარებას, ჟამის წესსა და კანონს და მაშინ ჩნდება, როცა სიყვარული იბადება.

ძალიან ხშირად, როცა გიორგი ლეონიძე სიყვარულზე წერს, იხსენებს რუსთაველსაც. ალბათ, იმიტომ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მისთვის, უპირველესად, სიყვარულის საგალობელია. აქაც, ამ ლექსშიც პაემნის დრო რუსთველის სახელით არის მონიშნული. ციტატასაც დაესესხება მას. „ვეფხისტყაოსანში“, როცა ავთანდილი მიდის ტარიელთან შესახვედრად, წერია:

„მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა“.

მეგობრების ამ პაემანს ხომ ნესტანის გამოხსნისთვის ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა. ტარიელმა ავთანდილის დახმარებით იპოვა დაკარგული გულისსწორი. რუსთველის ციტირებით პოეტს ლექსში შემოაქვს სიყვარულის დიდი მუხტი, რომელმაც ყივჩაღს სიკვდილის შიში უნდა დაავიწყოს და დააძლევინოს. ასეც ხდება. წმიერი შეყოვნება: „ნეტამც ბადაგი არ დამელია, ან იმ დღეს ხმალი არ ამელესა“ გადაილახება არა საბოლოო სინანულით, არამედ უფრო მეტი თავგამეტებით.

ლექსში თითქოს მძლავრი ორკესტრი აჟღერდება სიყვარულის გრძნობის სრულყოფილად გადმოსაცემად. პოეტი ალიტერაციებით აძლიერებს სტრიქონთა მუსიკას და ქმნის სურათს, რომელიც წარმოაჩენს ყივჩაღის სრბოლას, სწრაფვას სასურველის მოსაპოვებლად. მკითხველს ჩაესმის მისი ცხენის ფლოქვების თქარათქური, ხედავს გზაზე ღრუბელივით ავარდნილ მტცერს, დალეწილ „საკეტურებსა“ და „კელაპტრიან ტაძრებს“.

„ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე,
შემოვამტვერე გზები ტრიალი,
მცხეთას ვუმტრიე საკეტურები,
ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი!“

პოეტს ხიბლავს ეს თავდავიწყება და გამეტება სიყვარულისთვის. მისთვის ყივჩაღად დაბადებული სიმბოლოა იმ ადამიანისა, რომლისთვისაც არაფერი არ არსებობს, გარდა სიყვარულისა. იგი ერთგვარად შუასაუკუნეების რაინდებსაც მიემსგავსება, თავისი „დამის“ ტრფიალებას რომ სწირავს ყველაფერს.

ყველაფერს მოიცავს ეს სიყვარული, ზნეობას, რწმენას და საერთოდ, მთელ სიცოცხლეს, ყივჩაღი თავიდანვე განწირულია, რადგან ასეთი სიყვარული აუცილებლად „დალეწვით“ მთავრდება. აქ შემოიჭრება სიკვდილის თემაც, რომელიც აძლიერებს სიყვარულს და ქმნის აუცილებელ პირობას მისი სრულყოფილებისთვის. გავიხსენოთ კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები „დიდოსტატის მარჯვენიდან“: „მართლაცდა, სხვა რაღაა სიყვარული, თუ არა და ღმერთი? ღმერთი კი არა, სიკვდილი. რადგან მას დაუმკვიდრებია სიყვარული სამარადჟამოდ, ვისაც სიკვდილის საფასით შეუსყიდნია იგი“.

ყივჩაღობა სწორედ ამგვარ სიცოცხლეს ნიშნავს, სიკვდილის კარიბჭის დამსხვრევას და ამგვარად „მარადისობის“ მოპოვებას. ყივჩაღი სიკვდილს სიხარულით ეგებება. ლექსის ტონი ამ დროს საზეიმოა და ზეაწეული: „მუზარადიან შენს ქმარს შემოვხვდი, თავი შუაზე გადამიჩეხა“. თითქოს მოწინააღმდეგეს სასიკვდილოდ კი არ დაეჭრას, არამედ გამარჯვებულს დაფნა დაედგას მისთვის თავზე. ვიზუალურადაც მეტად მძაფრი სურათია დახატული. მკითხველი ხედავს გადაჩეხილ თავს, ღია ჭრილობას, მოთქრიალე სისხლს, მაგრამ მას შიშისა და ძრწოლის კი არა, გამარჯვების სიხარული გადაედება. „გადამიჩეხას“ უნდა მიჰყვეს არა სიკვდილი, არამედ ახალი სიცოცხლე. ამას აძლიერებს ყივჩაღის სიტყვები, სატრფოს რომ სთხოვს

ჭრილობებზე „ხელის მოხვევას“. მის გადაბინდულ მზერაში სამყარო არ კარგავს სილამაზესა და სისავსეს. პოეტი ქმნის არაჩვეულებრივად ტევად მეტაფორას:

„როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი,
ქართლის ხეობებს ასდით ნისლები“.

ნისლები საძროხე ქვაბიდან ამოვარდნილ ოხშივარს ედარება. ეს ხაზს უსვამს მიწის ნაყოფიერებას, ხორციელებას. სიცოცხლე წვაა, „ხარშვაა“, თუხთუხია – ვნებებისა და გრძნობებისა. სიკვდილი სიცოცხლით თავდება თითქოს და პირიქით. ტრიალებს სამყარო შეკრულ წრეზე, სადაც ყოველი წერტილი, ერთდროულად, სიკვდილიც არის და სიცოცხლეც. ამიტომაც არის, რომ „თავგაჩეხილი“ ყივჩაღი მოკვდა მხოლოდ იმისთვის, რომ ახალი ძალით „აღსდგეს“, თუნდაც ათასი წლის მერე. ოღონდაც აქ დრო გაიგება ბიბლიური თვალსაზრისით, სადაც წელი ათასი ვითარცა ერთი დღე და – პირიქით. აღსდგეს იმისთვის, რომ კვლავ დაიწვას „სატრფოს ტანის ელვით“, ვარდის ფურცლობა იქნება ნიშანი იმისა, რომ პაემანი კვლავ უნდა შედგეს, ამისთვის მხოლოდ სიცოცხლეა საჭირო, მეტი არაფერი. სადაც სიცოცხლეა, ნამდვილი, ბუნებრივი, იქ სიყვარულიც არის და მარადჟამს იბადება ყივჩაღი „დასალეწად“ და „თავგასაჩეხად“.

ლექსის პათოსი „ქებათა ქების“ სტრიქონებსაც მოგვაგონებს. ვნებები აქაც ისეთივე მძაფრია და ხელშესახები, როგორც ბიბლიურ ტექსტში. მკითხველი ხშირად იმას კითხულობს მხატვრულ ნაწარმოებებში, რაც ავტორს არ უგულისხმია, განსაკუთრებით, პოეზიისთვის არის დამახასიათებელი თავისუფალი ინტერპრეტაცია. ყივჩაღის სატრფოში ღვთაების ხატების დანახვა საკამათო შეიძლება იყოს, მაგრამ იმ მკითხველს, რომელსაც ამგვარი განცდა გაუჩნდება, ექნება თავისი „საბუთები“ ამ აზრის დასამტკიცებლად.

ლექსში სიყვარული წარმოჩნდება, როგორც გაუნელებელი ცეცხლის წვა და გიზგიზი. ყივჩაღი ხომ სატრფოს ვერასოდეს „შეეყრება“, მას მუდამ „გადაუჩეხავენ“ თავს, მაგრამ მთავარია თვითონ ეს გიზგიზი, თვითონ ეს სწრაფვა და არა – დაუფლება. გრიგოლ რობაქიძის მოთხრობა „ენგადის“ მოხუცი ხევსური ასე ხსნის სიყვარულს: „ღვთიურ არს სიყორულ; ხორციელ იგემებ – მოჰკლავ მას, იწვოდ მხოლოდ“.

მაია ჯალიაშვილი

წარუვალი მშვენიერება

(გიორგი ლეონიძის „მარიტა")

„მარიტა – თითქოს მზეს ჩამოვარდნოდა!"

მარიტა არა მხოლოდ უბრალო პერსონაჟია, არამედ სახე-სიმბოლოა მშვენიერებისა, სილამაზისა, რომელიც ღვთაებრივთან არის წილნაყარი. დროდადრო სამყაროს მოევლინება ხორცშესხმული მშვენიერება იმისათვის, რომ ის წყვდიადი, რომელიც ცხოვრებაში დამკვიდრდება ხოლმე, გაარღვიოს და ყოველივე სიკეთით აღავსოს. სამწუხაროდ, ადამიანები ღვთიურ კვალს ხშირად ვერ ამჩნევენ და მშვენიერებას უსულგულოდ თელავენ. საერთოდ, პერსონაჟი რომ გაზოგადდება ხოლმე სახე-სიმბოლოდ, ეს არ არის ახალი და მოულოდნელი. გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი", რომელშიც გამორჩეული გმირია ლუხუმი. იგი პოემაში რეალურ-ხორციელი სახეა კაი ყმისა, მაგრამ ფინალში განზოგადდება და იქცევა სიმბოლოდ თავისუფლების იდეისა, რომელსაც ვერ ძლევს ბოროტი ძალა, რომელიც დემონურთან ბრძოლაში იმარჯვებს, რადგან, ვაჟა-ფშაველას რწმენით, თავისუფლების გარეშე ერი დაიღუპება. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რწმენის სიმბოლოდ იქცევა ლუხუმი, როცა პოეტი წერს:

„ელირსებაო ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა".

ის, რომ მარიტა სახე-სიმბოლოა, კარგად გაიაზრა ცნობილმა რეჟისორმა თენგიზ აბულაძემ, რომელმაც გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხის" მიხედვით გადაიღო ამავე სახელწდების ფილმი.

„ვის არ უყვარს მზე?" ამგვარი რიტორიკული შეკითხვით იწყებს მწერალი მოთხრობას. მართლაც, წარმოუდგენელია მზის უსიყვარულობა, რადგან იგი სამყაროს მაცოცხლებელი წყაროა, სიცოცხლის დამბადებელი და მისი შემწეა. მზე ნათელია. ღმერთმა სამყაროს შექმნა სიბნელისა და სინათლის განყოფით დაიწყო და პირველი სიტყვები წარმოთქვა: „იქმენინ ნათელი". მას შემდეგ სამყაროს ღვთაებრივ საჩუქრად ებოძა სინათლე. მზის სიყვარული ამხელს ადამიანთა სწრაფვას სიკეთისა და მშვენიერებისაკენ. მზისკენ მიისწრაფვის ყველა: ადამიანები, მცენარეები, ფრინველები, ცხოველები, მთელი სულიერი თუ უსულო სამყარო. გიორგი ლეონიძეც მზისკენ ვნებიანად მსწრაფველთა შორის გამოარჩევს ბროწეულის ყვავილს და განსაკუთრებული სიყვარულით ხატავს. მისთვის ბროწეული მზის თვალსაჩინო სიმბოლოა.

„ქრისტიანულ სიმბოლიკაში ბროწეულის ნაყოფი, რომელიც მარცვლების სიმრავლით გამოირჩევა, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიის სიმბოლოს წარმოადგენს, ხოლო მარცვლები ერთ, უნივერსალურ ეკლესიად შეკრულ მორწმუნეებს განასახიერებს. ანტიკურ მითოლოგიაში ბროწეული პროზერპინას ატრიბუტი იყო და ყოველ გაზაფხულზე მის დედამიწაზე დაბრუნე-

ბას გამოხატავდა. ქრისტიანულ ხელოვნებაში გაზაფხულის დადგომისა და მიწის განახლების ანტიკურმა მნიშვნელობამ ახალი აზრი შეიძინა და აღდგომის იმედისა და უკვდავების სიმბოლო გახდა. ბროწეულის ნაყოფი იმდენად დაფასებული იყო სილამაზისა და გემოს გამო, რომ მღვდელმთავრების ცისფერ სამოსს ან ეფოდს ბროწეულის ნაყოფის გამოსახულებით ამკობდნენ: „და გაუკეთე კალთებზე ბროწეულები ცისფერი, ძოწეული და ჭიაფერი მის კალთებზე ირგვლივ. და ოქროს ეჟვნები შეაბი მათ შორის, ირგვლივ. ოქროს ეჟვანი და ბროწეული, ოქროს ეჟვანი და ბროწეული სამოსის კალთებზე, ირგვლივ“ (გამ 28:33-34) (ციტატა გიორგი კენჭოშვილის წიგნიდან „სიმბოლოები ქრისტიანულ ხელოვნებაში“).

ბერძნულ მითოლოგიაში ბროწეული სიყვარულის სიმბოლოა. გიორგი ლეონიძემ ახალი პოეტური ხატი შექმნა ბროწეულისა.

„როგორ მწვავს ბროწეულყვავილის ნაელვები გამოსხივებანი!

მიყვარს ცეცხლური ყვავილი, მზიანეთის სხივმფენარა ალნაკადი ოქრომდინარი, სეფესანთელივით რომ ბრდღვიალებს; მიყვარს მისი გულის ავსებულობა! თითქოს მზე სავსებით შეუწოვიაო.

არა, არა მჯერა, რომ იგი სხვა ყვავილივით დასჭკნეს როდესმე, ჩამოსცვივდეს, განქარდეს, ამტვერდეს! არა, არა მჯერა!

მზის ნაბადებია; მის კოკორში დაგუბებული სხივთანაგალობარი; შიგ ჩაწერილია ანკარა სხივთა რაკრაკი; მზისობა უჩანს თითოეულს ნაკვთში.

ყვავილი კი არა, მზის ნაკადულის კამკამია! – ასე იტყვის გულისხმისმყოფელი!“

მწერლის წარმოსახვაში ბროწეულის ყვავილი და მარიტა ერთმანეთს ერწყმის, თითქოს მარიტას სული განფენილია ბროწეულის ყვავილში – ისინი ერთმანეთს საიდუმლოდ გამსჭვალავენ და იქმნება პოეტური სამება მზე – ბროწეულის ყვავილი – მარიტა. ამიტომაც არის, რომ მარიტასნაირნი დროდადრო ჩნდებიან სამყაროში და მერე ისევ იკარგებიან. ისინი მარადისობის მოციქულნი არან თითქოს და ადამიანებთან მოაქვთ განცდა სამოთხისეული მშვენიერებისა. ხალხი სწორედ ასე აღიქვამს მარიტას: „პირმეტყველი სამოთხე იყო მარიტა!“

„ბუნების ასეთივე საჩუქარი იყო, ჩემს ოცნებას რომ შემოჰხვევია ბროწეულყვავილივით, – მარიტა! ნათლით სავსე, ღიმცრისკროვანი ყვავილი ჩემი ყრმობისა!“

მარიტა ამაღლებულობის, სიწმინდის, შორეულის განსახიერებაა.

მოთხრობაში მწერალმა პირდაპირ კი არ შემოიყვანა თავისი რჩეული პერსონაჟი, არამედ მკითხველი თითქოს მოამზადა მასთან შესახვედრად, ერგვარი ხიდი გასდო მისკენ ზეციდან მიწისკენ: მზე-ბროწეულის ხე – მარიტა–თითქოს ამ გზით მოევლინა იგი დედამიწას, მზის სხივს ჩამოჰყვა, მოთხრობის ბოლოს კი იგი ისევ ამავე „გზას“ გაივლის – მის ნასახლარზე ბროწეულის ხე ამოვა, ისევ – მიწა – ბროწეულის ყვავილი – მზე. მარადიულის, ზეციურის ნაწილი ისევ მარადიულობას, წარუვალს, ღვთაებრივს უბრუნდება. ეს იმას ნიშნავს, რომ უფალმა იგი საგანგებოდ მოავლინა ადამიანთა თვალის ასახელად, გულისხმისყოფად, ზეცისკენ ასახედად,

სინანულის განსაცდელად. სამწუხაროდ, მეორდება მისტერია მშვენიერის ჯვარცმისა და ამაღლებისა. ადამიანებს სინანული მხოლოდ ცოდვის ჩადენის შემდეგ ეუფლებათ.

მარიტა სინათლის, თავისუფლების სიმბოლოა.

მარიტა მზის, ესე იგი, ღვთის ნაწილია და მასვე უბრუნდება. გავიხსენოთ ნესტანის წერილი „ვეფხისტყაოსნიდან". ქაჯეთის ციხიდან გამოგზავნილ წერილში ნესტანი ასე მიმართავს ტარიელს: „მზე შენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი, /განაღამცა მას ეახლო..."

ხალხი ეუბნებოდა მარიტას: „შენ „მზევარ" უნდა გერქვას, „მზევინარა".

მარიტას გამორჩეულობისა და ღვთაებრიობის ხაზგასასმელად გიორგი ლეონიძე სხვა სიმბოლოებსაც მიმართავს. ის ახსენებს ყინწვისის ანგელოზს და არმაზის სერაფიტას: „მარიტას მერე მე აღარ გამკვირვებია არც ყინწვისის ღვთაებრივი ფრესკა, არც არმაზელი ტურფა სერაფიტა".

ყინწვისის ფრესკაზე გამოსახულია ლურჯსამოსიანი საოცრად მეტყველი სახის ანგელოზი. ყინწვისის ანგელოზს შეადარა კონსტანტინე გამსახურდიამ პერსონაჟი შორენა („დიდოსტატის მარჯვენა"), რათა მისი სილამაზე წარმოეჩინა.

სერაფიტაც მსვენიერების სიმბოლოა. ვინ არის სერაფიტა? არმაზში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოაჩინეს უძველესი საფლავის ქვა (ჩ. წ. აღ.მდე მეორე საუკუნისა), რომელზეც არის წარწერა: „მე ვარ სერაფიტი, ასული ზევახისა..."

უდროოდ გარდაცვლილი ახლგაზრდა სერაფიტის სახე იქცა პოეტთა შთამაგონებლად.

ლეონიძემაც სწორედ სერაფიტი გაიხსენა, რათა მარიტას სილამაზე შეეგრძნობინებინა მკითხველისთვის.

გიორგი ლეონიძე მარიტას სახის წარმოსაჩენად კიდევ ერთ პერსონაჟს მოიხმობს – ეს არის ეთერი – ზღაპრის გმირი. ხალხი ხშირად გაიოცებდა ხოლმე: „–გლეხის ქალი და ეგრე ლამაზი?

მაგრამ მაშინვე უპასუხებდა ვილაც:

„–განა ეთერიც გლეხის ქალი არ იყო, უღარიბესი მეწისქვილის ასული, მეფისწული აბესალომი რომ ეტრფიალა?"

მზეთუნახავ ეთერთან შედარება მკითხველისთვის თვალნათლივს ხდის მარიტას ზღაპრულ სილამაზეს.

მარიტას პროტოტიპი იყო ლეონიძის ბავშვობის მეგობარი გოგონა – მარიტა. შემკული ყოველგვარი ღირსებით; გამრჯე, კეთილი, სანდო. თავის მოთხრობაში მწერალმა მონატრებული გოგონა გააცოცხლა, პერსონაჟად აქცია.

„მარიტა ცისარტყელასავით დადიოდა სოფლის ორღობეში, თუმცა ორშაურიანი ჩითის კაბა ეცვა! რა უცნაურია ბუნება! როგორ იცის ზოგჯერ უხვად დასაჩუქრება!

მარიტას სულის მშვენიერება აღემატებოდა მის გარეგან სილამაზეს. გულში ია ამოსდიოდა".

მარიტას შედარება ცისარტყელასთან კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის

არამიწიერობას, გამორჩეულობას. ხალხს აქვს მშვენიერების აღქმისა და განცდის უნარი: – „ ვისაც ღმერთი არ გინახიათ, მოდით და ნახეთ მუხათწყაროში! გადამეტი არ გეგონოთ და მარიტას მშვენების სამზერად საგანგებოდ მოდიოდნენ მეზობელ სოფლებიდან. მოდიოდნენ და უყურებდნენ.

– რამ წარმოქმნაო? – ჰკვირობდნენ.

მართლაც, ხეობის თვალი იყო მარიტა“.

მით უფრო გასაოცარია მათი დაუნდობლობა და სისატიკე მარიტას მიმართ.

დოსტოევსკი წერდა: „სილამაზე იხსნის კაცობრიობას“. ამ შემთხვევაში, ის სილამაზეში მაცხოვარს გულისხმობდა. მარიტაც იმ მშვენიერებასთან არის წილნაყარი, ამიტომაც იწირება, „ჯვარს ეცმება“, რათა ხალხში ჩადენილი ცოდვის შეგრძნება და სინანული გააჩინოს. ამიტომაცაა, რომ: „იმასაც იტყოდნენ, ზეცაში მტრედი აფრინდა მახარობლადო, -მარიტა მოდისო!“ მტრედი ხომ სულიწმინდის სიმბოლოა. სახარების მიხედვით, მტრედი დაფრინდა იესოს მხარზე, როდესაც იოანე ნათლისმცემელმა მონათლა იორდანეში და ზეციდან გაისმა ხმა: „ესე არს ჩემი ძე, საყვარელი“.

მარიტაც ღვთის შვილია: „საიქიოში ოქროს სკამი მიართვესო, დაღლილსაო.

ღვთისმშობელს ეთქვა თურმე: ფერზე გეტყობა, ძლიერ დაღლილიხარ, დაჯე, შვილო, შორიდან მომავალი ხარ!

იესო ქრისტემ კი ხელმანდილი ამოიღო, შუბლზე უნდა მოესვა, რომ გაეცოცხლებინა, მაგრამ ისეთი ლამაზი იყოო, მიწაზე დასაბრუნებლად ვერ გაიმეტაო, მოინდომა, სულ გვერდით ჰყოლოდა, ახლაც გვერდითა ჰყავსო ვარსკვლავადო...“

თითქოს მთელი კოსმოსი გლოვობს მარიტას დაღუპვას: „მთელი წელიწადი უწვიმარი იყო... ყანები ჩაინვა. ვენახები გადახმა. ყანწი ვერავინ გაასველა!“ ეს არის ღვთისგან მოვლენილი სასჯელი მათი ცოდვებისათვის.

სილამაზითა და ზნეობით გამორჩეული მარიტა ნიჭიერიცაა. ის საოცრად ქარგავს. გიორგი ლეონიძე კი ბავშვობიდანვე წერდა ლექსებს. თანაც, მარიტა დედამისის ნათლული იყო. ასე რომ, ისინი ბავშვობაშივე დაუახლოვდნენ ერთმანეთს – ისინი უბრალო მეგობრებად კი არა, სულიერ თანატოლებად უფრო გრძნობდნენ თავს. გავიხსენოთ, როგორ აღწერს მწერალი მარიტას გამოჩენას თავის ცხოვრებაში. გიორგი ლეონიძის სოფელში ცხოვრობდა დედით ობოლი მარიტას ბებია – სათნოებით გამორჩეული დიდედა ლელაური. „ყვითელი აბრეშუმივით თმა–კულული... ლურჯი თვალები.... ისე ვიგრძენი, თითქოს ჩვენს ეზოში ია შემოვიდა შემოვიდა და შემოეფინა... მე შევდექი და გაკვირვებულმა ცქერა დავიწყე, მერე მოწიწებით მივუახლოვდი, ხმის გაცემა გავბედე და... მალე ერთად ვთამაშობდით მე და მარიტა!“ ეს შთაბეჭდილება მის ხსოვნაში დრომ ვერ გააქარვა, ამიტომაც გააცოცხლა მარიტას სახე მოთხრობაში.

საგულისხმოა ერთი ეპიზოდი, როდესაც მარიტა სთხოვდა ლეონიძეს, დამიწერე ერთი ლექსი, რომ ფარდაგზე ამოვქარგოო. პოეტი კი მარიტას იმდენად აღმატებულად მიიჩნევდა, რომ თავი ამგვარი პატივის ღირსად არ

მიაჩნდა: „სად მქონდა ისეთი ლექსი, რომ ღირსი ყოფილიყო მარიტას გულისყურისა თუ მისი თითების შრომისა?

ახლაც კი ვერ დავარწმუნებდი მარიტას, რომ მის მიერ ხალიჩაზე ამოქსოვის ღირსი ლექსი ჯერაც არ დამიწერია!"

კიდევ ერთი ძვირფასი ადამიანი იყო გიორგი ლეონიძის ცხოვრებაში, რომელიც მარიტასნაირი გატაცებით სთხოვდა ლექსს: „ერთხელ, ჩემი მასწავლებელი, კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი, ჩამაცივდა:

– ჩქარა „საქართველოს ჰიმნისათვის" ლექსი დამიწერეო! მალე გავთავისუფლდებით და ჰიმნი დაგვჭირდებაო!

ეტყობა, სულხანიშვილს მარიტასავით სჯეროდა ჩემი ნიჭისა!

ცხადია, თავი ხიფათში არ ჩავიგდე და კისრად ვერ ვიდე მუსიკოსის დავალება, ისევე როგორც მარიტას თხოვნა".

პოეტს ასეთი სიყვარული შემდეგ აღარავისგან უგვრძნია: „საოცარია, როგორც მარიტა და ნიკო სულხანიშვილი მთხოვდნენ დაჟინებით ლექსს, ისე ჩემთვის აღარავის არ უთხოვია ლექსი, არც ერთ რედაქტორს, არც ერთ თაყვანისმცემელს!"

მართალია, ხალხი აღტაცებული იყო მარიტათი, მაგრამ როგორც კი ვითარება შეიცვალა, როგორც კი გადაწყვეტილების მიღების არჩევნის წინაშე დადგა, თითქოს გონება დაებინდა და თვალთ დაუბრმავდა. ხალხმა უკან დაიხია ბნელი ძალის წინაშე და მშვენიერება ვერ გადაარჩინა, პირიქით, თვითონ მიიღო მონაწილეობა მის განადგურებაში.

მოთხრობაში აღწერილია მარიტასა და გედიას ლამაზი სიყვარულის ამბავი. გედია ნათელიძეა. რა თქმა უნდა, მწერალმა გმირს საგანგებოდ შეურჩია ასეთი გვარი, რომ მკითხველს ეგრძნო, როგორი ნათელი სულის ადამიანი იყო იგი. მეძროხე გედიასადმი ტრფობა მარიტასთვის საბედისწერო აღმოჩნდა. მარიტა ძალად მიათხოვეს ბნელსა და ყომრალ შეთეს, იგი გედიას ანტიპოდია. მარიტას ოჯახმა უპირატესობა მიანიჭა არა სიყვარულს, არამედ ქონებას. სულიერს მატერალური ამჯობინა და მარიტა ბნელი ძალის ტყვეობისთვის გასწირა. თუმცა მარიტას მამა, ჩაჩიკა, გრძნობდა და ამბობდა: „-რათ უნდა უსიყვარულო სიყვარული? კალთაში ჩაეშლებაო! ოქროთი ვერ მოიგებ ბედნიერებას!" „შერთეს მარიტას უნდომი, უნდო, უყვარული ქმარი შეთე – მლაშე,ზვიადი, ყომრალი კაცი, მგლისფერი!„

ერთგვარ სულიერ ტყვეობად აღიქვამდა მარიტა შეთეს ოჯახში ცხოვრებას. ერთადერთი სიხარული მისთვის გედიასთან შეხვედრა იყო. ეს იყო დღესასწაული. თითქოს სამყაროს ჰარონიულობისა და მთლიანობისთვის იყო საჭირო გედიასა და მარიტას ერთად ყოფნა, ამიტომ უხაროდა ბუნებას, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ: --გაუმარჯოს იმ ორ წვეთ თაფლს, რომელიც დღეს ერთ სიტკბოდ შეერთდება!-– კისკისებდა სიო.

ლოყაწითელი მაისის იასამნის მიბნედილი სურნელი მხიარულობდა... „.

იმისთვის, რომ მათ დიდ სიყვარულს მგზნებარება მიანიჭოს, მწერალი მათ ახალ ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს უწოდებს.

ბუნების ამ დღესასწაულს შლის და ანადგურებს ადამიანი, შეიძლება ითქვას, ბნელეთის მოციქული, ენაჭარტალა „ბალბალუკა,--„ნემსისპირა",

კოვკივით მოსიარულე". მას არ გამორჩა გედიას სტუმრობა. „კევიღეჭიამ გამოაქვეყნიერა ყოველივე. სოფლის ენაკეციამ ნაზი, ქლარცი და თავაზიანი ლაპარაკი იცოდა. და ამ ნაზ სიტყვათა გადაცემა-გადმოცემაში, თავისი ვითომდა კლდამამოსილებით, მთელ სოფელს ამცნო გედიას და მარიტას ვითომდა საცოლქმრო შეყრა".

სოფლის „მეუფროსე" ციციკორემ მარიტა ზნეობის შემლახველად გამოაცხადა, სიწმინდეს ჩირქი მოსცხო და უმანკო მარიტას სახელი ლაფში ამოსვარა.

მოთხრობაში იხატება საშინელი რიტუალი დასჯისა: ხალხმა მარიტა ვირზე უკუღმაშესმული სოფელში ჩამოატარა, თან ტალახს ესროდა. საოცარ სიჩუმეში მიმდინარეობდა ეს პროცესია, მაგრამ თითქოს დიდი ხმაურით ინგრეოდა კოსმოსი, რომელსაც გონებადახშული ხალხი ვერ ამჩნევდა.

„ბრბო კი ჩუმად, უჩუმრად მიჰქუხდა, როგორც ღვარცოფი, და მის წინაშე უძლური იყო თვით ღმერთი!"

ბრბომ გაანადგურა თავისი სასიცოცხლო ენერგია – მშვენიერება, მარიტა ხომ მათთვის მოვლენილი ღვთის საჩუქარი იყო. ღმერთმა კვლავ „შესწირა" შვილი მათი ცოდვების გამოსასყიდად. კვლავ გამეორდა ჯვარცმის მისტერია. ამიტომაც არის, რომ მწერალი მარიტას წამებულს ადარებს: „მოჰყავდათ სოფლის წამებული".

საოცრად შთამბეჭდავადაა აღწერილი მარიტას გარდაცვალება, რომელმაც ხალხის კათარზისი გამოიწვია. ადამიანები გამოფხიზლდნენ და სინანული იგრძნეს.

მარიტა ფიზიკურად გარდაიცვალა, მაგრამ სიკვდილს მასთან რა ხელი აქვს.

მარიტას სიკვდილი სამყარომ იგლოვა. ეს ეხმიანება ხალხური ლექსის გმირის, ხოგაის მინდის გარდაცვალებას:

„ხოგაის მინდი კვდებოდა,/ მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,/ ჩამოდიოდა ვარსკვლავი,/ მთვარე უკუღმა დგებოდა".

იმას, რომ ვერანაირი ბნელი ძალა ვერ მოსპობს მშვენიერების იდეას, წარმოჩენილია მარიტას ნასახლარზე ამოსული ბროწეულით.

მწერლისთვის კი გამოცანად რჩება მშვენიერების მოვლენისა და გაქრობის მისტერია: „მართლაც, საიდან მოდის სილამაზე? ან სად მიდის? სად იკარგება, თუ დროებით მიეფარება?

ვინ იცის?!"

მაია ჯალიაშვილი

ხალხი და ბრბო

(გიორგი ლეონიძის „მარიტა“)

გიორგი ლეონიძემ მოთხრობაში „მარიტა“ შესანიშნავად წარმოაჩინა, როგორ შეიძლება იქცეს ხალხი ბრბოდ, რაც იმას ნიშნავს, რომ სიბრძნის ადგილი დაიკავოს უგუნურებამ, თავისუფლებისა – მონობამ, არჩევნის უფლება – მორჩილებამ, სიყვარულისა – სიძულვილმა, სინათლისა – სიბნელემ.

რა გარემოებამ შეიძლება აქციოს ხალხი ბრბოდ?

ხალხი ხომ ბრძენია. რაც იმას ნიშნავს, რომ ხალხი პიროვნებათა თავმოყრაა,

პიროვნება გონიერია, მას უნარი აქვს გადაწყვეტილების მიღებისა, საკუთარი არჩევნისა, კეთილისა და ბოროტის არა მხოლოდ გარჩევისა, არამედ კეთილის არჩევისა.

ბრბო უსახო, უპიროვნო მასაა – ერთ რომელიმე ძალას დამორჩილებული. ბრბო უგუნური, მორჩილი, უღირსებო, მონური სულისკვეთების, თვალდაბრმავებული და სმენადახშულია.

ადამიანის ორბუნებოვნება – ხორციელება და სულიერება, გამუდმებულ ჭიდილს იწვევს ადამიანის არსებაში. პიროვნებაში ეს ჭიდილი არასოდეს მთავრდება, პირიქით, ამ ჭიდილში იწრთობა ადამიანის ნებისყოფა, ხოლო სუსტ ადამიანში იმარჯვებს ხორციელება და მაშინ ადამიანი ცხოველური ინსტიქტების მონა ხდება. ბრბოდ გადაქცეულ მასაში ადამიანები ნებადაჩლუნგებული, თავისუფლებადაკარგული, უსულონი ხდებიან.

პიროვნება ზრუნავს შინაგანი ჰარმონიის მოპოვებაზე. სახარებაში იესო ქრისტე ამბობს: „მიეცით კეისარსა კეისრისა“, ადამიანის ხორციელებაზე ზრუნვა არ უნდა აღემატებოდეს სულიერებაზე ზრუნვას. ადამიანს თანაბრად სჭირდება როგორც ხორციელი (სხეულის ზრდისთვის), ასევე სულიერი საზრდელი (სულიერი ზრდისათვის). როგორც ბიბლიაშია: „არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი“.

სულის უპირველესი მასაზრდოებელი კი რწმენა, სათნოება, სიყვარული და სიკეთეა.

სოფლის მცხოვრებნი მაშინ იწოდებიან ხალხად, როდესაც ისინი აღიქვამენ და აფასებენ მარიტას არამიწიერ მშვენიერებას.

ხალხის გადაქცევა ბრბოდ სამყაროს ტრაგედიაა. ბრბო არის ინსტიქტებს დამორჩილებული მასა, რომელიც ყველაფერს ანადგურებს, უპირველესად კი, პიროვნებას.

ხალხის ბრბოდ გადაქცევა შეიძლება ძალიან სწრაფად მოხდეს, ამისთვის საჭიროა გამოჩნდეს ადამიანი, ძლიერი ნებისყოფისა, რომელსაც შეუძლია ადამიანებზე ზემოქმედება. მას უნარი აქვს, თავის ნებას დაუმორჩილოს ყველა. ამგვარი ადამიანი შეიძლება ფლობდეს გარკვეულ ფუნქციას

სოფელში (მაგალითად, ამ შემთხვევაში, ციციკორე იყო სოფლის მეუფროსე), ან შეიძლება უცებ გამოჩნდეს საიდანღაც და გავლენა მოახდინოს თავისი გონიერებითა და ძალით. მაგალითად, ოიდიპოსმა გამოიცნო რა სფინქსის გამოცანა, მაშინვე იქცა ხალხის რჩეულად. ყოველთვის, არის საფრთხე, რომ უცხო და გმორჩეული ადამიანი იქცეს ბელადად, ურჩხულის დამმარცხებელი თვითონ იქცეს ურჩხულად, ტირანად ან სხვა რაიმე ტიპის ერთპიროვნულ მმართველად. აქ საშიში სწორედ ეს ერთპიროვნულობაა, რომელიც არ არის ღვთისგან ხელდასხმული (სამეფო მმართველობას ვგულისხმობთ).

ასე რომ, მნიშვნელოვანია ორ რამ – ადამიანის გადაქცევა ტირანად და ხალხის გადაქცევა ბრბოდ. რამ აქცია ციციკორე ტირანად? რა თქმა უნდა, შინაგანი ძალა და გონიერება მას გამორჩეულად აქცევდა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

ადამიანების უმრავლესობა მიდრეკილია, თავი დააღწიოს მტანჯველ ფიქრებს, სხვას მიანდოს გზის ძიება თუ გადაწყვეტილების მიღება. მას ჰგონია, რომ ფიქრისგან გათავისუფლებით ცხოვრებას გაიიოლებს, მაგრამ ამგვარად ის პიროვნულობას, სულიერებას, ადამიანურობას კარგავს, ასე წვეთ-წვეთად, ნაბიჯ-ნაბიჯ გადასცა სოფელმა თავისი ნება ციციკორეს და ერთ დღესაც გაელვიძა, როგორც „ბრბოს“. ვაჟა-შაველა გავიხსენოთ, „ვედრებაში“ რომ წერს:

„ნუ დამასვენებ ნურა დროს
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული“.

არ ფიქრობ, ესე იგი არ გტკივა, ამიტომაც ადამიანი ხშირად სხვას მიანდობს ხოლმე იმას, რაც მხოლოდ თვითონ უნდა გადაწყვიტოს: აირჩიოს ის, რასაც ფიქრი, ხშირად მტანჯველი, უკარნახებს.

ტირანის დამახასიათებელია სხვათა აზრის მიუღებლობა: „ახირებული ციციკორე ზოგჯერ სხვისი აზრების მასპინძლობას ვერ იჩენდა“. იმის დასტურად, რომ იგი სხვის აზრს პატივს არ სცემს, მოსმენაც კი არ უნდა, მოწმობს ეს ეპიზოდი:

„ერთხელ, შუა კამათში, ციციკორე მოკამათეს უეცრად შეეკითხა:
– მოლაღური იცი?
– ვიცი!
– მტრედი იცი?
– ვიცი!
– ყანჩა იცი?
– ვიცი!
– იშხვარი იცი!
– არა!
– მაშ, იშხვარი არ იცი და მელაპარაკები? ჯერ წადი, გაიგე იშხვარი რა არი, მერე მოდი და მელაპარაკე! – ასე დაამარცხა მოკამათე".

იშხვარი უაზრო სიტყვა იყო, მაგრამ მოკამათემ უეჭვოდ დაიჯერა.

ტირანად შეიძლება იქცეს გამოცდილი, გონიერი ადამიანი. ასე დაემართა ციციკორეს, როცა ძალაუფლება იგრძნო, სიკეთის სახელით ბოროტება ჩაიდინა.

მთავარი კი ისაა, რომ ძალაუფლება წარმავალია. ერთ დღეს ციციკორეს გამოუჩნდნენ მძლეველნი და სადღაც გაქრა მისი რიდი და პატივისცემა.

ციციკორე, უნებურად, აფერხებს თავისუფლების წყურვილს, რაც სამყაროს განვითარების, არსებობის უნივერსალურ კანონს ეწინააღმდეგება.

მარიტას სიკვდილის დღისგან განსხვავებით, „ციციკორეს სიკვდილის ღამით, თურმე, არც ვარსკვლავები ჩამოცვენილა, არც წყლები შხიოდნენ, არც ქარი გრიალებდა, როგორც სცოდნია, ხალხის სიტყვით, დიდი კაცის სიკვდილის დროს, არც ძაღლებს უღმუვლიათ მთელი ღამე! არაფერიც არ მომხდარა ამის მსგავსი!"

ის იყო მხოლოდ დროებით დიდი კაცი, მარიტა კი – სამყაროსთვის იყო დიდი და მნიშვნელოვანი.

ციციკორე სხვა მოთხრობის („ციციკორე") მთავარი პერსონაჟია. რომელშიც მისი ცხოვრება უფრო დაწვრილებითაა მოთხრობილი. აქ ის ზრდილი, კეთილშობილი, ხალხზე მოფიქრალია, მაგრამ სულ სხვაგვარია ის „მარიტაში". მარიტაზე გავრცელებულ ცილისწამებას ის მაშინვე იჯერებს და „ხალხის ზნეობის დასაცავად" საოცრად გარდაიქმნება. კონკრეტულმა ვითარებამ მისი სულიდან თითქოს ძლიერი, მაგრამ ბნელი ძალები გამოათავისუფლა. მასში გაჩნდა ცხოველური ინსტიქტი – თავისი სოფლიდან (ჯოგიდან) მოეშორებინა უცხო (ის შინაგანად გრძნობდა, რომ მარიტას მშვენიერება თავისუფლებას გულისხმობდა, რაც მისთვის მიუღებელი იყო. „ცეცხლმოკიდებული სოფლის მეუფროსე ციციკორე თავზე ცივ წყალს ისხამდა. გმინავდა, თრთოდა.

ტვინი გაუფიცხდა.

– მირონი დააქციეს, ტალახში შერიეს, ქვეყანა შეგვიგინეს, გაუგონელი ამბავია, ძნელად დასაჯერებელი, ქვეყნის გადაჯიშების ნიშანია სწორედ! მერე ვის დროს ხდება: ჩემს ხელში! ღმერთიც მე მომთხოვს პასუხს, ქმარიც, სოფელიც, ჩამავლობაც!"

ასე იქცა იგი ტირანად. ერთ დროს ღირსეულმა ადამიანმა ღირსება დაკარგა. თანდათან მოპოვებულმა ძალაუფლებამ მის არსებაში გაანადგურა პიროვნება და აქცია უპიროვნო ბნელ ძალად.

ბრბოს ნიშანი ისიცაა, რომ ადამიანები აღარ ფიქრობენ, მათ ნაცვლად ფიქრობს სხვა – ამ შემთხვევაში, ციციკორე.

გიორგი ლეონიძე საოცარი შთამბეჭდაობით ხატავს მარიტას დასჯის სცენას. ადამიანთა შინაგანი უწმინდურება თითქოს გარეთ გადმოიღვარა, ირგვლივ ყოველივე ტალახიანი და ჩაშავებულია. ბუნებაც ვერ ეწინააღმდეგება ბრბოს: „ახლაც თმები მებურძგება იმ სასტიკ სანახაობაზე.

სოფლის ბრბო უხმოდ მოდიოდა ღვარმოდენით, ჩოჩქოლით, გაონავრებული,

გაძალიანებული...

აღრენით ღელავდა ბრბო, მრისხანებდა, გმინავდა, კენესოდა, ჰბორ-

გავდა, თითქოს გულის ნაღველს იწურავდა, ნიშნისმოგებით უხმაუროდ ზეიმობდა რაღაცას. მოდიოდა ღვარცოფულად, მაგრამ მუნჯად...“

ადამიანები პირუტყვს არიან დამსგავსებული, მათ სისხლი და მსხვერპლი სწყურიათ.

ერთი მხრივ, იხატება ბრბო თავისი ბნელი, სტიქიური ძალითა და ენერგიით აღსავსე, და, მეორე მხრივ, სიწმინდე, უსუსური, ნათელი და გასაწირავად განწირული. მარიტა არის სინათლის ნამცეცი, წყვდიადში შემოჭრილი. მარიტას თეთრი პერანგი ტალახით იბღალება. გვახსენდება ბრბო, რომელმაც პილატეს შესძახა, ბარაბა გაათავისუფლე და იესო ჯვარს აცვიო.

„სიჩუმე საზარლად ხმაურობდა, ჩანჩქერივით გრიალებდა და თან იხვევდა ყველაფერსა და ყოველივეს“ „ბრბო კი ჩუმად, უჩუმრად მიჰქუხდა, როგორც ღვარცოფი, და მის წინაშე უძლური იყო თვით ღმერთი!“

როგორ შეიძლება რამეს წინაშე უძლური იყოს ღმერთი?

ეს იმგვარი უძლურებაა, როგორიც ღმერთმა გამოიჩინა თვისი, ძის, იესოს, ჯვარცმისას. უძლურება ადამიანური შეფასებაა. ადამიანია უძლური, რომ თანამოძმეთა ცხოველებად გადაქცევა შეაჩეროს, წინ აღუდგეს სისასტიკესა და ძალადობას. თუკი დამიანი ამას შეძლებს, მაშინ მას აღარ ექნება განცდა ღვთის უძლურებისა. პირიქით, განუმტკიცდება რწმენა მისი ყოვლისშემძლეობისა.

ბრბო შურისმაძიებელია. როგორც კი აასრულებს ბნელ საქმეს, იწყებს გამოფხიზლებას და ჩადენილის გააზრებას.

ღმერთმა დასაჯა ეს სოფელი გვალვებითა და მოუსავლიანობით.

ბრბოდ ნაქცევმა ხალხმა მარიტას სახით მოიკვეთა თავისი საკეთეთესო ნაწილი.

მიხელ ჯავახიშვილის „ეშმაკის ქვაშიც“ ხალხის ბრბოდ გადაქცევაა ნაჩვენები.

ისევე როგორც შენება ძნელი და ხანგრძლივი პროცესია, ხოლო ნგრევა – იოლი და ხანმოკლე, ასევე რთული გზა უნდა გაიაროს ადამიანმა, რომ პიროვნებად იქცეს, მაგრამ ოდნავი თვალის მოხუჭვაც კი საკმარისია, რომ უსახო ბრბოს ნაწილად გადაიქცეს. ამიტომაც ყოველთვის, ჩაუმქრალად უნდა ენთოს ადამიანის სულში მოყვასის სიყვარული.



ანა კალანდაძე
(1924-2008)

მაია ჯალიაშვილი

„ყველაფერი ზღაპრულია და იდუმალია“

(ანა კალანდაძის „ლაჰილზე ისევ...“)

სვანეთი საქართველოს ულამაზესი მხარეა. არ შეიძლება ერთხელ ნახო და დაგავიწყდეს ცადაზიდული მთები, ზვიადი კოშკები. სვანები გამორჩეული ვაჟკაცები იყვნენ ყოველთვის. საყურადღებოა ანტიკური ხანის ისტორიკოსის, სტრაბონის ცნობა, რომ სვანები უძლიერესნი არიან დიოსკურიის მახლობლად მცხოვრებ ტომთა შორის. სვანეთი მდიდარია ძველი ეკლესიებით, ხატებითა და საეკლესიო წიგნებით. ამ მხარემ შემოინახა ოქრო-ვერცხლით მოჭედილი უძველესი ხატები, ძვირფასი ქვებით შემკობილი აზარფეშები, ტყავზე დაწერილი საეკლესიო წიგნები და სხვა ძვირფასი ნივთები.

ანა კალანდაძის ამ ლექსში სვანეთის შთამბეჭდავი სანახებია გაცოცხლებული. პოეტი აღტაცებას გამოხატავს სვანეთის ცითა და მიწით, ხალხითა და მის მიერ შექმნილი ძეგლებით.

„ლაჰილზე ისევ დიდებული და სავსე მთვარეა..

და ყველაფერი ზღაპრულია და იდუმალია“.

ლაჰილი სოფელია სვანეთში, ამავე დროს, ეს მშვენიერი სახელი ჰქვია სვანეთის ქედის ერთ მწვერვალსაც. თან სიტყვა ლაჰილი – ძალიან მუსიკალურია, ლამაზია. წარმოთქვამ ამ სიტყვას და უნებურად იმსჭვალები მისი სიყვარულით. ხომ არსებობს ერთი ნახვით შეყვარება. შეიძლება ვთქვათ– სიტყვის ერთი წარმოთქმით შეყვარებაზე. ასეთი სიტყვაა ლაჰილი, რომლის სილამაზე მთელ ლექსს სინათლესავით აშუქებს.

მკითხველის თვალწინ იხატება არამიწიერი სურათი. პოეტს სურს, რომ ჩვენც დავინახოთ ლაჰილზე ამოსული მთვარე, რომელიც წარმოჩენილია ეპითეტებით: დიდებული და სავსე. სავსე ხაზს უსვამს იმას, რომ მთვარე მთელი თავისი სილამაზითაა წარმოჩენილი. დიდებული კი პოეტის დამოკიდებულებას ამხელს – მისთვის ეს მთვარე განსაკუთრებულია, სხვაგან ნანახზე აღმატებული. ჩვენ ლიტერატურიდან არაერთი მთვარე ვიცით. მაგალითად, გალაკტიონის „მთაწმინდის მთვარე“– ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი, მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი“. დაუვიწყარია ბარათაშვილის თვალით დანახული მთვარე: „გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო მხურვალე ლოცვით მიქანცებული, მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკო გადახრით შუქმიბინდული“, ყველასგან განსხვავებულია გიორგი ლეონიძის მიერ დახატული მთვარე: „ეს მთვარე ვიღამ შეკერა, ვინ არის მისი მკერავი“, ან კიდევ: „დაჭრილ ხევსურის თავივით მთვარე მთებს გადმოეყუდა“, ან მისივე: „მთვარე გომბორზე წაიქცა–რძით გავსე-

ბული ტაგანი“ და სხვა. ანა კალანდაძის მიერ დახატული მთვარე სადაა, მშვიდი, ის თითქოს აფორიაქებულ სულს ამშვიდებს.

ჩანს, რომ პოეტს არაერთხელ უნახავს ლაჰილის მთვარე, რადგან ამბობს: „ლაჰილზე ისევ დიდებული და სავსე მთვარეაო“.

ეს სავსე მთვარე ყველაფერს საიდუმლო შუქში ჰხვევს, არამიწიერად აქცევს, ოცნებებს წამოშლის, ამიტომაც წერს პოეტი;

და ყველაფერი ზღაპრულია და იდუმალია.

მხოლოდ ზღაპრებში არიან ასეთი თვალთშეუდგამი მთები და მხოლოდ იქ ამოდის ასეთი სავსე და უნაკლო ბადრი მთვარე. პოეტი თითქოს თვალს მიმოავლებს გარშემო, იშლება სვანეთის პანორამული სურათი: „ძველი მურყვამი, უშბა, თეთნულდი და ლამარია...“

მურყვამი – სვანეთის კავკასიონის მწვერვალია. თვითონ სიტყვა მურყვამი რაღაცნაირად მტკიცეა, მაგარია, გაუტეხელია. ასეთი სიტყვა მხოლოდ სვანეთის მთებში შეიძლება დაბადებულიყო ალბათ. ეპითეტი „ძველი“ ხაზს უსვამს იმას, რომ უხსოვარი დროიდან არსებობს და დარაჯობს სვანეთის სოფლებს.

უშბა – ორთავიანი მწვერვალია სვანეთის კავკასიონზე, გამორჩეული სილამაზის მწვერვალია. ამ ლექსშიც გამოჩნდა იგი, როგორც მთვარით განათებული ზღაპრული მწვერვალი. ღამით ხომ ყოველივე უფრო იდუმალ სახეს იღებს და სვანეთის მწვერვალებიც გასაოცარი შარავანდედით იმოსებიან.

თეთნულს ყინულის დედოფალს უწოდებენ – ულამაზესი მწვერვალია სვანეთის კავკასიონისა. მისი ხსენებაც კი თვალწინ გადაგვიშლის საოცარ სანახებს.

„თეთნულდი თავისთან არავის მიუშვებს“,– ამბობს ერთი პერსონაჟი შალვა დადიანის პიესაში „თეთნულდი“.

ლამარია – IX-X საუკუნეების ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაა სვანეთში, სოფელ უშგულში. ეკლესიაში შემორჩენილია ფრესკები. ეკლესიის ეზოში დგას ქვის დიდი სკამი. გადმოცემის თანახმად, ამ სკამზე მოკლეს უშგულის დაპყრობის მსურველი თავადი– ფუთა დადეშქელიანი. ლამარია წარმართული ღვთაება იყო, მფარველი ნაყოფიერებისა, მარცვლეულისა, საქონლისა, ხელსაქმისა. მოგვიანებით, ქრისტიანული რწმენის გავლენით, ეს კულტი მარიამ ღვთისმშობლის თაყვანისცემას შეერწყა.

„ლაჰილზე ისევ დიდებული და სავსე მთვარეა...“ – ეს სტრიქონი სამჯერ მეორდება და ლეიტმოტივად გასდევს ამ პატარა ლექსს. ორჯერ ზუსტად მეორდება, ხოლო მესამედ მცირე განსხვავებით. ჩამატებულია სიტყვა „ალბათ“– „ლაჰილზე ალბათ დიდებული და სავსე მთვარეა...“. ეს ალბათ მიგვანიშნებს იმაზე, თუ როგორ ენატრება პოეტს სვანეთი და ყოველივე, რის შესახებაც წერს, მხოლოდ ლამაზი მოგონებაა.

„ლაშთხვერში კახთა აწვე უენო, მუნჯი ზარია...
ქარები მისთა ჩუმთა ნაღველთა განეკრძალვიან..“

– ვკითხულობთ ლექსში.

ლაშთხვერი სოფელია სვანეთში და იგი განსაკუთრებით განთქმულია

იმით, რომ აქ შემონახულია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – შუა საუკუნეების მთავარანგელოზის მცირე ზომის ეკლესია, რომლის კედლები დაფარულია XIV-XV საუკუნეების მოხატულობით. დასავლეთ ფასადზე ვედრების კომპოზიციაა, აღმოსავლეთ ფასადზე გამოსახულია წმინდა ევსტათეს ნადირობის სცენა, ხოლო სამხრეთისაზე – ცხენზე ამხედრებული წმინდა მეომრები. განსაკუთრებით საინტერესოა ჩრდილოეთ ფასადის მოხატულობა – მოსე ხონელის სარაინდო რომანის, „ამირან-დარეჯანიანის", ერთგვარი ილუსტრაციები. მოხატულობა მთელ კედელზეა. ამ ნახატებს ახლავს ასომთავრული წარწერები. საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს და მხატვრის მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს ფერადოვნება: ცისფერის, რუხის, ყავისფერის, აგურისფერისა და მოოქროსფრო-ყვითლის შეხამება. სწორედ ამ ნახატებს ირეკლავს ლექსის ეს სტრიქონი: „ტაძრის კედელზე ბადრი, ამირან, სეფედავლეა". ესენი „ამირანდარეჯანიანის" მთავარი პერსონაჟები არიან, დევებთან მებრძოლი უშიშარი ვაჟკაცები.

ამიტომაც ახსენებს პოეტი ძველ რაინდებს, რომელთა საგმირო საქმეთა შუქი ტაძარს გარს ევლება. ეს მეტაფორულად ასე გამოხატა პოეტმა:

„იმათ გვირგვინებს ძველთა რაინდთა შუქი ავლია".

რაც შეეხება სტრიქონებს: „კახთა აწვე უენო, მუნჯი ზარია...

ქარები მისთა ჩუმთა ნაღველთა განეკრძალვიან..".

სვანეთის მიუვალ მთებში კახეთიდან ხშირად გაუხიზნავთ განძი. ეს „უენო ზარიც" – უენო– ესე იგი, გაძარცული ზარიც აქ წამოუღიათ გადასარჩენად. ზარი დამუნჯებულა და მას ისეთი ნაღველი ჩასდგომია გულში, რომ სასტიკი ქარებიც კი ეკრძალებიან, ერიდებიან. ამ გაპიროვნებით პოეტმა საუკეთესოდ გამოხატა ძველი დროის ნაშთების მიმართ პატივისცემა და თაყვანისცემა. ეს უენო ზარი– სწორედ ძველი დიდების უტყვი მოწმეა.

„ლაღამის შვლისაც აწ სილამაზე

თვალს მიჰფარვია...",– ვკითხულობთ ლექსში.

ლაღამი სოფელია სვანეთში. აქ არის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია, რომლის გარე კედლები მოხატულია და ერთ ადგილას გამოსახულა შვლები (ჯიხვები, ქურციკნი). ნახატი თითქმის წაშლილია, ამიტომაც წერს პოეტი, რომ ლაღამის შვლის სილამაზე თვალს მიჰფარვიაო. ამ სტრიქონს მოაქვს საოცარი სევდა და ნაღველი, რომ დრო, სამწუხაროდ, დაუნდობლად შლის და ანადგურებს ყოველივეს. ლაღამის ეკლესიის მნიშვნელოვანი ძეგლები ინახება მესტიის მუზეუმში. სვიმეონ მესვეტის უძველესი ხატი ქართულ კულტურას შემოუნახა ლაღამის ეკლესიამ. ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

„ლაპილზე, ალბათ, დიდებული და სავსე მთვარეა,

და ყველაფერი ზღაპრულია და იდუმალია –

ძველი კოშკები, უშბა, თეთნულდიდა ლამარია..."

მკითხველსაც არ ტოვებს განცდა, რომ სვანეთი – ერთი დიდი საიდუმლოა თავისი ლეგენდებით, ზღაპრებით, ფოლკლორით, მზის სადიდებელი ლილეთი.

მაია ჯალიაშვილი

„წყალობა ჰყავით“

(ანა კალანდაძის ლექსზე „ფეხი დამადგით“)

„ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლეობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ-ბუნებოვნების შარავანდედითა, და თაყვანს-სცემს სასოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა“, – წერს ილია წერილში „დავით აღმაშენებელი“.

ქართველი ხალხის სწორედ ამგვარი ხატია დავით აღმაშენებელი, რომელსაც ქართულ პოეზიაში არაერთი ნაწარმოები ეძღვნება, მაგრამ ანა კალანდაძის ეს ლექსი ყველასგან გამორჩეულია. მასში შთამბეჭდავად იხატება დიდი მეფის სულიერო სამყარო, მისი ზნეობრივი სიწმინდე.

პოეტის შთამაგონებელი წყარო დავით მეფის ღვაწლია ერის წინაშე. ილია ჭავჭავაძე წერს: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავისდა საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, – რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის ფიცარზედ იბეჭდავს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაბეჭდვითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისთვის და გაძლიერებისთვის“ („დავით აღმაშენებელი“).

დავითს დიდი ღვაწლისთვის ერმა აღმაშენებელი უწოდა. ფრესკებზე გამოსახულ მეფეს ცალ ხელში ეტრატი (წიგნი) უჭირავს და მეორეში – ეკლესია. რწმენა და განათლება იყო მისი მოღვაწეობის მთავარი საზრუნავი. ორივე სახელმწიფოს ბურჯს წარმოადგენდა და მის სიმტკიცეს განაპირობებდა. როგორც ცნობილია, დავით მეფეს უყვარდა ბიბლიის კითხვა, განსაკუთრებით ახალი აღთქმისა და ყველაზე მეტად კი სამოციქულოსი, რომელსაც წელიწადში 24-ჯერ კითხულობდა, ბრძოლებშიც თან დაატარებდა ამ წიგნს და კითხვით სულიერად მტკიცდებოდა.

ლექსი საოცარი ვედრებით იწყება. თვითონ მეფე მიმართავს ყველას:

„ფეხი დამადგით,
გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,
წყალობა ჰყავით...
საქართველოის ყოვლოს მპყრობელმან
ვისურვე დავით...“

მკითხველისთვის მოულოდნელია ამგვარი დასაწყისი, მაგრამ პოეტს სწორედ ეს სურს, მკითხველის შთაბეჭდილებაში გააცოცხლოს არა ცხენზე

ამხედრებული, მედიდური იერის მეფე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, წმინდანი, ფრესკაზე გამოსახული, ლმობიერი მზერით სავსე მეფე, რომელიც დავით მეფსალმუნესავით ფიქრობს: „მატლ ვარ და არა კაც“. ყველაზე დიდებული მეფე წყალობად მიიჩნევს „გულზე ფეხის დადგმას“, რაც ერთგვარ შეურაცხყოფად მოჩანს, მაგრამ მეფეს სწორედ ეს სურს, ამქვეყნიური დამცირება, დამდაბლება, რათა ღირსი გახდეს სასუფევლისა. მისი მოძღვარი იესო ქრისტეც ხომ სწორედ ამგვარი სიმდაბლით გამოირჩეოდა, თავის მოციქულებს დაჩოქილი ფეხებს რომ ჰბანდა და არიგებდა, ვინც თავს დაიმდაბლებს, ის ამაღლდება, ხოლო უკანასკნელნი წინ იქნებიანო. პოეტს სწორედ ამგვარად სურს, რომ მკითხველმა წარმოიდგინოს დიდი მეფე. ეს არ არის მხოლოდ მისი წარმოსახვის ნაყოფი. დიდმა მეფემ ანდერძად დაიბარა, ტაძრის შესასვლელში დაეკრძალათ, რათა ნებისმიერ შემოსულს მის საფლავზე დაებიჯებინა.

დავით აღმაშენებელი პოეტიც იყო და დაწერა საოცარი საგალობელი: „გალობანი სინანულისანი“, რომელშიც ყოვლისმპყრობელი ხელისუფალი გულშემუსვრილ მონანიედ წარმოგვიდგება: „მე ვარ, ვითარცა უფსკრული,

შესაკრებელი ბილწებისა ღუართაჲ!“

„ზარი მეფობისაჲ წარჴდეს და დიდება დაშრტეს,

შუებაჲ უქმ იქმნენ,

ყუავილოვნებაჲ დაჭნეს,

სხუამან მიიღოს სკიპტრაჲ,

სხუასა შეუდგენ სპანი,

მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!“

ლექსში ლირიკულ გმირსა და დიდებულ მეფეს შორის წარმოსახული დიალოგი იმართება.

პოეტი ლექსში იყენებს არქაიზმებს: „ყოვლის“, „მპყრობელმან“, რათა შექმნას ილუზია, რომ ჩვენ სწორედ დავით მეფეს ვუსმენთ, ამგვარად, მეტი დამაჯერებლობა მიენიჭება სტრიქონებს, თანაც, ეს არქაიზმები ერთგვარ ამაღლებულობას სძენენ მეფის ნათქვამს.

რაზე შეიძლება მიანიშნებდეს სტრიქონები: „ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი ყურძნის მტევნებით.“? ალბათ, იმაზე, რომ საფლავის ქვაზე გამოსახული იყო ყურნის მტევნები, როგორც სიმბოლო რწმენისა და ღვთისთვის თავდადებისა. დავითი კეთილად აღმსრულებელი იყო ღვთის მცნებებისა და გულმოდგინედ მიჰყვებოდა წმინდა მამათა სწავლებას: „მრავალნი შევიდნენ სასუფეველში წინასწარმეტყველებათა და სასწაულთა გარეშე, ხოლო სიმდაბლის გარეშე ვერავინ შევა ზეციურ სასძლოში“ (წმ. იოანე სინელი).

თითქოს საუკუნეთა სიღრმეს გამოარღვევს დავითის ვედრება და გულშიჩამწვდომად ჩაგვესმის მისი საოცარი თავმდაბლობით აღბეჭდილი სიტყვები. ლექსის ლირიკული გმირის გაოცება იგრძნობა მის შეკითხვაში: „ასეთი ცოდვა რა გაქვს მეფეო მიუტევები

„ღირს მსახურებდი ქართულ მიწა-წყალს,

რაი გადარდებს?

გასწიე იგი „ნიკოფსიითგან

დარუბანდამდე“....

ეს კითხვა ნებისმიერ ქართველ მკითხველს გაუჩნდება, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ერის წინაშე.

დავით მეფე 16 წლისა ავიდა ტახტზე, უამრავი ბრძოლა გადაიხადა, დაქუცმაცებული, დაბეჩავებული, ღირსებაშელახული ქვეყანა გააერთიანა, გააძლიერა. 1121 წელს დიდგორის ომი მოიგო, ამ გამარჯვებას „ძლევაი საკვირველი" უწოდა მემატიანემ. სწორედ ამ ბრძოლის წინ უკან დასახევი გზები ჩახერგა და ასე მიმართა მეფემ მებრძოლებს: „მეომარნო ქრისტეანნო, თუ რჯულისა და ქვეყნისათვის ვიბრძოლებთ, არათუ ეშმაკთა მიმდევართ, არამედ თვით ეშმაკებს დავამარცებთო". დავით მეფემ ქვეყანაში სხვადასხვა რეფორმა განახორციელა საეროსა და სასულიერო ცხოვრებაში, ციხესიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები ააგო, საგანმანათლებლო კერები შექმნა, მუდმივი ჯარი ჩამოაყალიბა. 1122 წელს დავითმა თბილისი გაათავისუფლა და საქართველოს „მკვდარი" გული გააცოცხლა.

დავითმა გაათავისუფლა სომხეთის სატახტო ქალაქი ანისი, დაიპყრო შირვანი, დარუბანდი – მისი რკინის კარი ჩამოიტანა და გელათის მონასტერში დადგა. ქვეყნის საზღვრები კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გააფართოვა.

დავი მეფე საოცარი შემწყნარებლობით გამოირჩეოდა, დადიოდა მეჩეთებსა და სინაგოგებში, რადგან ყველა რჯულისა და ეროვნების ადამიანს, რომლებიც მის სამეფოში ცხოვრობდნენ, პატივს სცემდა, მათ დაცვასა და განვითარებაზე ზრუნავდა. ააშენა სამკურნალოები საპყართა და დავრდომილთათვის და ხშირად დადიოდა მათ სანახავად, ნუგეშს სცემდა და მათ გაუსაძლის სიცოცხლეში თავისი ყურადღებითა და კეთილი სიტყვით სინათლის სხივი შეჰქონდა.

დიდმა ღვთისმეტყველმა არსენ იყალთოელმა, დავით აღმაშენებლის შემწეობით შექმნილ „იყალთოს აკადემიაში" მოღვაწემ მეფის ეპიტაფია დაწერა:

„როს ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნი მე პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარე გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,-
აწე ამათსა მოქმედსა გულზედან ხელნი დამესხნეს".

ლირიკული გმირმა და მკითხველმა კარგად იციან რა დავითის ღვაწლის შესახებ, იწყებენ ფიქრს, თუ როგორ შეიძლება აიხსნას მეფის ამგვარი სიმდაბლე. სწორედ ამგვარ ფქრს აირეკლავენ სტრიქონები:

„თუ, ეს მაღალთა თავმდაბლობაა
ოდით და ოდით?
თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო,
რაღა ქნან ცოდვილთ
სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის
ვერსით მპოველთა?"

ლექსში ამის პასუხი არ არის, მაგრამ პასუხად გაისმის კვლავ დავით მეფის ვედრება:

„– ფეხი დამადგით, გულზე დამადგით
ფეხი ყოველთა...“

ეს სტრიქონები ქმნიან ლექსის წრიულ სტრუქტურას – დასაწყისი და დასასრული ერთნაირია და ამგვარად მკითხველს შთააგონებენ, რომ ადამიანის უპირველესი ღირსება თავმდაბლობა და „განცდა თვისთა ცოდვათა“.

სულის სიმშვიდეს ადამიანი მხოლოდ შეუწყვეტელი ლოცვითა და სინანულით მოინანიებს, რადგან „არა არს კაცი, რომელი ცხონდეს და არა სცოდოს“. გავიხსენოთ წმინდა ეფრემ ასურის ლოცვა: „უფალო, მომანიჭე მე განცდაი თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა“. ეს არის უპირველესი პირობა, რომ ადამიანი დამკვიდრდეს სასუფეველში, ღვთისა წყალობა დაიმსახუროს.

ანა კალანდაძის სხვა ლექსებშიც გაიელვებს დავით აღმაშენებლის სახე:;

„დიდი დავითის „სინანული“ ისმოდა სიონს.
დიდებულ ტაძარს და ეკლესიას თავს ევლებოდნენ შორნი ხმანი
შუქთა მფინარნი...
ამქვეყნად რაი გაანელებს მტანჯველ სინანულს?
ტაძარსა ციურს,
დიდი დავითის „სინანული“ გრგვინავდა სიონს“.

ანა კალანდაძის ეს ლექსი „ფეხი დამადგით“, გამორჩეული საოცარი სისადავითა და გულწრფელობით, განძარცვული მხატვრულ სამკაულთაგან, ღვთის რწმენითა და სიყვარულით აღავსებს მკითხველს.

„კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო – ამბობს ჩვენი ერი: – ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდ-ბუნებოვანმა კაცმა – წაიყოლა სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი (ილია ჭავჭავაძე, „დავით აღმაშენებელი“).

მაია ჯალიაშვილი

ჩამავალი მზის აღსარება

(ანა კალანდაძის „მკვდართა მზე ვარ...“)

ეს ლექსი საოცარი სევდითაა გამსჭვალული. პოეტი სათაურიდანვე მიგვანიშნებს, რომ ლექსი იდუმალებით იქნება აღსავსე, მართლაც, მკვდრის მზე დიდი საიდუმლოა, რომელიც დაგვაფიქრებს მიღმიურ, ნარუვალ, მარადიულ სამყაროზე.

ხალხური რწმენით, მკვდრის მზე უწოდებენ ჩამავალ მზეს, მზეს, რომელიც ცოცხლებისთვის ჩადის და ამოდის მიცვალებულთათვის. ეს რწმენა ჩანს ამ ლექსშიც.

ხომ ძალიან ლამაზია განთიადი, აისი, მზის ამოსვლა, ასევე ულამაზესია დაისი, მზის ჩასვლის სურათი. ამ დროს რაღაც არამიწიერი ფერებით იღებება ზეცა. ამ ღვთაებრივ ფერებში ჭარბობს მეწამული, სისხლისფერი. საოცარი მხატვარი უნდა იყო, რომ ეს ფერები გადმოსცე, მაგრამ შემოქმედი უფალი, რომელმაც, როგორც ფსალმუნებში წერია, თავისი თითებით შექმნა სამყარო, „მოხატა“ ცა და დედამიწა, ამ ყოველივეს შთამბეჭდავად წარმოგვიდგენს უსაზღვროდ გაშლილ ზეციურ ტილოზე.

რა ხდება იქით, იმ სამყაროში, რომელსაც საიქიო ჰქვია? ადამიანი ყოველთვის ფიქრობს ამაზე, როგორც გალაკტიონი კითხულობს ერთ ლექსში: „რა ხდება იქით! საიდან ისმის/ მგლოვიარეთა ქნართა: „მშვიდობით?“ („მას გახელილი დარჩა თვალები“).

გიორგი შატბერაშვილმა თავის რომანს „მკვდრის მზე“ უწოდა და მასში სიკვდილის სიცოცხლის გზით შეცნობის მოტივი მხატვრულად წარმოაჩინა. გალაკტიონი როდესაც „ლურჯა ცხენებში“ აღწერს მიღმა სამყაროს, მასთან „შეხვედრის“ პირველ შთაბეჭდილებას ასე გადმოგვცემს:

„როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში“.

ჩამავალი მზის სხივებშია გახვეული სამუდამო მხარის ნაპირი.

ანა კალანდაძე ლექსში სულ სხვანაირად აღმოგვაჩენინებს ნაცნობსა და ჩვეულს და ჩვენ, მკითხველნი, სრულიად სხვაგვარად აღვიქვამთ ჩამავალ მზეს, ვწვდებით მის არსს. ჩამავალი მზე პოეტმა გაასულიერა. ეს ლექსი თითქოს მზის მონოლოგია, მისი აღსარებაა.

საერთოდ, მზე სინათლის, სიცოცხლის, სიყვარულის წყაროა. ეს ხატოვან გამოთქმებშიც კარგად არის ასახული: „მზე ამომდის შენზე“ – მიყვარხარ, „მზე გაუქრა“, „მზე დაუბნელდა“ – გარდაიცვალა.

როცა გაუსაძლისი სულიერი ტანჯვა უნდა რომ წარმოაჩინოს, გალაკტიონი მზის გამქრალ ხატებას მიმართავს:

„ეხლა შენს სულში ყვავილისთვის მზე აღარ არის,
მზე აღარ არის და არ არის არარაიმე“ („შენს სიყმაწვილეს ახსოვს მხოლოდ ზუზუნი ქარის“).

ანა კალანდაძის ლექსში ჩამავალი მზე ამხელს თავის უდიდეს ტკივილს:

„ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ,
გულო, რისად მეხურები?"

გამეორების მხატვრული ხერხით აქცენტირებულია „ორი ქვეყანა". რომელ ორ ქვეყანას გულისხმობს პოეტი? ეს არის ჩვენი წუთისოფელი და მარადიული სოფელი, სადაც ჩვენი სული გარდაცვალების შემდეგ მიემგზავრება. ადამიანის მუდმივი საფიქრალია: სააქაო და საიქიო, სოფელი და ზესთასოფელი. წარმოვიდგინოთ მზე, რომელსაც ბუნებამ ასეთი მოვალეობა „დააკისრა", რომ ორი ქვეყნის საზღვარზე იდგეს, როგორც დარაჯი და სულებს გაუძღვეს ხილულიდან უხილავი სამყაროსკენ. რა თქმა უნდა, მზემ კარგად იცის, რა ძნელია ადამიანებისთვის სიკვდილი და სწორედ ეს ასევდიანებს. ეს მწუხარება გამოსჭვივის სტრიქონებში: „გულო, რისად მეხურები?"

მზე ქართულსა თუ მსოფლიო ლიტერატურაში მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლოა, საღვთისმეტყველო სახეა. ეს, უპირველეს, ყოვლისა, უფლის სიმბოლოა. ვიქტორ ნოზაძეს წიგნში „ვეფხისტყაოსნის" მზისმეტყველება სიღრმისეულად აქვს ეს საკითხი გააზრებული. ამ წიგნში მოცემულია „მზიანი ღამის" განმარტებაც. ავთანდილი ასე ევედრება ღმერთს:

„იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,
ერთარსებისა ერთისა მის, უჟამოსა ჟამისა,
ვის გმორჩილებენ ციერნი, ერთის იოტის წამისად,
ბედსა ნუ მიქცევ, მიაჯუ შეყრამდის ჩემად და მისად".

მზე-უფალი ანათებს და განაგდებს წუთისოფლის წყვდიადს. გურამიშვილი ასე აქებს მზეს-უფალს „დავითიანში".

„მსურის ქება და დიდება ნათლისა წარუალისა,
მზეთა-მზის ვახში თავს მაძეს, მმართებს გარდახდა ვალისა,
ჭირს საცნაურის მზისაცა სწორედ გამართვა თვალისა,
არამც-თუ უცნაურისა ცნობა გზისა და კვალისა".

დავით გურამიშვილი ორ მზეს წარმოაჩენს – საცნაურს, ხილულს, წუთისოფლისეულს და უცნაურს, უხილავს – უფალს, რომელსაც ადამიანები ძალიან ძნელად შეიცნობენ.

ანა კალანდაძის ლექსში მზე მოწყენილია. ამგვარ განცდას ამძაფრებენ ეპითეტები, რომელთაც პოეტი მოიხმობს მზის „დასახასიათებლად": „სხივმიმკრთალი", „ხივმიმკვდარი". მზე ამოსვლისას, პირიქით, სიცოცხლის ენერგიას აფრქვევს, სამყარო ხომ ყოველ დილას სწორედ მისი ძალით განახლდება. მისი ჩასვლისას კი ყოველივეს ბინდი ეფინება.

ლექსის მიხედვით, ჩანს მზე როგორ განიცდის სიცოცხლეს, როგორ ესმის ბალახების სუნთქვა, როგორ აღიქვამს მატერიალურ არსებობას: „ჩემს სხივებში თამაშობენ ბეღურები". მზე თითქოს სევდიანად შესცქერის ბეღურებს, რომელთაც არაფერი უწყიან სიკვდილისა. საერთოდ, ბუნებაში, სიკვდილი არ აღიქმება, როგორც ტრაგედია. ბუნებისთვის ჩვეული რიტმია სიკვდილიდან სიცოცხლეში გადასვლა და პირიქით. ამიტომაც იყო, რომ ვაჟა-ფშაველა ნანობდა: „რამ შემქმნა ადამიანად,/რატომ არ მოველ წვიმადა".

წვიმად ყოფნა, ბუნების შვილობა ადამიანს გადაალახვინებს სიკვდილს, რადგან წვიმამ, ბუნებამ არ იცის სიკვდილი, ბუნებაში მარადიული წრებრუნვაა სიკვდილ-სიცოცხლისა.

მკვდრის მზე ტკბება სიცოცხლის მშვენიერებით. ის ამჩნევს პატარა დეტალებსაც:

„კორჩიოტას, კორჩიოტას თესლი გალხვა,
ორთქლად მიდის ნესტიანი სუნთქვა მიწის“.

ის ამჩნევს, როგორ ლხვება თესლი მიწაში, როგორ იბადება თესლიდან სიცოცხლე. ეს ყოველივე სიკვდილის მზერაშია გაცოცხლებული. მკითხველიც გრძნობს, თუ როგორ სუნთქავს მთელი სამყარო. ირგვლივ ყოველივე სიცოცხლის სიხარულითაა დამუხტული და ავსებული: „ნაკადულის სიმღერებში სძინავს ღალღას“. პოეტი ამ გაპიროვნებით შესანიშნავად წარმოაჩენს, თუ რას განიცდის მკვდრის მზე, რა შეგრძნებები უჩნდება. ნაკადულის სიმღერები წარმოაჩენენ სიცოცხლის მრავალფეროვნებას, ერთგვარ ზეიმურობას, სიცოცხლის სიტკბოებას, დღესასწაულს, რომელიც სიცოცხლეს ყოველ ნაბიჯზე ახლავს.

ღალღა პატარა ფრინველია, რომელიც ბუდეს მიწაზე იკეთებს. ამ პატარა არსების ყოველ მცირე მოძრაობას, ხტუნვა-თამაშს ამჩნევს მკვდრის მზე და თითქოს მისი ყურება ეხალისება, რადგან მალე ეს ყოველივე თვალთაგან გაქრება და მზე სხვა სამყაროში გადავა.

„ლხენით ვისმენ ბელურების წივ-წივ, წივ-წივს... “

თითქოს ჩვენც ჩაგვესმის ჩიტების წივ-წივი, ჭიკჭიკი და ამ ხმებით გადმოცემულია ის მუსიკა, რომლითაც ავსებულია სიცოცხლის სამყარო.

მკვდართა მზეს ისე აქვს გაფაქიზებული მზერა, ისე სავსეა ამქვეყნიური სიყვარულით, რომ ესმის ყოველი ჩქამი და ამჩნევს ყოველ გაელვებას. მიუხედავად ამისა, ის მაინც წუხს:

„მაგრამ... მაინც გული რისად მეხურება?“

მას ახსენდება, რომ თვითონ მკვდართა მზეა, მას ახსოვს, რომ თავისი წასვლით მალე ამ მშვენიერებას სიბნელე შთანთქავს. იგი ვარდის ტოტზე შერჩენილ ხმელ თესლსაც ამჩნევს. ხმელი თესლი მიანიშნებს სიკვდილს, იმიტომ, რომ ის აღარასოდეს აღარ განედლდება, ის „აკენკეს და გაიტაცეს ბეღურებმა“. სიცოცხლე აღარ დაიბადება და ეს ფიქრი მზეს ტკივილით აღავსებს.

სიკვდილ-სიცოცხლის თემა არაერთ მხატვრულ ნაწარმოებში გვხვდება, მათ შორის, გამორჩეულია, გოდერძი ჩოხელის რომანი „ადამიანთა სევდა“, რომლის ერთ ეპიზოდში სიკვდილი ადამიანებს მშვენიერი ყმაწვილის სახით გამოეცხადება ერთ სახალხო დღესასწაულზე. ყველა მხიარულობს და ეს უცხო ჭაბუკიც – მათთან ერთად. ყველას აოცებს მისი სილამაზე, მიუხედავად იმისა, რომ არავინ იცნობს, ყველა თავის სუფრაზე ეპატიჟება. ამ დღეს კიდევ ერთი უჩვეულო რამ მოხდება, დაკლული ციკანი გაცოცხლდება. ხალხს შეშფოთება იპყრობს, თითქოს ყველა გრძნობს, რომ ეს სასწაული ამ უცხოს უკავშირდება, ამიტომაც ჩაეკითხებიან და ვინაობის გამხელას სთხოვენ. ჭაბუკი ჯერ უარზეა და მერე აღიარებს, რომ მილიონ წელიწადში

ერთხელ მას, სიკვდილს, აქვს უფლება ადამიანური ხორცი შეისხას და ადამიანებთან გაატაროს ერთი დღე, დატკბეს სიცოცხლის სიყვარულით. წამშივე ხალხის სიყვარულიანი მზერა სიძულვილით შეიცვლება, ხოლო ერთერთი ხანჯლით განგმირავს ყმაწვილს.

რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმის ამ ადამიანებისა, რომელთაც შური იძიეს სიკვდილზე, მაგრამ გვესმის სიკვდილისაც, რომელსაც ასეთი საოცარი წყურვილი აქვს სიცოცხლისა.

ამ ლექსშიც ჩანს მკვდრის მზის დიდი სურვილი, რომ დატკბეს სიცოცხლით, განიცადოს ის ბედნიერება, რომელიც მხოლოდ ცოცხალ სამყაროშია, მაგრამ, სამწუხაროდ, სიკვდილი და სიცოცხლე, როგორც სიცივე და სითბო, ისე შეუთავსებელია. სიკვდილი ადამიანებისათვის მიუღებელია. ადამიანს მუდმივად ახსოვს ის:

„რა წამს კი დავიბადებით,
იქვე სიკვდილი მზა არის“ (ხალხური).

სიკვდილზე ფიქრმა დაბადა პოეტის წარმოსახვაში ეს ულამაზესი სიმბოლო და სახე მკვდრის მზისა. სიცოცხლე განუწყვეტელი მოძრაობა და დინებაა დასასრულისაკენ, თუმცა ეს დასასრული მხოლოდ პირობითია, თუკი ადამიანს რწმენა აქვს, მან იცის, რომ სიცოცხლე არასოდეს მთავრდება, მხოლოდ ფორმას იცვლის. სხეული მიწას შეუერთდება, სული კი გააგრძელებს კვლავ უსასრულბაში, მარადიულობაში სიცოცხლეს.

გოდერძი ჩოხელის ზემოთ ნახსენებ რომანში გაისმის ასეთი კითხვა: რა არის სიცოცხლე? და პასუხი ამგვარია: „ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა“, ხოლო კითხვაზე: რა არის სიკვდილი? პასუხია: „ადამიანად არყოფნის სევდა“.

სწორედ ეს სევდა, ადამიანად არყოფნისა, სიცოცხლის ნაკლებობისა ჩანს ამ ლექსში, რომლის წაკითხვის შემდეგ ჩვენს წარმოსახვაში სამუდამოდ დარჩება მკვდრის მზე, რომელიც, ერთი მხრივ, არის აღტაცებული და ბედნიერი, როცა შესცქერის და უსმენს სიცოცხლის ამ მრავალფეროვან ხმებს და, მეორე მხრივ, არასოდეს დაგვავიწყდება მისი საოცრად დიდი წუხილი.

ლექსი შეგვაგრძნობინებს, რომ ამ სამყაროში სკვდილი და სიცოცხლე თანაარსებობენ და ერთად ქმნიან იმ საიდუმლოს, რომელსაც ჩვენი ცხოვრება ჰქვია.



ოთარ ჭილაძე
(1933 – 2009)

მაია ჯალიაშვილი

„მეც მინდა ვიყო უფრო მაღალი“

(ოთარ ჭილაძის „როდესაც ასე ახლოა გრემი..“)

ამ ლექსში პოეტი გამოხატავს თაყვანისცემას წარსულის დიდებული ძეგლების მიმართ. ლექსში გრემი სიმბოლოა ქართული ხელოვნებისა, რომელიც ადასტურებს ქართველი კაცის დიდ რწმენას, ნიჭიერებასა და შრომისმოყვარეობას.

ხელოვნების ძეგლებთან მიახლება ნებისმიერ ადამიანში ამაღლებულ განწყობილებას ბადებს. ასეა ამ ლექსშიც.

გრემი ქართული ხუროთმოძღვრების გამორჩეული ძეგლია, იგი მდებარეობს ყვარლის რაიონში, სოფ. გრემის აღმოსავლეთით. გრემის ეკლესია მაღალ გორაკზე დგას. იგი ააგო კახთა მეფე ლევანმა 1565 წელს. ეკლესია ფრესკებითაა მოხატული.

ერთ დროს დროს გრემი კახეთის მეფეთა საჯდომი, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, კეთილმოწყობილი და ხალხმრავალი ქალაქი იყო. მისი დიდება დაეცა დაეცა XVII საუკუნეში, შაჰ-აბასის შემოსევების შემდეგ.

გრემის ეკლესია მთავარანგელოზთა, მიქაელისა და გაბრიელის ,სახელზეა აგებული. ულამაზესია ამ ეკლესიის შემოგარენი.

„მასუნთქეთ ჩემი სამშობლოს სურნელი. ხურდა არ მინდა. სიცოცხლეს ვიხდი მთლიანად. რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს ჩვენს დროში, სამშობლოს სურნელს ვერ გაყიდი. სამშობლო იყიდება. მისი სურნელი კი არა. სურნელი მაინც აქ რჩება, გამოცარიელებულ სივრცეში, ნასამშობლარზე“,– წერს მწერალი თავის უკანასკნელ რომანში... „გოდორი“.

სწორედ სამშობლოს სურნელითაა გაჟღენთილი ეს პატარა ლექსი.

„მითხარი, როგორი წარსული გქონდა და გეტყვი, რა გელოდება წინ“, – ესეც „გოდორში“ წერია.

ოთარ ჭილაძეც ილიასავით ფიქრობდა, რომ ერის პირქვე დაცემა მაშინ იწყება, როცა იგი ისტორიას ივიწყებს, ამიტომაც თავისი ლექსებით მუდამ შეახსენებდა ქართველს თავის ვინაობას.

როდესაც ასე ახლოა გრემი,
მეც მინდა ვიყო უფრო მაღალი,
რომ დაინახონ ჩემში ან ჩემით
რაღაც ახალი, სულმთლად ახალი.

ტაძართან მიახლება ლექსის ლირიკული გმირის სულიერ განახლებას იწვევს. სურვილი სიმაღლისა მეტყველებს უპირველესად ზნეობრივ განწმენდასა და ამაღლებაზე. გალაკტიონის „ქებათა ქება ნიკორწმინადს“ გაგახსენებთ, რომელიც ასე იწყება:

„მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა,
ჩემთვის დიდებული სხივი გამობრწყინდა“. ნიკორწმინდა პოეტში

იწვევს შემოქმედებითი ძალების მოზღვავებას, ამძაფრებს თავისუფლების შეგრძნებას.

ჭეშმარიტი ხელოვანი თავისუფალია, ზნეობრივად მაღალია. ტაძარი ხომ ღვთის სახლია. მისკენ სწრაფვა ამხელს ადამიანის სურვილს, მიემსგავსოს უფალს, რომელმაც თავის მსგავსად და ხატებად შექმნა.

გრემი ქართველმა კაცმა ააგო, არ დაიშურა ნიჭი და დიდი ოფლი დაღვარა, ამიტომაც სურს ლირიკულ გმირს, რომ თვითონ იყოს ღირსი ქართველობის სახელის ტარებისა. მასაც უნდა, რომ რაღაც შექმნას, გააკეთოს, რათა მისი სახელიც დარჩეს ისტორიაში. ასეთი დიდი ძალა აქვს ხელოვნებას. იგი კაცის გულში ბადებს სიკეთესა და სიყვარულს, ბადებს მომავლის რწმენას.

„და თუმცა გრემი არის ბებერი,
არის დაღლილი და დანგრეული,"

ლექსი ჩვენ წინ აცოცხლებს გრემს, რომელსაც ასეთი ეპითეტებით წარმოაჩენს პოეტი: იგი ბებერია, დაღლილი და დანგრეული. რაც იმას ნიშნავს, რომ ძველი დიდების ნაკვალევიღაა შემორჩენილი. ბებერსა და დაღლილს მხოლოდ ადამიანზე იტყვიან. ასე რომ, ამ ეპითეტებით პოეტი გრემს წარმოაჩენს, როგორც მშობლიურს, ახლობელს, რომლის წელთა სიმრავლე იწვევს წუხილსა და ნაღველს, თუმცა, ადამიანისგან განსხვავებით, წელთა სიმრავლე გრემისნაირ ძეგლებს ვერაფერს აკლებს. ისინი თითქოს დროის წარმავლობას ეწინააღმდეგებიან. ამიტომაც არ ჰკარგავს გრემი ადამიანზე საოცარი გავლენის უნარს, კვლავაც აღელვებს მანახველს და აღტაცებაში მოჰყავს. ამ განცდას ასეთი შედარებით გამოხატავს პოეტი:

„მე მაინც მამღვრევს ეს სექტემბერი,
როგორც საყვარელ ქალის სხეული."

აქ მნიშვნელოვანია ისიც, რომ სექტემბერია, შემოდგომაა, ფოთოლცვენისა და ჭკნობის დრო, რაც უფრო ამძაფრებს სიბერისა და დაღლილობის შეგრძნებას, მაგრამ მთავარია, რომ გრემის ხილვა არც ამ კანონზომიერებას ემორჩილება, იგი ნებისმიერ დროს აღელვებს, „ამღვრევს" მნახველს. „ამღვრევა" იმაზეც მიანიშნებს, რომ უამრავ ფიქრს აღუძრავს და საქართველოს წარსულსა, აწმყოსა და მომავალზე დააფიქრებს ადამიანს.

„მე მაინც კეთილ ფიქრებით მავსებს
სახეგაპობილ კედლის ალმური.
და უკვე ვიცი, რად მიყვარს ასე
ვაზიც, ჩუქურთმაც და სალამურიც."

მეტაფორით: „სახეგაპობილ კედლის ალმური" საოცარი ხატოვანებით წარმოჩნდება გრემის ტაძარი, თითქოს ვხედავთ როგორ ელვარებენ მის კედლებზე ჩამავალი მზის მეწამული სხივები. სახეგაპობილია იგი– როგორც ომში ნაომარი ვაჟკაცი, ამიტომაც არის რომ მნახველში აჩენს სიამაყის გრძნობას, იმედითა და რწმენით, კეთილი ფიქრებით აღავსებს. ამ კეთილმა ფიქრებმა ადამიანს უნდა მისცენ ძალა, რომ თამამად, უშიშრად შეებრძოლოს ბოროტსა და უკეთურს.

სამშობლოს სიყვარული თანდათან ჩნდება ადამიანის გულში, მაგრამ ამ სიყვარულის გაცნობიერება მხოლოდ მას შემდეგ ხდება, რაც ადამიანს გონების თვალი აეხილება. სამშობლოს სიყვარული ნიშნავს, არა მხოლოდ გიყვარდეს, არამედ იცოდე საქართველოს ისტორია, მისი კულტურა, ფოლკლორი, ლეგენდები, მითები, ზღაპრები, ძნე-ჩვეულებანი. ასე რომ, ეს სიყვარული გარკვეული ტვირთი და მოვალეობაა. ლექსში დასახელებული ვაზი, ჩუქურთმა და სალამური ქართული ყოფიერების, ქართული კულტურის სიმბოლოებია. თითოეული ცალკე სამყაროა, რომელიც ავლენს ქართველი კაცის სულიერებას, ცხოვრებსი წესს, ფიქრსა და ოცნებას.

ვაზის ნასხლევისგან შეკრა წმინდა ნინომ ჯვარი და ამ ჯვრით გააქრისტიანა საქართველო. ჩუქურთმაში გამოხატა ქართველმა კაცმა მზისა და სიცოცხლის სიყვარული, სალამურის წმინდა და სადა ჰანგებში მოაქცია თავისი ნატვრა და ოცნება.

ღმერთი სიყვარულია, –წერს იოანე მახარებელი. ეკლესია ამ სიყვარულის მატერიალიზებული ფორმაა, ამიტომაც ტაძართან მაიხლებისას დიდი სიყვარულით ივსება პოეტი. ეს სიყვარული მისი მხსნელი და გადამრჩენია. სიყვარული თითქოს მთელ სამყაროს იტევს.

„მე ყველაფერი მომწონს და მიყვარს,
მე ყველაფერი მგონია ჩემი,
როდესაც ასე ახლოა გრემი,
როდესაც ასე ახლოა გრემი!"

ლექსის ბოლოს პოეტი ორჯერ იმეორებს ლექსის დასაწყის სტრიქონს, თითქოს წრეს კრავს. გრემის სიახლოვე ღვთის სიახლოვეა, რომელიც საოცარი სიხარულით, მადლით, ნეტარებით აღავსებს სულს.

„არ არსებობს ეპოქა, საინტერესო არ იყოს ნებისმიერი შემოქმედისთვის. მაგრამ არა მგონია, ავტორი თვითონ ირჩევდეს ამა თუ იმ ეპოქას თავისი ნაწარმოებისთვის. აქ, ჩემი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც შემთხვევითობას ენიჭება. მაგალითად, რაიმე ნივთს, ძველი წერილის ნაგლეჯს, ჩრჩილით შეჭმულ კაბას, ანდა სხვა ამგვარად უმნიშვნელო წვრილმანს შეუძლია არათუ გარდასული დრო გაგვახსენოს მხოლოდ, არამედ ისე მძაფრად გვაგრძნობინოს იმ დროის ფერი და სურნელება.

პოეტმა ყველაფერი, რაც კი შეძრავს, ხელახლა უნდა მოხარშოს საკუთარ სულში. ყველა ჭეშმარიტი პოეტი თავისი ეპოქის ღვიძლი შვილია და გულუხვად და პატიოსნად უბრუნებს ხალხს, რაც უნახავს და განუცდია. მის მიერ შექმნილი სინამდვილე გაცილებით ცოცხალი და საინტერესოა, რადგან მისივე ვნებებითაა გამდიდრებული", – წერს ოთარ ჭილაძე ერთ წერილში.

თავისი ეპოქის ღვიძლი შვილი იყო იგი და კარგად იცოდა კულტურული მემკვიდრეობის ფასი. იმისიც სჯეროდა, რომ მის ქართველობას წარსულში შექმნილი ძვირფასი ძეგლები განამტკიცებდნენ.



ჯემალ ქარჩხაძე
(1936 – 1998)

ლალი დათაშვილი

გზა სასუფევლისკენ

(ჯემალ ქარჩხაძის „იგი")

უფალი მოგვიწოდებდა: „იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ზეცათაი სრულ არს" (მათე 5, 48). ადამიანი კი, როგორც ხატება და მსგავსება, ღმერთს რამდენიმე ნიშნით ჰგავს (რომელთა დახვეწასაც მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა ცდილობდეს): ზეცის კაცობით, მეტყველებით, ფიქრითა და ოცნებით, შემოქმედებითობით, პიროვნულობით, სიყვარულის უნარით... ის ადამი, ანუ მიკროკოსმოსია, საკუთარ თავში მთელ გარესამყაროს რომ მოიცავს... სწორედ ამ პრინციპებით არის დახატული ჯემალ ქარჩხაძის იგი.

„იგი" პირის ნაცვალსახელია. მთავარი გმირისთვის ასეთი სახელის დარქმევით ავტორმა მის გამორჩეულ პიროვნულ თვისებებზე მიგვანიშნა (საყურადღებოა, რომ მწერალი სხვა პერსონაჟების აღსანიშნავად იყენებს სიტყვებს: „სხვები", „დანარჩენები" და არა – ნაცვალსახელს „ისინი"). ის გამართული დადის, თანატომელთაგან განსხვავებით, ღმერთისა და სასუფევლისაკენ სვლას და სამყაროს საიდუმლოთა ამოცნობას ცდილობს.

ზეცის კაცობა გამართული სიარულითა და ცისაკენ ხედვითაც გამოიხატება, რადგან იგი, თანამემამულეთა მსგავსად, მხოლოდ მიწას აღარ ჩასცქერის, უფალს უყურებს, იგი გაიაზრებს, რომ სწორედ ეს აღმართულობაა მისი განსხვავებულობის საფუძველი;

ადამიანი დანაწევრებული მეტყველებით ემსგავსება უფალსა და ანგელოზებს (გიორგი მერჩულეც გვასწავლიდა, რომ ადამიანს აქვს მეტყველება ანგელოზებრივი). იგის რჩეულობის დასტური მისი სიტყვებია, რომელთა ცოდნითა და გამოყენებით ყველა თვისტომზე მაღლა დგება, იცის, რომ ასეთი სიმდიდრე თვით ბელადსაც არა აქვს და თუნდ მოუყაროს თავი რამდენიმე სიტყვას, მათ ვერ დაალაგებს. თავიდან იგისაც უჭირდა ამ ფუფუნების გაძლება, შემდეგ კი მიეჩვია და მიხვდა, რომ მისი ეს ორი სიმდიდრე: გამართულობა და მეტყველება – ერთმანეთს უკავშირდებოდა:

„ადრე, უცხო სიტყვები რომ შემოესეოდნენ და იგი მათს ასხმასა და დალაგებას შეუდგებოდა, გაურკვეველი სიმძიმე სხეულში ტკივილად ეღვრებოდა, თვალები ეხუჭებოდა და ძილი ერეოდა.

ახლა ასეთი რამ აღარ ემართება. ახლა უცნობ სიტყვებს იოლად და სწრაფად ალაგებს. სიტყვები გამწკრივდებიან და ისე მიუყვებიან მათთვის მიჩენილ გზას, როგორც ნადირი მიუყვება გაკვალულ ბილიკს წყაროსაკენ.

ესეც იმის ბრალია, ალბათ, წელში რომ გაიმართა..."

იგი თანდათანობით სწავლობს ფიქრს და სამყაროსა თუ ადამიანთა

ყოფის კანონზომიერებას სწვდება, რაღაც უკვირს, კითხვებს სვამს, გაკვირვება კი ბოლოს ცოდნად და მიხვედრად ექცევა, რაც განარჩევს დანარჩენთაგან, მათ მსგავსად აღარ აზროვნებს:

„თავიდან იგისაც ასე ეგონა, მაგრამ ახლა, როცა მრავალი გაკვირვება უკვე ცოდნად ექცა, მიხვდა, რომ მუდამ არაფერი ყოფილა, ყველაფერი ოდესღაც გაჩნდა.“

იგი მეოცნებეა, რაც ნისთან მისი დამოკიდებულებით გამოიხატება, სიხარულისა თუ მწუხარებისას იხსენებს იგი ნის, რომელიც მისთვის ჩვეულებრივი ქალი არ არის, სხვა თანამოძმესავით მხოლოდ ვნება არ აკავშირებს მასთან. ეს თავიდან აფრთხობს ნის, მისთვის უცხოა მამრთან ასეთი ურთიერთობა, სხვა ჯიშისად მიიჩნევს, ბოლოს კი იგი და მისი სიტყვები ენატრება ქალს, ხვდება, რომ იგი კარგია. მწერალი ოსტატურად ასახავს ნის გარდაქმნასა და სიყვარულის „სითბოს“:

„– ნის საკვირველი სუნი ასდის. თბილი და საამო.

ნიმ ოდნავ გაახილა თვალი და იგისკენ მიიჩოჩდა.

იგიმ კიდევ თქვა:

– ნის თვალები ისეთია, როგორიცაა ზღვა.

ნიმ ახლა ბოლომდე გაახილა თვალები და გაკვირვებით მიაჩერდა იგის.

ხოლო იგიმ კიდევ თქვა:

– ნის თმა ისეთია, როგორიცაა ჩამოცვენილი ფოთოლი...

– იგის საკვირველი სიტყვები აქვს. – თქვა სიჩუმის შემდეგ ნიმ. – ნის ენატრება საკვირველი სიტყვები.

ნის სხეულიდან სითბო წამოვიდა. იგი ნის საამო სითბოში გაეხვია და თვითონაც სითბოდ იქცა. სითბო ყველაფერს მოედო. ახლა ყველაფერი სითბო იყო; ახლა ყველაფერი იგი იყო და ახლა ყველაფერი ნი იყო.

იგის ხელმა ნის ხელი მოძებნა და ფრთხილად შემოეჭდო. ნის ხელი ოდნავ ტოკავდა.

– როცა იგი დღის თვალს უყურებს, იგის უხარია ნი, – წყნარად თქვა იგიმ და სიტყვები ისე შრიალებდნენ, როგორც შრიალებს ტყე, ნიავი რომ დაუბერავს. – როცა იგი ღამის თვალს უყურებს, იგის ენატრება ნი. ნის თვალები ისეთია, როგორიცაა მთვლემარე ზღვა; როცა იგი მარტოა, ნი ჩნდება იგის სხეულში და იგი აღარაა მარტო...

ნის ხელი ოდნავ ტოკავდა. მერე ნიმ ნიავივით დაიჩურჩულა:

– იგი ისეთი არ არის, როგორიც არიან სხვები. იგი კარგია.“

იგის პიროვნებად ქცევა მისი განსხვავებული დამოკიდებულებით გამოიხატება სხვადასხვა მოვლენასთან. თუ მისი თანატომელები ყველაფერს ბელადის კარნახით უყურებენ და აღიქვამენ, იგი უკვირდება და აანალიზებს ყოველივეს, არ მოსწონს ბელადის სიტყვები და მომავალი უბედურების განჭვრეტაც შეუძლია ასეთი მეთაურების ხელში.

იგი სამყაროს საიდუმლოს სწვდება და ყველაფერთან საოცარ ერთობას გრძნობს, როგორც ჭეშმარიტი მიკროკოსმოსი (ქრისტიანული თვალსაზრისით, „ადამი“ თავის თავში მთელ სამყაროს მოიცავს, მცირე მსოფლიოა):

„– იგიმ ისეთი რამ იცის, რაც სხვებმა არ იციან. იგიმ იცის, რომ იგი

ყველაფერია და დანარჩენებიც ყველაფერი არიან. ყველაფერი იგის სხეულშია და იგის შეუძლია ყველაფერი თავისი სხეულიდან გამოიყვანოს."

ყველაზე მეტად კი იგი უფალს იმით ჰგავს, რომ შემოქმედია, სამყაროს მრავალფეროვნებას აღიქვამს და იტევს საკუთარ სულში. თანაც ქმნის ახალ რეალობას – ხატავს (თანაც, თავიდან ქვიშაზე ისევე, როგორც „სახარების მიხედვით, წერდა იესო: „იესუ ქუეყანად დადრკა და თითითა ქუეყანასა წერდა" – იოანე 8, 6).

უჭირს იგის რჩეულობის ტვირთის ტარება, თუმცა მწერალი გვარწმუნებს, რომ არა მხოლოდ სასუფეველია ასეთთათვის, არამედ მიწიერი სამყაროც მათი მეოხებით სწავლობს უფლისაკენ სავალ გზას.

ჯემალ ქარჩხაძის ეს მშვენიერი მოთხრობა პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირების თემას ეხება. ერთმანეთს უპირისპირდებიან მიწის, სიბნელის, უფსკრულის კაცები და ზეცის, ნათლის, უფლის კაცი – იგი.

თემი „მიწის კაცთა" საზოგადოებაა, მოხრილნი რომ ჩასცქერიან „ქვეყანას", ზეცაში ერთხელაც რომ არ აუხედავთ, მხოლოდ ჭამით რომ კმაყოფილდებიან და არც კი იციან, რა არის ოცნება, ან რას გულისხმობს ადამიანობის ტვირთი. ისინი ერთიან მასას ჰგვანან და სამყაროსაც ერთი თვალით უყურებენ. იგი ამ ხალხის გუნდს გორგალს ადარებს:

„უცნაურად შემჭიდროვებულიყო, შეკრულიყო და ერთიანი გორგალივით მიგორავდა თავდაღმართში," ხოლო მათს გამოხედვას – ერთი დიდი თვალის ცქერას:

„თანამოძმეთა გაფართოებული თვალები ერთმანეთში შეცურდნენ.

იგის ახლა ერთი ვეებერთელა თვალი მისჩერებოდა ყოველი მხრიდან."

ამ ხალხს ბელადი მართავს, ყველა მათგანზე უარესი, რომელიც „ყველაზე მეტად იყო მოხრილი. გრძელი ხელები ლამის მიწაზე დასთრევდა. შუბლი ვიწრო და ბრტყელი ჰქონდა, კბილები – მრისხანე და დაკრეჭილი.

მორიგეობით ინაცვლებდა ფეხებს და ადგილზე ირწეოდა.

ასეთი ბელადის დანახვაზე ძლიერი ნადირებიც კი დამფრთხალნი გარბოდნენ."

ბელადი ნამდვილად ვერ შეძლებდა, იგისთვის სიტყვიერად რაიმე დაემტკიცებინა, რადგან იგი გაცილებით აღემატებოდა მას, „იგი ატყობდა, რომ ბელადის თავში უცნობი სიტყვები დაქროდნენ და ბელადი ვერ ახერხებდა მათ დალაგებასა და დაკავშირებას. იგის სხეულში უხმოდ გაჩნდა გამარჯვების ყიჟინა", თუმცა ბელადს შეეძლო ის ფიზიკურად დაეჯაბნა და შეეშინებინა.

იგი ამ ხალხს არაფრით ჰგავს, ეს არის მისი ტრაგიზმისა და მარტოობის მიზეზიც, მშვენივრად იცის, რომ პრობლემის თავიდან ასაცილებლად მათ უნდა დაემსგავსოს.

„იგი ისეთი არ იყო, როგორიც იყვნენ სხვები!

გამართული იდგა. შუბლი შორეული მთის წვერისთვის მიეშვირა.

ცხელი გემო კიდევ უფრო სწრაფად დატრიალდა მუცელში. ტანზე ცივმა შიშმა გადაურბინა და ბალანი აეჯაგრა.

და მარტოობის შემაშფოთებელი სუნი ეცა.

„კიდევ კარგი, ახლა არავის შეუმჩნევია გამართული იგი, – უხმოდ თქვა იგიმ თავის სხეულში. – იგი ახლავე მოიხრება და ისეთი გახდება, როგორიც არიან სხვები. მაშინ აღარც მარტოობა ეტკინება და აღარც ცივი შიში აუჯაგრავს ბალანს“.

იგი შეჩერდა, წინ მიმავალ თანამოძმეებს დააკვირდა. ყველანი მშვენივრად იყვნენ მოხრილები. „იგიც მათ უნდა დაემსგავსოს, რაკი მათი თანამოძმეა“, – თავის სხეულში თქვა იგიმ.

„იგი ისეთი უნდა გახდეს, როგორიც არიან სხვები. მაშინ იგი მარტო აღარ იქნება და წუხილიც თავს დაანებებს.“

თუმცა ასეთი ადვილი არ არის მათი მიბაძვა, რადგან „ოდნავ მოიხარა თუ არა, ზურგში ავი ნადირივით ჩააფრინდა ტკივილი.

იგიმ შეჰყვირა და გაიმართა...

ტკივილი ჯიუტი იყო და იგის მძიმე ბრძოლის გადახდა დასჭირდა. მაგრამ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა, ტკივილი დაამარცხა და ისეთი გახდა, როგორიც არიან სხვები. დადგა დღე, როცა სანადიროდ მიმავალი იგი სხვებისგან აღარაფრით გამოირჩეოდა. მოხრილი იყო, ხელები კოჭებამდე დასთრევდა, შუბლი მიწისთვის მიეშვირა. მართალია, ზურგში ჯერ კიდევ კბენდა ტკივილი, მაგრამ ეს პატარა ტკივილი იყო, ტკივილის შვილი, რომელსაც არც სიავე ჰქონდა, არც – ძალა და არც – ბასრი კბილები.

იგის ახლა ისე უყურებდნენ, როგორც თავისიანს. აღარავინ გაურბოდა, აღარავინ ერიდებოდა. ბელადის თვალებშიც გაქრა მრისხანება.“

მაგრამ, ადამიანს დიდხანს თამაში არ ძალუძს, იგიც კვლავ იმართება, რაც საოცარ შვებას ჰგვრის და ამით სიკვდილს იმსახურებს. საზოგადოება „სხვა ჯიშისას“ ვერ იგუებს, მას თავისი უბედურების მიზეზად მიიჩნევს და ბელადი, რომელსაც საკუთარი მამაც კი არ უყვარს, „დიდი დაძინების ხახაში“ გადახტომას უსჯის იგის.

(ბელადმა იგიმდე სიკვდილი მამა-ბელადს მიუსაჯა, რადგან ძალაუფლების ხელში ჩაგდება სურდა. მამაში კი სიყვარულისა და დანდობის უნარი უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ხეპრე შვილის დასჯის სურვილი. მხოლოდ ერთი წუთით განრისხდა, შემდეგ კი გაცლა ამჯობინა:

„ბელადის სახეს სითბოს სუნი ისე გადაეცალა, როგორც ტყეს გადაეცლება ბურუსი, ქარი რომ დაუბერავს. იგის მოეჩვენა, თითქოს სიმშვიდის სუნმაც იწყო გადაცლა, მაგრამ ამ დროს ბელადმა თვალები ნელა მოხუჭა და სიმშვიდის სუნი დარჩა.“)

იგი მიხვდა, რომ ამით რაღაც საშინელსა და გამოუსწორებელს ჩაეყარა საფუძველი, „შეშფოთებამ იგის თავით ფეხებამდე დაუარა.

ასეთი რამ ჯერ არც ერთ ბელადს არ ეთქვა.

იგი მიხვდა, რომ ქვეყნად რაღაც ახალი გაჩნდა.

ოღონდ ისე კი არა, ცის ძახილი ცეცხლად რომ გაიკლაკნება და მყისვე გაქრება.

არა.

მიწა რომ გაიბზარება და ნაპრალი აღარასოდეს ამოივსება, ისე.“

ამით აღსრულდება პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირება.

პიროვნება გაინირება, რადგან ერთი და დაუცველია, საზოგადოება ამქვეყნად და მინიერი თვალსაზრისით გაიმარჯვებს.

ჯემალ ქარჩხაძე ნანარმოების ფინალში საოცარი ექსპრესიულობით ასახავს კაცის შეხვედრას სიკვდილთან, იგის სულის თრთოლას, მის შიშს უცხო გარემოში დამკვიდრებისა და ამქვეყნიდან სამუდამოდ გაქრობის გამო.

ნახევრად ველური, „ვიწროშუბლა“ ადამიანი ვერც ხვდება სიკვდილის უძლეველობას, ვიდრე პირადად მას არ შეეხება მისი ბრჭყალი. ამიტომ სიხარულის ყიჟინით გამოხატავენ ვინმეს ქარაფიდან გადაგდებით გამოწვეულ გრძნობას. სასიკვდილოდ განწირულზე კი არც არავინ ფიქრობს და არც შეუძლია განზოგადებული დასკვნების გამოტანა. ყველა მარტო ხვდება სიკვდილს, სხვათაგან მიტოვებული, „მარტო ის განაგრძობს გზას. მიდის, მიდის, მიდის. მწვერვალს რომ მიაღწევს, მოიხედავს. თუ მანამდე არ მოიხედა, მწვერვალთან მაინც მოიხედავს. და ამ დროს სახეზე ცოცხლად შეპყრობილი ნადირის ფერი ადევს. მერე ისევ შეტრიალდება, მოიკუნტება, შეიკუმშება, დაპატარავდება, თვალებდახუჭული (იგიმ არ იცის, თვალებდახუჭული თუ თვალებგახელილი, მაგრამ ახლა, როცა თვითონ მიუყვება დიდი დაძინების ციცაბო აღმართს, რატომღაც ჰგონია, რომ თვალებდახუჭული) გადააბიჯებს და მისი კივილი დიდი დაძინების ხახაში ჩაიკარგება.“

სულიერი ზეობა კი იგის მხარესაა, რადგან ის ნათლის კაცია, ამ ტომისკენ იწყებს სვლას და როგორც კი დაინახავს წელში გამართულ ზუს, გაიაზრებს, რომ მისი, როგორც რჩეულის, მისია თანატომელთა ბნელეთიდან გამოყვანა და უფლის გზით წაყვანაა... გზის გამგრძელებელსაც ტოვებს. ამიტომაც კვდება იგი მშვიდად, იმედით, ზეცისკენ მზერით და არა ისე, როგორც ყველა მისი წინამორბედი – პირით მიწისკენ.

„იგი მიხვდა, რომ ყველაზე უფრო, ცის თვალზე, შორეულ ქედებზე, ზღვაზე და ტყეზე უფრო, მისი წელში მოხრილი, ვიწროშუბლიანი ძმები შესთხოვდნენ და ევედრებოდნენ: გაიმართოს იგი! დაწინაურდეს იგი!

იგის სხეულში დიდი სისწრაფით შემოიჭრა რიცხვმრავალი ტომი. ყველა გამართული იყო, ყველა – მხრებში გაშლილი. ცას უყურებდნენ. სხივოსანი თვალები ჰქონდათ. მხრებზე რაღაც თეთრი წამოესხათ და ეს თეთრი მოსასხამები დღის თვალის შუქზე დღის თვალებივით ლაპლაპებდნენ. და საკვირველი ტომი ისე შემოიჭრა იგის სხეულში, რომ იქ ყველაფერი გაანათა.

იგი ზუსაც უყურებდა, სხივოსან ტომსაც და თავის განათებულ სხეულსაც.

მერე უკან გადადგა ნაბიჯი. სახეზე სითბოს სუნი ასდიოდა.

კიდევ გადადგა უკან ნაბიჯი და, ფეხმა რომ ქვეშ მიწა ველარ იგრძნო, უხმოდ თქვა თავის სხეულში: „იგისგან სწორედ ის დარჩა, რაც იგიში იგი იყო“.

ზუ და ნი თავიდან სიფრთხილითა და უნდობლობით ეპყრობიან იგის, შემდეგ კი მის ფასს ხვდებიან და მის ნაკვალევს მისდევენ, სწორედ ისე,

როგორც კაცობრიობამ ჯერ ჯვარს აცვა მაცხოვარი და შემდეგ მონანული შეუდგა მის გზას. სწორედ ამას ეფუძნება იმედი, რომ გაგრძელდება „ის, რაც იგიში იგი იყო".

იგის პარადიგმა, როგორც ყველაფრის გვირგვინი, კაცობრიობის ჯოჯოხეთის ბნელეთიდან ამოსაყვანად და სამოთხის ნათელში დასამკვიდრებლად ჯვარცმული მაცხოვარია. ადვილი არ არის იგის გზის გაგრძელება. ამიტომაც ქარჩხაძე ორად ყოფს იგის ტვირთს: ზუ მის „მამრულ" საწყისს: გამართულობას, ცის ჭვრეტას, ტირანიასთან ბრძოლას, შემოქმედებას – გააგრძელებს; ნი კი მისი სულიერი სინაზისა და სიფაქიზის, ე. წ. „მდედრული" საწყისის, მემკვიდრეა. ზუმ უნდა იმოქმედოს და იბრძოლოს, ნიმ კი დარდითა და ცრემლით შეინახოს ჭეშმარიტი სულიერი სილამაზის ხსოვნა და მომავალ თაობას ასწავლოს მისი ფასი. ამით განაწილდება იგის (როგორც მაცხოვრის სიმბოლური სახის – სრული კაცის) ტვირთი და სრულყოფილად გაგრძელდება მისი გზა.

გავიხსენოთ, რომ ყოვლადწმიდა სამებამ ადამის შექმნისას მამაკაცად და დედაკაცად ქმნა უფლის ხატება და მსგავსება, თუმცა ევა ადამის გვერდიდან მხოლოდ მას შემდეგ შეიქმნა, რაც მარტოკაცმა მოიწყინა. სრული კაცი ვაჟკაცური, შემართებულიც უნდა იყოს და სულიერად ფაქიზიც. ასეთია პირველქმნილი ადამი. ასეთნი არიან წმ. გრიგოლ ხანძთელი და წმ. ექვთიმე ათონელი, დავით აღმაშენებელი და ილია ჭავჭავაძე, ლუხუმი და ალუდა ქეთელაური...

ზუ, ნი, მინდია ცრემლიანი თვალებით, გველი, „ბოროტების გზა რომ გაუშვავ, კეთილი დაუჭერია" („ბახტრიონი"), მათი მემკვიდრეები, მათ ნაკვალევზე მიმავალნი და მათი მაგალითით გამხნევებულნი არიან... და რამდენადაც „კმა არს მოწაფისაი მის, უკუეთუ იყოს, ვითარცა მოძღვარი თვისი" (მათე 10, 25), მათზეც შეგვიძლია განვაზოგადოთ გიორგი მერჩულის სიტყვები: „ემსგავსებოდეს მოძღვარსა კეთილსა, ვითარცა მოძღვარი მათი ემსგავსებოდა ქრისტესა".

თუ რჩეულთა გზა არ გაგრძელდა, კაცობრიობის სულიერი პროგრესი შეუძლებელია...

ამ გზის დასასრულს კი სასუფეველია.



გურამ დოჩანაშვილი
(დაბ. 1936)

ლალი დათაშვილი

ლიტერატურა _ უკანონეგო მეცნიერება და „პერპენტუმ მობილე“

(გურამ დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა”)

გურამ დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოებია, თუმცა უმთავრეს საკითხს სათაურითვე მიგვანიშნებს მწერალი – ეს არის მისი უდიდებულესობა ლიტერატურის რაობისა და დანიშნულების თემა. მწერლის მიზანია, დაგვაფიქროს, თუ რა არის ლიტერატურა, რა ნიშნებით ხასიათდება, ან რა საჭიროა იგი კაცობრიობისათვის.

ილია კითხულობდა, კაცია ადამიანიო? და რწმენასთან შეზავებულ საქმეს მიიჩნევდა კაცობად. ლიტერატურის დანიშნულებად კი – ადამიანის გამოსწორებასა და გაუმჯობესებას.

გურამ დოჩანაშვილმა ვასიკო კეჟერაძე ლიტერატურის სიყვარულისა და კითხვის გამო ჩათვალა კაცად. ეს პერსონაჟი ლიტერატურასა და მის როლს მარტივადაც განმარტავს და რთულადაც. მარტივი ახსნაა: „ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ, უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი”, ანუ ლიტერატურის მთავარ საქმედ, ილიას მსგავსად, ადამიანის გაუკეთესებასა და კაცად ქცევას მიიჩნევს.

თუ გავითვალისწინებთ მოთხრობის დაწერის დროს (1973 წელს), საბჭოთა ტოტალიტარიზმი მძვინვარებდა. ანტითეისტურმა ეპოქამ ქრისტიანობა და აღზრდის სარწმუნოებრივი მეთოდები აკრძალა, მოძალებულმა ნიჰილიზმმა გმირობა და ერის წინამძღოლ ნიშანსვეტთა მიბაძვა სასაცილოდ გამოაცხადა, წმინდანობისა და მამულიშვილობის თემები ტალახში ამოისვარა. ლიტერატურა ერთადერთი თავშესაფარი იყო ღირსეულ კაცთათვის. მწერლობამ აიღო თავის თავზე წმინდანთა და გმირთა მისია.

გურამ დოჩანაშვილი ამბობს:

„თუ მწერლის ჩემეული იდეალიც გაინტერესებთ, გეტყვით, რომ ესაა მგელზე ამხედრებული ამაყი გლახა, არწივით მხარზე – ისიც არ იწვრთნებაო, ამბობენ...”

ასეთი გაუწვრთნელი მწერლები მკითხველს ჭეშმარიტ ღირებულებებს უნერგავდნენ. ამიტომაცაა ვასიკო აღფრთოვანებული მკითველთა ჭკუაგონებით, ფანტაზიით, ბორკილთა მოხსნითა და სამყაროს ყოველ კუთხე-კუნჭულში თავისუფლად გადაადგილების უნარებით:

„– იყო მკითხველი, ეს თავისთავად სასწაულია, მკითხველი – ეს სწორედ ისაა, ვისაც შეგიძლია ისედაც ვიწრო საძილე ტომარაში შეყვარებულებს შორის იწვე და სულაც არ იყო ზედმეტი”.

მკითხველი ფიქრობს, აზროვნებს, ძნელად სამართავია. ამიტომაც ამ-

ბობს კეჟერაძე:

„ლიტერატურის სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ წიგნის კითხვა გგონიათ? და ყოველივე იმას, რასაც ნაიკითხავ, გააზრება არ უნდა? ყირამალა დგომისასაც კი შეიძლება ფიქრი...

ადამიანმა თუ არ იფიქრა, თუ არ დაინახა და არ იოცნება, სწორედ მაშინ იფიტება და კვდება... და, სხვათა შორის, ადამიანისათვის საჭიროა ჭკუა..."

ხელისუფლებისათვის, თამაზისნაირი „მისალოცები" (ანუ უწიგნურნი) ბევრად იოლად სამართავნი იყნენ, ვასიკოსა და კლიმის მსგავსი კაცები კი, როგორც კარგი მკითხველები – საშიშნი. ისინი, ხომ, დასცინოდნენ უწიგნურ ხელმძღვანელებს, მათ ნამდვილ სახელებს არც კი კითხულობდნენ მაშინ, როდესაც მოწინებით წარმოთქვამენ მათთვის საყვარელი წიგნის სათაურებსაც კი („– მადამ ბოვარი, – მოწიწებით წარმოთქვამს კლიმი.") და მწერალს რიგითი ადამიანების გვერდით ვერ აყენებენ. კეჟარაძე გვიხსნის, რატომ არ მოსწონს მათემატიკა:

„დგანან ერთად უნებურად ამაყი, ჩამოძენძილი, მშიერი, ხელგამხმარი, დიდებული ესპანელი ინვალიდი და გვერდით კი უდგას ეს ჩვენი ნაცნობი, ვიგინდარა, ჰოდა, ჩამოივლის იმდროინდელი ჩამორჩენილი, ანდა, შესაძლოა, ნიჭიერი მათემატიკოსიც კი და რომ ჰკითხავენ – რამდენი კაცი დგას ქუჩაში? – იტყვის: „ორი..." აბა, გეკითხებით, განა ეს პასუხია? როგორ თუ „ორი" – ის და ის – ესე იგი – ერთი პლუს ერთია?"

მთავარი კი ისაა, რომ ლიტერატურა თავისუფლების სიყვარულს უნერგავს ადამიანს. ესეც სრულიად მიუღებელი იყო მონათა იმპერიისათვის, რადგანაც „ვინც სხვას ართმევს თავისუფლებას, მონაა ისიც" (თამაზ ჭილაძე).

„– არის რაღაც საერთო ღვინის სმასა და კითხვას შორის, მე მგონი ის, რომ ორივეს ეგრეთ წოდებული პიროვნების თავისუფლებასთან მივყავართ, ოღონდ ერთი – მიშვებული, აგდებული და ულამაზო თავისუფლებაა, უპასუხისმგებლობით გამოწვეული, მეორე კი – შემართებული, გამოცდილი და ყოვლისშემძლე, ამამაღლებელი," – ამბობს პერსონაჟი.

თავისუფლება მხოლოდ ოცნება იყო. საბჭოთა ხელისუფლების დამქაშები ყველაფერში ცხვირს ყოფდნენ, ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდნენ და ამოწმებდნენ. თითქოს მთავრობისთვის სახიფათო არაფერია იმაში, რომ ადამიანი სავარძელში ჩაფლული წიგნს კითხულობს, მაგრამ ხელმძღვანელის ფხიზელ ყურს არაფერი გამოეპარება, მან „რატომ" და „რისთვის" კითხვები აუცილებლად უნდა დასვას. ამიტომ ტუქსავს თამაზს, ბოლომდე რომ არ ჩაეძია რესპონდენტს და მრისხანედ ამბობს:

„მაგრამ მე ჯერ უნდა დავრწმუნდე, რომ იმ კაცს, მართლაცდა, ზედმიწევნით უყვარს ლიტერატურა, ესე იგი, კულტურული დასვენების ესა თუ ის დარგი და შემდგომ, თუკი მხატვრული ლიტერატურა, მართლაცდა, მუქ წითელ ხაზად გასდევს მთელ მის ცხოვრებას, უნდა გამოვარკვიოთ – რატომ".

ამ მოთხრობით კიდევ ერთხელ ვხვდებით, პლატონი რატომ არ გააჩერებდა თავის მიერ შექმნილ სახელმწიფოში პოეტებს. რამდენადაც ნებისმიერი სახელმწიფო ძალადობას, იძულებას, ადამიანის დამორჩილებას,

„გაწვრთნას" გულისხმობს, თავისუფალი სულის მწერალი და ყველა მისი მიმდევარი მისთვის არასასურველი მოქალაქეა.

ლიტერატურა კეჟერაძისთვის ცხოვრების საყრდენი, „ანი და ჰოეა". ამიტომ შენიშნავს თამაზთან საუბრისას:

„– აარა, არა, – ისევ გაელიმა, – მაგაზე (ლიტერატურაზე – ლ.დ.) კი არ „მივალთ", არამედ მაგითი იწყება და მაგითი თავდება ჩემისთანა რესპონდენტისათვის...

მიუხედავად იმისა, რომ მე არ გამაჩნია ცენტრალური გათბობა, მე მაინცა მაქვს ძალიან კარგი პირობები, თუ გნებავთ, კომუნალური უწოდეთ და რაც გინდათ, სხვა... როგორ და მაქვს წიგნების ორი უზარმაზარი კარადა, თაროები, მოხერხებული სავარძელი და ტორშერი – მხარს ზემოთ, ნათურა..."

გაოცებულ ინტერვიუერს კი „– და ეგ ხომ კომუნალური პირობები არაა?" აგდებულად მიუგებს: „– გააჩნია ვისთვის..."

კეჟერაძეს ყველაფერი წიგნსა და კითხვასთან შესაბამისი მოსწონს, ფართოჯიბიანი სამოსი, წიგნი რომ ჩაეტიოს, ტიტრებიანი ფილმები, რადგან ტიტრებია წასაკითხი.

ლიტერატურა ადამიანს სიკვდილის შიშს დააძლევინებს იმით, რომ დედამიწაზე გატარებული დრო მისთვის ნაყოფიერი იქნება და არა – უაზროდ გაფლანგული. ვასიკოსთვის სიცოცხლესა და ლიტერატურას შორის ტოლობის ნიშანია. იგი ხელმძღვანელს უხსნის:

„სიკვდილისაც ნაკლებად გვეშინია, რადგან მრავალჯერ მოვმკვდარვართ და ყველაფერი, აჰ, ყველაფერი, გამოგვიცდია... გაგიძნელდება სიცოცხლესთან განშორება, მაგრამ ის მაინც გეცოდინება, სავსე ცხოვრება რომ გქონდა, ნაწანწალი და ყოვლის მნახველი... და ჩემისთანამ სიკვდილის წინ, უღონომ, სარეცელზე, შეიძლება ასე წარმოთქვას: „ეჰ, კარგი იყო, ოხერი..." და თქვენისთანამ კი, ჯანმრთელმა, შესაძლოა, ნიშნის მოგებით მკითხოს: „რა – სიცოცხლე თუ ლიტერატურა..." მე კი მოგიგებთ: „და განა სულერთი არ იყო?"

ვასიკო კეჟერაძისთვის წიგნის სამყარო ბევრად უფრო რეალურია, ვიდრე ამცხოვრებისეული. მწერლობა სამყაროსთან გაშინაურებაში, მისი ამოცანების ამოხსნასა და მსოფლიოს წყეული საკითხების გააზრებაში ეხმარება. ადამიანებთან ურთიერთობაც გაცილებით უფრო მეტად უადვილდება, თუ ახალ ნაცნობს რომელიმე პერსონაჟს მიამსგავსებს მსოფლიო ლიტერატურიდან. ასეთ შემთხვევაში, უცნობი მისთვის მყისიერად ხდება კარგად ნაცნობი, ბევრჯერ რომ შეხვედრია და გამოლაპარაკებია. მის შესახებ ყველაფერი იცის, მის მოქმედებებსაც წინასწარ ჭვრეტს და, ვინძლო, მასზე უკეთ მოეხსენება ნაცნობი უცნობის ხასიათი თუ სულში მიმდინარე ამბები. ვასიკო დაძაბულად ამიტომ აკვირდება ახლად გაცნობილებს. ასეა თამაზისა თუ ხელმძღვანელის შემთხვევაში:

„და შუბლზე შემოირტყა ხელი, – უჰ, აქამდე როგორ ვერ მივხვდი – თქვენ ძალიანა ჰგავხართ აურელიანო-სქელს, სანამ გასუქდებოდა, – და გაიოცა: – ბიჭო, ბიჭო, როგორა ჰგავს?!.. მეც არა ვთქვი, სად შემხვედრია-მეთქი?"

ან: „– წიგნიდან, წიგნიდან... სასწაული გამიგია, მაგრამ ასეთი?! – კლიმ, ხომ ზედგამოჭრილი ჯანჯაკომო სემინარიოა“.

კეჟერაძე ცხოვრობს თავის საყვარელ პერსონაჟთა შორის, მათით გარშემორტყმული. ურთიერთობაც განათლებულ ადამიანებთან სურს; ხალხს ნაკითხობის მიხედვით „ყოფს“ კლიმებად, მისალოცებად და ჰაერში ასაგდებებად, ოლიმპიური ჩემპიონივით. მათგან პირველებს ლიტერატურა უყვართ, მეორეები კარცერ-ლუქსს უკვე ლუქსად აღიქვამენ, მესამენი კი ძალით შესაყრელები არიან კარცერ-ლუქსში, რათა „ანგლობასა“ და დროის ფლანგვას მოეშვან, კითხვა და ფიქრი ისწავლონ, რომ, საბოლოოდ, უკეთეს ადამიანებად გადაიქცნენ („იქამდე მეყოლებიან გამოკეტილნი, სანამ „შვლის ნუკრის ნაამბობის“ კითხვისას შვლის მწვადი კი არ გაახსენდებოდათ, არამედ სულ სხვა რამ, უფრო მთავარი...“ – ამბობს კეჟერაძე).

ვასიკოს ბედნიერება კარგი წიგნია. თამაზი აღშფოთებულია:

„ვისარგებლე და ძალიან რთული შეკითხვა დავუსვი, რომელზედაც უცებ, ერთბაშად ვერავინ პასუხობს: „მოგწონთ ცხოვრება?“ იმან კი მაშინვე ასე მომიგო: „გააჩნია, იმ დღეს როგორი ავტორი შემხვდება...“

ლიტერატურა ავითარებს ფანტაზიას, ოცნება, წარმოდგენის უნარი თვალზე ძლიერია: „დიდებული რამაა თვალი, მაგრამ სულ სხვაა ფანტაზია, ასყურა და ასთვალიანი და კაცი ვერ იტყვის, თუ ვინაა ჭეშმარიტად ნამყოფი პერუსა და ნიგერიაში, მე, თუ რომელიმე ჩიბუხგაჩრილი ლოცმანი, რომელმაც გემით მთელი მსოფლიო შემოიარა.“

ამიტომაცაა, რომ მკითხველი ბედნიერია სამყაროული მრავალფეროვნების წვდომით და საინტერესო ცხოვრება აქვს, ბედნიერებაა მისთვის ყოველ ახალ წიგნთან შეხვედრა, ახალი განცდები, ახლებური სიცოცხლე. მას შურს ყველა იმ ადამიანის, რომელთაც საოცარი წიგნები ჯერ არ წაუკითხავთ. „მისალოცი“, ხომ იცით, ჩემებურად რასაც ნიშნავს – ვისაც პირველად წაკითხვის მრავალი ბედნიერება წინა აქვს,“ – ეუბნება ის ხელმძღვანელს.

ვასიკოს არც კი შეუძლია საყვარელი მწერლების ჩამოთვლა, საამისოდ მეტისმეტად დიდი დრო სჭირდება: ინტერვიუერის კითხვაზე, რომელი მწერალი მოგწონთო, კლიმს საათს ეკითხება და როცა იგებს, რომ ოთხს უკლია 15 წუთი, მუშაობას კი ხუთზე ამთავრებენ, გულწრფელად შენიშნავს:

„– ოო... იმათ ჩამოთვლას ვეღარ მოვასწრებ“.

უცდომელი ფიქსატორიც აქვს, რომელიც მის ლიტერატურულ გემოვნებაზე მეტყველებს – კარგი მწერლის გვარის დასახელებისასაც კი ხელი ებურძგლება. („როცა ნამდვილად ღირებულ რაიმეს წავიკითხავ, იქნება ეს ნაწარმოები მთლიანად თუ ერთი პატარა ეპითეტი ან შედარება, ვიმეორებ, თუ მართლა კარგი და ღირებულია, მაშინ მარცხენა ხელზე, მაჯიდან იდაყვამდე, აუცილებლად დამბურძგლავს...“)

კეჟერაძე ლიტერატურას „უკანონებო მეცნიერებას“ ეძახის, თუმცა შენიშნავს:

„– „უკანონებო“ ამ შემთხვევაში სულ სხვა სიტყვაა, ტკბილო...“ ეს „უკანონებო“ მისთვის სულიერ კანონებს, ადამიანის შინაგანი სამყაროს ჭვრეტისა და ამოცნობის უნარს, მარადიულ ღირებულებებს ნიშნავს. ამიტომაც შენიშნავს ნიშნისმოგებით:

„ფიზიკოსები თუ ვერასოდეს შექმნიან „პერპენტუმ მობილეს", ლიტერატურამ უკვე შექმნა – ეს სწორედ „დონ კიხოტია..." იმიტომ კი არა, რომ უფრო ადვილია, არა – უბრალოდ, ლიტერატურას შესაძლებლობა აქვს მეტი, ვიდრე ათასნაირ ლაბორატორიებსა და დანადგარებს."

ადამიანის ღირსებებსაც ვასიკო ლიტერატურული ჟანრების მიხედვით აფასებს. თამაზს უხსნის: „მე და გრიშა თუ სამოთხრობო ხალხი ვართ, ის ძმა – მესამე – სარომანოა, მაშ!"

ლიტერატურის მთავარი იარაღი სიტყვაა. ამიტომ, არ არის შემთხვევითი, რომ კეჟერაძისთვის სიტყვა არა მარტო ცოცხალია, არამედ ამ სამყაროში ყველაფერს აღემატება, მისთვის ეტალონი და ორიენტირია. ადამიანები, ამბები, მოვლენები მისთვის რომელიმე სიტყვას ჰგვანან. მათ ხასიათს მათთვის რომელიმე სიტყვის მისადაგებით აღიქვამს: „ჩამოიარა იმან, ერთ დროს საცოლემ, ეჰ, საიდუმლონარევი, შორეული სილამაზით აღსავსემ, როგორიცაა სიტყვა... „მოიისფრო", გვერდით კი მოჰყვებოდა კაცი, ისეთი უსიამო გამომეტყველებით სახეზე, როგორიცაა სიტყვა... „გავძეხი", და მე კი განზე ვიდექ, ზედმეტი, როგორც სიტყვა „მაშასადამე..." – უამბობს იგი თამაზს.

ასევე, ყველაზე დიდ, მოუბეზრებელ საქმედ, კეჟერაძე ახალი სიტყვების შექმნას მიიჩნევს, როგორიცაა მაგ.: „ჩამოლაბორანტება".

ასეთი დამოკიდებულება სიტყვასთან პირველქმნილი, უცოდველი ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, ადამს მიეცა კურთხევა, ყველაფრისთვის, მათი ბუნებიდან გამომდინარე, დაერქმია სახელი. ადამ-აფარმა სხვათა ბუნების ამოცნობისა და, შესაბამისად, მათი სწორი სახელდების უნარი დაკარგა. მწერალი სიტყვისმოქმედია, მკითხველი – დამგემოვნებელი. ხოლო სიტყვა ვის გულშიც ასე ცოცხალია, ვასიკოს მსგავსად, ის ლიტერატურის საშუალებით განწმენდა-ამაღლებით უახლოვდება ადამ-კადმონს.

ნაწარმოები ასახავს იმდროინდელ საბჭოთა საზოგადოებას: ფუნქციონერ ხელმძღვანელს, ლაქუცა მუშაკსა და კეჟერაძის მსგავს გამონაკლისებს – იმ წყობის მტრებს.

გურამ დოჩანაშვილი თამაზის უფროსთან დამოკიდებულების ამსახველი პირველივე ფრაზით მიანიშნებს მკითხველს, ლაქუცა მუშაკს როგორ სურს, საბჭოთა ფუნქციონერს ყველანაირად ასიამოვნოს. იგი თავბედს იწყევლის იმის გამო, რომ ხელმძღვანელს ხელი ვერ გაუმართა, რადგან ასანთი არ აღმოაჩნდა:

„ასანთი ხომ არა გაქვს?

მე ჩემი ბედი... – არა მქონდა."

როგორც კი ამ უკანასკნელმა ლაპარაკისას ამოისუნთქა, თამაზმა უმალ შესთავაზა:

„გავალ, გიშოვით".

მწერლის ოსტატობის წყალობით თითქოს ვხედავთ, ლარივით გაჭიმული თამაზი გადაჭარბებული ყურადღებით როგორ უსმენს ხელმძღვანელის სრულიად გაუგებარ ტირადას, როგორი მოწიწება და აღფრთოვანება აწერია სახეზე და, თუმცა ამ საუბრიდან აზრის გამოტანა შეუძლებელია, შეკითხვაზე „იმედია, გამიგეთ", ხელქვეითი ელვის სისწრაფით მიუგებს:

„– როგორ არა."

თამაზი ბედნიერებას არც მალავს, ის და მისი უფროსი ფოტოატელიეში ერთად რომ მიდიან, ქვეყანა თავისი ჰგონია და ერთი სული აქვს, ვინმემ დაინახოს („მე მსიამოვნებს, მიხარია ხელმძღვანელთან ერთად სიარული, ასე, ტოლივით გვერდიგვერდ და მხარდამხარ, იმასაც ვნატრობ, ნეტავ ვინმე ნაცნობმა დამინახოს.")

ხელმძღვანელის ლაპარაკით, რომელიც ბოდვას უფრო მიაგავს, გურამ დოჩანაშვილი გვიჩვენებს, თანამდებობის პირის ტიპურ სახეს, მაღალფარდოვნად და უაზროდ მოლაპარაკეს, ერთი მიზანი რომ აქვს, „მჭევრმეტყველებით" თავი მოაწონოს ხელქვეითს. ამავე დროს არ ავიწყდება, მოხერხებულად აღნიშნოს თავისი დამსახურებაც, რომ გაცილებით მეტად ყურადღებიანი და საქმიანია, ვიდრე წინა მმართველი:

„თქვენს მომავალ ნაშრომში უნდა აისახოს ქალაქის ტიპის დასახლებაში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა ყოველდღიური საქციელის ასპექტების ასახვა და გამომჟღავნდეს კანონზომიერებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მის დამოკიდებულებას ცხოვრების პირობებისადმი. საზოგადოების ფუნქციონირებისა და განვითარების იმ მხარეებში, რომელსაც ამჟამად გაცილებით მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე აქამდე, პატარა ადგილს როდი იჭერს ყოფა-ცხოვრება, წარმოების გარეთა სფერო ადამიანის საქციელსა და მოქმედებაში..."

ამ საზოგადოებაში ღალატი და ურთიერთმტრობაა. ხელმძღვანელი წარამარა ცვლის ტონს თამაზთან საუბრისას, რომ მას თავისი ასაკითა და თანამდებობით უფროსობა აგრძნობინოს, ხოლო, როცა ხელქვეითი უფროსის გაუნათლებლობისა და გაბითურების უნებური მომსწრე ხდება, მაშინვე დასჯის და ჩამოაქვეითებს. ვასიკო კი ხსნის, რომ კლიმთან მგლური (სხვათა მსგავსი) კი არა, მეგობრული დამოკიდებულება აქვს:

„მე და კლიმი კი, აბა, რამ გაგვყო, მიწოდეთ მე თუნდათ ფოტოკაბინეტის მთავარი დირექტორი და იმას – თანაშემწე, მაინც ერთნი ვართ, რადგან: ჩვენ ძლიერ გვიყვარს ლიტერატურა, და თქვენგან, მისალოცთაგან განსხვავებით, დაწინაურებას სულაც არ ვცდილობთ".).

ამ საზოგადოებას არ ესმის კეჟერაძეებისა, არც უყვარს ისინი, შორიდან დასცინიან მათ, ვიდრე შესაძლებლობა აქვთ, თავი უკეთესი ეგონოთ: „„აჰა-ჰა, – მოხდენილად იცინის ხელმძღვანელი, – არა სცოდნია, კომუნალური მომსახურება რასაც ნიშნავს..." მათთან შეხვედრისას და ურთიერთობისას კი მძაფრად აღიქვამენ საკუთარ უბადრუკობას, ამიტომაც უპირისპირდებიან მათ. მკითხველი ხედავს, ვასიკოს ფონზე როგორ ხუნდება ხელმძღვანელის პიროვნება თუ ჩაცმულობა, ამიტომაც იბღვირება და იბღინძება იგი. „იმას უნდობლად უმზერს კლიმი, მე კი დაეჭვებული შევცქერი რესპოდენტს – ორი – ორზე ვართ."

ხელმძღვანელი არც კი გაიაზრებს ვასიკოს სიტყვებს, „თავისუფალი ქვეყნის მოქალაქეს" თავზარი ეცემა კარცერის გაგონებაზე:

„მთელ ქალაქ კარცერებით მოვფენდი". „რაო? – ყურს არ უჯერებს ხელმძღვანელი, – როგორ თუ... ეს რა – დესპოტიზმია?"

კეაჟარაძე, თავის მხრივ, თავშეკავებულობით გამოირჩევა, ტაქტიანია, ამიტომაც ეუბნება თამაზსა და მის უფროსს:

„– მე მაინც ვცდილობდი, ბოლომდე არ მეგრძნობინებინა თქვენთვის,

მისალოცთათვის, ჩემი უპირატესობა და პოეზიაზე კრინტიც არ დამცდენია – გიფრთხილდებოდით...“ და მაგალითად უსახელებს გალაკტიონის ლექსის სტრიქონებს:

„– ქალაქში, მტვერში, წაიქცა ბავშვი, – ჩურჩულებს რესპონდენტი, – რა უნდა იყოს ამაზე საზარელი, ამაზე იდუმალი რამ...“

ხოლო თვითკმაყოფილი და თვალსა და ხელს შუა გაუბადრუკებული ხელმძღვანელი აგრესიულია:

„– პოეზია, პოეზია, – დიდი ამბავი, – ამბობს ის – ლაქები აყრია სახეზე....

– წაიქცა, წაიქცა, – ინადით იძახის ხელმძღვანელი, – დიდი ამბავი, თუ წაიქცა... წაიქცა და კეთილი გამვლელები კვლავ წამოაყენებენ... ბავშვობაში ვინ არ წავქცეულვართ, მაგრამ დადებითი გამვლელების მეშვეობით ისევ წამოვმდგარვართ, დიდი ამბავი...“

ზუსტია ვასიკოს შეფასება, ასეთი უვიცი და ტვინგაყინული ფუნქციონერებით შედგებოდა საბჭოთა სახელმწიფოს მმართველობითი აპარატი და ამ უბადრუკის ფოტო მართლაც იქნებოდა „კოლექციისათვის საუკუნის სურათი”.

„კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ „დისიდენტური“ ნაწარმოებია. თუმცა გურამ დოჩანაშვილი აშკარად არ იბრძვის, შეფარულად, ოსტატურად, იუმორით (რაც მთავრობის მხრიდან გაღიზიანებასა და მწერლის დასჯის სურვილს ანელებს) გადმოგვცემს უკმაყოფილებას საბჭოთა ეპოქით.

მოსახლეობის რეპრესიებისა და დევნის გზით დაშინება, მთავრობისა და ხალხის ურთიერთსიძულვილი ამოიკითხება ფარაზაში: „მხოლოდ ორჯერ რაღაც შეუტოკდა სახეზე, როცა ვახსენე გამოთქმა „სხვადასხვა ორგანოები“ და სიტყვა „ინსტანცია“. მაშინ კი, როდესაც თამაზმა ლექსიკა შეცვალა, რესპონდენტი „მაშინვე შეიცვალა, რადგან ამოისუნთქა და თქვა: „აგაშენა ღმერთმა“;

ასევე მნიშვნელოვანია ის ღირსება, რომლის გამოც თამაზმა შეარჩია ფოტოგრაფები: „ისინი რეალურად უყურებენ ცხოვრებას, ყოველივეს ზუსტად მაფიქსირებელი ფოტოობიექტივის საშუალებით", რითაც წარმოჩნდება საბჭოთა ეპოქის რეალიზმი, უოცნებო, ურწმუნო, ზედმეტად მიწიერი, შავ-თეთრი ყოფა;

ამ მხრივ, თამაზის ფრაზებიდან ყურადღებას იპყრობს „გონებას ისევ მზერამ აჯობა”. მწერლის ოსტატობა ჩანს სიტყვით „ისევ”. ეს ვითომ სასხვათაშორისოდ ნათქვამი წინადადება იმის თხრობისას, თუ როგორ აირჩია რესპოდენტი („კარგა ხანს ვიწვალე, და გონებას ისევ მზერამ აჯობა – ერთ წყნარ ქუჩაზე ფოტოვიტრინას მოვკარი თვალი.“), საბჭოთა ადამიანის დამახასიათებელ მნიშვნელოვან თვისებას წარმოაჩენს, მოვლენების გარეგნულ, თვალისმიერ და არა გულის ან გონებისმიერ შეფასებას. ამიტომ არის, რომ ხელმძღვანელის „დიდებულება“ მისი ათლეტური აღნაგობითა და გემოვნებით შერჩეული სამოსით შემოიფარგლება, მაგრამ თამაზის, ფოტოატელიეში შემოსული ქალისა და ბევრი სხვა ადამიანისთვისაც ეს სრულიად საკმარისია მისი „ღირსეულობის“ აღსაქმელად (გამონაკლისნი მხოლოდ კეჟერაძე და მისი მსგავსნი არიან.), ამიტომაც შენიშნავს აღფრთოვანებული თამაზი:

„ძალიან კარგია, როცა ხელმძღვანელი არის ასეთი ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე კაცი, ათლეტი, როგორც იტყვიან, და ამასთანავე ზომიერადაა აყოლილი მოდას – ოდნავ, ძალიან ოდნავ ჩამოგრძელებული ბაკენბარდებით, ასევე წელში ოდნავ გამოყვანილი პიჯაკითა და ოთხკუთხაცხვირიანი ფეხსაცმელებით, გულის გარეთა ჯიბეში კი – ჰალსტუხის ფერის იდენტური ცხვირსახოცი."

უცნობი ქალიც ლამის დაადნოს ასეთი მამაკაცის გარეგნობამა და ყურადღებამ: „ქალმა ერთი კი ახედა, სანამ პალტოს ჩასაცმელად შეტრიალდებოდა და ახლა კეფაზედაც კი, ზვინად დადგმულ თმაზედაც კი – წარმოგიდგენიათ? – ეტობა, რომ მოსწონს..."

ხოლო, როცა დაფიქრება, დაკვირვება, გააზრება ან თანაგრძნობაა საჭირო, გულცივი საზოგადოებისგან საპირისპიროს მიიღებ, რადგან ადამიანებს გულის თვალი დახშული აქვთ, სხვათა მიმართ გულგრილნი მხოლოდ საკუთარს განიცდიან. თამაზი თანამშრომელთა უგულობით გაღიზიანებული გამოხატავს გულისტკივილს თავისი პრობლემის გამო – საფრთხისას რომ ეძინება:

„ისინი რას გაიგებენ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სხეული თავისთავად, მექანიკურად გამოითიშება ხოლმე მოსალოდნელი საფრთხის წინ, არამედ ერთი ხელის მოსმით დაასკვნიან – ბოთეა – და მორჩა..."

ვასიკო სწორედ იმით განსხვავდება მათგან, რომ გონება უჭრის და მზერით, ანუ გარეგნულით, არასოდეს შემოიფარგლება. როცა ხსნის, რატომ არ მოსწონს კინო, მწერალი ასეთ არგუნენტს მოახმობინებს:

„– არ მომწონს-მეთქი – გონებაზე მეტად თვალს ახარებს და იმიტომ."

გურამ დოჩანაშვილის თხრობის მანერა ერთდროულად ღრმაცაა, პრობლემატურიც, ყოველივე იუმორითაა გადმოცემული. მწარე ხუმრობით სიმართლის ასახვისას, ტკივილნარევი სიცილით „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" ილიას „კაცია-ადამიანს" ან დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალს" მიაგავს. როგორც ილიამ შეაფასა „საზოგადო ჭირის" ასახვად მკითხველის გამოსასწორებლად შექმნილი თავისი „უხეირო მოთხრობა", ან დ. კლდიაშვილმა აღნიშნა, „სწორედ შეეცოდებოდა კაცს, რომ თვით ამბავი სასაცილო არ ყოფილიყოო", გურამ დოჩანაშვილიც კეჟერაძეს აფასებინებს ნაწარმოების სტილს: „ჩვენი საუბარი იუმორისტულ ჟურნალში დაბეჭდილ მასალას ჰგავდა." საბჭოთა ეპოქაში, მართლაც, იუმორისტული ჟურნალი იყო ერთადერთი საშუალება, მწერალს, იუმორის ნიღაბს ამოფარებულს, ეთქვა სიმართლე მახინჯი ყოფის შესახებ.

მკითხველი ხვდება, რომ ვასიკო კეჟერაძე მართალია, კარცერ-ლუქსებით შეცვლილი და დახვეწილი საზოგადოება სიყვარულის კანონებით იცხოვრებს და გაცილებით მოსაწონი იქნება ღვთისათვის, მით უმეტეს, ქართველს მწერლობით ტკბობის დიდი შესაძლებლობა აქვს, „ეს იმიტომ რომ, ჩვენი პაწია საქართველო მსოფლიოს პოეზიურ რუკაზე ერთ-ერთი დიდი, ძლევამოსილი სახელმწიფოა..."



ბესიკ ხარანაული
(დაბ. 1939)

მაია ჯალიაშვილი

„ქარია საქართველო“

(ბესიკ ხარანაულის „სად არიან შვილები?“)

ბესიკ ხარანაული თანამედროვე პოეტია, რომელიც წერს ლექსებსაც და პროზასაც. მან ქართულ პოეზიაში მოიტანა ახალი სუნთქვა – ქართული ვერლიბრის, თავისუფალი ლექსის აღორძინება სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული.

ეს ლექსი „სად არიან შვილები, შვილები სად არიან“ ხალხურ ყაიდაზეა დაწერილი, და მასში წარმოჩენილია დიდი ტკივილი, საქართველოს უახლესი ისტორიის, კერძოდ, 90-იანი წლების მოვლენებით გამოწვეული. ლექსი გაჟღენთილია გულისმომკვლელი სევდით, რასაც იწვევს ერის მომავლის უპერსპექტივობა.

ეს ლექსი წარმოჩნდება, როგორც სასოწარკვეთილი ლირიკული გმირის მონოლოგი, გმირისა, რომელსაც შვილები დაუკარგავს, ახლა გარეთ გამოსული დაეძებს და ეკითხება ქვეყანას, სამშობლოს, სად არიან მისი შვილები: „სად არიან შვილები, შვილები სად არიან,

გავალ, გავიხედები, არ არიან, ქარია“. საოცრად გულშიჩამწვდომია ეს სტრიქონები, თითქოს ვხედავთ მოლოდინით დაღლილსა და გათანგულ მშობელს, წარამარა გარეთ რომ იხედება, ერთ ადგილას ვერ ისვენებს, ალბათ, ვერც ჭამს და ვერც სვამს, მხოლოდ წასული შვილების ბედი აღელვებს. გადამდებია მისი მოუსვენრობა. იგი ადგილს რომ ვერ პოულობს, ვერ მშვიდდება, აფორიაქებულია, აღელვებულია –ეს კარგად ჩანს ამ სტრიქონებში. გარეთ გასვლა და შვილების ნაცვლად ქარის შემოფეთება უფრო ამძაფრებს ტრაგიკულ განცდას. ქარი– როგორც ყოველივეს გამფანტავი და წამშლელი, ამ შემთხვევაში, რაღაც საოცარი სიცივისა და გულგრილობის გამომხატველია. ლექსში მეორდება შეკითხვა; სად არიან შვილები და ყოველი შეკითხვა უფრო დაძაბულია, მეტი ტრაგიკული ინტონაციის მომცველი. გავალ, ავეძრახები – ავეძრახები ნიშნავს, დავუძახებ, მაგრამ მხოლოდ ქარის ხმა ისმის, ქარისა, რომელიც უფრო ამძაფრებს მშობლის ტკივილს.

ეს ლირიკული გმირი სახეა ისეთი პატრიოტისა, რომელმაც შვილები მამულს გაუზარდა. ილიას ერთი პერსონაჟი რომ ამბობს „გლახის ნაამბობში“, სიცოცხლე ჩვენი არც დედისაა, არც მამისაა, არამედ ქვეყნისაა, სწორედ ასეა ამ ლექსშიც. მაგრამ მშობელმა უნდა იცოდეს, რა მიზანს ეწირება მისი შვილი. ამ ლექსში კი ჩანს, რომ მშობელი დაბნეულია, სასოწარკვეთილია, მან ისიც არ იცის გარკვეულად, ცოცხლები არიან თუ არა მისი შვილები. ეს არის ქვეყნის მიმართ სრულიად სხვანაირი დამოკიდებ-

ულება. მშობელი თითქოს პასუხს სთხოვს ქვეყანას ყოველივე იმისთვის, რაც მას დაატყდა თავს.

ლექსში უცებ ჩნდება მოულოდნელი მეტაფორა: „საქართველო აქროლდა“, ესე იგი, გაქრა, გაილია. პოეტი ამის უკეთესად წარმოსაჩენად მიმართავს შედარებას: ისე აქროლდა, როგორც ფოთლებში ქარი. საქართველოს გაქრობა ძალიან მოულოდნელი სახეა. ქართულ ლიტერატურაში ბევრია ისეთი ნაწარმოები, რომლებშიც საუბარია ერის გადაგვარებაზე, ზნეობის დაცემაზე, ეროვნული თვითშეგნების დაკარგვაზე, მცირედმორწმუნეობასა და სხვა ათასგვარ უკეთურებაზე, მაგრამ იშვიათია ნაწარმოები, რომელშიც საუბარი იყოს იმაზე, რომ საქართველომ ვერ გაუძლო ამდენ რყევას და დაიღუპა, დასამარდა, გაქრა. გავიხსენოთ მთელი მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურა– თავისი იმედითა და უიმედობით. „არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს, ვინც შენატრის იმის სიკვდილს, უმალ მასვე დაამიწებს“– წერს აკაკი. სხვათა შორის, ბესიკ ხარანაულს აქვს ლექსი „დაიძინე, საქართველო“, რომელიც შეხმიანებაა ილიასა და აკაკისთან. თუ ისინი ქვეყანას გამოღვიძებისკენ მოუხმობდნენ, ბესიკ ხარანაული, პირიქით, დაძინებას ურჩევს, რათა ცუდი სიზმარივით განიცადოს შექმნილი მტანჯველი მდგომარეობა. ბესიკ ხარანაულის განსახილველ ლექსში გამოხატულმა პესიმიზმმა გაგვახსენა ოთარ ჭილაძის რომანი „გოდორი“, რომელშიც აღწერილია რომ მეთექვსმეტე საუკუნეში საქართველოსკენ გამოემართა ცნობილი იტალიელი მისიონერი ლუდოვიკო ბოლონიელი, მან იცოდა საქართველოს დიდებული ისტორიის შესახებ და სურდა გაცნობა, თან საგანგებო მისიით მოდიოდა, მაგრამ როცა მოაღწია იმ გეოგრაფიულ სივრცეს, სადაც ეს მშვენიერი ქვეყანა ეგულებოდა, საქართველო იქ აღარ დახვდა, რა თქმა უნდა, ეს მეტაფორაა და მიუთითებს ქართული სულის გაქრობაზე. თუმცა ლუდოვიკოს სჯერა:

„სამარადისოდ და უკვალოდ ის ქრება მხოლოდ,
რის დაკარგვასაც ვეგუებით... მაგრამ თუ ვიგრძნობთ,
რომ ჩვენს სიცოცხლეს უიმისოდ აზრი არა აქვს,
ისიც ბრუნდება, უფრო სწორად, კვლავ იბადება,
და ერთ დღეს, როგორც წყლიდან მიწა, ან რძიდან ყველი,
პირველყოფილი ბრწყინვალებით ამოიზრდება“.

ასე რომ, თუ ქართველი არ შეეგუება საქართველოს აქროლებას, მაშინ ის აუცილებლად აღდგება. მეტაფორულად, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა ქართველის ცნობიერებაში იმ მნიშვნელობას შეიძენს, რაც მას უნდა ჰქონდეს.

ბესიკ ხარანაულის ამ ლექსში შვილები არ ჩანან და ამ საშინელ ამბავს ქარი თავის დაუდგრომელი ქროლით უფრო ამძაფრებს. საერთოდ, მთელ ლექსში ეს გამთოშავი ქარი დაქრის. შვილები მომავლის სიმბოლოა. თუ შვილები დაიხოცებიან, ეს იმას ნიშნავს, რომ ერი დაილუპება. გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის ლექსი „ჩემო კარგო ქვეყანავ“. მასში მთელი იმედი

სწორედ მომავალ თაობაზეა: „წვრილ-შვილნი წამოგესწრნენ ნაზარდნი, გულმტკიცები,

„მათის ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,
არ გიმტყუნებენ შენა, თუ-კი მათ მიენდები.
მათის ღვაწლით შეგექმნეს სახე ბედით მთენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?“

ბესიკ ხარანაულის ლექსში კი ამგვარი იმედი ჩამკვდარია. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჯოჯოხეთური ვითარებაა. იტალიელი მწერლის დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ მიხედვით ჯოჯოხეთის კარზე ასეთი სიტყვები წერია: აქ შემომსვლელმა ყველა იმედი დატოვოსო. ჯოჯოხეთი სრული უიმედობაა, როდესაც დაღუპვა საბოლოოა. რამ გაუჩინა პოეტს ამგვარი ფიქრები? რა თქმა უნდა, იმ ტრაგიკულმა მოვლენებმა, რომლებიც მის თვალწინ დატრიალდა. ეს კოშმარული განცდები კი ლექსის სტრიქონებში მხატვრულ სახეებად ტრანსფორმირდა. სტრიქონი –სად არიან ვეფხვები– წარმოაჩენს შვილების– ვეფხვებივით ვაჟკაცთა სახეებს. „ერთი შვილ მაინც გავზარდე, ვეფხვებთან მეომარიაო“, –ამაყობდა ქართველი დედა, შვილის სიკვდილით გულდათუთქული, მაგრამ თანვე საოცრად თავაწეული, რადგან მისი შვილი არ შეუშინდა ვეფხვის კლანჭებს და მასთან ვაჟკაცურ ბრძოლაში დაიღუპა. ვეფხვი – ხალხურ პოეზიაში გამორჩეული ვაჟკაცის სინონიმი იყო. სწორედ ასეთი, ვეფხვებივით ვაჟები დაკარგულან. არავინ იცის მათი გზა-კვალი. ყველაზე ტრაგიკული ის არის, რომ ისინი თითქოს უკვალოდ, უსახელოდ გამქრალან.

ლექსის ლირიკული გმირის გულში წამიერად აინთება იმედის ნაპერწკალი. ვეფხვები უნდა იყვნენ ლერწმიანში: „სად არიან ვეფხვები, ლერწმიანში არიან“, ეს ეხმიანება ხალხურ ლექსს, რომლის მიხედვითაც ლერწმიანში აუცილებლად შეხვდები ვეფხვებს, მაგრამ ახლა ველარ, რადგან ისინი, გამქრალან, დახოცილან, სასტიკ დროს გაჰყოლიან.

„ლერწმიანში ქარია, ვეფხვები არ არიან“.

ქარი წარმოჩნდება, როგორც ყოვლისუარმყოფელი არარაობა, ერთგვარი სიცარიელე, რომელიც ყოველივეს აცამტვერებს.

ლექსში ჩნდება მოულოდნელი მეტაფორა:ჭ ჩემი მკვდარი კი არა, შენი პატიმარია. მშობელს სჯერა, რომ შვილები ცოცხლები არიან, მაგრამ დატყვევებულნი. ტრადიციულად, ქართულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით, მეცხრამეტე საუკუნისა, საქართველო წარმოჩნდა, როგორც პატიმარი, რომელსაც შვილები გამოიხსნიდნენ; „მას ვჭვრეტ პატიმრად ვის ჰმონებს გული, მისთვის გლახ, განწირული“, ან კიდევ: მაღალ ციხეში გამომწყვდეული ნესტანი, რომელიც მოელის ტურფა გამომხსნელს, როგორც აკაკი წერს. აქ კი შვილები არიან პატიმრები. გაუკუღმართებულ დროში სამშობლოსა და შვილების დამოკიდებულებაც თავდაყირაა დაყენებული, თითქოს ყოველგვარი კანონზომიერება დარღვეულა, დრო დაშლილა. წარსული, აწმყო, მომავალი – ამგვარი ჯაჭვი დროის დინებისა გაწყვეტილა. მშობელს მკვდარსაც კი ვერ უბრუნებს ქვეყანა.

ლექსში ვკითხულობთ: „მიველ, ციხე გავტეხე, არ არიან, ქარია“. აქ წარმოჩენილია ძველი იდეალების მსხვრევა. ციხის გატეხა – ლიტერატურაში სიმბოლო იყო უსამართლოდ დატყვევებულის გამოხსნისა, მაგრამ მკითხველის მოლოდინი გაცრუებულია. განსაკუთრებით ტრაგიკულად გაისმის სტრიქონი: „გოგო ბიჭი გიყვარდა, თქმა ვერ მოასწარია“. ესე იგი, ეს დრო და ვითარება კლავს სიყვარულს. სიყვარულისგან დაცლილი სამყარო კი არარაობაა. გოგომ ვერ მოასწრო ბიჭისთვის სიყვარულის გამხელა, ბიჭი წავიდა თუ წაიყვანეს სადღაც, რატომ, რისთვის, ვინ წაიყვანა. ეს ლექსში არ ჩანს, მთავრი ისაა, რომ ქვეყანაში სიყვარულიც კვდება და ცამტვერდება.

„ეშმა ერქვა სახელად, ვინც მე ხელი დამრია“, –ამგვარ ახსნას უძებნის შექმნილ ვითარებას ლირიკული გმირი. ეშმა ეშმაკია, წუთისოფლის თავადი, რომელსაც იმხელა ძალაუფლება მოუპოვებია, რომ სიკეთე და სიყვარული დაუთრგუნავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანას რწმენა მოჰკლებია, ადამიანს ღონე გამოსცლია ცოდვასთან საბრძოლველად: „ჩაცვივდნენ ცოდვის მორევსა, გზა ვერ სცნეს მადლთა ფონისაჰ“, –როგორც გურამიშვილი იტყოდა. ეს მადლი აღარ იყო ქვეყანაზე, თითქოს ღმერთსაც აერო ხელი კაცის შემწეობაზე.

„იმათ სახელობაზე ხე მაინც ახარეა“,– მიმართავს ლირიკული გმირი ქვეყანას. იგი თითქოს შეგუებია შვილების დაკარგვას და სურს ხის დარგვით გამოხატოს ქვეყანამ სურვილი მათი ხსოვნისა, მაგრამ ეს თხოვნაც ამაოა, რადგან ქვეყანას მომავალი თაობა, შვილები არაფრად უღირს. ეს ჩანს ამ სტრიქონში“. „იმ ხესაც ხომ შენ დასწვავ, შენი მოსახმარია“.

ქვეყანა, გახამებული საყელოთი გაპიროვნებული, ვითომ სახელმწიფო, ოფიციალურად აღიარებული და „სხვა ერთა შორის ერად“ წარმოჩინებულ-დამკვიდრებული, ლირიკული გმირისთვის ბუტაფორიასავითაა, თუმცა მაინც ცდილობს მისი გაყინული გულის მოლბობას და ამაოდ ჩასძახის, ანჯღრევს, ცდილობს, ყურადღების მიქცევას: „საყელოზე მოგწვდები, შვილები სად არიან“. მაგრამ „არსაიდან ხმა არსით ძახილი, მშობელი შობილს არას მეტყოდა“, – როგორც ილია იტყოდა. ამ ლექსშიც ჩანს, რომ „ქართველის ძილშია კვნესა ისმოდა“.

პოეტს სწორედ ეს კვნესა არ ასვენებს და ამიტომაც ქმნის ასეთ ტკივილიან სტრიქონებს: „არ არიან შვილები, საქართველო ქარია.

„ქარია საქართველო, შვილები არ არიან.

დღე არი, არ არიან, ღამეა, არ არიან,

ქარია, არ არიან, არ არიან, ქარია“.

ეს გვახსენებს გალაკტიონის სტრიქონებს: „ყოველივე ქარია და ჩვენება. ოჰ, სიცოცხლეც უეცარი ქარია“. ამიტომაც პოეტები ერთდერთ საყრდენს პოულობენ: „მარადია ერთადერთი: შვენება“. ამიტომაც ტანჯვას მშვენიერ სტრიქონებად აქცევენ.

ან კიდევ:

„ჯერ კიდევ ჰკიდია ყუნწს ფოთოლი,

მაგრამ ქარი უკვე გზაშია.
და მე ვფიქრობდი ქარზე,
რომელმაც ფოთოლივით წამიღო“
(ბესიკ ხარანაული „კარტოფილის ამოღება“).

ასე რომ, ამ ლექსით ბესიკ ხარანაულმა გამოხატა დიდი ტკივილი, რაც გამოიწვია ქვეყანაში მიმდინარე ძმათამკვლელმა სამოქალაქო ომმა და მისმა თანმხლებმა მოვლენებმა. თუმცა ეს პრობლემა ნებისმიერ დროში აქტუალურია. თუ დაირღვევა თაობათა ცვლის კანონზომიერება, თუ დაივიწყებენ ქართული ანდაზის სიბრძნეს „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“– მაშინ ქვეყანა დაიღუპება, მაგრამ მკითხველს სჯერა, რომ საქართველო ქარია მხოლოდ მხატვრული სამყაროს მეტაფორაა და ის რეალობად არასოდეს იქცევა.

ავტორების შესახებ:

ლალი დათაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების გრძელვადიანი ტრენინგმოდულის ერთ-ერთი ავტორი, მასწავლებელთა სახლის ტრენერი. წლების განმავლობაში იყო საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და რელიგიების ისტორიის სწავლების მეთოდიკათა კათედრის გამგე; განათლების სამინისტროს მიერ აკრედიტებული პროგრამის: „ქართული ენისა და ლიტერატურის ცოდნა და მისი სწავლების მეთოდიკა“ – ავტორი და ტრენინგების ხელმძღვანელი;

პერიოდულ გამოცემებში 1998 – 2013 წლებში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო და მეთოდური ხასიათის, სწავლებისა და ზნეობრივი აღზრდისადმი მიძღვნილი 100-მდე სტატია და ინტერვიუ. მისი წიგნებია:

1. საღვთისმეტყველო საკითხები ქართულ ჰაგიოგრაფიაში, თბ. 1996წ., II გამოცემა – თბ. 2004 წ.;
2. „დავითიანის“ სწავლებისათვის, თბ. 1998 წ.;
3. ნიკო ლორთქიფანიძე, სერიიდან „ქართველი მწერლები სკოლაში”, ტ. IX (თანაავტორებთან ერთად), თბ. 2000 წ.;
4. ვაჟა-ფშაველა, სერიიდან „ქართველი მწერლები სკოლაში”, ტ. V, ორ ნაწილად (თანაავტორთან ერთად), თბ. 2001 წ.;
5. გიორგი მთაწმიდელი – „ცხორება იოანესი და ეფთვიმესი“ (თანაავტორთან ერთად), თბ. 2001 წ.;
6. დავით გურამიშვილის ლოცვად თქმულნი, თბ. 2006 წ.;
7. ნიკოლოზ ბარათაშვილი, სერიიდან „ქართველი მწერლები სკოლაში", ტ. II, თბ. 2007 წ.;
8. შვიდგზის ლოცვა განმარტებით (თანაავტორებთან ერთად), თბ. 2009 წ.;
9. ფერისცვალება, თბ. 2009 წ.;
10. გრიგოლ ნოსელი – „წმიდა მაკრინას ცხოვრება", თბ. 2010 წ.;
11. რევაზ ინანიშვილი, სერიიდან „ქართველი მწერლები სკოლაში", ტ. XVI, თბ. 2010 წ.
12. ქართული ენა და ლიტერატურა, XI კლასის სახელმძღვანელო (თანაავტორებთან ერთად), გამომც. „სწავლანი", თბ. 2010 წ.;
13. უახლესი ქართული ლიტერატურა (თანაავტორთან ერთად), გამომც. „ტრიასი", თბ. 2011 წ.

მაია ჯალიაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

300-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის, წერილის, ესეს ავტორი. საერთაშორისო და ლოკალური კონფერენციების მონაწილე, სხვადასხვა სამეცნიერო პროექტის მენეჯერი და მონაწილე.

2012 წელს მიენიჭა გრიგოლ კიკნაძის პრემია საუკეთესო სამეცნიერო სტატიისთვის „არტისტული თამაშის ვარიაციები ქართულ მოდერნისტულ რომანში" (კონკურსში გამარჯვება).

2012 წელს მიენიჭა „ლიტერატურული გაზეთის" პრემია წერილისთვის „ზნეობის გარდამოხსნა" (კონკურსში გამარჯვება).

ნაშრომთა სრული ბიბლიოგრაფია იხ. მაია ჯალიაშვილის ბლოგზე http://maiajaliashvili.blogspot.com/2010/12/blog-post_21.html

მისი წერილები პერიოდულად იბეჭდება ჟურნალებში „ლიტერატურული ძიებანი", „სჯანი", „კრიტიკა", „ჩვენი მწერლობა", „სემიოტიკა" და სხვ.

თანამშრომლობს ეროვნული გამოცდებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან. არის მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების გრძელვადიანი ტრენინგმოდულის ავტორი, ტრენერი. წლების განმავლობაში იყო აკრედიტაციის ექსპერტი, ლიტერატურისა და ხელოვნების არქივის მეცნიერ-თანამშრომელი, ჟურნალ „ომეგას" სალიტერატურო ნაწილის რედაქტორი.

2012 წელს მასწავლებლის სახლის მიერ დასახელდა საუკეთესო ტრენერად.

მისი სამი რადიოპიესა („ფლამინგოები ჯოჯოხეთში", „საუზმე ბელურებისთვის", „პარალელური ხაზები") დადგმულია საქართველოს რადიოში, რეჟისორი: ზურაბ კანდელაკი.

მაია ჯალიაშვილი ავტორია შემდეგი წიგნებისა:

1. ქართული მოდერნისტული რომანი (მონოგრაფია). თბილისი, 2006
2. სანდრო ცირეკიძე და ქართული სიმბოლიზმი (მონოგრაფია), თბ. 1994
3. სიცოცხლის საიდუმლო (ლიტერატურული წერილები), თბ. 2006
4. შეხვედრა წიგნში (ლიტერატურული წერილები), თბ. 2009
5. უახლესი ქართული ლიტერატურა. თბ. 2011 (თანაავტორობით)
6. შვიდგზის ლოცვა განმარტებით, (თანაავტორობით). თბ. 2009 წ.
7. გრიგოლ რობაქიძე, სერიიდან „ქართველი მწერლები სკოლაში", ტ. XV, თბ.2009
8. გულის ბარძიმი (ლექსები, მოთხრობები, იგავ-არაკები, რადიოპიესები, ტაოკლარჯეთული დღიური, თბ.2009
9. ნიკოლო მიწიშვილის მინიატურები. შემდგენელი და წინასიტყვაობის („გახსოვდეს სიცოცხლე") ავტორი. გამომც. „ინტელექტი". თბ. 2007
10. „ცისფერყანწელები". შემდგენელი და წინასიტყვაობის („წმინდა

პოეზიის რაინდები") ავტორი. გამომც. „ინტელექტი". თბ. 2007

11. მიხეილ ჯავახიშვილი „ლამბალო და ყაშა" სერიიდან „ქართველი მწერლები სკოლაში", ტ. X. თბ.2008

12. ილია ჭავჭავაძე, სერიიდან „ქართველი მწერლები სკოლაში", ტ. III-IV, თანაავტორობით, თბ.2007

13. ალექსანდრე ყაზბეგი, სერიიდან „ქართველი მწერლები სკოლაში", ტ. VI-VII თანაავტორობით, თბ. 2004

14. ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, სერიიდან „ქართველი მწერლები სკოლაში", ტ. VIII, თბ.2002

15. გიორგი ლეონიძე, სერიიდან „ქართველი მწერლები სკოლაში", ტ. XIV, თბ. 2001

16. მიხეილ ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნები" სერიიდან „ქართველი მწერლები სკოლაში", ტ. X, თბ.2000

17. დუმილის მიღმა (ლექსების კრებული), თბ.1996

ლალი დათაშვილი
მაია ჯალიაშვილი

წერილები მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე

ტექნიკური რედაქტორი
კახაბერ რუსიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
დავით კუტუბიძე

დაიბეჭდა:
გამომცემლობა „მერიდიანი", ალ. ყაზბეგის გამზ. №45
ტ. 239-15-22, E-mail: meridiani777@gmail.com